



ԳԻՏԱԿԱՆ

3

1988

სესია

368

გამოცემის ოცდამეთერთმეტი წელი

3

მარტი

1988

თბილისი

საბ. კვ. ცე-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული

შ ი ნ ა ა რ ს ი



პროზა და პოეზია

- 3. აბაკი ბაყრაძე — შვიდს ბავშვსაღება. რომანი-ეტიუდი
- 37. ვურაძე პეტრიაშვილი — ლექსები
- 40. ხაბაძე ნაცვლიშვილი — წიგნი-83.
- 46. ნოდარ წულუბსკი — აფთარი. რომანი. გაგრძელება
- 68. ალექსი ბაგაშვილი — ლექსები
- 70. გოჩა აბუთიძე — ლექსები
- 71. აბაკი ჯორჯაძე — „მედი მუხსანო“. მოთხრობა

ბავშვების სიმღერები

- 98. მალვინა მუხანანიანი; ტარიზა ჯორჯაძე; ციციანი თარგამაძე; ჯანიკო ბაგაშვილი; ოლეა მინსუბაძე; ნანა შაბათაშვილი — ლექსები
- 102. შიკა შინგალიანი — მოთხრობები

ახალი თარგმანები

- 105. პოლ ვალერი — ზღვის სხსაფლანო. თარგმნა გივი ბეგიშვილი

წიგნი

- 109. სოლომონ დემურხანაშვილი — სულის სხსარაბა-ბლო წიგნი
- 116. მკვირი ხელაძე — შეხვედრები ნოდარ დუმბაძესთან
- 121. ვილფრედი შპიტი — ფიქტორი ბოდენშტადტის ცნობები საქართველოს შესახებ
- 129. სოსო ზანტურიანი — სტრუქტურული ეთნოგრაფიაში. კლოდ ლევი-სტროსი
- 136. ბარონტი ზანტურიანი — ისტორია თვალის ერთი გადავლივით არ იწერება

ხელოვნება

- 148. გივი ალხაიშვილი — სიმღერა სულის გადაგრძელება

რეცენზია

- 155. მკვირი ბარბაქაძე — თანამედროვე სოფელი და მისი აღზრდა
- 159. ქარენია

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ლეონიძე

ხარუჯაძე კლდეა:
გივი ალხაიშვილი
თედო ბეგიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მთადგოველი)

გივი ბეგიშვილი
გურამ ბაგაშვილი
გიორგი ბუბულიანი
თეიმურაზ
ლოიაშვილი
ვერა ვლინოვიჩი
მედიკიანი
შოთა ნიშნაიანი
გურამ შანტურიანი
გიორგი შანტურიანი
ნუგზარ შანტურიანი

ანდრეი
ჩხიკვიანი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გოგი წიგნიანი
გიორგი ზანტურიანი
ტარიელ ზანტურიანი
ბადრი შოხოვაძე
მედიკიანი



ქართული
წიგნების
კავშირი

პროზა-კომედი

აკაკი გაწერელია

ფაიდას გაემოხადება

რომანი-ეპიკური

დიდი ელინისტის
გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელის
უკვდავ ხსოვნას უძღვნის ამ
ნაწარმოებს მისი სტუდენტუფილი.

ბ. ბ.

1. მკურნალი გენადი მიდის
ავადმყოფ წმინდანთან. 429 წლის
ავგისტოა და მთელ აზრიკას
სიცხის აღმზრდი ანდის.

სნეული მწყემსმთავრის მდივანი და
ბაზილიკის ზედამხედველი პოსიდიუსი
ქალაქში ჩამოვიდა მკურნალ გენადის
წასაყვანად ავადმყოფთან. გორაკის ბი-
ლიკი მან ადვილად ჩაიარა და ჰიპონის
ფორუმზე გავიდა. სულისშემზუთველი
სიცხე იდგა, ქალაქის მთავარი მოედნის
შუაგულ ქვისაგან გამოკვეთილ ურჩხულ
გორგონა მელუზას ხახიდან მჩქეფარე
შადრევანის აუზში ტიტლიკანა ბიჭე-
ბი ჭყუმპალაობდნენ.

ნაშუადღევი ილეოდა. ჩია, მთლად
მელოტი, პირტიტეკლა და კაფანდარა
პოსიდიუსი თეთრი, კაპიუშონიანი მო-
სასხამით, დასიცხულ და უკაცრიელ
ქუჩებში მხნედ მიაბიჯებდა. ადგილო-
ბრივ მკვიდრთ თავიანთ ბინებში შეე-
ფარებინათ თავი, ატრიუმების გასწე-
რივ კაცის ჭაჭანი არ ისმოდა. არც კა-
ბილები და ამაზიგები მიმოდიოდნენ
ქუჩებში თავიანთი უცნაური ტანსაცმ-

ლით. რომაელთა ტოგებიც არსად ჩან-
და, თუმცა ადგილობრივ სენატორთა
მორთულობა კარგად ეხამებოდა ხმელ-
თა შუა ზღვის რბილ ჰავას. პოსიდი-
უსს არც ერთი მათგანისათვის თვალი
არ მოუკრავს. ლათინთა შთამომავალთ
იმპერატორებივით შუბლთან თმა ჰქო-
ნდათ შეკრეჭილი, ხოლო სახის კანი —
ფაქიზად გაპარსული. ეტყობოდა, ის-
ინიც თაკარა სიცხის გამო თავიანთ ბი-
ნებში ჩაკეტილიყვნენ.

პოსიდიუსმა ერთ-ერთ მახლობელ ჩი-
ხში შეუხვია. აქ ცხოვრობდა ჰიპონის
ეპისკოპოსის სიყრმის მეგობარი და
მკურნალი გენადი.

როცა პოსიდიუსი გენადის ლამაზი,
კარნიზიანი სვეტებით დამშვენებულ
პატარა სახლს მიადგა, დაინახა მო-
კირწყულულ ქუჩისკენ მიქცეულ ტე-
რასზე გენადი მაგიდას მისჯდომოდა.
სადილს შეეჭეოდა და ხანგამოშვებით
ვერცხლის ფიალით ღვინოს მიირთმე-
ვდა.

სტუმრის დანახვამ გენადი დიდად
ვაახარა.

ნაქ. სსრ კ. მარქსი
სახ. სახ. წესებზე
ბიბლიოთეკა

— ო, პოსიდიუს! — ხმამალა წარმოსთქვა მასპინძელმა. — შენი მეგობარი გენადი ბედს უმადლის, რომ ჩემი დღევანდელი ტრაპეზის მონაწილე უკვდავის ამხანაგი და მომვლელია... დაბრძანდი და გორაკის ეკლბარდიანი ბილიკის გამოვლის შემდეგ დადლილმა ცოტა შეისვენე... უკვდავს ამჟამად, ალბათ, ძინავს. ვიცი, მის სანახავად უნდა წამოგყვე. ორი წელიწადია, ქალაქ სირტაში სამსახურის გამო ვერა ვჭკვრეტ მის ღვთაებრივ სახეს...

პოსიდიუსი თავისუფლად მოკალათდა ბამბუკის სკამზე.

— ჯერ გარეული იხვის მოხარშული ხორცი მიირთვი... — უმასპინძლედობდა გენადი სტუმარს. — ეს ალისფერი ღვინო ქალაქ სირტადან* ჩამომიტანა ჩემმა ერთმა კლიენტმა. გასინჯე და დარწმუნდი, როგორ არმატულ სასმელს აყენებენ სირტაში. ღვინოს უკვდავიც სვამს სახარების თანახმად. პატარა დოქით მასაც ავუტან დიონისეს ტბილ ნაყურს.

რომაელი გენადი ავრელიუს ავგუსტინეს სიყრმის მეგობარი იყო, ორივენი ჩრდილო აფრიკაში, ნუმიდიის პატარა ქალაქ თავასტაში დაიბადნენ და იქვე აღიზარდნენ. მაგრამ გენადი არ გაჰყოლია თავისი მეგობრის ცხოვრების გზას — ავგუსტინეს რიტორიკის შესწავლა დაავალა ჯერ მადავრში, შემდეგ კი კართაგენში მამამისმა პატრიკიუსმა, მცირე მამულის მფლობელმა, მაგრამ გავლენიანმა დეკურიონმა,** რომელიც სიკვდილის წინ მორწმუნე მეუღლის მონიკას გავლენით ქრისტიანობის წიაღში მოექცა და ეხლა თავასტის მართლმორწმუნეთა სასაფლაოზე განისვენებს. ბოლოს ავგუსტინემ თავი ისახელა, ვითარცა მჭევრმეტყველმა, თვით რომსა და მილანში. გენადის კი სამკურნალო მეცნიერება აურჩევდა და მადავრისა და კართაგენის სწავლუ-

ლებთან დაოსტატებულა, ავგუსტინეც იმავე წლებსა და იმავე ქალაქში ითვლებოდა რიტორიკის შეგირდად, რის მეოხებითაც ისინი არც განსწავლის წლებში დაშორებიან ერთმანეთს. როცა ბერძენმა ეპისკოპოსმა ვალერიუსმა სამასოთხმოდათხუთმეტ წელს იგი ჰიპონში მიიწვია, რათა მრევლისთვის გასაგებ ენაზე, ანუ ლათინურად ეწარმოებინა წირვა-ლოცვა და პრესბიტერად აკურთხა, გენადიც ჰიპონში გადავიდა საცხოვრებლად. ვალერიუსი მეორე წელს გარდაიცვალა, რომისა და მილანის ყოფილმა მჭევრმეტყველების პროფესორმა მისი ტახტი დაიკავა. საკმარისი იყო, უკვდავს მცირე სურდო შეჰპყროდა, რომ გენადი დაუყოვნებლივ მასთან გაჩენილიყო.

გენადი უკვდავის სახელს არ აშორებდა თავის სახელგანთქმულ მეგობარს. ბერძნულ მწერლობაზე გულარძინი წმინდანის საყვარელ რომაელ ავტორებს ვატაცებით კითხულობდა. თავისი დროის სამკურნალო ტრაქტატებთან და სახელმძღვანელოებთან ერთად გულმოდგინედ ეცნობოდა ავრილიუსის „ენეიდას“ და „ბუკოლიკებს“, პორაციუსის ოდებსა და ეპოდებს, ოვიდიუსის „სევდიან ლექსებს“, ტიბულუსსა და პროპერციუსის სატირებს. საგანგებოდ დაეზებირებინა კატულუსს მიერ იულიუს კეისარზე დაწერილი გამკილავი ლექსი, ხმამალა იმეორებდა, იცინოდა და დასძენდა:

— ზნედაცემული ტირანის მიერ შექმნილ იმპერიას ის ხვედრი უნდა რგებოდა, რასაც აგონიის სახით განიცდის ახლა რომე, ამ ოცი წლის წინ გუთების მეთაურის ალარიხის ურდოთა მიერ დარბევის შედეგად... მალე ჩვენს ჰიპონსაც იგივე ბედი ეწვევა, ვანდალთა ბელადმა გეიზარისმა დიდი ხანია, ესპანიის გამოვლით ვიბრალტარი ვადმოლახა და ჩრდილო აფრიკაში შემოჭრილ ცოფიან ველურთა ჯარი მავრიტანიას* უახლოვდება... ახლა ზაფხულია,

* ქ. სირტა — ნუმიდიაში, ჰიპონისაგან 15 კილ. დაშორებით.

** დეკურიონი — მუნიციპალიტეტის მოხელე.

* მავრიტანია — ძველი აფრიკის ნაწილი, ნუმიდიის მოსაზღვრე.

გაოსად კი იგი ნუმიდიას მიაღწევს. ეგებ ჩვენი ქალაქის გამგებლის, ბონიფაციუსისა და მისი სარდლობის იმედით უნდა ვიქონიოთ?

პოსიდიუსს წვრილი თვალები გაუფართოვდა გენადის უჭოჭმანო წინასწარმეტყველების გამო. მაგრამ მკურნალმა უცბად საუბრის სიგანს გადაუხვია.

— ხომ ატყობ, პოსიდიუს, ჩემმა ხელობამ როდენ დიდი ფუფუნება მარგუნა წილად. სულო და გულო, არაფერი მაკლია, ათასგვარი გარეული ფრინველი. საუკეთესო ღვინოები, გემრიელი თევზებელი... თუ ხათრი გაქვს, ზვიგენის ღვიძლი გასინჯე, ეგერ, იმ თევზზე ძვეს შებრაწული... ჩემი მოხუცი ქალბატონი დროს არ იშურებს, რათა გემრიელი კერძები თავის დროზე მომიშალოს. თვითონ კი აგერ, სახლის მეორე მხარეს, შვილიშვილებს დასტრიალებს თავს...

ღმერთო, შეგცოდე და, გენადიც მისი უკვდავი მეგობარივით სიტყვამრავალი გახლდათ კერძო საუბრისას, თუ გუდას პირს მოხსნიდა, მერმე არაფერი აკავებდა. მხოლოდ ავგუსტინესთან საუბრისას იყო თავდაპირველი.

გენადი ვეება და თან ჩასუქებულ მამაკაცი გახლდათ, ღიბი დასდებოდა და თავზე თმა კეფამდე გასცლოდა. ხანდაზმულს მხიარული და ლაყლაყა სახე ჰქონდა. ლურჯი მინის ფერი გუგებებსხდა მსუქან და შეშუპებულ ქუთუთოებში. პირველად გაცნობილს იგი შთააგონებდა, რომ სიცოცხლის მოყვარული და სიბიარითი რომელი იყო, ერთნაირად ანებიერებდა სხეულსა და სულს. ძლიერი ხაროით გამოიყურებოდა. მასაც მძიმედ სნეული და მთელს იმპერიაში სახელგანთქმულ წმინდანის ასაკისთვის მიედწია, მალე სამოცდათექვსმეტი წლისა გახდებოდა და მასავით ცამეტ ნოემბერს დაბადებულა.

გენადიმ ერთი თვეზი ბოლომდე ჩაათავა და პოსიდიუსს მიუბრუნდა:

— ხომ არაფერი გართულებია უკვდავს?

— შარდს ვერ აქცევს, უფრო მით უჩივის ტკივილებს.

პოსიდიუსს კაპიუშონიანი შესამოსელი მკერდთან გაედება და გემრიელ კერძს გულიანად შეექცეოდა.

— თუმცა ერთი ასაკისანი ვართ, ეკავადყოფობა ჯერ არ შემყრია — ამბობდა გენადი. — შენ კარგად მეყოლე, პოსიდიუს, და ისეთ წამალს ავუტან უკვდავს, რომ შარდის შეკავებას უმაღვე შეუწყვეტს და ტკივილებსაც საესებით გაუყურებს... მაგრამ, რაო, მორიგ კერძს რატომ გაუწყერი, ეგებ აფრიკული გარეული იხვის ხორცი არ მოგეწონა ან სირტის ლალისფერ ღვინოს მიწუნებ, რასაც ზოგი აქაური სენატორი და თვით პერცოგი ბონიფაციუსი იშვიათად თუ მიირთმევს?!

გენადიმ მთლიანად შემოაცალა ხორცი იხვის ბარკალს და ფვალი თევზზე დააგდო.

პატარა მაგიდის ირგვლივ მტრედები შემოჯარულიყვნენ და პურის ნამცეცებს სდარაჯობდნენ. ერთი მტრედა დაურიდებლად მაგიდაზეც წამოსკუბდა. გენადიმ ნამუსრევს მოუყარა თავი და ფრინველებსა და იქვე ჩაცუქულ ფინიებს გადაუყარა. მაგიდის დაუპატიყებელი სტუმარი ფრინველიც მათ გაერია.

კარგად დანაყრებულ პოსიდიუსს ის-ის იყო, უნდა ჩაეთვლიმა.

— ზედმეტი მომივიდა, გენადი, — ამბობდა პოსიდიუსი და თვალებს ისრესდა. — სირტის ღვინომ მთლად გაქაბრუა!

გენადი მაინც არ ეშვებოდა.

— პოსიდიუს, ახლა ეს იშვიათი თევზიც გასინჯე. შენ ხომ ტრაპეზის დროს ღვინოსაც მიირთმევ და ახლა ჩემი შესანიშნავი სასმელის გასინჯვისას რა მოგვიდა? ნურაფერს მოიკლებ უკვდავთან ჩვენს მისვლამდე... უკვდავი უკვდავია, მაგრამ, როცა დოქის ყელიდან იშვიათი ღვინო მორაკრავებს, იმასაც უნდა მიუეგდოთ ხოლმე ყური.

ბოლოს გენადიმ სუფრის ვეება ხელსახოცით ჯერ ოფლიანი სახე შეიმშრა-

ლა, შემდეგ კი ხელები და ბაგეები გაიწმინდა, ბამბუქის სკამს მიეყრდნო და თუმცა პოსიდიუსისათვის თვალი არ მოუშორებია, რაღაცას ღრმად დაეფიქრებინა.

— გმადლობ, პოსიდიუს, უკვდავის ცხოვრების მატთან რომ წამაქითხე, შენი დაუმთავრებელი „ეტი აუგუსტინი“* გულდასმით გადავთვალე, ახლა მისი ავადმყოფობისა და სიცოცხლის ბოლო თვეთა აღწერას შედგომიხარ. შრომა შედარებით პატარა მოცულობისა იქნება, მაგრამ უკვდავის სულისა და სხეულის თავდადასავალთა მოთხრობა ოკეანეს დაემსგავსებოდა და ამას ერთი ადამიანის ცხოვრება არც ეყოფა. მაგრამ ნუ შიწყენ, პოსიდიუს, ზოგ რამეს გვერდს უხვევ, ჩვენს უკვდავს ანგელოსის სული დედის აკენიდან არ გამოპოლია, თავისი არსებობის მთელს მანძილზე უკვდავი ერთი წამითაც არ ყოფილა მტრედივით მშვიდი, როგორც შენ მას ჰხატავ. დალოცვილო, მისი „აღსარებანი“ მაინც ხომ ზეპირად იცი და მომავალ თაობებს რატომ უმაღლავ უკვდავის ქარიშხლიანი წარსულის მაგალითებს, რომელთა გამო თვითონვე მოგვითხრობს. ჩვენ ხომ უფრო მეტი ვიცით ქალებთან მის მრუშობათა და შეცოდებათა გამო, რასაც ორივენი შეუფოთებით ვაღვენებდით თვალს თავასტასა და მადარეში. აკი გულდათუთქული დედამისი მონიკა ცრემლშეუმშრალი ემუდარებოდა ავრელიუსს, განრიდებოდა სიძვის ხაფანგს. მამის გარდაცვალების წელს, იტალიაში გამგზავრებამდე, ის უკვე დაშოშმინებული გახლდათ ულამაზესი ხარჭის ალერსით, რომლის ნაყოფი იყო მათი ლამაზი და ჭკვიანი ვაჟი. უკვდავს არავისთვის გაუცენია თავისი საყვარელი ხარჭა, ხმა იყო დარხეული, ქალი ნახევრად რომელი და ნახევრად ამაზიგი ყოფილა, გამოუთქმელად ლამაზი, უკვდავის დედამ მონიკამ ერთხელ მოჰკრა თვალი მზეთუნახავს, შვილი-

შვილითაც დიდად კმაყოფილი დარჩა და გადაწყვიტა, დაექორწინებია მონი, მაგრამ ქალის უკანონო წარმოშობა რომ გაიგო, გადაიფიქრა და ერთმანეთს გაჰყარა. როცა ავრელიუსი ოცდაცამეტი წლისა მოინათლა მედილანიუმში ქრისტიანად, მონიკა სიხარულით ცას ეწია და ვაჟის დაოჯახებაზე ფიქრს სამუდამოდ გამოეთხოვა. შვილის ბედზე ზრუნვით განაწამებდელა იქვე იტალიაში რომის ახლოს, ნავსადგურ ოსტიაში გარდაიცვალა, ხოლო თავასტაში დაბრუნებულ ავრელიუსს ყველაფერი გაუყვია და ბერმონაზვნობას შესდგომია. ეს ჩემზე უკეთ მოგხსენება. იგი უფრო ადრე განშორებია საყვარელ ხარჭას, რომელსაც მისთვის აღუთქვამს, „შენს შემდეგ მე სხვა კაცი არ მეცოდინებო“. არავინ იცის, შეუსრულა თუ არა აღთქმა ქალმა, ერთი კია, უკვდავის სატრფო მერმე ძეხორციელს არ უხილავს თავასტისა და მადავრის ქუჩებში. პოსიდიუს, ორმოცი წელიწადია ვცდილობ გავიგო მისი ავანჩავანი, მაგრამ არავინ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. უკვდავი კი სდუმს და არავის უფლებას არ აძლევს, მის ინტიმურ მეგობარზე ჩამოუდგოს სიტყვა ან ხარჭის სახელი ჰკითხოვს. ეგებ, შენთან წასცდა უნებურად მისი სახელი?

— არც ერთხელ! — წარმოსთქვა პოსიდიუსმა. — როცა ჯერ დაუმთავრებელ „ავგუსტინეს ცხოვრებას“ ვწერდი, მეწადა წმინდანის ჭაბუკობის ამბებში ჩამერთო რამდენიმე ცნობა მისი ხარჭის ვინაობაზე. ვერსად მივაკვილე მის ნატერფალსაც კი, ვერც ერთმა თავასტელმა ნაცნობმა ვერ მიაბო რაიმე ქალაქიდან გადაკარგული მეგობრის ცხოვრებაზე. მხოლოდ ის ახსოვთ რომ ერთ დროს მადავრის თეატრში მოუკრავთ თვალი მათთვის, კართაგენშიაც თან იახლა თურმე, ასე გასინჯეთ, რომის კოლიზეუმშიც ჰყოლია ადამიანთა და მხეცების სისხლიან შეტაკებათა სანახაობით გასართობად. გლადიატორთა ბრძოლებთან ერთად ავრელი-

* „ავგუსტინეს ცხოვრება“ (ლათ.).

ხშირად აღფრულვით ხოლმე ლოცვას უზენაესს, მაგრამ უამისოდაც ორმოცი წელიწადია, უანგაროდ ვუვლი აქაურ სნეულთ, ბევრი მათგანისთვის იქეთ მიბოძებია ფული წამლების შესაძენად... არა მგონია, რომ მე და შენ მხოლოდ სამებამ ჩაგვიწერა ბოროტისადმი სიძულვილი... — გენადი უცებ შეკრთა, თითქოს რაღაც უცნობმა ძალამ დააფრთხო და სწრაფად დასძინა: — მაგრამ კმარა, უკვდავის აზრების განსჯის უფლება ჩვენ არა გვაქვს, იქ, ზემოთ (გენადიმ გორაკის თავზე აღმართულ ბაზილიკისა და მის გვერდით პატარა, ქვისგან ნაგებ სახლისკენ ვაიშვირა ხელი) ზის კაცი, რომელიც იმბერატორზე და რომის პაპზე უფრო თავყანასაცემი და საშიშია!

გენადი ბოლოს უცბად დადუმდა. გამძლარს დასვენება ესაჭიროებოდა, ქოშინიც ავარდნოდა. მაინც ზეზე წამოდგა და სახლის შინა აპარტამენტებს მიაშურა. როცა ხელახლა გამოჩნდა ატრიუმის ტერასაზე, პატარა ხონჩა ეპყრა ხელთ, მეორეში კი ღვინით საცხე და ლედვის ფოთლით თავდახურული მოზრდილი დოქი ეკავა.

— პოსიდიუს, ეს ორი საჩუქარი შენ უნდა წამოიღო, ფეხები წამერთვა და აღმართს ძლივს ვუძლებ. დიდი ხანია, არ მინახავს ჩემი სათაყვანებელი მეგობარი. წინ გამიძიხე.

როცა ქალაქს გაცდნენ და ბილიკს შეუდგნენ, გენადიმ შეისვენა და ბუზღუნნი დაიწყო:

— შენს „ვიტა აუგუსტინის“ რომ ვკითხულობდი, თვალში მეცა — უკვდავის არც ერთი თავმომაბეზრებელი მოკამათის სახელს არ იხსენიებ. მართალია, ისტორია ისედაც მალე ივიწყებს უნიჭოთა და რეგვენთა პოლემიკას უკვდავთა წინააღმდეგ... არც იმ ანონიმურ ეპისტოლეებს ასახელებ, უკვდავს რომ მისვლია საეკლესიო საქმეებში გაუგებართავან. მგონი, მართალია იგი: აღამიანს საერთო უფრო მეტი პირუტყვთან აქვს. მაგრამ უკვდავის ზოგიერთი თავხედი მტრის სახე-

ლი მაინც უნდა შეგეტანა მისი რების აღწერილობაში...

ბილიკი ფართოდ იყო მოკირწყლული, მაგრამ ხშირი წვიმების გამო ამ ზღვისპირა აფრიკულ ქალაქში სულისშემბნთველ სიცხეს უცბად მოვარდნილი თქეში ენაცვლებოდა, ამიტომაც ბაზილიკისაკენ მიმავალი ფართო ბილიკის ორივე მხრიდან ნესტიან ნიადაგზე ამოზრდილ ვეება ხეებს მკლავები ერთმანეთისათვის გადაეჭდოთ და ქვეით მოკირწყლული აღმართი დაბურულ ხეივანს მიაგავდა. ალაგ-ალაგ კი მთლად ღია ადგილი იშლებოდა ხოლმე კლდოვანი ბორცვების სახით. აქედან მთელი ჰიპონი ხელის გულივით მოჩანდა, ხოლო მარცხნივ, ფერდობის სულ ბოლოს, დედათა მონასტრის ქონხახები იყო მიმოფანტული და ხეების ჩრდილში ჩაფლული.

ერთი ბორცვის ახლოს გენადიმ და პოსიდიუსმა, ნახევარი გზა რომ უკვე გამოევიდოთ, დიდხანს შეისვენეს.

— ...ან იმის დავიწყება შეიძლებოდა, ვილაც ჩერჩეტმა პელაგიანელმა ეპისკოპოსმა იულიანემ რვა წიგნი რომ გამოსცა ავრელიუსის ერთი წიგნის წინააღმდეგ, აბა გამახსენე, პოსიდიუს, მგონი, ეს იყო „დე ნუბტიის ეტ კონკუსპისცენცია“.* მანიქეელობისადმი ერთგულებას აბრალებდა უკვდავს. ავგუსტინემ ექვსი ტრაქტატით უპასუხა, კიდევ ორის დაწერას, ალბათ, ვეღარც მოასწრებს. ან რა საერთო აქვს მანიქეელების დამთხვეულ წარმოდგენებთან უცოლო კაცის დიაციბთან მრუშობის წინაშე ცოლშვილიანობის უპირატესობის აღიარებას?... ავგუსტინეს არავინ დაუტოვებია უპასუხოდ, ამგვარ მებრძოლად იგი ღმერთს არ დაუბადებია. ვინ მოთვლის, რამდენ უმეცარსა და უტიფარს მოსტენია კისერი! მაგრამ რა, თუ ვისმეს იშვიათი და განუმეორებელი ნიჭიერება, ცოდნა და უცთომელი განსჯის უნარი შეამჩ-

* „ცოლშვილიანობისა და საყვარლიანობის შესახებ“ (ავგუსტინეს ტრაქტატი).



ნეს, უმაღლეს ყველა გადაუდგება და ფინიები წყავწკავს ასტეხენ. არც ეს უნდა გამოიჩინოს ისტორიას. — გენადიმ თავისი ტირადა დამრიგებლური ტონით დაამთავრა. მას იმდენად უყვარდა აგრესიული, რომ უკვდავის მტრებზე უკიდურეს ავჯიობას არ თაქილობდა.

მცირე პაუზის შემდეგ გენადიმ გზის მარჯვენა ფერდობის დაბლობს გადახედა.

— პოსიდიუსს, ხომ ხედავ, აგერ, ქვემოთ პატარ-პატარა ქოხებს, რამდენჯერ თან ხლებიხარ უკვდავს, როცა იგი დედათა მონასტრის საქმეთა შესამოწმებლად ჩადიოდა იქ?

— ხშირად! მაგრამ წმინდანი ქალე-ბთან ხმას არ იღებდა და ყველაფერს მარტოოდენ თვალთ ზომავდა!

— ვიცი. დედათა მონასტრის საქმეებს მისი და იღუმენია პერპეტუი განაგებს. არც თავის დას დალაპარაკებია?

— არც ერთხელ.

გენადი ადგა და წასასვლელად მოემზადა. პოსიდიუსიც წამოიღო ხელებში ჩანთითა და ღვინის სავსე ღოჭით.

— შეხედე, პოსიდიუს, გუშინდელი წვიმის შემდეგ როგორ ასდის ნისლი დედათა მონასტრის ხეობას. ნაწვიმრის ორთქლი თეთრი ღრუბლის ქულასავით გაუნძრევლად ადგას ზოგი ხის კენწეროს. უკვდავმა პირველად დააარსა დედათა მონასტერი მთელს დასავლეთში და აი ახლა იგი ჩვენს თვალწინაა გადაშლილი. ამ ქოხმახებში მცხოვრები და ჩამომკვნიარი ქალების ერთადერთი მიზანია „სიცოცხლე სიკვდილში!“ მე წელში მზარავს მოგონება იმ სულის შემხუთავ მყუდროებაზე, რომელიც იქ, მწვანეში ჩაფლულ ქოხმახებშია გამეფებული. მხოლოდ ერთხელ მოვინახულე იგი უკვდავთან ერთად, მერმე არასოდეს გამომიტკვამს სურვილი იქ მისვლისა... განვაგრძოთ გზა... გადახედე ჰიპონს, მის ლამაზ კოლონებს და ურიცხვ ანტიკურ ქანდაკებებს, თუმცა შენს ასკეტურ სულს, ალბათ, აღარ იზიდავს ვენერას

ან პროზერპინას სხეულთა პროპორციები. განა ყველაფერი სილამაზით ფეთქავს ჩვენს ქალაქში?

როგორც იყო, მგზავრებმა გორაკის ზემო პლატოს მიადწიეს. რამდენიმე პრესბიტერი შეეგება მოსულთ, ორსართულიანი ქვიტიკრის სახლის მეორე სართულზე აუძღვნენ და იმ ოთახის კარი შეაღეს, სადაც წმინდანი ელოდა თავის მდივანსა და მეგობარ მკურნალს.

2. ჰიპონი სილამაზით ფეთქავდა ნუმიდიის თვალი „ჰიპო რეპიუს“, მართლაც მომხივლავია

ეს ქალაქი ჩრდილო აფრიკის ანუ ნუმიდიის ნამდვილ მშვენიერად ითვლებოდა. მაგრამ მეხუთე საუკუნის ოცდაათიან წლებში მას ნგრევა და მიწისაგან პირისა აღგვა დაემუქრა. აფრიკას შეესივნენ ვანდალები, რომლებთანაც წინასწარ საიდუმლო ხელშეკრულება დაედო ქალაქის მმართველ პროკონსულ ბონიფაციუსს, ვანდალთა მეთაურ გეიზარიხთან იმპერატორ ვალენტინიანე მესამის წინააღმდეგ. ბონიფაციუსს ეწადა, ნუმიდიის დაპყრობით რომის იმპერიას მარჩენალი ბედელი ხელიდან გამოსცლოდა. ვანდალებსაც კარგად გაუთვალისწინებიათ რომის იმპერიის საბოლოოდ მოშობის უმოკლესი გზა, ჰიპონის დიდი მნიშვნელობა ნუმიდიისა და მთელი აფრიკისათვის მათ კარგად მოეხსენებოდათ. ქალაქის ახლო-მახლო დაბლობის სიმდიდრე და ზღვის სანაპირო ზოლის ადგილ-მდებარეობა თავიდანვე ხელსაყრელი აღმოჩნდა იქ ძლიერი ნავთსადგურის თავდაცვისათვის საჭირო კედლების ასაგებად, რაც ხანგრძლივი ალყის ფასად დაუჭრებოდა მტერს. მაგრამ გეიზარიხი ამ გარემოებას არ შეუქრთია.

ჰიპონის სახელი ბერძნულად ვერ იხსნებოდა და ამოცანად რჩებოდა, მისი წარმოშობა უფრო ფინიკიური ჩანდა, ქალაქის სახელწოდება, ალბათ, ნავთსა-



დგურს ან, უბრალოდ, ციტადელს აღნიშნავდა. ჰიპონი კართაგენის აგებამდეც ყოფილა ცნობილი სანაოსნო ყურედ. ახალ წელთაღრიცხვამდე ქალაქი თვალსაჩინოდ აღორძინებულია და ნუმიდიის გამაგრებულ ადგილად ქცეულა. თუმცა მტრის ბევრი შემოსევა განუცლია. აქ გათამაშდა რომის ლეგატის, მერმე კი მარიუსისა და სულლას სისხლიანი ბრძოლები ნუმიდიის ყველაზე ძლიერი, ფრთხილი და ეშმაკი მეფის იუგურტის წინააღმდეგ, რაც ბოლოს იმით დამთავრდა, რომ მარიუსმა ბორკილებგაყრილი იუგურტი რომს გაუგზავნა.

ჰიპონი კართაგენის ვაგლენით დიდხანს მძლავრ სავაჭრო პუნქტად ითვლებოდა, ნუმიდიელების განთქმული ცხენებისა და სპილოებისაგან შემდგარი ლაშქარი მას სიამედოდ იცავდა. ამ მხარის უთვალავი ვეფხვი კი იმპერატორ ტრაიანეს ლეგიონებს გაუწყვეტია.

თავდაპირველად ჰიპონის მმართველ ფენას ფინიკიელები შეადგენდნენ, რომელთაც შემდეგ ბევრი ომი გადახდათ რომის ლეგიონერებთან. მიუხედავად ამისა, ამჟამად ძნელი იყო თქმა, თუ როდის შეწყდა ფინიკიელთა ბატონობა ჰიპონში, დანამდვილებით არ უწყობდა იგი თვითონ ავგუსტინემ, რომელსაც გულდასმით ჰქონდა შესწავლილი ნუმიდიაზე არსებული მატიანეები. თვით ამ მხარის პირველი რომაელი პროკონსულისა და ისტორიკოსის სალუსტი კრისპის ცნობილი თხზულება „იუგურტის ომი“, რომელიც სენეკას მიერ თავის ერთი მეგობრისადმი მიწერილ წერილებთან ერთად ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი.

ზეპირი გადმოცემით, რომაელებსაც ხშირად დაუპყრიათ ჰიპონი, ისინი პირდაპირ ძარცვადნენ ქალაქს. 202 წელს ძველი წელთაღრიცხვით ზამთან სციპიონის მიერ პანიბალის დამარცხების შემდეგ კართაგენის ნაცვლად ნუმიდიელებს თავიანთი მხარის მეორე დიდ ქალაქად და ძირითად რეზიდენ-

ციად ჰიპონი აურჩევიათ, რის შემდეგ ანტონინების დინასტიის ბატონობის ხანაში, ჰიპონს „სამეფო ქალაქი“ ანუ „ჰიპო რეგიუს“ შერქმევია, დაწყებული მისი კეთილმოწყობა და ურბანიზაცია. ქალაქი დამშვენდა სუროთმოდღერული ძეგლებით, ვეება კარნიზიანი სვეტებით, წითელი, გამომწვარი აგურით ნაშენი სახლებით, გრძელი ატრიუმებითა და მარმარილოს კოლონადებით. ნუმიდიელთა სახელოსნოები, მეტწილად მეთუნეობის კერები, თვალწარმატცი კერამიკული საქონლით იყო განთქმული. ჰიპონს ურთიერთობა ჰქონდა მთელ აფრიკასთან ესპანეთთან და იტალიასთან. ქალაქი უმთავრესად ხორბლის ექსპორტს ეწეოდა.

ჰიპონში ერთხანს მარტოოდენ პუნიკური ენა აღმოჩნდა ფეხმოკიდებული (ყრმობისას ავგუსტინე პუნიკურ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა), რელიგია კი ნუმიდიური დარჩა. აქ უმთავრესად ცერერას, ვითარცა მთავარ ღვთაებას, სცემდნენ თაყვანს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნუმიდიური და ელინური ელემენტები ჰიპონში უმეტეიწივნოდ შერწყმოდა ერთმანეთს. ქალაქში რომაული ღმერთების მთელ პანთეონს მოკრავდით თვალს... გორაკიდან კი პატარა ბაზილიკა მყუდროდ, მვარამ გამარჯვებულის იერით გადმოჰყურებდა ანტიკურ ღვთაებათა ქანდაკებებით მოფენილ ჰიპო რეგიუსს, ჯვარცმის სიმბოლოს გაეჰარწყლებინა და სასაცილოდ ექცია ქვაში მოქცეულ ქალ-ვაჟთა სილამაზისა და მათთან დაკავშირებული ღვგენდებისადმი რწმენა და აღტაცება. ბაზილიკის მოხუცი მწყემსმთავარი ხელშეუვლად მგრძანებლობდა ქალაქის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილის შეგნებაზე.

...ოშვიათი ოსტატობით გამოეძერწათ ერთ ლოდზე პლუტონი. ყმაწვილს ხელთ ეპყრა სიუხვის რქა, იგი მოსავლიანობის ღვთაებად ითვლებოდა... თერმების ახლოს კი მუზეუმის ფრესკები გამოესახათ, ვინ იცის, რამდენი სა-

ხელი შეარქვეს მათ ძველმა პოეტებმა... გორგონა მედუზას თავებს ჰიპონის ყველა კუთხეში ნახავდით, ზოგან თვით ღმერთ აპოლონის ფრესკების გვერდითაც... თვალსაჩინო ადგილას ვენერას ქანდაკება აღუმართავთ, ზღვაში მონებივრე ქალღმერთი ზეწრით იფარავდა სასირცხო ადგილს... გულისამრევია მრუშობის ამ ღმერთქალის პოზა, როგორ მიიჩნია ძველი ბერძნებისა და ვერგილიუსის ფანტაზიამ ტროელი ვაჟკაცი ენეასი ამ ავხორცი დედაკაცის ძედ? — უკვირდით ავრელიუსს და ჰიპონის წმინდანის თაყვანისმცემლებს, მაგრამ აბა რას გააწყობდი: რომაელების მიერ ლათინურად მონათლულ იუბიტერის არსებობისა სჯეროდა თვითონ ჰომეროსს, რომელიც ზევსს ჰეჰა-ჰუხილის მათწყობად თვლიდა, თანაც ჰაბუკობას უბრუნებდა ხოლმე და დედამიწაზე ჩამოჰყავდა ლამაზ ქალწულებზე სანადიროდ... პლატონის ფილოსოფიისა და მიამიტი ჰომეროსის გარდა მთელი ბერძნული ფილოსოფია და ხელოვნება დამთხვეულთა გასართობია!

...ანტიკური ჰიპონი იცნობდა იუდაიზმსაც და ებრაელთა მცირე ნაწილი ქალაქში თავიანთი საკრალური ზეთიანი ლამების ალის ციმციმზე ბუბუნებდნენ ძველი თალმუდის თუ თორას მუხლებს. ამიტომაც, როცა ქრისტიანობამ ჰიპონში მესამე საუკუნეში იჩინა თავი, თავდაპირველად იგი სემიტური ელემენტებით შეზავებული აღმოჩნდა, ამ რელიგიის მიხედვით უცნაური ღმერთის წინაშე ყველა არსება ერთია. ჰიპონმა ბევრი მსხვერპლი გაიღო ახალი რელიგიის აღიარებისათვის თავისი წამებულების სახით, იმპერატორ დეოკლიტიანეს სისხლიანი რეპრესიები ჰიპონსაც შეეხო. მაგრამ ბოლოს, მეხუთე საუკუნეში, ყველა ერესის და ორთოდოქსიის მეტოქეთა შეტევა იმსხვერპოდა ორატორული ხელოვნების ყოფილი პროფესორისა და ახლა კი წმინდანად მიჩნეული, ურიცხვ შრომათა ავტორი-ეპისკოპოსის დაუცხრომელ ქა-

დაგებათა და პაექრობათა წინაშე კართაგენის ყველა საეკლესიო კრებაში ჰიპონის წმინდანის თვითეული სიტყვა დასკვნის ხასიათს ატარებდა, ხოლო ქალაქ სირტაში 411 წელს მოწყობილი სინოდის წარმმართველი არსებითად იგივე წმინდანი აღმოჩნდა; მან საბოლოოდ გაანადგურა დონატისტების მწვალებლური მოძღვრება. თვითონ დონატი ადრე დაიღუპა.

და, აი, ბერძენი ვალერიუსის ტახტის მემკვიდრე, ნუმიდიაში ვანდალთა შეჭრის პირველსავე წელს, ოთხასოცდაცხრა წელს, უცბად ფიზიკურად მოტყდა. მეტწილად ლოგინად იყო ჩაგარდნილი და იშვიათად თუ მიაშურებდა სამუშაო კაბინეტს. ქრისტიანები მის წირვა-ლოცვებსა და ქადაგებებს ვეღარ ისმენდნენ ჰიპონის ბაზილიკაში...

ამრიგად, ჰიპონს, ჩრდილო აფრიკის მართლაც ამ მშვენებს, სრული განადგურება მოელოდა. ქალაქი სამოცი პექტარის ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული, დასავლეთით ოცდათორმეტი მილის, აღმოსავლეთით კი — ორმოცდაათი მილის მანძილზე. ქალაქს მდიდარი შემოგარენი ამშვენებდნენ, აყვავებულ სოფლებს კი საკუთარი საბჭოები განაგებდნენ. აქ ჰყვავდა ზეთისხილის ტყეები, რასაც ნახშირის მოპოვების ბაზადაც იყენებდნენ. სხვადასხვა ხილის ფოთლოვანი ხეები ფარავდა მეზობელი მთაგორაკების ფერდობებს: ბარაქიანი ყანები და ვაზის ზვრები უამრავი მარცვლეულითა და ყურძნით ამარაგებდა ჰიპონს. შესანიშნავ ნუმიდიურ მარმარილოსაგან მრავალი სახის ლარნაკებსა და ანტიკური ღმერთების მინიატურულ ფიგურებს ამზადებდნენ უცხოეთში გასატანად, ხოლო ქალაქის დიდი ბაზარი, კართაგენის ბაზრის შემდეგ, მთელს აფრიკაში იყო სახელგანთქმული. თანაც ჰიპონი ამ კუთხის მთავარ პოსტად ითვლებოდა.

ჰიპონის გეოგრაფიულ გავრცობას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ დროთა განმავლობაში ზღვამ თანდათან უკან დაიხია და ძველისძველი ზღვის



ყურესთან აგებულმა ქალაქის თავსაცავმა კედლებმა და მისმა ქონგურებმა. უფრო გორიზი გამომეტყველება შეიძინეს. ჰიპონს საშუალება მიეცა, პატარა მდინარის გასწვრივ და ხმელთა შუა ზღვის პირისპირ უფრო გაშლილიყო. აქედან ხომალდებით დაუბრკოლებლივ ჩადიოდნენ იტალიაში. შიდა ნუმიდიაში მიმავალი გზები კი დაშშვენდნენ ვრცელი ქვაფენილებით, ზოგი ამ გზათაგანი თავსატიხა და მადავრისაკენ მიემართებოდა, ზოგიც სირტისაკენ და უფრო შორსაც — სამხრეთ-აღმოსავლეთით, თვით ფერარატის ტბამდე.

სილამაზით ფეთქავდა ჰიპონი, ხოლო ქალაქს სულიერი სიდიადით ავსებდა ავრელიუს ავგუსტინეს სახელი. მაგრამ გეიზარისხის ურდოები ნუმიდიას უახლოვდებოდნენ და ჰიპო რეგიუს გაუძლებდა კი მათ ალყასა და იერიშებს?

ვერც ავგუსტინე შეეგებებოდა თავისი ოდესღაც უძლიველი კვერთხით ვანდალთა მეთაურს!

8. აპრელიუსი იწყებს თავის უკანასკნელ ვრცელ საუბარს...

როცა გენადი და პოსიდიუსი წმინდანის ოთახში შევიდნენ, ავრელიუსმა მაგიდას უჯდა, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან ერთად გვერდით ეწყო ვერგილიუსის „ენეიდა“, ციცერონის „ტუსკულანური საუბრები“, სენეკას წერილები ლუცილუსისადმი და სხვა რომაელ ავტორთა თხზულებანი. საწოლის ახლოს, კედელზე გაკრული ჰქონდა ფსალმუნის რამდენიმე ადგილი, უშეცდომოდ გადაწერილი პერგამენტზე ლათინურად; ასევე, პავლე მოციქულის ორი ეპისტოლე რომაელებისადმი.

მაგიდის პირდაპირ კედელზე, ქრისტეს ვეება სპილენძის გარდამოხსნა იყო ჩამოკიდებული, ხელებსა და ფეხებზე ლურსმნებით მიკვდილი.

ავგუსტინეს ეცვა თეთრი სტიხარი, ვიწრო სახელოანი გრძელი და წელში

ვიწროდ გამოყვანილი, რომლის თას არავითარი ნაქარგი ან მეწებე აბლიკაცია არ ამშვენებდა; მის ანაფორას მხოლოდ ფართო სახელოანი დალმატიკა ჰქონდა დამატებული, რითაც სხვა პრესბიტერებისაგან მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. ეხურა დაბალი, ნაქარგი ქუდი და ბაზილიკაში წირვის ყამს მომცრო მიტრა თუ განასხვავებდა მას სხვა კლირიკებისაგან.

ავგუსტინე მაგიდის იმ კუთხის თავში იჯდა, საიდანაც მას მაცხოვრის ვეება ბარელიეფი მუდმივად ზემოდან დასცქეროდა.

ავგუსტინეს ქერა, ძალზე ავადმყოფური პირისკანი ჰქონდა, მეჩხერი წვერ-ულვაში აქა-იქ ძლივს აჩნდა, თმა კი თავზე სულ არ შერჩენოდა. მისი ღრმად ჩავარდნილი თვალები უცნაურ შუქს გამოსცემდნენ და, როცა წმინდანი შეირხეოდა, გარშემომყოფთ ეჩვენებოდათ, რომ მწყემსმთავრის თავის მიმოხვრა თვითონ პლანეტის მოძრაობას მიაგავდა, — ეგზომ ბევრს რასმე იტევდა ჰიპონის სულიერი მამის აზრის სარქველი ღმერთზე, ცასა და ვარსკვლავებზე.

და ყველა თვლიდა, რომ ეპისკოპოსი ერთადერთი კაცი იყო იმპერიაში, რომლის ჭკუა მთელ სამყაროს მოიცავდა.

პოსიდიუსი ხელზე ეამბორა ავრელიუსს. იგივე გაიმეორა გენადიმ. შემდეგ მკურნალმა მეგობარმა საწოლზე მიუხმო ავრელიუსს, ნახევრად გააშიშვლა და დიდხანს ატრიალა აქეთ-იქით. მან დაწვრილებით გასინჯა ძვლებად ქცეული ავადმყოფი, penis-ის ახლოს დიდხანს უსინჯავდა მტკივან ადგილებს. შემდეგ თირკმლების ახლომახლო თითები დააკირა ჩავარდნილ მუცელს და ბოლოს ისევ თვითონ შემოსა მოძღვარი, ზეზე წამოაყენა და მაგიდასთან დასვა. ამ მომაკვდავს მისი ძღვენი სირტის ღვინო უნდა გაესინჯა. თანაც წამლები დაუწყო ზურგს უკან, დაარიგა, რომელი წამლით დაეზილა გარკვეული ადგილები.

ყველაფრიდან ჩანდა, გენადის დანა-



ხვამ, მისმა მზრუნველმა ხელმა ავრელიუსი დიდად გაახარა, ოღონდ თავისი მადლიერების გრძნობა მარტოოდენ განუმეორებელი და მიმზიდველი ღიმილით გამოხატა. გენადის კი არც ავადმყოფის გასინჯვის, არც უკვდავის სახის პირველივე შეხედვით გამოწვეული შეძრწუნება არაფრით გამოუხატავს, თავისი კერპისათვის არ უგრძნობებია, რომ ჰიპონის მწყემსმთავარი მის თვალწინ ილეოდა, ის წმინდანი, რომელსაც რომის პაპმა დიდი ხნის წინ ნება დართო გიშრისფერი და ხუჭუჭა თმით დაფარული თავისა და ღაწვებისათვის ხელი არ ეხლო, არ გაეპარსა და სხვა ეპისკოპოსებივით პირტიტველს ან მარტოოდენ ნიკაბთან თხლად მოშვებული წვერით ევლო. მაგრამ დროს თავისი გაეტანა. ორი წლის მანძილზე, როცა გენადი ქალაქ სირტაში მსახურობდა, წმინდანი მთლად გამოცვლილა, უკვდავის პირისკანზე აქა-იქ ფერშეცვლილი და ქალარა ბალანი აჩნდა, მხოლოდ უკვდავის შუბლს შერჩენოდა ძველებური სიდიადე. ავრელიუსი თავის გარეგნობის შეცვლას კოლოებსა და ღამურებს აბრალებდა.

ხშირი ლოცვებისა და ქადაგებებისგან გაბზარული ხმით ავრელიუსი მაინც ოქროს ლათინურით საუბრობდა, ისეთ სიტყვებს შეარჩევდა ხოლმე, რომ ისინი თავისთავად სმენის დამატკობველ მელოდიას გამოსცემდნენ. შემთხვევით კი არ შეუთხზავს მის კალამს მსოფლიო ლიტერატურისათვის სიღრმისა და სისრულის მხრივ მანამდე უცნობი და შეუდარებელი ნაშრომი მუსიკაზე.

ჩვეულებრივ, გენადი დიდხანს რჩებოდა მასთან, იმდენად იზიდავდა უკვდავთან საუბარი, თავისი სახლკარი ავიწყლებოდა.

ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ გენადიმ მაგიდაზე დააწყო ჰიპონიდან წამოღებული ღვინით საესე დოქი შერჩეული სანოვაგიტურთ და ავრელიუსს სთხოვა, გაესინჯა ისინი. „წამლის მიღებას სირტის ღვინო ხელს არ უშლი-

სო“, — ამბობდა გენადი... საღამოედგებოდა და მეზობელ პრესბიტერებს მის ტრაპეზით თავიანთ ოთახებშიაც შეეძლოთ, დანაყრებულებიყვნენ. პოსიდიუსი იქვე იჯდა. სანთლების ანთების დრო ჯერ არ დამდგარიყო.

გენადის საჩუქარი, ავრელიუსისათვის ზედმეტად მდიდრული აღმოჩნდა, რადგან თვითონ მუდამ მცირედით კმაყოფილდებოდა. ყველაფრისადმი გულგრილობა დასჩემდა, ეკლესიებისათვის მიწების შეძენაზე არ უზრუნუნია, ყოველგვარი მშენებლობანი სძულდა, სალაროს კლიტესათვის არასოდეს ხელი არ უხლია, მასთან მიტანილ ძღვენს ღატაკ ბავშვებს უგზავნიდა. წმინდანის სატრაპეზო სუფრაც მარტივი იყო. ხმარობდა თიხის ჭურჭელს და ვერცხლის კოვზებს, მაგრამ უხვ სანოვაგეს ერიდებოდა, თუმცა, ბოსტნეულთან ერთად, აქ დანახავდით ხორცსაც, რომლითაც მასთან მცხოვრებ ბერებს ან ბაზილიკასთან ატუხულ ავადმყოფებსა და მშვირთ უმასპინძლდებოდა პოსიდიუსის ხელით. ღვინო ყოველთვის ჰქონდა მაგიდაზე, სწამდა და სხვებსაც შთააგონებდა: ღვთის მიერ შექმნილი ყველაფერი საჭიროაო, — იმეორებდა იგი მოციქულის სიტყვებს და უმატებდა: ამ მაგიდაზე ყველაფერი წმინდად არის შემზადებული, თუმცა მე თვითონ უწმინდური ფიქრების უფრო მეშინია, ვიდრე ცუდად დამზადებული საჭმლისაო.

ვისმეს ქილიკს ვერ ითმენდა. მან ერთხელ კედელზედაც გააკრა განკარგულება: „ვინც სხვის დაცინვას დასჩვევია, ჩვენთან ნუ დაჯდებაო“. წმინდანს არ ავიწყლებოდა თავისი სიმკაცრე ხელქვეითი მღვდლებისა და პროვინციულ ქალაქთა ეპისკოპოსებისადმი, ნახევარსაკუნოვანი უსასტიკესი პოლემიკა სხვადასხვა ერტიტოკოსთა წინააღმდეგ, მაგრამ ავრელიუსის ნაწერებში არგუმენტები იყო მომავკდინებელი და არა ვისმეს პიროვნების ლანძღვა, კილვა ან ქირღვა.

ავგუსტინე ხალისიანად დასთანხმ-



და გენადისთან ვახშმის გაზიარებაზე. ეს იყო ოლონდ, ხმის ამოღებისთანავე უკვდავმა ბედს შესჩივლა, მეგობრებო მეცლებიან ხელიდან, ჭერ იყო და ერთ-სადაიმავე წელს გარდამეცვალა საყვარელი ძე ადვოდატი და ჩემი და მისი მეგობარი ნებრიდიუსი, ახლა კი მაცნობებს, შენი სიყრმის მეგობრების ოჯახის და უზალის ბედი უცნობია, მგონი, ვანდალების მიერ მავრიტანიის დარბევის მსხვერპლნი გახდნენო. სკოლაში ჩემთან ერთ მერხზე მჯდომი წმინდა ალიპიუსის ბედისაც არაფერი ვიცი, თუმცა თავასტაში, აგერ, ორ ნაბიჯილა მაშორებს მისგან, ეპისკოპოსის საჭე უპყრია ხელთ. ხოლო ვანდალებს ჭერ მავრიტანია არ დაუპყრიათ... რა შეცოდების გამო იავარპყო კათოლიკური ეკლესიები ბარბაროსების ქარიშხალმა?

— მეც მივივრის, ავრელიუს, რატომ დაგვრია ხელი სიკვდილის ცელმა? — წარმოსთქვა გენადი, თან თვალს არ აშორებდა წმინდანის გამხდარი ორივე ხელის გრძელ თითებს, მაგიდაზე რომ გაუხმრეველად ედო. ლურჯ ძარღვებს დაესერა ისინი და ძარღვები ლამის კანიდან ამოვარდნილიყვნენ.

— ერთი სირტის ეს ღვინო კიდევ გასინჯე, ავრელიუს, და ზედ თევზიც დააყოლე!

ავგუსტინემ ფიალა გამოსცალა. მცირეოდენი ღუმლის შემდეგ კი დაიწყო:

— ვინმე მღვდლისაგან მოვისმინე, დიდი ხნის წინ: „თუ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად უნდა მოგკვდეთ, რატომ არ შეიძლება, დღესვე მივიცვალოთ?“ სიკვდილი — ღმრთისგან არაა, იგი ბოროტებაა. აფრიკელი ტრიბუნი მარცელინუსის შეკითხვებმა დამაწერიანეს ჩემი ცხოვრების მთავარი ქმნილება: „დე ცივიტატე დეი“. მრავალი წელი შევწირე ამ თხზულებას და იქ ვრცლად ვსაბუთებ იმ აზრს, რომ სიკვდილი ეშმაკის მიერ დაგებული მახეა. სხვები დავამშვიდე, საყვარელო გენადი, ჩემი თავი კი — არა. მე

დიდი ხანია ვზრუნავ სულის ნეტარებისთვის: თუ ჩვენს თავს თვითონ გვანსჯით, ღმერთის მიერ არ ვიქნებით განსჯილი... ვის თავდასხმებს არ გავუძელი... ის ვინ იყო, პოსიდიუს, ვინმე იოანე კასიანე, მგონი, კონსტანტინეპოლელი დიაკონი, იოანე ოქროპირთან რომ უმსახურნია, შემდეგ კი მესალიაში* გადასულა და იქედან მედავებოდა: ღმერთის დაუხმარებლად ზნედაცემულ ადამიანსაც შეუძლია სრული გამოსწორებაო. არა მგონია, ეს ჭირვეული კაცი გონებრივად სრულყოფილი არსება ყოფილიყოს, მას არ ესმის, რომ ბოროტება თავისუფალი ნებისგან მომდინარეობს და იგი დაუსრულებლად თავისკენ გვიზიდავს. მხოლოდ ღმრთის მაღლი შველის ადამიანს! თუმცა სენეკაც მართალია: ცხოვრება ბრძოლაა და უმჯობესია, ბრძოლაში მოკვდე, ვიდრე ლოგინზე.

— კიდე შესვი, ავრელიუს, ეს ალისფერი ღვინო, იგი შენი ჭანმრთელობის მარგებელი წამალია! — უსმენდა და თან აძალუბდა სმა-ჭამას თავის მეგობარს გენადი. ავადმყოფი არ ჭიუტობდა.

— მაინც, მშვენიერი ღვინის მიუხედავად, სიკვდილზე უნდა გესაუბრო, დღეს ჰიპონში იგი ყველას აშინებს. ჩემს გარდა.

გენადი სმენად იქცა.

— ბევრ ფილოსოფოსთან წამიკითხავს, რომ ცხოვრება სიკვდილისათვის მზადებააო. მაგრამ რასაც ვუცდით, ის მიმზიდველი, ტკბილი და ღმრთის მაღლით უნდა იყოს აღსავსე... სიკვდილი კი ბოროტებაა იმ შედეგით, რაც მას მოსდევს. მე არაერთხელ მიწერია ამ საკითხზე... ან რატომ უნდა ვიღაროთ იმაზე, რაც ჭერ არ დამდგარა? ციცირონი წერს: თუ ტკივილი მტანჯავია, იგი ხანგრძლივი არაა, თუ ხანგრძლივია, მასასადამე, მტანჯავი არაა. ეს ჰქვიანი კაცი იმასაც წერდა: თუ ხარბი არა ხარ, უკვე მდიდარი ხარო. სი-

* მესალია — ზღვისპირა ქალაქი სიცილიაში.



ცოცხლეს დახარბებული ადამიანი დატაკია, თუმცა სიცოცხლე თავისთავად საშინელი და ლამაზია.

გენადიმ ჩაუბრუნდა:

— მაკრობიუსი ამბობს „სატურნალიებში“, რომ „ერთი დღით სიცოცხლეს დასაფასებელია. მე ვიცხოვრე ერთი დღით გვიან, ვიდრე უნდა მეცხოვრა“. ამქვეყნიური დიდების ნაკლი ისაა, რომ მისი მონა ხდები!

— ყველა ჩვენ ერთ დღეს კი არ ვცხოვრობთ, — ამბობდა აგრელიუსი, — არამედ ერთი წამით, რადგან წარსული და მომავალი არ არსებობს... წარმართი ჰორაციუსიც ნახევარ სიმართლეს ამბობდა, როცა მაკრობიუსის მსგავს აზრს გამოთქვამდა ლექსად: „ჩათვალე ყოველივე უქანასკნელ დღედო“... მე გირჩევ, გენადი, ყველაზე ხშირად ციცერონი და სენეკას წერილები იკითხო, დიდი პავლეს ეპისტოლეთა შემდეგ წიგნების შერჩევა ჩვენი სულიერი საქმიანობაა. უნდა შევიგნოთ ისიც, რომ ჩვენ ყველა რიგში ვდგევართ სიკვდილის წინაშე და, ციცერონისა არ იყოს, ბრძენი, უწინარეს ყოვლისა, თავის თავისათვის უნდა იყოს ბრძენი...

— სიბრძნე რჩეულთა ხვედრია, უკვდავო, უბრალო მოკვდავთ კი რაღა დაჩვენია? — შეეკითხა გენადი, რომელიმაც იცოდა — ავგუსტინე ყოველ კითხვას დასახსომებელ პასუხს გასცემდა.

— მოკვდავს არ ესმის, რომ ის დაბადებისას კვდება და რომ დასაწყისიდან იწყება დასასრული, — ვინმე შლეგი ასტროლოგის წიგნში წამიკითხავს ეს ჰკვიანური აზრი... მაგრამ მარტო უბრალო მოკვდავნი როდი დადიან დანისლული თვალეებით... — ავგუსტინე მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა. — სენეკა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც სწავლულნი გამრავლდნენ, კარგი ადამიანები აღარ არიანო, კარგი ადამიანი კი, გენადი ჩემო, მიწის მთოხნელი, მეწაღე, დურგალი ან ზეინკალია მხოლოდ.. დემონი ამპარტავან და გოროზ ადამიანებს ჩაუსაფრდება ხოლმე, თუმცა,

არა, სწოხედ კეთილისმოქმედ არსებებს შეუჩნდება იგი არჩეულ გმირთა მათ ასაცდენად... ფრთხილად უნდა ვიცხოვროთ, ციცერონმა მასწავლა კორნელი ნეპოტისადმი სიყვარული და არასოდეს ვივიწყებ მის გაფრთხილებას: ჩვენი ბედი ჩვენივე ჩვეულებებზე არის დამოკიდებულიო. ამიტომ ჩავჩინებ ადამიანებს: ეშმაკი თვალმოუხუჭავია და განსაკუთრებით ფრთხილად მცხოვრებთა თავისაკენ გადასაბირებლად მუშაობს მუდმივად და დაუღალავად! თანაც, გენადი ჩემო, ბედისწერას ხომ თავისი თარიღები აქვს. არავინ იცის, როდის და რა ვითარებაში გეწვედება ყელში თავისი ცივი ბრჭყალებით. ამიტომ ადამიანს არ შეუძლია ყოველთვის ბედნიერი იყოს, ბედნიერი სულელია! მივენდოთ ღმერთს და, როცა არაფერი ვიცით მასზე, როცა არ ვეძებთ მას, იგი უფრო მოწყალე და შემწე ხდება ჩვენი...

ავგუსტინე დადუმდა, მაგრამ მალე განაგრძო სიყრმის მეგობართან გულისა და ფიქრების გადმოშლა:

— საძაგელია ადამიანი, რომელიც ზედმეტს ნთქავს და მერმე ხვრინავს... მაგრამ ნუ გავავრცელებთ ამას ყველაზე. ადამიანი უმწეოა და ყოველგვარ ფილოსოფია, რომელიც მას შიშვლად, ცარიელად და სასოწარკვეთილად სტოვებს ღმერთის წინაშე, უკუსავდებია და მიუღებელი... რაც არ უნდა იყოს, ადამიანი ამშვენებს საშყაროს, თავისი ცოდვებითაც კი... და ჩვენს ქვეყანას მარტო კი არა. რატომ ვივიწყებთ, რომ ეს წამისმიერი არსება თავის სახისამებრ შექმნა უფალმა და იესუ ტკბილი მის ხსნად მოგვევლინა?.. ამიტომაც მე არც კვდომის მეშინია, არც სიკვდილისა... ეპიქარმე კი ამბობდა: მე არ მეშინია სიკვდილის, მე მაძრწოლებს კვდომის წინაშე შიშო, — ციცერონის „ტრუსკულანურ საუბრებში“ ამოვიკითხე ეს სიტყვები... ეპიქარმე?? მე არაფერი გამიგია მის ირგვლივ, მაგრამ სიკვდილის წინაშე ლაჩარი კი ბევრი მინახავს! მე მეკავრება კეისარს.

(გენადი, მე ყველა ქვეყნის მმართველ მეჯავრება!), მაგრამ კარგად წერდა და აზროვნებდა: აი, როცა მას ჰკითხეს, როგორ სიკვდილს აირჩევდა იგი, მან უპასუხა: რომელსაც არ ელი და სწრაფად გეწვევაო...

ავგუსტინე შეჩერდა, საწყალობელი თვალებით მიაჩერდა გენადის და თავისთვის თქვა:

— ჰქვიანური პასუხი დასცდენია ტირანს!

უცბად, თითქოს გონს მოვიდაო, და ისევ ისტორიულ მაგალითების ჩამოთვლას შეუდგა:

— მე იესუს იმედი მაქვს. ბევრი იზრუნა იულიანე განდგომილმა, რომ მაცხოვარი დაევიწყა კაცობრიობას, მაგრამ რა ფრაზა აღმოხდა სიკვდილის წინ? „გიხაროდეს ნაზარეველო, შენ გაიმარჯვეო!“

— ჩვეულებრივი ადამიანისათვის ძნელია იმედით აღჭურვა, მას უსაშველოდ ეშინია სიკვდილის!.. — თქვა გენადიმ.

— ადამიანი კი იმითაც განსხვავდება ცხოველისაგან, რომ იცის, ყველაფერი შეიძლება წაართვა მას, მაგრამ სიკვდილს ვერ წაართმევ, იცის, რომ უკანასკნელად სწორედ სიკვდილს უნდა ჩაეხეოს. მანამდე კი ზოგიერთი ღვინოს ეძალება და მით ირთობს თავს... შავ ფიქრთა გასაქარვებლად... ღვინო ყველაზე ნაკლებ მატებს ადამიანს სიბრძნეს... გენადი ჩემო, კიდევ ამიგეს სირტის ღვინით ეგ ფალა!...

და ავგუსტინემ სიამოვნებით დასცალა იგი.

— სენეკა გვასწავლის, რომ ვაჟაკობა ის კი არაა, რომ სიკვდილის გეშინოდესო (ყველა გზა მისკენ მიდის), არამედ შესძლო, უღრტვინველად დაუხვდე ბედის ყველა შემოტევას, შეძლებისამებრ მოიგერიო იგი ან მოსპო მოულოდნელად კარზე მომდგარი უბედურება, თუნდაც დიდი ხნის მოცდად ან საკუთარ სიცოცხლედ დაგიჯდეს ასეთი მოგერიება... — ავგუსტინემ შეხედა გენადის და დაუმატა: — დიდი

სიბრძნის ჭური იყო ნერონის მასწავლებელი, იგი ქრისტესა და პავლეს ცროსი ძმა გახლდათ! მე სენეკაზე ვამბობ!

გენადის ისედაც კარგად მოეხსენებოდა, რომ სენეკა უსაზღვროდ უყვარდა მის მეგობარს. გენადის გულდასმით წაეკითხა ავგუსტინეს მონუმენტური „დე ცვიტატე დეი“, რომელიც გადაჭრელებულია სენეკასადმი მიმართული ხოტბებით. ეს წიგნი გენადის სიყრმიდანვე უნერგავდა იმ აზრს, რომ უბედურებას ზურგი არ უნდა უქციო და არც უკან უნდა დაიხიო მის წინაშე. „ძალიან ხშირად მსხვერპლი თავის ჯალათზე დიდხანს სძლებსო“, — მოგონებდა თავის მეგობარს იმავე სენეკას სიტყვებს.

ავგუსტინე მიუხვდა გენადის ფიქრებს და შეეშველა:

— ყველაზე დიდი ჯალათი ადამიანს მოუვლინა ღმერთმა... სულის სახით! სული ყველაზე დიდი ჯალათია სხეულისა. ესეც სენეკას აზრია.

ავგუსტინემ თითებით თამაში შეწყვიტა, თავი ოდნავ ჩაქინდრა და დიდხანს დაფიქრდა. გენადი კი ცდილობდა, მის ავადმყოფს სირტის ღვინით საესე დოქი ერთად გამოეცალათ. საკვირველია, ღმერთმანი: უეცრად ფიქრებსა და საუბარს არაფერი ემჩნევა დალილობისა, სექვეყნოდ ცნობილ მის საკვირველ მეხსიერებას უძირო და უნაპირო სიღრმე და სივრცე ახასიათებდა და არც ახლა მოჰკლებია იგი. არც თუ დიდი ხნის წინ, ავად გახდომამდე, მთელი ჰიპონი, წარმართი და მართლმადიდებელი ადამიანები, ერთნაირად იყვნენ მოხიბლული ბაზილიკაში მისი იმპროვიზაციული ქადაგებებით, გულისსიღრმემდე შემძვრელი ლოცვებით. ახლაც ეს ჩონჩხად ქცეული არსება ანციფრებდა მისავე მეგობარს, რომელსაც რამდენიმე თვე არ ენახა იგი. და ნახევრად მკვდარი წმინდანის ბაგეებიდან კვლავ იფრქვეოდა ამჟამად მეტწილად სხვათა ფრაზებში გახვეული სიბრძნე.



ავგუსტინე განაგრძობდა, არა, მგონი თვის მესხიერებას ამოწმებდა, ხოლო იშვიათი მესხიერება მას ღმრთის მადლის ყველაზე დიად გამოვლინებად მიაჩნდა:

— სამწუხაროდ, მე ვერ შემამალებინა უფალმა, დამეცვა ჩემი საყვარელი რომაელი ფილოსოფოსის ციკერონის ანდერძი: „მე ვამჯობინებ მოხუცებულობას, ვიდრე დაბერებას მოხუცებულობამდე“. მე ხომ ზედმეტი გვაშივარ ამჟამად, ჩემო გენადი, ა?

— ბებერია ყველა, ვისაც გონება ღალატობს!

— მაგრამ ასეთი კაცი შეიძლება მხალცი იყოს. პორაციუსი ამბობს: „ისაა უშიშარი, ვინც გადაწყვიტა მოკვდესო“.

უცბად ძლიერმა ქარმა ავგუსტინეს სახლის ფანჯრები შემომამტვრია, ცოტა ხნის შემდეგ ყრუ და შემდეგ ძლიერი გრუხუნის გაისმა, ხოლო ამას თან მოჰყვა ჯერ სეტყვა, შემდეგ კი ძლიერი თქეში. შანდლების სანთლები ჩაქრა. ოთახში სწრაფად გაჩნდა პოსიდიუსი და ფანჯრები კარგად ჩარაზა. მერმე ისევ მარტოდ დასტოვა მოსაუბრენი.

— ციკერონი, რასაკვირველია, აჭარბებს, როცა იმოძღვრება: „ბედნიერი ვინც სიხარულით გავიდა ამ ქვეყნიდან, რადგან იზოვა საბუთი თვითმკვლელობისა“. ხომ ვთქვი, პორაციუსი წერს ოღებში „უშიშარი ისაა, ვინც თავის მოკვლა გადაწყვიტა“. ორივენი დიად ცდებიან, ჩემო გენადი, თვითმკვლელობა ღმრთის საწინააღმდეგოდ მდგომარეობაა, თავისდამცირებაა, რადგან ერთი ადამიანი მეორის წინაშე არც უმადლესია, არც უმდაბლესი და, სენეკას დაკვირვებისა არ იყოს, ბევრი პირუტყვი ჩვენზე ლამაზია, ავი ყველაზე მეტად ჩვენ მაიმუნი გვეგავს? შენ, ვიცი, წინააღმდეგობას ამჩნევ ჩემს სიტყვებში. მაგრამ მაიმუნებთან ადამიანების შედარება ციკერონს ეკუთვნის და არა მე. და მასვე ეკუთვნის ის აზრი, რომ ჭეშმარიტებასა და სიკრულეს შორის განსხვავება არაა.

მაგრამ ასე მსჯელობს წარმართი ბრძენი, ქრისტიანმა კი მეტი იცის: სიკრულბუდობს მხოლოდ ადამიანში, რომელიც, ამ თვისების მიუხედავად, მაინც ამშვენებს ბუნებას, სრული ჭეშმარიტება კი მხოლოდ ღმერთთანაა, რადგან თვითონაა ჭეშმარიტება. ციკერონის ჭკუა მუდამ ოქროს მედალიონებს არ მიმოფანტავს ხოლმე. გაიხსენე ჩემი სიტყვები „დე ცივიტატე დეი“-დან: „ღმერთი დიადი ოსტატია დიდსა და მცირეშიც“, მარტოდენ ერთ თვისებას იგი ერთბაშად არც სულიერ ქმნილებაში გამოავლენს ხოლმე, არც უსულოში. ავი, დიდი ხანია, ვუქადაგებ ქვეყანას: როცა ადამიანები ფიქრობენ ღმერთზე, ისინი თავის თავზე ფიქრობენ ან ღმერთს ადარებენ თავს. და როცა ადამიანი ჭეშმარიტებას ეძიებს, იგი თავს იმშვიდებს, რომ იზოვა იგი და ამ გზით ღმერთს ადარებს თავს...

— ავრელიუს, შენ ხომ ასე გეჭავრება ფილოსოფოსები, რომლებიც შიშველსა, უიმელოსა და ცარიელს სთოვენებ ადამიანებს? — შეეკითხა გენადი.

— მე ვიცნობ ცხოვრებას, ვიცნობ სულიერ არსებათ, ადამიანს ნუ ვუნერგავთ სიკვდილის შიშს, სიკვდილი არაა ღმრთისგან, თუმცა იგი სწყვეტს იმ ძაფის ნაწილს, როცა ჩვენ ვიმყოფებით დროის რომელიმე წერტილში, მაგრამ მე ისიც ვიცი, თუ როგორ სისაძაგლეს სჩადის ხოლმე ადამიანი მისთვის განკუთვნილი სიცოცხლის წამში. მას არაფერი კეთილის გაეთება არ შეუძლია, თუ ღმრთის მადლი არ შეეწია, ადამიანმა ისიც კი არ იცის, როგორ შეერწყმის სული მის სხეულს, თუმცა სწორედ ეს შერწყმაა თვითონ ადამიანი...

წვიმა შეწყდა. ეტყობოდა, ამინდმა გადაიკარა და ეგზომ გაგრილებულ ქალაქში ისევ სიცხემ იმძლავრა. აქ, გორაკზე, ავრელიუსის ოთახში, მაინც სიგრილე სუფევდა. ღამე მოიპარებოდა.

აპაკი ბაწარელია
ზადიას ბამოცხადება

— ხომ არ დაილაღე, გენადი!.. —
და, როცა გენადიმ მტკიცედ მიუფო სი-
ხარულზე, რომელსაც მისი საუბარი
ჰგვრიდა მას, ისევ განაგრძო:

— შენ უკეთ მოგეხსენება, გენადი,
რატომ ფართხალებს დიდხანს თავმო-
ჭრილი ფრინველი ან რატომ ხტუნავს
ჭიის ან ძლოვკის წარკვეთილი ბო-
ლო. ადამიანის წარკვეთილ ფეხს ან
ხელს ეს არ შეუძლია, იგი უმაღვე კა-
რგავს თავის დანიშნულებას. შეიძლე-
ბა, შუბით უცბად განგმირო ადამი-
ანი, შეგვიძლია, მიწისა პირისაგან აღ-
გავოთ რომელიმე სახელმწიფო, ერები.
მაგრამ ღმერთს ვერაფერს დავაკლებთ,
რადგან ყველა ჩვენი ფიქრის წამიერი
აღმოცენება მისთვის წინასწარ ცნო-
ბილია. ციერონს შემთხვევით როდი
მოაქვს ჰომეროსის სიტყვები: „ადამი-
ანის აზრები ისევე იცვლებიან, როგორც
დღის სინათლეა“. ასევე მერყევია მი-
სი სხეულიც. იგი გამუდმებით თრთის
სიკვდილის წინაშე, მაგრამ რას ნიშ-
ნავს დიდხანს იცოცხლო? განა ყვავი
უქვდავია? ადამიანი უნდა ცდილობ-
დეს, „სულიერი მშვიდობა მოიპოვოს.
ვერგელიუსი ამბობს: ზღვის ტატნობი
მაშინაა საესებით წყნარი, როცა მცი-
რეოდენი ნიავიც არ იძვრის მის ზედა-
პირზეო.

ღამე ოთახში მოიწვედა.

ავრელიუსმა მოუხმო ჰოსიდიუსს და
ოთახის ყველა კუთხეში შანდლებზე სა-
ნთლების ანთება დაავალა.

— ადამიანები უნდა გვეცოდებოდეს,
როცა მას დიდი შიში იპყრობს ბრბოს
წინაშე. ერთი რომელიც ისტორიკოსი
წერს: „არაფერია უფრო საზიზღარი,
ვიდრე ბრბოს აზრიო“. მე სავსებით ვე-
თანხმები მას. თუ ბრბოს გეშინია —
გაეცალე. ან შენ იქვე ბრბოდ შენივე
თავის წინაშე, ეს არც ისე ძნელი მოსა-
ხერხებელია. მე გავუბრვივარ ამ ქალაქ-
ში მოვარაყებულები ლექსების მთხველ
და მოლაკებ პოეტების, მეცნიერების,
დოღზე დამკრეულ მუსიკოსთა გამაყ-
რუებელ ხმაურს და სენატორთა პაექ-
რობებს. ისინი ვერასოდეს ვერ ამჩნე-

ვენ თავიანთ მანკიერებებს? ^{იმით} რომ
მანკიერება მათი შინაგანი ^{მანკიერების}
ბის თვისებაა. ყველა ცდილობს, უკ-
დავების ძეგლი აიგოს, ისიც ნამდ-
ვილი ძეგლი, აქ ჰიპონში და იქ,
რომში. ყველას ახსოვს ჰორაციუსის
ლექსი მეღობინასადმი, მაგრამ ყურის
გარეშე უშვებენ ამ პოეტის სიტყვებს:
„წინასწარ იგებენ მარმარილოს ძეგლე-
ბსა და ივიწყებენ თვითონ საფლავ-
სო“... — და ავგუსტინემ პირველად გა-
იციინა და ისიც გულიანად.

— საერთოდ, ჩემო გენადი, — თით-
ქოს ასკვნიდა ავგუსტინე და დასუს-
ტებულ ფეხებზე ძალდატანებით დგე-
ბოდა მაგიდიდან. — საერთოდ, ჩემო
გენადი, დავუჯეროთ ბრძენს: „ნუ-გვე-
შინია უკანასკნელი დღისა და ნურც
მოვისურვებთ მას“. შენ გეუბნები, ჩე-
მი დღეები კი დათვლილია... შენ კი
ადამიანებისათვის სიკეთის მოტანაზე
იზრუნე, როგორც აქამდე ზრუნავდი.
სიკვდილი ადვილია, შენსავით კარგად
ცხოვრება კი — ძნელი!

ავრელიუსმა თავისი გამხდარი თი-
თები მოუქუმა ბავენი გენადის:

— ჩუმად!.. სად გავიწილა ნუგეშით
მიმართო ადამიანს, რომლის ცხედარი
მარტოოდენ წამიერად მიაგავს ცოც-
ხალს!.. შენ კი გირჩევ, ისევ სენეკას
დაუჯერო: ბაზარზე მოპოვებული დი-
დება ჩირად არა ღირს, ადამიანები ერ-
თმანეთში პირფერობენ და რომ ცხოვ-
რებას განაგებს არა სიბრძნე, არამედ
ბედი!..

შემდეგ შეძლებისამებრ აფუსფუს-
და, ღვინის ღოჭი იპოვა, გადასცა გენა-
დის და საზეიმო სიტყვებით მიმართა
მეგობარს:

— სირტის მეღვინეებს ჩემი სიყვა-
რული გადაეცი, თქვენ მე გამახარე.
ღვინომ მგონი ზოგიერთი სისულელე
ზეპირად მათქმევინა ღმრთის წინაშე
დუმილის ქამს... მშვიდობით, მეგობა-
რო, იქ შეგვხვდებით ერთმანეთს ალბათ!
და დალილმა ავგუსტინემ თავის
ანაფორის სახელოებში ჩამალა, თავი.
უკვე ეძინა.



გენადი სხვებზე თუ ფეხაკრეფით გავიდა მისი ოთახიდან. ავგუსტინესთან უკანასკნელი საუბრის შედეგად მას ის ქეშმარიტება მიქონდა თან, რომ, ავად თუ კარგად, სიკვდილი კი არაა ადამიანის ცხოვრების მიზანი, არამედ — კარგი სიცოცხლე!

4. ჰიპო რამიუს ზოგოძროს...

ოთხასოცდაცხრა წლის შემოდგომა იდგა. ჰიპონი მტრის მიერ ალყით გარემოცვის მოლოდინს აეწრიალებინა. ქალაქის მცხოვრებნი შეშფოთებული მიმოდიოდნენ მოკირწყლულ ქუჩებში. ძველი კოლონიზატორების ჩამომავალ რომაელთ დასიცხული სახეები ჰქონდათ. მათი ტანსაცმელი პერანგისა და თეთრი ტოგისგან შედგებოდა, რომელიც ტანზე ჰქონდათ შემოხვეული და და მხარზე საკინძით დამაგრებული, შიშველი ფეხები კი ქოშებში გაეყარათ, ატრიუმების მალასვეტებიანი კოლონადების წინ მოეყარათ თავი, თანაც გაცხარებით საუბრობდნენ და ხელებს აქეთ-იქით იქნევდნენ.

სალამობით, როცა მზე დასალიერი-საკენ იხრებოდა, თაკარა სიცხისაგან გათანგული ხალხი სულს იბრუნებდა, ხანდაზმულნი და ჭბატუნი ფორუმზე დიდი შადრევანის წინ იკრიბებოდნენ, სადაც მითითურ გორგონა მდებარეობდა და ანკარა წყალი და იქაურობას აგრილებდა. როცა საპარის უდაბნოდან მონაბერი მხრჩოლავი ქარი ცხრებოდა და ხმელთაშუა ზღვის მხრიდანაც ნიავი დაუბერავდა, აუტანელი ხვატიც ზეცის მნათობის ჩასვლასთან ერთად კლებულობდა.

რომაელები და ადგილობრივი ტომები მოსალოდნელი გასაჭირის მიზეზების გამო ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს, კაბილების და ამაზიგების დიპლეტები ლათინურში იყო არეული. ზოგი მათგანი გორგონას აუზში ჭყუმპალაობის შემდეგ გაუწყულ ბავშვებს უამბობდა მდებარე თავგადასავალს და

ურჩხულის მოკვეთილ თავს მიაწერდა აფრიკაზე თავდატეხილ უბედურებებს ქვეყნის აღსასრულის მოახლოვებას ბევრი აფრიკელი ხელახლა ცრუმორწმუნედ ექცია. ფორუმზე ერთი სახლის პლაფონზე ამ ურჩხულ გორგონას ლამაზი თავი ათენას ფარზედაც იყო გამოხატული, რადგან საკუთრივ ამ ქალღმერთისათვის უბოძებია იგი ზევსისა და დანაეს ვაჟს პერსევსს, რომელმაც თავი გააგდებინა მედუზას. სამ გორგონადან მხოლოდ მედუზა ყოფილა მოკვდავი, თანაც რომელიმე არსებას თუ მიაპყრობდა მზერას, უმაღვე ქვად აქცევდა. ერთი ცოცხალი გორგონა გადმოცემით კოლხეთისაკენ გამგზავრებულ არგონავტებს აპდევნებია და აიეტის ქვეყნისკენ მიმავალთ კვალდაკვალ გაჰყოლია.

რომაულ აფრიკაში ოდესღაც მახინჯ-სახიანი მდებარე გორგონა ყველგან ლამაზი და დახვეული თმებით იყო ფრესკებზე გამოსახული ან ქვაში გამოქანდაკებული. უხსოვარ დროში, პერსევსის მიერ აფრიკაზე გადაფრენისას, თავმოკვეთილი მდებარე ყელიდან მომდინარე სისხლის წვეთები გველებად ქცეულან და ყოველგვარი მწვანეული შეუმუსრავთ ოდესღაც ედემივით აყვავებულ მხარში. ამის შემდეგ წარმოშობილა საპარის უდაბნო. კიდევ კარგი, პერსევსს ხელიდან არ გასხლტომია გორგონა მდებარე!

კაბილები და ამაზიგები რომაელთაგან ძალზე ოვალური თავებითა და უცნაური ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ, მაღალი და ძლიერი აღნაგობით იქცევდნენ ყურადღებას, დიდი ძაღლები ჰყავდათ, ხოლო მათი ვეება სპილოები ქალაქის მახლობელ ბორცვებზე ძოვდნენ ბალახს. ნუმიდიელთა ამ ტომების დიდი ნაწილი ჰიპონის მახლობელ მთიანეთში სახლობდა, ისინი საკუთარი თქმულებებით ართობდნენ ცოლშივით და მდებარე ლეგენდისა არაფერი სჯეროდათ, მაგრამ საერთო სულიერი აწიოკების ყამს ლამის აბორიგენებსაც და-

უჯერებიათ თვითონ რომაელებისათვის დიდი ხნის წინ გახუნებული თქმულებანი.

ნუმიდიელნი მოახლოვებული უბედურების ღირსეულად დასახვედრად ემზადებოდნენ, მთიულური ახარებით აღჭურვილიყვნენ და რომაელებთან ერთად ვანდალებისაგან უნდა დაეცვათ მშობლიური ქალაქი. აფრიკაში ხუთასი ათასი მეომრით შემოჭრილ გეიზარის ნუმიდიის ყველაზე მნიშვნელოვანი პორტისკენ აეღო გეზი, ეტყობოდა, განზრახული ჰქონდა, ხმელთაშუა ზღვასთან შემაერთებელი ეს ყურე ფლოტიო კარგად ჩაეკეტა, ხოლო შემდეგ ხმელეთის მხრივაც გარემოეცვა ქალაქი.

ვანდალების ბელადის სახელი თავზარსა სცემდა სისხლისგან დაცლილ რომის იმპერიას. გუთების მონათესავე ტომი ბოჰემიელ სევეებთან და თურქული მოდგმის ალანებთან ერთად არბევდნენ აფრიკას, ისინი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს ზედი-ზედ იპყრობდნენ, დიდი ხანია, ესპანეთი და გიბრალტარი გადმოეღახათ, მავრიტანია თითქმის დაეპყროთ და ნუმიდიისაკენ მოისწრაფოდნენ. ვანდალები გზადაგზაცეცხლს უკიდებდნენ მცხოვრებთა სახლკარს, ირგვლივ ყველაფერს ნაცარ-ტუტად აქცევდნენ და წამებასა და სიკვდილს ავრცელებდნენ. ათასგვარ საშინელებას სთესდნენ, არ არჩევდნენ სქესსა და ასაკს, ღვთის მოსავთ თუ უბრალო მიწის მუშებს, უმოწყალოდ ანგრევდნენ რომაულ თეატრებს, ფორუმებსა და კათოლიკურ ეკლესიებს.

ვანდალთა ზვავი თანდათან უახლოვდებოდა ჰიპონს. როგორც მკითხველმა უკვე იცის, რომის იმპერატორ ვალენტინიანე მესამესთან მტრობის გამო ბონიფაციუსის წინდაუხედაობა ძვირად დაუჯდა ქალაქს. აქი მან ზავი დასდო გეიზარისთან და აფრიკაში შეჭრის ნება დართო, მაგრამ ჰიპონის პრიკონსული გვიან მიხვდა, რომ მან გაუაფა გზა გეიზარის ნგრევისა და აწი-

ოკებისათვის. ბონიფაციუსი შეეცადა თავისი საბედისწერო შეცდომას აღმოეფხვინა, უნდოდა, უკანვე გაებრუნებია გეიზარისი, მაგრამ გვიანდა იყო, ოცდაათათასიანი ლაშქრით შეებრძოლა კიდევ, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და დარჩენილი ჯარით ჰიპონში ჩაიკეტა, მერმე მუნიციპიუმის მმართველობას თავი მიანება და ქალაქის ქუჩებში იშვიათად ჩნდებოდა თეთრი ტოგითა და მხარზე მიმაგრებული თოვლის ფთილას მოყვანილობის ოქროს ვარსკვლავით. ფორუმზე არც მისი განკარგულებანი იყო გამოკრული.

ჰიპონში თანდათან ისადგურებდა ავისმალუწყებელი სიჩუმე. დეკურიონები სადღაც მიმალულიყვნენ. ფორუმი ცარიელდებოდა. აქ მხოლოდ მედუზას ხახიდან ჯერ კიდევ იღვრებოდა ანკარა წყალი და ქალაქში დარჩენილ ქრისტიანთა ტიტლიანა ბიჭები ქყუმბალაობდნენ აუზში, ზოგიც ზედ ახტებოდა ვორგონა მედუზას თავს.

არც ერთი უცხოელი არ ჩანდა ქალაქის სიმეტრიულად დაგეგმილ ქუჩებში. თერმების დიდი ნაწილისათვის რკინის ბოქლომები დაედოთ. რომაელების უმეტესობას საცხებით მიეტოვებინა საცხოვრებელი ატრიუმები და ქალაქიდან გაპარულიყო.

რას მიაგავდა ახლა ოდესღაც ულამაზესი ჰიპონი? ამაზიგები და კაბილები დარჩენილიყვნენ აქ, მთიულური ჯაჭვის პერანგები ჩაეცვათ, შუბებით აღჭურვილიყვნენ, ქალაქის მისადგომები და ზედ ზღვის ყურესთან აგებული ძლიერი ქვის კედლების ქონგურები დაეკავებინათ. ჯერჯერობით ჰიპონიდან ფეხი არ მოუცვლიათ, ავრეთვე, ქრისტიანებს, ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ წმინდანის უკანასკნელ განკარგულებას: ქალაქი, მართლაც, ბედის ანაბარა მიეტოვებინათ თუ თავიანთ მწყემსმთავართან ერთად მკერდებით შეგებებოდნენ ვანდალთა შუბებს.

5. გეიზარისი და SIMBOLUM-
NICEANO-CONSTANTINO-
POLITANUM!

ვანდალთა მეთაური გეიზარისი (რომელსაც ზოგჯერ ეძახდნენ გაიზარისს, გენზერისს ან გეიზერისს) ველური გეომანული ტომების მეფის შვილი იყო, რომელიც მხევალისგან შესძენილად მამამისს, უსახური, დაბალი და კოჭლი ეშვა ღმერთს. მამის სიკვდილის შემდეგ მან თავი ისახელა რძლისა და ნათესავეების ამოწყვეტით, ხელქვეითებს უბრძანა, მდინარეში გადაეყარათ ისინი და იქ ქვებით ჩაეჭოლათ. ეს ჩაიდინა მომავალ მებრძოლთა თავიდან მოცილების მიზნით — ცოცხალთა შორის არ უნდა დარჩენილიყო ვინმე, ვისაც დინასტიური უფლებების განცხადების საფუძველი ექნებოდა.

ვანდალთა შორის გეიზარისი, რა თქმა უნდა, გენიალურ კაცად ითვლებოდა და სრულიად მართებულად, განსაკუთრებით მეხუთე საუკუნეში სამხედრო მოღვაწეზე შემუშავებული აზრის მიხედვით. ამ მეორე გერმანელმა ატილამ გვიან, ჰიპონის ალების შემდეგ, კვლავ გააღვივა კართაგენის სიძულვილი რომისადმი. უკიდევანო იყო მისი მისწრაფება საზღვაო მეკობრეობისა, სოფლებისა და ქალაქების დარბევებისა, გაძარცვისა და სრული გაპარტახებისადმი.

არცერთ ბარბაროსულ ქვეყანაში, არცერთ ცივილიზებულ მხარეში არ მოიძებნებოდა გეიზარისზე უფრო ეშმაკი მეფე, ვერაგობასთან ერთად მასში შერწყმული იყო დაუცხრომელი სიხარბე. ვანდალთა მეფის ყველაზე დიდ ვნებას კი ოქრო შეადგენდა.

თუ ატილა ხმელეთის დამპყრობად ითვლებოდა, გეიზარისი ზღვის ყაჩაღად მიაჩნდათ. ჰუნების მეფე თუ კი რომელიმე პროვინციული ქალაქის ზღურბლთან აღმოჩნდებოდა, ამ ქალაქის მწყემსმთავრის თხოვნას შეიწყნარებდა, თავის მეომრებს შეაკავებდა და სასულიერო პირის რეზიდენციას ხელს არ ახლებდა. გეიზარისზე კი არა-

ვითარი მუდარა არ სჭრიდა, ის თვეობით და ზოგჯერ მთელი წლით გარე მოიცავდა რომელიმე აფრიკულ ქალაქს, ჯერ გაძარცვავდა, მერმე კი მოსახლეობას უწყლობით ამოხდიდა სულს და გარემოცვას ქალაქის სრული დანგრევით და გადაწვით ამთავრებდა. არაფერი უძლებდა მის ალყას, არც ბრინჯაოს ალყაფები, არც ტაძართა ქვით ნაშენი გუმბათების წინაშე შიშა, — გეიზარისიც ხომ ქრისტიანი იყო!

ავგუსტინეს, საერთოდ, ჰირსიდლესავით ეჯავრებოდა დიდ ომებში სახელმძღვანელონი. „ცნობილი დამპყრობნი მაკედონელი და სციპიონი მხოლოდ და მხოლოდ დიდი ყაჩაღები იყვნენ“ — სწერდა იგი თავის მთავარ თხზულებაში „დე ცივიტატე დეი“* და ამასვე იმეორებდა მრევლის წინაშე და ჰიპონელ კლირიკთა წრეში. გული მოსდიოდა რომის იმპერატორ ვალენტინიანე მესამეზე, რომელმაც თავის დროზე გიბრალტარი ვერ გადაუქეტა ვანდალებს და ჰიპონის მმართველ ბონიფაციუსის და გეიზარისის ფარული ზავის არსებობა გვიან შეიტყო, რის შედეგადაც ბარბაროსთა სვავმა აფრიკა დაიპყრო, ჰიპონის შემდეგ იგი კართაგენსაც ადვილად ჩაიგდებდა ხელთ.

გეიზარისი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ავგუსტინეს სიდიადისა და მსოფლიო გავლენის მნიშვნელობა კარგად ესმოდა. იგი ჰიპონში სწრაფად შეჭრას აგვიანებდა ერთი მიზნით: უნდოდა, წმინდანს თავის თვალით ენახა, თუ როგორ გაეპარებოდა მისი მრევლი წყალდახშულ ქალაქიდან და რომ მისი ლოგინად ჩაეარდნას ჰიპონის დაღუპვა უნდა დართვოდა წინასწარ.

გეიზარისს, ასე გასინჯეთ, ხიბლავდა კიდევ აფრიკელის ავგუსტინეს პიროვნება და მისი ურიცხვი ნაწერები, რომელიც ამ ბარბაროსს ეგზომ გულდასმით წაეკითხა. მაგრამ ასევე ეჯავრებოდა იგი, ვითარცა ღმერთის სამე-

* „დე ცივიტატე დეი“ — „საუფლო ქალაქისათვის“ (ავგუსტინეს მთავარი თხზულება, 413-426 წ.წ.).

ბისა და მისი ერთარსების სახელგანთ-
ქმული მქადაგებელი, ვანდალები და
მათი მეთაური ფანატიკოსი არიანელე-
ბი იყვნენ. გეიზარიხი ბრმა მიმდევარი
გახლდათ ალექსანდრიელი მღვდლის
არიონის მოძღვრებისა, რომლის თანახ-
მად ღმრთის ძე არაა თანაბარი პირი
ანუ იპოსტასი მამა ღმერთისა. 321 წელს
კონსტანტინეპოლში ნიკეის მსოფლიო
საეკლესიო კრებაზე დაგმეს ალექსან-
დრიელი მწვალებლის ერთეკლესიო
მრწამსი, რომელმაც ცოტა გვიან მაინც
იფეთქა სხვადასხვა დროსა და სხვადა-
სხვა ადგილას, დასავლეთსა და აღმო-
სავლეთში. მაგრამ არიანობას არაფერ-
მა უშველა, ბიზანტიის იმპერატორი თე-
ოდოსი დიდის დროს, 379-395 წლებ-
ში, 325 წლის ნიკეის დოგმამ საბო-
ლოდ გაიმარჯვა და ნათლად გამოიხა-
ტა *Simbolum - Niceano-Constantino-*
politanum-ის ორთოდოქსული რწმენის
ჩამოყალიბებაში. გეიზარიხი ყველაზე
მეტად ამ სიმბოლოს მტრობდა.

არიანელები დროებით თვალთ მიე-
ფარნენ რომის იმპერიაში, მაგრამ არც
თუ დიდი დაყოვნების შემდეგ გერმან-
ულ ტომებს შორის არიანული მწვალე-
ბლური იდეები კვლავ სწრაფად მოე-
დო, რასაც, სხვა მიზეზთა შორის, პო-
ლიტიკური სარჩულიც ედო.

გეიზარიხმა უფრო ენერგიულად გა-
ნახლა ჰიპონის გარემოცვა 429 წლის
ავგისტოში. მისი კარავი ორ ადგილას
იყო გაშლილი — დედათა მონასტრის
შესავალთან, ქალაქის შიგნით, და ქა-
ლაქგარეთ, ზღვის სანაპიროსთან. ვან-
დალთა ხომალდებს აფრები აეშვათ.
თოლიები ფორუმის აუზში იკლავდნენ
წყურვილს. მათ პირველად გადაუფ-
რინეს ქრისტიანულ ბაზილიკასაც.

ვანდალთა მიერ დედამიწაზე აღმარ-
თულ ჯვარცმულის სამლოცველოს წა-
ლეკვაც დღე-დღეზე იყო მოსალოდნე-
ლი, მაგრამ გეიზარიხი განზრახ აყო-
ნებდა.

ავგუსტინემ ლოგინიდან ფეხები გა-
დმოჰყო და პოსიდიუსს მიმართა:

— სადილობის უამს მოვახერხებ
მოდგომას. სულიერ ძემებს თხოვ
ლამ სატრაპეზოში მოიყაროს თავი! —
და ფეხები ისევ ლოგინზე შეაწყო.

**6. ... როცა მგლები ქალაქს
შეხსენიან, ვინ როგორ უნდა
მოიძაცნა?**

ავგუსტინემ დაინახა სულთა დაღუპვა
და სიკვდილის მსახვრალი ცელი. ენით
აუწერელ წამებას განიცდიდა ჰიპო-
ნის მწყემსმთავარი, იგი შეძრწუნებუ-
ლი იყო ცნობებით დანგრეული ქა-
ლაქებისა, გადათელილი სოფლებისა,
ხალხისგან მიტოვებულ და გაძარც-
ვულ ეკლესიათა გამო. მხოლოდ სამი
ეკლესია გადარჩენილიყო ჯერჯერო-
ბით ხელუხლებლად — სირტის, ჰიპო-
ნისა და კართაგენის და ისიც დროე-
ბით: გეიზარიხი მალე დაანგრევდა ჰი-
პო რეგიუსს და მერმე კართაგენსაც
მისწვდებოდა. ამ სოდომის ქალაქს მი-
სი მხსნელი მკურნალობის ღმერთი
ესკულაპუსი ვერ იხსნიდა.

ჰიპონი მალე ალყით იქნებოდა გარე-
მოცული. კავშირი ზღვასთან შეწყდა.

ავგუსტინე ყოველდღე აღუვლენ-
და ლოცვას ღმერთს და შეპლალადებ-
და: „შენ მართალი ხარ, უფალო, რად-
გან საშინელი განკითხვის ღირსია ყვე-
ლა, ვინც მარტო ნებვირობას დასჩვე-
ვია და სულისათვის თვისისა არ ზრუ-
ნავს და არ უვლის მას“.

ქალაქში დარჩენილ მართლმადიდე-
ბელ მრევლს თავისი სულიერი მამის
პატივისცემით ჯერ არ მიეტოვებინა
ქალაქი. ბოლოს მოძღვართა და მახლო-
ბელ ქალაქთა ეპისკოპოსებმა, ხალხის
სახელით მაინც მიმართეს ავგუსტინეს,
როგორ მოქცეულიყვნენ მტრის მიერ
ქალაქში შემოჭრამდე, ვანდალები ხომ
ცოცხალს არავის დასტოვებდნენ, არც
მართლმორწმუნეთ, არც წარმართებს.

მათს ერთობლივ შეკითხვაზე თავისი
პასუხი ავგუსტინემ ვრცელი ბარათით
აუწყა და აწერილი პირველად პოსიდი-
უსს წააკითხა მასთან თანამცხოვრებ
პრესბიტერთა თანდასწრებით, დღეს

სატრაპეზო ოთახში. ავგუსტინე წერდა:

„ზოგიერთი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ამ მრისხანე დღეებში ეპისკოპოსები და მოძღვარნი იმიტომ არიდებენ თავს გაქცევას, რომ ხალხს ამ გზით ჩაუნერგოს აზრი გადარჩენაზე, თითქოს ხსნა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხალხის მისაბამად რჩებიან ადგილზე.“

მაგრამ ამ საყვედურის თავიდან აცილება ადვილად შეიძლება. შეიძლება ხალხს შთაავიწოდო, რომ ჩვენმა საქციელმა ისინი შეცდომაში არ შეიყვანოს. ჩვენ არ გავრბივართ არა ჩვენივე შეგნებით, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ღვთის წყალობა არ მოგაკლდეთ. ამრიგად, თუ თქვენ გსურთ გაქცევა, თქვენ შეგვიხსნით იმ თოკებს, რომლითაც თქვენს მიერვე ვართ შებოჭილი.

მე ვფიქრობ, რომ მანამდის არ ღირს ამგვარი ლაპარაკი, ვიდრე არ მოინახება ჭეშმარიტად სიმიედო ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება თავის შეფარება.

ზოგიერთი გაიძახის — ჩვენ იმის კალთა გვფარავს, ვისი რისხვაც არ ავცდებოა.

გულმონწყალებამ შეიფაროს ან ის, ვისაც არასოდეს არ უნდოდა გაქცევა შექმნილი ვითარების გამო, რომელიც მას აჩერებს, ან ის, ვისაც არ სურს, თავი შეიწუხოს საეკლესიო თავშესაფრის ძებნით, სადაც შვებას ვერ პოვებს და ახალ საფრთხეში კი ჩაიგდებს თავს. ვინც ამგვარი აზრისაა, იგი არ იქნება განწირული ქრისტეს მიერ. ან კი, პირიქით, თუ ყველა გაქცევას ამჯობინებს, მაშინ რამ დააკავოს მოძღვარი იმ ადგილებში, საიდანაც მისი მრევლი გარბის?

ამრიგად, ყველა, ვინც თავს არიდებს ეკლესიის სამსახურს, სცოდავს და ქალაქის ბატონის სურვილს ასრულებს. ვინც გარბის, იგი ქრისტეს მრევლს არ იმევეს სულიერ საზრდოს, რადგან მკვლის მოახლოვებას გრძნობს და უპა-

ტრონოდ ტოვებს კრავებს და არ ზრუნავს მათს გადარჩენაზე.



თქვენ მთხოვეთ, ძვირფასო ძმებო, მომეცა განმარტება და ჩემი ეს პასუხი ჭეშმარიტი და გულწრფელი სიყვარულით არის ნაკარნახევი.

მაგრამ შეიძლება, უკეთესი გზა გამოინახოთ. თუმცა ამდენი გზადაკარგულისათვის რამდენი თხოვნით უნდა მივმართოთ ყოვლის გამჩენს? მხოლოდ ღვთის მადლი თუ გვიხსნის ყველას. და ამ გზით უნდა გამოითხოვონ უფლის წყალობა ბრძენმა მოძღვრებმა და მიიღონ მტკიცე და უყოყმანო გადაწყვეტილება — ბედის ანაბარა არ მიატოვონ ეკლესია მტრების ზრახვათა მიუხედავად...“

ქალაქის ალყით გარემოცვის მესამე თვიდან ავგუსტინე ციებ-ციხელებამ შეიპყრო, რასაც იგი თავის ადგილსამყოფელში კოლოების სიმრავლეს მიაწერდა. ლოგინად ჩავარდნილი ღმერთს შესთხოვდა ქალაქის გადარჩენას სრული შემუსვრისაგან და სხეულის დაუძღვრებას კი არ უჩიოდა.

პოსიდიუსს დაავალა, რომ ყველას სცოდნოდა: მთელს თავის ქონებას და ნაწერებს ეკლესიას უტოვებდა; დედათა მონასტერს და ახლო ნათესავებს კი — არაფერს. დიდად აწუხებდა თავის ბიბლიოთეკაზე ფიქრი, მაგრამ საგანგებო ანდერძი არ დაუტოვებია. ლოგინში უმთავრესად ფსალმუნს, იოანეს სახარებას და პავლეს ეპისტოლეებს კითხულობდა. ბიბლიოთეკის კარადებში მდებარე თავისი ორასზე მეტი წიგნი დაწერის თარიღის მიხედვით ჰქონდა განაწილებული კარადებში, ბევრი ხელახლა წაიკითხა და თავისი კრიტიკული შენიშვნები ერთ წიგნად შეადგინა, რომელსაც „რეტრაკტაციონეს“* უწოდა. ავგუსტინეს იშვიათი ანალიტიკური და მაღალი ჰკუის კიდევ ერთ-ერთ საბუთს ეს მისი ბოლო მნიშვნელოვანი ნაშრომიც წარმოადგენდა.

როცა ავგუსტინეს სულიერმა ძმებ-

* „შესწორებანი“ (427 წ.).



მა, ათამდე ბერ-მონაზონმა და პრეს-ბიტერებმა, სატრაპეზოში მოიყარეს თავი, მწყემსმთავარმა მათ აუხსნა ქალაქის მძიმე ვითარება. მან თვის ძმებს აუწყა, რომ ამ გასაჭირის ქაშის პაპის ლეგატიც არ გამოჩენილა პიპონში... არ უნდა გაევიკრივოთ, სულიერო ძმანო ჩემო... ჰუნების ბელადის ალარხის მიერ 410 წელს რომის დარბევისა და გაძარცვის შემდეგ პაპის მხრივ დახმარების იმედი პიპონს მთლად გადაუწყდა... ხომ გახსოვთ, ძმანო, ვითარი საშინელი სიმძიმით გამოიგლოვა მაშინ წმინდა იერონიმემ სიძვის სენით შეპყრობილი რომი... არ უნდა შეეპყრო ეგზომ დიდ სიმძიმის... მარტო ერთი ადამიანი კი არ უნდა ცდილობდეს, იცხოვროს ფრთხილად, არამედ მთელი ხალხიც, რადგან სიცოცხლე ათასგზის უფრო საშინელია, ვიდრე უკუურნებელი სენით ტანჯვა ან სიკვდილი... რომს ეხლაც მიაჩნია მაკედონელი, კეისარი და სციპიონი გმირებად... ჩვენ კი ერთი წამითაც არ უნდა ვიწამოთ მათი ქველობანი და გმირობანი... ამაოების აჩრდილი თან ახლავს მკათს ღვაწლს; ამპარტავნობითა აღვსილი თვითეული ნაბიჯი მათი... ყველანი დიდი ავაზაკები იყვნენ. სისხლითაა მორწყული თვითონ რომის აღმოცენებაც: აკი რომულმა მერმე რემი მოჰკლა?... მხოლოდ მაცხოვრის მოსვლა ამქვეყნად და მისი ჯვარცმა ამართლებს ადამიანის არსებობას ცოდვილ დედამიწაზე, ვისაც ეს არ შეუგნია იგი არც შეიძლება სრულყოფილ არსებად ჩაითვალოს... პოსიდიუსმა მაცნობა, რომ გეიზარხი დაუნდობელი, ხარბი და გაუმძალარი ყაჩაღი ყოფილა... მაგრამ ყველა დამპყრობი ან სახელმწიფოს მეთაური, ცხადად თუ ფარულად, ასევე ხარბი და ძალაუფლების მიმტაცებელი არაა? იგი ხომ ამაზრზენი კინკლაობითაა დაწინაურებული?.. კონსტანტინეპოლის იმპერატორი თეოდოსი მეორე უპკუო და უნებისყოფოა, რომის გამგებელი ვალენტინიანე მესამე კი — უპკუოცა და სულ-

მდაბალიც.. დაწინაურებულ ტებს ხანდისხან უყვართ ხალხის მართვით ლაპარაკი, გულის სიღრმეში კი საკუთარი სიტყვებისა არაფერი სჯერათ... რატომ? ისინიც ხომ ადამიანები არიან, ხოლო ადამიანი მეტწილად ცრუა!.. ავგუსტინე ძლივს სუნთქავდა მერმე მიმართა ოთახში მყოფთ:

— თქვენ სენაკებს დაუბრუნდით... ხომ ხედავთ, პირდაპირ მაცხოვრის გარდამოხსნა ვეცქერის!.. დამტოვეთ მართო ამ გამოსახულების წინაშე...

პრესბიტერებმა და ბერერმა ოთახი დატოვეს.

7. AUS DER TIEFE RUFE ICH...*

სანთლები აანთეთ... ყველა კუთხეში პატრუქების ალი ირხეოდეს... მომავლად ყველაზე დიდი შანდალი მოელვარე კელაბრითურთ... ავგუსტინეს სწაღია, მარტოდ მყოფმა უკანასკნელად შეევედროს ღმერთს და მაცხოვრის გარდამოხსნას... პოსიდიუსს, გთხოვ, შენც დამტოვო მაცხოვრის პირსპირ...
პოსიდიუსი სატრაპეზოდან ფეხაკრფით გავიდა.

ავგუსტინემ გრძელ მაგიდას აუარა, კედლის ერთი ნიშიდან ფსალმუნი და რამდენიმე თავისი წიგნაკი გადმოიღო. ისინი ილიაში ამოიჩარა და ბარბაცით მიაშურა გარდამოხსნას, მის წინაშე მუხლებზე დაემხო და შანდლის შუქზე ლოცვას შეუდგა:

...შენ, უშობელ მამა ღმერთს, შენ, მშობლის თანაბარ ძეს და შენ, ნუგეშინისმცემელ სულიწმინდას, განუყოფელ და წმინდა სამებას, მთელის გულით და ბავებით აღვიარებ და თაყვანსა გცემ. დიდება შენდა უკუნიითი უკუნიისამდე. ამინ...

ავგუსტინემ მანუსკრიპტი გადაშალა, რამდენიმე აბხაცი გამოტოვა და ახალი ადგილის კითხვას შეუდგა:

* „უფსკრულიდან შეგლადადებ...“ (იოჰან სებასტიან ბახის 131 კანტატის სათაური-ლიტურგია).



...და ასე მწამბარ მთელი ჩემდ გუ-
ლით, მეუფევე ზეცისა და მიწისა, უფა-
ლო ჩემო! და შეგდალაღებ შენ, აღვიარ-
ებ რა მამასა და ძესა და სულსა წმი-
დას, სამპიროვანს, არსებით ერთს, ჭე-
შმარტ ღმერთს, ყოვლად ძლიერს, ერ-
თობით მარტივს, უხორცოს, უხილავს
და აღუწერელად ბუნებრივს, არაფერ-
ზე უმაღლესს და არაფერზე უქვემო-
ესს, თავის გარდა არაფრის მქონეს, და
ყოველმხრივ უნაკლოსა და სრულყო-
ფილს, ურადონობოდ დიადს, უხა-
რისხოდ სიკეთეს, უყამოდ ყამიერს, სი-
კვდილს გარეშე მცხოვრებს, უძლუ-
რების გარეშე ძლიერს, სიცრუის გარე-
შე ჭეშმარიტს, ადგილ გარეშე ყველგან
მონაწილეს, უსამყოფელოდ ყველგან
მყოფს, უმანძილოდ ყველგან შემზ-
ვედრს, ყველა ქმნულში შეუსვენებ-
ლივ მონაწილეს, საჭიროების გარეშე
ყველაფრის შემოქმედს, უშრომლად
ყველაფრის გამგებელს, საწყისის გა-
რეშე ყველაფრის საწყისის მიმცემს.
განრინებულად ყველა გარდაქმნათა
მწარმოებელს, სიდიადით დაუსრულე-
ბელს... სიკეთით უდიადესს... მარად
ურყვევს და მარად მოძრავს...

ავგუსტინემ შეისვენა. მერე მანუსკ-
რიპტი გვერდზე გასდო და ახლა თავის
„ფსალმუნთა განმარტებებს“ დასწვდა,
ძლივს მიაგნო საჭირო ადგილს, შანდა-
ლი წიგნთან ახლო მიიტანა და, სანამ
მის სინათლეზე კითხვას შეუდგებოდა,
ჯვარცმას მიმართა:

— შენდამი ერთგულებით და ჭეშმა-
რიტი გულით ვემსახურე ჩემს მრევლს,
შენ უკეთ უწყი, რაოდენი ჯაფა გადა-
მხდა ადამიანთა სწორ გზაზე დაყენები-
სათვის. მაგრამ რაა თვითონ ადამიანი?
წმინდა მოციქულებისგან ვისწავლე
ზოგი ჭეშმარიტება და ისინი აღუწერე
კიდევ.

და ავგუსტინემ ჩუმად ჩაიდუღუნა
თავისი „ფსალმუნთა განმარტებანის“
ერთი ადგილი:

— „განა გული ადამიანისა უფსკრუ-
ლი არაა?“
და იმავე პარაგრაფში იპოვა პასუხი:

— „რამ არს უფსკრული იგი, რომე-
ლიც უფსკრულსავე იზიდავს? თუ უფს-
კრული არის რაღაც ღრმა, მაშინ გუ-
ლი ადამიანისა უფსკრული არაა? რა-
ამ უფსკრულზე უფრო ღრმა? ადამია-
ნებს შეუძლიათ, ილაპარაკონ, შეიძ-
ლება ვუცქიროთ მათს მოქმედებას,
მოვისმინოთ მათი სიტყვები. ვის აზრ-
ში შეიძლება შეღწევა, ვის გულში ჩა-
ხედვა? როგორ გავიგოთ, რას მალავს
ადამიანი თავის შიგნით, რა ძალუძს
თავის შიგნით, რა გადაუწყვეტია თა-
ვის შიგნით, რა გეგმები აქვს თავის
შიგნით, რა სწადია თავის შიგნით ან
რა არ სწადია თავის შიგნით? ჭეშმარი-
ტად, ვფიქრობ, უფსკრულია ადამიანი.
უფსკრული ეზიდება უფსკრულს, ადა-
მიანი — ადამიანს. უფსკრულს მოუწო-
დებენ წმინდა საღვთო სიტყვის მქა-
დაგებელნი. და განა თვითონ ისინი
უფსკრული არ არიან? როგორი ღრმა
სისუსტე იმალებოდა წმინდა პეტრე-
ში, იგი არც კი დაეჭვებულა, რა ხდე-
ბოდა მასში, როცა აღთქმა დასდო, რომ
მოკვდებოდა უფალთან ერთად და უფ-
ლისთვის, როგორი უფსკრული გადაი-
შალა მაშინ, თუმცა ეს უფსკრული
მხოლოდ ღმერთის თვალებმა იხილეს
მამასადამე, ყველა ადამიანი, თუნდაც
წმინდანი, თუნდაც დაყულებული, თუ-
ნდაც კეთილ საქმეთა ჩამდენი — უფ-
სკრულია. მაშინაც უფსკრულია, რო-
დესაც მარადი ცხოვრება აქვს სახეში
და ადამიანს უქადაგებს რწმენასა და
ჭეშმარიტებას...“

ავგუსტინემ გვერდზე გადადო ეს მა-
ნუსკრიპტიც. ერთხანს სდუმდა. ბო-
ლოს თვალები მიაპყრო გარდამოხსნას
და წარმოთქვა.

— და, აი, მეც, ერთი უფსკრულითა-
განი ვლგევიარ შენს წინაშე, იესუ ჩე-
მო, ვითარცა უკანასკნელ სამსჯავროს
წინაშე. მე უკვე გავაშიშვლე ყველა ჩე-
მი უფსკრული „აღსარებაში“ შენს წი-
ნაშე. მე ზეპირად მახსოვს ის ადგილი,
თუ რაოდენ გავიხარე, როცა ჩემსავე
თავში გიპოვე.



და ავგუსტინეს შანდლის შუქზე თვალები უღამაზესად გაუბრწყინდა; თუმცა მის ხმას ძალა არ შემატებია. იგი ზეპირად იმეორებდა თავის საყვარელ სიტყვებს:

— გვიან შეგიყვარე მე, მშვენიერება, ესრეთ მსოფიანო და ესრეთ ქაბუკო, გვიან შეგიყვარე შენ! აი, ჩემში იყავ შენ, მე კი შენს გარედ ვიყავ და იქ გეძიებდი: შენ მიერ შექმნილ ამ კეთილსახიერ სამყაროში ვიჭრებოდი მე, უსახური და უმსგავსო! ჩემთან იყავი შენ, მე კი არ ვიყავი შენთან! შენგან შორს ვყავდი დაჭერილი იმ სამყაროს, რომელიც სულ არ იარსებებდა. შენში რომ არ არსებულებო, შენ მომიხმე მე, მალალის ხმით მიწოდე და განხეთქენ სიყრუე ჩემი. გაიღვე შენ, გაბრწყინდი და განდევენ სიბრმე ჩემი: შენ გადმოღვარე კეთილსურნელება თვისი, შევისუნთქე მე და ეხლა სული მეხუთება უშენოდ. მე გიგემე შენ და გემოც ვიხილე შენგან, უფალო, და ამიერიდან ღმერთი ჩემი მშობის და უფალი ჩემი მწყურის, შენ შემეხე და მე აღვიგზნე შენი საუფლოსადმი.

ავგუსტინე დადუმდა. მერმე ანთებული შანდალი ასწია და მაცხოვრის გარდამოხსნას მიმართა:

— მარგუნე, იესუ ტკბილო, უშფოთველი და წყნარი სიკვდილი! თუ ჰიპონის დაღუპვა მოელის, ჩემი თვალები აარიდე ამ სანახაობას და უფრო ადრე მიიბარე ჩემი სული. ხოლო სულის ამოხდომის ეამს ნუ მომიკლენ სინდისის მქეჯნავს, უფალო ჩემო!..

ავგუსტინემ ლოცვა დაამთავრა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ წაფორხილდა, ერთ მუხლზე დაეცა და შანდალი ხელიდან გაუვარდა. სანთელი ჩაქრა.

ხმაურზე პოსიდიუსი უმაღვე მასთან გაჩნდა, მოძღვარი ზეზე წამოაყენა, მხარში შეუღდა და საწოლ ოთახში გაიყვანა, სადაც წმინდანი თავის ლოგინზე დაეშვა თითქმის სასომიხილი.

გეიზარისმა თავისი პირველი კარავი დასცა ჰიპონის ახლოს, დედათა მონასტრის შესავალთან. კარავის ვეება შვეტილოს ნახევარგლობულის ფორმა ჰქონდა, ოღონდ გუმბათი იყო გამოჭრილი, საიდანაც კარავის შიგ მყოფთ დღის შუქი უხვად ეფრქვეოდათ. თუ წვიმა წამოვიდოდა, რკინის ბოძებით დამაგრებული კარვის თავზე კიბით აღიოდნენ და ტილოს გადააეცილ ნაწილს სწრაფადვე ხუფვიით გადაათარებდნენ სამხრეთით კარავს ვიწრო შესასვლელი ჰქონდა — ტილო ნახევრად იყო ჩავეთილი და აქედან შედიოდნენ ვანდალთა მეფესთან მისი თანამებრძოლნი, ლაშქრების მეთაურნი ან ვანდალების მხრით ნუმიდის ჯერ აღუბეული ქალაქების მიერ მორჩილების აღიარებისა და პატივების გამოსათხოვრად მოსული დესპანები.

მეორე კარავი გეიზარისს ჰიპონის აღმოსავლეთით, ზღვისპირას ჰქონდა გაშლილი, თუმცა იქ დამპყრობი იშვიათად ათევდა ღამეს. ქალაქის ქონგურებზე აქა-იქ კიდევ ჩნდებოდნენ ჰიპონის მცველები თავიანთი გრძელტარიანი სატევრებით და სირიაში შექმნილი დამასკოს ხმლებით. მაგრამ ქალაქის კედლის გადმოლახვა მათ არ შეეძლოთ, ზღვიდან ჰიპონში შესასვლელ ალყავს მტრის ფლოტი და ვანდალთა ლაშქრის მოწინავე არიერგარდი მტკიცედ იცავდა. ისედაც, ზღვის სანაპიროზე გავლას აძნელებდა აუტანელი სიმყარაღე, წყლის ტალღები ათამაშებდნენ ვანდალთა გრძელი შუბებით ვანგმირულ და ზღვის ნაპირზე გამორიყულ ჰიპონელებს. ცხედრები ნახევარი ტანით ტიეტივებდნენ ზღვის ტალღებზე და ისეთს სუნს გამოსცემდნენ, რომ სუფთა წყალს დაჩვეული თოლიები არეულად დაფრინავდნენ. ანკარა წყარობიც, ზღვას რომ ერთვოდნენ, ამღვრელი მოედინებოდნენ და ბინძური გემო შექმნიათ, თოლიები არც

ამ რუბესა და წყაროებს ეკარებოდნენ. ჰიპონის ფორუმზე გორგონას ხაზიდან მხოლოდ წვეთ-წვეთად მოედინებოდა წყალი, სასმელ მდინარეთა ყველა არტერია გეიზარისის ბრძანებით ალყის დაწყებისთანავე ჩაეკეტათ და სხვა კალაპოტით მიეშვათ, ქალაქის წყურვილით მოსაშობად ვანდალები ყოველ ღონეს ხმარობდნენ. მოსახლეობის უწყლოდ ამოწვეტის შემდეგ ქალაქი ნაცარ-ტუტად უნდა ექციათ.

ყველაზე მეტად გეიზარისის ზიზღს გვრიდა ზღვის სანაპიროზე გამეფებული სუნი და სიბინძურე. მას არც იმის დანახვა ანიჭებდა სიამეს, რომ ზღვის ტალღების მიერ შორს გატაცებულ ჰიპონელთა გვაშებს ზღვა ხელახლა უკანვე უგზავნიდა ქალაქის სანაპიროს.

გეიზარისის კარავის შემოსასვლელის ფარდები კვლავ ორად გაიყო და ერთ-ერთმა მცველმა-ვანდალმა ვილაც ხანდაზმული, მაგრამ ჯანმრთელი გარეგნობის მამაკაცი წარუდგინა ვანდალთა მეფეს, რომელსაც გაეგო, მისი ნახვა ეწადა წმინდანის ნაცნობს.

გეიზარისი მრგვალ მაგიდას უჯდა და წინ ნუმიდიისა და კართაგენის ქარტაედო. მზისგან გარუჯული სახე, დაბალი შუბლი და სრულიად გაუმჭვირვალე და უნდობელი თვალები (ისინი ხან მრისხანებით ინთებოდნენ, ხან კი უბეებში ქრებოდნენ) აქამდე უცნობი რასის ადამიანის იერს სძენდა მას. მთლიანად რკინის ნაჭრებისგან ნაკეთები სამოსელი უფარავდა მკერდს და მუხლებამდე სწვდებოდა. განუწყვეტლივ ამოძრავებდა მოკლე ფეხებს, იატაკს რომ ძლივსლა სწვდებოდნენ. ვანდალთა მეფის თავს ხშირი, ფაფარივით თმა ფარავდა. ფართო ნესტოებიანი ცხვირი ჰქონდა.

გეიზარისის ზურგს უკან ზეზე იდგა ლამაზი და ახმაზი შუბოსანი, რომელსაც შუბლი ძვირფასი სამკაულებით ჰქონდა დამშვენებული.

ავგუსტინეს მეგობრის სახელით მო-

სული რომელი მოწიწებით იდგა გეიზარისის წინაშე.

— ვინ ბრძანდებით, ან რატომ გარჯილხართ! — ჰკითხა სტუმარს გეიზარისმა და ხელში შეათამაშა ბატისფრთა, რომლითაც ქარტის ზოგიერთ ადგილებს ხაზს უსვამდა. ერთი ვანდალა თარჯიმნობას სწევდა.

— მკურნალი გენადი გახლავართ! მაცნობეს, ჩემი ძველი და სათაყვანებელი მეგობარი, ჰიპონის სულიერი მოძღვარი, მძიმე ავად ყოფილა და მას მივუხმვიარ. ლოგინადაა ჩავარდნილი და სწრაფად უნდა ვინახულო; თუ თქვენი მეუფება ნებას დამრთავს, უკანასკნელად ვემთხვევი სულთმობრძავის მარჯვენას!

გეიზარისმა ჩვეულებრივ შეათამაშა ფეხები და მუხლი მაგიდის ზურგს უნებლიეთ ამოჰკრა.

— ჯერ ის ამიხსენი, — ამბობდა გეიზარისი, თან ფაფარს არხვდა და თვალებიდან ასხივებდა ყველაფრის მიმხვედრ ჰქუას. — ჯერ ის ამიხსენი, რას ნიშნავს „სათაყვანებელი მეგობარი“ ან რას გულისხმობ „მეგობარში“?

— წმინდანი ხშირად იმეორებს ბერძენი ფილოსოფოსის აზრს: მეგობრობა ნიშნავს ერთნაირ სულს სხვადასხვა სხეულშიო, მეფევე უბასუხა გენადიმ.

გეიზარისს ეშმაკურად აუკიაფდნენ თვალები.

— არავითარი მეგობარი ან მეგობრობა არ არსებობს. ადამიანი, რომელიც შეეცდება, თავის გარეშე იპოვოს დასაყრდენი — უეჭველად ბრყვია. ამ შეხედულებას, მგონი, ერთი თქვენი ლათინური ანდაზაც ადასტურებს.

გეიზარისი წამით დადუმდა. მერე გენადის მტკიცე ხმით განუცხადა:

— თუ შენს წმინდანს ღმერთი წყალობს, მას არაფერი გაუჭირდება: სამება დაიფარავს! — უკანასკნელი ორი სიტყვა მან დამცინავად, მაგრამ ძლივს წარმოთქვა, რადგან ლათინური ცუდად იცოდა და, ვითარცა გუთური ენის ერთ-ერთ კილოკავზე მოლაპარაკე, ენაბრგვილ ლათინურ ფრაზებში გენადის-

ათვის გაუგებარ სიტყვებს ურთავდა. ამასთან, არიოზის მოძღვრების მიმდევარს სამებისა არაფერი სწამდა.

გენადი თავდახრილი იდგა აფრიკის მრისხანე დამპყრობის წინაშე.

გეიზარისმა ფაფარიანი თავი უტბად სკამის ზურგს უკან გადახარა და ცალი მოჭუტული თვალით გენადის ანიშნა:

— ამ შუბოსან ვაჟბატონს თუ იცნობ, ჩემს უკან რომ დგას?

— თქვენი ერთგული მცველია ალბათ, მეფეო!

— ახ, მცველი, მცველი, მე მხდალი არა ვარ და მცველი არ მჭირდება, კარვის დამცველებს ერთი რამ ევალებათ მხოლოდ: ძილი არავინ გამიფრთხოს. — ამბობდა გეიზარისი და პაერის შესუნთქვისას ჩვეულებრივ ვეება ნესტოებს ჰბერავდა.

— მიკვირს, რომ უფლისწული ვერ გამოიცან. ნუთუ მისმა ოქროთი ნაქერმა შესამოსელმა და დიადემის ძვირფასი თვლების ელვარებამ არ გაფიქრებინა, რომ იგი ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. ეს პირველი და უკანასკნელი ძეა ჩემი... — მერმე ისევ უკან მდგომს მიუბრუნდა და უბრძანა:

— შენ თვითონ გააცან თავი!

— სვევთა, ვანდალთა და ალანთა მბრძანებლის, ხმელეთისა და ზღვათა მფლობელის, უძლიერესი მეფის გეიზარისის ძე ჰუნარისი!

გენადიმ ისევ მოწინებით დახარა თავი უფლისწულისათვის პატივის მიგების ნიშნად.

— ახლა როგორ გამოიყურება, მკურნალო, ჩემი მემკვიდრე?

— კალმით დახატულს მიაგავს თქვენო მეუფებაჲ! — მიუგო გენადიმ. ჰუნარისი, მართლაც, ლამაზი, თეთრი პირისკანიანი და ქერათმიანი ვაჟი იყო, მამის გამჭრიახი თვალთნის ჰქონდა. ცხვირი კი მთელ სახესთან შეხამებული და სიმეტრიული. მიუხედავად არაჩვეულებრივი სიმაღლისა, ასტრონომი აგებულებისა სჩანდა, თანაც ფაქიზ და მიამიტ ბუნებას ავლენდა, ეტყობოდა, ყაჩაღისა და მძარცველის სისხლი ზო-

მიერ ინსტიტუტბად კრისტალდებოდა. ვანდალთა მეფის მემკვიდრეში. გეიზარისი განაგრძობდა:

— ჯერ უტოლოა, ცოტა დაიცადოს, როცა კართაგენს ნაცარტუტად ვაქციე. მე ისევ რომისკენ ვიბრუნებ პირს და ქალაჩუნა იმპერატორ ვალენტინიანე მესამეს უმშვენიერეს ცოლს, ბიზანტიის მეფის თეოდოსი მეორის ასულ ათენაიდას მოვპარე და ჩემს ძეს დავუსვამ მომავალ დედოფლად (თავის მეუღლეს გეიზარისი არ ახსენებდა, რადგან დიდი ხანია შხამით საესე ფილა მიეწოდებინა მისთვის და დედოფალს შიმურვანთა ხელში დაუღუგვია სული). სხვათაშორის, უნდა მოვახსენო, რომ ჩემი მომავალი რძლის ბერძენ დედასაც ათენაიდა რქმევია, ოღონდ თეოდოსის ქრისტიანად მოუნათლავს და ევდოკია დაურქმევია. ახირებული და იჭვიანი იმპერატორია თეოდოსი მეორე, ცოლს გაეყარა და ათენაიდა-ევდოკია აგერ, მგონი, ოცი წელიწადია, იერუსალიმში აღამებს წუთისოფელს. მაგრამ კმარა, თქვენი ატრიუმი სად მდებარეობს? — შეეკითხა უცებ იგი გენადის.

— დედათა მონასტრიდან არცთუ შორს, მე ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობ, მეფეო!

— დაუბრუნდით თქვენს სახლ-კარს, სანამ იგი კიდევ გემსახურებთ!.. — გეიზარისმა ანიშნა, რომ მასთან საუბარს ამთავრებდა.

გაზბილებული გენადის კარვიდან გასვლისთანავევე კარისკაცებმა აცნობეს გეიზარისს, რომ მისი პირადი ნახვა ახლა ეწადა ავგუსტინეს დას. დედათა მონასტრის მთავარი ილუმენიას. ცოტათი განცვიფრებულმა ვანდალთა მეფემ უმაღლვე ვასცა ბრძანება, კარავში შემოეშვათ იგი.

გეიზარისის წინ უსაშველოდ გამხდარი, სახდამქნარი და უშნო ქალი იდგა. რიდე კეფაზე გადაეწია.

— მართლა ამ დედათა მონასტრის ილუმენია ხართ და ავგუსტინეს ნამდვილი დაჲ, როგორც აქ მითხრეს? —

შეეკითხა გეიზარისი. თარჯიმანმა სწოთ
ლათინურად უთარგმნა მეფის სიტყვე-
ბი სტუმარ ქალს.

— მართალი მოუხსენებიათ, მეფეო...

— მიუგო ქალმა.

— სახელი?

— ჩემი... მონაზვნობის სახელია... პე-
რპეტუი! — რატომღაც წაიბოროცა
ქალმა პასუხის გაცემისას.

— პერ... პერპეტუი!.. — გაიმეორა
გეიზარისმა. თან ხელქვეითებს უბრძა-
ნა, საჯდომი მიერთვათ მისთვის. პერ-
პეტუი მორიდებული სახით დაჯდა
სკამზე.

— რამდენი ხანია, არ გინახავთ ამ
ქალაქის მოძღვარი?! — გაიმეორა გეი-
ზარისმა გენადის მიერ წმინდანისთვის
შერქმეული ეპითეტი. — ალბათ, ხში-
რად ნახულობდი მოძღვარს, იგი ხომ
თქვენი ღვიძლი ძმა!

— მას ერთხელაც არ შემოუხედავს
ჩემთვის, პერ-მონაზნური კანონი უკრ-
ძალავდა ამას. და არც ერთი სხვა ქა-
ლისთვის. იგი მონასტერში მისვლისას
სხვა საქმეებით იყო გართული. მაი-
დაშვილებსა და დეიდაშვილებსაც არ
იკარებდა ახლოს, ისინიც აქ ცხოვრო-
ბენ. თავისავე ქვრივ დას ერთხელაც
არ გამოლაპარაკებია, მეფეო!

— ესე იგი, არც შენ?

— დიად, არც მე. — მიუგო ქალმა.

— მაშინ რატომ გაგიჩნდა იმედი,
რომ სულთმობრძავი ახლა გაგიბამს სა-
უბარს?

— ხანგრძლივი საუბრისთვის როდი
მინდა, ვინახულო, მეფეო. მწადია, მხო-
ლოდ მომავლდავს გამოვეთხოვო. მისი
უიღბლო ოჯახის წევრებსა და ნათესა-
ვებს ყოველთვის დიდად უყვარდათ
იგი. სიკვდილის წინ მე ერთი ვინახუ-
ლებ დე, ალბათ, გახელილ თვალებს
მომპაყრობს!

გეიზარისი გულდასმით უსმენდა.
თითოეული სიტყვის ამოღებისას ეს
ქალი, პერპეტუი, გეგონებოდათ, სლუ-
კუნებსო.

ვანდალთა მეფე მთელი თავისი არ-
სებობით ვერ იტანდა ბებერ დიაცებს. მა-

გამ ავგუსტინეს დას პატივისცემით
მოეპყრა და უარით არ გაისტუმრა, ჰა
ნარისისაკენ მიბრუნებულმა ბრძანებ-
გასცა:

— შენ თვითონ მიაცილე ბილიცს
ნახევრამდე, კლდოვან ბორცვამდე,
აქედანაც კარგად რომ მოჩანს! ჩემმა
მოსისხლე და მოძულე ავგუსტინემ და-
იმსახურა, რომ მას ღვიძლმა დამ ეამ-
ბოროს ხელზე... ბილიცს შემდგომ
ნაწილი განზრახ ჩვენს ხელთ არაა. ქა-
ლის უკან დაბრუნებამდე ბორცვთან
დაუცდი და ჩვენი ალყის ადგილებამდე
მიაცილებ, რომ მშვიდობით დაუბრუნ-
დეს თავის სულიერ დებს...

გრძელ-შუბოსანი ჰუნარისი ადგი-
ლზე დაიძრა და ქალთან გაჩნდა. თარჯი-
მანებმა ქალს აუხსნეს გეიზარისის
დიდსულოვანი ბრძანება.

კარვის გასასვლელის სინათლემ და
მერმე ისევ ფარდების შეკვრამ ჰუნარი-
ხის და მოხუცი ქალის სახეები შთან-
თქა.

9. პერპეტუის სახეცვლილება

როცა ქალმა ჰიბონს მიაღწია, პოსი-
დიუსმა, თუმცა ვერ იცნო თავისი მოძ-
ღვრის სახეშებურვილი დაჲ, ავგუსტი-
ნეს საწოლი ოთახის კარები უხმაუროდ
გამოაღო და სტუმარი შიგ შეუშვა.

როცა ავგუსტინემ თვალი გაახილა,
ბინდ-ბუნდში ძლივს გაარჩია მისი სა-
რეცლის ბოლოს, სკამზე მჯდომი მიხ-
რწნილი ქალის რიდეახდილი სახე.
წმინდანის უწამწამო გუგებიდან გამომ-
ზიარალი ორი თვალი დააცქერდა სტუ-
მარს, მაგრამ საკუთარი ღის სახე მო-
ხუცი ქალის გამომეტყველებაში ვერ
ამოიციწო.

ავგუსტინემ კვლავ დახუჭა თვალე-
ბი და ამოიგმინა:

— პერპეტუი, სათნო დაო ჩემო.
პერპეტუი! — წმინდანის ხრინწიან
ხმაში მადლიერების გრძნობა გამოს-
ქვივოდა, — „ხომ ხედავ, უზენაესი. უჩ-
მობს შენს ძმას თავისთან... შეუნდე
უფლის მონას, ხომ არასოდეს დამირ-
თავს ნება ჩემი ნახვისა ამ ოცდაათი

წლის მანძილზე, თუმცა დედათა მონასტერს ჩემს საცხოვრებლამდე ორი ნაბიჯიღა აშორებს... ვინმე ქვირევ-ოხერი თუ მომადგებოდა კარზე, მას დაველაპარაკებოდი ხოლმე ჩემი მდივნის ან პრესბიტერთა თანდასწრებით, შეწყალებას მიხოვდნენ ხოლმე და, თუ რამე მებადა, არაფერი დამიზოგავს მათვის.

სტუმარი ხმაგაკმენდილი იჯდა. ავგუსტინეს თვალები ქერისათვის მიეპყრო. წმინდანი თითქოს ღმერთს აღუვლენდა ღალადისს:

— უფალმა უწყის იქ, დედათა მონასტერში, რომ თავდახრილი მოგინახულდებით შენ და შენს დებს, მაშინაც არ მომიკითხავხარ, ვითარცა მათი ილუმენია. არც შენ გადმოგიდამას ნაბიჯი ჩემსკენ, თუმცა ვილაც სახეშებურვილი დედაბერი არ მეშვებოდა, აკვიატებული აქეთ-იქით დამსდევდა. კარგად მოიქეცი, პერპეტუი, სასუფევლის დამკვიდრებისათვის ახალგაზრდა ქვირევმა რომ დასთმე ბოროტებით აღსავსე ქვეყანა...

სკამზე მჯდარ ქალს ამჯერადაც არ გაუღია ხმა. ავგუსტინეს ეუცხოვა საყვარელი დის ეგზომ ხანგრძლივი დუმილი. თვალი ისევ გაახილა, ორივე იდაყვით საბანს დაეყრდნო და ზეზე წამოიწია. სარკეელში წმინდანი სულს ძლივს იბრუნებდა, თავის შესახვევი ბალიშზე დაეარდნოდა.

ავგუსტინემ ორჯერ გაიმეორა მიმართვა:

— პერპეტუი, პერპეტუი!

— მე პერპეტუი არა ვარ! — გაისმა ავადმყოფის ფეხების ახლოს მჯდომი ქალის ხმა, რომელსაც რიდე საესებით მოეხადა, ვიწრო ქუთუთოებიდან გამოშვრალი ორი ფერგაუთრჩეველი თვალით შეყურებდა წმინდანს. მას ჰქონდა გამხდარი, უსაშველოდ ნაოქებიანი ლაწვეები, უშნო და წვრილი, ნისკარტის მსგავსი ცხვირი მისივე ზედა ტუჩის დაბჯენოდა, ეტყობოდა ორიოდე კბილი შერჩენოდა, რის გამო ნიკაპი ბაგეებს ზედ მიკვროდა. ავგუსტი-

ნე გაოცებული შესცქეროდა მას, ოღონდ სლაც დის სანდომიანი სახე ასე შეეძინა რავად როგორ გამოიკვლებოდა და წინანდელ იერს საესებით დაჰკარავდა?.. ნუთუ მონაზნობამ ჯოჯოხეთის მაშხალად აქცია ოდესლაც ცუტრუმელა პერპეტუი?

— ვერ მიცანი, განა?! — ისევ აჩიფიფდა სტუმარი. ავგუსტინეს არაფერი უპასუხნია, დაუინებით შესცქეროდა კი.

— ვინ ვიკოცნიდა, ავრელიუს, ხუტუტა წვერს, რომლის რამდენიმე ბეწვილა შეგრჩენია ლაწვებსა და თავზე... რომელი სნეულების მწერებმა შემუსრეს შენი ლამაზი სახე?.. ვის შიშველკერღზე გიყვარდა თავის მიღება ვენბისაგან დაქანცულსა და თვლემამორულს?.. — ქალი აბნეულად ლაპარაკობდა.

ავადმყოფი ახლა შეძრწუნებული შეყურებდა უცნობს. ავგუსტინეს უამრავი ქალი უგემნია, თავასტისა და მადავრის ქუჩებში ისე არ ჩაუვლიდა ვინმე ლამაზმანს, მისთვის მაცდურად არ ჩაეგრა თვალი და ქალაქის რომელიმე კუთხისაკენ არ მიეხმო სალაღობოდ. და ისინიც უყოყმანოდ ნებდებოდნენ მოხდენილი და თან მოუგერიებელი მიმზიდველობით დაჯილდოებულ ჭაბუქს, რომლის გარეგნობას რომის ერთი იმპერატორის გარეგნობას ადარებდნენ თავასტელი ტურფები. მაგრამ ავგუსტინემ, დიდი ხანია, გადაივიწყა მათი სახელები, აბა, ახლა როგორ უნდა მოეგონებინა ვინმე მათგანი? ან რა სახელით მიემართა მოულოდნელი სტუმრისათვის, ვისი გამომეტყველებაც არავის აგონებდა.

— დაგავიწყდა განა, თხუთმეტი წლისა რომ გამოეთხოვე დიაცთა შორის ხეტიალს და ერთი ტურფა აირჩიე ხარჭად?.. აკი ამ ლამაზმანთან შეგეძინა უღროოდ გარდაცვლილი საყვარელი ვაჟი, კენტი ნაყოფი შენი უკანონო სიყვარულისა... ახლა ხომ იცანი შენი ხარჭა, ვისი სახელიც არც ერთს თხზულებამში არ აღნიშნე, გეწადა, ყველას გადაევიწყა ჩვენი ეგზომ ხანგრ-

ძლივი სიყვარული?.. როგორ გამო-
ცვილებარ ავრელიუსს... გაიხსენე, ვინ
გიოცნიდა კარაკალას ხუჭუჭა თმას,
და ამჟამად უბალნო ლაწვებს... კარა-
კალა, ჩემო კარაკალა... ვინ შეგარქვა
ეს სახელი, ავრელიუს?

ავგუსტინემ ამ სახელის გაგონები-
სას იცნო თავისი ხარჭა, რომელსაც
ორმოცდახუთი წლის წინ გაეყარა. შე-
მდეგ ერთხელაც არ მოუკრავს თვალი
მისთვის, არც ეგულებოდა ცოცხალ-
თა შორის. გასისხლიანებული აღმოჩნ-
და ავგუსტინეს სული მაშინ საყვარელ
არსებასთან განშორების გამო, მაგრამ
საყვარელი დედის დაქინებული თხოვ-
ნით უარი თქვა დაბალი წარმოშობის
მზეთუნახავის ცოლად შერთვაზე. ბე-
რად აღკვეცამდე მან კიდევ მოასწრო
ვიღაც ქალთან კავშირის გაბმა, მაგრამ
ძალიან მცირე ხნით. მედიოლანუმში
გამგზავრებამ წერტილი დაუსვა მის
ოჯახურ იდეალებს, ამ ქალაქში მოაქ-
ცია ქრისტიანობის წილში იგი სახელ-
განთქმულმა ამბროსიომ. დედა რომის
ახლო გარდაეცვალა, თავასტაში და-
ბრუნდა ასკეტად, მთელი მამისეული
ქონება ქვრივ-ობლებს დაურიგა და
რამდენიმე მეგობართან ერთად ბერად
აღიკვეცა.

... მაგრამ რაოდენ სასტიკი ხარ, უფა-
ლო ჩემო, სიხარულო და სიცოცხლე
ჩემო: ბერად აღკვეცის შემდეგაც სა-
შინლად მიშლის ხელს ჩემი მეხსიერე-
ბა, ვერა და ვერ გადავივიწყე ჩემი
ცოდვილი სიყვარული სანუკარ ხარ-
ჭასთან. ძილშიაც მხოლოდ ის მელან-
დებოდა. სხვა დღეებთან გატარებული
ავხორცობის წუთები სრულიად წაი-
შალა ჩემს გონებაში, ამ ქალთან ერ-
თად სარეცელში განცდილი ალერსის
მსუსხნავი მოგონება კი დღემდე გამომ-
ყვა. ახლა რა შემთხვევამ გააცოცხლა
იგი და სიკვდილის წინა უამს მოაგდო
ჩემს საყუდებელში?..

იმპერატორ კარაკალას სახელის გა-
გონებამ თავისი მრუში თავგადასავლე-
ბის ისტორია თვალწინ გადაუშალა და
ავრელიუსს მთელი ტანი აუცახცახ-

და. ხელები მოეშვა, გადაქანდა და ისევ
თავით ბალიშს დაეცა.

წმინდანს მძიმე ავადმყოფობის დრო-
საც არ სტოვებდა მეფური სიმშვიდე,
ახლა კი, როცა უფლისათვის სულის
უღრტივრველად ჩაბარების უამი და-
სდგომოდა, ალბათ, თვითონ ღმერთს
გამოეგზავნა მისთვის ჯოჯოხეთურ-
სახის მქონე მიხრწნილი დედაკაცი ჭა-
ბუკისდროინდელ ცოდვათა მხილებისა-
თვის. რასაც სწეული ავრელიუსი ახლა
ხედავდა და ისმენდა, ყველაფერი ცხა-
დსა და სიზმარეულს შორის ტორტმა-
ნებდა.

ავადმყოფმა ძალა მოიკრიბა ხმის
ამოსაღებად.

— აქ როგორ მოგიშვეს, — თვალ-
დახუჭულმა ძლივს იკითხა. — ქალაქი
გარემოცულია... ან თავასტიდან ჰიპო-
ნამდე როგორ მოაღიწე?

— თავასტა აღარც მახსოვს, ავრე-
ლიუს, ავერ ოცდათხუთმეტი წელიწა-
დია, შენს მიერ დაარსებულ დედათა
მონასტერში ვარ მონაზვნად აღკვეცი-
ლი. სანამ ჰიპონში გადმოასახლებდი
შენს იქაურ სულიერ დებს, მე უკვე
მათ შორის ვირიცხებოდი ორგზის გა-
მოცვლილი სახელით. აქაც შენს ნატე-
რფალს გამოეყვევი, ჩვენი სხეულების
დაშორების დღიდან ისევ და ისევ განუ-
შორებლად შენს აჩრდილს დავსდევ-
შეგისრულე, ავრელიუს, დაპირება:
არც ერთს მამაკაცს არ მიეკარებოვარ
შენს შემდეგ. როცა აქედან ქვემოთ
ჩამოდიოდი მონასტრის საქმეთა შესა-
მოწმებლად, სახეშებურვილი გვერდით
ან ზურგს უკან აგეტუხებოდი და არ
გშორდებოდი. ვერ შეგელოე, ვერ გა-
დავივიწყე, სულზე უტკბესო, ახლაც
ვგრძნობ შენს მკლავებს ჩონჩხად ქცე-
ულ ჩემს წელზე, შენს საშიშ და აჩქა-
რებულ სუნთქვას, ვხედავ ჩემსავე
მრგვალ და ზომიერად სქელ ტუჩებს,
შეხედე, როგორ დამჭკნობია ისინი, ასე
უიმედოდ რომ ელოდნენ შენს ახალ
ამბორს... გესმის კი ჩემი ჩიფჩიფი, ავ-
რელიუს?

ავგუსტინემ საბანი სახისაკენ აიწია,

რომ სულ დამალულიყო. და თხელი საბანი ამხელდა, რომ წმინდანის მთელი სხეული კვლავ ცახცახებდა. სტუმარი კი იგონებდა და იგონებდა:

— როცა შენს ხუჭუჭა თმებს პირში ვიბლუჯავდი, მაშინ უფრო თრთოლი, ოღონდ ენით გამოუთქმელი სიამოვნების გამო, ჩემო კარაკალავ!.. სად და როგორ მიპოვე ეგზომ ავხორცმა შენს დამთხვეულ სასიყვარულო ხეტიალში? ეგებ ქარში ჩემი ხშირი თმისა და ამაზიგის ჭრელჭრულა კაბის ფრიალმა მოგტაცა თვალი თავასტაში!.. ვნების დაცხრომისათვის გაუჩენინარ ღმერთს აფრიკის მცხუნვარე მზის ქვეშ დაბადებული და არა ქორწინებისა, ოჯახის მოვლისა და შვილების გაჩენისათვის, თუმცა კათოლიკური ეკლესია რომაელთ ხარჭის ყოლის ნებას რთავს... შენ კი ხარჭაც მიმატოვე და თავასტის ტურფა ვოგონა ბედის ანაბარად დამტოვე. გათვალისწინებულ ქორწინებამდე რომ ერთი თვით ვიღაც ქალს გადაეკიდე, მითხარი, რატომ მიატოვე ისე მალე, მედიოლანიუმში ქრისტიანად მოქცევამდე? ვერ დავაცხრო ჩემსავით განა? რად აღიმართე ობოლი ამაზიგის ცხოვრების გზაზე ეგზომ მრისხანედ? დღესაც ვერ გამიგია, მე გიყვარდი თუ შენივე მრუშობა გიყვარდა... ო, კარაკალავ, შენი თვალები ძალიან მიაგავდნენ ღამით მოწმენდილი ცის კაბადონზე ურიცხვ ვარსკვლავთა ციმციმს, მარტოოდენ უფალმა უწყის, რამდენი ან გელოსური თუ პირუტყვეული ვნებანი ივლივებდნენ და ფერს იცვლიდნენ შენს თვითვეულ გამოხედვაში, შენი თვალების გუგებიდან გამოსხივებულ მზერაში... მაინც ვინ გიშვა ღამაში და ჭკვიანი ვაჟი, რომლის ნადრევემა სიკვდილმა (იგი ხომ ჩვიდმეტი წლისა გამოეთხოვა წუთისოფელს) უმალვე გამაჰღარავა, შენ კი, მგონი, ქრისტეს პოვნამ და მისდამი სიყვარულმა გადაგატანინა სულიერი სიმძიმელი. დედა შენს რომ არ დავეშორებინეთ, ეგებ უბრალო დეკურთონად დარჩენილიყავ და ბედნიერად ვიცხოვრებდით! დარდ-

მა ტირილს გადამაჩვია, ავრელიუს ჩემს მაგიერ ღმერთს უძღვენი... სამაგიეროდ, კი რა მოგეზო?... რას დამსგავსებინარ სულისდგამე!..

ავგუსტინეს ზეწარი ნიკაბამდე აეტანა. სტუმარი კი იგონებდა და იგონებდა:

— გახსოვს, ერთხელ მალულად რომ წამიყვანე რომში და იქ მხეცებთან ადამიანების სისხლიანი ბრძოლა მაჩვენე ცირკში... რატომ გიზიდავდა, ჩემო კარაკალავ, სისხლისღვრის სანახაობანი?

ავრელიუსი აკენესდა:

— ერთი უძილო ღამეც არ გამთენებია ისე, რომ ძილში არ მენახე. მე დღესაც ისევე მაწამებენ კოშმარები, როგორც ორმოცდახუთი წლის წინ, როცა თავასტის ქუჩის ერთ კუთხეში გამოგეთხოვე... მეგონა, სამუდამოდ მივეფარენით თვალთაგან ერთმანეთს! დიდხანს ბობოქრობდნენ ფარული ვნებანი ჩემში, მე კი ყველაფერი იმის მეშინია, რაც ჩემში ფარულია... — მოთქვამდა წმინდანი.

— არა, ახლაც სისხლისა გეშინია, ჩემო კარაკალავ, რადგან განუზომელად გიყვარდა იგი. აკი რომიდან დაბრუნებული გატაცებით მიყვებოდი თავასტაში ნამუსახილ ვოგონებზე და იმ ძმების სისხლზე, რომლის სარწმუნოება შემდეგ თვითონ აღიარე?

ავგუსტინე, ეტყობოდა, ახლა ცუდად უსმენდა სტუმარს. იგი თითქოს ბუტბუტებდა:

— დედათა მონასტერიც გეიზარისი ხელშია, დღე-ღღეზე ველი, როდის მომადგება არიოზის მწვალებლური მოძღვრების მიმდევარი ვანდალთა მეთაური და შურს იძიებს ჩემზე... შენ როგორ მოახერხე ქალაქის გარემოცვისაგან თავის დაღწევა და მარტომ აქ მოსვლა?

— თვითონ ვინახულე გეიზარისი, ვიცრუე, ავგუსტინეს დაჰპერპეტუი გთხოვ, მომაკვდავი ძმის ნახვის ნება დამრთე-მეთქი. საშინელი სახის ვანდალი რაინდულად მომექცა და მეფის ხელქვეითებმა, მისივე ძის ჰუნარისი

უფროსობით ბილიეს ნახევრამდე მო-
მაცილეს! მე ისინი ფულით დავაჯილ-
დოვე, იმ ფულით, უხვად რომ იმეტებ-
დი ჩემთვის.

— მაშასადამე, შენი ნამდვილი ვი-
ნაობა ვანდალებისათვის არ გამომხე-
ლია? — მისუსტებული ხმით განაგრ-
ძობდა დაკოთხვას დროებით მოლონიე-
რებელი წმინდანი, თუმცა საბანს ნი-
კათან არ იშორებდა.

— არ გამომხელია, ან რად უნდა გა-
მეხილა? მეთქვა, რომ საყვარელყო-
ფილის ნახვა მომენტრათ მის ხარჭა-ყო-
ფილს-მეთქი? მაშინ გამომიშვებდა კი?
პერპეტუიცი ლოგინადაა ჩაეარდნილი,
ფეხი გაუსივდა და ზეზე ვერ დგება.
ქალაქის გარემოცვის გამო მთლად სა-
სომიხდილია. მე კი არ შემეძლო, უკა-
ნასკენლად მიინც არ მენახე და არ მე-
თქვა, რომ საფლავეში კი არ განვისვენე-
ბდი აქამდე, არამედ შენს ჩრდილს დავ-
სდევდი და ისე მოვიტანე სული დღე-
მდე. ახლა კი, ორივე ჩვენთაგანის აღ-
სასრულის ყამს, აღვითქვამ: შენი ხარ-
ჭაც უმჭველად იმ დღეს დაღვეს სულს.
როცა შენი ამ ქვეყნიდან განშორების
ხმა მიადწევს მის ყურამდე... სიკვდი-
ლშიაც შენი ერთგული დავრჩები, ავ-
რელიუსს... ან რას ვუყურო შენს შემ-
დეგ, ჰიპონის დანგრეულ ქუჩებს და
ჩემსავე ჩონჩხს?... ჩემი ახალგაზრდობა
შენს ქარიშხლიან დღეებთან ერთად მო-
კვდა... განშორების შემდეგ ლამაზი
ტანსაცმლისაგან განძარცვილი, სახედა-
კაწრული და გაოგნებული დავებეტე-
ბოდი თავასტისა და მადავრის ქუჩებ-
ში. სადაც ოდესღაც ერთად ვლაღობ-
დით... საყურეები მოვიხსენი, სამაჭუ-
რები მათხოვრებს ვაჩუქე, ნაწნავეები
ბოლომდე შევიკრიპე, რომ ვისმეს არ
ვეცნე და ისე მივადექი სახედაკაწრუ-
ლი და მათხოვრის ძამით მოსილი თა-
გასტაში შენს მიერ დაარსებულ მონას-
ტერს... მერმე აქეთ გამოვეყვი მათ...
ახლა კი მარტოოდენ ფეხზე გეამბო-

რები და ჩემი ბედის უკანასკნელ გზა
გავუდგები...

ავგუსტინემ ისევ მოიკრიბა ძალა.
ლოგინში მეორედ წამოდგა და კისერი
წაიგრძელა, რომ კარგად დაკვირვებო-
და ქალს, განუზომელი სიყვარულით
რომ უყვარდა ოდესღაც. ნახევრად
ამაზიგს და ნახევრად რომაელს (რატო-
მაა უზომოდ მომხიბვლელი სისხლისმი-
ერი სიმბიოზის მქონე ასული?). თით-
ქოს მუდმივად ცრემლმორეული თაფ-
ლისფერი თვალი ჰქონდა, შავგვრემანი
იყო და კუნთებმაგარი. მსუბუქ თავ-
შესაფარში აგროვებდა ნაწნავეებს, წვი-
ვებამდე რომ სწვდებოდა ხოლმე. მხო-
ლოდ სარეცელში გაიშლიდა და ჩემი
სახე მისი თმის სურნელოვან ტევრში
იმალებოდა... ახლა?... თხელი თმის კა-
ლარა დერები კვამდე შერჩენია მხო-
ლოდ... თვალის უბებებში არ უდგას
ლამე, რომლის ცქერა ოდესღაც ლამის
ჰკუთას მაკარგვინებდა, ისინი აღარ
გამააშუქებენ სულისწამლებ და მრუ-
მე ფერებს... ნამდვილი ჯოჯო... უფა-
ლო ჩემო, რატომ დამსაჯე სიკვდილის
წინაც ყველაფრის გახსენების უნარით
და ყველა თავზარდამცემი წვრილმანის
შემჩნევით?...

და ავგუსტინეს მწითური ლაქებით
დასერილ უბალნო დაწვებზე ცრემლე-
ბმა ბუნებრივი ღარები იპოვეს და ფი-
ქრებმა წაიღეს, თუმცა ქალს თვალს
არ ამორებდა.

... დიდი ხანია, პირი ვიბრუნე სხე-
ულის სიამეთაგან, მაგრამ რა ვუყო სი-
ზმრებს, ყველა ტანჯვათა დედას, რო-
დესაც სულის საწამებლად აკიფდღე-
ბიან დემონის თვალეები და ჩემი უგზო-
უკვლო ცხოვრების ყველაზე საშინელ
სურათებს მიცოცლებენ... აი, აგერ,
ოდესღაც ჩემი სხეულის ზეიმის გამო-
სახულუბაც მიდგას თვალწინ: შემამრ-
წუნებელი სურათი დამიხატეს დემო-
ნებმა, ოდესღაც ამ ქალის მსგავსს ჰი-
პონშიაც ვერ აქანდაკებდნენ ღმერთ-

აბაკი ბაჟარდია
ფაიდას გამომცხადება



ქალების სახით... ან რატომ არ კრთიან წინანდებურად ამ დიაცის სადაფისფერი კბილები ჩემი მიტრის ჭკვირფასი თვლებივით?.. სად გაუქრნენ ისინი? ო. ო. ო... — და ავგუსტინემ ისევ ბალიშზე დაასვენა დაღლილი თავი.

სტუმარი გასაოცარი გულთამბილათობით მიუხვდა ავრელიუსს ზღაპრული ფიქრების შინაარსს.

— ყველაფერი მითხრეს, ჩემო ავრელიუს, შენმა ხანგრძლივმა დაკვირვებამ და შენი თვლების სიღრმეში მოძრავმა ფიქრებმა. სულ აღარ გავგონებ ხომ ოდესღაც საყვარელ ხარჭას? მაგრამ არც შენ მაგონებ იმ კობტა ბიჭს, ქალიშვილებს თვალს რომ უყენებდა თავსტასა და მადავარში, კართაგენსა და რომში. სადაა ის ტიტლიკანა ბიჭი, რომელმაც მამამისი პატრიკიუსი ვააკვირვა აბანოში ნადრევი სიმწიფის ნიშნით, დედაშენისათვის რომ ეთქვა შემდეგ: ჩვენ ბევრი ჩანმრთელი და გოლიათი შვილი შეგვექმნებოდ... ხომ გახსოვს, როგორ აკივლებდი კართაგენის მეძავეს შენი იქ განსწავლის წლებში?.. შენი საყვარელი მწერლის აპულეუსის გმირის ღირსებით იყავ ალტურვილი... მე გიხსენი შენ გარყვნილების ჭკობისაგან... მაგრამ ვერ გამოგიბა, როგორ განიძარცვე კარაქალას ხუჭუჭი თმისგან, თავსა და მთელს პირისახეს რომ გიფარავდა?.. (ეტყობოდა, ქალი არაერთგზის და განზრახ, მგონი, ავგუსტინეს მხრივ დაკვირვების შემდეგ და სამაგიეროს მიზღვევის სუოვილით აგონებდა ავრელიუსს მის ამჟამინდელ სიუზნოკეს). ეკლესიაში ხშირი ქადაგებისაგან ხმა ჩაგხლეჩია. კობორჩხალას მწითური ფერი გაძვეს. ისე სუნთქავ, იფიქრებ, სულს ლაფვსო!.. ნუ შფოთავ, სულზე უტბებსო, ორივენი ერთად ვამთავრებთ წინანდელი სიღანაზისა და ახლანდელი მიხრწნის კარნაეალს... დიდი ხანია, დედათა მონასტერი არ მოგინახულებია, გეიზარბი წალეკავს მის ქოხმახებს, აქაურ შენს სადგომსა და ბაზილიკას..

ისტორია თავისებური, თეატრიალი არაერთხელ გითქვამს... ავი წარმავს ბის წლებში და ჩემთან ყოფნისას ძალიან გიყვარდა მადავარის თეატრში რომაული კომედიების ნახვა... ჯვარცმულის სიყვარულმა კი ჭირისდღესავით შეგაძულა სიძვის კერები და ყველა მსახიობს მეძავედ თვლი... მაგრამ, თუ გახსოვს, როგორ ხშირად და გატაცებით ვისმენდით ტერენციუსის „საქურისის“ სურათებს. უზომოდ გიტაცებდა მაშინ ჰაეროვანი და იუბიტერის მიერ ოდესღაც გაუპატოვებულ ჰეტერა ფაიდასთან ყმაწვილ ქერეას შეპარვა საჭურისის სახით. ბოლოს მათი უტიფარი ხვევანა-ალერისისა და მრუმობის სცენები?! ჩემთან შინ დაბრუნებული კი მხეცივით დამაცხრებოდი, ველური ეჩინანობით ჩამიხუტებდი და, ბოლოს, ვნებადამცხრალი, ნახევრად მთვლემარე ბუტბუტებდი: „ჩემო ფაიდა, ჩემო ფაიდა“... — სტუმარმა ოდნავ დააყოვნა, მერმე: — და, აი, ორმოცდახუთი წლის შემდეგ პირველად გამოგეცხადა შენი ფაიდა, ცხოვრების გზაზე ასე უხეშად რომ მიატოვე... ახლა ველარ ეამბორები ჯოჯოდ ქცეულ ქალს და ვერც მისი უმანკოების მიტაცებით იამპარტავნებ... ბერ-მონაზონსაც ხშირად მოგნატრებივარ სიზმარში, ავი თვითონ გამოტყდი... შენგანვე ჩონჩხად ქცეულ და ოდესღაც დამარმავებელი სიღამაზით დაჯილდოვებულ ნახევრად ამაზიგ ფაიდას კი ახლა ზიზლით შეჰყურებ...

ქალი ნელა მიუჩოჩდა სასთუმალთან ავადმყოფს, რომელმაც ახლა სახე ზეწრით მთლად დაიფარა.

— რატომ გაიმეტე შენი ფაიდა, ავრელიუს, ასე სწრაფად, სულმოუთქმელად და სამუდამოდ? თვით ამჟამად, წუთისოფელთან გამოთხოვებისას, ღმრთისადმი სიყვარულით თავს ნებას არა რთავ ნამდვილი სახელით მომმართო... ერთხელ მაინც და უკანასკნელად!.. მერმე უფლება მექნება, სხვასაც გაუმხილო ჩემი ნამდვილი სა-



ხელი, რომ სულ არ გავქრე და შენს დიდებას მომავალში თან გაჰყვეს ჩემი ბედკრული ნახევარწოდებაც...

ავგუსტინე უფრო გულმოდგინედ იფარავდა ზეწრით სახეს და ხარჭაყოფილის გამოწვევა თითქოს არც გაუგონია... მთელი ტანით უფრო ძლიერ ცახცახებდა მსუბუქი საბნის ქვეშ.

— ჩუბტობ, სულზე უტკბესო, ხომ? აბა, ახლა მე მათხოვე ყური, ბოლოს რას გეტყვის შენი ფაიდა: სანკტუს. ყოველთვის სისხლის მოყვარული და მკვლელი იყავი!.. და ასეთივე დარჩენილხარ!.. ამოდ ეფიციები ჭვარცმულს სიყვარულს, კარაკალავ, იგი ვერ გიხსნის ათასგზის ცოდვილს... შენი ფაიდას ცოდვა გეყოფა ტვირთად!...

და ხარჭაყოფილმა სახეზე რიდის აფარება და ოთახის დატოვება მანამდე მოასწრო, სანამ სასოწარკვეთილი ავგუსტინე განწირული ხმით არ მოუწოდებდა თავის მდივანს:

— პოსიდიუს, პოსიდიუს, სატანა მე-ახლა საწამებლად... უშველე შენს მოძღვარს, პოსიდიუს!...

ჩვეულებრივ მასთან სწრაფად გაჩენილმა პოსიდიუსმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ქალი ოთახში უკვე აღარ ჩანდა. როცა უკვდავს დახედა, მას ზეწარი მთლად გადაეხადა, თავი ბალიშზე ედო, ნიკაპი ზემოთ აეწია და გახელილი თვალებით თითქოს ჰერს მისჩერებოდა

გარდაცვლილიყო.
პოსიდიუსმა ორივე თვალი დაუხუჭა წმინდანს, პირჯვარი გადასახა და ანაფორის ჯიბიდან პატარა ფსალმუნი ამოიღო. ოთახში ავგუსტინეს მოსენაკე პრესბიტერები და ბერები შემოლაგდნენ.

430 წლის 28 აგვისტო იღვა.

ეპილოგი

ჰიპონის ალყა დამთავრდა 430 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, გეიზარის მიერ ქალაქის იერიშით აღე-

ბთა და ბონიფიკაუსის ჯარის დარჩენილი წაწილების ამოხოცვით. თვითონ ჰერცოგი სვევეების ერთ რაზმთან შეტაკებისას მოუკლავთ.

ჰიპონის მოქალაქეთა დაუნდობელი ჩეხვის დროს ვაჟკაცურად იბრძოდნენ ნუმიდიელი კაბილები და ამაზიგები.

ქალაქის ოთხმხრივი იერიში გეიზარისმა იშვიათი ოსტატობით განახორციელა. ჰიპონი მთლიანად დანგრეული, გადამწვარი და გაძარცვული აღმოჩნდა. რომაული სტილის სვეტებისა და ატრიუმებისგან მარტოოდენ ჩონჩხილა დარჩა. ერთხანს ძველი ღმერთების ნახევრად დამსხვრეული თავები ყოველ ნაბიჯზე ეყარა. შებღალული ქანდაკებანი აქა-იქ კიდევ მოუთხოვდნენ ჰიპონის წარმართული წარსულის დიდებასა და მშვენიერებაზე. ერთ ადგილას ჰერკულესის ხელებდამტვრეული ვეება ქანდაკება შემთხვევით გამვლელ მგზავრს თუ მოაგონებდა ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ამ სახელგანთქმული გმირის ზღაპრულ თავგადასავალს.

გეიზარისმა განახნა ქალაქის ზღვისპირა ალყაფიც და ჰიპონს მისი ფლოტის მეზღვაურნიც შეესივნენ გასაძარცვად. ვანდელებმა აქაც დიდძალი ქონება იგდეს ხელთ მცხოვრებლები-საგან მიტოვებულ სახლებსა და ატრიუმებში. ოღონდ გეიზარისი ვერ მოესწრო ცოცხალ ავგუსტინეს. იგი გვიან დარწმუნებულა, რომ ქალაქში დარჩეული ხმა წმინდანის ავადმყოფობაზე — სინამდვილეს შეეფერებოდა. ავგუსტინეს გვაშიც, ურჯულოებს ხელში რომ არ ჩაეგდოთ, წმინდანის ერთგულ ბერმონაზვნებს გაურკვეველი მიმართულებით გაუტაცნიათ.

გეიზარისმა ბრძანება გასცა, გორაკზე ამართული ბაზილიკა მთლიანად დაენგრიათ, ხოლო წმინდანის სადგომის ერთ ოთახში უპატრონოდ მიტოვებული მანუსკრიპტებისათვის ხელი არ ეხლოთ, პირიქით, რუღუნებით მოველოთ



მათთვის. გეიზარის ფარულად უკითხავს ავგუსტინეს ბევრი თხზულება და არითხული მწვალეობის მაღიარებელი ჰიპონის უკვე გარდაცვლილ მწყემსმთავარს თავის გულში მუდამ ღირსეულად აფასებდა. — გეიზარის მარტოოდენ ყაჩაღი და მძარცველი არ ყოფილა, რის წყალობითაც ავგუსტინე ბიბლიოთეკა კაცობრიობას მთლიანად შემოიჩინა.

არც თოლიები მოფრინავდნენ ამიერიდან აქეთ, დრომ ზღვის სანაპიროებიც მოასუფთავა.

ნუმიდიის თეატრები დაანგრის. თავასტაში, მადავრში და შემდეგ კართაგენში სამუდამოდ შეწყდა ტერენციუსისა და პლავტუს კომედიების დადგმა.

„სიძვის კერები“ აღგვიღო იქვე და ავგუსტინე ოცნებობდა.

ყველაფერი მიანიშნებდა, რომის იმპერიის მზე რომ ჩადიოდა, მაგრამ არავინ უწყოდა, ჰიპონის დანგრეული ბაზილიკა რომ სიმბოლიურად ახალ სიცოცხლეს შეიძენდა მთელს იმპერიაში და იგი კაცობრიობის ყველაზე დიდი და ღრმა აზროვნების კერად გადაიქცეოდა მრავალი საუკუნის მანძილზე.

და, ბოლოს, არც ის უწყოდა ვინმემ, რომ ოდესღაც ქალაქის მხიარულ ფორუმზე სიმბოლოდ დარჩებოდა გორგონა მედუზას მშვენიერი, მაგრამ ნიკაპომიტრეული და ხახამშრალი თავი.

გამჭვირვალე და გრილი წყლის შადრევანი უკვე აღარ ჩქეფდა გორგონას ხახიდან.



ჩიბაბი

განთიადისას
ყველანი ერთად
იქნებ იმიტომ იწყებენ ჭიკჭიკს,
რომ იმ ჭიკჭიკით
მზეს ამოსვლაში ეხმარებიან?

ნეტავი ამ წვეთს!
თოვლის ფიფქად
მოვიდა ციდან,
ჩამოსვენა შენს წამწამზე.

ჩამოდნა ბოლოს...
და ახლა უკვე
შენი უმანკო ცრემლივით
ბრწყინავს.

თავის წისქვილში,
როგორც უცნაურ გრამოფონში,
უკანასკნელი
ზის მეწისქვილე,
ჩუმად უცქერის
ღოლაბის
ტრიალს...

და თუმცა ჰყვავის ირგვლივ მიდამო,
მაგრამ ზეცაც და დედამიწაც
სევდიანია,
თითქოს ამ ფერად, ლამაზ გაზაფხულს
უკანასკნელად
უკრავს
წისქვილი.

თითისწვერებზე შემდგარიყო
მოხუცი კაცი
და ღობის იქით იყურებოდა
გალიმებული.
იქ, ნათელ ბაღში
ზუზუნებდნენ ფუტურები გაბმით,
დიდი ტაშტი
იდგა ბალახზე

და მის გარშემო
დაფუსფუსებდა
ახალგაზრდა
ქალი და კაცი —
მზით გამთბარ წყალში
აბანავენდნენ
პატარა გოგოს.

გაეღვივება შუალამისას
და ეჩვენება,
თითქოს გარედან
მის სახლს
დაღლილი
ეხება ხელი,

თითქოს თმათეთრი მოხუცი ქალი —
ვილაცის დედა
ქუჩის გრძელ კედელს
მიჰყვება მძიმედ
სვენებ-სვენებით.



პატარა ფოთოლს
 შემოდგომის დიდი წვიმების
 არ ეშინია.
 არაფრად აგდებს,
 რომ თანდათან
 ეცვლება ფერი,
 არ ეშინია რტოდან მოწყვეტის,
 რის შიში,
 ნატვრით
 მოელის იმ წამს,
 მოუთმენლად
 კრთის და ცახცახებს...

ჰა, შეირბა უკანასკნელად,
 მოწყდა...
 მიფრინავს...
 მაგრამ რა ხდება?
 ეს რა მოსდის?
 ნელ-ნელა
 ძირს რად ვარდება?
 დღისით თუ ღამით ცას შეჰყურებდა
 და სხვანაირად დასასრულზე
 არ უფიქრია
 პატარა ფოთოლს.

ცხენები

ერთ დღეს
 ქუჩებში სიარული
 აუკრძალეს საცოდავ ცხენებს
 და ეტლებიდან გამოხსნეს ყველა.
 ეტლები დადგეს მუზეუმებში,
 ცხენები კი
 ქალაქგარეთ
 დიდ მინდორზე
 შეჰყარეს ერთად
 და ის მინდორი
 დიდი ღობით შემოაკეცეს...
 აქ მას შემდეგ მოდიან ხშირად,
 ერთნი სხდებიან დიდ ტრიბუნებზე,
 მეორენი კი მოაჯღებთან ცხენებს
 ზურგზე და
 დიდი წრის ირგვლივ არბენინებენ.
 ტრიბუნებზე ნერვიულობენ,
 ნიძლავსა სდებენ
 სტვენენ, ყვირიან...
 და მიჰქრიან ცხენები სწრაფად...
 აქამომდე გრძელდება ასე.

კერ ირბენენ ცხენები წრეზე
 და გზის მტვერში
 ოფლის წვეთები დაეფანტებათ,
 მაყურებლები გაცოფდებიან
 და ღრიალით ყელს ჩაიხლეწენ,
 რომ ცხენებს დეზი
 ურტყან
 მხედრებმა...
 მერე პატარა ზარს ჩამოჰკრავენ,
 მორჩება დოლი,
 და გაიყოფენ კაცები პრიზებს.
 ხალხი ყაყანით წავა-წამოვა...
 და შერეკავენ ცხენებს თავლაში.
 იმ დღეს
 ფინიშზე
 პირველად მისულს
 მისცემენ, ალბათ, ერთ მუჭა შაქარს...
 და არაფერი არ შეიცვლება...
 კვლავ ირბენენ ცხენები სწრაფად
 და წრეს ვერასდროს გაექცევიან.



ყულაბაში ზის
 და ყელამდე
 ოქროში ჩაფლულს
 თავზეც
 ოქრო
 დასდის წკრილით.
 გარეთ კი უკვე გაზაფხულია.

ოქროზეც უფრო ოქროსფერი
 მზე დადის ცაზე,
 დადის მზე ცაზე
 და ყულაბაში
 არასოდეს
 ჩამოიხედავს.

კი არ გეწყინოთ,
ჩემო კარგებო,
მაგრამ სიმართლეს სად გავეჭეცევიო.
ხანდახან განა არ გეჩვენებათ,
რომ ჰკავს ჯვარი

კლდეზე ჩამომჯდარ
საცოდავ
ფასკუნჯს,
რომლის შვილებიც
ინდაურებს დამსგავსებიან?

ბოივანში ვიჯექი სკამზე
და ალვის ხიდან ჩამოვარდნილი
ანკარა წვეთი
დამეცა
მხარზე.

ალბათ, ძალიან ნაღვლიანი
თუ მქონდა სახე,
ბელურისათვის ვადანახული
ის წვიმის წვეთი
ხემ რომ ჩემთვის
გამოიმეტა.

ცოლ-მხარი

გრძნობენ, რომ რაღაც
შეიცვალა მათს ცხოვრებაში,
მაგრამ რა მოხდა,
ვერ გაუგიათ

და ერთმანეთს შესცქერიან
დაბნეულები...
ალარ ხედავენ საერთო სიზმრებს.

მოდით, გამოვტყდეთ,
რომ ყოველ ჩვენგანს
ეწვია ერთხელ
უძილო ღამის ჩუმი სტუმარი
და თუმცა გულით შემოგვთავაზა,

ბევრიც გვეხვეწა თვალცრემლიანი,
მაგრამ ჩიტებად გადაქცევაზე
ჩვენ ვთქვით
უარი.

...მერე კი ერთხელ...
შენ დაგინახე!
თითქოს მთელი ჩემი სიცოცხლე
რაღაც მოსაწყენ, გრძელ დერეფნებში
ვიხეტიალე

და უცებ ბნელში
გადამალულ
მზეებს
წავაწყდი.

ფერად ქოლგას შეფარებული
ისე უსმენ
წვეთების კაკუნს
და ილიმები ისე გულგრილად,
თითქოს ეს წვიმა

წვიმა კი არა,
ცრემლები იყოს
შენზე უიღბლოდ შეყვარებული
ჭაბუკებისა.

წერილი — 83

მზე კი არ ჩადის, ეს — შენ ჩადიხარ ზღვაში და თმები სხივებად გიჩანს... თავში ბზუიან ჭრელი ფიქრები, თითქოს ფუტყარი ეხვევა ფიქსა.

მზე ჩადის, ჩადის, ჩადის, ჩავიდა! ღამემ მზე ღუზად ჩაუშვა ზღვაში და მიიძინა ტალღებზე.

გახსოვს? —

ატმის მკლავებზე ეძინა მაშინ.

მე რა ვიცოდი, კვლავ დავჯდებოდი წერილის წერად ათი წლის შემდეგ და ყველაფერზე დავფიქრებოდი, იმ წერილიდან რაც მოხდა დღემდე.

შენ იმ წერილის მკითხველი იყავ, ამ წერილის კი ხარ ადრესატი.

გახსოვს? —

ოდესღაც გასაყვედურობდი: ადრე სად იყავ! ადრე სად იყავ! ადრე სად იყავ! თქვი, ადრე სად ი...

ველარ ვამთავრებ სიტყვებს და აზრებს, ყელში მაწვება უხეში ბურთი. მე არ ვუფრობოდი ქვეყნად არაფერს, ახლა საკუთარ ფიქრებსაც ვუფრობი.

მე რა ვიცოდი, კვლავ დავჯდებოდი წერილის წერად ათი წლის შემდეგ და ათას რამეს გავიხსენებდი, იმ წერილიდან რაც მოხდა დღემდე.

ცა, ზღვა და გემი და ვარსკვლავები... ეს არის ახლა მთელი სამყარო. ათი წლის წინათ, ალბათ, დაეწერდი, რომ ზეცას ჭორფლი გამოაყარა.

ხვალე ჩავუვლით ლესბოსს და ლემნოსს, გუშინ გამოვცდით როდოსს და კრეტას. მე ამ წერილით ახალ კარს ვაღებ, იმ კარს კი (გესმის?) გულდაგულ კვეთავ!

ვხედავ, შენს ქალაქს როგორ აცივია ათასფერადი რეკლამის თოვლი — შუქი ვოლფრამის ანდა ნეონის. და მეჩვენება, ზიხარ კინოში: „რეპორტიორის პროფესია“ მიქელანჯელო ანტონიონის, რეპორტიორის პროფესიაა, რომ არ მასვენებს დღითა და ღამით, რომ მამურობებს აქეთ და იქით.

შეუღლებული სოდასთან ვისკი დგას მაგიდაზე მაღალი ჭიქით.

რეპორტიორის პროფესიაა, რომ არ მიტოვებს დროს სიყვარულის. და პროფესიის სიყვარული ერთადერთი სიყვარულია, რომ შემიძლია ხალხს დაენახო, სხვა სიყვარული არის ფარული.

ჭიქაში უკვე ვეღარ ვაარჩევ, სად არის სოდა, სად არის ვისკი.

ვერ გამოგია, რა გემართება! საით მიდიხარ, რისკენ და ვისკენ!..

მე ერთხელ კიდევ გავრისკო უნდა, ჩემი ცხოვრების წესია რისკი!

დგას მაგიდაზე თეთრცხენა ჭიქით შეუღლებული სოდასთან ვისკი.

თეთრი ცხენი კი ყინულზე გარბის — მაცივრის კარი დატოვებს ღია! მეე-ზოგეებს ცოცხის მაგივრად ხელში უჭირავთ მთვარის სინათლე და ცაზე ღრუბლის ნაფლეთებს გვიან. და აგროვებენ, ვით ყვითელ ფოთლებს, შორს ნავულისხმევ კუნძულის თავზე. და ცხენი უკვე ძარღვებში დარბის და სხეულს თბილი ჭიხვინით ავსებს.

ზღვით მოვლენილი დარდი და სევდა, ათასწლოვანი დარდი და სევდა, იქნებ როგორმე განქარდეს ზღვითვე.

გახსოვს? —

გორგფლი, როგორც ყვავილებს, სიტყვებს და სიტყვებს, სიტყვებს და სიტყვებს... მერე გიწნავდი სიტყვების გვირგვინს, რომელიც სხვისას არაფრით ჰგავდა, შენ კი იმ გვირგვინს ვერ გაუფრთხილდი, ვერ მოარიდე ყინვას და ავდარს, ვერ გაუფრთხილდი შენ იმ ყვავილებს, ვერ დაუმაღე ქარსა და წვიმას და ახლა იმგვარ ყვავილთა კონა ზუსტად იმგვარად (!) სხვა ქალთან მიმაქვს!

რა ახლოს იყო ლურჯი ფრინველი! გვეგონა კიდევ, რომ დავიჭირეთ, ხელში კი მისი რამოდენიმე ბუმბული შეგვკრა. დრო მიდის, მიდის, კრონოსი მოდის, კრონოსი, როგორც საკუთარ შვილებს, ორივეს შეგვკამს...

ღვთით მოვლენილი სასწაულები ვერ დავინახეთ, ვერ დავაფასეთ და ვერ ვაქციეთ დღესასწაულად. კაცი ყველაფერს წაუვა ქვეყნად, ვერსად წაუვა მხოლოდ თავის თავს და სინანულსაც ვერსად წაუვა.

გახსოვს? —

მომავლის გეგმებს ვაწყობდით, სათქმელს ვუვლიდით ხშირად შორიდან. და ვერც გავივით, ის მომავალი, შორს რომ გვეგონა, როგორ მოვიდა! როგორ დაგვადგა ორივეს თავზე, როგორ მოგვთხოვა თავისი წილი, თითქოს იკაროსს, უკვე აფრენილს, ფრთებზე ერთბაშად დააღწია ცვილი!

მე მეგონა, რომ მივავენ კუნძულს ერთფეროვნების უსაზღვრო ზღვაში, ხელში კი შემრჩა კონსერვის ქილა... არ შეიძლება, ამდენჯერ შეცდე! სხვა გზა არ არის — ამიერიდან მე უნდა ვიყო ძალიან ფრთხილად...

ახლა ვიხსენებ: სუნთქავს ქალაქი, თავბრუდამხვევი და საყვირველი. და მე ვოცნებობ — ხელში მიჭირავს ერთი ბუმბული ლურჯი ფრინველის! პალმების ჩრდილი მიჰყვება ქუჩებს, შენზე ოცნებით სავსე შევყურებ ქალაქის თეთრ და ფართო მოედნებს...

მე შენ გიძღვნიდი ლექსებს რატომღაც, ანაბელ ლი კი, თავად ოცნება, ზის და ოცნებობს თავის პოეტზე!

ვშიშობ, ეს ჩემი ვრცელი წერილი ვერ დამშვენებს შენს კოლექციას, შენთვის მოძღვნილი ლექსების ალბომს. მე შენ მიყვარდი! რა გითხრა მეტი?! ეს სამი სიტყვა ყველაფერს ამბობს! ბებერი მზე კი სხივებს ზღვის წყალში, ვით ორცხობილას — ჩაიში, ალბობს.

მე მახსენდება დღე გუშინდელიც: მზე მოეფარა შორეულ ბორცვებს, წითლად ჩაიწვა და ჩაიწვერა.

თავში ტრიალებს ავი სიტყვები: „ფლიდი“, „თვალთმაქცი“ და „გაიძვერა“!

და ყველაფერი იფეთქებს უცებ, რაც იდგა ლამაზ სიტყვების იქით... შეუღლებული სოდასთან ვისკი დგას მაგიდაზე მალალი ჭიჭით...

ჩვენსკენ მოცურავს უსაშველოდ წითელი გემი, სისხლში მოსვრილი თეთრი გედვიით.

მოგვიატლოვდა.

ლიბანელია.

გუშინ დააფრთხო სწორედ ლიბანმა რადიო თავის უბედობით და ტრაგედით.

ომია!

გესმის?

უფრო ახლოს, ვიდრე შენა ხარ, არის სისხლის და ტყვიების წვიმა. მე კი ვდგავარ და, თითქოს ვცხოვრობდე სხვა პლანეტაზე, მიმოვედები ათასგვარ წვრილმანს.

გუშინ მესიზმრა:

ნაპირზე იდექ. გემი ნელ-ნელა მოშორდა ნაპირს, მაგრამ ერთმანეთს არ ვშორდებოდით, გადაბმულები უხილავ ძაფით. თმდაბანილი თეთრი ღრუბელი თეთრი ქალივით წამოწვა ზღვაზე და ცისარტყელა მოირგო წელზე, როგორც ქამარი უცხო და ნაზი. ნაპირზე იდექ, როგორც შუქურა, შორიდან ჰგავდი როდოსის კოლოსს. ახლოს რომ მოველ, თითქოს ნელ-ნელა დაპატარავდი და ბოლოს ისე ნამცეცა გახდი, როგორც წერტილი ამ ფრაზის ბოლოს.

მოვივლი ქვეყნებს, ზღვებს და კუნძულებს, სრუტეებსა და პორტებს მოვივლი. და ტროპიკებში მომენატრება ჩემი თბილისი მაცოცხლებელი თეთრი თოვლივით. და დავბრუნდები ბოლოს თბილისში, მაგრამ მე შენთან არ დავბრუნდები: ხელს შემიშლიან შენი სიტყვების, შენი ქცევების და კაპრიზების გაუგებარი აბლაბუდები.

ბედნიერებას, როგორც სიყვარულს, უნდა დანახვა და არა ძებნა. ჩემი ნერვების თივას მიირთმევს შენი სიკერპის გულგრილი ზებრა. ზებრა ვახსენე და აქვე გეტყვი, რომ ხასიათი, როგორც ცხოვრება, დაყოფილი გაქვს, დაყოფილი გაქვს, დაყოფილი გაქვს შავ-თეთრ ზოლებად...

იქნებ სჯობია ნამდვილ სიყვარულს მხოლოდ ბაასი ამ სიყვარულზე ან სიყვარულის გამოგონება?!

მე — არაფერი, ადრე თუ გვიან მე თავს ვუშველი, შენ კი რას იზამ? სად გაიკეთებ სოროს თუ ბუდელს? ვის დაუჯდები ნეტა მუხლებზე: პეკინესს, ბულდოგს, სეტერს თუ პუდელს? ნეტა ვის ხეზე განასკვამ ნაყოფს, ანდა რა ნაყოფს — ატამს თუ ქლიავს?

არვინ იფიქროს (შენ არ იფიქრებ!), ამ დამცინავი სიტყვების ყინულს რომ მკვახე ყურძნის იგავი ჰქვია!

ვერ იხედები შორს, წინ და ზემოთ, შენ იხედები ქვემოთ და უკან. შენ იხედები უკან და ახლოს... შენ გეშინია, შენი ოცნების სასახლეს ხელი არავინ ახლოს. ის კი არ იცი, რომ ეს სასახლე არის ნაგები თოვლით და ქვით. თვითონ ინგრევა. ხელის არავინ უპირებს ხლებას. უსაფუძვლოა ეგ შენი შიში.

აშკარა არის, შენ შეიცვლები, მაგრამ, იცოდე, შენ არ გახდები არც უკეთესი, არც უარესი, — გინდა ჩაიცივი პიერ კარდენი, გინდა ჩაიცივი შანელის კაბა, გინდა ჩაიცივი პოლ პუარესი.

მეც შევიცვალე, მაგრამ ვერ გავხდი ვერც უარესი, ვერც უკეთესი.

რასაც მოვიმკით სიცოცხლის ბოლოს, შენ უკვე თესე, მეც უკვე ვთესე.

მე შენ გეხვევი, მაგრამ მგონია, სულ სხვა გეხვევა, მე კი გიყურებ. თავი ვერაფრით ვერ დავაღწიე მაგ გულგრილობის უხეშ რიკულებს. შენ მე მეხვევი, საგრამ მგონია, სულ სხვა მეხვევა, შენ კი მიყურებ.

მე ვხედავ, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, შენ თავზე გადგას ცისფერი ფატა და ირგვლივ, როგორც გვირილის ფურცლებს, ღომილის ცისფერ ფანტელებს ფანტავ, დათვმა რა იცის გულაბის ფასი, მისთვის ერთია მსხალი და პანტა!

ქუჩა სავესეა ალბათ სასმელით: გინდა დალიე უბრალო წყალი, გინდა — „ბორჯომი“, „პეპსი“ ან „ფანტა“!

გადავეჩვიეთ ჩვენ მარტოობას, საკუთარ თავთან დარჩენა გვეჭირს, დავკარგეთ ფიქრის, განსჯის, ოცნების, სიცილისა და ტირილის ნიჭი. აღტაცებული და გულუბრყვილო, მე მეცოდება ჩემი ბავშვობა — თვალანთებული პატარა ბიჭი... საკუთარ თავთან ომი და ბრძოლა, საკუთარ თავთან განშორება ძალიან მიჭირს.

უიმედობის გამოჩნდა კონცხი — ზღვაში შეჭრილი ვეება პირსი.
არ ვიცი, რისი ღირსი ხარ ახლა, მე ვიცი, რისი არა ხარ ღირსი!
როგორც კაპიტანს ვიწრო სრუტეში, ახლა შეცდომის უფლება არ მაქვს!
მართლა სრუტეში შევდივართ თურმე. ხმა ამოიღო სამხრეთის ქარმაც.

მგონი, გითხარი: მეეზოვეებს ხელში უჭირავთ მთვარის სინათლე და ცაზე ღრუბლის ნაფლეთებს გვიან.

მე მართლა ცეცხოვრობ სხვა პლანეტაზე და ამ პლანეტას ყველა ენაზე სიყვარულის პლანეტა ჰქვია.

თვითონ არ ვიცი, რას გამოველი ახლა ვისკიდან, ან ჭინიდან, ანდა რომიდან, თვითონ არ ვიცი, ახლა დალევა ან შენზე ფიქრი რატომ მომიწინდა, თვითონ არ ვიცი, ეს გაბრაზება საიდან ანდა როგორ მოვიდა.

და მე ებრუნდები ფიქრებიდან გამარჯვებული, მაგრამ მაინც დამარცხებული, როგორც ომიდან.

განა არ ვიცი — შენს სათქმელს ვამბობ!

განა არ ვიცი — დიდხანს ამზადე შენი სიტყვების მკაცრი არმადა, მაგრამ საომრად ველარ დასძარი; ვერ გააჩინე, შენ რომ გინდოდა, ზღვაზე ისეთი დიდი ხანძარი. განა არ ვიცი — იგივეს ფიქრობ ჩვენს წარსულსა და ჩვენს მომავალზე, მაგრამ უბრალოდ მე დაგასწარი. მე დაგასწარი გულახდილობა, ტკბილი სიმართლეც მე დაგასწარი, მე დაგასწარი მწარე სიმართლეც...

მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გუშინ გინატრე, როცა გამოჩნდა უცხო ქალაქის შორი სინათლე.

ნაპირი ჩანდა, როგორც ხალიჩა, ფერგადასული ბერტყვით და ბერტყვით... პო, მართლა! კიდევ რაღაც მინდოდა, მეთქვა და ბარემ ამასაც გეტყვი: დღეიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას, ახალი წიგნის გადავლილი ფურცლები... წიგნს აწერია „ვიტა ნუოვა“, ჩემი წიგნია, არა დანტესი.

მესიზმრებოდა, როგორ ელოდი მარსელის პორტში გემების მოსვლას, მაგრამ არა ხარ შენ მერსედესი, არც მე აღმოვეჩნდი ედმონ დანტესი.

მე მაინც მივალ ოდესმე მარსელს, თუმცა მარსელში არავინ მელის. და გაიხსენებ ისე უბრალოდ, როგორც პერსონაჟს საყვარელ მწერლის.

მე შენ დაგამწყვდევ ამ სტრიქონებში, მე რე დაგებეკდავ ჟურნალში, წიგნში, სადმე ორმოცდამესამე გვერდზე და მოგიკოთხავ (წაგიკოთხავ), მომენატრები ძალიან როცა, როცა ვიგობნობ, რომ უშენოდ ვერ ვძლებ! და სამუდამად

მოდ დარჩები ჩემთან, ლექსის სტოიქონად გადაქცეული, შენ კი დავრჩები ჩემი ფიქრებით და იმედებით სავსე რვეული.

ალარ ვუყურებ მე შენს სურათებს, ვუყურებ მხოლოდ მიმქრალ ჰორიზონტს, ესტამპებსა და საზღვაო რუკებს...

გემახი, „მაგრამ როგორ გაიგებ, ჩვენს შორის მთელი წელია უკვე!“

თუ გამახსენებ სულ სხვა სტრიქონებს ოთარ ჭილაძის ამავე ლექსიდან, სხვა ლექსებიდან თუ პოემიდან, მე გიპასუხებ ოთხი ციტატით სელინჯერიდან, ვონეგუტიდან, აბდაიციდან და მრემიდან.

შენ დაგამშვენებს ცისფერი მძივი, დაიგვიანებ, მოწრუპავ ყავას და მერე თითებს ჩამალავ თამაში...

სხვაა „თამაში ჭვავის ყანაში“ და სხვაა ჰესეს „მძივით თამაში“!

ვხედავ ღამეში, როგორ ისწორებს თეთრ ხელთათმანებს მონტევიდეო, და ანაბელ ლი ჩურჩულებს შორით, მეც ახლა უნდა მანდ მოვიდეო...

შენ კი მიდიხარ სადმე დაქალთან, სტუმრებს პატივებს სადაც ვიდეო, ერთად მიირთმევთ სიგარეტს, ყავას... ფილშია ყოვლად უწმაწური და უიდეო!

არ მითხოვია, რომ ყველაფრისთვის შენ შეგეხებდა ჩემი თვალებით, არ ვცდილობ ახლა, რომ აღვადგინო ჩემი ოცნების ნარიყალები, ღრუბლის მარწუხებს ვეება მთვარე გამოქცევა დიდი წვალებით, დიდი ბოდიში, რომ ამ ქვეყანას მე ვერ შევხვდევ შენი თვალებით.

...და მთვარის შუქი მოფრინავს ჩემსკენ, როგორც პატარა უმწეო მწერი. მე მესმის შენი ნაწყენი ტონი: აკი გითხარი, ნუ მწერო წერილს. აქედან ვხედავ შენს გაბრაზებას, აქედან ვხედავ, როგორ ბრღღვინავენ შენი თვალების ციკქნა ვეფხვები. მე ალარ მოვალ შენთან არასდროს და მაგ შენს ვეფხვებს ალარ ვემთხვევი.

შენ გამიხსენებ. მოხვალ. იტრებ. დაემღურები ბედსა და იღბალს. და დაივიწყებ, კარგო, რომ უწინ მხოლოდ ცინიზმი და გულგრილობა იღვა იმ ღამაზ სიტყვების მიღმა.

რაც ჩვენ ერთმანეთს დღემდე ვუთხარით, იქნება ჯობდა, სულაც არ გვეთქვა. ახლა ვერაფერს ველარ გვიშველის ვერც სინანული, ვერც თავგანწირვა, ვერც ჭავრი ანდა სასოწარკვეთა.

საოცარია: მე მაგონდები ახლა ათენთან ან ისტანბულთან, არა ბათუმთან ანდა არგვეთთან.

მე არ ვიღარდებ. დაე, იღარდონ სხვებმა და სხვებმა, იქსმა, იგრეკმა. მე დღეის შემდეგ არც წერილს მოგწერ და არც არასდროს არ დავირეკავ!

შენს სახელს, უწინ ესოდენ ძვირფასს, უკვე მოედო ბირკა და ძურწა არ გაგიხსენებ მე შენ არასდროს, თუ გაგიხსენებ — ძალიან ძუნწად.

ამ ჩემს წერილში კონსერვად იქცა ჩემი ფიქრების სკუმბრია, ხამსა.

მზის წვეთი გღია მრეშ ჰორიზონტზე. მე ახლა მზის წვეთს კალმით დავიკერ და ამ წერილის ბოლოში დავსვამ.

მერე არ მითხრა, სად დაიკარგე! მერე არ მითხრა, ადრე სად იყავ! შენ იმ წერილის მკითხველი იყავ, ამ წერილის კი ადრესატი ხარ!

მე შენ მიყვარდი, მე შენ მიყვარხარ, მაგრამ ვერაფრით გაგაგებინე ამ სიყვარულის წონა და ფასი.

უკვე თენდება, კუნძულთა თავზე გამკრთალებული ვარსკვლავთა დასი...
გემის მანქანა გუგუნებს მძაფრად და ზღვაზე ქაფის გაზეთებს ბეჭდავს:
შენ არ იცოდი, რომ სიყვარული... რომ სიყვარული, ნაღდი და წრფელი,
უბეში მერცხლის ბარტყივით მეჭდა! და შენ იყავი ძლიერ ნაწყენი ჩემი
ჯიუტი სიჩუმით სავსე, თითქოს უსიტყვოდ მეკითხებოდი: როდემდე უნდა
გაგრიელდეს ასე?!

ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერა ვთქვი, როგორ, რამდენიც, რაც უნდა მეთქვა...
ისე გიგზავნი ახლა ამ წერილს, თითქოს უარი მითხარი ერთხელ და დღეს
მეორედ მოვდივარ შენთან!

ვხედავ, შენს ქალაქს როგორ აცვივა ათასფერადი რეკლამის თოვლი —
შუქი ვოლფრამის ანდა ნეონის, და მეჩვენება, ზიხარ კინოში: „რეპორტიო-
რის პროფესია“ მიქელანჯელო ანტონიონის, რეპორტიორის პროფესიაა, რომ
არ მასვენებს დღითა და ღამით, რომ მამბურთავეს აქეთ და იქით.

შეუღლებული სოდასთან ვისკი დგას მაგიდაზე მალალი ჭიქით.
რეპორტიორის პროფესიაა, რომ არ მიტოვებს დროს სიყვარულის, და
პროფესიის სიყვარული ერთადერთი სიყვარულია, რომ შემოძლია ხალხს და-
ვანახო, სხვა სიყვარული არის ფარული.

ჭიქაში უკვე ველარ გააჩნევ, სად არის სოდა, სად არის ვისკი.
მე ერთხელ კიდევ გავრისკო უნდა, ჩემი ცხოვრების წესია რისკი!

მზე, როგორც ღუზა, ამოაქვს ზღვიდან დილას და ჩემსკენ გემივით მო-
დის.

ნულარ დამიციდი, ხომ მაინც ფიქრობ, რომ უკვე აზრი არა აქვს ლოდინს!
ხომ მაინც ფიქრობ, რომ მე სიყვარულს უტხო ქვეყნების ვარჩიე ხიბლი, რომ
ქველადფერი, რაც გავაკეთე, თურმე ვაკეთე მე შენი ჯიბრით...

შენ მეკრძნებ, როგორც აივნის თავზე, აუტეხიათ ქვიცილი მერცხლებს.
აჰა, წერილიც გასრულდა უკვე.
ახლა დავბეჭდავ ჟურნალში, წიგნში და თუ ინებებ, გთხოვ, რომ იხილო
საღმე მეცხრე ან მეასე გვერდზე.
მზე, როგორც ღუზა, ამოაქვს ზღვიდან დილას და ჩემსკენ გემივით მო-
დის. ტალღა თითქოს კითხვის ნიშანი:

რომელი?

როგორ?

საიდან?

როდის?

P. S. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, უპასუხებ თუ არა ამ
აბურღულ-დაბურღულ და აბსურდულ ბარათს. არ იფიქრო, ოდესმე, ვით
ირემი მყვირალი, ჩამოვეარდე ბარად. არ იფიქრო, ოდესმე ის წარსული დაბ-
რუნდეს და მომავლად იქცეს. არ იფიქრო ოდესმე, რომელიმე გავმეცეთ წუ-
თისოფლის მიქსერს! არ იფიქრო არასდროს ამ ნაპირზე გადმოსვლა — ჩვენ
ზიდები დავწვით. არ იფიქრო არასდროს, ვინმე თავს შეიწუხებს სხვა ხიდე-
რის დაცვით. არ იფიქრო არასდროს, დაიჭირო ჰაერში გაფრენილი წერო. არ
იფიქრო არასდროს, ადვილია, იჯდე და „წერილები“ წერო. არ იფიქრო,
ოდესმე, ვით ირემი მყვირალი, ჩამოვეარდე ბარად.

ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, უპასუხებ თუ არა ამ აბურ-
ღულ-დაბურღულ და აბსურდულ ბარათს.

პ ო თ ა რ ო

რომანი

პირველი ნაწილი

როცა გენერალურმა დამპირველმა, დუროს უწყებისა გამო, აბიას დაურეკა — თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვსო, ზენონი სწორედ მასთან იჯდა და არავიძეთის სასაფლაოზე საოცარი მოჩვენების ამბავს უყვებოდა.

— ნამდულად, მაშდამე... — ლელავდა ზენონი, — ჩემი ორი თვალით ვნახე, როგორ გადმოდიოდა სასაფლაოს ალაგზე მკვდარაკიდებული კაცი... გეჩვენებო, დურომ მითხრა...

— რაო, რაო?... — თვალები მოწყურა აბიამ, — გაიმეორე, რა თქვი!..

— მაშდამე!.. — ფეხზე წამოდგა ზენონი, — ჩემი ორი თვალით ვნახე!.. — მღელვარებისაგან ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

— აუ, აგერ ხომა ალაგე... შიგნიდან, სიბნელიდან გამოვიდა მკვდარაკიდებული კაცი და პირდაპირ ჩემს წინ არ აღიმართა?! დუროს მანქანა იქვე იდგა და დუროც იქვე იდგა, — რა არის, დურო, ეს-მეთქი რომ ვკითხე, გეჩვენებო -- მიპასუხა. ბატონო აბიავ, ბატონი ხარ ჩემი და ძმაც ხარ ჩემი, მაშდამე, რომ არ გითხრა არ შეიძლება... — უცებ ზენონი სულ მთლად შეიცვალა, ეს მთაკაცი, დაწვრილდა, დაწვრილდა ძაფივით, მიიხედ-მოიხედა გაწვრილებულმა, კისერწაგრძელებულმა, აბიას მაგიდაზე თითქოს გაწვაო, თავი ყურთან მიუტანა და უჩუჩუღლა:

— ეჭვი მაქვს დუროზე...

აბია აენტო, ფეხზე წამოდგა, უფროსისკარში ბოლთას ცემას მოჰყვა, ამით

მღელვარებას მალავდა. დუროზე ეჭვის მიტანა არამცდარამც არ შეეძლო, საკუთარ შვილს, თანგულისას, უფრო დაადანაშაულებდა ამ საქმეში, ვიდრე დუროს.

— დამიწერე! — თქვა უცებ მან, ოთახში წალმა-უკულმა სიარულს თავი ანება, თავზე დაადგა ზენონს და გამოძცდელად მიაჩერდა.

— დაგიწერო?... — შეცბა სტუმარი, შეიმშუშნა, წამოიზღაზნა, ვითომ რახან შენ ფეხზე დგახარ, მეც უნდა წამოვდგო. აბიამ მხრებზე დაადო ხელისგულები და წამოდგომის ნება არ მისცა.

— და-მი-წე-რე!.. — თითქოს ყრუა და გამოთქმით უნდა გაავებინოსო, ხაზგასმით უთხრა — ახლა ყველაფერს მნიშვნელობა აქვს... ა, ქალაღი!.. — ქალაღი და თვითმწერი წინ დაუდო.

ზენონს ამგვარი „წერების“ ეშინოდა, წინ დამხვდებო, ფიქრობდა, აბიას ვერ ჰკადრა უარი. უწადინოდ აიღო თვითმწერი და წერას შეუდგა.

— ჩემს მღვიანს დაუტოვე, გრიგოლოვი მეძახის, მეჩქარება... — დაუბარა და უფროსისკარიდან გავიდა. ზენონი გაოცდა, ვერც შეკითხვა მოასწრო, — გრიგოლოვი რატომ მეძახისო, ვერც ის უთხრა: შინ დავწერ და მოგიტანო, მარტოკა დარჩა აბია არავიძის უფროსისკარში, დაბნეული იყურებოდა იქით-აქეთ და ჭირის ოფლს ასხამდა.

აბია რომ გავიდა, მღვიანმაც შემოიხედა, კარი ოდნავ გამოღებული და-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1,2.

ტოვა. ზენონი ისე შეათვალა, თითქოს პირველად ხედავდა.

მონდომებით, ყურადღებითა და დაჯვირვებით დიდხანს წერდა ზენონი, წვრილად აღწერა იმდამინდელი ამბავი მოაწერა ხელი. რიცხვი დაუსვა. შეებით ამოისუნთქა, დიდი ჭაფა დაადგა. ცხვირსახოცით შეიმშრალა ოფლიანი შუბლი და ნიკაბი. ნაწერი თავიდან ერთხელაც გადაიკითხა. ჩაბარებას არ ჩქარობდა, ნელა კითხულობდა და ყოველ სიტყვას აკვირდებოდა.

მოულოდნელად ზენონმა იგრძნო, რომ ვიღაც მოჩერებოდა. დაეინებულ მზერა გამოღებულ კარიდან შემოიჭრა და ზენონს, როგორც ცეცხლის ალი, ისე მიწვდა ლაწვზე, კითხვა შეწყვიტა და გამოღებულ კარში გაიხედა. იქ დურო იჯდა...

გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი იყო. ზენონი აქეთ რომ მიდიოდა, მმართველობის დერეფნებსა და მისაღებში დუროს რომ შეეფეთებოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, ამგვარ შეხვედრას კი სწორედ რომ არ მოელოდა. თითქოს ზედ დანაშაულზე წაასწრესო, — კაცი კაცზე ბეზლობას წერდა, ვაცემული კაცი მომწესხველი მზერით მიჩერებოდა გამცემს. ბეზლობის წერის დროს.

ბეზლობები ღამდამობით, მარტოობაში, შინაურებისგანაც კი დამალულად იწერება. აბიამ აიძულა, ასე საჯაროდ, ყველას დასანახად დაეწერა. ზენონსაც რა ექნა? — ძალა აღმართს ხნავდა, მოერიდა, უფრო შეეშინდა აბიასი, კაცმა რომ თქვას, ვინ რა იცოდა, რომ მაინცდამაინც ბეზლობას წერდა?.. — თავს იმშვიდებდა. ზენონი იცოდა ერთმა ადამიანმა. — დურომ, რომელიც გამოღებულ კარის პირდაპირ საჯანგებოდ მოკალათებულ იყო მოსაცდელში და ზენონს გამბურღავ მზერით მისჩერებოდა, „კის ეშინია შენი თვალების ბრიალის!“ — თანდათან ბრაზი იპყრობდა ზენონს...

ზენონი უკვე მერამდნედ კითხულობდა თავის ნაწერს, ფეხს ითრევდა.

აყვებებდა... დუროს თანდასწრებით არ სურდა ბეზლობა მდივანისთვის გადაეცა, ამიტომ არ გამოდიოდა მისაღებში. ეგებ აბიაც მობრუნდეს და მომისწროსო. ამასაც კი ფიქრობდა. თუ ახლა ვავიღოდა მისაღებში და მდივანს ბეზლობას გადასცემდა, დურო უსათუოდ ჩაიხედავდა ნაწერში. მდივანს დაიმატოხელებდა და წაიკითხავდა ზენონის ნაცოდვილარს. ამიტომ ითრევდა ფეხს, ვითომ რალაცას კითხულობდა, ასწორებდა. — ჯერ ვერ მოემთავრებინა საქმე.

დახეთ საოცრებას! დურომაც დაიწყო წერა! ზენონმა გამოღებულ კარიდან თვალი მოჰკრა, თუ როგორ გამოართვა დურომ მდივანს პრიალა ქალღი და თვითმწერი და წერას შეუდგა, თითქოს ზენონის დასანახად მიჰყო ხელი წერასო. თან გამოღებულ კარში იყურებოდა, თან წერდა.

დურო ბეზლობას კი არ წერდა, მაგოგის ენაზე წერდა. მისი სიტყვიერობა რომ ვთქვათ, „რაპორტს“. მშობლიურზე უკეთ დუროს მაგოგის ენაზე წერა ეხერხებოდა, შეჩვეოდა ამ ენას. სასამსახურო ენა არავის მხარეში მაგოგის ენა იყო. სჯობდა პირდაპირ მაგოგის ენაზე წერა. ზენონის ბეზლობას თუ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მღამვლელობას მისცემდნენ, უნდა ეთარგმნათ მაგოგის ენაზე, ისე მას ძალა არ ჰქონდა. ამიტომ დურო პირდაპირ მაგოგის ენაზე წერდა „რაპორტად“ წოდებულ ბეზლობას ზენონზე. ამადაამ წლის, ამადაამ თვესა და ამადაამ რიცხვში, შუა ღამით, არავიძეთის სასაფლაოს მანქანით მოადგა მხარის მმართველობის მუშაკი ზენონი, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი და ერთი მანქანა მთვრალები მოიყვანაო.

სამწუხაროდ, დამკვირვებელთაგან მაშინ იქ არავინ იყო, რომ ეს ამბავი აღეჩინებინა. აღურიცხავად დღეს არავიძეთის სასაფლაოზე ჩიტყ კი ვერ გადაფრინდება, მაღლობა ღმერთს, მე იქ ოპერაციას ვიყავი, თორემ ოთხი ადამიანის მოსვლა, ღამით, არავიძეთის

სასაფლაოზე შეუმჩნეველი დაგვრჩე-
ბოდაო.

შემდეგ ღურო ფრთხილად მიანიშ-
ნებდა ხელმძღვანელობას იმაზეც, რომ
ზენონსა და ვარლამს შორის ჩუმი, გა-
უმხელელი მტრობა არსებობდა, დაბე-
ჯითებით არაფრის თქმა შემიძლია,
ამას მომავალი გვიჩვენებსო, — წერდა
ღურო, — მაგრამო, ვარლამ არავიდის
საფლავიდან ამომთხრელსა და იმლა-
მინდელ მთვრალეების მოსვლას შორის
კავშირიც უდავოა, — შხამს აწვე-
თებდა აბიას.

ზენონს სხვა გზა არ ჰქონდა, ბო-
ლოს და ბოლოს, უნდა გასულიყო აბია
არავიდის უფროსისკარიდანაც და მისა-
ღებიდანაც, ღურო კი დარჩებოდა,
პატრონის მოსვლას ელოდებოდა, სხვა-
გან ვერსად წავიდოდა.

— ამ დილაადრიან რამ შეგაწუხათ,
ბატონო ზენონ, — ფეხზე წამოუდგა
ღურო, მოწიწებით ჩამოართვა ხელი.
წერა იმასაც დაემთავრებინა და ნაწე-
რი ხელში ეკავა.

— არაფერი, ისე გამოვიარე, — უთ-
ხრა ცივად ზენონმა და მდივანს ყურში
რალაც უჩურჩულა.

მდივანმა უჭრა გამოალო და ზენონს
კონვერტი გაუწოდა. ზენონი კვლავ
შებრუნდა უფროსისკარში, კარი მჭი-
დროდ მიიხურა, ბეზლობა კონვერ-
ტში ჩადო, გულდაგულ დააწემა, დაა-
წერა: აბია არავიდეს, პირადადო და
კვლავ გამოვიდა მისაღებში. მდივან
ქალს თავზე დაადგა ტუჩ-პირი ყურ-
თან ისე მოუტიდებლად მიუტანა, ქალ-
მა უკანაც კი გააჩოჩა სკამი. „საიდუმ-
ლოა“, — ჩასჩურჩულა ყურში, — „ამა-
საც კი არ წააკითხო“ — დაუბარა და
წავიდა. „ამასში“, რალა თქმა უნდა,
ღურო იგულისხმებოდა. ღურომ გაი-
გონა კიდევ — ამასაც კი არ წააკით-
ხოო, რომ უთხრეს მდივანს, მაგრამ
არ შეიმჩნია, ვითომ არ გაუგონია, ზე-
ნონი მისაღებიდან როგორც კი გავიდა,
მდივანს უბრძანა:

— მომეცი!

მდივანი ერთი წამითაც არ შეყოვნე-

ბულა. კონვერტი გაუწოდა. ეტყობო-
და, ღუროს წესად ჰქონდა სხვათა
ლობების კითხვა.

— ოღონდ ფრთხილად, დაწებება
შეეძლოთ... — კონვერტის გასახსნელი
საგანგებო ხელსაწყო ამოიღო მდივან-
მა და ღუროს გაუწოდა.

ღურომ ზენონის დაწერილი ბეზლო-
ბა წაიკითხა და აბიაც მოვიდა. ღურო
თავის პატრონს გაღიმებული და კმა-
ყოფილი შეეგება. აბია აღელვებული
და გახარებული ჩანდა. ღურო მას
უფროსისკარში დაუკითხავად შეჰყვა.
ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც
ღუროს უნდოდა. როცა აბიამ ზენონს
ოთახში დატოვა და, გენერალური დამ-
პირველის, გრიგოლოვის, დარეკვისთა-
ნავე მისკენ გაეშურა, ღურო მას გზა-
ში უნდა შეფეთებოდა, მაგრამ იმარჯვა
და დერეფანში დაემალა. თავი არ უჩ-
ვენა პატრონს, ასე სჯობდა. ღუროს
აზრით, გრიგოლოვის ნათქვამს მეტი
დამაჯერებლობა და რწმუნება გააჩნ-
და. ჯერ სხვას უნდა ეთქვა ღუროს
ერთგულების ამბავი, შემდეგ თვითო-
ნაც განამტკიცებდა ნათქვამს.

სადამპირველოს, ანუ გრიგოლოვის
საგანგებლოს, მოკლედ ადღს (არავის
დამპირველი ლაშქარი) ეძახდნენ. ადღს
საკუთარი პატარა ისტორია გააჩნდა:
თურმე ძველ დროში არავი მაგოგს და-
უპყრია და შიგ საოკუპაციო ჯარი —
დამპირველი ანუ მათი ენით „დამცვე-
ლი“ ლაშქარი ჩაუყენებია. აი, მაშინ
დაურქმევიათ ამ დაწესებულებისათვის
ადლი (არავის დამპირველი ლაშქარი)
მას შემდეგ დიდი დრო გასულა. შეცვ-
ლილა ცხოვრება. არავს საოკუპაციო
ანუ „დამცველი“ ჯარი აღარ დასკო-
რებია. დამპირველი ლაშქარი წესრიგი-
სა და კანონის დამცველ ლაშქარად, ე. ი.
პოლიციად ქცეულა, მაგრამ ძველი სა-
ხელი სისხლსა და ხორცში გაჯდომილი
არაველებს და ვერ შელევინა. ძველი



სახელები „ადლი“, „სადამპირველო“, „დამპირველი“, „მთავარდამპირველი“, „გენერალური დამპირველი“ შერჩენია დაწესებულებას და მის მსახურთ.

ადლი რიგითი პოლიციური დაწესებულება ყოფილა. ქვეყნად ვარლამ არავიძის მოვლინებამდე. სახელი და დიდება ამ დაწესებულებისათვის ვარლამს მოუტანია. ადლში სამსახური, ადლისტობა მას უქცევია სასახლო, სამაყო საქმედ, თანაც სავანგებოთაფლის კვერებიც გაუჩენია ადლში მომსახურეთათვის. ვინც ადლში თავს გამოიჩინდა, იმას დიდ ხელფასს უნიშნავდნენ, აშენებულ სახლ-კარს უბოძებდნენ. რაღა თქმა უნდა, ყოველა არაველი და არავიძეთელი ოცნებობდა, ადლის მუშაკი გამხდარიყო.

ძველი სახელი და დიდება დღესაც გააჩნდა სადამპირველოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვარლამ არავიძეს როცა დასჭირდა თავდადება, ერთგულება, საზრიანობა და სიმარჯვე, სწორედ მაშინ ჩაფლავდნენ. ადლმა ველარ იაღლა ძველებურად. აბიას აზრით, ადლის ასეთი უღონობა და უმწეობა მოუთმენელი იყო. მმართველობა დღეს თუ ზვალ იმსჯელებდა ადლსა და მის ხელმძღვანელზე, გენერალურ დამპირველზე, გრიგოლო გრიგოლოვზე. ამაში მტკიცედ დარწმუნებული მიაბიჯებდა ადლისაკენ.

ადლის სასახლე მხარის მმართველობის შენობის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, იდგა. ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს ამ მანძილის გავლა უმანქანოდაც შეეძლო, რასაკვირველია. მმართველობის უფროსი, მისი მოადგილეები, ადლის უფროსი, — გენერალური დამპირველი, მისი მოადგილეები, — მთავარდამპირველები ერთმანეთთან მანქანებით დადიოდნენ. მმართველობის შენობიდან ადლის შენობამდე ასე თუ ისე, გარკვეული მანძილი, სამასი-ოთხასი მეტრის სიგრძისა, მაინც იდო. ამ მცირე მანძილის გავლაც კი ფეხით, დაცვის გარეშე, დიდკაცთათვის სასურველად არ მიაჩნდათ. თუ ვინმე თავი

სინებით მაინც გაივლიდა, საყვედურსა და უკან მიაყოლებდნენ. ამიტომ აბიას ფრთხილობდა, აქეთ-იქით იყურებოდა, ღუროს დაეძებდა. მანქანა იქვე, მმართველობის ეზოში, იდგა, ღურო კი არ ჩანდა. არ მოეწონა ღუროს გაუჩინარება. ეჭვით შეპყრობილი მიდიოდა. ნუთუ ღურო მალაატობს, გრიგოლოვიც, ალბათ, იმიტომ მეძახის, საზარელი ამბავი მაუწყოსო.

აბია არავიძეს ადლში ასავლელად საშუი არ სჭირდებოდა, დიდი თანამდებობა რომც არ ჰქონოდა, ვარლამ არავიძის შეილობაც საკმარისი იყო, სადამპირველოს რკინის კარები ფართოდ გაეღოთ მისთვის და კრძალვითა და მოწინებით შეზვედროდნენ.

ასეც შეზვედნენ. „მობრძანდით, ბატონო აბიავ!.. აქეთ, ბატონო აბიავ...“ — გზას უჩვენებდნენ. ლიფტი გამოუძახეს, გრიგოლოვის უფროსისკარამდე მიაცილეს, იქ მდივანი შემოეგება, გრიგოლოვის შავი კარი მდივანმა შეაღო, ჩანდა რომ აქ მას ელოდებოდნენ. მაგრამ აბიამ ისიც იგრძნო, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის მოლოდინშიც იყო ეს დაწესებულება. ფაცა-ფუცი, აჩქარება, ალღევება იშვიათად დეეტყობათ აქაურ მუშაკებს. ყველას სახეზე ეწერა შეშფოთება, შიში რაღაც დიდის მოლოდინის გამო.

აბიამ იცოდა, მამამისისაგან გაეგონა, რომ ადლში დიდი ფაცა-ფუცი ბუყდებოდა მაშინ, როცა გენერალური დამპირველი გოგში მთავგენდამს (მთავარ გენერალურ დამპირველს) ელაპარაკებოდა. ეს იშვიათად ხდებოდა, მთავგენდამი ისეთი დიდი კაცი იყო, ზოგი გენერალური დამპირველი საერთოდ ვერ გაიგონებდა მის ხმას მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. კავშირი მხოლოდ თანაშემწეების, მოადგილეების მეშვეობით მყარდებოდა. მთავარ გენერალურ დამპირველს, ანუ მოკლედ „მთავგენდამს“ სამასი თანა-

ნოლა ნულისაიძი
ავტარი



შემწე ჰყავდა და თორმეტი მოადგილე. ბუნებრივია, პროვინციებთან ურთიერთობას ისინი წარმართავდნენ.

მართალია, გენერალური დამპირველები ყოველთვის ყველაფერს მთავგენდამს — ე. ი. იმ დაწესებულებას, რომელსაც მთავარი გენერალური დამპირველი მეთაურობდა, ამცნობდნენ (უპატაკებდნენ). შენობასაც კი „მთავგენდამს“ ეძახდნენ. ამ დაწესებულებაში აგზავნიდნენ პატაკებს, საქმიან წერილებს, ინფორმაციებს (ანუ ბეზღობებს). თანაშემწეები მნიშვნელობის მიხედვით ალაგებდნენ და ყველაზე მთავარს, ყველაზე მნიშვნელოვანს მთავგენდამს მოახსენებდნენ. თუ ინებებდა, თუ საჭიროდ სცნობდა პროვინციებთან კავშირს. აი, მაშინ აიყალბებოდა ადლი იყო გამოძახება, შეტყობინება, რეკვა ერთმანეთთან, დიდი სამზადისი, — ის, რაც დღეს არავის მხარეში ჩდებოდა: ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრის გამო თვით მთავგენდამს უნებებია არავის მხარის გენერალურ დამპირველთან, გრიგოლო გრიგოლოვთან, ელსმენით საუბარი.

გრიგოლოვის უფროსისკარში აბია როგორც კი შევიდა, ის-ის იყო ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მოიკითხეს, წითელი შუქი აინთო და ჩაქრა, აინთო და ჩაქრა... წითელმა შუქმა დაიწყო ციმციმი ადლის ყველა ოთახში, დერეფნებში... მხარის კავშირგაბმულობაში ხომ წითელ შუქს საყვირებიც მოჰყვა, — ხაზზე გამოდიოდა მთავგენდამის ხმა. ეს ხმა უნდა ჩაწერილიყო და ხვალ, ზეგ, საერთოდ, მომავლისათვის, სახელმძღვანელოდ უნდა ქცეულიყო არავის მხარის დამპირველთათვის.

წითელი შუქის ანთებას წინ უძღოდა ელსმენის მოვალობე მრავალგზისი ზარი, რითაც უწყებულ იქნა მთავგენდამის ნება — ესაუბრა არავის მხარის გენერალურ დამპირველთან. ხოლო უშუალოდ მთავგენდამის ხმის გაგონებას წინ უძღოდა წითელი შუქები...

წითელი შუქი აინთო მმართველობის შენობაში, და თვით იგისი მმართველობის ძის უფროსისკარში. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრას ზედამხედველობდა მაგოგთა დედაქალაქი — გოგთა.

„პატივით დაკრძალვის ნებართვა გოგითან მოსულა...“ — გაუელვა თავში აბიას. „იგისი ნესტორის ძე უბრალო ყოფილა...“ — აბიას ახლა თავისი გასაჭირი ახსენებოდა, მამამისის, ვარლამის, დაკრძალვის დღეები: მკვდარს რომ ვერ ასაფლავებდა, არ იცოდა როგორ დაემარხა საკუთარი მამა. ვარლამ არავიძე ხომ ჩვეულებრივი მკვდარი არ იყო. — ეს იწვევდა ამდენ გაუგებრობას. ამდენი თავსატეხი გამოცანა და ამოცანაც იმიტომ მოჰყვა მის გარდაცვალებას. ძლივს დაასაფლავა. ეგონა, დამთავრდა, მოისვენა, ნურას უჟაცრავად! ახლა ახალი საწუხარი გააჩინა მათხრებელმა მკვდარმა.

— უწარჩინებულესო და უპირველესო! — გაჭარხლებული, სმენაზე მდგარი, მიმართავდა გრიგოლო გრიგოლოვი მთავარ გენერალურ დამპირველს. გრიგოლოვს მკახე, მკვიანა ხმა ჰქონდა, მოწადინებულ-გამეცადინებულა მოახსენებდა უფროსს დღევანდელ არავის გასაჭირს.

— ბოროტმოქმედი ნაპოვია, დადგენილია ვინაობა, სადაურობა, დღეს თუ ხვალ შევიპყრობთ და აღვკვეთავთ უწყსობებს!

აბიაც ფეხზე წამოდგა. გრიგოლო გრიგოლოვი ფეხზე მდგარი ესაუბრებოდა მთავგენდამს. აბია, ამ შემთხვევაში ამ ამბის შემსწრე და მსმენელი, ვალდებული იყო, ფეხე მდგარს ესმინა, თავის უფროსისკარშიც რომ ყოფილიყო, ის მაინც ფეხზე წამოდგებოდა. მთავგენდამის ხმას რადიოშიც რომ მოჰყავდნენ ყურს, მაშინ დგებოდნენ ფეხზე, ახლა არაველებს პირდაპირი ხაზით ელაპარაკებოდა, ბუნებრივია, დიდ-პატარა ფეხზე იდგა. ვინ გაბედავდა არ წამოდგომას, არ წამოდგომისთვის ვარლამ არავიძეს ასობით



ადამიანი ჩაუყრია ციხეში. ის ძველი შიში არ გამქრალიყო, თორემ დღეს ამას არავინ მოითხოვდა. მართალია, „ვინც არ წამოდგა“, მეორე დღესვე იცოდა გოგმა, მაგრამ ამისთვის სამუდამო კატორღაში არავის აგზავნიდნენ. შეჩვეოდნენ არაველები ფეხზე წამოდგომას, წითელი ელსმენი რომ ახმაურდებოდა, სმენაზე იღვნენ.

აბია სიხარულმა ისე აიტაცა, ბოლოს რა ითქვა ვერ გაიგონა. ბოროტმოქმედი ნაპოვნიაო, დადგენილია ვინაობა, სადაურობაო. „როდისღა იპოვეს?“ — გაოცებას ვერ მალავდა აბია და სული კბილით ეჭირა, როდის ჩამოჰკიდებდა ყურმილს გრიგოლოვი.

გრიგოლოვის მაგიდაზე სხვადასხვა ფერის მრავალი ელსმენი ელაგა, ის, რაც ახლა ადლის უფროსს ხელში ეჭირა, ცალკე, მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას, ეკიდა. წითელი ფერისა იყო არა მარტო ყურმილი და აპარატი, მთლიანად დანადგარი, გრიგოლოვის უფროსისკარში შემომსვლელი უმაღლესი მიხვდებოდა, რომ მოწყობილობა მთავგენდამის პირადი ელსმენი იყო. ასეთი ელსმენი, არავეში ორ ხელმძღვანელს ედგა — ერთი გრიგოლოვის, მეორე — ივსიხი ნესტორის ძეს.

— გაგიჭიანურდათ უწყისობის აღკვეთა! — გაისმა მთავგენდამის დინჯი და წყნარი ხმა წითელ ელსმენში მაგოგის ენაზე და ამ ხმას საზარელი — ტუუ! ტუუ! ტუუ! — მოჰყვა.

გრიგოლოვი ხომ ჰარხალივით წითელი იდგა წითელ მოწყობილობასთან. უცებ გათეთრდა, წითლად გადმოყრილ ტუჩებსაც კი ფითრისფერმა გადაუარა. ერთი წუთის წინ სულ მთლად წითელი, ახლა თეთრი იდგა, ხელში წითელი ყურმილი ეჭირა და ტუუ, ტუუს გაიძახოდა ის ყურმილი, რა ექნა არ იცოდა, ყურმილი თავის ადგილას ჩამოედოთ თუ კიდევ დალოდებოდა. საწყალბოელი თვალები აბიას მიაპყრო. სილის გაწნა რა არის იმ ტუუ, ტუუს-თან! გრიგოლოვმა მადლობის თქმა ვერ მოასწრო. რა ჰქონდა სამადლობელი! მადლობა

მინც უნდა ეთქვა. რად ღირდა ის ფექტი, რომ არავეში ნანატრი წითელი შიში აინთო! პირში შეაცივდა სიტყვა. რა ექნა ახლა? დაბნეული, არეული მიუჭდა თავის მაგიდას. მთავგენდამმა ყურმილი დაუკიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, მისი კი არა, ალბათ, ივსიხი ნესტორის ძისაც. აბიასაც გადაავიწყდა თავისი სიხარული, გრიგოლოვის შეშფოთება: მასაც გადაედო. რა თქმა უნდა, ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ მანაც არ იცოდა, ამ წუთებში რა ეთქვა.

— მართლა აღმოაჩინეთ ბოროტმოქმედი?.. — ძლივს ამოღერდა, ანგარიშიუტყემლად იკითხა.

— აბა, მთავგენდამს ტყუილს ვეტყობდი! — მწარედ გაიღიმა გრიგოლოვმა.

აბიამ თავი უხერხულად იგრძნო, „უაზრო შეკითხვა წამოვებოდიო“ გაიფიქრა და გამოსწორება სცადა.

— დიდი მადლობა, ბატონო გრიგოლო, ვიცოდი მე ეს!

— რა იცოდით? — ცივად შეხედა გრიგოლოვმა. ნერვებს უშლიდა ახლა ეს კაცი! „ამის გულისთვის უნდა ვაგო პასუხი“ — შესცქეროდა აბიას და მთავგენდამზე ფიქრობდა.

— მჯეროდა თქვენი. — თქვენს მძღოლს უმადლოდეთ!.. — კვლავ ცივად მიუგო.

— ჩემს მძღოლს — დუროს?.. — აბიას შეეტყო, რომ გაუხარდა.

— ჰო, თქვენს მძღოლს, — თანდათან მშვიდდებოდა გრიგოლოვი, ამ საგანზედ საუბარი ეტყობოდა, რომ მასაც სიამოვნებდა. ჰმუნვისა და დარდის დრო არ იყო. სწრაფად უნდა ემოქმედა, თუ ამ საქმიდან უხიფათოდ აპირებდა გამოსვლას.

— აი, რისთვის დაგიძახეთ: ღამის სამ საათზე ჩვენ შევიპყრობთ ბოროტმოქმედს, გნებავთ დაესწარით ობერაციას, გნებავთ არა. ჩვენ ჩვენსას ვავაკეთებთ. ჩემი თხოვნაა, მთავგენდამის სახელზე დაწეროთ ახსნა-განმარტება და აფრინოთ გოგში.



— რა ახსნა-განმარტება? — დაფრთხა აბია.

— რომ თქვენ, ოჯახმა, დაუმალეთ ადღს მიცვალებულის პირველი ამოთხრა საფლავიდან. დაგვიანებით შეგვატყობინეთ!.. — გულიდან აღმოხდა გრიგოლოვს, — ვითომ დამნაშავე თქვენა ხართ, თქვენი გულისთვის კი მე დავისჯებიო.

— ეგებ დეპეშა სჯობდეს? — თითქოს თავისთავს ჰკითხა, ჩაფიქრდა გრიგოლოვი, — კი, დეპეშა! — უცებ გადაწყვიტა. დღესვე, აქედან გასვლისთანავე, დეპეშით აცნობეთ მთავგენდამს, რომ საქმის გაჭიანურება თქვენს ბრალია.

„ვინ უთხრა“ — დასცეცხლა აბიას. „ვარლამ არავიძის პირველი ამოთხრის მოწმე ხომ ორად ორი კაცი იყო: დურო და ნოვე, ნუთუ ნოვემ?“

— უსათუოდ, ბატონო გრიგოლო, — ფეხზე წამოუდგა აბია, — მაგრამ თუ თქვენ მართლა ამ საღამოს აპირებთ ბოროტმოქმედის შეპყრობას, ხომ არ აჯობებს, ხვალამდე მოვითმინოთ და მადლობის დეპეშა ხვალ გაუგზავნოთ! თორემ დღეს ერთი დეპეშა, ხვალ მეორე, გაუგებრობას გამოიწვევს. მადლობის დეპეშაში იმასაც ჩაეწერ, რომ „უწყსოების აღკვეთის გაჭიანურება“ ჩვენი, ვარლამ არავიძის ოჯახის, ბრალია.

გრიგოლოვის უფროსისკარში ელსმენის ზარი აწკრიალდა, აბიამ ელსმენი იცნო, ეს იგისი ნესტორის ძის ზარი იყო. გრიგოლოვმა ყურმილი აიღო. ყურმილში ქალის ხმა გაისმა. გრიგოლოვმა აბიას მოხედა, კი ბატონო, გადავცემო, უთხრა ქალს და ყურმილი დადო.

— იგისი ნესტორის ძე გეძახით... — უთხრა გრიგოლოვმა და დასამწვიდობებლად ხელი გაუწოდა.

— იგისი ნესტორის ძე? — გაიკვირვა აბიამ.

გრიგოლოვს სწრაფად გამოემწვიდობა და დაფიქრებული გამოვიდა ადლის შენობიდან.

რისთვის იბარებდა იგისი ნესტორის ძე? თანამშრომლებს აკრძალავდა ჰქონდათ მასთან შეხვედრა. თვითონ აბიასაც კი კარგა ხანი იყო, რაც არ ენახა. იგისი ნესტორის ძე ვარლამის დაკრძალვაზეც ვერ მოვიდა. არც დაკრძალვის შემდეგ უნებებია სამძიმრის თქმა. დეპეშა კი გამოგზავნა, რაც მართალია, მართალია. აბიამ მადლობის სათქმელად დააპირა შესვლა, მაგრამ თანაშემწეებმა არ შეუშვეს, სასურველი არ არისო.

იგისი ნესტორის ძე მიხრწნილი მოხუცი იყო, ბოლო დროს ავადმყოფობდა კიდევ. ექიმებს მიაჩნდათ, რომ სამსახური მას უკვე აღარ შეეძლო, მაგრამ ამის თქმას ვერ უბედავდნენ. ამიტომ გამუდმებით მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. კვირაში ერთხელ, როცა ის მმართველობაში მოვიდოდა, ორი კაცი ადგა თავზე. შეხვედრების, საუბრების, ზედმეტი მღელვარების ნებას არ აძლევდნენ. მხარის მმართველობას სინამდვილეში თანაშემწეები უძღვებოდნენ.

აბია არავიძე სადამპყირველოს შენობიდან გახარებული გამოვიდა. თითქმის დაუჯერებელ სინამდვილეს შეესწრო, არავის მხარეში მთავგენდამმა დარეკა. ამის გამო ჯერ შთაბეჭდილება არ განელებოდა, რომ იგისი ნესტორის ძე გიბარებსო, ახალი სასიხარულო ამბავი აუწყეს. ბედნიერ ფეხზე ავმდგარვარ, ნეტავ რა დღეა, რა რიცხვიაო, კმაყოფილი მიაბიჯებდა ქუჩაში.

იგისი ნესტორის ძის სამყოფელი სამმართველოს შენობის გვერდით, ცალკე მდგარ სასახლეში იყო.

აბია იგისის უფროსისკარში დაუკითხავად შევიდა. რახან იგისი იბარებდა, არ იყო საჭირო კითხვა. ასე შედიოდა ყოველთვის მასთან. ბოლო სამიოთხი თვე შეიცვალა ვითარება. გარდა თანაშემწეებისა, ვერავინ ნახულობდა იგისის. აბიას ეს არ მოსწონდა, ათასი ეჭვით იყო შეპყრობილი. მხარის მმართველობის უფროსის პირველი მოადგილე აბია არავიძე იყო, უფროსთან



კი ვერ შედიოდა. ეტყობა, არ უნდა მის ადგილას მე დამტოვოსო, თანაშემწეს შეპირდაო — ფიქრობდა ნაღვლიანად აბია. და, აი, უცებ იზარებდა უფროსი.

უფროსისკარში რომ შევიდა, პირველი გაოცებაც მაშინვე იგემა, ოთახში არავენ იყო! — ცივად გამობრუნდა და მდივანს ჰკითხა:

— არ არის?..

როგორც კი აბია მოსაცდელში შემოვიდა, მდივანი ფეხზე წამოუდგა, ჭერაც ფეხზე იდგა, წინასწარ იცოდა, რომ აბია მობრუნდებოდა.

— იქ არის, თავისთან... — უთხრა მდივანმა. კისერიც წაიგრძელა და ხელიც გაიშვირა იმ ოთახისკენ, სადაც ივსიხი ნესტორის ძე ეგულებოდა.

აბიაც უმალ მიხვდა, თუ სად იყო ეს „თავისთან“ და უფროსისკარში შევიდა, შავი კარებიც გულდაგულ მიიხურა.

ივსიხი ნესტორის ძის უფროსისკარს, როგორც ყველა დიდკაცისას, დასასვენებელი ოთახი ცალკე ჰქონდა; ცალკე სხვა სათავსოები. აბიამ, რა საკვირველია, აქ ყველა კუთხე-კუჩქული იცოდა და შეუმცდარად შეაღო იმ ოთახის კარი, სადაც ივსიხი ნესტორის ძე ეგულებოდა. შეაღო და მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა. ასეთ ივსიხი ნესტორის ძეს ის არ იცნობდა. ლოგინში იწვა გაღუეულ-გამხმარი, მომპკედავი კაცი, რომელსაც ხმაც კი წართმეოდა, თითქოს ხაოდა, ნელა წარმოსთქვამდა სიტყვებს.

— მოხვედი?... — ამოიხავლა და თავის წამოწევა დააპირა, თანაშემწეებმა თავი აუწიეს:

— მთავ-გენ-დამ... — ტანჯვით ამოთქვა. სიტყვა ვაწყვიტა, რადგან დაილალა, ამსიგრძე სიტყვის შეუსვენებლად თქმაც კი არ შეეძლო.

„მა“ — დააბოლოვა როგორც იქნა. „დარეკა“... — თქვა შესვენების შემდეგ.

წამოაჩინეს. ტახტზე ჩაცმული იწვა. აბიას ხელით ანიშნა ახლოს მოდიო. „ორ თვეში როგორ გამოცვლილა“

— გაიფიქრა, დაბნეული იყო, ერიდებოდა ახლოს მისვლის. თითქოს მგანაკს უპოვიდა, თუ ახლოს მივიდოდა. ყოყმანით მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

ივსიხი ნესტორის ძემ ხელში მოიგდო აბიას ხელი, ორივე ხელი მოკიდა და სახეში შეაქკერდა.

— მთავგენდამმა დარეკა... — უთხრა საიდუმლოსავით, — ეს დიდი ამბავია!.. — თვალები უბრწყინავდა.

— დიახ, ვიცი, ივსიხი ნესტორის ძეც, ყურებს არ ვუჯერებდი, მთავგენდამის ხმა რომ გავიგონე. თურმე მამაჩემის გამო დაურეკია... ეს კიდევ უფრო მეტს მავალებს...

„შეიძლება არც იცის ვარლამის საფლავიდან ამოთხრის ამბავი“ — გაუელვა თავში აბიას. ამიტომ „მამაჩემის“ მკაფიოდ, შეყვანებით, ხმამაღლა წარმოსთქვა.

თითქოს არ გაუგონიაო, ივსიხმა საუბარი განაგრძო:

— მთავ-გენ-დამმა დარეკა, — ერთხელაც ისე თქვა ივსიხი ნესტორის ძემ, თითქოს პირველად აუწყებდა თავის მოადგილეს ახალ ამბავს.

— რაც მე აქ ვმუშაობ, ეს პირველი შემთხვევაა... ე. ი. ჩვენ კარგად ვმუშაობთ. ვინც ცუდად მუშაობს, იმას მთავარი (შეამოკლა მთავგენდამი) არ ურეკავს.

— ისიც არ დაგავიწყდეთ. მან ყურმილი დაკიდა... — უთხრა პირველმა თანაშემწემ, კი არ უთხრა, ჩასძახა. ივსიხი ნესტორის ძეს ყურს ყოველთვის აკლდა, ახლა მთლად დაყრუებულაო, — გაიფიქრა აბიამ, თანაც პირველი თანაშემწის კილო არ მოეწონა, თითქოს უფროსი ის იყო და არა ივსიხი.

— კი, მთავარმა, — მთავ-გენ-დამმა თვითონ დარეკა არავში, მიუბრუნდა პირველ თანაშემწეს ივსიხი ნესტორის ძე— ნამდვილად დარეკა, თქვენც ხომ აქ იყავით! — გაოცებით შეხედა, ჩემი რატომ არ გჯერაო.

— დარეკა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კარგად ვმუშაობთ, პირიქით, ცუ-

დად მუშაობთო, გვითხრა და ყურმილი დაგვიცადა, — ყვირილ-ყვირილით გაუმეორა პირველმა თანაშემწემ.

წამით შეეცვნდა ივსიხი ნესტორის ძე, თითქოს ჩააფიქრაო თანაშემწის ნათქვამმა. საიდანღაც ბრჭყვიალა კოლოფი გამოაძვრინა, გახსნა, შაქარყინულის ნატეხი ამოიღო იმ კოლოფიდან, პირში ჩაიღო და აბიას უთხრა:

— შაქარყინული ექიმმა გამომიწერა, თურმე შაქარყინული ჩემი წამალია, ნათქვამია: სიკვდილის წამალი ღობის ძირას ხარობდაო. მართლაც, თუ შაქარყინული მიშველიდა, აქამდე ვერ შევქვამე?.. — მთავგენდამმა ხომ მართლა დარეკა?.. — ჰკითხა აბიას ივსიხმა მოულოდნელად.

— დიახ, დარეკა. — მიუგო აბიამ.

— აბა, ამას რა უნდა, რატომ მეწინააღმდეგება? — პირველ თანაშემწეს მიაჩერდა ივსიხი.

— მომიტევეთ, ივსიხი ნესტორის ძეც, — უთხრა მეორე თანაშემწემ, — ამდენი ლაპარაკის ნება თქვენ არა გაქვთ. შინ უნდა წაგიყვანოთ, იქ ექიმები გელოდებიან.

— კი, წამიყვანეთ, წამიყვანეთ, ამდენი ლაპარაკის ნება მე არა მაქვს... — უცებ დამორჩილდა თანაშემწეს ივსიხი.

— კი, მაგრამ რისთვის დაიბარეთ აბია ვარლამის ძე? დავალება არ უნდა მისცეთ?.. — ჰკითხა პირველმა თანაშემწემ.

— ჰოო, რისთვის დავიბარეთ? — შეაჩერდა აბიას ივსიხი, — შენ უთხარი, შენ უთხარი, მე გენდობი! — მიუბრუნდა პირველ თანაშემწეს.

— მთის რაიონები კვერცხის გეგმას ვერ ასრულებენ, როგორმე უნდა დაგვეხმაროთ!.. მართალია, კვერცხი თქვენი საქმე არ არის, მაგრამ მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში თქვენ იცით, რომ საზღვარგარეთ წავიდა. გოგს კი მილიონი კვერცხი დღესხვალ უნდა გავუზავანოთ. სხვა ვინ დაგვეხმარება, თუ არა თქვენ.

— კი, ბატონო! — ჩაიღუღუნა აბიამ

და პირველ თანაშემწეს შეაცქერდა. მაგრამ მე არავიდან ვერსად თქვენ იცით ჩემი გასაჭირი!..

— აგერ, ამის ბრძანებაა, — ხელუხეზად გაიშვირა ივსიხისაკენ, — ეს საქმე თქვენ დაგვევალათ!.. — უთხრა მტკიცედ პირველმა თანაშემწემ და უფროსისკარიდან გავიდა.

— ბატონო ივსიხი, — აბიამ სკამი მოიტანა, გულდაგულ მიუჯდა უფროსს და ახსნა-განმარტებას შეუდგა: — თქვენს დავალებას ყოველთვის სიხარულით ვასრულებდი და მომავალშიც შევასრულებ, ოღონდ ამჯერად ნურაფერს დამავალებთ. დღე და ღამე სასაფლაოზე ვარ, ერთი წუთი მოცლა არა მაქვს, მკვლარი ვერ დამიმარხია, გავიტანჯე კაცი!

— მკვლარი? ვინ არის მკვლარი? — იკითხა ივსიხი ნესტორის ძემ და აბიას დასცეცხლა: „არ იცის არაფერი...“

— მამაჩემი, ვარლამ არავიძე... —

— ჰო, მამაშენი ვარლამ არავიძე გარდაიცვალა... სულ არ მახსოვდა... ჩვენ მეგობრები ვიყავით, ერთ დროს ერთადაც ვმუშაობდით. მაგარი კაცი იყო.

— ჰოდა, იმ თქვენს მეგობარს საფლავში არ აყენებენ, ვილაცა თხრის და ღობეზე მიკიდებს.

— ვარლამ არავიძეს საფლავში არ აყენებენ? ვილაცა თხრის და ღობეზე მიკიდებს?.. — ჩაფიქრდა ივსიხი ნესტორის ძე, — რას მიკეთებს გრიგოლოვი! — იკითხა უცებ მან, — მომეცით ყურმილი!..

— იცის გრიგოლოვმა, — უთხრა მეორე თანაშემწემ, — გრიგოლოვმა კი არა, მთლად გოგმა იცის, მთავარმა ამიტომ დარეკა, — ჩასძახეს ყურში.

— მერე, მე რატომ არ ვიცი, რატომ არ მითხარი! — ხმას აუწია ივსიხი ნესტორის ძემ.

— გითხარი, მაგრამ არ გახსოვთ! — მიახალა მეორე თანაშემწემაც.

— არ მახსოვს? — მეორეჯერ მითხარი!.. — ამჯერად დაუყვავა ივსიხი ნესტორის ძემ.

— მთავარმა მართლა ამიტომ დარე-
კა? — ჰკითხა აბიას იესიხმა.

— დიახ, ამიტომ დარეკა. — მიუგო
აბიამ.

— მომეცი ყურმილი! — გამოგლი-
ჯა ხელიდან ყურმილი მეორე თანაშემ-
წეს. სწრაფად აკრიფა ნომერი და ყურ-
მილში ჩასძახა:

— სირცხვილა შენი, გრიგოლო!.. —
ჩასძახა და დაუყიდა.

— ბატონო იესიხი! — უთხრა მეო-
რე თანაშემწემ მტკიცე კილოთი, — ეს
უკვე მეტისმეტია, ამდენის უფლებას
ეჭიმებს თქვენთვის არ მოუციათ!

მოკიდა მკლავში ხელი, ძალით წა-
მოაყენა და წელა დაიძრნენ კარისაკენ.

— ბოდიშს ვიხდით, ბატონო აბია
ვარლამის ძე, მაგრამ იმას ვაკეთებთ,
რაც ნაბრძანებია.

ისინი სხვა კარიდან გავიდნენ, აბია
სხვა კარიდან, „ერთი საიდუმლო კარი
კიდევ ჰქონიათ“ — გაიფიქრა მან, რო-
ცა იესიხი ნესტორის ძე უფროსისკა-
რიდან გამოვიდა.

აღლში ეჭვებით შეპყრობილი მიდი-
ოდა და უკან რა იმედიანი დაბრუნდა!
მისაღებში ღუროსთან შეხვედრა ისე
გაუხარდა, ლამის გადაეხვია და გადა-
კოცნა. ბოროტმოქმედი ნაპოვნი იყო,
გენერალურმა დამჭირველმა იცოდა
ბოროტმოქმედის სახელი და გვარი —
ჯეგე ხალდანი, მეტსახელიც კი „ღირ-
გია“. მიწას გახეთქავდნენ და იქიდან
ამოიყვანდნენ. აღლს სხვა კი არაფე-
რი ევალეზოდა! რაც მთავარია, ყოვე-
ლივე ამის შემოქმედი იყო მისი მძლო-
ლი, არავიძეების ძველისძველი ერთ-
გული კაცი — ღურო.

უფროსისკარში შეიკეტნენ. აბიამ
მდივანი გააფრთხილა, ვინც არ უნდა
მოვიდეს, არ შემოუშვა, საქმე გვაქვ-
სო. დიდხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა აბია
არავიძის უფროსისკარიდან, ბოლოს
ერთად გამოვიდნენ იქიდან უფროსი
და მისი მძლოლი და სადღაც წაივი-
დნენ.

აღლს უნდა წასულიყვნენ სხვაგან თუ
არა სასაფლაოზე? აბიას სხვა გზა, სხვა
რამ საზრუნავი და საფიქრალი არა
ჰქონდა. ვერც შინ, ვერც ვარეთ სხვას
ვერაფერს აკეთებდა, გულს ვერაფერს
უდებდა. როგორმე უნდა დაებოლოვე-
ბინა ეს საქმე, რაღაც უნდა დაჯდომო-
და, წერტილი დაესვა აღვირახსნილი
საქციელისათვის. ვინ უნდა ყოფილიყო
ეს ხალდანი? ნუთუ იმათი ნაშვირი,
ვინც ვარლამ არავიძემ ამოწყვიტა არა-
ვში და საერთოდ, არავის მხარეში, ამ
გვარის სხვა არავინ ცხოვრობდა. მათ-
გან თითქოს არავინ იყო ცოცხალი...

ღურომ და აბიამ ნოვე მოძებნეს, —
ეგებ მას სცოდნოდა ხალდანთა თავგა-
დასავალი. ნოვე მმართველობაში კად-
რებს განაგებდა, სულ ზემიარად იცო-
და არაველთა ვინაობა, წარმომავლობა,
საქმიანობა. სოფელსაც კარგად იცნო-
და და ქალაქსაც.

სხვას ვის, თუ არა ნოვეს, უნდა ცო-
დნოდნოდა ხალდანთა ისტორია.

— არაო, — ნოვემ უთხრა მათ, —
სოფელში მათ არ უცხოვრიათ, არავი-
ძეთის მკვიდრნი არასოდეს ყოფილან,
ჩვენ ასე ვიცითო. ისიც კი გამიგონია
ხალხში, მათი წინაპარი ორი ძმა ხალ-
დანი ჩამოსულან ძველისძველი ხალდეს
ქვეყნიდან, დასახლებულან არავში, აქ-
ვე დაოჯახებულან და გამრავლებულან.
აი, იმათი ნაშვირები მთლიანად, უკლე-
ბლივ ყველა, მე რამდენადაც ვიცო,
ცოცხალი დღეს აღარავინ არის. იყო
ერთი ბიჭი, ვინც მამაზე უარი თქვა.
სასამართლოზე, საჯაროდ უარპყო თა-
ვისი გვარი, მოღალატე მამა არ მინდა.
დედის გვარი მომეცითო, თხოვა თურ-
მე სასამართლოს, დედის გვარზე დაე-
წერა და სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ
არავში იმასაც აღარ უცხოვრია, სად-
ღაც გადაიკარგაო. თუ მეხსიერება არ
მღალატობს, იმ ყმაწვილს ჯეგე კი არა,
ჯეგებ ერქვაო.

ვიღაც ტყისკაცის ამბავი, ვისაც
„ღირგიას“ ეძახდნენ, ნოვესაც გაეგო-
ნა, ეს იყო და ეს, მეტი არავინ არაფე-
რი იცოდა.

— ეგებ ჩვე ხალდანი, სწორედ ის
ჩვებეა, ვინც თავისი გვარი უარყო...
— ვარაუდი გამოთქვა ნოვემ, — მაშინ
უარჰყო, როცა უჭირდა, დღეს კი დაი-
ბრუნდა.

კიდევ ერთი წყნული ღამე არაზიქეთის სასაფლაოზე

მაინცდამაინც იმ ღამეს ჩამოინგ-
რა ზეცა, ცა ფეხად ჩამოდისო, ხალხში
რომ იტყვიან, იმდაგვარი წვიმა და
თქეში წამოვიდა. მთელი ღამე ქუხდა,
გრგვინავდა, ელავდა და კოცისპირუ-
ლად ასხამდა.

ღურომ მანქანა სასაფლაოს წინ, თა-
ვის ადგილას დააყენა. შავ საწვინებში
გახვეული დამჭირველები სასაფლაოს
მოედვნენ და სხვადასხვა კუთხეში ჩა-
საფრდნენ.

მთავარდამჭირველის — რიკტაფელ-
ოვის, მანქანა სასაფლაოს არ მიკარე-
ბია, სოფლის შუკაში, სადღაც, უადგი-
ლო ადგილას ისე იდგა, ტალახში ჩარ-
ჩენილათ, იფიქრებდა შემხედვარე.

რიკტაფელოვს შორამხედველში ჩქო-
ნდა გენერალურ დამჭირველთან, ვრი-
გოლოვთან, ხოლო რადიოკავშირი სასა-
ფლაოზე განლაგებულ დამჭირველებ-
თან.

ნაშუალამევს კიდევ ერთი მანქანა
დაწრილებდა არაზიქეთის შუკებში,
მიუახლოვდებოდა სასაფლაოს, უკან
ბრუნდებოდა, მოხერხებულ სადგომს
ეძებდა. ეს მანქანა აბია არაზიქის ემ-
ოცდაცხრა გახლდათ. შიგ აბია და ცის-
მარე ისხდნენ. აბია თვითონ მართავდა
მანქანას. ღუროს მეტს სხვას არავის
დასვამდა საქვსთან, არავის ენდობოდა,
თუ ღურო არ ჰყავდა, მაშინ თვითონ
მიუჭდებოდა საქვს.

აბიამაც მოძებნა მოფარებული ადგი-
ლი. შორი-ახლოს ისიც დაბანაკდა.

იმ ღამით არაზიქეთის სასაფლაოზე
გამოსულ ყველა მანქანასა და ყველა
ადამიანს საკუთარი ამოცანა დაესახათ.
ვისაც არაფერი ევალდებოდა, სწორედ
აბია და მისი მეუღლე ცისმარე იყვნენ.

თუმცა საგანგებო დავალება რიკტაფე-
ლოვს მათთვისაც მიეცა: ხელი უნდა
და შეეშალათ ოპერაციისათვის. უნდა
ჩაეჭროთ მანქანა და ჩუქად მდგარიყ-
ვნენ მანამ, სანამ დამჭირველები არ აც-
ნობებდნენ სასურველ შედეგს. სწო-
რად ისინი ვერ ჩერდებოდნენ ერთ ად-
გილას, მანქანას აგერ რომ დააყენებდ-
ნენ, სარკმლიდან თავგამოყოფილები
სიბნელეში უახროდ სველდებოდნენ.
ვითომ მიდამოს აკვირდებოდნენ, დაძ-
რავდნენ მანქანას, მათი ჭკუით ფრთხი-
ლად, ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ სა-
საფლაოს, ეგონათ, თუ ახლოს მივი-
დოდნენ, თავიანთ შვილს მოკვრავდნენ
თვალს. რიკტაფელოვი იძულებული
შეიქნა აბია გაეფრთხილებინა რადიო-
კავშირით: „ნუ მოძრაობთ, ჩააქრეთ
მანქანა!“

აბიამ უმაღლეს ჩააქრო მანქანა. მანქანის
სარკმელი ჩამოსწია და ღამეს მიაყურა.
ცისმარემაც ოდნავ გახსნა სარკმელი.
ისე ასხამდა, ნახევრადგამოღებულ სა-
რკმელშიც კი ღვარად შემოდებოდა წყა-
ლი. გარდა წვიმის შხელილისა, გარედან
სხვა ხმა არ აღწევდა მათ ყურამდე.
სწრაფადვე დახურეს სარკმლები, და-
ხუტეს თვალები და წყვედიადში ჩაინ-
თქნენ მთლიანად.

ფილტვების ანთება დაემართება!
— გაისმა გმიწვა-ჩურჩული სიბნელეში,
უჭირდათ, ძალზე უჭირდათ გაურკვე-
ველ, აბურღულ-დაბურღულ ვითარე-
ბაში, სიბნელესა და სიჩუმეში, თით-
ქოს სამარეში, ხმაგაკმენდილი ყოფ-
ნა. მაშინ როცა გული სასვე ჰქონდათ
ბალანძობა და განგაშით, მზად იყვნენ
გამოჭრილიყვნენ მანქანიდან, წვიმას-
და თქეშს, უკუნ ღამეს არ მორიდებო-
დნენ, ავარდნილიყვნენ სადმე ბექზე და
მთელი ხმით, ყველას გასაგონად ეყვი-
რათ: არ გვინდა ბოროტმოქმედის შე-
პყრობა, მოგვეციო შვილი.. ცისმარე
ხომ ცოცხალ-მკვდარი ეგდო მანქანაში,
აბიას სულ მთლად ცეცხლი ეკიდებო-
და. გულისციხეს უწვავდა ბოროტმო-
ქმედის მიერ გამოგზავნილი ახალი წე-
რილი, რომლის არსებობა ცისმარემ

არ იცოდა. წერილში კი მრგვალი, მსხვილი ასოებით ეწერა: „მოაშორეთ ბავშვი საფლავს, თორემ მოვკლავ, შუ-რისმამებელი“. ეს წერილი აბიამ დღეს მიიღო, როცა დუროსთან და ნო-ვესთან ერთად სასაფლაო-ში იარეს, მოითათბირეს; ღამის სამ საათზე ვინ-სად ყოფილიყო, ვის რა მოემოქმედა, ვის რით შეეძლო დახმარება გაეწია დამჭირველთათვის.

თათბირის შემდეგ აბიამ არავიფეთ-ში, თავის სასახლეს მიაკეთბა, ცისმარ-ეც იქ იყო და ახლა ცისმარესთან უნ-და ეთათბირა.

წერილი ჭიშკარში იყო გაჩრილი. უცებ გამოიღო ჭიშკრის ღრეჭოდან, მიხვდა რაც იყო და ჭიბეში ჩაიჩურთა. როცა დურომ მანქანა დაძრა, მერეც ვერ წაიკეთბა, რადგან ცისმარე, შვი-ლის მომლოდინე, აივანზე იდგა და სა-სოწარკვეთილი ჭიშკარს ვასცქეროდა.

აბიამ ცოლისგან მალულად წაიკით-ბა საზარელი სიტყვები: „მოაშორეთ ბავშვი საფლავს, თორემ მოვკლავ“.

აბიამ წერილი ადღში, პირდაპირ გენერალურ დამჭირველთან, გააქანა. თვალისდახამხამებაში ჩაატარეს ანა-ლიზები, გადაიღეს ფოტოასლები, ერ-თი ასლი აბიასაც არგუნეს, ხოლო დე-დანნი საქმეში ჩააკერეს.

ასეთ ფორიაქში გაატარა მთელი დღე, ახლა იმ საზარელი წერილის ფო-ტოასლი გულისჯიბეში ეღო.

ცისმარეს აწუხებდა, რომ მისი შვი-ლი ასეთ ავდარში, ასეთ თავსხმაში მინდორში იყო. ოხრავდა და წარუ-მარა აღებდა ფანჯარას — წვიმამ თუ გა-დაიღო.

აბიას კი გულისჯიბეში ეღო ნაკვერ-ცხალი, რომელიც ნელა ღვივდებოდა და ცეცხლად ეღებოდა მთელს ტანზე — „შვილს შომიკლავს“. სულში ჩაჭ-როდა შიში.

— ერთი კაცი ვიცი, აი, ასე წვიმასა და თქეში მთვრალი, მინდორში დაწ-ვა და დაკუტდა. — დაიჩურჩულა ისევ. — უარესი არ დაგვემართოს! —

მიახალა უცებ ცოლს. მიხვდა, რომ ზე-დმეტი მოუვიდა.

— ზაფხულის წვიმას, არ არის სა-შიში, ნუ გეშინია... — უკან დაიხია უშალ.

— აბა, ერთი ჩართე, გავიგოთ რას შერებთან... — თხოვა ცისმარემ მეუ-ღლეს.

აბია როგორც კი გასაღებს გადაატ-რიალებდა და ძრავას ჩართავდა, რა-დღო და შორმხედკევირიც ირთებო-და. თუ ვინმე იყო ხაზზე, ან თუ ბრძა-ნებებს იძლეოდა, ყველაფერი მათ მა-ნქანაშიც ისმოდა. ძრავის ჩართვის ნე-ბას არ იძლეოდა ოპერაციის კომისარი, რიკტაფელოვი. აბიას დაუყოვნებლივ აფრთხილებდა, ძრავა გამორთეთო.

აბიამ გასაღები ფრთხილად გადაატ-რიალა, წამით ჩავრთავ და გამოვრ-თავო, ფიქრობდა. გადაატრიალა თუ არა, რადიოცა და შორმხედიც ჩაირთო. ეკრანზე გენერალურ დამჭირველს მთავარდამჭირველი მოახსენებდა. ის რიკტაფელოვი არ იყო, აბია არ იცნო-ბდა მას.

— დამჭირველთა უპირველესო! — მოახსენებდა მთავარდამჭირველი, — ენ სამხედრო გარნიზონის ოთხი პრო-ექტორი ამ საღამოს ჩვენს განკარგუ-ლებაშია, გავანათეთ მთელი გზა, საი-დანაც უნდა მოვიდეს ბღროტმოქმედი, განათებულია სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაც, არსად კაცის ჭაჭანება არ არის, უკვე ხუთი საათი სრულდება, თქვენი ნებართვით, შევატყობინებ რიკ-ტაფელოვს, მოხსნას დამჭირველთა შენაერთი და საფლავთან დატოვოს მო-რიგე გუშაგი.

— შეასრულეთ! — უთხრა გრიგო-ლოვმა და ეკრანიც გამოირთო.

— პროექტორები! — გაავდა აბია, — გესმის, ცისმარე, პროექტორები აუნთიათ.

ცისმარემ მანქანის სარკელიდან გა-იხედა.

— აქედან არაფერი ჩანს!

— პროექტორები კი არა, თურმე ნადირივით ფრთხილი, ტყის კაცივით

უკარება არსებაა, პროექტორის შუქით თუ თვალი მოკრა, საერთოდ აღარ გამოჩნდება.

— ნეტა აღარ გამოჩნდეს და თავი დაგვანებოს!..

— შეხედე, თავზე დაგვათენდა. წავიდეთ შინ.

— წვიმაშაც გადაილო, — ცისმარემ სარკმელი გახსნა და დილის სუფთა ჰაერი და სივრილე მანქანაში შემოიშვა.

აბიამ ნელა დაძრა მანქანა. შუქაში გუბებები იდგა, სოფლის გზები მოუვლელი იყო, მძღოლი თუ ვერ იმარჯვებდა, მანქანა ორმოში ჩაურჩებოდა. ორმოებსა და გუბურებს გვერდს უქცევდა და მიდიოდა, მაგრამ სად მიდიოდა, არ იცოდა, წასულიყო შინ, თუ სასაფლაო და მისი შემოგარენი ერთხელაც მოეჩხრიკა, ბიჭი მოეკითხა. როგორმე უნდა მოეძებნა და დაერწმუნებინა ყმაწვილი, რომ მისი საქციელი საქმეს ვნებდა. „ეჰ, თანგულია, თანგულია...“ ფიქრობდა გუნებაში აბია. თანგულია უშლიდა ხელს, ფეხებში ებორკებოდა. აბიამ მზერა ცისმარესაკენ გააპარა, უნდოდა ეკითხა, რა ვქნათ, სად წავიდეთო. ქალს თავი ჩაეჭინდრა, თვლემამოკრებოდა. აბიას გაუხარდა. ცისმარე ეშმაკად იყო ქცეული. არც დღე, არც ღამე არ ეძინა... უცებ თვლემამ! „დაიღალა ბოლოს და ბოლოს“ — გაიფიქრა აბიამ, — „ველარ გაუძლო, რკინა ხომ არ არის. ადამიანია...“ ცისმარეს თვლემამ ყველა კითხვას პასუხი გასცა — ქალი შინ უნდა წაეყვანა, უნდა დაესვენათ.

თავიანთ სასახლეს ხელად მიადგნენ. აბია ჭიშკრის გასაღებად რომ გადმოვიდა, ცისმარეს მაშინ გამოეღვიძა და ქმარს საყვედური დააყარა:

— თანგულია! თანგულია კვლავ მიწოდორში დავტოვეთ! დამჭირველებისთვის მაინც გვეკითხა, საით წავიდა...

— დავისვენოთ ერთი საათი და მერე წავიდეთ, — უთხრა აბიამ ცოლს და მანქანა ეზოში შეიყვანა. ჭიშკარი დაკეტა და ოდაში ავიდნენ.

გასაღების ჩხაკუნ-ჩხაკუნით გაა-

ლეს წინკარი, ზალის კარი და შინ რაში შევიდნენ, სააბაზანოდან ხმაური ესმოდა. ცისმარე აბაზანისკენ გაქანდა, კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი.

— რომელი ხარ მანდ? — იკითხა შეშფოთებულმა ქალმა და ქმარს ხელით ანიშნა, აქეთ წამოდი, აბაზანაში ვილაცაო. „ნეტა ცოცხალი აღარ ვიყო, ამდენი რამის გაგონებაც კი ყურებს უკვე აღარ შეუძლიათო“, ის-ის იყო გაივლო გუნებაში, შვილის ხმა შემოესმა.

— თანგულია ვარ, გამოვალ ახლავე! ცოლ-ქმარი ერთმანეთს გარაკებულ-აღტაცებულნი შეაჩერდნენ, ყურებს არ უჩერებდნენ.

— აჰ, ვისი ხმა მესმის ეს? — შესძახა ცისმარემ, — მართლა თანგულია ხარ, ბიჭო?..

პასუხმა დააგვიანა. გარეთ მხოლოდ წყლის ჩხრიალი გამოდიოდა.

— ერთხელაც გამეც ხმა, შენ შემოგვევლოს შენი დედა, დავრწმუნდე, რომ ნამდვილად შენა ხარ?..

— კი, მე ვარ, დედა, რა მოგივიდა! წუხელ დავსველდი ძალიან და ვბანაობ!.. ახლავე გამოვალ!

— იბანავე, შენ გენაცვალოს შენი დედა! ჩემო ბიჭო, ჩემო თანგულია! შენი ჭირიმე, შენი!.. რახან აქ ხარ, რახან მოხვედი, იბანავე, რამდენ ხანსაც გინდა, თუ გინდა, მთელი დღე იქ იყავი და იქყუმბალავე... კარგადა ხარ, ბიჭო? არაფერი გტკივა, არაფერი გაწუხებს?..

ქალი აბაზანის კარს მიციებოდა და შვილს შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდა.

— კარგი, ჰო, კარგი ცისმარე, ვაცალოთ, გამოვა და მერე ელაპარაკე... — ფრთხილად მოკიდა ცოლს ხელი აბიამ. ცისმარეს გული აუჩქროლდა, ქმრის ყურადღებამ მთლად მოუთავა სული და სლუკუნნი აუვარდა. თანგულიამ არ გაიგონოსო, საძილე ოთახისაკენ გავარდა, ჩაემხო საწოლში და ხმამაღლა, მოურიდებლად ატირდა.

აბია სამოსს იცვლიდა, საშინაოდ ემზადებოდა, თან ცოლის ტირილი ეს-



მოდა. იტიროს, გულს მოიხეხსო — ფიქრობდა. მისი გონება თანგულიაზე ფიქრს მოეცვა მთლიანად. როგორმე უნდა დაერწმუნებინა ვაჟი, რომ ბოროტმოქმედის შესაპყრობად შეძრული იყო მთელი ქვეყანა, რომ მას შემდეგ, რაც ის სახლიდან გაიქცა, მრავალი რამ მოხდა: მთავგენდამმა დარეკა, ვარლამ არავიძის ცხედარს მთლად გოვი ზედამხედველობდა. რაც მთავარია, წერილს წააკითხებდა, ეგებ წერილს უფრო ემოქმედა, ვიდრე სხვა რამეს.

აბიამ თვალი ჰკიდა, რომ ცისმარე უცებ წამოდგა საწოლიდან, თვალეზი: წმენდით გაემართა თანგულიას ოთახისაკენ, იქიდან სასტუმრო ოთახში გავიდა, სასტუმრო ოთახიდან აივანზე, აივანიდან ისევ უკან შემობრუნდა, რაღაცას დაეძებდა კუთხე-კუთხეზე.

— რას დაეძებ, ცისმარე? — უკან გამოუღდა აბია.

— თოფს, — ჩურჩულით მიუბრუნდა ქმარს, — თოფი არ არის... სველი სამოსი აგერ დაუყრია, — აივანზე გაიყვანა ქმარი, — სად წაიღო თოფი? — შეშფოთებული შეაჩერდა ცოლი ქმარს.

— აქ ექნება სადმე დამალული, — უთხრა აბიამ ცოლს, — ნუ გეშინია, რახან შინა გვყავს, თოფსაც მოვაძებნინებ...

— არა, აბია, შენს თავს ვფიცავარ, არ არის თოფი აქ. აბაზანაში ხომ არ შეიტანდა?..

ქალი ხან ერთ კარადაში ფათურობდა, ხან იატაკზე იწვა და ტახტის ქვეშ ხელს ჰყოფდა, ხან მაგიდის ქვეშ მიძვრებოდა.

— კარგი, ჰო, კარგი! — ძალით წამოაყენა ფეხზე ცისმარე აბიამ, — გამოვიდეს აბაზანიდან, თვითონ გვეტყვის, სად წაიღო თოფი...

თანგულია აბაზანიდან სიცილ-სიცილით გამოვიდა, მშობლები — ცისმარეც და აბიაც სახტად დარჩნენ, გოცებულები მიჩრებოდნენ შვილს, იქით ღრენა-ღრენით, თოფით ხელში გავარდა, უკან სიცილ-სიცილით დაბრუნდა. რას

ნიშნავდა ეს? ცისმარე შიშმა შეიპყრო, ღამით ბიჭს სასაფლაოზე ხომ არაფერი შეემთხვაო?..

— იცინის! — შესძახა ცისმარემ, — ბიჭო, გულები დაგვიხეთქე და შენ კიდევ იცინი! სად მიდიხარ, მოიცადე, დაგველაპარაკე!..

თანგულია თავის ოთახში შევარდა და კარი შეგნიდან ჩაიკეტა.

— ა, რას იზამ ახლა? — ცისმარემ ქმარს შეშფოთებული თვალეზი შეანათა.

— გააღე, ბიჭო კარი, საქმე გვაქვს შენთან! — დაუძახა აბიამ მკაცრი კილოთი და კარზე დააბრაზუნა.

თანგულიამ არ უპასუხა. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, აბიამ ახლა, უკვე ზომაზე მეტად გაჯავრებულმა, დასცხო ხელისგულები კარს და შვილს მუქარანარევი ხმით დაუძახა:

— გააღე-მეთქი კარი!..

— კარგი, აცალე, დაისვენოს და მერე გავგიღებს, — შეეშინდა ცისმარეს ქმრის.

— შევეამტვრევ! — იყვირა აბიამ და კარს წიხლი ჰკრა, ფანჯრებმა ზრიალი გაიღეს, აბიას მრისხანება თითქოს მთელმა სახლმა გაიგო, იატაკიც შეინძრა.

— რას შობი, კაცო, გაგიჟდი! — ხელები დაუჭირა ცისმარემ ქმარს.

თანგულიას შეეშინდა, კარი მართლაც არ შემოამტვრიოსო და გასაღები ჩხაკუნით გადაატრიალა.

ცისმარე პირველი შევარდა შვილის ოთახში.

— თოფი რა უყავი?

— რა მოგივიდათ, უნდა დავიძინო! — შეუღრინა მშობლებს თანგულიამ, — დედას შეუყეფა, დედას აუტეხა წკაცწკავი, თორემ მაშას შეხედვასაც კი ვერ უბედავდა, — ღამე სასაფლაოზე ხომ უნდა ვიყო? — თანდათან თავის მართლებაზე გადავიდა, — წუხელ ერთი წვეთი არ მიძინია, არ დავიძინო?..

— ბიჭო, — დაუყვავა უცებ აბიამ, — ერთ წამს მოგვისმინე და მერე დაიძინე... დაჯექი აგერ! — აბიამ ბიჭს ხე-

ლი მოკიდა და ტახტისკენ წაიყვანა. ძალით დასვა ტახტზე.

— ცისმარე, დაგვტოვე კაცები მარტო! — თხოვა ცოლს.

— „კაცები“ — დაცინვით ჩაიღუღუნა, — კაცები კი არა თოფი მოიტანოს, თორემ გავგყიდები, იცოდე! — დაუბარა ქმარ-შვილს და გავიდა. იფიქრა, ეგებ მამას უფრო დაუჭეროსო, მორჩილად შეასრულა ქმრის ბრძანება.

— ა, წაივითხე! — უთხრა ხმადაბლა, ცისმარემ არ გაიგონოსო, იქით გაიხედდა, საითაც ქალი წავიდა. ამოიღო შურისმაძიებლის მიერ მოწერილი წერილის ასლი და თანგულიას ხელში ჩაუღო ოთხად გაკეცილი.

მამის ასეთმე უეცარმა ცვლილებამ ბიჭი შეაკრთო, შეშინებულმა გახსნა ნაწერი და უცებ გადაავლო თვალი.

— მერე რა! — წამოიძახა და წამოხტა, თითქოს უარესს მოელოდა და გაუხარდაო.

— ჩემად! — გაუწყრა მამა, — დაჯექი აქ, დედამ არ გაიგოს.

თანგულია მორჩილად აპყვა მამის ნებას, კვლავ ჩამოკდა ტახტზე.

— მთლად მთავარმა დარეკა, მთელი არავი და არავიძეთი ფეხზე დგას, ბოროტმოქმედს ამ საღამოს დაიჭერენ... ღამით სასაფლაოზე შენი ყოფნა ზედმეტია, ხელს უშლი ხალხს, ფეხებში ებღალანდები.

თანგულია იატაკს დასცქეროდა, მამას მორჩილად უსმენდა. ხანდახან თავზე ხელს ისობდა, სველ თმას გვერდით ილაგებდა.

— სახლიდან ფეხს არ გაადგამ! გესმის? — კვლავ ბრძანების კილოთი უთხრა მამამ. თანგულიას თავი არ აუწყვია, არფერს ამბობდა.

ცისმარემ საუზმე შემოიტანა ხონზე დალაგებული და მამა-შვილს სუფრა გაუშალა. ცისმარემაც არ დაარღვია ღუმელი, თუმცა ენის წვერზე ეკიდა შეკითხვა: „თოფი სად არის, ბიჭო?“

— ამოიღე ხმა, თქვი რამე! — ეჭვი აღუძრა აბიას ღუმელიმა.

— რა ვთქვა! — მოულოდნელად

უტიფარი თვალები მიაპყრო მამამ და კვლავ გაჩუმდა აბიას ეს რი გამოხედვა არ მოეწონა. თანგულიამ უმაღლ მოარბიდა მამას თვალი. თავი ჩაკიდა, არაფრის თქმას არ აპირებდა. ამასობაში ცისმარემ იმავე ხონით ცხელი ჩაიც შემოიტანა, ჭიქები ჩამოღდა.

— თანგული, დედა, თოფი სად არის, შვილო? — გულითადად ჰკითხა ცისმარემ და მთლად ახლოს მიუჩოჩდა. ბიჭი არ პასუხობდა. დამუნჯებულ იჯდა და იჯდა.

— რა უყავი თოფი! ხომ იცი თოფის როგორ მეშინია... მომეცი თოფი მე და შენ წადი სადაც გინდა... — დაუყვავა ცისმარემ.

— სად არის თოფი, რომ გეკითხებიან, რატომ არ პასუხობ — გაუწყრა აბია, — ამოიღე ხმა!

— არ მაქვს თოფი! — კუშტად მიუგო ბიჭმა, — არ მაქვს და რა ვქნა!

— რა უყავი, სად დამალე!

— იქ დავტოვე, სასაფლაოზე... იქ დავტოვე და რა ვქნა! — კვლავ მამლაცინწასავით აეძავრა მშობლებს.

— სასაფლაოზე? — გაიოცა აბიამ. — ბაბუაშენის თოფი, საგანგებოდ ბაბუასათვის გოგში დამზადებული თოფი, ის თოფი ერთადერთია ქვეყანაზე, ბიჭო!.. და შენ სასაფლაოზე დავტოვე?.. — ჰო, სასაფლაოზე, ამ საღამოს ხომ უნდა წავიდე?..

— დაგხვდება იქ! — გადაიხარხარა აბიამ, — ბავშვი ხარ და არ გესმის რას სჩადისხარ! გითხარი ერთხელ: სხვას მაინც ნუ უშლი ხელს! ფეხებში ნუ ებღალანდები-მეთქი, მთელი სადამჭირველო, მმართველობა, თვით გოგი, ფეხზე დგას, — ბოროტმოქმედს ვერ იჭერენ, შენ რა შეგიძლია, მარტოკას? — დაყვავების კილოთი უთხრა მამამ.

— მოკვლავ! — გამოცრა კბილებიდან ნამღვილი მკვლელებით ბიჭმა.

— მოკვლავ? — გაიოცა აბიამ.

— შენ, ჩემი ცხვირმოუხოცავი ბავშვი, ყაჩაღს მოკვლავ, ბიჭო? — შემოვარდა ცისმარე.

— აქეთ რომ მოგვლას? — ჰკითხა კვლავ თანაგრძნობით აბიამ.

— მომვლას მერე, ქვეყანა არ დაიქცევა!.. — მიუგო თანგულამ უშიშრად.

— შენი დედისთვის დაიქცევა, შენი ოჯახისთვის დაიქცევა, — შეიცხადა ცისმარემ.

— როგორ მოკლავ მაინც? — ვითომ დაინტერესდა აბია, — დაქეპი, დაქეპი და ამიხსენი, როგორ მოკლავ...

— დაუძახებ, თუ გაეკაცი ხარ დადექი-მეთქი და ვესვრი, — უთხრა მედიდურად თანგულამ, არ დამჯდარა, ფეხზე მდგარი, თითქოს სცენაზეაო, — წარმოსთქვამდა მალაღმარდოვნად.

— აჰა, — ჩაიციხა აბიამ, — დაუძახებ, თუ ვაეკაცი ხარ, დადექი-მეთქი. ისე არ იკადრებ სროლას!

— რა თქმა უნდა, არა! — მიუგო თანგულამ.

— რატომ, საფარიდან სროლა არ სჯობია? თუ მოახვედრე, ხომ კარგი, თუ არა და შეშინდება მაინც თოფის ხმაზე და გაიქცევა...

— საფარიდან მე ვერ ვესვრი! — გამოსცრა კბილებიდან ბიჭმა ამაყად. დედის შემოტანილ საუზმეს დაწვდა და ხარბად დაიწყო ჭამა. ჩანდა, ძლიერ მოშიებოდა, ჯერ ოდნავ წახრილი ჭამდა, შემდეგ ტაბლას მიუჯდა.

„არ ეშინია ჩემი“ — გაიფიქრა აბიამ, ეტყობოდა, რომ ბიჭი კმაყოფილი იყო და ბედნიერიც. შვება მოეგვარა თამამ გადაწყვეტილებას დაბრკოლება, ხიფათი არად მიაჩნდა, თვით სიკვდილის არ ეშინოდა.

— კარგი, ისაუზმოს, აბია, შენ შემოგველე, მშიერი ბავშვი, ჩვენ გავიდეთ. მარტო დავტოვოთ, ისაუზმოს, მოისვენოს, საღამომდე დიდი დროა, მერე ისაუბრეთ. თანგულია ჩვენ არ გვილაღატებს, მიხვდება თავის შეცდომას, ადექი, გავიდეთ!

აბია მორჩილად წამოდგა. ვინაიდან ბიჭი, მართლაც, როგორც მშიერი ძალი ხორცს ეძგერება, ისე ხარბად და დაუპატიებლად შეექცეოდა დღის

ხემს. ასეთი მშიერი თანგულია მშობლებს არც ენახათ. ისინი ფეხაკრეფით გამოვიდნენ ბავშვის ოთახიდან, თავიანთის, ცალკე, სამზარეულოში მიუყურდნენ და ჩუმად ისაუბმეს.

„მოქმედება ქორწილი“

ვინ იფიქრებდა იმას, ასეთი წვიმა და თქეში მოვიდოდა მაინცადამაინც იმ ღამეს, როცა არავსა და არავიძეთს სწორედ კაშკაშა მთვარიანი ღამე სჭირდებოდა. იმის ეჭვიც ჩნდებოდა, ვაითუ შურისმგებელმა ღუროს ღალატი იგუმანა და მიიძალაო.

გრიგოლოვი მძინვარებას საზღვარსამანს ვერ უღებდა, წარამარა იბარებდა ღუროს და დაჰკითხავდა: შურისმაძიებელი რატომ არ მოვიდაო. ღურო წვიმას ადნაშაულებდა, მაგრამ გრიგოლოვს იმასაც გადაუკრავდა, რომ სწორედ ეს „არ მოსვლა“ კარგის მათუყებელია, ამას თქვენ ერთი კვირის შემდეგ გაიგებთ, ახლა ნურაფერს მკითხავთო.

ღურომ დამჭირველები გააცურა, საღამო ხანს, ოპერაციის დაწყებამდე, გავარდა ოისიმეს ფუნდუკში და დაიბარა: გადაეცით ხალდანს, ამ ღამით უსათუოდ დაიჭერენ, სასაფლაოზე არ მოვიდესო. შურისმგებლის არმოსვლის მთავარი მიზეზი ეს იყო.

ღუროს გაეგონა, რომ ოისიმეს ფუნდუკი იყო ბუდე ხალდანისა და მისი თანამოაზრეებისა. ყველა ავი საქმე იქ ირჩეოდა. მართალია, ეჭვობდა, გადასცემდნენ კი ამ ცნობას ხალდანს, ცდა ბედის მონახვერეაო — ანდაზას მისდა და მიაკვლია კიდევ ბუნაგს. ხალდანი მართლაც არ გამოჩნდა სასაფლაოზე. ეს იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ოისიმეს და მის ფუნდუკს მართლაც კავშირი ჰქონდათ შურისმაძიებელთან. რაც მთავარია, რახან სასაფლაოზე არ გამოჩნდა, ე. ი. ღურომ მტრის ნდობა მოიპოვა. ახლა შურისმაძიებლის შეპყრობა გაადვილდებოდა, ღუროს აზრით.

შურისმაძიებელი არც შემდგომ და-

მეებში გამოჩნდა, თუმცა მშვენიერ ტაროსები დაიჭირა და მთვარიანი ღამეებიც ზედოზედ მიეწყო.

შეშფოთდა გრიგოლოვი, აბიას საბოდიშო წერილი დააწერინა და გოგში აფრინა, — მე, ვარლამ არავიძის შვილი, აბია, (საბუთებით აბელ) არავიძე ვარ დამნაშავე, რომ მამაჩემის ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომხრელი აქამდე ვერ შევიპყართო. თან კაცი გაგზავნეს გოგში მთავგენდამის თანაშემწეების მოსაქრთამავად, როგორმე მთავრისთვის მიეწოდებინათ ცნობა, თუ როგორ ათევდა ღამეს არავიძეთის სასაფლაოზე თვითონ გენერალური დამპყრველი გრიგოლო გრიგოლოვი.

გრიგოლოვის კაცმა გოგში დიდძალი ფული წაიღო, ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრის ჩასაფარცხავად. უკან მეორე დღესვე, იმავე თვითმფრინავით მოფრინდა, რომლითაც წინა დღეს იფრინა და მაინცდამაინც ვერ გაახარა თავისი პატრონი.

თანაშემწეებმა ფული კი აიღეს, მაგრამო — მოიტანა ამბავი გრიგოლოვის კაცმა, — დაბეჭითებით მოითხოვენ დამნაშავის შეპყრობას, მიფუჩეჩება არ შეიძლება, ვინაიდან ხვალ ჩვენ ამოგვთხრიან საფლავიდანო.

რასაკვირველიაო. კმაყოფილი იყო გრიგოლოვი, რახან თანაშემწეებმა ქრთამი აიღეს, არაფრის მეშინია, ბოროტმოქმედის შეპყრობა ჩემზე იყოსო.

გრიგოლოვმა ქრთამი ღროის მოგების მიზნით, ყოველშემთხვევისათვის გაგზავნა გოგში, თორემ განა არ იცოდა, ამ საქმის მიჩუმათება ქრთამით არ შეიძლებოდა. მთავარს ქრთამის მიცემას ვინ გაუბედავდა?! გრიგოლოვმა ქრთამი გიილო მხოლოდ თანაშემწეებისათვის — იმაზე მეტი არ ეთქვათ მთავგენდამისათვის, რაც სინამდვილეში ხდებოდა არავიძეთში.

გრიგოლოვმა რიკტაფელოვი გამოიძახა და დაავალა:

— არის აზრი ბოროტქმედების შეპყრობას სასაფლაოზე უშუალოდ შეუხელმძღვანელო, უზრუნველყავით!

— არის! — მხედრულად გამოეცხრა რიკტაფელოვი და უფროსისკენ დასაგვიდა, მეტი არაფერი თქმულა ამის თაობაზე. რიკტაფელოვმა მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დააყენა არავის მხარე, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, თვითონ გრიგოლო გრიგოლოვი მიდიოდა ღამით, სამ საათზე, სასაფლაოზე და „მოქმედება ქორწილი“ უხელმძღვანელებდა. „მოქმედება ქორწილი“ ერქვა ადლის ენაზე ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრას. ადლში ანუ სადამპყრველოში ასეთ სახელებს არქმევდნენ განსაკუთრებით შესანიღბ ქმედებებს. რიგით არაველს არამცდარამც არ უნდა გაეგო, თუ შემთხვევით ყურს მოკრავდა, რა იყო „მოქმედება ქორწილი“. მართლაც, ადამიანი ვერც წარმოიდგენს, „ქორწილი“ თუ შეიძლება ეწოდოს იმ საშინელებას, რასაც მკვდრის საფლავიდან ამოთხრა ჰქვია. ამისთვის ადლში საგანგებო სამსახური არსებობდა, ასეთ სახელებს ის სამსახური არჩევდა.

როცა გრიგოლოვმა გადაწყვიტა ამ მოქმედებას სათავეში ჩადგომოდა, მის საპატივცემლოდ მოიფიქრეს ეს სახელი: „მოქმედება ქორწილი“. გრიგოლოვი აღფრთოვანდა მუშაკთა გონებათმხვილობით და ვინც ეს მოიფიქრა, ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვა.

საქმე კარგად დაიწყო. ასე მიაჩნდა გრიგოლოვს და, რა თქმა უნდა, რიკტაფელოვსაც ასე მიაჩნდა. მასასაღამე, კარგადაც უნდა გაგრძელებულიყო. „მოქმედება ქორწილი“ უნდა ჩაეტარებინათ უმაღლეს დონეზე. ამისთვის ორი რამ იყო მთავარი. რიკტაფელოვმა თავისთვის ჩამოიწერა: 1) გენერალური დაცვა, 2) სიძის კურთხევა, ასე წერდნენ ისინი და ასე მეტყველებდნენ. როცა ორი დამპყრველი საუბრობდა, მესამეს არ უნდა გაეგო შინაარსი; გუმანიტაც ვერ უნდა ამოეხსნა საუბრის არსი. ნაწერიც ასეთი უნდა ყოფილიყო. რომ შესულიყავით სადამპყრველოში, ნება დაერთოთ გაცნობოდით საიდუმლო საბუთებს, სუ-



ღეროთა. მაინც ვერაფერს გაიგებდით, ვინაიდან ყოველი დოკუმენტი ამ მე- თოდით იქმნებოდა. ვინც უშუალოდ ადგენდა საბუთს, იმის მეტს ვერავის ვერ უნდა აეხსნა, რა ეწერა საბუთში. ამას მრავალი წლების მანძილზე ასწავლიდნენ დამპირველებს და ამიტომ დიდის ოსტატობით ქმნიდნენ საიდუმლო ქაღალდებს.

რიკტაფელოვმა უბის წიგნაკში ჩაიწერა თავისი სამოქმედო გეგმა, წესად, ჩვევად ქცეოდა დამოფრულად ან შენიღბულად ეწერა. მამამისი გენო რიკტაფელოვი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეტყოდა: ეგებ უბის წიგნაკი შემთხვევით დაგეკარგა და ვინმემ იპოვა, ვერ უნდა ამოიკითხონ ვინაობა უბის წიგნაკის პატრონისა, რა თქმა უნდა, საქმიანობაც... აი, მაშინ ხარ ნამდვილი დამპირველიო. ამიტომ ჩაწერა „გენერალური დაცვა“, რა უნდა ყოფილიყო გენერალური დაცვა?.. გრიგოლო გრიგოლოვის დაცვა, არც მეტი არც ნაკლები. სიძის კურთხევა? — ბოროტმოქმედის შეპყრობა, ეს იყო და ეს, სხვა არაფერი. ვერავის, ვერა სულიერს, შეეძლო „სიძის კურთხევაში“ ჯეგე ხალდანის შეპყრობა ამოეკითხა, შეეძლო მხოლოდ რიკტაფელოვს.

გრიგოლოვის დაცვის უზრუნველყოფა ძნელი არ იყო, გენერალურ დამპირველს არაველი კაცი ვერ გაუბედავდა თავდასხმას, ამას მხოლოდ მთავარდამპირველები რიკტაფელოვის „ძმები“ აკვარახჭინებდნენ; მოისყიდინდნენ თავდამსხმელს, ან უბრალოდ ვილაცას შარს მოღებდნენ, ვითომ თავს ესხმოდა გრიგოლოვს, გენერალური დამპირველის თვალწინ გაითამაშებდნენ ფარსს, შეიპყრობდნენ ვილაცას და საქმეს შეუწყნებდნენ. ამისთვის მათ სამსახურში დაწინაურება ელოდათ, ხელიდან ვინ გაუშვებდა შემთხვევას! მართალია, მაგანი და მაგანი მთავარდამპირველი დაწინაურდებოდა, მაგრამ ვისაც უშუალოდ ევალეობდა გრიგოლოვის დაცვა, იმას რა მოელოდა, არავინ დაემტებდა. რიკტაფელოვი არ იყო იმ

ჯიშისა, ვისი დაბრძოლებაც შეიძლებოდა, მას ვერ გაუბედავდნენ გამოწვევა ვერც გრიგოლოვს დაარწმუნებდნენ ჰაიპარად ვითომ თავდასხმას გიპირებდნენო. ცრუ „თავდასხმები“ მეტწილად ივისიხი ნესტორის ძის „მოგზაურობებს“ ახლდა. ივისიხი ნესტორის ძეს ისედაც ელანდებოდა, რომ მოკვლას უპირებდნენ, როცა დასასვენებლად ზღვისპირა აგარაკზე გაემგზავრებოდა, მისთვის განკუთვნილი საგანგებოდ მომზადებულ-შემოწმებულ ვაგონში, დამპირველები უსათუოდ ყუმბარას აღმოაჩენდნენ. ივისიხი ნესტორის ძე მის „გადამრჩენლებს“ უხვად აჯილდოებდა.

რიკტაფელოვს გრიგოლოვის დამცველებად საიმედო დამპირველები, ლომივით ვეკაცები ჰყავდა, მათ ვერავინ გაუბედავდა თავდასხმას, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკიოდა, მაინც გაფაციცებული უნდა ყოფილიყო. მთავარ საზრუნავად კი — სიძის კურთხევა მიიჩნეოდა. რახან თვითონ გრიგოლოვი აპირებდა სასაფლაოზე ღამის სამ საათზე წასვლას, ბოროტმოქმედი უსათუოდ იმ საღამოს უნდა მოსულიყო. თუ არა და რიკტაფელოვს განცხადება უნდა დაეწერა სამსახურიდან წასვლის თაობაზედ.

რიკტაფელოვმაც არც აცივა, არც აცხელა, ღურო დააპატიმრა, დამპირველებმა გაბაწრული მოუყვანეს. ვიდრე ყველაფერი წვრილად არ გამოჰკითხა, შინ არ გაუშვა. ღუროს არ ეგონა თუ რიკტაფელოვი ამდენს გაუბედავდა, თვითონ გრიგოლოვთან ვარ შეკრული, ცხვირმოუხოცავი რიკტაფელოვი რას დამაკლებსო, ფიქრობდა, მაგრამ დემურ რიკტაფელოვმა მამამისის ფხიანობა გამოიჩინა, კვიცი გვარზე ბტოდა, ღუროს ყველაფერი დააფქვევინა და მხოლოდ ამის შემდეგ მეორედღეს გამოუშვა საპატიმროდან. შეშინებულმა ღურომ რიკტაფელოვის თანხლებით, უშუალო მონაწილეობით, მიაკითხა ყორნისხევის ფუნდუქს და ოისიმეს უჩუტჩულა, გადაეცი ხალდანს ამ საღამოს მოვიდესო. სხვა კავშირი

შურისმგებელთან მას არ ჰქონდა, რომ ჩამოეხრჩოთ, სხვას ვერაფერს იღონებდა.

არც აბია იყო გულბელდაკრეფილი, როცა შეიღს მარწუხით ამოქაჩა თოფი სასაფლაოზე დავტოვე, საიმიდოდ მაქვს დამალულიო, გაქანდა სასაფლაოზე და დამჭირველებთან ერთად შეუდგა ძებნას. მთელი დღე დაეძებდნენ, ვეღარ იპოვეს. ერთი სიკეთე მაინც მოუტანა სასაფლაოზე ყოფნამ. დომენტიე ჩააცოცდა.

— უიტიოვო, მამაშენი რომ მოკვდა. აღლიც იმ დღეს მოკვდაო. მამაშენის მერე ამათი დაჭერილი კაცი, მე არ მიინახავსო, ამათი იმედით უნდა იყოო? დაადგი რკინის სასახლე და ჩამოკიდებ ბოქლომით!.. უიტიოვო, შენო, ბატონო აბიაო, ოღონდ თქვი და ხელათ გაგიკეთებენო... აბია დომენტიეს ბურტყუნს ჭერ ყურადღებას არ აქცევდა. საითაც აბია წავიდოდა, დომენტიეც იქით მისდევდა. სასაფლაოს გადაღმა, ტყის მოჩხრეკა რომ მოინდომეს, დომენტიეც გაევიდა მათ, დომენტიე ამ სასაფლაოს მცველი იყო, ჭიშკრის გასაღები მას ებარა, რაც დამჭირველებმა აქ მორიგეობა დააწესეს, დომენტიე სულ მათთან იყო, ეშინოდა. მკვდარს საფლავიდან გითხრიან, შენ რა მცველი ხარ, სასაფლაოს სხვა მცველი უნდა დავუნიშნოთო — მეტყვიანო, ლაქუცად ქეულოყო, საითათოდ ყველას, ვინც სასაფლაოზე მოვიდოდა ხელისუფალთაგანი ფეხქვეშ ეგებოდა. აბიას ხომ თვალს რომ მოკრავდა, მერე აღარ შორდებოდა, უკან-უკან დასდევდა, ათას რჩევას აძლევდა, ისედაც შეჭირვებულს გულს უწყალებდა.

— კაცო, რას მომსდევ, მოსაშარდავად მივდივარო, — მოაყვირა ერთხელ მოთმინებადაკარგულმა აბიამ. საფლაოზე რკინის სასახლის სასწრაფოდ დადგმა და ბოქლომის ჩამოკიდება ჰქუაში მაინც დაუჭდა.

ჭერ რიკტაფელოვს ჰკითხა რჩევა, შემდეგ გრიგოლოვთანაც წავიდა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო ორივესგან.

რკინის სასახლის დადგმა საფლავთმთიქმის არაფერს ნიშნავს, ბოროტმოქმედი უსათუოდ უნდა შევიპყროთ. რკინის სასახლის დადგმა ახლა უკვე ხელისშემშლელიც კი არისო — უთხრეს.



გრიგოლოვის მოსვლა არავიძეთში და სასაფლაოზე ღამის გათევა არნახული, არგაგონილი ამბავი იყო სოფლისათვის, დაჭერებაც კი ჭირდა, რომ გენერალური დამჭირველი ეწვეოდა სოფლის სასაფლაოს, ღამის გუშაგით გაეხვეოდა ლაბადაში, თოფს მოიმარჯვებდა და ბოროტმოქმედს დაელოდებოდა.

თუ გრიგოლოვი მართლა მოვიდოდა ღამის სამ საათზე სასაფლაოზე, აბიასაც ხომ უნდა ელონა რამე. ვინ დაანება აბიას გრიგოლოვი! ჭერ ნოვე გამოეცხადა და უთხრა:

— როგორ, ადამიანო, გრიგოლოვი გრიგოლოვი ნამდვილად ჩამოდის არავიძეთში და მე არაფერი ვიცი? — საყვედურობდა მეგობარს, — ბატონო აბია, /თუ მართლა გადაწყვეტილია გრიგოლოვის ჩამოსვლა არავიძეთში, მე უნდა შევუდგე მზადებას, მართალია, ყველაფერი მაქვს, მაგრამ მომზადებას ხომ უნდა დრო! ყველანი, უკლებლივ, ჩემთან მოხვალთ, აბა, მართლა სასაფლაოზე ხომ არ გაათევთ ღამეს!.. იქ დავტოვოთ ორი-სამი კაცი და დანარჩენები ჩემთან! პატივი უნდა ვცეთ გრიგოლოვს, ხომ ასეა? ჭერ ნოვე არ იყო გასული აბიას უფროსისკარიდან, როცა ზენონი შემოვიარდა: — მართლა მოდის გრიგოლოვი არავიძეთში?.. ბატონო აბია, არ გამოიმჭრათ ყელი და გრიგოლოვი არავიძეთიდან არ გამოუშვით ისე, ჩემს სახლში არ გამოიაროს. ჩემი სახლი ხომ ზედ, არავიძეთის გზაზეა!..

— კაცო, შენი სახლი გზაზეა, ჩემი კიდევ ზედ სასაფლაოსთანაა, — გაწყ-



რა ნოვე, არ მოეწონა ზენონის ჩარევა ამ საქმეში.

— მაშადმე, არა, მე არა... იმიტომ კი არა... — დაიბნა ზენონი, არ ეგონა, თუ ნოვეს ეწყინებოდა, — ჯერ შენთან მოვიდნენ, მაშადმე... იქეიფონ, დრო გაატარონ, მოვალ და გადმოვიპატიყებ, რა არის აქ საწყენი? მე მინდა აბიას ვცე პატივი, თორემ მე და შენ გრიგოლოვი სულ არ გვჭირდება!.. — გაელაქუცა ნოვესაც ზენონი.

— კი, კი, მართალი ხარ! — უცებ გაახსენდა ნოვეს, თუ რისთვის პატივებდნენ გრიგოლოვს და კვერი დაუქრა ზენონს.

აბიას მოსწონდა, კმაყოფილი იყო ნოვესა და ზენონის გამეცადინებითა და მონდომებით, უსათუოდ მიეწვიათ შინ გრიგოლოვი. იმასაც ხედებოდა, ერთგულ კაცებს თუ რა ედოთ გუნებაში. გრიგოლო გრიგოლოვმა დიდი პატივი სცა აბიას, გოგში დიდძალი ფული გაგზავნა მთავგენდამის თანაშემწეების მოსაქრთამავად, — ვინმეს ხომ უნდა აენახლაურებინა? აბიასაგან გრიგოლოვი ქრთამს ვერ აიღებდა, ზენონსა და ნოვეს კი უარს არ ეტყოდა, თუ რასაკვირველია, მარჯვედ და მოხერხებულად გადასცემდნენ „კუთვნილ“ ფულს. არავიძეთის სასაფლაოზე გრიგოლოვის მისვლა და იქ ღამის თევა, სწორედ რომ კარგი შემთხვევა იყო გადასაპატიყებლად. შინ თუ მიიყვანდნენ, ქრთამსაც ადვილად გადასცემდნენ, თორემ თუ უკერგოლოდ, უადგილო ადგილას ან უდროოდ დროს მისცემდა ვინმე ქრთამს, — გრიგოლოვი ბოზოქრობდა, მრისხანებდა და ქრთამის გამღებს შეპყრობით ემუქრებოდა. მაგოგის ქვეყანაში სავანგებოდ იკრძალებოდა მექრთამეობა, მთავგენდამის ყურამდე თუ მიადწევდა, ვინმე დამპირველთაგანმა ქრთამი აიღო, სამუდამოდ იღუბებოდა, თან უებობის პირებს სიკვდილითაც აწინ ქრთამის აღებისათვის. მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონისა, მექრთამეთა სასტიკი დევნისა, ყოველი მეორე ადამიანი მე-

ქრთამე გახლდათ, უქრთამოდ არა სცემე არ კეთდებოდა. გრიგოლო გრიგოლოვიც მათ ვერ გამოაკლდებოდა, განზე ვერ გადგებოდა. მაგრამ ვინაიდან ახალი კაცი ეთქმოდა, ფრთხილობდა, ყველას ვერ ენდობოდა. ნოვე და ზენონი სწორედ ხელახლა შესწავლილ დამუშავებული პყავდათ დამპირველებს; ორივე საიმედო ქრთამის მიმცემად შეეცნოთ.

აბიამ გრიგოლოვის გადაპატიყებად დუროს მიანდო, პირველ სიტყვას დურო ეტყოდა. შემდეგ აბია წარუძღვებოდა სტუმარს ნოვეს სახლისაკენ დურო სასაფლაოს წინ მდგარ ემცხრას ვერ მიატოვებდა, ბოროტმოქმედი იმ მანქანასთან უნდა მისულიყო, დურო და მისი მანქანა — სატყუარად ექციათ შურისმგებლისათვის. შურისმგებელი მოვიდოდა თუ არ მოვიდოდა, დურო ღამის სამი საათიდან დილის ექვს საათამდე სასაფლაოს წინ უნდა მდგარიყო.

იმ დღეს მზის ჩასვლა ადლის მუშაკებს საიდუმლო ნიშნად დაეთქვათ. მზის ჩასვლისთანავე იწყეს ჩასვლა არავიძეთში თითო-თითოდ. შეუმჩნეველად უნდა ჩასულიყვნენ სოფელში, ჩუმადვე უნდა მოსდებოდნენ სასაფლაოს, მთელ სოფელს. არც ერთი ოდა, სამზადი, შენობა-ნაგებობა მოთვალთვალის ვარეშე არ უნდა დარჩენილიყო. ყოველი გზა, შუკა, გზაწერილი, სოფელში შემოსასვლელი ყოველი ბილიკი უნდა შეეკრათ.

რახან ადლის უფროსი, თვითონ გენერალური დამპირველი მონაწილეობდა „მოქმედებაში“, მთელი ადლი აქეთ მოეშურებოდა. რიკტაფელოვს გენერალური დამპირველის სავანგებო დამცველთა ოცუულიც შეექმნა და მეთაურიც დაენიშნა. ყველა დამპირველი გრიგოლოვის დამცველი არ იყო? მაინც ევალებოდათ სავანგებო დამცველთა რაზმის ჩამოყალიბება. გრიგოლო-

ნოდარ ფალიაშვილი
აზთარი

ვის მანქანას საერთოდ არ სჭირდებოდა დაცვა. ტყვია არ ეკარებოდა. მანქანის მინებიც კი ტყვიაგაუმტარი ჩამოესხათ. არამართო გრიგოლოვი, ყველა თეთრკოსტუმანი, ანუ ყველა თანამდებობის პირი, ასეთ მანქანაში იჯდა, ყუმბარას თუ ესროდით, თორემ ჩვეულებრივი შაშხანის და რევოლვერის ტყვია, იმ მანქანებში მსხდომთ ვერას დააკლებდა. გრიგოლოვის მანქანისთვის მაინც, საგულდაგულოდ, მშვიდობიანი ადგილი შეერჩა, ყოველშემთხვევისათვის თუ სასაფლაოზე თოფი გავარდებოდა. გრიგოლოვს ეს არ უნდა გაეგო. დაცვა იქვე ჩასაფრდა და მოემზადა ბოროტმოქმედთან შესახვედრად.

გრიგოლოვის მანქანა არავიქითში ჩუმად, უხმაუროდ უნდა შემოსულიყო, სათანადო აღჭურვილობა გრიგოლოვის მძღოლს გააჩნდა, ძრავის ხმაურსაც კი გააქრობდა თუ მოისურვებდა. აბია თავისი მანქანით მაინც შეეგება გრიგოლოვს, პატივისცემა მისი მობრძანებისადმი ხომ უნდა გამოეხატა? — რიკტაფელოვის განკარგულებას არ დაემორჩილა და როგორც დიდკაცთა წესია, სოფელში შემოუძღვა, სასაფლაომდე მიაცილა. გრიგოლოვი არავიქითში ადრე ჩამოვიდა. ველარ მოთმინა, ღამის სამ საათს ველარ დაელოდა, დაღამდა თუ არა, არავიდან გამოვიდა.

ოცი-ოცდაათი წელი გასულიყო, რაც ასეთ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიეღო. რაც თანამდებობის პირი გახდა, ვინ აკადრებდა დამნაშავეს დევნასა და ძებნას. ამისთვის მას უამრავი ხელქვეითი ჰყავდა, გენერალურ დამჭირველს არ შეეფერებოდა ქურდებისა და ყაჩაღების ხელების გადაგრეხა. „მოქმედება ქორწილი“ სულ სხვაგვარი, არნახული, არგაგონილი ოპერაცია იყო, ამიტომ დაიკისრა მისი ხელმძღვანელობა. ბრძანებების წერის გარდა, უკვე მას აღარაფერი შეეძლო, მაგრამ ამას არ იმჩნევდა. რიკტაფელოვის იმედით მოდიოდა აქეთ. მართლაც დემურ რიკტაფელოვს ყველაფერი მოემზადებინა, გრიგოლოვს ევალეობდა

თავის მანქანაში მჯდარიყო, იქ მოსვენდნენ სასაფლაოზე ყოველი მანქანების მიზნის.

გრიგოლოვის შავი ემოცდაცხრა საგანგებოდ ამ საღამოსთვის აღეჭურვათ დამატებითი მოწყობილობით. მანქანაში მძღოლის გარდა, ამ მოწყობილობათა მსახური ინჟინერი იჯდა, რადიო, შორხედვა, საიდუმლო სიგნალები, პირდაპირი კავშირი ადლთან, სამხედრო ნაწილებთან, ყველაფერი ეს ინჟინერს უნდა უზრუნველყო საჭიროების შემთხვევაში.

ზაფხულის თბილი ღამე იყო, ნიავი დაჰქროდა სასაფლაოს მიდამოში და ჩაყურებულ აკაციის, თხმელის, ბეოლის ფოთლებს შავად ალივლივებდა. ნელი შრიალი გაისმოდა არე-მარეში.

გრიგოლოვი თავის მანქანაში, უკან, საზურგეს მიყრდნობილი იჯდა და წინ აპარატებს ვასცქეროდა, სადაც ხანდახან იფეთქებდა წითელი შუქი და რიკტაფელოვის ხმა მოჰყვებოდა ამ ხმას:

— ისარო, რატომ დამეკარგე თვალ-თახედვიდან!..

უცებ ინჟინრის პულტი ახმაურდა, ინჟინერმა შორხმედი ჩართო, ჯერ რიკტაფელოვის შემფოთებული ხმა გაისმა მაგოგის ენაზე:

— ვინ არის ეს?

შორხმედის ეკრანზე შარა-გზაზე მომავალი მანქანა გამოჩნდა.

— ჩვენი თანამშრომელია... — გაისმა პასუხად.

— ვისთან მოდის, რა უნდა?..

— გაეჩეროთ?..

— კითხვა უნდა ამას? — რიკტაფელოვის ხმაში რისხვა გამოკრთა, — ისარო, რისთვის დგახართ თქვენ მანდი!..

მანქანის პატრონი უმალ დააპატიმრეს, ჯიბეები გაუჩხრიკეს, ხელები ზურგზე დააწყობინეს და დემურ რიკტაფელოვს მიჰკარეს სასაფლაოზე.

ის ნოვე იყო. გულმა ვერ მოუთმინა, შინ ვერ გაჩერდა, გრიგოლოვის დასაპატიყებლად გამოვიდა ამ ღამით თავის

ეზო-კარიდან, შარა-გზაზე მანქანამ როგორც კი გაპყო ცხვირი, გააჩერებინეს. ნოვემ მაშინვე უთხრა დამჭირველებს, თუ რისთვის გამოვიდა თავის ეზოდან, რისთვის დაარღვია რიკტაფელოვის ბრძანება, მაგრამ აღარ მოუსმინეს. წესრიგის დამრღვევი დემურ რიკტაფელოვს მიჰგვარეს. კაცმა რომ თქვას, ნოვესაც ეს უნდოდა. ჩასჭიდა რიკტაფელოვს ხელი, გამოიყვანა მანქანა-სამეთაუროდან და სოფლისკენ გაახედა.

— პატივცემულო, გენოს ძევ, ეგერ გაჩახახებულსი სახლი რომაა, ხომ ხედავთ იმას?.. — ის ელექტრონით გაჩახახებულსი სახლი თქვენ გელოდებათ, უთხარით თქვენს უფროსს და წამოიყვანეთ, აქ ერთი-ორი გუშავი დატოვეთ, ეყოფა აქაურობას, არავინ მოვა აქ!.. აბია კია შეპირებული, მაგრამ ამდენ ხანს რომ არ მოხვედით, ვერ

დაველოდებ და წამოვედი... იცით, პურმარილი მაქვს გაშლილი? ერთი კგ-რია ვემზადები... ყელი არ გამოშკრათ. არ ქნათ, არ მოხვიდით!.. — რიკტაფელოვის გარშემო სიბნელეში მორიალე დამჭირველებს უთხრა ნოვემ, მანქანა-სამეთაუროშიც შეიხედა და შესძახა:

— ყველას გპატიებთ, ყველას! ეზოში ორასი კაცის სუფრაა გაშლილი!..

— მომავორეთ ეს კაცი! — იყვირა რიკტაფელოვმა, — მოკიდეთ ხელი და აბიას მიუყვანეთ, — უბრძანა დამჭირველებს — არ გამოუშვას მანქანიდან თორემ მართლა დავაპატიმრებ, — მიადახა უკან, — ხელს გვიშლის!..

ნოვეს იქით-აქეთ ამოუდგნენ და აბიას მანქანისაკენ გააქანეს.

რიკტაფელოვი მანქანა-სამეთაუროში შებრუნდა და გრიგოლოვს მოახსენარაც მოხდა.



ლოცვა

მტკივა სიშორე გაღმა ნაპირის,
უცხო გრძნობამ რომ შემოგვინახა.
ვთამაშობთ,
თუმცა, — ამბობს ქაბირი, —
თვით მოთამაშე არვის გვინახავს.
მე კი მინდება ათასჯერ გკითხო
ვინა ხარ,
როგორ,
რატომ და
სად ხარ.

რად დამყვა გრძნობა ისეთი, თითქოს
ვერც გნახე, -
კიდევ გიხილე სადღაც.
ეჰ!
კმარა ჭვარცმა წრეგადასული,
სიგიჟე —
რამაც ვერ დამამშვიდა.
შეინდე ჩემი ირაო სული
და გამიყვანე ამ თამაშიდან.

ალარასოდეს

გარბის ბავშვობა ფეხშიშველი
ოცნების გზაზე.
გუშინ ვფიქრობდი სიყვარულზე,
მთვარეზე, ბავშვზე...

ხვალ კი რაზე ვიფიქრო უნდა?
ო! როგორ მინდა,
უსაშველოდ გაგრძელდეს დამე
და არასოდეს გათენდეს თუნდაც!

სევდის ბაღში

ნათიას

ჩემი მამულის
ფერგასულ და სევდიან ბაღში
ვდგავარ უმწეო, ბებერი ბავშვი.
და სევდის ნამით მონისლულ მზერით
თვალეებს მივაპყრობ
ჩრდილოეთის უდაბურ მხარეს.
სად წარუღიათ

მაგნოლიის მძაფრი სურნელი
დეკემბრის ცივ და ბოდოშალ ქარებს?...
და ნაადრევი
სუსხიანი დღით დაზაფრულის
ბაღში ანაზღად შემორბიხარ,
ვით გაზაფხული.

და ღმერთმა ნუ ქნას

ცხოვრება,
ჩემო,
ბევრ რამეს გვაჩვენებს.
იქნება ბევრჯერ
მშიერიც და
მწყურვალიც დარჩე.
მაგრამ, იცოდე,
გარდა პურის

ამ წუთისოფლად
ადამიანებს ოცნებაც არჩენთ...
და
ღმერთმა ნუ ქნას,
ნუ განახოს, —
ამას ვღალადებ, —
ამ უოცნებო
წუთისოფლის
ეს სილატაკე.

შერმაინ ქალღანს

„გვიმარჩიელე!“ —
 ეუბნები
 და მოდის ბოშა,
 (ნასმურები ვართ)
 ცვრიან მოლზე იშლება კარტი.
 ღამეა.
 კვდება მირაეები...
 ორიოდ გროშად
 მისტიურ წრეში
 გზა იშლება კომედიანტის...
 დავყურებთ ქალღანს
 ირონიით
 და მაინც შიში
 მოაქვს ბოშა ქალს,
 ათასგვარი საკრალურ ნიშნით
 და გვეუბნება:
 „ინახებო,
 საითაც წახვალთ,
 ვერ გაეჭევით
 ვერასოდეს
 თქვენ უცხო ცარგვალს!“

...ელავს საყურე
 მთვარიანში.
 და მიდის ბოშა,
 ჩვენ გვრჩება ბედი
 წაკითხული
 ორიოდ გროშად
 და
 გაოცება,
 მთვარის დარდი,
 ხვალის ფიქრები
 და კითხვა:
 ძმაო,
 მეგობარო,
 ხვალ სად ვიქნებით?! —
 შეეშვი!..
 ამღამ
 შეიძლება ისიც მთვრალია,
 თუმც უცნაურად
 მაკრთობს სიტყვა ოხერტილის,
 იქნებ...
 ეს მთვრალი დედამიწაც
 ბოშა ქალია
 უცნობი ბედით მოხეტიალე?!



●

მზე მიხმობს მალლით, მზე მიხმობს
 მალლით,
 და ქარვისფერით სავსეა ქუჩა,
 ლულუნებს ქარი და ერთი ამბით
 ვრცელდება ქორი ფრთხილად და
 ურჩად.

თითქოს არ მქონდეს არც ერთი წყენა,
 მიხარის რალაც და გული მითრთის,
 ჩემპიონივით ავეყურებ ზეცას
 და ცისფერ ზეცას ვეკუთვნი თითქმის.

ღღე არის, — გამჩენს ვერაფერს
 მოთხოვ,
 მზე მიხმობს მალლით, მზე მიხმობს
 მალლით,
 და მიხარია: ამ ქუჩის ბოლოს
 ღვას ერთი ჩემი ძმაკაცის სახლი.

შემოდგომის ფრაგმენტი

გარეთ მზე იყო,
 თბილი მზე ფლობდა
 სივრცეს იღუმალს და გრძნობააშლილს
 უცხო გამგლელებს,
 ვით შემოდგომა,
 ხმელი ფოთლები მიჰქონდათ სახლში.
 წყნარად მღეროდა
 ქარი ფარფატა,
 მზე და ალერსი ერია ხმაში,
 ჩამომგდარეყო
 თეთრ ფანჯარასთან
 და უმიზეზოდ ტიროდა ბავშვი.

●

ჩემი ფანჯრიდან,
 ქუჩის ხეებთან,
 ჩემი თავი დავინახე:
 სციოდა...
 სტკიოდა...
 სწყუროდა...
 თითქოს არც იტყობდა, —
 არც თვალებიდან სდიოდა ცრემლი,
 არც მუხლები არ ეკეცებოდა.

მხოლოდ ეს იყო:
 დალილ მხრებზე
 ბელურები უპირებდნენ ჩამოსხდომას.

გავშვთა საავადმყოფო

გარეთ წვიმაა,
 საავადმყოფოს წამლების სუნში
 პეპელასავით დაფარფატებს წვიმის
 სურნელი.
 აივნიდან კი
 სარეცხ თოვზე გაკიდული ბავშვთა
 საცვლები
 გულისმომკვლელად სევდიანად
 იმზირებოიან.

●

მიყვარდი წინათ და ერთი სიტყვაც
 ვერ დეუაცდინე ბაგეებს მაშინ,
 გტოვებდი უხმოდ და მერე ფრთხილად
 გექებდი მზეში, წვიმაში, ქარში.

აღარ მიყვარხარ, არც სიზმრად გხედავ,
 და ძველ სიყვარულს თამამად გიხსნი,
 დაჭრილ ჩიტივით ფრთხილებს ვნება
 მოფერების თუ გაკიცხვის ღირსი.

●

რა მიხაროდა, ღმერთო, არ ვიცი,
 რა მალიმებდა იმ უზღვავ ხალხში, —
 მას უშფოთველად ბაგე გახსნილი
 გულთან მიეკრა პატარა ბავშვი.

თავის ღედობით, — მშვიდი და
 სათნო, —
 თვით ღვთიშობელის იყო სადარი,
 იმ ხალხში, ქვეყნის წინაშე მართო
 მხოლოდ ის იყო თითქოს მართალი.

და ბედნიერი ვერვის ამჩნევდა,
 განათებოდა სხეული მთელი,
 როგორც ზეციდან მოსულ ღვთაებას,
 ეგებებოდა მწყურვალი ერი.

არა ჩქარობდა, თოთო და ნაზი
 უღლულუნებდა მას ბავშვი გულთან...
 რას ღლულუნებდა ნეტავ ის ბავშვი,
 ნეტავ პატარას რისი თქმა სურდა?!

„მშალი მშახალ“

მ ო თ ხ რ ო ბ ა

„იმედი ბევრად სჭობია
უაზრო ბედისწერასა“.

ხალხური

რამდენჯერმე ყრულ ამოიგვინა, მერე ვაბმუ-
ლი ხრიალი ამოუშვა და თვალბდაჭუტებითი,
ხელების უსაშვილო ქნევით საწოლიდან ისე
სწრაფად წამოხტა, თითქოს შიშველ სხეულზე
გავარვარებული ნაკვერჩხლები გადაებნით.

„შიშველეთი...“ — უნებურად ამოსძახა უმ-
წიბოში, შიშმა თუ კიდევ სხვა გაურკვეველმა
გრძნობამ, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსვლია.
შიშველეთო, წამიერად კვლავ გაერთა გონება-
ში ეს ერთადერთი სიტყვა. იგი ჭერ ისევ იქ
იყო, რომელიდაც ქვეყანაში, გაუგებარსა და
ამოუხსნელში, ძლიერსა და უსაზღვროში, სა-
დაც თვალისმომკრებლ ათას ფერთა მოჩვენებით
სიკაშკაშში ნიღბაფარებული ურჩხულების
მსგავსი უხეში ძალები საოცარი სიამოვნებას
გამომხატველ სიცილ-ხარხარით (მათეური გა-
გებით — სიყვარულით) ბლაგვი იარაღებით
უსერავდნენ სხეულს (საიდანაც შადრევნებით
ახსამდა მოშავო-მოწითალო სითხე). მერე სათი-
თაოდ ნაწილ-ნაწილ გულქდნენ, ხევდნენ და
თითქოს კვლავ ამთელდებდნენ; გავარვარებულ
თორნეში ცოცხლად წვავენ და ვერც წვაე-
დნენ; გველივით ჭრელი თოკებით თუ თვით
გველებით ახრჩობდნენ... შიშველელი კი არ ჩა-
ნდა, მხსნელი არ ჩანდა; არადა, არც კვდებო-
და და არც რჩებოდა, არც საქაოს იყო და არც
საქიოს.

— ზო, — ამოთქვა ბოლოს, როგორც იქნა.
მაგრამ ჭერ არ იცოდა, ვის რას ეთანხმებოდა.
უაზროდ მოისვა ხელი კისერზე, ძლივს გადა-
ყვამა ნერწყვი; რატომღაც საშინლად ეწვოდა
მკერდი, მუცელი, მკლავები, თითქოს კვლავ უქ-
ერდა ყელში რაღაც, სუნთქვაც უჭირდა და
გული საგულედან ლაშობდა ამოვარდანს.

— არა, — თქვა უფრო ხმაშაღლა და ამქე-
რადაც არ იცოდა, რას უარყოფდა. უაზროდ
გადაატრიალა თვალები — ვერთფერი დაინახა,
სმენა დაძაბა — ვერთფერი გაიგონა. აღარც
ცა იხედებოდა და აღარც ვარსკვლავები, სად-
ღაც გამჭრალიყო დედამიწა, უსაზღვრო წყვილი-
აღსა და მდუმარებაში ჩაძირულიყო ყოველი.
მერე კარმა გაიჭრიალა და ეს ჭრილი გაიგონა.

კარში თეთრ ლანდს ჰკიდა მწერა. კაცი იყო თუ
ქალი, ვერ გაარჩია, მაგრამ ის კი დაინახა, თე-
რი, სწორი თმა რომ ეფინა ლანდს სუსტ
მხრებზე და თეთრი პერანგი ჩამოსანთულ სხე-
ულს კოკებამდე უფარავდა.

— გოგია, — ჩურჩულით გამოსძახა ლანდმა
კარიდან, სიტყვას თან მომთენთავი, გამაურ-
ულოებელი სითბაც გამოატანა და ბოლოს
ჰკითხა, — შეძახდი?

— ზა!.. — ამოიგვინა თუ ამოიხრიალა გოგი-
ამ და მაშინვე მიხლები მოეკვთა, სხეული
უღონო ყვავილივით მოუმჩვარდა. არ დაევიარ-
დო — საწოლზე ჩამოქლომა დააპირა, ვერ
მოახერხა, კიდევ მწარედ ჩამოჭრა კუდუსუნი
და ელდანაკავივით კვლავ ფეხზე წამოიჭრა.

პატარა ფიცრულ ოთახში ღია ფანჯრიდან
გრილი სიო იჭრებოდა და თან მოჰქონდა ჭრი-
პინობლების ღამეული გაბმული ჭრიპინი. სად-
ღაც ყეფდნენ ძაღლები. რომელიდაც მატრაკ-
ვეცა მაშლაყინწას ერთ შევიკვებებს ბანს აძ-
ლევდა სოფლის მთელი სამამლეთი, იმავ დროს
თითქოს იღვივებდა ჰუნება; ბლაოდა ცხვარი
და ღმუოდა ძროხა, ყრყყინებდა ვირი, ფრუ-
ტუნებდა ცხენი, ყრულ შრიალებდა მუნხარი
და წიფლნარი, ნათელი ეპარებოდა აღმოსავ-
ლეთიდან ცის კიდეს და თანდათან ციალს
წვეტიდნენ სამყაროს უსასრულობაში გამოკე-
დებული ვარსკვლავები.

გოგია სარგადაყლაპულივით წელში გაჭვმი-
ულ-გაზნეილი იდგა, ცალი ხელი კუდუსუნზე
ედო, მეორე — შიშველ მკერდზე და ახლა ის
აკვირვებდა, კარი რომ არ იყო ღია და, რაღა
თქმა უნდა, კარშიც არავინ ჩანდა. საკუთარი
შიშველი სხეული შეითვალეირა, ყველა ნაკე-
თი თავის ადგილზე ჰქონდა, და სისხლიც არსა-
იღან სლიოდა.

— „ზო, ეს მე ვარ...“ თითქოს ბეჭედი დაუ-
სვა თავის არსებობას, ერთგვარი მხნეობაც შე-
იძინა, მაგრამ ბინდებუნდა თუ გამთენიის მუქ
სინაცრიფტრეში ფიქრი დროდადრო აბრუნებ-
და განვლილ მტანჯველ წუთებთან და ვერფ-
რით ამოეხსნა, რატომ ეწვოდა მკერდი, მუცე-

ლი, მკლავები, რატომ უჭერდა ყელში რაღაც და გული რატომ ღამობდა საგულედან ამოვარდნას. არადა, ეს პირველი დღე ან ღამე როდი იყო, უკვე თვე იწურებოდა სვლის და სორცის ამ მერყევ ცვალებებსა თუ გაუთვითცნობიერებელი განცდების შემოტევაში. ეს ახალი განცდა უფრო მეტ და მეტ სიმძაფრეს იძენდა და თითქოს ახლოვდებოდა ფაში, ყოველივე გაუგებრობას ბოლოს რომ მოუღებდა.

ავიანზე გვიდა. სოფლის თავში, ყველაზე ამაღლებულ ადგილას მდგარი სახლის პატარა აივნიდან ქვეყანას გადახედა. ბუნება ღამის მოგონებითი სიმყუდროვიდან ნაბიჯ-ნაბიჯ დღის თვალთხილულ მშფოთვარებში გადადიოდა და ნაბიჯ-ნაბიჯვე წარსულს აბარებდა ყოველივე განცდით, მაგრამ უკვე განვლილ სიხარულს თუ ტკივილს.

ბუნება იღვიძებდა. ნათელი ეფინებოდა ცას, მთებს, ველებს, სოფელს... აგერ აგერ ზაფხულის დაუნდობელი, მცხუნვარე მზეც ამოვიდოდა, აღბათ, მხოლოდ ამ ზაფხულისათვის დამახასიათებელი ყველაფრის გადაშეუგავი, საშინლად მწველი სხივებით თავს დაატყდებოდა დედამიწას... მაგრამ ჭერ ღამისა და დღის გასაყარი იღვა და გრილი სიო საამოდ დანავარდობდა აივანზე.

გოგიაზ ოდნავი შეება იგრძნო; მხოლოდ ოდნავი შეება და ისიც დროებით. გრილი სიო სადღაც გაქრა თუ გადაიარგა და აივანზე, მამისეული ოთახიდან შარდის მძაფრი სუნე გამოიჭრა. იმ ოთახში ლოგინს მიჯაჭვული უფროსი ძმა და ნაჭაფარი, სივრცისგან ნაადრევად მიბრუნებული დედა ათვდნენ დამეს. ძმა საგვარეულო ტახტზე იწვა გულაღმა, უშველებელ ბალიშზე დახვეწებული ისევ ისე, როგორც შარზან, ზუსტად ამ დროს ხერხემალდაზიანებული ციმციმ რომ მოაწვინეს. დედას კი, იმ ტახტზე ორივე ხელით ჩამოყრდნობილს, თავი ხელზეზე ეღო და იატაკზე ჩამჯდარს ჩასძინებოდა. ძმას სიმწრის და ერთდროულად სირცხვილის ცრემლი შემყინოდა თვალზე. დედა ებძროდა ძილს, აღბათ, — ბორგავდა, ახლავყო თუ მსგავს სიტყვას იმეორებდა დროდადრო გაუგებრობა, მაგრამ თავს ვერ სწვდის მადლა. იატაკზე, ტახტის ქვეშ, შარდის მოჭრდელი გუბე იღვა.

„მე რომ მასე ვიყო, თავს მოვიკლავდი...“ — გაიფიქრა გოგიაზ და იმდენად მტკიცე ტეხენა გადაწყვეტილება, თავადვე შეეშინა ძმის წაგვირ. როდი იყო გამორიცხული, რომ თავმოყვარე კაცს, აღრე სიცოცხლით და ჯან-ღონით სავსეს, ამჭერად კი წილქვემოთ მოწყვეტილს და დამბლადაცემულს, იგივე აზრი მოხვლოდა თავში და ერთ მშვენიერ დღეს დატეკვა მამისეულ თოფს, იქვე, კედელზე ძმისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე რომ ეკიდა.

„მე, მე თავს მოვიკლავდი...“ — მინცე გაი...

მეორა გუნებაში ჯოტად და აღმორბა სახეზე, მთელ სხეულზე კანი უფრო ატეხებოდა ქავდა. თვლებში სისხლმოწოლიმა, სულაფორიკეულუმა ბრავაბრუთე ჩაიბრინა კიბე, მშოთ გატრუსულ, მაგრამ დილის ნამით დაჯვარულ ბალახზე შედგა შიშველი ფეხებით, ადგილზე გავგნებულ-გამწარებული დატრიალდა. რაღაცის სიხოვდა სული და ვერ გარკვეულიყო, რით დედებოდა ეს სურვილი. კუნთები უთროთად, ძალა ერჩოდა, გულის სიღრმეში სტიკოდა რაღაც და ეს ტკივილი თითქოს მეტ ტკივილს თხოვლობდა.

— მო, თავს მოვიკლავდი, — თქვა ამჭერად ხმაშალა ჯიბითი, კბილების კრაქუნით, მუხტმოღერებით, თითქოს საყუთარ თავს უმტკიცუნებდა ვაჟაკობას, თითქოს იმ სისუსტესაც ებრძოდა, რატომღაც საყუთარი თავის მოკვლის წარმოდგენას რომ აღმოეცინებინა.

თვლებზე სიბრაღულის თუ სიმწრის ცრემლი მოადა.

ცრემლი გაიზარდა, გამსხვილდა, თვალს მოსწვდა და ლოყანე ჩამოგორდა.

რღა დროს ოც წილს გადაბიჭებული კაცის ტირილი იყო, აღარც ახსოვდა უკანასკნელად როდის ღვარა ცრემლები; მაშინ თხოთმეტის იქნებოდა, ან უფრო ნაკლების...

ხევედამელი თვალმარგალიტა გოგო უყვარდა, თავისი ტლირი და სწორი, წულწურილა და მკერდსრულა, ლოყებდაუდღა და ბროწეულის ყვავილტურენა... გოგოსაც უყვარდა. ასე იცოდა გოგიაზ. ასე უთხრა მაშინ გოგოზ, შენი ძმა კი არა, შენ მიყვარხარო.

— მართლა მე გიყვარვარ? — მოულოდნელობისგან დაიბნა გოგია, უცხად ნერწყვი გაუზრა და ყელს მობეჩინილი სიხარულის ბურთი ვერაფრით გადაუღაპა. ახლა მთავარი იყო, თვალმარგალიტას თავისსავე ნათქვამზე არ გაცინებოდა, მთავარი იყო, ტუჩს ზემოთ ახლად დინდემორთული ბიჭისათვის კვლავინდებურად არ დაეცინა, ჭერ გაზრდა გაკლიაო, თითქოს თვითონ ძალიან დიდი ყოფილიყო.

— შენს თავს გეფიცები, — თქვა უცხად გოგოზ ისე თანატომობით, ისე უმანკოდ, რომ მაშინვე გაანათდა სამყარო, ციხარტყმას ფერებით მიორთო ქვეყანა. გოგიას ჭერ მომბინთავმა სიამოვნებამ ქიანქვედლებივით დაუბრინა მთელ სხეულში, მერე გიფიციო შეტბა, შემოტრიალდა, აუვირდა და ხევეს ყვირილ-ყვირილით სათავისაკენ აუყვა. ბოლოს, როცა დაიღალა ტყე-ღრუში სირბილით, ხევეზე და ციხის ნანგრევებზე ფორთხილით, ისევ სოფლისაკენ დაეშვა, ამაყი და უშიშარი, გამარჯვებული... დიახ, უფროს ძმაზე ეს მისი პირველი გამარჯვება იყო და იქნებ ეს უფრო ახარებდა, ვიდრე თვალმარგალიტას სიყვარულში თანამოზიარობა. არა, ნათია რომ უყვარდა, მას ვინღა წაართმევდა, მაგრამ დღეიდან უფროსი ძმა ვეღარ



დასტინება კვლავინდებურად, თავში უბრალოდ ვერ წამოარტყამდა და ვერ დაეკადნებოდა. მაშალითი კიხრმოღერებელი — მე თუ მინდა, თვალმარგალიტა ჩას მიქვიანო... ისე, ვან იტყოსა, ძმა არ უკვარსო. მაჰვდა კიდევ ხშირად საიარულში, უშველებელი ქვების აწვე დაწვეში, ჩხუბში, მუხარაზში, ბოლოს და ბოლოს ქალის სიყვარულში, და იქნებ ამიტომაც შეიყვარა თვალმარგალიტა; შეიყვარა და ძმაც პირველი გამარჯვება მოიპოვა კიდევ...

სწორედ ამ უმწიფარ, ბავშვურ საზეიმო ფიქრებსა და განცდებში ბრძანდებოდა ჩაფლულ-ჩანებიერებული, რომ საღამო ხანის მოახლოვებულ ბინდუნდში ხევის პირას ჩაყოლებულ მავკლის ბარდებში რაღაც გაფაჩუნდა. გოგია ქვის ასაღებად დაიხარა, უპატრონო ძაღლია, აღბათ, გვაფრთხილო, მაგრამ წელში ვეღარ გასწორდა, ვერ გაიმართა. ნაცნობ ღანდებს მოჰკრა თვალი. ისინი იყვნენ...

— მაშ, ეგრე უთხარ, შენი ძმა კი არა, შენ მიყვარხარ?

— კარგი, იმხა ჭერ ქეცა არა აქ, მაგრამა... მშები ხართ. შენ რაღამ გადაგრია, მა?

— შენ ივითი თვალები გაქ როოო...

ღონწარომიული გოგია მუხლებზე დაცვა და თვალები თავისთავად ადგეს ცრემლებით. მერე გულიანად იტირა, იტირა უჯანახენლად, თითქოს ამით გამოეხოვოვა, კიდევ ბავშვობასაც, უმწველიაკობასაც. ახლა კი, ამდენი ხნის შემდეგ, ძმისა თუ საკუთარი თავის უმწიფობით სულფორიაქებულს თვალებზე კვლავ თავისთავად მოადგა ცრემლები და ლუყებზე ჩამოუგორდა უმწველიაკობაში მომხდარი ამბის შემდეგ, თითქოს დაკარგული ჰქონდა სიყვარულის გრძნობა, თითქოს ეკავრებოდა ძმაც, თვალმარგალიტაც, სოფელიც, საკუთარი თავიც. მაგრამ ახლა ნელ-ნელა ხვედებოდა, უფროს ძმისთან ის დედამამივილური გრძნობა აკავშირებდა. წინ რომ უსწრებს უკველგვარ სიყვარულს და თავდას სიყვარულის წარმომშობი... ოჯახის ერთადერთი მარტენალი ძროხა — იმედო სადგომიდან ხელის კვრით და მუხტების შოქაბუთით შუა ეზოში გამოადგო, ხელზე მიხმული თოკით უშველებელი თუთის ხეზე ისე მოხდა, ღამის ნიარჩხი და თვითონაც გვერდით დაუდგა.

მორჩილ იმედოს არ ესმოდა ამ დილაუთენია რას ერჩიდა გონდაკარგული პატრონი, შეუბრალებლად რატომ ურტყანდა ფერდებში ქვა-საკით მაკარ მუხტებს და ჩან ერთ მხარეს ოწნიკებოდა. ნან მერე მხარეს. ან ვინ იცის, იქნებ ესმოდა კიდევ — ზუსტად წელიწადი სრულდებოდა, უპირო სედვის გამოშობაკველი შერეა რომ ჩაბუდებულყო მის უშველებელ თვალებში და თან ცრემლი სდიოდა; იქნებ ესმოდა, ოჯახს უბედურება რომ დაატება თავზე თავისი არხებობით, ამიტომ იცრემლებოდა

და გაჩენის დღეს იწყებოდა კიდევ. მაგრამ გოგიას არ ესმოდა ცხოველის, გოგიასათვის ამბერად შერკინებაში გამარჯვების მოპოვებამდე იყო მთავარი, თითქოს ამით უშველიდა ძმისაც და საკუთარ თავსაც, უმწველიცკობისდროინდელმა, გულსაკლავი წუთების გახსენებით გამოწვეულმა ყოვემანა ვერ შეძლო იმ ენერჯის ჩატრომა, ხარკვას რომ თხოვდა, იმედო უნდა აენია საკუთარი მხრებით, თავდაც უფროსი ძმის ხვედრი რომ გაეზარებინა.

იმედო დაბადებიდანვე მიჩვეული იყო ასეთ წვლებას. დროთა მანძილზე მოთხოვნილებადც ექცა დილა-საღამოს ბიჭების მხრებზე მუცლით გაწოლილ მაკრში ფეხების ფართხალი, მაგრამ თვითონ უფრო სწრაფად მჯერებოდა წონაში, ვიდრე ძალა ემატებოდა ძმებს და ჭერ გოგია ჩაეცა მუხლებში, მერე უფროს ძმისაც წაუხდინა ხერხემალი. მაშინ იმედო ძლივს გადაურჩა ყელში ხანჯლის გამოსმას, დაკვდა დაუპირეს, იმ არემარეზე მკურნალობით და მისან. მკითხაობით განთქმული დედაბერი რომ არ გამოქმამაგებოდა — ავადმყოფი ისევ ამ ძროხის რძეში დამზადებულმა წამალმა უნდა მოგვიჩინოსო. ახლა კიდევ გოგია... თანაც ვერც რძეში დამზადებულმა წამალმა არაგო წაგდენილ ხერხემალს. ყოველ საღამოს მიუღ მონაწველს მისან-მკითხავს ახარებდნენ (ახეო საქირო) და ყოველ მერე დღეს დილაუთენიაში, სან-მკითხავსაც შიად ჰქონდა სამი სუფრის კოვზისოდენა მოითერო ფერის წამალი (ამდენიც ძლივს გამოშყავს). მაგრამ პირიქით თუ არ ითქმოდა, ხერხემალწამდარის მდგომარეობა ოდნავადც არ უშრებლდებოდა და იმედოს ახლა მისან-მკითხავიც შემოსწურა, ეშმაკების და ავი სულბის მხახური ჩანს, წამალსაც ამიტომ აქვს ძალა დაკარგული... ძროხამ თავი მიბარუნა უჯან, ცალი თვალთ გახედა პატრონს, თან გულსაკლავად შეწმუვლა, თითქოს უთხრა, ნუ იზამ მაგ საქმესო და ფეხებგაბოტლი ისე მორჩილად დადგა, აღარ განძრეულა.

ძროხის ზურგზე ხელბედაკრდნობილ გოგიას არ გაუგონია ცხოველის მდგომარეობა, უტყველად შეუდგა ფეხებში, მხრები მუცელს თუ ხელისპირს გაუხსნა და მთელი ძალით ააწვა ქვევიდან.

საშინლად მძიმე აღმოჩნდა იმედო, უფრო მძიმე, ვიდრე ეგონა. მუცლის ფარი ღამის ხერხემალზე მიუკრა, გულისპირი ღამის შეუნერგია, მაგრამ ფეხები ვერ ააცილებინა მინას. ადგილიდან ვერ დასძრა, არადა, კიფხვა-კიფხვაში ღამის დაუსკდა ბიქს ფილტვები, კისრის ძარღვები დაუწვედა, კვემოდან გოგია, ზემოდან — იმედო; ქვეშ გოგია იტყებოდა, ზემოთ იმედო ირეოდა. ბოლოს ისე გოგია მოკვდა მუხლები. გამოეცალა ძალა და ოფლში გაწუწული მზით გატრუსულ ზაღასში ცხვირით ჩაერქო. სწორედ ამ დროს გულმუცელ-



დაწვლილმა ძროხამ, როგორც კი ოდნავი შვე-
ბა იგრძნო, კიდევ ერთხელ შეშშვულა (ამჯერად
აღბათ თავის ღმერთს), დააქნია თავი. ტანიც
მიაყოლა გვერდულად (აღბათ მაინც შეიკოდა
პატრონი, ფეხებით არ შევდგეო), გაწვიტა კი-
დეც თოკი და გაღარუული, იქაურობას სირბი-
ლით გაერიდა.

„ჰო, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია...“
— გულდაწყვეტით საბოლოო განაჩენი გამო-
უტანა გოგამ უფროს ძმას თუ საქუთარ თავს,
თუთის ხის ძირში დიდ ქვაზე მკაფრი ერთხანს
მწარედ დასტერებოდა მიწას. მერე წილში
გაიმართა და შიწისა და ცის გასაყარს გახედა,
აღმოსავლეთიდან სისხლისფერად რომ იღებე-
ზოდა.

უცხად ვერ გარკვეია, მოლანდება იყო თუ
სინამდვილე: ან პატარა სახლის ეზოდან სის-
ხლისფერი ეჩქვება გორაკში მთებზე, მთებს
შუგ, ქვევით, ტაფობად დაცემული ზვრებითა
და ხაღ-ბოსტნებით დასერილი ველიც, ვიწრო
ხეობის ორივე მხარეს შეფენილი სოფელიც...
სისხლისფერი განთიადი ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩიუტად
მოიწვედა წინ.

ნაბიჯ-ნაბიჯ, ზანტად იხედა უკან ღამეული
მოლანდებებით აღძრული სულის ქაოსი და მა-
ლიე, აღბათ, ყველა განცდა მისთვის განკუთვ-
ნილ ადგილს დაიკავებდა.

ბავშვობიდანვე მარცხს მიჩვეულ გოგაის არც
ახლა გამკვირვებია მაინცდამაინც უთანასწორო
შერკინებაში მიწაზე დანარცხება. თითქოს ასეც
უნდა მომხდარიყო, რომ კვლავინდებურად
ახალი შემართებით, უფრო ჩიუტად შემომდა
ახალ განსაცდელს, უფრო მშვიდად გაესწორე-
ბინა თვალი თვით სიკვდილისთვის, რა ბედნაა,
იყო, და არც იყო, სიხარულის წყურვილი გქლა-
ვდეს და უმწერობა დაოკებოს საშუალებას არ
გაძლევდეს, სიცოცხლით და სიყვარულით გაუ-
მადარს, საკუთარ თავთან ერთად, მთელი ქვე-
ყანა გეკავებოდეს!..

კიდევ ერთი სისხლის გამშრობი დღე თენდე-
ბოდა და წინა დღეების მსგავსად, ქვეყნის გა-
დამბუგავ მწველ სხივებს სულ შალე მოიტანდა,
მაგრამ გოგაის არ სურდა ეფიქრა დღევანდელ-
ზე, იცოდა, ასე სწამდა, ან ამშუთას იწამა ასე,
რომ ერთიც და მეორეც, და შემდეგ დანარჩენი
ყველა სხვა დღეც ისე მოვიდოდა, არავის ღაე-
კითხებოდა და თან ტკივილს მოიტანდა თუ
სიხარულს, იმასაც წინასწარ არავის აღწევდა.
ან რას არგებდა კაცს უთანასწორო შერკინება-
ში ბედის სასწორზე შეგდება, როცა თავად ბე-
დი განაგებს დადამიანებს?.. და ესეც, აღბათ,
ბედი იყო, — მარცხი უნდა ეწვინა სწორედაც
ამ დღეს, რომ არა გამარჯვებას, არამედ
მარცხს ჩაეუჩუბებინა თანდათან მის სისხლდა-
რღვევში აბოპოქრებული სისხლი.

განთიადი რატომღაც ჭერ იხეც სისხლისფ-
რად ეჩვენებოდა. ვერ მოესწრო ჭერ მის გონე-

ბას ზავნელი აზრებისაგან განწმენდა-გათავი-
სუფლება. განაწამები სული ვერ გამოეხსნა
ცოდვილ სხეულს, და უნდოდა თუ არ უნდო-
და, კვლავ იმ შეუცნობადი შინაგანი ბიძგების
ნებასურვილს აპულოდა, აგერ თითქმის მთე-
ლი თვე ძვალ-რბილში რომ გასჭდომოდა და
მოსვენებას არ აძლევდა. ადგა, წელში გაიმართა,
გასწორდა, საითაც უხილავმა ძალამ უბიძგა,
იქით გადადგა ნაბიჯი, თავისდა უნებურად საქა-
თმეში შერგო თავი და პირდაპირ გადრულას
მიადგა, საბუღრად რომ იყენებდნენ. გაუკვირ-
და, საქათმე ცარიელი იყო; უკვე ყველა ქათა-
მი დეკლათ, — აღარც კრუხი, აღარც კვერ-
ცხისმდებელი.. საბუღარში სისხლწაცხებული
ერთადერთი კვერცხი იღო, ისიც გალავებული-
ლაუე კვერცხი მოხისხლო ფერის დატყენილ
თივაზე იღო, თავის ქვეშ, გადრულას ძირში სა-
დათვედ დატენილი ვაზნები ეყარა .

ერთ-ერთი ვაზნა ამოიღო. უყურა და უყუ-
რა, მერე წამიერად შეკრთა, მხოლოდ წამი-
ერად დაუბრინა მთელს სხეულში ცივმა, გამა-
წრჟოლებელმა ტალღამ და წამიერადვე ბივის
სისხლიან თითებში ვაზნამაც სისხლისფერი მი-
იღო.

„ახლა კი ჩქარა!...“ — ზარივით ჩამოჰყრა
თავში უხილავმა ხმამ.

„ჰო, სანამ სინიათ...“ — დაუბრუნა მამინ-
ვე პასუხი და ქურდულად დატოვა საქათმე,
სახლს მიაშურა.

განთიადი უფრო მეტი სიჩიუტით მოიწვედა
წინ. თენდებოდა, მაგრამ მამისებულ ოთახში
თითქოს არაფერი იცვლებოდა: კვლავ ბნელოდა,
კვლავ გამთენიის იღუმალ ბურანში თვდებდნენ
ბედგანწარმოდის, სუნთქვა აღარ შეიძებოდა,
მაერი გაუდენთილიყო ზარდის გულიასმრევი,
მძაფრი სუნით, რომელსაც ლოგინს მიკავებული
წელს ქვემოთ დამბლადაცემული კაცის ოფლის
თუ სხვა რაღაცის სიმურალის სუნი შერთვოდა.
ჩამწვარტულ-ჩაშავებული ოთახის ერთ კუთ-
ხეში წმინდა გიორგის ხატის წინ დანთებული
სანთელი ბოლომდე ჩამწვარიყო და ჩამოღვენი-
თილიყო. კედელზე მიკიდული ორლულაინი
სანადირო თოფი ნოხზე ისე მოჩანდა, თით-
ქოს პიტალო კლდიან მოისროდეს და უფსკურ-
ლისკენ მიეკნებოდა.

იატაკე ჩამჯდარი და ტახტზე თავჩამოდე-
ბული დედა ძილს კვლავ ებრძოდა, ახლავო,
თუ მსგავს სიტყვას დროდადრო გაუგებრად იმე-
ორებდა. თეთრპერანგაინი უფროსი ძმა ისეც
ისე იწვა გულაღმა, გაუნძრევლად, თვალბედა-
სუტული, ყვრიმალბეზმი სარცხვილის თუ სიმწ-
რის ცრემლშეყენული, განაწამები სახით, თით-
ქოს სიცოცხლეწართმეული...

მცირე ხანს დაჰყურებდა გოგია ძმას, მხო-
ლოდ რამდენიმე წამს გარინდულიყო ტახტის
თავთან მოლანდებასავით წამომართული, მაგ-
რამ ყველაზე მტანჯველი აღმოჩნდა ეს წამები.



ოვალზე ცრემლი არ სწყდებოდა, თორემ ქალი-
ვით კვითინებდა, ვერც სიცივეს გრძნობდა და
ვერც სიცხეს, თორემ უნიუღივით ცივიც იყო
და ოფლშიც ცურავდა. ახლა გოგია ძმას ეკუთვნე-
ნოდა, გრძნობითაც და გონებითაც. თურმე
როგორ შევკვილიყო სუსხისი წაბთრის აქეთ,
მას შემდეგ, რაც გოგია გამუდმებით გაუ-
რბოდა მაშისეულ ოთახში შესვლას; როგორ
გამოფიტულიყო და მობერებულყო კიდევ,
თითქოს ცხვირიც გაწრდოდა — ბოლოში წაწ-
ვტიტბული, უშველივითი კომბალივით აქდა
გულულ სახეზე, ცარიელი ტყავი ეკრა ძვალ-
ზე, ვეფხვთან მორკინალი მკლავები პერან-
გის სახელოებში ჩაკარგოდა, გაწვრილებოდა
კისერი, ამოსჩროდა ყუბები, ყვრიმალეები, მაგრამ
როგორი ნაწი, სათნო და საყვარელი გამხდარ-
იყო უფროსი ძმა, თურმე ბრმას უღლია თვითონ
აქამდე და მხოლოდ ახლა მიხვდა, რას ნიშნავს
ძმობა. სადათვე ვაწნა გოგიათ ფანჯრის რაფაზე
ისე დადო, ხელი არ აპკანკალებია. კანკალი მე-
რე აუტუდა, აივანზე, განთიადის ცქერისას. სა-
დაცაა მაშისეული ოთახიც აივანებოდა ნათელი
სხეუბით და უფროსი ძმა, როგორც კი თვალს
გაახელდა, აუცილებლად ცახ გახედავდა რაფის
გასწვრივ ფანჯრიდან. იქ სახლობდა მისი მიედი.

ჭერ ისევ კანკალებდა. ჭერ ისევ იქ იყო,
რომელიდაც ქვეყანაში, გაუგებარსა და ამოუხს-
ნელში, ძლიერსა და უსაზღვროში, მტანჯვე-
ლსა და მწამებელში... ასე ეგონა, ვალი მოიხადა
და ვალმოხდილს, თითქოს შვება უნდა რგებო-
და, მაგრამ ოდნავაცა ვერ გათავისუფლდა
უცხი, გაუცნობიერებელი განცდისაგან. უფრო
მეტადაც ეწვოდა მეტოფი, მუცელი, მკლავე-
ბი... უფრო მეტად უშერდა ყელში რაღაც და
გული საგულედან ამოვარდნას ღამობდა.

ეს ზაფხული ყველა სხვა დანარჩენი ზაფხუ-
ლისგან გამოირჩეოდა და მევეთრად განსხვავ-
დებოდა. ადრე ოცნებად მქონდა ჭკეულო, რო-
გორმე წწრაფად შეეცვალა დღეებს დღეები,
ღამეებს ღამეები, ამასობაში გარბოდა წლები
და ეპოთა სვლას თან მიჰქონდა ახასიათვის და-
მხახახათებელი ტკივილიც, სიხარულიც. სამაგი-
ეროდ მოუთმენლად ელოდა ახალს. უფრო
ღამებს, მიშვიდეველს, სახარელს, ელოდა ნელ-
ლი გონებით წარმოადგენილ ავადმისფერებულ
სამყაროში გადასახლების ზეიმს და მერე, როცა
ცხოვრებამ ნელ-ნელა, მაგრამ ფართოდ გააღო
კარი ტბილ-მწარე ნექტარის შესასმელად, ად-
არც ტბილი ეტკბილებოდა და რატომაც სიმ-
წარესაც დაკარგვოდა თავისი სიმწარე. გულჩა-
თხრობილი გახდა, გაუხეშდა, გაურბოდა ხალხს,
საკუთარ სახლს, თითქოს მისთვის ყველაფერი
სულ ერთი იყო.

ახლა კი კანკალებდა...
ბოლომდე არ ენმოდა, რატომ, მაგრამ ძვე-
ლებური ჩუქურთმებით შემკულ პატარა სახ-

ლის პატარა აივანზე დაღურსმულივით ერთ
ადგილას კარგა ხანს მდგარი, ხარბად შესცქეროდა
და განთიადს, ფეჭრობდა უფროს ძმაზე და მისი
არსების რომელიდაც შეეშო მიძინებულნი გრძ-
ნობა (ჩანახიდანვე ყოველ ცოცხალთან ერთად
რომ იხადება და, რომელსაც საკუთარი, მშო-
ბლიური ჰქვია), ჩამქრალი ვულკანივით სულის-
შემმგრელი ბიძგებით იღვიძებდა. სიხლისფერი
როდიდა ეცხო ქვეყანას — ირგვლივ წამომართ-
ულ გოროს მთებს თავზე ნარინჯი გადახდილია
ნარინჯში გახვეულიყო ყველაზე მაღალი მთის
თხემზე გედითი ვაროლიდა და ცისკენ აუელემ-
ლავებული წმინდა გიორგის ტაძარი, ბრძოლებ-
ში დაფლეთილი დროშის არშოასავით გარს რომ
ერთყა ერთ დროს შეუვალი, მაგრამ შემდგომ
ურჭლო მტრისაგან დაქცეული ციხის ნანგრე-
ვები; მუქ მენწამულ ზღვას ჰგავდა ქვევით, ტა-
ფობად დაცემული ვრცელი ველი. აქეთ კიდევ,
ღვითი ნაბიძგები სოფელი... ატალღებულ ბორ-
ცვებსა და ნუგბარ ნაყოფიან ხეთა გვირგვი-
ნებს, რომელთა შორის ღარიანი კრამიტი გაღა-
ხურული სახლები სახურავებს ამოკეთ თავი,
მშვიდი და წყნარი განთიადი ეპარებოდა. ამ
სიწყნარის ნაწ საფარველში კი დაუდგრომელი
სიცოცხლე ჩქეფდა, ყოველივე ცოცხალს ცისკენ
აღებურო თვალები მარადიულობის ხარბი შე-
გრძნებით და სიკვდილისადმი შეურიგებელი
პროტესტით. ამიტომ სუნთქავდა ქვეყნა, შრი-
ალებდა, ბზუოდა, ჰკიკიებდა, სტვენდა, ბღა-
ოდა... და გოგიათ ახლა შეიგრძნო ყველაზე
მძაფრად, რა საამოდ და საყვარლად შერწყმო-
და ამ დიად ბუნებას მშობლიური სოფლის
ყველაზე ამაღლებულ ადგილას მდგარი მშობ-
ლიური პატარა სახლი თავისი სოცარი მოხა-
წულობის ჩუქურთმებით, ხეხილით სავსე ბა-
ღით, ბოსტნით, კონდრით მოფარდაგებული
უწო-უურეთი... უწოს კი როგორ შეენოდა წლი-
ბის სიმძიმით ქერქდამსკდარი და ტოტებგადაგ-
რებინდ-დანურთული, მაგრამ ახალ-ახალი ყლო-
რტებით ცამდე აწვერლ-ამაღლებული ფართე-
ფოთლება და მსხვილნაყოფა თუთის ხე.

— ეეე!... — პირი დარჩა უცბად ღია, გო-
გიათ, გაუტებული თვალები უაწოდ დაახა-
ნამა. თუთის ხეზე კაცი იჭდა, სახლისკენ გად-
მობრილ ტოტზე ფოთლებს შორის გამოეყო
გრუზათმიანი, მუგუზალნივით შავი თავი და
სახურავს მისჩერებოდა. მოღანდებას ჰგავდა
ყველაფერი; კაცის თავი უცბად გაუჩინარ-
და, ფოთლებიც მისწორ-მოსწორდა და მოჩე-
ნება გაქრა.

გოგიათ კვლავ დაახანამა თვალთი. ალბათ,
მომედანადა, გაიფიქრა, ახალ უცნაურ სენს
დააბარაა ესეც, ღამ-ღამობით მოსვენებას
რომ არ აძლევდა და დღეც ჰიანჯველებივით
უფუფოფუთებდა სხეულში. არადა, რა უნდოდა
ვიღაც უცხო კაცს ხეზე ამ დილაუთენია, ან
რას ეძებდა სახლის სახურავზე? ვიოთმ გო-



გიას უთვალთვალებდა? მაგრამ რა იცოდა მან, ვიღაც უცხოში, რას მოიმოქმედებდა გოგია მანცადამაინც ამ დილას, როცა თავადაც არ იცოდა, რას აკეთებდა? არა, ეს კაცი გიჟია ვიღაც, დარტყმული და გადარეულია, ხეზე ცოცვის მანირით შეპყრობილი, უცხო მხრიდან გადმოხვეწილი...

„უცხო მხრიდან გადმოხვეწილი...“ — გაიმეორა გუნებაში გოგიამ და უცხად ახალმა აზრმა შეაქანა:

„მომხვედურია?!“

ქურდი და უჩაღად რატომღაც არ გახსენებია, ან ერთიც და მეორეც მომხვედურის მცნებაში ჰყავდა განივთებული და ყველას მტრად აღიქვამდა, მაგრამ მაინცდამაინც მომხვედური ამოუტივტივდა გონებაში, მისდა უნებურად მაშინვე სისხლმა ტვინში აახსა და ბრძოლის უჩინო აღზედა...

ისე გაიზარდა, მომხვედური თვალთ არ ენახა, მაგრამ ბავშვობიდანვე უფროსებისაგან მონაყოლით იცოდა, ყველა მომხვედური ვერაგი, ციბერი, ურჭულთ და დაუნდობელი რამ იყო. ამაში საკუთარი თვალთი ნანახითაც რწმუნებდებოდა — დანგრეულ ციხე-სიმაგრეებსა და ჩამოქცეულ-გაძარცვულ ეკლესიებს აჩნდა მათი მსახვრალი ხელი. ისიც იცოდა, ყველა მომხვედური მხოლოდ მოსალადად, დასამონებლად და დასაპყრობად რომ მოდიოდა, მოდიოდა კალიასავით ურიცხვი, ზოგჯერ მკლავდამკლავ — ველის მხრიდან, ზოგჯერ მოპარვით, ჭგუფ-ჭგუფად — ტყე-ღრუზე მოვლით. ხანდახან სოფელიც ასწრებდა შეკრებას, ციხეში გამაგრებას, დაკრძობილ მოხუცთა და ჩვილ ბავშვთა გახიზვნას, ზურგიდან მოპარვისა და კი უმთავრესად გოგიას საგვარეულოს უწყევდა პირველს ბრძოლაში ჩაბმა, მათ უნდა ეხსნათ სოფელი აწიოკება-აოხრებისაგან. ამიტომ მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ კიდევ მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად, მაგრამ ამქრად გოგიას სულაც არ გახსენებია სოფელი, მშობლიური მიწა-წყალი; ან რა შუაში იყო სოფელი, როცა „მომხვედური!“ მის თუთის ხეზე ამძვრალიყო და, ალბათ, უთვალთვალებდა; თუმცა გოგიას ხელის სიღრმეში. ისევე როგორც მის მიწა-წყალში, წინაპართა ის თესილი იყო, განსაცდელის ჟამს აუხსნელი ინტინქტებით მაშინვე კეთილი ნაყოფის გამოდგებას რომ იწყებს. ამიტომ მისდა უნებურად ბრძოლის უჩინო აღზედა. ეს აღზედა მისი საგვარეულოს სოფლის წინაშე შთამომავლობით დაქსირებული ვალის მოხდის გამოძახილს მგავდა, მომხვედურ მტერს მუდამ შეგაროული და მუდამ პირველი რომ უნდა ჰკეთებოდა.

ბევრი ადარც უფიქრია, სირბილით ჩაათვაკიბის საფხურები, იქვე, კიბესთან მიუყდებულნი ძრახის სამწყსოდ გამოთლილ სახრეს წამოავლინ ხელი, თუთის ხესთან ტვინამღვრეუ-

ლი მიიჭრა და ქვევოდან შეათვალთვალა ლისკენ გადმოფაფრული ტოტები.

„მომხვედური ხარ და აქ ვარ მეც, დამხვედურის!“ — ქოქოთებდა გოგიას სულში ოდესდაც ჩამარხული შთამომავლობითი შურისგება, თითქოს ვალს იხდიდა კიდევ თავის ერთ დროს დიდი, მრავალრიცხოვანი საგვარეულოს წინაშე, ამდენ უთანასწორო, ვერაგულ ბრძოლებში თანდათან სისხლისგან რომ დაცილიყო და დაშრტობულიყო, და ახლაც, ან ახლა ყველაზე უფრო მეტად, ვიდრე სხვა, რომელიმე დროს, იმ ავებდობას როგორღაც ვადარჩენილი ეს ერთადერთი უქანასქნელი ოჯახი უუნწში გადაჩეხილი ყვაილივით სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა.

მაგრამ ასეთი ინსტინქტური ეჭვი თუ შურისხებთ აღზევება მალე სასაცილოდ იჩენა; ან იქნებ იმდენად სასაცილოდ არა, რამდენადაც დაახნია ახალმა, უჩვეულო შეგრძნებებმა და მოულოდნელად აღმოცენებულ ამდენ საჩოთირო გამოცანას სწორი პასუხი ვერ მოუძებნა, რა უნდოდა თუნდაც მომხვედურს თუთის ხეზე? სწორიღაც მომხვედური არ აძვრებოდა ხეზე და იქიდან არ დაიწყებდა თვალთვალს; მომხვედური უცაბედად მიეჭრებოდა ავი ქარივით და დაახლდა კიდევ მაშინვე ტუციას გულში, ან ზურგიდან ჩასცხებდა ორღესულს ისევე, როგორადაც სჩვეოდა ყველა მომხვედურს და ყველა დამპყრობსს!. თუთის ხეზე კაცი ამძვრალიყო და ეს კაცი, რა თქმა უნდა, არც ბედურა იყო, არც შაშვი და, ალბათ, არც მომხვედური. კაცი — კაცი იყო, რაღაცით ჩვეულებრივი, რაღაცით უჩვეულო, რაღაცით შინაური, რაღაცით უცხო. ასე აღიქვა გოგიამ სახლისკენ გადმოფაფრულ ტოტს ჩაფრთხილი კაცი, უყვე ნელა ნელა ძირს რომ ეშვებოდა.

— რომელი ხარ და რას აკეთებ მანდი! — მაინც მძვინვარედ ასახა უცებ გოგიამ, სახრის წვერი მიწაში ჩაარჭო.

— ვაჰ!... — წამოძახა კაცმა თითქოს თავისთვის. იმჩინოვდა, ასვლით ადვილად ასულიყო, ჩამოსვლა უჭირდა, წამიერად ძლივს ჩამოხედა აკვესებული თვლებით და ჩამოსძახა, — რომ ვთქვა, თუთას მივირთმევ-მეთქი, დამიჭერებ?

ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა გოგია, რომ არაფერი ეჩვენებოდა და ამ კაცსაც მომხვედურისა არაფერი ეცხო. უიარაღო მომხვედური ჭერ არ გაეგონა, თუმცა აქაურიც რომ არ ბრძანდებოდა, პირის გაღებისთანავე, „ვაჰ!“, რომ წამოძახა, მაშინვე მიხვდა, ეგ არის, საფიქრალი მაინც გაუჩნდა, ჩვენს ენაზე ისე გამართლად ლაპარაკობს, რაიმეში არ შევდევ და ტყუილად არ გამიხდეს სახრით ასაქრელებელი, — კიდევ ერთხელ შეათვალთვალა გულმოდგინედ ქვევოდან, მაგრამ გაწვრილებული ფეხებისა და უქანალის მებტი ვერაფერი დაინახა.



„გარმიანელია, ეს შობელმადლი“, — მიწარედ გამოსცრა კბილებში გოგამი. ბრძოლის უნი ჩაუტყარა და ამიტომაც შეაგინა გუნებმაში. სოფელს არ აქვდა საკუთარი თუ სხვა ქვეუნიდან ჩამოსული გარმიანელი, ძირითადად ვაჭარი და ხელოსანი. ზოგი სოფელზე გაივლ-გამოივლიდა, ზოგი, ადგილობრივი გარმიანელების ხელშეწყობით, სოფელში დარჩენაზე ფიქრობდა. კაცმა რომ თქვას, ვის რას უშლიდნენ, — ცხოვრობდნენ თავისთვის, შრომობდნენ, ვაჭრობდნენ და ხანდახან სოფლებსაც ხელს უმართავდნენ, მაგრამ ავი ხმები დადიოდა, სოფლებს გარმიანელები არ უყვართო და, გარმიანელებიც ცხარობდნენ, ჩვენ მოსულეები კი არა, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეები ვართ და თქვენზე მეტი უფლებები ამ მიწა-წყალზე ჩვენ გვეკუთვნისო. ზოგი გარმიანელი იმასაც ამბობდა, ეს ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები ჩვენი წინაპრის აგებულიაო და ახლა სოფლებში ედავებოდნენ, — რამის აგება რომ წეგლებობდათ, თქვენს ქვეყანაში ააგებდით, პატოსნად იბრძოდებოდათ, თუ დასახოციები იყავით, დახოცებოდით, თუ გადარჩებოდით, იქვე იცხოვრებდით და აქ აღარ ჩამოგვესახლებოდითო. და იყო ასე გაუთავებელი კამათი და დავა, შინაგანი მტრობა და შუღლი; გარეგნულად კი ყველა ცხოვრობდა თავისთვის, ყველა თავისი საქმეებით იყო გართული და ვაჭარი მაინც ვაჭრობდა — აგროვებდა ოქროს თუ ვერცხლს, ხელოსანი — ხელახსობდა, გლეხს მიწაში ჩაერგო თავი და ვაჟს უვლიდა და, თუ ვინმე ქურდი და ყაჩაღი იყო, არც ის იქდა გულხელდაქრევილი...

ამასობაში კაცი მეორე ტოტზე გადაფოფხდა და ნაწილობრივ თვალს მიეფარა. თუთის ზე ძირში შეტდა განიერი იყო, ორი კაცი ძლივს შემოაწვდნა ხელს.

ამასობაში გოგია სულ უფრო და უფრო ჩაცხრა, მოთმინების დაკარგვის ნაცვლად, გულგრილობამ დარია ხელი, თითქოს ისევ ახალ, ამოუსხნელ სენს ჰყავდა ხელჩავლებული და თავის ნებაზე ათამაშებდა.

კაცი შა-შა ჩამობრძანდებოდა, ალბათ, კიბით, თუთის ზეს მეორე მხრიდან რომ ჰქონდა მიდგმული.

ვიდაცამ ჩაახველა. თუთაზე მყოფმა კი არა, სხვამ. ისე ჩაახველა, თითქოს თქვა, მეც აქ გახლავარო და გოგამ კიბესთან მდგარ კიდევ ერთ კაცს ჰკიდა მუერა.

— შენცა?.. — მეტი ვერაფერი მოიფიქრა გოგამ, ერთი სიტყვაც ძლივს ამოსცხრა პირიდან. ამ კაცს იცნობდა, აჭაური იყო, ქვემოუბნელი, უთვისტომო და უძირშვილო, უწინარა და სმას გადაყოლილი. მაგრამ კაციშვილი ვერ იტყოდა სოფელში, ეს კაცი ქურდი, მამაძალი ან ბოროტაო. თავისთვის ცხოვრობდა და მართლობა ღივდა წუთისოფელს, არავინ ეკითხებოდა, რა გიჭირს, რა გილხინსო და თვითონაც არავის ახვედა თავზე თავის გულში დარდს; ერთ ჰქვას დალევდა თუ არა, სულ დიდინ-დიდინში გაჰყავდა მთელი დღე. ახლაც ჰქვამირთმეული გახლდათ, უშნოდ ჩამოქმენილი წვერით შემოსილი დანაოჭებული სახე თვალეზიანად უღიმოდა.

— აი, — თითი მიაშვირა მან თუთაზე ამძვრალს, მერე კიბეს წაავლო ორივე ხელი და დამაშავესავით თავი ჩაღუნა.

— ეს ვინდა? — ჰკითხა მაშინ გოგამ, როცა გარმიანელი კიბეზე ჩამოდიოდა. პირდაპირი მიაჩერდა ხან ეროს, ხან მეორეს და ვერაფრით მოუძებნა ახსნა, რა აკავშირებდა ამ ორ, სრულიად განსხვავებულ ადამიანს, რა-ცამ მოსულიყვნენ ერთად და რას ეძებდნენ დილაუთენია მაინცადამაინც სახლის სახურავზე.

— მოვიყვანე, — ამოისუნთქა ბოლოს კაცმა, კიბის დაქერისგან რომ გათავისუფლდა, — მეჩქარებო და... მოვიყვანე.

როგორც იქნა, გარმიანელიც ჩამოვიდა; ჩამოვიდა და, როგორც იქნა, გამოაჩინა თავისი ბრწყინვალეობა. მისმა გარეგნობამ გოგია ვერაფრით მოხიზლა, თუ პირიქით არ ითქმოდა, მაგრამ ამ კაცში იყო რაღაც, განსაკუთრებული და ამ ორისგან გამორჩეული; და ეს რაღაც, გარეგნობაში თუ არა, საკუთარი ღირსებების თვითდაქრებულობაში იყო ჩამრხული; თუმცა აღარც ჩამარხულად ჩაითვლებოდა, — გაღეულ, გრძელ სახეზე, ზედ მოკლე შუბლიდან ღამის ნიკაბამდე, ცხვირი თუთიყუშის ნიკარტივით რომ აქდა, დაკვეთებულ-დამბურღავ ქორივით თვალებში, კოტიკა თითქომიან ხელეზისა და დაგრეხილ-დაკვლანქული ფეხების მოძრაობაშიც კი, და, საერთოდ, ყველაფერში ჩანდა, რომ ამ გრუზაშიანმა მუგუშალივით შავმა კაცმა იცოდა, რისთვის არსებობდა ქვეყანაზე და რა ვალი ჰქონდა მოსახდელი თავისი ქვეყნისა და შოთამიანელობის წინაშე. მიწაზე დაადგა თუ არა ფეხი, ხელები დაიბერტყა, უცხოურ ყაიდაზე შეკერილი ტანსაცმელი შეისწორა, პიკაკის პატარა ტიხიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ჭერ შუბლი, მერე ცხვირი მოიწმინდა, ამასობაში გოგია ვითომ სხვათა შორის აათვლიერ-ჩათვალა, უცხად დღონჯმეზობრივი გაჩერდა და თვალის ჩუქურთმებით შემკულ სახლს დააბჯინა.

— ჩვენ ვაშენებთ, თქვენ ანგრევთ, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან მცირეოდენი დუმილის შემდეგ, თან ღრმად ამოისუნთქა, თითქოს უშველებელი ლოდი ეღო გაულზე. — სახურავსაც გამოცვლა სჭირდება. კაცი ჩაწნეილია, კრამიტი დამსხვრეული... — ჰქვამირთმეულს მიუტრიალდა, — ეს შვილია, არა?

— გოგია, — მაშინვე ღიმილით შეაგება სიტყვა ჰქვამირთმეულმა.

— ესე იგი, გიორგი, — სახელი გამოუცვალა გარმიანელმა, კვლავ სხვათა შორის ჩათვალა.

ლიერა გოგია და მზერა კვლავ სახლზე გადით-
ტანა, — გიორგი... ჩემი მამა-პაპა აშენებდა;
შენ — ანგრევ. ჰა, გიორგი, ასე შეიძლება?

— რაო?... — თვალები დააბრიალა გოგიაში,
შეშველ სხეულზე კუნთები თავისთავად აუთა-
მაშდა, მაგრამ გარმიანელს მისთვის არც შე-
უხედავს.

— როცა არაფერს აკეთებ, ანგრევ, — თქვა
მან თითქმის დანანებით, თითქოს გულის წუხი-
ლით, — არადა, შორიდან რა ლამაზი მოჩანს,
ზღაპრული გეგონება; ახლოდან შეხედავ და...
კავი ჩაწეწილია, კრამტი დამსხვრეულია...
ჰა, გიორგი...

— გოგია!... — მთელი თავით მაღალი იყო
და ზემოდან დაჰყვირა გოგიაში. ნელ-ნელა წო-
ნასწორობას კარგავდა, რაღაც აღიზიანებდა,
ყრუ არის, ალბათ, ჩემი ლაპარაკი არ ესმისო,
მაგრამ გარმიანელს ძალიან კარგად ესმოდა და
ნირშეუცვლელად განაგრძობდა:

— სიბნელებ, სიბნელებ... — ახლა თუთის
ხეს დააბჯინა მზერა, — ამას, ალბათ, მოვჭერი,
ცუდ ადგილზე დგას...

— ეეე! — გაბეცებული თვალეები გოგიაში
ახლა ჭიკამირთმეულს მიანათა, იქნებ ამან მა-
ინც თქვას რამეო.

ჭიკამირთმეული თავს აქნევდა მხოლოდ,
ილიმებოდა კვლავინდებურად და ჩამოძინძილ
წვერზე ხელს ისვამდა.

— თუმცა არა, არ მოვჭერი, იდგეს, —
რატომღაც დათმობაზე წავიდა გარმიანელი,
თუთის ხესთან მივიდა და კოტიტა თითებიანი
ხელეები შემოშხვია, კენწეროსკენ ახედა, — არ
ეჩნევა, რამ ჩემი მამა-პაპის დარგულია?!. ჰა,
გიორგი...

— გოგია!... — კი არ იყვირა, იღრიალა
გოგიაში, მეორე ხელიც მოავლო სახრეს. სწო-
რედ ამ დროს გოგიასთან ჭიკამირთმეული მი-
ვიდა და გვერდით დაუდგა. ვინ არ იცოდა ძმე-
ბის ამბავი: საქმე საქმეზე არ მისულეყო, თო-
რემ მთელ გარმიანელთა უბანს მარტო ორნი
დარიტკავდნენ. ჯერ არა მარტო გარმიანელთა
უბანს, — მათი მომრევი და დამბრეყებელი
არავინ იყო სოფელში, შეაკვებოლდნენ და
თავს ტყუილბრალად არავის დააჩაგვრინებდ-
ნენ. ეს, რა თქმა უნდა, ჭიკამირთმეულმა იცო-
და, და თუმცა ისიც იცოდა, გოგიას შემკავე-
ბელი არ იყო, მაინც ამოუდგა გვერდით.

გოგიას უცბად შეეცვალა ხასიათი, სახეზე
ბრანზარეუბა, მაგრამ მაინც ღიმილიმა გადაჰქრა,
ესენი ან გიუტები არიან, ან გიუტებს ბაძავენო.

გარმიანელი თუთის ხეს მოსცილდა და,
როგორც იქნა, მზერა გოგიასაც აღირსა.

— შენ თუ გული გწყუდება, დარჩი, — კუნ-
თებდაბერილ მკლავზე გაეთამაშა, — ვაჟაკი
ასეთი უნდა იყოს, აბა!.. — თან გალულღო
მხრები შეარხია, წელში გაიჭვინტა, თითქოს ხაზი
გაუსვა; შენზე მტეი თუ არა, ნაკლები არ გეგო-

ნო. მერე ისევ საქმიანი იერი დაიბრუნა და
დაბრძენებული კაცის კვალობაზე ნაწყვეტი
ნაწყვეტ განაგრძო: — ეზოს წინ მშვენიერ
მინდორია, პატარა მინდორი, მაგრამ მარტოხე-
ლა კაცისთვის პირდაპირ მისწრებაა! ფულს
გასესხებ, ერთ ოთახს ჩაიდგამ, მეტი რა გინდა
სხვა რომ არაფერი, ვიღაცამ მიწაც ხომ უნდა
დაამუშაოს და მტერიც მოიგერიოს, არა? ქვე-
ყანაზე ამდენი ქურდი და მამაძალი დწან-
წალებს, ჰა?... —

— ყაჩაღიცი! — სწრაფად მიაწოდა სიტყვა
ჭიკამირთმეულმა, გიორგი არ უთხრას და გო-
გია ისევ არ გაამხეცოსო. მაგრამ გარმიანელს
ეს ამბავი, ეტყობოდა, ნაკლებ აღუვლებდა.

— სად ყაჩაღი და სად ქურდი! — დღად
შეიცხადა, — ყაჩაღი ვაჟაკია, ქურდი — მაწან-
წალა; ყაჩაღს მოქრთამავ, დაიმეგობრებ. ქურ-
დი მაღლით მოვა და რაც ვაქვს, სულ წაი-
დებს. მერე დღეს გაიგებ, ვინ ქურდი, ვინ
პატოხანი?... მე რომ ვნახე, თქვენს სოფელში
ხელის გატოკვა არავის უნდა, ქეიფი და დრო-
სტარება, იცოცხლით... — ჭიკამირთმეულს წა-
მით გადახედა და თვალი კვლავ ჩუქურთმებით
შემკეულ სახლს დააბჯინა. — შორიდან შეხედავ,
ზღაპრული გეგონება, ახლოს მოხვალ და... ჰა.
გიორგი, ასე შეიძლება?

— გოგია! — კვლავ სწრაფად მიაწოდა სიტყ-
ვა ჭიკამირთმეულმა გარმიანელს და მაშინვე
მოწყალების თვალეები გოგიას შეანათა, თითქოს
შესთხოვა, მაგას კი არა, მე მამაბებიო.

— იყოს, გოგია, — სახლის ცქერაში იყო
გართული გარმიანელი. — არც გოგიაა ცუდი
სახელი, იყოს... მაგრამ ჩემი მამა-პაპის აშენე-
ბულს რომ ანგრევ, ეს კი არ ვარგა.

უცბად მოსცილდა მოსაუბრებებს, ჭკითარის
კედელთან მივიდა, ერთ ადგილას ისედაც გად-
მოსავარდნად შემზადებულ, მორყულ ქვას
ფეხი წარბტვა, ძირს გადმოაგდო და გამო-
ძახა:

— ნახე, მალე სულ დაინგრევა!
გოგია გაშრა, გახვედა. აღარ იყო ამაყი და
ზვიადი. უფრო საცოდავს და ბეჩავს დაემსგავ-
სა, ვიღაცის სამადლოდ რომ უტეხობრია ქვეყნად
და თურმე არც უტეხობრია.

„მალე დაინგრევა...“ — გუნებაში გაიმეორა,
თითქოს ქვესკნელიდან ამომსკდარიყოს ეს სა-
შინელი სიტყვები.

„რატომ დაინგრევა?...“
„მერედა, ვისი სახლი დაინგრევა?...“

ასეთი რამ აზრალაც არასდროს მოსვლია,
ახლა კი, ამ დღიათენია მოსულიყო ვიღაც
გარმიანელი და ყველაფერს უნგრევდა. კედლი-
დან ქვის გამოგდება როდღე აქმარა, — აივანს
შეუყუდებულ ბოძს მიაღო ყური, მოუსმინე, მატ-
ლად და მკილი შეხეცია ხეს, მალე ყველაფერს
დაფუცვლია, კიბეს დაუწყრა რყევა, შეხედა, მალე
ყველაფერი ჩამოიქცევა და მტვრად იქცევაო...



და იღგა გოგია სარგადაულაპულივით წელში გაჯგომულ-გაზნექილი, ცალ ხელში ძროხის საშუსოდ გამოთლილი სახრე ეჭირა. მეორე უღონოდ ჩამოეშვა ძირს და აღარ უქვირდა, რატომ ეწვოდა მეტადი, მუცელი, მკლავები... რატომ უჭერდა უღელში რაღაც და გულიც რატომ ლამობდა საგულედან ამოვარდნას. თითქოს ყვირილი უღლოდა, ბღავილი უღლოდა, ვერ კი ყვიროდა და ბღაოდა. აღარც იქ იყო, რომელიღაც ქვეყანაში, გაუგებარსა და ამოყვანულში, მტანჯველსა და მწამებელში... — აქ იყო, საკუთარ სოფელში, საკუთარ სახლ-კარში და არც საკუთარში ყოფილა თურმე. ბევრი ეკრავებოდა გაარკვია, რას ეღავებოდა გრუწათიანია, მუგუწალივით შავი გარმიანელი, მაგრამ, რამდენადაც შეიძლებოდა იქიდან აზრს გამოტანა და, რამდენადაც ჩასწვდა იმ აზრს გოგიას დაბინდული გონება, თურმე ვიღაცის მიწა-წყალზე, ვიღაცის აგებულ-აშენებულში უცხოვრია მის საგვარეულოს აქამდე, ვიღაცის დარგული თუთის ხის ნაყოფით იტკბარუნებდნენ პირს, ვიღაცისთვის ეწირებოდნენ მომხედურს და ახლა, როცა განთიადი მთელი ბრწყინვალეობით შემოდინდა სოფელში და მალე მზეც ამოვიდოდა, ამოანათებდა, მოსულიყო კი ვიღაც, ვიღაც კი არა — ნამდვილი ბატონ-პატრონი და ავებლობას ძლივს გადაჩენილ, ბედისგან თუ ღმერთისგან ისედაც გაწირულ რკახს ცხსა და მიწის ანაბარად სტოვებდა.

„მოვკლავ, ამ შობელქადალს...“ — უცბად ამოხეთქა ზაფარამორტულ გულ-გვაშიდან საშინელმა აზრმა გოგიას, უკვე მეტი აღარ შეეძლო ამ ვიღაც გარმიანელის თუ ნამდვილი ბატონ-პატრონის ლაპარაკის მოსმენა და მისი მახინჯი სხეულის ცქერა.

ნამდვილი ვაჭარია, ეს ღმერთგამწყურალი, — უკვე ჭიკამირთმეულოც არ იყო ღრეჩის ხალიათზე, ბარჯნარევად თქვა სწორედ იმ დროს. თითქოს ნაწობდა, გარმიანელთან ერთად რომ მოსულიყო და ამ სურათის მწიწე გამხდარიყო. მერე დაამატა:

— მაგრამ სად იპოვი უკეთესს?... — დედაშენმა იქნებ ვინმე მომიძებნოს და აგერა, — ამოიოხრა. — მოვიყვანე.

— დედაჩემმა?!. — ხმა აუკანკალდა გოგიას. სხეულიც აუთრთოლდა და მოშავო-მომწარრო რაღაც სითხემ უფლი აუნჯა. „რატომ?...“ „რისთვის?...“ — პასუხი ჯერ არ ჰქონდა. ამიტომ

— დედაჩემმა?!.
ჭიკამირთმეულს სევდა შეტპარვოდა თვალბეში. გაკვირება შეემჩნა. საცოდავად დაემანჯა ისედაც დანაოკებულ-დამანჯული, ჩამოძონძილი წვეთი შემოსილი სახე და ხმადაბლა ჰქითხა:

— რა, არაფერი იცი?

გოგია მხოლოდ ღრმად და არათანაბრად სუნთქავდა პირდაბჩენილი, თვალებს აბრიალებდა.

— მე ამ საქმეში პატარა კაცი ვარ, — თავის მართლებით განაგრძო ჭიკამირთმეულმა დინჯად. მაგრამ შინაგანი ლეღვით, — დედაშენმაც რა ქნას, გოგიავე, სხვა რა შეძლება და საშუალება აქ... სოფელში რო ექიმი ჩამოვიდა, იმას უთქვამს, ე მაგ მისან-მკითხავსა თავი დაანებეთ, გატყუებთ, ბიჭსა დიდ ქალაქში თუ წაიყვანთ, დიდი დრო დასჭირდება: იქნება ერთი წელი, იქნება ორი, ან იქნება მეტიცაო, მაგრამა შეიძლება მოჩჩესო. მაშა, ეგერა საქმე.

უკვე ცხელოდა. ჯერ მზეს არ ამოეყო თავი გოროვ მთებს შორის, მაგრამ უკვე სუნთქვა ჭირდა. ან გოგიას ეჩვენებოდა, რომ ცხელოდა, რადგან სუნთქვა უჭირდა. სხვა უარესი განცდა არ არსებობდა, — ძრწოლამყურული სხეული და მშობლიურის სიყვარულით ახლახანს შეძრული სული ერთდროულად სტოვოდა და ეს ტპივილი გულისწილვას იწვევდა.

„ეგერა საქმე...“, როგორც იქნა გაიგო, რომ „ეგერა საქმე“. თურმე რა მარტივად და უბრალოდ: „შეიძლება მოჩჩესო“, არც მეტი და არც ნაკლები. მაგრამ ვინ იყო ავადმყოფი, უფროსი ძმა?.. თუ გოგია?

ო, ღმერთო, რა შეუცნობია შენი კანონები. უფროსი ძმა თურმე სიკვდილისგან ხსნას ეძებდა, გოგია — სიკვდილს...

თავი გააქნია. თითქოს ახლა მიხვდა, გონებას უცხო სენის ბორკილები რომ ედო და გათავისუფლება მოინდომა. ჭერჭერობით, ამაოვ; ვის დაუნახავს მომავლის ბურუსს მიღმა სიკვდილი იმალება თუ სიკვდილისგან ხსნის გზა. მიძინებულნი დრო იღუშალია: შეუწუნებლად გაიხლოვდება თითქოს და იმავე დროით შეუწუნებლადვე გცილდება. გოგიამ მხოლოდ უფროსი ძმის ჩამოსანთული სახე დაიანხა, უშველებლად ბალიშზე დასვენებულს ხელში დათვზე სანადიროდ დატენილი ვაჯნა რომ ეჭირა.

„რატომ?...“ — გონება ბორკილებს ვერ იხსნიდა, შეწუხებული კითხულობდა და თვითონვე პასუხობდა:

„აა, ინება აქვეუნი გამგებელმა: ასახდენი უნდა ახდეს. აი, რატომ...“

— რა?!. — წამოიძახა ხმამაღლა გოგიამ და საყულოში სევდა ჭიკამირთმეულს, თითქოს იგი ყოფილიყოს უღვთო განაჩენის გამოძინი, მძლავრად მოწიდა თავისკენ, მაგრამ მალე შეეშვა. კარგად არც შეუხებდაც კაცის შემინებული თვალბეისთვის, ისე უყან მიავლენა სახლსიკვდელ შერღულივით გავარდა.

ნეტავ ისევ ძინოთო, მხოლოდ ეს ინატრა, მაგრამ დაიგვიანა, მამისეულ ოთახის კართან



ქვადქცული შედგა. ფანჯრის რაფაზე ვაზნა აღარ იდო. ძმას ეღვიძა. დედაც ამდგარყო. ალბათ, გარმინანელის ხმამაღლა, ენერგიულმა ღლაპარაკმა და კიბის რუყვამ გამოიყვანა ბურანიდან. ვაკრთ გამოსვლამდე შევლიხითინ მოვივლო და ახლა იატაკს წმენდა.

„დაგიგვიანრ...“ — გადაწურა ყველა იმიდი ბიჭმა, ტყუილად არ უტყვევას გარმინანელს, მალე ყველაფერი დაინგრევია... ხელეზნამოცვენილი გამოტრიალდა სწორედ მაშინ, როცა ძმამ გამოხედა სიცოცხლის წყურვილით ადვსილი თვალებით. თითქოს უთხრა კიდევ, შენი მოტრიალნი ვაზნა მე ავიდე, მაგრამ თავს არ მოვიკლავო. ან ის უთხრა, შენ ძმა კი არა, ძმის მკვლეელი ხარო, ან ერთიც უთხრა და მეორეც ოთახში აღარ შეიხვედებოდა და ხელეზნამოცვენილიც იმიტომ გამოტრიალდა. სახრე გაათრია იატაკზე, ისე გასცილდა მამისეულ ოთახს, არ იცოდა, სად მიდიოდა, რატომ მიდიოდა, ან რამდენ ხანს ივლიდა ასე, როგორი ბედნიერი იყო თვის ხალხი, რადგან იცოდნენ რა სურდათ, რისთვის ცოცხლობდნენ და რა ვალი ჰქონდათ მოსახდელი თავის ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე. და რა უბედური იყო თვითონ, რომ ერთხელ აეხილა თვალები და მაშინვე ნგრევა იწყო ყველაფერმა. რატომ?... იმიტომ, რომ ასახდენი უნდა ახდეს?..

კიბის ბოლო საფეხურზე იდგა. მრისხანედ, დაუნდობლად, მთელი ძალით დაიქნია ხელი, თითქოს დაგუბებულ ბოდმასაც გაუსხნა გზა.

— თუ ასეა, ახდეს! — შეჰყვირა არადაღამიანურად.

მთელი ძალით დაქნეული სახრე გარმინანელის ზურგზე გაუსუუნდა. სწორედ ამ დროს დედა გამოვიდა აივანზე.

— ვამეცე!.. — კიბისთან მუხლებზე დაეცა. ჩაიკეცა გარმინანელი კენხით. რადაც სიტყვაც ამოთქვა თავის ენაზე, ყველა გაპირვებულის მსგავსად, ალბათ, მშობელ დედას მოუხმო საშველად.

— ღვთის ცეცხლი... — კბილების კრაჭუნით მიაკოლა გოგამი, კვლავ შემართა ხელი დასაქნევად და დასუქვავა, — შენი მამა-პაპის აშენებულს ვანგრევ, არა?

— გოგია... — კვილით მოაძახა დედამ აივნიდან. — რა შერები, ბიჭო! — ხმა შეუსუსტდა ქალს, ალბათ, შიშით, ახლა მეორე შვილი არ გამიუბედურდეს, რაიმე ცოდვა არ დაიდოსო.

— მოკვლავ, ამ!.. — გასტარა დედის შეკვივლებამ, სიტყვაც გაეჩხრა ყელში გოგას და აწვეული ხელიც გაერწო გაუშეშდა. მხოლოდ წიხლი მაინც დააწილა დაკვლანქულ ფეხებში მიწაზე მოფართხალე გარმინანელს დუდუნით, ყელს მოხეჩენილი ბოლოით, საყუთარი თავის უმწეობით, მაშ, შენი მამა-პაპის აშენებულს ვანგრევო? — გაუმეორა.

ვაშ-მეო, ზუსტად ისევე ამოიკენსა გარმინანელმა, ზუსტად ასევე მოუხმო საშველად თავის მშობლიურ ენაზე, ალბათ, მშობელ დედას, მხოლოდ უფრო ხმადაბლა, მაგრამ უფრო განწირულად, უფრო მეტად კი შიშით; ანა, მეორედის ვთქვი მასე, ანა, როდისო, რადგან არ უღირდა სინდის-ნამუსი, თავმოყვარეობა, ვაჟკაცობა, ურცხვად მიჰქონდა უკან თავისივე ნათქვამი და ახლა იმის ცდაში იყო, როგორმე ეხსნა გრუსეთშიანი მუფუზალივით შავი თავი სახრის ხელმანალი დარტყმისაგან, ცალ ხელს იფარებდა ზედ, მეორეს გამწარებთ ისევმდა ზურგზე, ვერც ისევმდა, ხობილი-ხობილით უკან-უკან მიიწვდა, თან გველივით იკლანებოდა. ჭიკშირთმეული კი იმავე ადგილას იდგა შემეცარა, შეუწებებული, გაბზარ მხრეანი ჩივრგო თავი, ახლა უკან თითქოს კუნთის ჰგავდა და არავითარ სურვილს არ აშედავებდა, მიხმარებოდა გარმინანელს, ფეხზე მაინც წამოეყენებინა, თუმც ვერც წასვლა გადაეწვევებოდა მისი მოყვანილი იყო და დატოვება არ შეეძლო.

მხოლოდ დედამ შემოიკრა ქალღირთ მოსილი თავზე ორივე ხელი, ნაჯაფარ-გაწამებული ცხოვრებით მოღლილ-მოქანცულ ქალს ძალა არ იყო, ჩივრბინა კიბე, ხელი ეტაცა სახრეზე, ან გადალობებოდა წინ გონდაკარგულ შვილს, ამიტომაც მიაწყველა, მოუკვიდა დედაშენს, მტერ-მოკვარე რომ ვერ გაგვირგვიო და იქვე, კიბის ზედა საფეხურზე მუხლმოკვეთილი ჩაჯდა და კვლავ შემოიღო თავზე ორივე ხელი.

გოგამ მხოლოდ წამიერად შეავლო თვალი დედას, მხოლოდ წამიერად გააპარა მხერა მისკენ და ის აღმოჩნდა საკმარისი, რომ ეგრძნო, თუბრე როგორი საყვარელი, უფრო სწორად — უსყვარლესი არსება ყოფილა ეს ნატარა, ჩივა, სუსტი აგებულების ქალი მთელს დუნიაზე. სწორედ ამ ქალმა აჩუქა ცაც და მიწაც, გორკოვად წამომართული მთებიც და ტაფობად დაცემული ველიც, ჩუქურთმებით შემკული სახლიც და კონინდართ მოფარდაგებული ეზო-ყურტიც. აჩუქა სიხარული და მწუხარება, აჩუქა სიყვარული... ბავშვობაში მისგან წყველის მეტო რა მოუსმენია! წყველა იყო ლოცვა და არც წყენია არასდროს, მაგრამ ახლა, როცა ასეთი უმწეო იყო იგი, რა მწარე აღმოჩნდა ეს ორად-ორი სიტყვა, მოუკვიდა დედაშენსო. დანარჩენს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ეგ კიდევ საკითხავია, ვინ მტერია, ვინ მოყვარეო, მაინც გაბეჭქრა გუნებაში, მაგრამ დედა, ალბათ, იმაზე უფრო სწყველიდა, ძმისთვის ოთფის დატენილი ვაზნა რამ მიგატანინაო, არ კი ამბობდა ხმამაღლა, სხვების გასაგებად და ამით იყო მწარე ეს ორად ორი სიტყვა, ამიტომ მიავლო სახრე გოგამი, უპ შენიო, შეუბღვირა მიწაზე მოფართხალე გარმინანელს და თვალზე ცრე-



მღმორეული ისე სწრაფად გაერიადა ევოს, კიპაშირთმელისთვის არც შეუხედავს.

მზე ამოდიოდა...

სიცოცხლის მომცემი დიდი ჰელიოსი მთელი ბრწყინვალეობით, მთელი დაუნდობლობით გადაბრუნების მუქარით გამოცურდა დედამიწაზე უძირკე ქვაბივით თავდამხობილ ცის კიდეზე.

„წავალ!“ — უპირველესად შეუცნობლად და გაუაზრებლად, ეს ამოსვლა სხვაზე, თუ საკუთარ უმწეობაზე ამხედრებულ ნედლ გონებას.

„სულ წავალ... საერთოდ წავალ...“ — შეუბრალებლად დედუნებად მდულარეგადასხმული სულხორცეულად შეძრული,

და ისიც მიდიოდა...

შეუწებლად მიაბიჭებდა; მიაბიჭებდა უკან მოუღებდავად და სულის შემტრფილთან ერთად ამ სვლაში იყო რაღაც დამამშვიდებელიც, სად მიდიოდა, არ იცოდა, საით მიდიოდა ან რამდენ ხანს ივლიდა უმიზნოდ და უმომავლოდ ასე წელზემთ შიშველი და ფეხშეშველი, ცარიელი შარვლის ამარა, უშეშველი და უსმელი, რა თქმა უნდა, ჭერ არც ეს იცოდა, მაგრამ გაქცევაში ჩანდა თითქოს თავის ხსნა, ერთგვარი შევება და გოგიაც შეუწებლად გარბოდა, ახალ გაუგებრობაში მისწრაფოდა უკან მოუხედავად. სამშობლოწართმეული, დამარცხებული და იპარაღაყრილი, ან იქნებ ლაჩარი, ბრძოლის ველს გაქცეული მეომარივით მიჰყვებოდა ასე თავის-თავად, ინსტინქტურად აღებულ გეზს და რატომღაც არ უკვირდა, მოუღუნავ-მოუღრტეკლ უმანჯილკაცობას რომ ვერ სჯახნიდა ამ დილა-უთენია ცხოვრებაში, ალბათ, პირველად ახლებურად განცდილ-ალქმული მშვენიერებისადმი ტრფობა და მშობლიურის სიყვარული. ეს მერე შეიძენო, როცა ევოს ერთი ნაბიჯით გასცდა და სოფლის საურმე გზაზე აღმოჩნდა; მერე ნივთა, როგორ ეზრდებოდა დარჩენის სურვილი და რა საზინლად უშემიმა უოველი გადადგმული ნაბიჯი, საკუთარ სახლ-კარს, ეწო-ვეურეს შეუწებლად რომ ამორებდა. სწორედ მაშინ გულის სიღრმეში ინატრა კიდევ, ნეტავ დედა დამაძახებდეს, გოგია, მობრუნდიო, გოგია, სად მიდიხარო, გოგია, ნუ გვტოვებო... მაგრამ გოგიას უურს მხოლოდ გარმანედილი გაგებული წუწუნ-ბურღდენი სწვდებოდა, ალბათ, თავის მშობლიურ ენაზე თუ აგინებდა, ან ეშუქრებოდა, სახრის დარტყმას არ შეგარ-ტნიო; დედა კი ხმას არ იღებდა, არ ეძახდა, შეილო, მობრუნდიო, ამიტომ შეილასაც არ შეეძლო უკან მიხედვაც კი და ამიტომ მიდიოდა შეუწებლად, საკუთარ თავზე თუ ქვეყანაზე ამხედრებული. ნეტავ დედაჩემის თვალწინ უცაბედად მოკვდეთო, ახლა ეს ინატრა და...

როგორ არ ახლდა ამ ნატვრას შიში..

თურმე როგორ ჰკლდებია სიყვარული. მერე-და, რას წარმოადგენდა უსიყვარულოდ? —

ალბათ, გამხმარ ფოთოლს, რომელიც მშობელ დედას — ხეს სწვდება, და მიწაზე ვარდებდა.

მაგრამ, განა უველა ფოთოლი არ სწვდება ხეს?..

მხოლოდ შემოდგომაზე უხდება ხეს ფოთოლცვენა. ახლა კი, ამ შუა ზაფხულს, გულსაკლავად გამოიყურებოდნენ გზაზე მიმოფანტული ფოთლებიც, ნადარევად ფოთოლგაცვენილი ხეებიც.

გოგია ხეებზე არ ფიქრობდა...

გოგიას ფეხები სტკიოდა, შიშველ ფეხისგულელებში წვეტიანი ქვები ერქობოდა. გზაზე ბევრი ეყარა ასეთი წვეტიანი ქვა, ამიტომ ფოთლებზე ამჯობინებდა ფეხის დაბიჭებას. ზოგჯერ თავს ასწვებდა, გახედავდა ცას და შიგ თვალბეში-მიფრქვეოდა ცის კიდედან გამოტოროცნილი დიდი ჰელიოსის დამამხრავებელი სხივები. სიცოცხლის მომცემს, თავისი ბრწყინვალეობის მიუხედავად, დილაადრიაანადვე ემჩნეოდა, რომ დღესაც მიწა დუღილს დაიწვებდა, პირი — შედეგებას.

მაგრამ გოგიას არც ჰელიოსის მწველი სხივები აფიქრებდა. არავის არ ვუყვარვარო, ეს აზრი აწუხებდა და ტკივილზე ტკივილი ემატებოდა; ან ეს იყო უველა ტკივილის სათავე.

ამ ტკივილებით მიაბიჭებდა, უახლოვდებოდა ხეებს, რომლის გაღმა გზა სამად იყოფოდა: ერთი — შუაგულ სოფლისაკენ, მეორე თვისკენ, მესამე — ტაფობად დაცემული ვედისაკენ. ეს გზა კი, ხეისაკენ რომ მიჰყავდა მგზავრი, ოდნავ დამრეცი იყო, ქვა-ღორღით მოხრეშილი და ხეებს ნადარევად გაცვენილი ფოთლებით მოფენილი.

ქვევიდან დედაბერი მოფარუნობდა. ჭოხზე დაყრდნობილი მოდიოდა მძიმედ, აუჩქარებლად. ან აჩქარება სად შეეძლო, ჭერ ასწვებდა ჭოხს, გადაიბანდა წინ, მყარად დააყრდნობდა მიწას, თავდაც დაცეზრდნობოდა ზედ და მერე გადადგამდა ნაბიჯს. ბებერი იყო. უჭირდა. გრძელკაბას მათორევდა მიწაზე, მტვერთან ერთად მოხეტიავდა გამხმარ ფოთლებს და ფოთლების ფერსვე შერწყმოდა. სახეს თავზე გადადებულ მხიარული ფერის ჭრელი ხილაბანი უფარავდა. წელშიც მიღუნებული იყო.

გოგია ამ ჩაუარა, არ შეუხედავს, თითქოს არც შეუღმჩნევა.

— გოგია, შეილო, — ავადმყოფური, მიღლეული ხმით დედაქმნა დედაბერი. ლაპარაკიც უჭირდა.

გოგიას წვეტიანი ქვა შერქო ფეხში. უნებურად მაშინვე შედგა, შეტრიალდა. მის წინ მისან-მათხავი იდგა, თავისუფალ ხელში შუშის პატარა ბილით სამი სუფრის კოვჩისიღვენა მოთეთრო ფერის წამალი ეჭირა.

ბაბაი ჯორჯბაძე
„მშენი მუსხასი“

— რა არ მოხვედია... — შვიდად დაიწყო დედაბერმა, მაგრამ თითქოს რაღაცამ შეაერთო, მთელი ტანით შექანდა და დადუმდა. არც გოგამ აცალა რაიმის თქმა, უცბად მიუჭრა და ბოლოი ხელიდან გამოხტა.

— რა არის ეს? — ქვედა ტუჩი უთრთოდა ისე ჰკითხა.

მისან-მკითხავი კვლავ შეკრთა. ჯოხს ახლა ნეორე ხელითაც დაეურდნო, მერე თვალები მოუსაწყლდა და ამოოხვრინი უთხრა:

— რა და... იმედო.

— რაა?... — მთლად აიშლრა გოგია. ქვედა ტუჩი უარესად აუთრთოლდა. პატარა ბოთლი მუტკში „გაწურა“.

— რაც ეხლა, გოგიავ, შენცა გარგებს, — თავის კანტურით განაგრძო მისან-მკითხავმა, — გამჩნევ, წყუელი ჩაგბუდებია გულ-ფიძელში და მაურნალობა გპირდება. დაბრუნდი შინ, შეგილოცავ.

— შენ შენს თავს შეულოცე! — თვალებიდან ცეცხლები მიაფრქვია ბიჭმა, იმავე წამს დაიქნია ხელი, ბოთლი ქვებზე დაფუვნა, მაშინვე შებრუნდა და გზა გასაგრძო.

დედაბერმა უფრო უმატა თავის კანტურს. უგუნურყო, მიაძახა, ერთი დღის სიცოცხლისათვის ხელმწიფებს ძაღლის ლეკვი ცოცხლად შეუტამია, მე კიდევ, აი, ამ წამით მთელი ერთი წელი ვიხსენი სიკვდილისგან შენი ძროხაც და შენი ძმაც, რძეს კი ობლებს ვაძლევ, თან ვეუბნები, გოგია ამოგიგზავნათ-მეთქი. ხოლო, როცა გოგია ხვეს გასცდა, შეჩერდა და გაიხედ-გამოიხედა, ამჭერად უფრო შემფოთებით, ვიდრე წურომით, გასძახა:

— ველისკენ ნუ წახვალ, გოგია, ავსა რასმეს გადაუტრები!.. არ გესმის, ბიჭო?..

გოგია გაიგო, მაგრამ არც უკან მიიხედა, არც პასუხი დაუბრუნა. გადაეყრები და გადაეყარო, თავისთვის ჩაიდუღუნა და, თუმცა ტუჩსკენ აპირებდა წასვლას, უცბად შეცვალა გადაწყვეტილება და გეზი პირდაპირ ტავობად დაცემული ველისკენ აიღო. უკვე თითქოს სახლისკენ აღარაფერი ექაჩებოდა. თურმე მისან-მკითხავიც ალაღ-მართალი გამოიყურებოდა თავისი ღმერთის წინაშე. გოგია ყოფილა ერთი, ვინაც საკუთარ ძმას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ასეთი ძმა ახიც იყო, ავს რასმეს გადაეყრდა.

მაგრამ ყველაზე სწრაფ მდინარესაც კი, თავის მშფოთვარე გზაზე ერთხელ მაინც უწევს დამოსვრება, ჩაწყნარება და ჩაჩქვრება.

„ახლად მივდივარ?...“ — ბოლოს და ბოლოს ჰკითხა გოგია თავის თავს, — „მერე, ასე?...“ — მტკერში ამოგანგლულ, ქვებზე სიარულით დაქვავილ შიშველ ფეხებს დახედა, ოფლში გაწურულ-გაღინთული სხეული შეითვალეირა. ტუჩს კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. უარსად დააცეცა თვალები.

სოფელს საკმაო მანძილით დასცილებულა ალბათ, მთელი საათი თუ იარა. ამასობაში მისი ამოწვერილი და გემრიელი თონე დაეწყო, ცეცხლი ეკიდა ყველაფერს. სიგიჟეზე მტერიყო სულისამოხდელ პაპანაქებაში უაჭრო ხეტიალი. ჩრდილში ჯდომაც გაუჭირდებოდა კაცს, ნიავი არსიანად ქრდა, ერთი ფოთოლიც არ ირხეოდა, ბუნება გაყურსულიყო სივხის მომქანცველ ამბურში და თითქოს აღარც სუნ-თქავდა, მოდამწვრო-მომლაშო ჰაერი მიმეღო ლოდით დასწლოდა ცოცხელ დედამიწას.

ცოტა კიდევ იარა, მერე აითრია ფეხი და ბოლოს გაჩერდა. ბექობზე იდგა. დაბლა მდინარე მიედინებოდა. არ ფიქრობდა, რომ შეიძლება ბოდა ბექობი ჩანგრეთულიყო და მდინარეში ჩაგარდნილიყო. აქი თავის ფეხით მოვიდა აქ. არა, რაღაც ძალამ მოიყვანა, მაგრამ მაინც თავისი ფეხით მოვიდა... ბექობზე იდგა ფეხმოუცვლელად. სტკიოდა, გული სტკიოდა და იმდენად დიდი იყო ეს ტკივილი, ახლა მხოლოდ გათავისუფლება სურდა, მტერი არაფერი. ამჭერად თითქოს აღარც უშრდა, აღარც უყვარდა, თითქოს აღარც გზის განგრძობა სურდა, მაგრამ შინ მიბრუნებაც არ შეეძლო. არაფერი არ შეეძლო და მაინც გათავისუფლება სურდა.

და უნდა გათავისუფლებულიყო: სხეული ვერ უძლებს დიდხანს დამძიმებული, დასაფრულ-დათრგუნული სულის ტარებას. რა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ. უკვე აქ იყო, ასახდენი ხდებოდა. იმის გააჭრებაც გვიანი აღმოჩნდა, იქნებ სჯობდა მისან-მკითხვისათვის ჯობი არ გამეწია და აქამამდე რომელი გზითაც დავდროდი, იმავე გზას დავაგომოდი. უეცრად ბექობი ჩაინგრა, ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და უცაბედად მდინარეში დგაფანი მოადინა.

არა, გოგიას არც წყალში ჩაგარდნა სურდა. ყველაფერი თავისთავად, მისდა უნებურად მოხდა; მოხდა წარმოუდგენელი, თავზარდამცემი რამ. მაგრამ სწორედ ეს მოულოდნელი შემთხვევა აღმოჩნდა საკმარისი, რომ ყველა ტკივილი უცაბედად დავიწყებას მოსცემოდა. სამაგიეროდ, როგორც ბავშვობაში, ახლაც საშინლად გადაუქანდა გული, მიშველეთო წამოიძახა და სასწრაფოვეთი აფარდახლდა. გოგიას არც ახლა სურდა სიკვდილი, არა და არა!.. და აი, სასწაული: ფეხებმა საყრდენი მოძებნეს, მაშინვე აწიდა მთელი ტანი გოგია და უცბად წყლის ნაცვლად, ფილტვებს ჰაერი მოხვდა, ჩაისუნთქა!..

მერე იდგა და წყალს დასცილდა, მკერდამდეც რომ ძლივს სწვდებოდა. რა იყო აქ საშიში? — არაფერი! მო, არაფერი. წყალი მიედინებოდა თავისთავის, გოგია კი იდგა მუარად და ოდნავადაც არ გრძობდა თავს შერცხვნილად. პირიქით, მას ბავშვით უხაროდა. უცბად მძლავრად დასცხო მოლოდინე წყალს, დაუშინა მუხტები და შეხევილი აადინა. წყალმა ნელ-



ნელა ჩამოაცალა მტვერი, ჩამოურტყვა ოფლი; სხეულმა თითქოს შვება იგრძნო, საგრძნობლად შემსუბუქდა და სუნთქვაც საოცრად გაიოლდა. თითქოს აღარც ეწვოდა მუცელი, მკერდი, მკლავები... უელში აღარ აწვებოდა მომწარო-მომწვეო რაღაც სითხე და გულის ზიდვის შეგრძნება სადღაც გამჭრალყო. დარჩენილიყო ნხოლოდ წმინდა წყალი და გოგიაც თითქოს გაწმენდილი ენდილი იდგა ამ წყალში, უფრო სწორად, წყალზე, ამაღლებული იდგა, ზემოდან დასცქეროდა და ბავშვივით უნარბოდა... ჭრე ვაზლად გაკლიაო, ტყუილად როდ უთქვამს თვალმარგალიტას, მკლებია და თანაც რამდენი! მაშინ იხრჩობოდა, ახლა თავად შეეძლო დახრჩობა, თვით წყლის დახრჩობა. ეგ არის, წყალი, წყალი იყო და ხელიდან უსხლტებოდა, ოითებოდა უძვგებოდა და ძველებურად აგრძელებდა თავის ზვას.

«ახლა? — მკითხა მოულოდნელად გოგიამ თავის თავს, — რას ამბობს, ნეტაც, ახლა ჩვენი თვალმარგალიტა, მისან-მკითხავი რომ ეუბნება, ეს რძე გოგიამ გამოგიჯვანათო?»

საოცარი ეჩვენა სიცოცხლე. რამდენადაც იყო და, თვალმარგალიტა ჭრე საკუთარი თავზე მტრად უყვარდა, მერე ისე შეიჯავრა, მისი სახელის კი არა — საქალეთის ხსენებაც არ სურდა, ახლა კი სიძულვილი სიბრალულით ეცვლებოდა.

კუნძულზე გავიდა და გავარჯარებულ ქვებზე დაქდა. მოლივლივე წყალს დასჩერებოდა, მაგრამ მდინარის ჩხრიალი სულაც არ უშლიდა ხელს, ნათლად გაეგონა გაღმა ტყეში გაუჩინარებული კაქბის ჭახტახი თუ შაშვის ვალობა, დაიდას კაკუნი თუ ხარკრემის ბლავილი ან თონდაც მუდამ შიშატანილი კურდღლის გულის ფეოქვა; აქეთ კიდევ — ჩიტების მოუსვენარი ფრთხილი, ჭრეინობლების ხმაშეწყობილი ჭრეინი, მუმლებინა თუ კოლოების მოუსვენარი ბზუილი, კუტკალიებისა თუ ბოცოკალიების ფუსფუსი... ბუნება მღეროდა... ბარც ისე მღეროდა, როგორც მთა; ან აქ უფრო მრავალხმიანი იყო ეს სიმღერა, ვიდრე იქ და ახლაც, როგორც ყოველთვის, გოგიას ნელ-ნელა მღერებოდა დაუცხრო და ძალ-ღონე შემატა ბუნების სიმღერამ. მაგრამ აქ, ბარში, მაინც ნაფლვანი იყო იგი, ვიდრე იქ, მშობლიურ მთებში, მტრად ნაფლვანი.

მოლივლივე წყალს დასჩერებოდა. მერე თავი ასწია, კისერი უკან გადააგდო და უძირო ცისკენ აღაპრო სევდით დაღლილი თვალეში.

ამ სევდით გადაწვა გავარჯარებულ ქვებზე; არ უნდოდა თითქოს და მაინც გადაწვა... მანამდე წამიერო ტრყოლა იგრძნო, გულშიც შეუცნობლად ამოსძახა, გოგია, დროულად გაერიდე აქაურობასო, გოგია, ასე მიწოდებულად გულაღმა ნუ წვებიო, გოგია, შეხედე მაინც რაზე წვებიო, მაგრამ ბიჭი გაუგონარი, ჭიბრია-

ნი და ჭიუტი იყო ამწუთს, თანაც ჭრე როდ მომკვდარიყო ის, ვინც მასში იქდა და სიცოცხლეს უმწარებდა უკანასკნელ ხანს და ამ სევდით, თანაც ჭიბრით თუ გაუგონრობით, მიწოდებულად გულაღმა გადაწვა გავარჯარებულ ქვებზე; გადაწვა და...

წამიერადვე გონი დაკარგა გოგიამ. არა, მხედველობა დაკარგა. ელოდა გავარჯარებულ ქვებს და დახვდა უნიული, საწიზღარი, ტრყოლის მომგვრელი სლიბი და გლუვი უნიული, თანაც რბილი და ოღნავ ხაოიანი თითქოს, მოძრავი, კუნთიანი... ან სად აღმოჩნდა ამხელა ძალა, ან რა ძალამ აზიდა მიწიდან ამხელა სიმძლევზე, მთელი ტანით წამბარასავით გაიშალა, შეტა, თავის დახსნის ინსტიქტმა მილიონწერ დაასწრო გონებას გააზრებაში, მაგრამ მაინც გვიანი აღმოჩნდა ყოველი, მაინც ვერ აზრებებდა გონება, რა მისდა, ან რით შეიძლებოდა თავის ხსნა. ის „უნიული“ თვალის დახამბებებაში მკერდზე შემოეჭდო, თან მკლავები ქვეშ მოიქცია და ზურგზე გაეშვედნო ისეთი „სახრე“ გადაუჭირა, ლამის ჩაჩოქა ბიჭი. მერე უანყრატოზე მიიჭირა ასევე უნიულივით ცოფი, საწიზღარი ტრყოლის მომგვრელი სლიბი, თითქოს ხაოიანი, ოღნავ წაწვეტებული, ბლაგვი მუშტის სიმსხო თავი და აახრიალა.

მაგრამ გოგია ასე იოლად არ თმობდა თავს. ახლავარდა იყო, ჭან-ღონით სავსე, ფიზიკურ შრომაში, ხბოს თუ ქვების აწვე-დაწვევაში და ტყე-ღრეში, ხეებზე თუ ციხის ნანგრევებზე ფორთხილში გამოაჭეილი, ძვალმსხვილი და კუნთმაგარი. უკვე მყარად იდგა ფეხზე, შეუჩერებლად ხტოდა, ბრუნავდა, იგრისებოდა, თან მთელი ძალით განწე სწევდა მკლავებს, რომ როგორმე გასხლტომოდა საწიზღარი მარწუხს, როგორმე მოეხსნა და მოცილებინა ეს რაღაც ცივი, სლიბი, უწარმავარი სიგრიბის და სიმსხოს საოცრება, მკერდზე რომ შემოხვეოდა და, რამდენადაც მიღ ძალას ხარკავდა გოგია, იმდენად უფრო მძლავრად უჭერდა და უჭერდა მარწუხებს. თითქმის კანში რაეწარდა, ზედ გაბრტყულდა და გაქვავდა; უფრო მოწინდებით, უფრო ვერაგულად აჭერდა ბლაგვ თავს უანყრატოზე.

და დაიპყრო...

გოგია გაჩერდა... დაიღალა, არაქათი გამოელა. ვერც აზროვნებდა, მხოლოდ სიცოცხლის ხსნის შეუცნობი წადილი კარნახობდა, გაუძეული და ახლა ამ წადილით იმის ცდაშიდა იყო, არ წაქცეულიყო. თითქოს გამხმარი ფოთოლი ყოფილიყო, ნაწ ნიავეყე რომ მოსწყდებოდა ხს და ფრიალ-ფრიალით დაეშვება ძირს, თითქოს გონის დაკარგვამდე მთვრალი ყოფილიყო, თითის წაკვრავყე წონასწორობას რომ დაკარგავს და მიწაზე ზღართანს მოადნის, ერთდროულად მსუბუქიც ეგონა თავი და მძიმეც, ფეხებგაბოტილი იდგა, ირზებოდა, ბარბაცებდა

და თან მთელი სხეულით თრთოდა, კანკალებდა, ფეხის ფრჩხილებამდე შეძრულს, სადაცაა, ალბათ, გულიც გაეგლიჯებოდა. ასე ეგონა, ასეთი იყო მისი პირველი შეგრძნება. მერე გონებაშიც გამოიხედა თვალისმომკრებელი სიკაშკაშეში და რა დინახა?! — გველი!...

აი, თურმე ვის მიართვა თავი!...

წყუელი, ალბათ, მალე ბოლომდე დაიპყრობდა თავის მსხვერპლს, მალე დასცემდა ძირს და გაგუდავდა მარწუხში მოქცეულს, მერე ალბათ, დაწიწიდა თმას, მოუტვლებდა კეფას, დასცხებდა იმ ადგილას თავის ბლაგვ, მუშტის სიმსხო ქვასავით თავს, ჩაუშტვრებდა ქალას და სიამოვნებით გამოსწოვდა ტვისს, გულღვიძრამდე შეუძვრებოდა; ან, ვინ იცის, იქნებ გააღებდა რეზინიით უბას, კბილებს თავზე დაასობდა, შეითრევდა შიგნით და ასე გოჯიგოჯ, აუჩქარებლად და აუღელვებლად გადაასრიალებდა მუცელში.

ო, ღმერთო, ნუთუ არ შეიძლება ადამიანური სიკვდილი?!

„არა!.. — სასოწარკვეთით იყვირა გოგიას გონებამ — ოღონდაც ასე არა, არა და არა!.. მიშველეთ, ხალხნო!..“

ვითომ მშველელი მოიხზო, ყელმა კი მხოლოდ ზრილი ამოუშვა... ან ვის უხმობდა, გაგანია სიციხეში ირგვლივ არავინ ჩანდა და არც იმის იმედი არსებობდა, რომ გამოჩნდებოდა. ახლა მხოლოდ სასწაულს შეეძლო გადაერჩინა გოგია, მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა ასეთი საშინელი სიკვდილისაგან, — თავად წყუელი თუ შემოეხსნებოდა და გაერიდებოდა, მაგრამ არც ამის იმედი ჩანდა, წყუელი მთელი ძალით სწურავდა და სწურავდა, მუშტის სიმსხო თავს უღმობლად, ვერაგულად აჭერდა და აჭერდა უანურატოზე.

გოგიამ ძალის უკანასკნელი მოკრებით ამოიხრიალა. ხანგრძლივი გამოდგა ეს ზრიალი და, აი, სასწაული! — წყუელმა თავი მოარიდა, უანურატოდან უკან გასწია და გამყინავი, უძრავი წვრილი თვალებით პირდაპირ თვალეში მიაჩერდა; თან ნესტარო გამოასრიალა პირიდან, ცხვირის კეხზე გაეთამაშა და კვლავ უკან შეასრიადა. გოგიაც კვლავ შეძამაგდა, იმე ვაშს თავისთავად დაეხუტა ქეთუთოები, კბილები ერთმანეთს მიეჭირა... მერე ისევ იმ ადგილას, უანურატოსთან იგრძნო ის ბლაგვი თავი, ამჭერად რატომღაც აღარ ცდილობდა წყუელი ბიჭის დახრჩობას, აღრინდელივით თითქოს ისე მძლავრად აღარც მკერდზე უჭერდა და გოგიამ შვებით ამოისუნთქა, — თუ იმას შვება ერქვა. მარწუხის ქვევით ხელებს ველარ გრძნობდა, გაბრძოლებების თავი აღარ ჰქონდა.

კიდევ ერთხელ ჩახედეს ერთმანეთს თვალეში, კიდევ ერთხელ შეძამაგდა გოგია, მაგრამ, რაც მთავარია, წყუელი ამ დროს ისე უყურებდა, თითქოს ბიჭის ერთიანი ნაწილი ყო-

ფილიყოს, თითქოს ასე ერთად დაბადებული ვნენ და ასევე ერთად აპირებდნენ სიკვდილს სიციხეზღისა... და გოგიას გადაარჩინეს შეუცნობი იმედი ჩაესგანა.

„შენ გაუძლებ... — მოესმა სადღაც შორეთიდან მომავალი იღუმალი ხმა, თანდათან რომ გაძლიერდა და ბოლოს ნათლად გამოიკვეთა, — შენ გაუძლებ... გაუძლებ... გაუძლებ!..“

ეტყობა, წყუელსაც მეტი არ შეეძლო, მხოლოდ ერთხელ შემოხვეოდა მკერდზე თავის მსხვერპლს, მეორე წრისთვის სიგრძე არ ჰყოფინდა. კულს წელზე, ვაჟსთან უსვამდა, თითქოს ამოწმებდა, როგორ ვერ შევძელი, ხერხემალია თუ რაღაც, ამ ძველების ჩამსხვერვეო. ან, ვინ იცის, ამჭერად იქნებ ეფერებოდა კიდევ, ძალიან ხომ არ გატკინეო; ბლაგვი, ყინულივით ცვი და ლოკოკინასავით ლორწოსმაგვარი სლიბი თავიც ნაზად მიაყრდნო ბიჭის საოკრად წაგრძელებულ, ამასთან გრძნობაწართმეულ-გახევებულ ყელზე.

ასე გათიშული იდგა ერთხანს გოგია, მერე პატარა, ნათელი წვრილი დინახა და ამ ნათელმა გაიტყუა, — თავისთავად, ანგარწმინიუცემლად ნაბიჯი გადადგა წინ, წყლისაკენ. წყუელი არ გაბრაზებულა, შეუფოთება არ დასტუბობა და გოგიამ კვლავ გადადგა ნაბიჯი, გადადგა მეორე... მესამე... და რამდენ ნაბიჯსაც დგამდა ბიჭი, რამდენადაც მიიწვიდა წინ, მდინარის მეორე ნაპირისაკენ, იმდენად ფართოდებოდა ნათელი წვრილი, იზრდებოდა გადაარჩენის იმედი და საგრძნობლად ემატებოდა ძალა ფეხებში (თან წყალშიც გაიარა). თითქოს აღარც ისე კანკალებდა, ახლა ერთი სული ჰქონდა, გაედნოა გზამდე, რომ იქნებ ვინმეს დაენახა, იქნებ დროულად მიშველებოდნენ. ამ იმედით მთავრებდა დამძიმებულ სხეულს, ამ იმედის უხილავ საბელზე გამობმული მიიწვიდა წინ და მხოლოდ წინ.

ვინ იტყვოდა, მონუსხული არ იყო: გადმოსავარდნად გამაადებული, დაჭუტეილი და სისხლით დატენილი თვალეები დაბრტყოდა, რუმბივით შესივებული სახე დაბრტყოდა, სუნთქავდა და ვაი, იმ სუნთქვას, ფილტვებს ადგილი არ ჰყოფნიდა დასაბერად, გულს ხან ბაგა-ბუცი გაუდიოდა, ხან თითქოს აღარც ფეჭავდა, მოწვეპიტელ ხელებს ვინდა ჩიოდა, სხეულს სანახევროდ შეგრძნება დაკარგული ჰქონდა.

მიდიოდა კი...

მხოლოდ არ წაიჭტო, მხოლოდ არ წაიჭტო, მოსძახოდა შორეთიდან იღუმალი ხმა, მას ერქვა იმედი და გოგიაც გან-განზე ადგამდა ფეხებს, ისე მიდიოდა, ვარაუდით. ძლივს მთავრებდა მოყანტულ, საოცრად დამძიმებულ სხეულს მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. თვალეზე თით-



ქოს ლიბრი ჰქონდა გადაკრული, თუ თავად გზა იყო ლიბრგადაკრული — მზით გაუღწეოთლი თეთრი ნისლის ჩაფლეთებად გამორიხედებოდა ხოლმე იგი დროდადრო: ზოგჯერ კი ვერაფერსაც ვერ ხედავდა და ეგონა, გაჩერება და წაქცევაც ერთი იქნებაო. თანაც, რანდენადაც ძალა ემტებებოდა ფეხებში, იმდენადვე აკლდებოდა წელში. ახლა აველოაზე მტრად თითქოს წელი სტკიოდა და ეწყობდა, კუდი რომ დასცხო წვეულმა აი, ის ადგილი. თანაც ეს გულის გამგლეჩი ურყოლა! პერანგი მინც სცმოდა და პირდაპირ შიშველ ტანზე არ პყოლიდა შემოსხვეული, ან უელდთან აერიდებინა გაყინული ბლავი თავი; გამორიხებულ რიდი იყო, რამე რომ არ მოსწონებოდა, უცაბედად განრისხებულყოფა და უანურადოში სწვდომოდა თავისი შიგნით შებარუნებული კბილებით.

დრო საოცრად ნელა, მაგრამ მინც გადიოდა, აზროვნება ნელ-ნელა უბრუნდებოდა, უკვლავად მას ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფიქრობდა და ეს ფიქრი უფრო აგებულა და გონებას უფიტავდა. ვიდრე თავად წყუელი, ჭერჭერობით არხინად რომ გრძნობდა თავს გოგიას სხეულზე, კარგი შეუვარბულივით ჩახვეოდ-ჩაწვნილად და თითქოს სიამოვნებდა კიდევ ასეთი უზრუნველი „გასიერება“.

გოგიაც ასე მიდიოდა, ვარაუდით, მშველელი ჭერ არ ჩანდა. კაცოვიდის არ გამოჩენილა გზაზე. ისე მიუახლოვდა სოფელს, საკუთარ მშობლიურ სოფელს... დიღას გამოექცა და ახლა, როცა გაუჭირდა, უკან უბრუნდებოდა; უბრუნდებოდა დახმარების სათხოვნელად და მტრ არაფერი აფიქრებდა, მტრი არაფერი.

მაგრამ გაუწვიდა კი ვინმე დახმარების ხელს?!

„აბა, რას იზამენ!“ — შეუფართხალდა გაუდი გოგიას, ღმერთმა დაიფაროს, სოფელმა თავისი შვილი წყუელის დაანებს, ღმერთმა დაიფაროს!..

და აგერ, ადამიანიც!.. ჰო, ადამიანს მოჰკრა თვალი გოგიამ ზევით, აკაცის ბურჭებთან და იგრძნო როგორ მოემატა ძალა, მხნეობა, იმედო... მაგრამ ისიც იგრძნო, რაღაცამ რომ შეაშფოთა წყუელი, თითქოს ზიჰის სისხლძარღვებში განავალი სისხლი წყუელის სისხლძარღვებშიც გადიოდა — რკინის კუნთები ამოძრავა, უფრო მტრად გაწურა და ჩაეწარდა კანში, ბლავი თავი ირგვლივ მიმოატარა და მერე ისევ ნიკაძემ შემაღა, უკლდე გაუსვ-გამოუსვია... იოლად არ აპირებდა მსხვერპლის დათმობას, ეს წყუელი; უფრო ეშმაკი და ვერაგი ჩანდა. ვიდრე ადამიანებს ჰგონიათ...

მაგრამ იმედი არსებობდა, იმედი მძლავრობდა და გოგიამ ნაიბის უმატა. მთავარია, იმედს არ ემტყუნა, იმედი არ გაჰკრობოდა, აი, რა ამფლებიერება, აი, რა ძაღვება მხნეობას. და უცბად რაკომდაც თვალმარგალიტას თვალელები დაინახა.

რაღომ, რისთვის? ვერაფერი გაიგო, მაგრამ მისი თვალელები კი დაინახა და გზაც თითქმის უკეთ განათდა, გადაეცა თეთრი ნისლი, მსხვერპლით არს რომ უმოკლდებოდა.

ჭერ შორს იყო აკაცებამდე, გაუჭირდებოდა ხმის მიწვდენა. თანაც, მინც შიშობდა, წყუელი არ შევაშფოთოო. ასე იმედით და შიშით მიდიოდა ენაჩავარდნილი და გულმოსწრულიც, — ვაითუ, იმ კაცმა ვერ დაშინახოს, არც წავიდესო. და აგერ, ის კაციც!.. თამბუკი, ანა. აკაცებთან პატარა ბიჭი აღმოჩნდა, ასე ხუთი-ექვსი წლის, ონავარი და ჩიტებზე მონადირე. თავი ჰქონდა დობეში შეუყოფილი და რომ გამოძვრა, კაკანათში ცალი ფეხი გამბეული ბედურა გამოათრია. საწყალი ბედურა, ახალ ფარისხალდებდა და ცისკენ გაფრენას ლამობდა, იგი უკვე ბიჭის ტყვე იყო; ალბათ, მალე გამოასალმებდა სიცოცხლეს, თავში ბელი წაავლო და წაწყვეტა დაუბარა.

გოგიამ ონავარს გასაძახა კიდევ, ვითომ გასაძახა, ბლ-ბლს მერი არაფერი ამოუვიდა პირიდან, დასივებულ-დარუშებულნი ენა თურმე ძლივს ეტეოდა პირში და მასაც შეგრძნება და მოძრაობის უნარი დაჰკარგვნიდა.

სწორედ ამ დროს ონავარი უცბად გახვედა, გაქვავდა, ეტყობა, ძალაც დაკარგა — ხელიდან გაუფრთხილდა ჩიტი და თან წაიღო კაკანათი. გოგიას რაღაც გაუხარდა, რა ახარებდა, მაგრამ მინც გაუბარდა, საშიზღარი, ურყოლა სასიამოდ შეეცვალა. ონავარს კი შუბლზე აუცვივდა თვალელები, ქვედა უბა თავისთავად ჩამოუვარდა ძირს, რაღაც ამოიღებდებოდა (წვეულმა მასაც თუ ჩაუგდო ენა), მერე შებრუნდა და თავქუდმოკლეილი, ისეთი სისწრაფით გამჭურცხლა, გზას მხოლოდ მტრის ბული შეატოვა.

გოგია კვლავ მარტო დარჩა გზაზე. მიდიოდა შეუნელებლად მძიმედ, ფეხებს გან-განზე ადგამდა, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა, წინ ექაჩებოდა შეუცნობი იმედი და თან მიაცილებდა შეუფოთებულ ბუენდა. ახლა კიდევ, თითქოს მეტი გავარდაო, თითქოს მიწისძვრა იწყებოდაო, თითქოს სადაცაა ქარიშხალი ამოვარდნა და უველაფერს წაღეკავსო, — უცბად საზარლად აბღავდა პირუტყვი, აჭიხინდნენ ცენებში, აყროუინდნენ ვირები, აკრაბდნენ ქათმები, აჰუვიტინდნენ დორები, აუეფდნენ და აუშვლდნენ ძაღვები და, ვინ იცის, რა ხმა არ მისწვდა გოგიას ყურს. სიციხით გათანგული და ამ სიციხეში თითქოს მიძინებულ-მისავათებული სოფელი ერთიანად აიწვია, აწრაილდა, აფორიაქდა, არ იცოდნენ რაღომ, მაგრამ ხალხი მოაწყვდა დობებებს, აივნებს, დედები კრუსხვიით ეძახდნენ შვილებს და ზედ ეფაფრებოდნენ, კალთის ქვეშ მაღაღდნენ, მამები ეძებდნენ ჭიკოებს, ბელეკტებს, ფიწულებს, სამკაულებს... ზოგი თოფს, ხმალს თუ ხანჯალს, მოარბენინებდა, თან კითხულობდნენ, რა მოხდაო, რა ამბავიაო, რა უბედურება

ტრიალებს ჩვენს თავს, მომხვედური ხომ არ დავკვივითა და, როცა ვილაცამ სიმართლეს თქვა, გოგიას მეკრძღუ უშვებელი წყუელი შემოხვევია და ასე შემოხვეული სახლში მოპყავსო, შვებით ამოსუნთქეს, ჩვენ კი გვეგონა, რაღაც დიდი უფრუღურება ხდებოდა. კაცებმა დაუარეს იარაღი, ქალებმა თავი ანებეს ბანშვებს (თან, რა თქმა უნდა, აფრთხილებდნენ, რომ წყუელთან ახლოს არ მისულყვენ) და ყველა ერთად, თითქმის მთელი სოფელი გზას მოაწყდა, რომ-ლითაც გოგია საკუთარ სოფლისკენ მოდიოდა; მოდიოდა სოფლის იმედით.

მოდიოდა, მოდიოდა და უეცრად ამ ავარ-დისფერებულმა იმედმა აღავარდინა გზაზე წვეტიან ქვა-ღორღზე სიარულთი დახეობილ-დახეტოლ ფეხის თითებიდან იწყა გაუქნა.

და შეკრთა გოგია, უარესად დაიძაბა.

ვერა, ვერ გრძნობდა იმის ნახევარსაც, რამდენადაც სტკიოდა; ან ტკივილი სად ახსოვდა, რ.ცა ამდენ ადამიანს ერთად მოქრა თვლი, ახლა უფრო უხაროდა. მაგრამ სოფელთან შეხვედრამ ის სიამე ვერ მოპყვარა, რასაც ელო-ნა. ხალხი ამ დროს იყო ბზბო, სეირის სა-ყურებლად რომ გამოსულიყო, ქაოსი სუფვე-და ამ ადამიანების სულში. ყველას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა — როგორმე კარგად დაენახა, რა ხდებოდა, სხვებზე უფრო მია-ხლოვებოდა წყუელ-საოცრებას; თან, რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი შიშობდა კიდევ, უც-აბედად გოგიას რომ მოესხნას და ჩვენეინ გა-მოქანდეს, მოხერხებულად ვიყოთ, რომ გაკ-ცევა მოვასწროთო. ამიტომ შფოთავდნენ. დე-ლადვენენ, ახალგაზრდები წინ და უკან დარბო-დნენ კიდევ და, იღვა ერთი ყვირინა, შეძახი-ლები, აქა-იქ შეკივლებაც და სიცილი-კისკისიც კი იხმოდა. და გაუჭირდა გოგიას. ძალიან გა-უჭირდა წინსვლა, ფეხებს ვეღარ ადგამდა მყა-რად, ქანაობდა, ბარბაცებდა, მშველელს, ეძებდა, მაგრამ ჭერჭერობით ამაოდ, ჭერჭერ-ობით არავინ ფიქრობდა, რომ ბიჭს მიხმარება სჭირდებოდა. ან ზოგიერთი იქნებ ფიქრობდა კიდევ, მაგრამ ვინ მიეკარებოდა ახლოს, თა-ნაც, როგორ! ვის აღმოაჩნდებოდა გამბედაო-ბა, შიშველი ხელებით შემბოდა საოცარი სი-დიდის, ამასთან, ოდითაგანე ადამიანთა შემე-ცნებაში წყუელად მონათლულ საზარელ არ-სახსენებელს.. ჭოხს ვერ იხმარებდნენ და თოფს, გოგიასაც ზედ ხომ არ მიაყოლებდნენ!.. არა-ა, თითქმის წყუელიც გრძნობდა ყველაფერს, გრძნობდა ამ ხალხის მისდამი შიშს; როგორც კი ადამიანთა გარემოცვაში აღმოჩნდა, წაშით აღარ გაუჩერებია ერთიანად გაყინული ბლაგ-ვი თავი ერთ ადგილას. შფოთავდა ხალხი და შფოთავდა თვითონაც, ქანცაკვილი, მისულ-მკვდარებულ ტყვეს ძირს დახედვის საშუა-ლებასაც აღარ ამღვდებ; კუნდს გამლებით ასრიალებდა ურღვევ გვასთან, რკინის კუნ-

თებს ავად ათრთოლებდა, ტალღები გადა-რბოდნენ თავიდან კუდისკენ და კუდიდან თავისკენ, ამასთან, წურავდა და წურავდა რა-დენადაც შეეძლო, იმ ბლაგვ თავს კი იქით გადატყორცნიდა ხოლმე, საიდანაც ვინმეს მი-ახლოვებას იყნოსავდა, წიოკობით გააფრთხობ-და, მერე უცბადვე მიჰქონდა უკან და, ახლა გოგიას მიარტყამდა ყრონტზე; ძალიან არა, თან თითქმის ეფერებოდა კიდევ, ყელზე ზე-ვით-ქვევით უსვამდა, მაგრამ გოგიასთვის ისიც საკმარისი იყო, რომ დასიკვებულ-დარუმბებუ-ლი თავი სულ ზევით და ზევით ექაჩა, ლა-მის დაუწყუდა კისრის ძარღვები.

და აი, სწორედ ამ დროს, ამ უთავბოლო ალიაქოსსა და შფოთში, ყურისწამდე ყაყა-ნა და წიოკობაში, მაშინ, როცა ბიჭმა ცისკენ აღაპყრო მზერა და იმედი თითქოს მთლიანად წარეხოცა, უცბად, თანაც უკვე მეროდ, მას მერე, რაც წყუელი შემოხვევია, თვალმარგა-ლიტას ცრემლით შესველებული ცის ფერს შე-რწყმული მოვლილვით თვალები დაინახა. დაი-ნახა და მაშინვე თავისთავად კვლავ იმლაგრა იმედმა, კვლავ ჩამოეცალა ბურუსი მხედველ-ობის არეს და კვლავ საამოდ ჩადგვარა ოდნავ შეციებული სისხლი ფეხის თითებში, იქავ და-რჩა, გარეთ აღარ გაუფანა.

გოგიას ძალა მოემტა მუხლებში და უფ-რო მხნედ ვადაღვა ნახაი. როდიდა ყანყა-ლებდა ღვინონასვამივით, იმდენად სიარულიც აღარ უჭირდა, მაგრამ რაღაც მაინც არ მოეწ-ონა. უფრო სწორად, ვერ მოუძებნა ახსნა, საიდან, რატომ ელანდებოდა მაინცადამაინც თვალმარგალიტას თვალები და მერე რატომ ემატებოდა მხნეობა. თვალმარგალიტა ერთ დროს შეიჭავრა, დიან, შეიჭავრა, მორჩა და გათვდა.. თუმცა, არა — იგი ახლა ისე აღარ ეჭავრებოდა, ახლა უფრო ებრალებოდა, ეს იყო და ეს.

მაგრამ მაინც არა და არა.. ახლა მხოლოდ დედა თუ მიშველის, დედა თუ მიხსნისო, გაი-ფიქრა, მხოლოდ დედა და მხოლოდ დედაო, ძა-ლას ატანდა გონებას, თან მიიწვედა სოფლის ყველაზე ამაღლებულ ადგილას მდგარ. საკუ-თარ სახლისკენ, იმდენს კი არ ფიქრობდა, რა შეეძლო მარტობადა ქალს, ნაადრევად მო-ხერხებულს და უღონოს, რა ჯადო აღმოაჩნდე-ბოდა ისეთი, ამ წყუელს რომ მოხსნიდა.

და აი, საკუთარი სახლის ეზოშიც შევიდა.. მზე ჩახჩახებდა. მთელი პერი გავსებული-ყო ხალხს მოყოლილი საურმე გზიდან აპროლი მტკირის ბული და მშის ყველაფერის გადაამუ-გავი, დამარბავებელი მწველი სხივებით. მა-გრამ ეს სიცხე როდიდა აფრთხობდა ხალხს, როდიდა იყვნენ ისეთი გულგრილები და სე-ირის უბრალო მაყურებლები. წყუელს ნელ-ნელა შეეძრა მათი ნამუსუნელახული სული და მის დაწახვავზე თავისთავად თრთოდნენ, კან-



კალბედნენ, თითქოს სციოდათ კიდევ, ტანში საზიზღარი ჟრუღლა უფლიდა ყველას, თან ოფ- ლში ცურავდნენ და საოცრად ებრალებოდათ გოგია.

მხოლოდ ებრალებოდათ... გოგიას კი სიყვარული სჭირდებოდა, სიყვა- რულს ელოდა, სიყვარულისკენ მიისწრაფოდა.

და აი, ისიც — დედა!..

დედამ ვერ გაუგო, თორემ ახლა ის გოგია როდიდა. არც არასდროს ყოფილა აბეზარი და ზარმაცა, ხალისით ესაქმებოდა ყველას, მაგრამ ახლა მანაც სხვაა. ბოლო ერთ თვის თუ გამორიცხავდა, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ხომ ყველაფერში ეხმარებოდა დე- დას! დაბარვა გინდა, დათესვა, გათიხნა, წყლის მოტანა, ძროხის მწყემსვა, მეტი რაღა მთელი ოჯახი თითქმის მის კისერზე იწვა და ამ ტვი- რთის ტარებასაც ისე შეჩვეოდა, გაალაღებულ- გაუხედნავი უღაყი ბოლოს და ბოლოს რომ ერევეა თავისი მხედრის ტარებას. ჰო, უბრალო- დ, დედა შეტდა, ვერ განსაზღვრა, რომ გო- გია აღარ იყო ბავშვი. ტყუილად ეგონა, ჩემი შვილი ისე გალევს წუთისოფელს, კეკოა არ მი- ეცემოა. მიეცა და თანაც რამდენი! — ახლა მზად იყო, მთელი ცხოვრების ტვირთი თუნ- დაც შიშველი მხრებით ეზოდა, მაგრამ... ახლა ჭერ სხვა „ტვირთი“ ეკიდა ამ შიშველ მხრებ- ზე; ამ „ტვირთს“ ოჯახისათვის სიცოცხლე კი არა, სიკვდილი მოჰქონდა. სიკვდილი კი ო, როგორ არ უნდოდა ბიჭს!.. ბიჭს ახლა მხოლოდ სიყვარული უნდოდა, მხოლოდ სიყვარული.

— ვაიმე, შვილოოო!..

უთავბოლო ყაყანი უცაბედად გარღვია, და ბოლომდე გაგლიჯა საცოდავი დედის შემზა- რავმა კვილიმა.

ეს შეიკვლება იყო პირველი, გოგიას ყურს რაც მისწვდა საკუთარ ეზოში შესვლისთანავე და თითქოს მაშინვე გულზე შესამიანი მახვი- ლი დესოო, სადღაც შიგნით, ძალიან ღრმად მტკინა რაღაც.

— გოგავ, შვილოოო!.. — კვლავ იკვილა ქალმა და უცაბედად ჩამოწოლილმა ყულის შემძვრელმა, გამთანაცვამა დუმილმა ყველაზე გულგრილ ადამიანსაც გაუგლოჯა გული.

როგორ ეშინოდა... წყუღელი თანდათან უმა- ტებდა შფოთვის, თანდათან აცლიდა ბიჭს ძა- ლასაც, გონებასაც, გამძლეობასაც, მაგრამ შედ- გა თუ არა ფეხი ეზოში, გოგიას მაშინვე ერთ- მა აზრმა გაუფლვა თავში: როგორ შეხვდებოდა დედა, გადართანდა, გაუძლებდა კი ცხოვრების- აგან ნაადრევად მოტეხილ-მობერებული ეს სუსტი ქალი ასეთი საშინელი სურათის დანახ- ვას?! ამ ადამიანებისაგან განსხვავებით, გარს ოთხივე მხრიდან რომ შემორტყმოდნენ. იგი დედა იყო, დედა!..

უხილავი საბელი აღარსაით ეკატებოდა და გოგია თუთის ხის ჩრდილში სახლისკენ გად- მოფაფრული ტოტის ქვეშ, დიდ ქვასთან შე- ჩერდა. სხვა გზა არც იყო, სახლში ხომ არ შე- ათრევა წყუღული აქამდეღც ძლივს ამოატარა გაქაჩულ-გაწურული, ამასთან, დარუმბებულ- დასივებული უშველებელ ტვირთწამოკიდებუ- ლი, მტვრის ბულით და სიმწრის ოფლით გა- ზინთული სხეული. ან იქნებ კიდევ დიდხანს ეყოფოდა ძალა, დედის სასოწარკვეთელ შეკ- ვილებას უცაბედადვე უარესი ჟრუღლა და თრთოლა რომ არ გამოეწვია და მუხლები საშინლად არ აკანკალოდა. ეს იმის ნიშანიც იყო, რომ სწორედ აქ, ამასთან, რაც შეიძლება მალე უნდა გარკვეულიყო სიცოცხლე იმარ- ქვებდა თუ სიკვდილი. გოგიას კი ო, როგორ არ სურდა სიკვდილზე ფიქრი...

დედამ აივანზევე წაიშინა თავში ხელები, ჩამოიკაწრა ლოყები; შავი ხილაბანდი გადას- ძვრა და მთლად თეთრი, გაწეწილი თმა მხრებ- ზე დაეფინა. დედა მოგვიდეს, შვილო, ეს რა მოგსვლიაო, შუშით და ვაებით წაიდუღუნა, ჩუქურთმებით შემკული ხის პატარა აივანი შე- დარებით სწრაფად გაიარა, საფეხურებზე უკვე ძლივს ჩამოდიოდა, ხოლო მიწას შეახო თუ არა ფეხი, მაშინვე იქვე ჩაიჩოქა, მუხლებზე დაე- ცა და ხელებადმართლმან გოდებით შებღაე- ლა:

— მიშველეთ, ხალხნო!..

და ასე დარჩა, ვეღარ შეძლო ადგომა. ენაც ჩაუვარდა უმწეოს. გული კი არ წასვლია. გულ- მა თითქოს უბრძანა, რომ გამხნეებმა იყო სა- ჭირო შვილისთვის, მხოლოდ და მხოლოდ ის- ევ შვილისთვის. და დედაც მხნეობდა. ადგომა კი ვერა და ვერ შეძლო, ქალების მოსაველევი გახდა. ენაც მეტად ვეღარ დაიმორჩილა — და- დეღუმდა, საცოდავი.

გოგია დაბარბაცდა...

თითქოს მთელი სიცოცხლე მოდიოდა უსაშ- ველოდ გრძელ, ტანჭვითა და ვაებით ცეცხლ- მოკიდებულ გზაზე. თურმე რა შორს წასული- ყრ საკუთარი სახლიდან და რისთვის!.. სად მიდიოდა? ვის მიართვა თავი — წყუღულს? მე- რედა, რატომ! — იმტომ, რომ ასახდენი უნ- და ამხდარიყო?!

„ესე იგი, ამ წყუღულის ანაწერა ვარ?!. ესე იგი, არაფერი მიშველის?!“

კვლავ დაბარბაცდა. დაბარბაცდა მეორედ, მესამედ და უნებურად თუთის ზეს მხრით მი- აწყდა; მიაწყდა სწორედ იმ ადგილთ, წყუ- ლი რომ შემოხვეოდა და კანში ჩაზრდოდა.

ხალხს მაშინვე გმინვა აღმოხდა, ზოგიერთმა ქალმა ლოყებზე დაიშინა ხელი, ზოგმა თვალე- ბი დახუჭა შიშით და საშინელების მოლოდი- ნით.

თვლების დახუჭვამ გოგიასაც მოუწია. რატომ მატკინე, თუ რატომ შემაწუხეო, წყე



ულმა ელვის სისწრაფით ბლაგვი თავი უანუ-
რატოზე აძგერა და მანამ არ მოეშვა, სანამ
გოგია ხრიალ-ხრიალით და ბარბაც-ბარბაციით
არ მოსცილდა ხეს. მერე კი აღრინდელივით
ანებ ასწია თავი წყეტულმა, გაჰყინაღი, უძრავი
წერილი თვალეებით პირდაპირ დაბრცილ თვა-
ლებში მიაჩერდა ბიჭს, თან ნესტარი გამოას-
რიალა პირიდან, ცხვირზე გაეთამაშა, თითქოს
შეჰპირდა, თუ არ შემაწოხებ, არაფერს გოჯა-
ში და კვლავ ნიკაძვეშ შეუძერა, ყელზე „მო-
ეფერა“.

გაოცდნენ... უკანა რიგებში მდგომნი წინ
მოიწვედნენ, როგორმე კარგად რომ შეებე-
და, რა ხლებოდა ეზოს შუაგულში, თუთის
ხის ძირას, ან რა მოხდებოდა შემდეგ. თან
ეშინოდნენ და წინა რიგებიდანაც უკან გარბო-
დნენ. ამოსაბაში ითვლებოდა ღობე, რის ვაი-
ვაგლახით მოვლილი ბაღ-ბოსტანი, ამოსული
თუ ამოსასვლელი ნათები. ბავშვები მიფოფხა-
ვდნენ ლედვის, მსხლის, ვაშლის თუ ატმის
ხეებზე, უნებურად ტეხავდნენ ტოტებს, აუ-
რევირებდნენ დამწიფებულ თუ მკვებ ნაყოფს,
ბოლომდე ნადგურდებოდა ისედაც განადგუ-
რებული ოჯახი, მაგრამ არავინ ფიქრობდა ამა-
ზე, — ახლა მხოლოდ ყველას აურყოლებდა,
ყველას წყუთლის ვერაგობა ანციკორებდა,
ხეებზე აფოფხებულ ბავშვებს ქვევიდან დე-
დები შესძახოდნენ, ჩამოდით, წყუთი რომ
მოეხსნას და აქეთ წამოვიდეს, მერე რას შვრე-
ბითო. ბავშვები კი თავისას განაგრძობდნენ,
სულ ზეითი, მაღლივ ტეტებისკენ მიძვრებო-
დნენ, საიდანაც უკეთ ხელავდნენ გოგიასაც და
წყუთსაც. თან მათაც აურყოლებდათ, მართ-
ლა რომ მოეხსნას და ჩვენკენ გამოქანდეს ეს
ამხელა ურჩხული, მერე რაღა ექნათო. მაგრამ
ბავშვებს იმედი მაინც ჰქონდათ უფროსების,
იმედო ჰქონდა ყველას, ამდენი ვართ, აუცი-
ლებლად მოვერევიოთ — წინა რიგში, ეზოს
გარშემო დოყა-დოყა ბიჭები იდგნენ უშველე-
ბელი ხელკატებით ხელში და ერთი სული ჰქო-
ნდათ, ბლაგვი თავი გაეჩჩქვათ წყუთლისთ-
ვის. ეგ არის, გოგიათვის როგორ ეშველათო,
ეს ვერ მოეფიქრებინათ და ამაოდ წურავდნენ
მუშტებს, ახლოს არც წყუთი უშვებდათ, ვი-
ნმეს მიახლოვებას როგორც კი იგრძობდა, მა-
შინვე თავს უანურატოზე აქერდა გოგიას და
ყველაზე გულადებოც იძულებული ხლებოდ-
ნენ, უკან დებოდათ.

ღიახ, წყუთს განსაუთრებელი ძალა აღ-
მოაჩნდა. თითქმის ყველა დაატყვევა, ყველას
ენა ჩაუგდო. უფრო სწორად, ძალიან ბევრი
თავის ენაზე ააღულულა. ხალხი წესიერად
ვერ აებინებდა ერთმანეთს აზრს, გასაჭირს,
„ბლ-ბლლს“ იმახოდნენ, თან მკერდზე იბრა-
გუნებდნენ მუშტებს, ეს რა გვემართებაო.

მაგრამ რა შეედრებოდა დედის გასაჭირს,
ვის შეეძლო ჩასწვდომოდა, რა ტრაილებდა მის

გულში. ერთი შვილი მამისეულ ოთახში
ვარეულო ტახტზე გამოტოლი იდგებოდა და
ქრებოდა, მეორე კი ზეზეულად ნახრბოდა და
იგულებოდა... საღა ახლოვდა დედ-მამა, და-
ძმები თუ უცხოთ ოში წაყვანილი ქმარი, ყვე-
ლა უცაბედად რომ შემოვიცალა და ნაადრევად
დაობდა, დაქვრივდა. ნაადრევად დაუძლუ-
რდა კიდევ. თუ ცოცხლობდა, შვილებსთვის
ცოცხლობდა და ახლა ისინიც ასე უცაბედად
ეცლებოდნენ ხელიდან, ასე უღვთოდ და ასე
ნაადრევად... ბლ-ბლლო, ლულულულებდა და
გმინავდა ქალი, თვალებით და ხელებით ელაპა-
რაკებოდა გარს დაბვეულ გულშემატკივრებს,
ჩემი შვილისთვის მასურებინეთო. წამოდგომის
თავი კი არ ჰქონდა, ერთხელ რომ მოეკვთა
მუხლი, ძალა არა და აღარ დაუბრუნდა, ამი-
ტომ დასვეს რაღაც კუნძზე და ასე დამქდარი,
თვალმოუცილებლად შემაურებდა შვილის
ტანჯვას, შემაურებდა და იტანდა, ცრემლი არ
გაღმორვარდნია, თითქოს ვიღაც გამუდმებით
ამხნეებდა, ასეა საჭირო შვილისთვის, მხო-
ლოდ და მხოლოდ შვილისთვისო.

ასე გადიოდა დროც...
მასურებელი ნელ-ნელა თუ არ ემატებოდა,
არ აკლდებოდა. საიდანაც, გარშინანელთან
ერთად, ჭიქამირთმეულიც მოზარბაცდა. ორი-
ვეს დაელია, ფეხზე ძლივს იდგნენ, მაგრამ ეს
სურათი რომ იხილეს, ორივე თითქოს ერთდ-
როულად გამოფხიზლდა.

— რას უყურებთ, ხალხო! — ანგარიშმი-
უცემვად შესძახა უცბად ჭიქამირთმეულ-
მა, ვერ გაუძლო ტანჯული დედის ვედრებით
აღვსილ თვლებს, — როგორ დაახრბობს ბიჭ-
სა, იმას გინდათ უყუროთ?!

გარშინელი მაშინვე სადღაც მიიმალა.
წინა რიგში მდგარმა დოყა-დოყა ბიჭებმა
კრიხტაუფერებლად, უიმედოდ აიწურეს მხრე-
ბი.

— მაშ, რა ექნათ, აბა? — ხელები გაშალა
ერთმა, — ჩვენზე ქვეიანი ჩანს, ეს არსახე-
ნებელი. არც ეხსენება და არც ახლოს გავმო-
ვებს.

— მაშ, ჩვენზე მეტი ქეჟა აქ, ცაცო?!

— ეგე, თუ არა აქ. ნახე, თავი სად უღვეს..
ნაბიჭ ვადაღამ და, მაშინვე დახრბობას უწ-
ყებს. არადა, თითქოს ეფერება კიდევ, ეს არ-
სახსენებელი.

— მაშა, ცაცო, ამხელა მიღეთ ხალხში არა-
ვინა იგიეთი, რომა ამ წყუთლზე მეტი ქეჟა
ჰქონდეს?! — თავისას არ იშლიდა ჭიქამირთ-
მეული, თან გაოცების ნიშნად გამხლარ მხრებს
იჩჩრავდა, ატრიალებდა ჩონჩხაღქცულ ხე-
ლებს და თვალბედაქაული თითქოს დამცინა-
ვი, თითქოს გამგმირავი მწერით წარბებზე-
ყრილი ხალხის ეცემდა ვინმეს — „ბრძენს“,
რამიე ქვეიანური აზრის მოქმელს, მაგრამ ასე-
თი არა და არ ჩანდა. ბოლოს მაინც გაქრა მი-



სმა ახირებამ, თითქოს მერე გაახსენდათ, რომ წყუელთან საბრძოლველად, როცა ძალია არ მყოფნებდათ, ჭკუა უნდა ეხმარათ, მაგრამ უცაბედად იმდენი „ბრძნული“ აზრის გამოშთქმელი აღმოჩნდა, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. ერთმანეთის აზრს უარყოფდნენ და მხოლოდ დავობდნენ და კამათობდნენ.

— უპირველესად გვამართებს, გავარკვიოთ, თუ რომელი ჯიშს განეკუთვნება ჩვენი მსჯელობის საგანი, — თქვა ბოლოს სოფელში ყველაზე განათლებულ პირსებრიად აღიარებულმა კაცმა, ალბათ, ბევრი სწავლისა და წიგნების კითხვისაგან თავზე ერთი დერი თმა რომ არ შერჩენოდა, მაგრამ მათხოვარს კი მგავდა ჩემულობით. მერე ვათავრება: — რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს გველი შხამიანი არ უნდა იყოს. თუმცა, არც ისაა გამორიცხვად, რომ შხამიც ჰქონდეს.

— ეს, როგორ? — სიტყვა ჩამოართვა მეორე თავმოტვლებილმა, სოფელში შედარებით ნაკლებად ჭკვიანად რომ იყო ცნობილი, მაგრამ მათგან განსხვავებით, საკუთარი თავი ყველაზე ჭკვიანი ეგონა.

— როგორ და... — საჩვენებელი თითი დაატრიალა პირველმა, — შხამიანი რომ იყოს, მაშინ ასე დიდხანს შემოხვეული არ გაჩერდებოდა. ანუ, შემოხვევიდან დიდი-დიდი ოცი, ოცდაათი წუთის შემდეგ დაგესლავდა და მოეხსნებოდა, რასაც, როგორც ვხედავთ, არ აკეთებს. გამოდის — მახრჩობელა!.. მაგრამ აქაც ერთი გარემოება გასათვალისწინებელი: მახრჩობელამ თუ შემდო ორნახევარჩერ ან მეტ-ჩერ შემოხვევა, მაშინვე იწყებს მსხვერპლის ნენების მტკრევას და, მოგუბამთ ჭირსი თუ საამისოდ სიგრძე არ ეყო, ძვლების დამსხვრევა არ შეუძლია და მაშინ, შხამიანთა მსგავსად, ისიც მალე ეხსნება და გარბის, რასაც, როგორც ასევე ვხედავთ, აგრეთვე არ აკეთებს. ამდენად, ჩემის აზრით, არაა გამორიცხვად, რომ ამ წყუელს მახრჩობელას თვისებებიც ჰქონდეს და შხამიანიც იყოს. ანუ, საქმე გვაქვს სრულიად განსხვავებული ჯიშის ქვეწარმავალთან, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ვიცნობთ.

— ეეე, — თვალები დაქაჩა ჭიკამირთმეულმა, — მაშ, რა ვქნათ?

— უნდა მოთმინებით დაველოდოთ, — მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო უცბად ჭკვიანმა, — ბოლოს და ბოლოს, როცა იქნება, ხომ მოეხსნება, არა?

— ეეე!..

— თანაც, არამც და არამც მისი გაბრაზება არ შეიძლება, თორემ ისიც შესაძლებელია, ბიჭი დაგვიგესლოს და... ჩემს მტერს მისი კბილები!

— ეს, როგორ? — მეორედ იკითხა მეორე ჭკვიანმა და დროებით საუბარი თუ კამათი ამითვე შეწყდა. პირველმა ჭკვიანმა მოტვლებილ

თავზე მომდგარი ოფლი ხეწმით მომშრალა უფრო ჭკვიანური აზრი აღარავის აღმოჩენს. სამაგიეროდ სჯაბასმა სხვა კუთხეებისკენ გადაინაცვლა და მათ დოჟა-დოჟა ბიჭებიც შეუერთდნენ:

— მაძლარი ჩანს, ბიჭოსა, თორემა აქამდე დაკბენდა და სისხლსაც გამოსწოვდა.

— წირპლიანო, მეტი სისხლის გამოწოვა გინდა?

— გოგრასავით რო გავსებია თავი, იმდენი არ უნდა იცოდე, რო მაძლარი ეგრე მაგრავერ შემოხვეოდა?

— რევენებო, ესა იმხელა არსახსენებელია, მაძლარი იქნება თუ მშიერი, კაცსა მინც არ აღინაოლს, არა!

— რძე!.. — იყვირა ამ დროს უცბად ერთმა ბიჭმა, — გველსა ძალიან უყვარსო რძე!.. მოვიტანოთ და ვნახოთ, იქნება მოეხსნას, მაქვსახოთ. ვისა აქ რძე?.. ხალხნო, რძე!..

და ახალი განცდით აჩოჩქოლდა ხალხი...

ბიჭის წინადადება უწოდებდნენ ერთხმად არ მოიწონა, ჭკვიანებს ხომ თითქოს არც ესამოვანათ (ალბათ, ჩვენ რატომ არ გავახსენებდით), მაგრამ მერე, როცა მისან-მკითხავიც შეუერთდა ამ ორომტრიალს, ვინ რძის მოსატანად გაჩნდებოდა, ვინ — ტაშტის, ვინ — ოქრო-ვერცხლულის თუ ძვირფასეული ქვების, გადაწყვეტეს, წყუელის წინ დაედგათ რძით სავსე ვერცხლის ტაშტი. უკვე ეჭვი არც ეპარებოდათ, რომ წყუელი აუცილებლად მოეხსნებოდა ბიჭის და პირდაპირ რძეში ჩახტებოდა. ცოტა ვერცხლის ტაშტის პატრონს ეთანადებოდა გული, გველი რომ იკუუმბალავებს შიგ, იმ ტაშტს ოჯახში როგორღა გავაჩერებო, მაგრამ ერთ ვერცხლის ტაშტს ვინ დაძებდა, მისან-მკითხავმა ისეთი თავწარდაცემაში ამზავი მოიტანა.

პირჭერის წერით, ბუტბუტ-ბუტბუტით და გალობა-გალობით მოფარუნდა მისან-მკითხავი. მალიმალ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „დიდება და დემერტსა დიდება, წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო...“. გიორისთვლიანი ორი ბუქელი მოიტანა: ერთი რემგან, მეორე ჩემი მეწობლის ობლებისგანაც; ბიჭებს სთხოვა წყუელისთვის მიეგდოთ. მერე კუნძი მოითხოვა, ტანჯული დედის გვერდით თვალსაჩინო ადგილას დაქადა და თავის ქნევას მოაყვა.

— ოქრო-ვერცხლსა და პატროსან ქვებსა თხოულობს, ეს უხსენებელი, — მუხლებზე დაირტყა ორივე ხელი. — მე კიდევა, რაც მეებადა, ის მოვიტანე.

— ვისგან თხოულობს? — დაინტერესდა ერთ-ერთი ჭირისუფალთაგანი, ტანჯულ დედას გვერდით რომ ამოსდგომოდა.

— ყველასაგან, — მიღეული, ავადმყოფური ხმით თქვა მისან-მკითხავმა და აკანკალებული ხელი ირგვლივ მოატარა.



— უველასაგან?.. — ერთდროულად რამდენიმე ამოიძახა. მისან-მკითხავმა კი იმავ მიუღიანი ხმით განაგრძო:

— გოგიასთვის ვლოცულობდი. ვუთხარი, ველისკერ არ წახვიდე-მითქი და, არ დამიჭიკრა. საშველადა წმინდა გიორგის მოვუხმობდი და უცხად ეს უხსენებელი გამომეცხადა...

ახლა უფრო მეტმა ამოიგმინა ერთდროულად.

— ასე მითხრა, ოქრო-ვერცხლსა და პატროსან ქვებს თუ არ მომიტანთ, გოგიასაც ხომ თქვენს თვალწინ მოკვლავ, შერე კიდევია, სოფელს შვეუსევე გველებსა და ცოცხალსა არავის დავტოვებთო.

და ახალი განდებით აჩოქვლდა ხალხი... მისან-მკითხავსაც უველამ როდელ დაუჭერა. ქვეინებმა ისიც კი თქვეს, სისულელეს ლაპარაკობსო, მაგრამ მორწუნევი ბევრი აღმოჩნდა და ვინ ბეჭედს იძრობდა, ვინ საუურეს, ვინ სახლში გარბოდა, რომ რამე მოეტანა და წყულისთვის მიეგდო, რომ როგორმე ეხსნათ გოგია, უფრო მეტად კი — საკუთარი ოჯახებია.

მხოლოდ გოგიას ეპარებოდა ეჭვი, რომ შველას მოასწრებდნენ. უკვე ძლივს იდგა ფეხზე, დროადრო მხედველობას კარგავდა. არადა, როგორ არ სურდა სიკვდილზე ფიქრი, იფიქრებოდა კი... როგორი იმედი ჰქონდა ამ ხალხის, დედის და, როგორ ეცლებოდა ყოველივე ხელიდან. გაგანია სიცხეში ნელ-ნელა სხეული უცივდებოდა. ხალხი კი უაზროდ დარბოდა, ფუსფუსებდა, ჩოჩქვლებდა. ელოდნენ რაღაცას, აღბათ, ახლა სასწაულს და არ კი ელოდნენ, გოგიას სიკვდილს რომ ელოდნენ. სულ მალე მათ თვალწინ მოხდებოდა ესეც... სიცოცხლის წყურვილით და ვედრებით ადგინილი მურა მიაპყრო დოყა-დოყა ბიჭებს, იქნებ ამით უფრო მეტი ჭკუა, გამბედაობა აღმოჩნდეთ და როგორმე დროულად მიშველონო, მაგრამ ვინ რას დაინახავდა მის დაჰყუტილ-დაბრეცილ თვალებში... ბიჭები ყოვლის მომსწრე ბერიაკებს უთმობდნენ გზას, თან აფრთხილებდნენ, ეზოს შუაგულისკენ არ წასულიყვნენ და წყუელი არ გაებრაყებინათ...

ბერიაკებს ისედაც დანაოქებულთა ხსენებით უარესად დაუნაოქდათ ცოტა შიშით, ცოტა დაბნეულობით, ცოტა გაცოცხებით. მათაც უპირდათ, ჭოხებზე დაყრდნობილები ფეხზე ძლივს იდგნენ. არა უნდოდათ, შვეულად იდგნენ მალღები, — ზევით და ზევით მიცოცავდა მათი სული და სულ ქვევით, ქვევით ჩადიოდა, მიწას ეკვროდა მათი სხეული. ჭახჭახა მზის სხივებზე თვალები ძვალტუჯავ ხელებით მოიჩრდილეს და ისე გადებდეს გოგიას, უფრო კი წყუელს, ასე რომ ჰყავდა თავისი მსხვერპლი გაქაჩული.

მერე ერთმა ძლივს ამოთქვა: — ამას რასა ხედავს ჩვენი თვალები თან საოცრად დედავდა იგი, წელში მორკალულს, ხმაც კი ჩაუწყდა.

— წყუელზე მეტი რა გვინახავს, რამდენისთვის გაგვიჩქვია შხამით გატენილი თავი, მაგრამ... ეგეთი!.. — თავისი გაცოცხად დაინახა გამოთქვა მეორემაც. სხვებიც აჰყვნენ:

— ამასაც მოვესწარით... — სიბერემდე სიქაჩლო... გაგუდავს ბიჭსა ვერ გაუძლებს.

— რა დრო-ჟამი დავგვიდა...

— წყუელზე მეტი რა გვინახავს, მაგრამ... ეგეთი!..

— ვერ გაუძლებს...

ვერ გაუძლებსო, ნაღველით ითქვა ბოლოსიტყვა და დადუმდნენ; ხმასთან ერთად, გულშიც ჩასწყნარებულ ბერიაკებს. თეთრ ქანდაკებულად იქცნენ.

ქვევიდან შვეებში ჩაცმული ქალი მორბოდა. ნამტირალევი ჩანდა იგი (თუ ახლაც ტირილდა), ცის ფერს შერწყმულ თვალის კაკლებს წითელიც ეცხობოდა და უპიეებიც ოდნავ შესივებოდა. მეტად მომხიზველი იყო ეს საოცრება. აშარმა დედაკაცებმა (და ზოგიერთმა აყვია კაცმაც) ზიზღით თუ შურით (უფრო შური ეწერა იმათ სახეებს) მრავლისმეტყველი მახვილი მურა ესროლეს. ზოგიერთმა ხომ, თითქოს კეთროვანი ყოფილიყოს, ზურგიც აქცია; თვალსხივოსან დოყა-დოყა ბიჭებს კი უფრო მეტა სხივი ჩაუდგათ იმავ თვალბში, სხეულით იგარძნეს.

ქალის ყურს ბერიაკების ბოლო ნათქვამი მისწვდომოდა.

— გაუძლებს, — თქვა მან და მერე შესძებნა, — უნდა გაუძლოს...

ისე დასქეპა, ისე ლამაზად ითქვა სათქმელი, რომ მყისვე გაკეთა ბლანტი სივრცე ფრთაშესხმულმა ამ მონანავე ხმამ.

მეორე წყუელიო, ისიც ითქვა...

ერთხანს არაფერი ესმოდა, თითქოს აქ არც იყო. ზევით-ზევით მიიწვდა. თითქოს უნდოდა... დაბრეცილ-დაჰყუტილი თვალბით რაღაცას კიდევ ხედავდა; ხედავდა იმას, რასაც ადრე, მაგრამ მაინც თითქოს არ იყო აქ.

დიდი პელიოსის ჩახჩახა სხივებით ალაპლაპებულ ცაზე მიის წვიროსან, იქ, სადაც წმინდა გიორგის ტაძარი თეთრი გედვიით გაწოლილიყო, კუნაპეტივით შავი ღრუბელი დაინახა.

ეგება მართლა ზეწეულა ხდებოდა სული? ჯერ კი იდგა ფეხზე. მოუანტულ-დავარდომილ სხეულს ვერ იკავებდა, მაგრამ ფეხზე კი იდგა. ახლა მხოლოდ ფიქრობდა; ფიქრობდა სიცოცხლეზე...

წყუელი მშვიდად და რიტმულად სუნთქავდა.



და, თან რაღაც იდუმალ ბგერებს გამოსცემდა. თითქოს ისიც ლაპარაკობდა.

ვითომ სიყვარულს უხსნიდა?!. გოგონას გველის ცივი სიბრძნე ეღვრებოდა ტვინში. ასე ეგონა.

და რა მუხთალ დროს, — თვითონ მიდიოდა, ზევით-ზევით მიიწვიდა თითქოს. ესეც ასე ეგონა.

საიდან, საით?.. ალბათ, უსასრულობიდან უსასრულობაში, შეუცნობლობიდან შეუცნობელში, არყოფნიდან არყოფანაში...

„არარა იყავ და არარად იქცევი, — ტვინს უმღვრევდა ვიღაც, — ამას ვერაფერ გაქცევა...“ ახლა მიხვდა, თურმე რა ხანმოკლე ყოფილა ტანჯვითა და ვაებით ცეცხლწაყვანილი ეს მუხთალი, დაწყვეტილი გზა, აქამდე უსაშველოდ გარბეოდა რომ ეგონა. და იყვარა:

„ოცით, რა არის სიცოცხლე?.. გინახავთ, ცას ვარსკვლავი რომ სწყდება. რა სწრაფად ქრება? — აი, ის არის!..“

„მერედა, ერთი გაელვებისთვის ღირს კი ამდენი ტანჯვის ატანა? — არ ასვენებდა ის, ვიღაც და უმეორებდა, — ღირს კი?.. ღირს კი?..“

„ღირს!.. — სასოწარკვეთით ამოვიგინა მაშინ გოგამ და თვითონაც გაუმეორა, — ღირს!..“ „რისთვის!..“

„სიყვარულისთვის, წყეულო, სიყვარულისთვის...“

ეს რა წამოსცადა.. საიდან?.. როგორ!.. და უცხად სხეულში თითქოს რბილი სითბო ჩაედვარა; სხეული ოდნავ გაუთბა.

დაიბნა, ყველაფერი აერია ერთმანეთში, თითქოს სიცოცხლე ეცლებოდა ხელიდან, სიცოცხლე სტოვებდა ბიჭს და სწორედ ამ დროს ფეხს იდგამდა მის სულში სიყვარული. რატომ?.. იმიტომ, რომ სიყვარულის საიდუმლოება სიყვდილშია ჩამარხული?.. იმიტომ, რომ მიანცდამიანც სიყვდილს უნდა ჩახედო თვალე-ბში, სიყვარულის დანახვა თუ გინდა? აი, რა შესძლებია სიყვარულს! — სხეული გაუთბა და საჯაოს მოახდინა ესე იგი, იმედს ბოლომდე არ გაუფრთხვას, არ დაწერტა ისინი. ან ისინი ამჭერად სიყვარული უთბობდა. ამით იდგა ფეხზე და უხაროდა კიდეც. რა ახარება, მაგრამ მიანც უხაროდა, — თვალმარგალიტას ცრემლით შესველებულ ცის ფერს შერწყმულ თვალებს ხედავდა...

ტუყუილად მგონებია, მთელი საქალთი შევიჯვრეო. გონების საპირისპიროდ გულს მაინც გამოურჩევია ვიღაც და ბოლომდე მიწა-დობია თავის გამოჩენილ არსებას. ეს იყო ნაწი ყვაილის ნექტარის შესმა. ამ ნექტარის წყალობით გული განაახლებდა სისხლს, რომელშიც იღვრებოდა და გროვდებოდა

ველური თაფლი, ასეთი მძაფრი ტკბილ-მწარე რომ ყოფილა და ასეთი საამო მათრობელი

და სწორედ აი, ამ დროს არ უნდოდა, რომ დახარბაცებულიყო. წყეული თითქოს უდარ-აქებდა და ყოველ შექანებაზე ის აწამებდა, როგორც კატა თავებს, წრუწუნას. ან წრუწუნასთან რა შესადარებელი იყო, კატა დროდა-დრო ცოტა ხნით მაინც უშვებს თავის მსხვე-რპლს ბრჭყალებიდან, „გასიერნება-გამოსიერთების“ ნებასაც აძლევს. ეს წყეული კი წამოიხრებოდა არ ათავისუფლებდა, სწურავდა და სწურავდა რაც შეეძლო. მაგრამ ამას, ალბათ, კიდეც გაუძლებდა. ოღონდაც ცივი, სლიპი, ბლავი თავი გაეჩერებინა სადმე სხეულიდან მოცილებით. უშვებდებოდა მუშტისხელა უროსავით თავს ხან დამოერთხალ-დამონებულ სიხარულს სტყორცნიდა და უარესად აშინებდა, ხან პირ-დაპირ ბიჭს ჩახჩერებოდა თვალეებში და ნესტარით ცხვირზე გათამაშებოდა, ხან ნიკაპ-ქვეშ მალავდა, ყანყარაოზე არტყამდა და მერე ზევით-ქვევით უსვამდა. აი, ეს აგოებდ: ყველაზე მეტად გოგონას, რასაც ვერა და ვერ შეეგუა. მოწყვეტილ ხელეებზე, მეტყველება-წართმეულ დასივებულ-დაურუმებულ ენაზე, გრძნობაწართმეულ სხეულზე როდი ფიქრობდა, — არ სტკიოდა; დაჭიმულ-დაძაგრულ ყე-ულზე კანც გახვევებულ-გაქვავებული მჭონდა, მაგრამ ზედ წყეული მიადებდა თუ არა თავს. მაშინვე საზარელი შეგრძნების ცივი ტრუნანტ-ელი ჭერ ფეხის თითებისკენ გარბოდა, მერე უცხად მიქანებოდა თავისკენ, ურტყამდა ტვი-ნში, უბნებდა თვალთ, კვლავ გარბოდა ფეხის თითებისკენ და ასე, ამ მიმოქცევის არ უჩანდა თითქოს დასასრული. მის გამგმირავ, უმოძრო თვალეებში ჩახედვა ხომ შინის ზარს სცემდა!.. არადა, გრძნობადა, ეს წყეული, რო-დის უხაროდა ბიჭს, როდის ედღეოდა იმედი: სწორედ მაშინ მოუნდებოდა თვალეებში ჩახედ-ვა და ნესტრით ცხვირზე გათამაშება, — ტყუ-ილად მოგცემია იმედი, ჩემს იქით შენთვის სხვა გზა არ არსებობს, ისე ამოგზდი სულს, თვითონვე შემეხვეწებო.

ახე „უთხრა“ თითქოს ახლაც გოგონას, ბიჭს სხეულში სიყვარულის რბილი სითბო როცა ჩაედვარა. „უთხრა“ და მაშინვე წაართვა ხალ-ისი, აქეთ მჭერა დაუხშო და იქით, წყვიდა-ისკენ მიახედა. მხოლოდ უხილავ მხედველო-ბით სარკეს კვლავ შერჩა თვალმარგალიტას მოთვლილ თვალეებ და ბიჭს კვნიწა იმედი დაუტოვა, — ჭერ ამ ცვდებო.

და რა დიდი იყო მაინც ეს კვნიწა — „ჭერ...“ ასეც ყოფილა...

მწველი სხივებით გათანგულ-გადაბუფულ დედამიწას შვების მომგვრელმა ნიავმა გადაუ-რბინა, შემოიარა მიწა-ველი, მთასაც მოა-წყდა და სოფელშიც გაინავარდა. მუდმივ გა-ნახლების დიდ შემომქმედს ეტყობა, მოზებ-



და გაუთავებელი სულსამომხდელი სიცხეები, დწვა და დაბრუნება, რაც ინება; განაზღვრისთვის ემზადებოდა... ნაწად შერბა თუთის ხის ნორჩი ღერები კენწეროში და ყრუდ ამზრალდნენ ფართო ფოთლები.

წყევლმა ჴევით აიხედა, თავი აწვერა; თითქოს იყნოსა, ხაფრთხე შელისო და უცხად ისევ ზიჟის ნიკაპქვეშ შეიმალა, ყლს მიეყრდნო, და ცოტაც მიაჭირა...

„უჰ, შენი!“ — გინება აღმოხდა ბიჟს გუნებაში და მტეი ვერ შეძლო. დაბარბაცდა დიდ ქვას წამოედო, მაგრამ იმავე ქვამ უშველა; მორყეული ფეხი ჴედ მიაყრდნო;

სად მიდიოდა?... ვის მიაჩნდა თავი — წყევლს?... მერედა, რატომ! — იმიტომ, რომ ასახდენი იყო და ახდა?!

რა ოხრობაა!..

ბეჩაობა, ადამიანს როცა არ ჰყოფნის ტვინი, გონება და თავს იმშვიდებს, ასახდენი იყო და, რა ქვან, ახდაო.

„ახლა?.. რას ელით ახლა, ხალხნო, — ჩემს სიკვდილს? რომ მერე შალით ხელები, რა უნდა გვექნა, ეტყუება, ალბათ, ასე ეწერათ!“

გამოიხედა...

მიღეთ ხალხში პირველად მაინცადამაინც თვალმარგალიტა დაინახა. ისევ იქ იდგა, ეწოს გარშემორტყმული ხალხის წინ. შავ კაბაში განაწვართული შვებინსომგვრელი ეს ღვთება უშეშრად იდგა და, თუმც მოლივლივე თვალეები ცრემლით შესველებოდა, თბილად უშვერდა. ირგვლივ შემოცლოდნენ („ოჰ, ეს რეგენიბი...“), ჴურგს უკან მხოლოდ ერთადერთი მოჩიტულ-მოწიფული, მტად ჰაეროვანი გოგო აღუწვოდა და ისიც ტიროდა: უფრო გულიანად ტიროდა, თავისთავად სციოდა ცრემლები. მტად გულჩვილი ყოფილაო. გაიფიქრა გოგამ. თვალმარგალიტა კი არა, არ ჩანდა გულჩვილი, ღირსეულად იდგა და თბილად უმზერდა. მერე იმ მოლივლივე თვალეებით თითქოს ისიც უთხრა, დაქქიო, ქვაზე დაქქიო, ცოტას მაინც დასიკენებ, ნუ გეშინიაო. და გოგამ, არც უფიქრია, ნელ-ნელა მუხლები ჩახარა; ჩახარა და ქვასაც მიწვდა, დაჭდა. წყევლს თითქოს არც შეუენიშნავს, რა მოხდა, მშვიდად ბრძანდებოდა და ხალხს, უფრო სწორად, ვინაც დაინახა, უცხადედა და ერთდროულად აღმოხდა, ვაშაო, აქა-იქ ტაშიც დასცხეს.

თურმე რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს... ცოტაც და, დედა გადმოვარდა სიხარულით კუნძიდან, ბლ-ბლოო, სიხარულით შესიქროდა ხან აქეთ-იქიდან ამომდგარ გულშემატკივრებს, ხან შეიღს... ჴოგი იციწოდა და ჴოგიც ტიროდა სიხარულით. თვით გოგინასაც უხაროდა, ტვირთის ნახევარი თითქოს მოეხსნაო, შვებით ამოისუნთქა. მხოლოდ გავასთან წელი ისევ საშინლად ეწვოდა და სტიოდა, პირველად კუ-

დი რომ დასცხია წყევლმა, აი, ის ადგილი, გრამ წელს ვინაა ჩაოდა, — დაჭდა მტკარა ლეხა მისცა უხსენებელმა..

თუმცა სიხარულს არ ჰქონია დიდი ხნის ვადა. წყევლმა მაინც იგრძნო, ბიჟს რაღაც რომ გაუხარდა და უფრო მრისხანედ მოკტარა თავი ირგვლივ, უფრო მრისხანედ გაწურა, ნუ გგონია, მოგებსნებო, მერე კი კვლავინდებურად ყანყარაოზე „მიუღღრსა...“

არა, არ ჩანდა ხსნა...

რეგენიც მიხვდა...

დიდი ჰელიოსი დასავლეთით გადაბრდიოყო, კუნაბტ ღრუბლებს გაურბოდა, ვერც გაურბოდა. შავ-შავი ჩრდილი მოცოცავდა დედამიწაზე. ტიალი წუთები ახლოვდებოდა. ალბათ, მალე ყველაფერი დასრულდებოდა. ასე ჩანდა. ეს შეიცნო გოგამ ხალხის უცხადე, სულსწრაფ ჩოჩქლონი. ეს აჩნდა ერთ მტად აშარი, კაპასი ქალის საქციელსაც, თანაშრახველები რომ ამოეყენებინა გვერდით (რომელთა რიცხვი თუ არ მატულობდა, არ კლებულობდა) და თითქოს ვინმეს დაეკლებინოს, ყველას ხელეში უყურებდა, ამოწმებდა და უქეკავდა, თუ რა „შეწინი“ მოჰქონდათ. ჴოვს ლამის თვალეებს თბილად თავისი ფრჩხილებწაწვტებული გრძელი თითებით, ვერ გარგეთ, წყევლი რას შეგვიპირებია?! უმრავლესობას ხომ რა შეხსენება სჭირდებოდა. გაიგებს და თანაც როგორ! — ვინ ტაშებს მორაბენინებდა, ვინ რაებს, ვინ ოქრო-ვერცხლს და ძვირფას ქვედა. მოკლედ, ვისაც რა ჰქონდა და რა შეეძლო. ჴოგიერთმა მამაკცმა ქამარ-ხანჯლიც კი მოიხსნა (ჴოვს ცოლმა შეხსნა); ენანებოდათ, თან ოხრავდნენ და ცრემლებს აფრქვედნენ, მაგრამ მაინც იხსნიდნენ, მოჰქონდათ და წყევლს უყრიდნენ. ამ დროს ნაკლებად ახსოვდათ გოგია, — თუ რამ მოჰქონდათ, წყევლისთვის მოჰქონდათ, ამა, მოგვირთმეცია, ოღონდ ჩვენს ოჯახებს გველებს ნუ შემოუსევო. ამით ჰგავდნენ ერთმანეთს ავადმყოფურად, — ოღონდაც თვითონ ყოფილიყვენენ ქარფად, უწერუნველად... ოღონდ მათ პირად ცხოვრებას ნურაფერი შეაფრთხობდა, ნურაფერი შეაშინებდა და მარტო ერთი გოგია კი არა, თუნდაც სხვა, ყველა დაეწრჩო და გაეგუდა წყევლს... ეს ამოციოთხა გოგამ მათ ცქცევში, მათ შეშფოთებაში, ოხვრასა და ცრემლებში (ეს კაპასი ქალი ხომ ისე ჩანდა ატეხილი, თავის თანაშრახველებიანად ცალკე რაღაც უბედურებას დაატრიალებდა); და ეს დაინახა სწორედ ახლა, როცა ნახევრად გრძნობაწართმეულს და ნახევრად ცოცხალ-მკვდარს ხსეულში სიყვარულის რბილი სითბო ჩაედვარა. უცხად საოცარი ტვივილი იგრძნო შიგნით, ძალიან ღრმად...

რა ექნა დედას?... იმედი იყო, როგორ არა მისი ტანწული სახისა და თვალეების ზიღვა ბეჭრს



უფოთქავდა გულს. ბევრს აღონებდა და გმირობისთვის განაწყოდა. მაგრამ თვითონ დედას რა ელონა, შეიღს რით მიხმარებოდა?.. დედის შეხედვა გოგიას ვერ ჰგვრიდა იმ შევებას, რაც ახლა სჭირდებოდა. დედა იქით იყო მისახედი, — მუხღმრკვეთილი, იმავე მუხღლებზე გამწარებით ირტყამდა უღვთო შრომისაგან. ნაადრევად დაღუფულ-დანაოქებულ პატარა ხელებს, დროდადრო თავშიც წაიშენდა, გამხმარ მკერდში იბაგუნებდა მუშტებს და თან ლულულუღებდა, „აღ-ბღლო“, ხღსღს და, აღბათ, ღმერთსაც შესთხოვდა, მე მომკალით, ოღონდ შეილი გადამირჩინეთო.

არა, არც დედას შეეძლო შეველა. დედა თავად იყო იქეთ საშველი და მისი ზღვა გოგიას იმ შევებას ვერ ჰგვრიდა, რაც ახლა, ამ წუთის საშინელი შეგრძნებებით გაღვლეილ-გათანჯულ გულს დაუამებდა. უფრო პირიქით, დედის შეხედვამ, უფრო სწორად, ამ გატანჯული ქალის თვალების დანახვამ კვლავ გათიშა თითქოს, სმენა დაეზო; თითქოს არც იყო აქ, ზევით-ზევით განაგრძო სვლა. ტვინში კი გველლის ცივი სიბრძნე ეღვრებოდა და ეღვრებოდა. ასე ეგონა.

„არარა იყავ და არარად იქცევი, — კვლავ შეახსენა იმ ვიღაცამ. — ამის ვერავინ გაქცევს...“

„კიდევ ცოცხა ხანს!.. — იყვირა ბიჭმა. — სულ ცოცხა ხნით კიდევ დამაცადეთო!..“

„მერედა, რისთვის?...“

„სიყვარულისთვის, შე წუეულო, სიყვარულისთვის...“

და უცხად, ნახევრად ცივ სხეულში რბილი სითბო კვლავ ჩაედვარა, კვლავ გაუთბა ოღნავ სხეული.

რღღაც გაუხარდა...

სხეულს კი არა, სულს უხაროდა და ახლა მიხვდა, რა ქალი ყოფილა თვალმარგალიტა (დედის მერე ის დანახა). სხვა იქნებ იტყოდა, ვინ ყოფილაო, მაგრამ გოგიასათვის ახლა უკვე აღარ არსებობდა „ვინ“ ქალი; მისთვის ახლა თვალმარგალიტა იყო „რა“-ქალი, ოღლები დედა, ბიჭის იმედი, და სოფლისაც! — თუმცა ვერ ჰხედებოდნენ რეგენები, ზოგიერთი წყუთლსაც ეძახდა. გოგიას კი მისი თვალების ზღვით სხეულში სიყვარულის რბილი სითბო ეღვრებოდა. ისე კი არა, აღრინდელივით, — სულ სხვანაირად; სხეულს კი არა, სულს უხაროდა და, ახლა იმასაც მიხვდა, რომ თვალმარგალიტას არ შეეძლო იმ სახლში შესვლა, სადაც ორივე უტვინო ძმას ერთდროულად სალოგინედ ეყვარებოდა. კი, ალბათ, ცდებოდა გოგო მაშინ, ალბათ... მაგრამ არ ეცინა, როცა უცინოდნენ?.. არ ევახუბა, მიც მიყვარხარო, თუნდაც მასხრობით,

როცა ტრფობაში უტყდებოდნენ და ეუნებოდნენ, მთელ ქვეყანას მირჩენენხარო?.. ნდაც, ზოგჯერ მაინც არ ეცოცნა, როცა თვალდაბუქულები ტურებს საკონცნელად უწვდინენ?.. მაშ, რა ქნას ვარდმა, სულ პატარამ, მის ნორჩ ღეროზე ერთდროულად ორი ბულბული თუ წამოსკუბდა, მათ გაღობას არ მოუხინისს?!. ამა, რომელი წელმაგარი უვაკიელი ზრახავს მინდვრის ნორჩ ყვავილს, თუკი უბრეი იგი დღლის ნამსაც იფარავს და მზის სხივებსაც თვალთა ციმციმით და ნეტარებით ეაღერებსბა?!. ყოველგვარ ასაკს აქვს თავის კარგიც და ცუდიც, მაგრამ ის წლები მაინც სხვა არის გაზაფხულივითო.. ახლა თვალმარგალიტა უკვე ქალია, თანაც რა ქალი! — ოღლების დედა, ბიჭის იმედი (გოგიაც ხომ ობოლი არის!), და სოფლისაც!.. დიახ, ასეა. თვალმარგალიტა უფრო დიდი და მაღალი ქალი აღმოჩნდა. რა მოხდა თუკი ერთდროულად ორივე გარიყა? — სამაგიეროდ ძმებს ააცილა შური, შეუღლი, მტრობა, შეტრცხვენა და თავს ლავის დასხმა (განა ასეთ დროს ასეც არ ხდებდა?), საკუთარი სულის (და ძმებისაც) გადასარჩენად; აი, ეს მოხდა.

ზემაღალი გამოჩნდა ახლა იგი — ოღლების დედა; გვირგვინი ეღვრა...

და გოგიაც მიიწევდა ზევით, რომ მისწვდომოდა...

ის მოჩიტულ-მოწიფული მეტად ჰაეროვანი გოგონა კვლავ თვალმარგალიტას ზურგს უკან იდგა ორეულივით და მის შემცვლელივით. მხოლოდ ხანდახან ბედავდა და წინ მოდიოდა, თითქოს სურდა წყუელს შეხმოდა. სხვა მისი თანატოლები შიშით გარბოდნენ (წინ რა მოიყვანდათ!), ის კი მოდიოდა, ცრემლები თა ვისთავად სცვიოდა და ათრთოლებულ-აკანკალებული, სულის შემძვრელი მზერით გოგიასკენ იციქირებოდა.

„რატომ ტირის ნეტავ ასე გულიანად?...“ — ჰკითხა თავის თავს გოგია და ახლა, როცა აქ კი იყო, მაგრამ არც იყო აქ, ანგარიშმიუწვდომელი სურვილებით ოცნებებში გაინავარდა...

როგორ მღეროდა, როცა ფიქრობდა — მეჭავრებო, ცოლ-შვილს არ გავიქნე, ისე ვიცხვარებო?... რა იყო მართლა? — იყო არარა და კვლავ არარად იქცეოდა! — არ დარჩებოდა დიდი გვარის გამგარძელებელი, არ დარჩებოდა ძე, ასული — მომგონებელი, სოფლის მშვენება და სოფლის დამცველი!..

როგორ მღეროდა, როცა ფიქრობდა, მთელი საქალბეთი შევიჭავრეო? აი, ის ქალიც!.. ქალი კი არა, რძემშობილი ნეტარება, ვისთვისაც თურმე თვალი უნდა ეღვენებინა!..

დიახ, ეს იყო ის, ვინც მიწიერი სიყვარულით გაუყოფდა ლოგინსაც, გულსაც და ლამაზ-ლამაზ ძე-ასულსაც მრავალს აჩუქებდა.



სად ჰქონია თურმე თვალები.. მომხვედრებდას და სხვა სოფლის ბიჭებსაც მხოლოდ ამ სოფლის გოგოების წაყვანა სურდათ თავის ჭიშის, თავისი გვარის გასამრავლებლად და გასალამაზებლად, თვითონ კი თურმე სად ჰქონია თვალები დავსილი! — გოგო ყოფილა და თანაც რა გოგო! — წვივებჩამოქნილი, თემომადლი და, რა თქმა უნდა, წელწერილმადლიც, ბროლოქავევა, ირმისყელა, ვარდისფერლოყება, ბუბრისთვალევა, თმაგიშერა... თანაც როგორი ქედმადალი და მედიდურია (და მოცხვიც) — ცდილობს დამალოს ღელვაც, შიშიც, წუხილიც, ცრემლიც, თან ვერ მაღავეს, არ გამოსდის და ამით უფრო საცნაურია მისი ქცევა, მისი ცრემლები...

„ასე გულმანად მაინც ნეტავ რამ აატარა?“
 ისე იკითხა, თავისთავად, სულ სხვა რამეს მისჩერებოდა. ამ ნეტარ-გოგოს აღმურმოდებულ-ნერწყვშესველებული, დაბურთული, დასაკოცნი ტურებიდან ბიჭმა მწერა მის სრულ მკერდზე — ორ კოკორზე, გატყენულზე და გეშალს რომ იწყებს, აი, ისეთზე, გადაიტანა და მთელი ოცნებით იქ ჩანანავდა...

თურმე რამდენი, სიყვარული ჰქვებია ბიჭს. თან რა დროს მიხვდა, ნამდვილ სიხარულს არ ჰქონია ტყვეობაში დიდი ხნის ვადა. სწორედ იმწუთს, იმ ნეტარების ეამს, რასაც არა და არ მიელოდა, უცაბედად და თავისთავად შე-შფოთებულს აღმოხდა:

„მიხხენით!..“
 მხოლოდ ამჭერად ვერ გაარკვია ვისგან, ან რისგან ითხოვდა ხსნას. წყუელისაგან, ასე სწრაფად რომ უახლოვებდა, სიკვდილს, თუ სიყვარულისგან, ასე უცაბედ რომ აუხილა ბეჩავს თვალები და ახლებური ნეტარ-ნეტარი ფერებით დაანახვა მთელი სამყარო. უკვე სიკვდილის როდი ეშინოდა. ახლა მხოლოდ ის აღარდებდა, ასე უაზროდ რომ მიდიოდა იქ, რასაც, ალბათ, მართლა არაარაბო ერქვა.

არა, არ ჰქონია ტყვეობაში ნამდვილ სიხარულს დიდი ხნის ვადა (თუ ტყვეობაში საერთოდ შეიძლება ვინმემ ნამდვილი სიხარული განიცადოს და ისიც — დიდი).

გვიან კი მიხვდა...

„შავ-შავი ჩრდილი დაჟინებით, შეუნელებლად მოცოცავდა დედამიწაზე. ნარანარა ნიავს ფრთამალი ქარი სწრაფად დევნიდა, შავ ჩრდილთან ერთად დაუკითხავად ეუფლებოდა ყოველს და ყველას და თანდათან შრიალს უმატებდნენ თუთის ხეზე ფართო ფოთლები.“

მაღე მართლა ყველაფერი დასრულდებოდა. ასე ჩანდა. ასე შეიცნო გოგამ. ან სწორედ ახლა იწყებოდა ის, რასაც აქამდე საშინელის მთაფრი შეგარძნებით ყველა რაღაცას სულმოუთმენლად ელოდა და ვერც ელოდა. წყუელს მცირე ხნით მშვიდად ყოფნა რომც სდომოდა,

ხალხი მაინც აღარ აცლიდა. ადამის პირში ეს გენიოსი ადამიანი ხომ წყუელსაც სჭარბობდა სულ მცირედი თუ იმძლავრა მასში სხეულმა და სული, რითაც მართლა ღმერთის უტოლდება, დაუქვეითდა. დგებოდა ეპი, როცა უნდა გარკვეულიყო, ვის რა შეეძლო, ვინ ვინ იყო. ამ არამითხე ქაას დედაცაც, თავის თანატოლ დედაცაცებს სხეულით იქნებ კიდევ რომ სჭარბდა, ერთის შეხედვით გაუგებარი მოწადინებით და გულმოდგინებით; იმდენი ექნა რომ გონებასავსე თუ გონებადაცლილ ადამიანთა დიდი ნაწილი ერთმანეთისთვის მტრად წაეკიდა. ახლა მხოლოდ მიზეზს ეძებდნენ, რომ წყუელისთვის ეჩვენებინათ, სისასტიკეში არაფერი ჩამოგარბნობო; ახლა პატარა ნაპერწკალი იკმარებდა, ყველას ერთად ტანჯული სული ეშმაკისთვის რომ მიეყიდა და უცაბედად შთამომავლობით დაგროვილი, გულში ნაპარხი ბოლმა და შურის უსასტიკესი აფეთქებებით მაინც დადამინე აქ, ამ ეწოში ერთმანეთზე გადმოენთხია. თან ზოგეუროთი აუწერელ შიშს ატანდა — ბრმად მლიქვნელობდა ვერაფ წყუელს, ფარისევლობდა, ეფერებოდა, მუხლმოყურითაც კი ევედრებოდა, ნუ ისურვებ ჩემი შვილების, ჩემი ოჯახის ამოწყვეტას. და იდგა ასე უთავბოლო გნის-გრაილი, უტრისწამლები წვილ-კვილი და ბღავილ-ჩხავილი.

არა, იმდენად როდი სწამდათ, ან იმდენად როდი სჭეროდათ მისან-მკითხავის, მაგრამ ის სიტყვა უკვე იყო მწარედ ნათქვამი, ვიღაცამ უშად დადასტურა. მისან-მკითხავი ჭერ არასოდეს შემეცლარაო, ვიღაცამ სწრაფად, პატროსნად აასრულ ძნელი „პირბოა“ — სულ მოიტანა რაც რამ ჰქონდა, და საშინელი ახალი განცდა შავი ჭირითი უნებურად ურწყუნობებსაც გადასდებოდა. ახლა ერთმანეთს ახალი შიშით და ურყოლივით ხელეშში შესცქეროდნენ, თვალით ზომავდნენ, წონიდნენ, იმპასოვრებდნენ „შესაწირად“ ვის რა მოჰქონდა და არც მათ სტოვებდნენ უყურადღებოდ, ვისაც, რატომღაც, ჭერ არაფერი მოეტანა.

ყველაზე ერთგული „გადამხდელი“ მაინც გარმანელები აღმოჩნდნენ. ჭიშით და ბუნებით ამ ხელმოკერობ ხალხს ახლა რატომღაც სულიც აღარ ენანებოდა; წყუელისათვის მოჰქონდათ და თანაც რამდენი — ეწო გაავსეს..

მიღეთ ხალხში, რა თქმა უნდა, ბევრი იყო გარმანელი. თუმცე უთავბოლო ალიაკოთში, თანაც ისინი სოფლის ნამდვილ მკვიდრთ ისე შერწყმოდნენ ჩაცოხლობით, ქცევით და ზოგ-ზოგ ზნე-ჩვეულებით, რომ ახლა ვინ გაარჩევდა, ვინ ვინ იყო, ვის რა სწაღდა, რა აწუხებდა, მაგრამ იერით მაინც ცოტა განსხვავდებოდნენ და, გოგამ, როცა დედას თვალი კიდევ ერთხელ შეავლო, იქით, გადაღმა, ქვიტიარის კედელთან მწერა მკვიდა იმ გარმანელს, დილას ზურგზე სახერ მწარედ რომ გადაუჭირა.



აი, ნამდვილად ვის უხარიაო ჩემი ტანჯვა, შეწუხება გოგია. ვერაგ წყეულს ბიჰისთვის სულ ჩერ არ ამოხება და გრუწხათიანი, მუგუწ-წოდვით შვი გარმიანელი სახლს კვლავ გულმოდგინედ ათვალერებადა. წარმოდგენებში, ალბათ, სარფიან გეგმებს აწყობდა, ეს რომ მოკვდება, მერე შვილის გადასარჩენად დედა აუცილებლად გაყიდის ამ სახლს, ბატონ-პატრონი მე და ჩემი შვილები გავხდებითო. თან იმ აღერას, საიდანაც დიღას ფეხით ქვა გაროგადო, კედელში ახლა ვითომ მალულად სხვა ქვას არუედა, — მორიგებამდე რაც მეტს დავანგრავ, ხელში უფრო იაფად ჩავიდებო.

უმ, როგორ არ სურდა გოგიას ამ დროს სიკვდილზე ფიქრი...
 „მიხსენით, ხალხნო!“ — კიდევ ერთხელ თავისთავად და შეშფოთებით აღმოხდა ბიჰს. ამჩერად გაორებული გრძნობა აღარ აწუხებდა; უკვე იცოდა, უპირველესად რას იზამდა, მართლა რომ ეხსნათ; უკვე იცოდა, რას ეცდებოდა ცხოვრებაში, ამ გადათიფის როგორმე რომ არ გაეხარა მის მამაპაეულ ადგილ-მამულში და ამიტომაც გაიბრძოლა, მიხსენითო. მაგრამ რაღა დროს. სწორედ მაშინ წყეულმა თავი ასწია და, თითქოს გრუწხათიან გარმიანელთან პირი მქონდა შეკრული (თუ პირიქით), პირიც დააღო...

არაფერმა გასჭრა. საქმოდ მოზრდილი ვერცხლის ტაშით რძეც მიართევს, ოქროვერცხლდული თუ ძვირფასული ქვებიც საქმოდ მიუყარეს, ეწო გაივსო ნაირ-ნაირი თვალისმომკრებელი ჭიქებით, კოვჭებით, ჯამებით, სინებით, სხვადასხვაგვარი სამკაულით; გულსაკიდებით, საყურებით თუ ბეჭდებით, არ დაუკლიათ ქამარ-ხანჭალი, დამბაჩები, თოფებიც კი, აქურტები, აღვირები, უნაგირები და რაღა არა; მერე ვიღაცამ ისიც თქვა, მუსიკა უყვარს და სალამურებიც დააკვინეს, იცეკვებს და იმღერებს კიდევ, მაგრამ ტვინგაყინული არსახსენებლის გულის გაღლიბა, მონადირება ვერა და ვერ მოახერხეს; არ გამოვიდა. ის კი არა, ზედმეტმა ალიაქოთმა, ვითომ მისდამი უანგარობამ, მატრავეცულმა მილქენელობამ, დამცირებულმა ხვეწნა-მუდარამ, ზოგ-ზოგ ყუეერთა კუდაზბუყურმა თავის წარმოჩენამ — აი, მე რა მოგართვი, თანაც რამდენიო, — მთლად გადარია წყეული და ბოლოს, როცა ამხნამაც აურია — წინწყველა დაიწყო, მთელი ძღვეამოსილებით და მრისხანებით პირი ბოლომდე გადაშალა. მერე ასე ყზაგადახსნილმა თავი ირგვლივ მოატარა, ყველას დაახანა უშველდებელი, შიგნით შერკალული და წაწვეტებული ბასრი კბილები (თუ გამაბრაზებთ, თქვენც ამ კბილებით გაგათვებთო), და ბოლოს გოგიასაც მიუტრიალდა...

მაყურებელთა ერთმა ნაწილმა ერთდროულად ამოიბდაულ-ამოიკვილა, ეს იყო და ეს, უცაბე-

დადევ ენა ჩაუვარდათ, მოულოდნელად მოწუხსულები ერთ ადგილზე დაქავდნენ და დამტყვევებულნი შეწყვიტეს და საზარელის მოლოდინში ყველა ერთად ისე დადუმდა, რომ მკაფიოდ გამოიკვეთა ქარის სისინი, წვიმის წვეთების ტყაპუნის ხმა გადახმმარ-გადატრუსულ ბალახზე და ხეთა ფოთლების ყრუ შორაილი.

საბრალოდემ უცაბედად ამოიკვივნა, ბლბლო, რაღაც ითხოვა, თან ორივე ხელი მაღლა შემართა და ასე დარჩა გამხმარ ხესავით. თვალმარგალიტაც მყარად ვერ იდგა, ქანაობდა... მერეოვნამა, მოჩიტულმა და მოწიფულმა ბუერისთვალემა პატარა გოგომ კრ იმავ თვალგებზე ორივე ხელი უცებ აიფარა; ცრემლებმა ახლა ლოყების ნაცვლად, ჩამოსანთლულ თითებს შორის იპოვეს გზა, გამოუონეს და ბროლის მკლავები ჩამოკვალეს, ჩამოახველეს.

გოგია მოკვდა...
 ზო, ეს იყო ჩქამი, გაეღვების მსგავსი მცირე დრო, როცა გოგიამ გაიზარა, რომ იქცა არარად...

და აი, სწორედ ამ დროს, თითქოს ღმერთებმაც სარსურვესო ბიჰის სიკვდილი, უცაბედად და ხალხისთვისაც მოულოდნელად ზეცა განათდა.

ელამ იმძლავრა... ზეცის მრყეველმა სოფლის თავზე ცა გადააპარა, ელვის ბრქვალეებით ჩააფრინდა კიდიან კიდეს და თან ისეთი ხმით დასტეკა და დაიგრუხუნა, რომ ზეცასთან ერთად, დედამიწაც დააწაწარა.

წყეულმა თავი სწრაფად იბრუნა, ზევით აწვერა. ახლა ელიას წაუსისინა, მაგრამ მას აბა, რას მისწვდებოდა და მალე ისევ ძირს დახარა, მხოლოდ ამჩერად გოგიას ნაცვლად, რაკომაც ისევ ხალხს მიუბრუნდა.

ელვა-გრუხუნმა, ქარმა და წვიმამ ბეჩავდქმნილი, მოჭადოებულ-მოწუნსული ადამიანიც გონს მოიყვანა, გამოაფხიზლა.

უფრო შეშინდნენ...
 ყველაზე ადრე კაპასი ქალი ამოძრავდა. აკანკალბულ, სახეშეშლილ ხალხს ქორივით გადაავლო სიავით თუ შიშით სისხლჩაქცეული მსხვილი თვლები და მზერა მისან-მკითხავზე შეჩერა, იქვე ახლოს ჩონჩხად ქცეულ პატარა ხელდამ გამწარებით რომ ასავსავებდა, ბოლოს კი მიღეული, ავადმყოფური ხმით ძლივს ამოთქვა:

— წმინდაო გიორგი, იხსენ სოფელიო...
 მისან-მკითხავისთვის ვის სცხელოდა. ყურისწამდებ ხმაურსა და ალიაქოთში მისი ვედრება გვერდით მდგომებსაც არ გაუგონიათ, ან თუ ვინმეც ყურს მაინც მისწვდა, იმანაც, ალბათ, გულში ილოცა, მაგრამ კაპას ქალს ავად ენიშნა.

— იხსენ სოფელიო! — დაეჭვებით გაიმეო-

რა. მერე მწერა წყუელის ესროლა და უცბად ქვედა უბა აუცახცახდა. — ურჩი გადამხედველის გულისთვის სოფელი მაინც უნდა ამოფუჭო და, უველასთან ერთად, ჩემი ოჯახიცა?!

წყუელმა უფრო გაისისინა, თითქოს დასტური ამით მისცა და კაპასმა ქალმა აღმურმოღებულ მრგვალ ლოყაზე სილა იტკივა.

— მაშ, ეგრე, არა? — დაქადნებით თქვა. მტის აღარ დაფიქრებულა, გევი პირდაპირ უველაზე უკვირა კაცისაკენ აიღო და მოუვანილ მენჭებზე ხელბეშემოყრდნობილი მეხვიით მიეჭრა, — შენა ვითომ, რატო არაფერი მოგაკ? უკვიანი შეცბა. იმდენად ახლო იდგა ქალი, უკან დაიხია და ისე ჩაიბურღლუნა:

— რა სისულელეა...

— ხალხნო! — იყვირა უცბად კაპასმა ქალმა, — წყუელი გვიწყურბა, უველამ არ მომართვა შენაწირი, ხალხნო! ზოგმა კიდევ, მომატუეა, ცოტა მომიტანა!

— ეს, როგორ? — გაკვირვებით აიჩნა მხრები მერე უკვირანმა და თავისი სიუკვიანე იმით გამოსახა, რომ მაშინვე თავს გაქცევით უშველა, სადღაც მიიმალა. უველაზე უკვირანმა კი გააგებული ქალის შეჩერება სცადა და ლიბილით მიმართა:

— დაწყნარდით, ქალბატონო...

მტის თქმა ვერ მოასწრო, კაპასმა ქალმა უვირილი მართო:

— აი, ვინაა ჩვენი მტერი! — თან ფრჩხილბეწაწვეტებულ გრძელი თითები უკვირანისკენ მიაშვირა, — აი, ვის უნდა ჩვენი და ჩვენი შვილების ამოწყვეტა... აი, ვის უნდა სოფლის მთლად ამოფუჭვა!..

და აირია მონასტერი: ვინ ვის ეცა, ვინ ვის ურტყამდა, რას ურტყამდა — მუშტს, ჭოხს თუ ჭიკოს, რატომ ან რისთვის, განმეითხავი არავინ იყო.

მხოლოდ პატარა ბუერისთვალემა გოგო იდგა გოგიას წინ ნირშეუცვლელად, თითქოს თვალმარგალიტას მაგვირობა მას ეკისრა და უფრო ახლოც მოსულიყო; აღარც ტიროდა... გოგიას რაღაც გაუხარდა...

კაცისპირულმა თავსებმა წვიმამ სხეული უფრო გაუცია, მაგრამ მცირე შეცბა მაინც მისცა და შედარებით სუნთქვაც გაეხსნა, მერე პატარა გოგოს მწველმა თვალბემა შეგრძნებარწმეულ და გათოშილ იმავე სხეულში სიყვარულის რბილი სითბო კვლავ ჩაუღვარეს და თითქოს მოცოცხლდა, საქაოს სულ მცირედით გამოიხიდა. სიხარულის რაღაც მიწევიც, ალბათ, ეს იყო, და ალბათ, ისიც, იმედი რომ არ გაჰქრობოდა და ახლა, სულ სხვაგვარად სახეშეცვლილი მოვლენოდა. მაგრამ ამ იმედს თან დიდი ტკივილი მოეტანა. გოგია ერთდროულად გულ-მუცლისამრევმა კაეშანმა მოიცვა და ნახევრად გაუინულ თავში გაწაფხულის

კელბივით ახალ-ახალი აწრები აეშალა, თან დაც, ასე ბრმად რატომ უნდა შეტყუარებულა?.. მერედა, ვინ, — ის გოგია, ერთ დროს საქალეთი რომ შეიჭვარა?.. ის გოგია, რომელმაც თავისი ღვიძლი უფროსი ძმა არ დაინდო და დათვზე სანადიროდ დატენილი თოფის ვაზნა თავის მოსაყლად მიუტანა?.. თუ ის გოგია, სახლს, დედას, სოფელს ჭერ რომ გაექცა და როცა გაუჭირდა, უკან დაბრუნდა, თანაც ამხელა წყუელი მოგვარა უველის ჭირად და ოხრად?! ამ ხალხს კი არ დაავიწყდებოდა დღევანდელი დღე; დღეის მერე ვეღარ იცხობრებდნენ წყნარად და მშვიდად უწრუნველობის მოპოვების ცრუ ნეტარებით, უკვირეთვის გაახსენდებოდა წყუელშემოხვეული ბიჭი და ისიც, ვითუ, გველები სოფელს მართლა შემოესიონო; მათ უკვე იცოდნენ ნამდვილი სიცოცხლის ფასი, ნამდვილი თავისუფლების ფასი და ამით იქნებ კეთილი სამსახური გაუწია ბიჭმა სოფელს, მაგრამ ამ პატარა გოგოს რატომ უნდა შეტყუარებოდა ის გოგია, რომელიც ახლა ამ გოგიას აღარც მოსწონდა და აღარც უყვარდა?!

შეეცოდა...

ფრთამაღი ქარი შავ-შავ ღრუბლებს სწრაფად დევნიდა და თვითონაც თან მისდევდა. წვიმამაც უკლო. მხოლოდ ხალხი კვლავ წიოდდა და კიოდა, ბლაოდა და გმინავდა, კვლავ იზილდებოდა სისხლი ტალახში... უგუფურებას დასასრული არ უჩანდა.

წყუელი ამ დროს უმძრარ წვრილი თვლებით ხალხს შესცქეროდა, თითქოს სურდა გაეკვირა, სჯობიდა თუ არა ადამის შვილი — ეს გენიოსი ადამიანი სისასტიკეში. ერთხანს უროსავით ბლაგვი თავი მათ განაფრთხობდა ტყორცნა და ტყორცნა, მაგრამ მალე ისიც მობეჭრდა (ახლოს მაინც არავინ ევარებოდა) და მერე ისევ ბეჩვადქმნილ თავის მსხვერპლს მიუბრუნდა; პირი აღარ გაუღია, ბლაგვი თავი ყანყარატოზე მიადო და ნელ-ნელა მიაჭირა...

გოგიას ტვინში გველის ცივი სიბრძნე კვლავ ჩაედვარა.

„პირდაპირ, ცხონება...“ — აღმოხდა ბიჭს კმაყოფილებით და ნეტარებით. რა მოხდა, თუ ენა ჰქონდა დასივებული-დარუშმბებული და ხემაღლა ვერ იტყოდა, რასაც ფიქრობდა? სამაგიეროდ უკვე აღარც აურუოლებდა და აღარც აკანკალებდა (და არც იმ ხალხში ერია, სახედნიეროდ, ერთმანეთს სასიკვდილოდ რომ არ ინდობდნენ). ახლა მხოლოდ გონებამ იცოდა, ისიც ბუნდად, რომ შეგრძნებდა-ქარგული ბიჭი ნელ-ნელა ქარგავდა სხეულში სითბოს და მალე წყუელივით გაიცვდებოდა. ეგ იყო და ეგ, — სხვა არაფერი აწუხებდა, აღარც სტიკოდა და ასე ლამაზად და ცხონებით მიდიოდა იქ, რასაც მართლა არაორობა ერქვა.



მხოლოდ პატარა გოგოს ჯავრი მაინც მისდევდა. ბინდგადაკრულ დაბრცილ-დაჭუტებულ თვალეშში იმედად რომ აბუტტდა და აციალდა საცოდავად. არ სჭირდებოდა მას გოგაის სიუყვარული. გოგია ახლა წყუელის იყო, მხოლოდ წყუელის.

თვალი თვალში გაუყარა და ბლაგვი თავი გადსატყორცნად შეამზადა — კისერთან ჩამრჭებულა; გოგია კი უფრო მაგრად გაქაჩა და გაწურა; ბიჭი ახლა სანდო საყრდენად სჭირდებოდა.

და წაიქცა კიდევ...
 მოჩიტულმა და მოწიფულმა ბუერისთვალეზა პატარა გოგომ უცხად ისეთი კვიცილი მოართო, რომ მთაში ნადირსაც გაუსკდა გული; ფრინველი შეფრთხა, სისხლში და ტალახში აზელილ-დაზელილი გონდაკარგული სოფელელები კი თითქოს დაიხოცნენო, წამსვე დადუმდნენ.

ყველა გაქავდა. ერთ ადგილას ცას შერჩენილი ფთილა დრუბელიც კი არ ირხეოდა. ქარსაც მუხლებში მოჭკვეთოდა. არ შრიალებდნენ თუთის ხეზე ფართო ფოთლები... მეტად უჭირდა, ძლივს ადგამდა შიშველ, წვრილ ფეხებს წკმით დაქანახებულ მიწაზე თუ სველ ბალახზე, მაგრამ თითქოს არ სუნთქავდა, იხე ფრთხილად უახლოვდებოდა ვერაგ სიკვდილს; უახლოვდებოდა დასაგესლად და დასაგლეჯად მომზადებულ არსახსენებელს.

სწორედ ამ დროს ჩუქურთმებით შემკულ აივანზე თოფმაც იქცა...

ახლოვდებოდა უთანასწორო შერკინების მიმივ წამებიც. რა შეეძლო ნაავადმყოფარ კაცს? კაცს რომელიც მთელი მამისეულ ტახტზე იწვა გაუძმრველად გულადმა და დღევანდლამდე ფეხებს ვერ გრძობდა?.. ან რა ძალამ წამოაყენა, ან რა ძალას მიჰყავდა წყუელისაკენ?.. არა, იმას ვინ იტყოდა, თითქოს საერთოდ არ ეზინოდა, კიდევაც თრთოდა, კანკალებდა, მაგრამ ოღნავადაც არ ემჩნეოდა, რომ საყუთარ თავზე რამეს ფიქრობდა. წვალენ-წვალეებით მიიწვდა წინ და მხოლოდ წინ; თვალეებს ვეფხვივით აჯვებებდა.

მაინც რა მოხდა?.. ახალი სასწაული?!

და, აი, ის წამიც — პირისპირ იდგნენ!..

— ვაიმე, შვილო!.. — გუნებაში კი არა და, ხმაშალა ამოიძახა ბეჩავმა დედამ შიშით, სიხარულით, ტანჯვით... ყველაფერი ერია ამ ამოძახილს და ვინმეს არც ის გაჰკვირვებია, ქალს მანამდე ენა რომ ჰქონოდა დადუმებული, დედა უცხად ფეხზეც კი ადგა, ხელეგაშლილი აღიშართა, მაგრამ დიდი, ძალიან დიდი აღმოჩნდა ნაზავი მღელვარება — კვდავ ჩაიკეცა და ამჭერად გულიც წაუვიდა. კიდევ კარგი, იქვე იდგა ტიქამირთმეული...

იხევ წყუელმა ვერ მოითმინა, — უბა გადახსნა და ელვის სისწრაფით უფროს ძმისკენ თავი გასტყორცნა. უკან დაბევის არც დრო იყო, ვერც მოასწრებდა. და არც თავდაცვა უფიქრია უფროს ძმას, — ტყორცნა იყო და, გაბედულად მიეტრა წყუელს, მარცხენა მკლავი გარდიგარდმო უბაში ღამის თვითონ ძალით ჩაუღო და, როცა უშველებელი ბასრი კბილები ძვლამდე ჩავსო, მარჯვენა ხელით უელზე დასწვდა და მთელი ძალით დაეჭაჭურა...
 სულ ორიოდ წუთს თუ იჭიდავეს...

აღარ იცოდნენ, საით გაეხედათ, ვისთვის ეცქირათ: მიწაზე მოფართხალე გოგიახათვის, წყუელს დანდობლად რომ ახრიალებდა, თუ უფროსი ძმისთვის, რაღაც სასწაულით ლოგინიდან რომ ამღვარაიყო და თეთრსაცვლებიანი აგერ მათ თვალწინ საფეხურებზე რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც ჩამოდიოდა.

სიძულვილივით მწარე აღმოჩნდა ბასრი კბილები... მაგრამ უფროს ძმას ძალას მატებდა ძმის სიყვარული და სწორედ ამით დაქანა კიდევ არსახსენებელი, — მის მარწუხიდან იხსნა გოგია. უფრო მეტი კი ვერ მოახერხა. წყუელმა შეძლო უფროსი ძმის ძირს დაეცემა, მერე კი უცხად თავს უშველა, ტყისკენ გასცურა.

მო, ეს ჩამოყვითლებულ-ჩამომდნარი, ნაადრევად მობერებული და თეთრსაცვლებიანი მოლანდებახავით მოვლენილი პირქუში კაცი გოგაის უფროსი ძმა იყო. თოფიც მან დაცალა აივანზე, მოვდივარო, ძმას შეუძახა, სხვა არავინი ჯავრი არ ჰქონდა, არსაით არ იყურებოდა. წვრილ თვალეშში უცნაურად სხივჩამდგარი მინჩერებოდა მხოლოდ და მხოლოდ არსახსენებელს; საფეხურებზე დაგორდა, მცირე მანძილი ხოხვით გაიარა, წამოიკლანა, ასე უახლოვდებოდა და თითქოს საბრძოლველადაც ემზადებოდა. ზელეწინგაწვდილი. თითებს არხევდა.

ხალხს როდის-როდის გაახსენდა, რომ დასდევნებოდა, წყუელი ალბათ, სამშვიდობოს იყო გასული...

წყუელმა თითქოს იგრძნო რაღაც, თოფის გასროლისთანავე შეეშვა გოგაის, თეთრ მოლანდებისკენ მოიხედა, უფრო ზევით ამოიწია,

მაღვინა მუკბანიანი

როცა ვიღლები
და თვალბში მიჭრება მნათე
და წუთისოფლის ლილოჭრილო
სიმშვიდეს მაცლის,
რატომღაც მაშინ მენატრება
სილურჯე ასე...
რატომღაც მაშინ
გამირბიან თვალები ცაში.
ვგრძნობ, როგორ ავეყვ
უთავბოლო ფიჭრების ტრიალს
და ერთფეროვან მდინარებას როგორ
მივწვდები,

ასე მგონია,
რომ ოდესმე იქნება გვიან
და ლაქვარდებში მიმიხმობენ
სერაფიმები.

როცა ვიღლები
და მთვრაღივით ქარში ფეხს ვურევ,
გაქცევა მინდა...
და ვერასდროს ვერ წავალ, ვიცი,
მე ხელებს ვუწვდით...
ზეცას, ხელებს, აბრთოღებუღებს
და უღურჯესი ფერებით ვიწვი.

სვანური ზარი

როცა სვანები ამბობენ ზარს და
როცა ჩვეული წუხილი შემშლის,
ო! მეკრღში მაშინ გული კი არა,
როგორც ნამქერი, ტრიაღებს ფერფლი.
სხვა მირაყებით ივსება სივრცე
და მოშრიაღე მწუხრის ლოცვებში
მხოლოდ იღუმაღ გოღებას ვისმენ

ჩამოცვენიღი ძეწნის ფოთღებს.
როღესაც ზარი მბრთოღვარებს ქარში
და სანთღებს მიჭრობს წმინდა
იღორზე,
ისე ახღოს ვარ სიკეღიღთან მაშინ,
რომ წუთით ჩემშიღ წყღება
სიციღცღლე.

ციური თარგამაძე

გული არღდეს არ აივსება...
სურვიღებს მისღვეს მღღვრად.
სურვიღი
და, ვიღრე ვციღცღლობთ, გვაქვს ეს
თვისება:
მუღამ გეწყუროღდეს სრულქმნის
წყურვიღი.

თუ ცრემღი ხარ უთბიღესი
და ცამ ფიფქად მოგავღონა,
მთა ხარ... ყინვით გაღაღგღესეს
და ცრემღები დაღეღინა,
უნღა იქცე წყარო — ლექსად,
რომ მწყურვალმა მგზავრმა შეგსვას.

საოცარია, რად არის ასე:
ამღენ ფიჭრში და ზრუნვაში სოფღის.
ზოგჯერ რა მცირე ღიმიღი გვაღვსებს,
საბეღნიეროდ, რა მცირე გეყოფნის.

რა პატარა ხარ, სიკეთის დღეო,
რა ეკღიანი ბიღიკით დახვალ,
რაოღენ დიდიც ყოფიღხარ, მზეო,
იმღენად მცირედ შორიღდან ჩანხარ.

მე მახსოვრობის ცხელი ქარები არ
მაძინებენ,
გათენებიდან დაღამებამდე დავდივართ
ერთად.
ასე ავდივარ უფსკრულებიდან მთის
მწვერვალებზე,
ცდუნებებიდან ვთავისუფლდები,
თუ მიღალატებს სიყვარული, კვლავ
გამოვიგონებ,

აქ უცხო სათვის გზაა უცვლელი...
ასე დავდივარ გათენებიდან
დაღამებამდე,
მე, ოცნებათა მახსოვრობის ცხელი
ქარებით,
ვთხზავ სიყვარულსაც, მზესაც,
ღმერთსაც, სიმღერას მათზე
და წამიერად მწუხარებისგან
ვთავისუფლდები.

შენ ისე შორს ხარ... წითელი კვამლი,
როგორც დაჭრილი თოლია, ქრება,
იძინებს ჩემი ზაფხული მთვრალი,

როგორც მივარდნილ ქარიშხლის
გრძნობა...
და, მჭერა, ისევ აღვსდები მკვდარი.

მუსიკა

ზარი მუსიკის...
ნისლების მწუხარში სხივი იღვიძებს...
სხივი იღვიძებს, ფეთქავს, ეღვარებს,
ქვეყანას ათბობს ჩემი ალერსით,
ვნებით, სინაზით,
მხურვალე ცრემლით
და ზღაპრისა, მოწყენილ სივრცეს,
ცივ შემოდგომის ღრუბლიან ღამით,
გულს, ამოღადრულს უსასოობით,
ეს ხმა ათბობს და ასულიერებს...
ავე მარია... ავე მარია...
გულს სწვდება ჰანგი უკვდავ
სიმღერის...
ეს ლოცვაა, თუ ხმა შთაგონების?!
ო, ამ სინათლით გამოღვიძება,

ვერ გეტყვი, ჩემს სულს როგორ
სჭირდება...
ავე მარია...
სიმღერის ფრთებზე მე შენ მოგყვები,
სადაც სიკეთის და სიხარულის სხივი
ანთია,
სად შორეული ვარსკვლავი ბრწყინავს
და განათდება წყვედიანი ღრუბლის
შენი სინათლით... და მეც ისევ
სამყაროს შუქი მე გამიტაცებს,
ამინთებს ფიქრებს შენი ფიქრებით,
და გაცოცხლდება სული მწყურვალი,
რომელიც ასე დიდხანს გელოდა...
ავე მარია... ავე მარია...

შაქარი, ჩიტო, შენს ოქროს ნისკარტს.
ნეტავ რა გინდა რომ გადმომძახო,
დაიგვიანა, დაიგვიანა
მზემ გადაამხო ის ლურჯი ახო!..

მე ერთხელ მსურდა, მსურდა ძალიან
ციური წვეთი — მიწას გვალვიანს,
ხეს სიცხისაგან მოსწყდა ფოთოლი
და ორღობეში სული დალია.

ვერ შემაშინებს შენი-სიშიშველე,
ზაფრანის ფერი,
თმებში თოვლ-ჭირხლი და შუბლზე
ხაზი,
მო, შეგინახე ის ძველთა-ძველი
სიმღერის ჩქერი,
ასე სათუთი და ასე ნაზი.

ოღდა მაისურაძე

უკვირდათ

უკვირდათ, უკვირდათ,
ჩემი სიმღერა უკვირდათ,
მერცხლის ჭიკჭიკის დარი.
ჩემი სირბილი უკვირდათ
მინდვრის ნიაზე ჩქარი,
ჩემი ტირილი უკვირდათ,
უპე — ცრემლებით სავსე,
ჩემი კისკისიც უკვირდათ,

რა აცინებსო ასე.
მერე სულ სევდამ მაწვიმა,
ფიქრმა დამთოვა თმაზე,
აღარც ვიცინი, არც ვმღერი
იმგვარ კისკისა ხმაზე,
თუმც ახლაც უკვირთ, ამბობენ,
რამ დააღონა ასე.

მე შენი თიხიფ მოზედილი
ერთი კოკა ვარ —
ერის წყაროზე მდგარი!
მუდამ სველი და სვებედნიერი
ამ უკვდავების წყლით.
და თუ გავტყდები
შენი წყაროს პირს გავტყდები,
ეს არის ჩემი ვაღა.



ისე გაუჩინა

როგორც აგებდნენ სვეტიცხოველს,
 ტაოს და ხერთვისს,
 ისე გაუჩინე, სიყვარულის დღეო
 ნათელო.
 რაკილა შენი მოძახილი კვლავდაკვლავ
 მესმის,
 განათდე უნდა, ხვალინდელო ჩემო
 სათქმელო!

დღეებს გაცვენოლ ფოთლებივით ქარში-
 გაფრენილს
 კვლავ ვუაპრილებ, ყვავილების
 სუნთქვის ზიარად.
 ვით მიტოვებულ საყდრის კედლებს
 სუნი საკმევლის,
 ასე გნატრულობ, გაზაფხულო
 თვალებბრიალა.

რა სიჩუმეა, რა საოცრად ნაზი გალობა,
 გზას დასასრული არ უჩანს და
 ლტოლვას — ნაპირი,
 ჯალაურიდან, როგორც შუქი და
 ღვთის წყალობა,
 მომდევდა ორი გაღიმება, — ორი
 აპრილი.

გაზაფხულია, გრილი წვიმა თმებიდან
 მაწვიმს,
 ცა ვარდის თხელი ფურცელივით
 გაფითრებულა,

ქარი კი დაქრის, ისე წვიმს და ისე
 ვსველდები,
 ჩემი ბავშვობა გამახსენდა
 კვლავინდებურად.

მზია შენგელია

ნ უ ხ ი ლ ი

ქალს გამოეღვიძა.

„ლამის შეიძლება იყოს მესამედი, რომელი საათია?“ — თითქოს სიზმრის გაგრძელება იყო, ძილშივე წამოუფრინდა გონებიდან, თუმცა გვერდით მშვიდმა, ნებიერმა სუნთქვამ აქაურობას უმალ დაუბრუნა და ჩამრთველი გაატკაცუნა. ლოგინს გადახედა. ბიჭები უბრუნველად გაშხვართულიყვნენ და ტკბილად ეძინათ.

„ენაცვალოთ დედა...“ — ჩაიჩურჩულა და საამო სითბო ჩაელვარა სხეულში.

საათს შეხედა. სამი სრულდებოდა.

„შუაღამეა და ჭერ არ დაბრუნებულა...“

გულდაწყვეტილმა გაიფიქრა და თვალები აუტკრებლდა, უხმოდ ატირდა.

...ლას თვალწინ გაირბინეს სიყვარულის მწველმა წლებმა. რა ბედნიერები იყვნენ მაშინ, როგორ აღმერთებდა ლევანი გოგონას... გულში ჩამწვდომი იყო ყოველი მისი სიტყვა, სხეულში ყრქოლად რომ უვლიდა. ყველაფერი სჯეროდა სითბომონატრებულ, ობოლ გოგონას და ბრმად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა უკან გულათრთოლებული... ქორწილის მერეც დიდხანს იყვნენ საესე სიყვარულითა და სითბოთი. მერე? რა მალე, თითქმის

თვალსა და ხელშუა გაქრნენ ის ილუზიები; სიტკბოს მეტი სიმწარე შეერია, ჭირის ძალა აჩვენა... ერთადერთი ის თუ ჰქონდა დღეს სასიხარულო, განგებამ ვაჟიშვილები რომ აჩუქა.

„ჩემი ბიჭები“.

ქალმა ლოგინს სიყვარულით გადახედა.

ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა ქალს. გვიან მიხვდა, ქმარი უკეთესი შეიძლებოდა რომ ჰყოლოდა. უნდა გავცილდეო, ფიქრობდა ხოლმე, მაგრამ ის გადამწყვეტი ნაბიჯი ველარ გადაედგა და ამისი მიზეზიც ხომ იცოდა. ქმრის უბრუნველობა და გულგრილობა უკლავდა გულს, თორემ მოთმენით, კიდევ მეტს მოითმენდა. თავადაც გარებული იყო. შვილებს მამა სჭირდებოდათ. და, უძლებდა იმ ტვირთს, ტკივილს, წყენას, რასაც თავად ცხოვრება თუ ქმარი სთავაზობდა...

ოჯახი არ ახსოვდა ლევანს. მეგობრებთან დროსტარება და ქეიფი იყო მისი საზრუნავი... თავიდან თითქოს მიეჩვია, უხმოდ იტანდა ყოველივეს. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ხასიათიც რომ ეცვლებოდა... სულ პატარა რამეზე ჭინჭყლობდა, არც ქალს ინდობდა და არც არავის, საბაბი მაინც ჰქონოდა. არადა იმასაც ხედავდა ლია, ზო-

გერთო მეგობრის „ქალბატონები“, რა სავალალოდ იყენებდნენ ქმრის ნდობასა და პატივისცემას. ეს ერთი დღემუდამ სწამდა ქალს, შვილების წინაშე მართალი და წმინდა უნდა ყოფილიყო.

შუალაშე გადასული იყო. ფიქრებმა ძილი წაართვეს.

იქნებ ვინმე ქალი ჩადგა მათ შორის? აქამდე სწორედ ეგ აკავებდა ლიას, ქმარი ქალების მოყვარული რომ არ იყო. სიყვარული, თუკი ამას სიყვარულს უწოდებდი, რაღაც დაუოკებელი, გიჟი ვნება მხოლოდ მას ეკუთვნოდა და სხვას არავის. არა, ის სიყვარულს არ ანაწილებდა. გრძნობდა, კაცს უყვარდა იგი; უყვარდა რაღაც თავისებური სიყვარულით, მაგრამ ეს იყო ზღვაში წვეთი... უფრო სწორად, ქალი-სთვის გაუგებარი რამ. ნუთუ ერთხელ მაინც არ მოაფიქრდა, ცოლი გვერდით ჰყოლოდა ქმარს მის მეგობრებში, ნათესავებში, თუნდაც ქუჩაში... იქნებ მხარს ვერ დაუმშვენიებდა? არა, ეს თავადაც კარგად იცოდა ქალმა, რომ ასე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მას შეეძლო ყურადღების მიქცევა თავისი მწველი, გიშერი თვალებით, მარმარილოსებრი სახით, კარგად გამოკვეთილი ტანით... არ შეიძლებოდა არ ჰყვარებოდა იგი, ვისაც ალერსის ზღვაში ახრჩობდა და ფართო მკერდში, როგორც პატარა, უმწეო ბელურას, იკრავდა...

არადა; როცა მიდიოდა ქორწილში, ცოლი არ ახლდა, მიდიოდა ახალმოსახლეობის ზეიმზე, ქალი შინ რჩებოდა... რა თავში სასაღელად უნდოდა ლოგინს ამოფარებული სიყვარული და ალერსი, თუკი სხვის თვალში იგი ფასდაკარგული ცოლი იყო? მართალია, ისიც არ გამოპარვოდა ქალს, რომ ბევრი ცოლ-ქმრის სარეცელი ყინულის ლოგინად ქვეუღიყო; მაგრამ გვერდი-გვერდ იყვნენ სხვათა თვალში...

„სამი საათია...“ — გაიფიქრა კვლავ საათს შეზება.

რაღა სამი? თენდებოდა... ვინ იცის, მერამდენე ღამე თენდებოდა ასე. ლევანი სადღაც ღრეობდა ალბათ, ქალი კი ღამეს თეთრად ტეხდა. კიდევ ცოტას ინათებდა და: ოჯახი, ბავშვები, სამსახური... ყველაფერი უნდა მოესწრო და გაეკეთებინა... ქმარი კი, ღმერთმა უწყის, როდის მოვიდოდა. მოვიდოდა და, თუ ლოგინში იყო ქალი, როგორც რაიმე ნივთს, განზე მისწევდა მის სავსე ტანს, რაიც უფრო ახელებდა და ჩუმ ცრემლებს აცლაპვიანებდა... კი, ზოგჯერ იფეთქებდა, საშინელ სიტყვათა კორიანტელი წვიმის თქვივით გადმოიფიქვოდა: მთელ ოთახში, მთელ სახლში, მთელ სამყაროში...

ერთად ცხოვრობდნენ, უყუჩდებოდნენ ალერსში ერთმანეთს, და მაინც, პირი და ლხინი გაყოფილი ჰქონდათ.

ერთხელ ლევანმა უთხრა: „ექვიანი ხარო“.

შეიძლება ასეც იყო. თუმცა, ეგეც ხომ დიდი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა... თუ არ ექვიანობ და არ ზრუნავ, სულ ერთი ყოფილა შენთვის ყველაფერი. ლიას კი „სულერთია“ არ მიაჩნია სამყარო. მისთვის ყოველი წვრილმანიც კი დიდი ამბავია, ვინაიდან მშვენივრად იცის, რომ წვრილმანებითაა ეს ცხოვრება ერთ ღამას ბურთად შედუღებულ-შეკოწიწებული...

აგერ, მეორე ღამე ილევა, რომ არა ჩანს... ტელეფონითაც არ მოიკითხა. იქნებ ბავშვებს რძის ფულიც არა აქვთ...

ქალმა საბანი გადაიფარა, მოიბუზა...
...ზარის ხმა გაისმა ოთახში...

იმდენად გრძელი ზარი იყო, ბავშვებს გამოეღვიძათ და თავები საყვარლად წამოყვეს.

ქალი სწრაფად წამოდგა, ცრემლავსებული თვალები ნამძინარევივით მოიქლიმა და კარის გასაღებად წავიდა.

ს ა მ ნ 0

— დედიკო, მოხვედი?

ანგელოზის თვალებით მიმზერ და, ასე მგონია, შენი ტოლები ნატვრით, საყვედურით, შურით შემომცქერიან... შემომცქერიან იმიტომ, რომ ყველაზე ადრე მე მოვედი შენთან. რა მექნა, მთელი დღე შენი კვნესანარევი ხმა მედგა ყურებში და ველარ გავძელი.

აი, ჩვენ შინისკენ მივდივართ. ლაშა შაც ჩვენთანაა. ის უფროსია, თან ბიჭი და კარგა ხანია, მიეჩვია ბაღს.

მივბაკუნობთ, თოვლს ჩვენი ნაკვალევი აჩნდება.

ლაშა დიდი კაცივით დუმს, ეს შენა ხარ ახტაჯანა, გაუჩუმებელი ჩიტი-ჩიორა: „ახალი წელი მოგსულვარ,

ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი...“

— დედა, ციგაობა მინდა.

— გაცივდები, თეა.

— არა, არა... — პაწია ხელებს სასაცილოდ ასავსაგებ, — მე და ლაშა ვიცოცხლებთ დიდ ბიჭებთან.

და მალე, ნაძვების მშვენიერ ტევრში, მეზობელი ბიჭის ზურგს უკან შემოსკულებული, თავქვე მხიარული მიკიჟინებ, ლაწევები დაგწითლებია ბედნიერებისა და სუსხისაგან.

ვდგავარ ნაძვის ქვეშ და გიმზერ ჩემს სიცოცხლეს, ბედნიერებას.

ლაშამ არ დამტოვა, ისევ ისე დუმს, მამასავით, რომელიც შორსაა...

მერე ჩვენ კვლავ მივდივართ, მივბაკუნებთ თოვლში.

— დედიკო, ახალი წელი მალე მოვა?

— აბა!

— ნაძვის ხე მინდა.

— აი, რამდენი ნაძვის ხეებია. ნახე? — ხელს ვიშვერ ნაძვების ტევრისკენ, მორცხვი პატარძალივით რომ გადაფიჭქულან...

— მე რომ დავიძინებ, ნაძვის ხე ჩვენს სახლში მოვა?

— მოვა, შვილო.

ახალი წლის დილაც მოვიდა. ნაძვის ხეც მოირთო, გაბრჭყვიალდა შუა ოთახში.

შენ ნამძინარეც თვალებს ისრეს, მერე ლოგინიდან ხტები და გახარებულნი გარს ურბენ...

— დედა, ლექსი მინდა ვუთხრა ჩვენს ნაძვის ხეს: „მე პატარა გოგო ვარ“.

უცებ, ლაშას ხმა ფარავს შენ ხმას. ის, რაც შეუძლია, ხმამალლა დიდი კაცივით გაჰყვირის:

„მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი, და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი...“

... და მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ თქვენით, მხოლოდ თქვენით.

თუმცა ისევ სამინი შეგხვდით ახალ წელს.



პოლ ვალერი

1871-1945

ზღვის სასაფლაო

„ნუ მიელტვი უკვდავებას, კეთილო
სულს, იმას შეეჭიდე, რასაც მოერევი“.

პინდარე, პითიური სიმღერები.

თრთის სახურავი, გოგმანებენ სადაც მტრედები,
საფლავებსა და ფიჭვებს შორის რომ ვიხედები;
ო, ჭეშმარიტად შექმნილი ხარ შეუადლის ხანძრით,
რომ იბადები, ზღვაო, ზღვაო, კვლავ და ხელახლა!
ხანგრძლივი ფიჭვის ჯილდო არის, რომ დამენახა
და რომ ღმერთების მღუმარებას ეუმზერდე ხანგრძლივ!

პაწია ელვის ოსტატობა დახვეწილია,
ნთქავს იგი ქაფის უხილავ და ურიცხვ ბრილიანტს,
მოჩვენებითმა მყუდროებამ დაიღო ბინა!
მზე უფსკრულს ჩადის, რომ გზა ისევ განვლოს წრიული,
იქაა წმინდა დასაბამი მარადიულის,
ახლა სიზმარი არის ცოდნა და ქამი ბრწყინავს.

განძო მუდმივო და მიწერვას სადა ტაძარო,
ზღუდევ სიმშვიდის და სიცხადევ უზარმაზარო,
წყალო პირქუშო, ქედმაღალო, მალავ ამიტომ
ცეცხლის ბურუსში ამდენ სიზმარს, ამდენ ზმანებას,
სულის შენობავ, მდგარო სულის დასავანებლად,
შნის სახურავო და ათასო ოქროს კრამიტო!

ქამის საყდარო, სუნთქვავ ერთო, ყოვლისმომცველო,
მე აქ ვბაღლები და ვეჩვევი შენს სამლოცველოს,
მოქცეულია ჩემს მზერაში აქ ყველაფერი,
ვით უზენაეს ღმერთებისთვის შეწირულ ზვარაკს,
მბრძანებლის ღმილს ამპარტავნულს, რომელიც ფარავს
სივრცეს, კაშკაშა ზღვის ტალღებზე ვხედავ გაფენილს.

როგორც ნაყოფი ღნება ტკბობით და უარყოფით
და ამ გაქრობას ნეტარებად აქცევს ნაყოფი
პირში, სად მისი სილამაზის კვდომა ცხადია,

მომავლის კვამლით ისე ვსუნთქავ, მისი უღელი
მიიმედ მაწვება და დაქანცულ სულს ცა უმღერის
გუგუნით, რომ ეს ნაპირები ცვალებადია.

როგორ ვიცვლები, მშვენიერო ცაო, დამხედე!
უსაქმურობა, სიამაყე და სითავხედე
მე დავთმე, თუმცა იგი დღემდე იყო ძლიერი,
ვნებდები სივრცის ბრწყინვალეობას და ჩემი ჩრდილი
მიცვალბულთა აკლდამებზე გადადის ფრთხილი
და თავის რწევით და ფარფატით მათვინიერებს.

სულგადახსნილი ბუნიობის მრავალ ჩირალდნით,
მართლმსაჯულებაც, შენ მოგელტვი, რადგან სინათლის
იარაღი ხარ, შენ არ იცი უქანდახნეა!
მაგრამ შეხედე ახლა შენს თავს!.. რად ვაპირებდი
შენთვის სამყოფი მომენახა თავდაპირველი,
თუკი სინათლეს მოდგომია ჩრდილი ნახევრად

არსებობს ჩემთვის, ჩემში არის, მხოლოდ ჩემია,
სულ გულთან ახლოს ყოფილა და უპოემია,
წმინდა ცხადში და უდაბნოში ყურს ეუგდებ ექოდ
დარბეულს ჩემი სიდიადის ძახილს შინაგანს,
ჩემი სხეული ბნელ ჭურჭელში რომ შეინახავს
და სულში მუდამ მომავალი რომ უნდა რეკოს!

ყურეო, ვითომ ამ ტყის ტყვეო, ტალღების შუღლით,
იცი თუ არა, ზღვას კიდევებს როდესაც უღრღნი,
რომ თვალს მიბრმავეებს იდუმალი ულაპლაპესი,
ან სიკვდილისკენ ვინ მეწევა, ვისი სხეული,
ამ მიწას შუბლი რომ დავადო ძვლებადქცეული
და ჩემს გარდაცვლილთ რად მახსენებს შუქი ნაპერწკლის?

წმინდაო, მზერა უნაყოფო ცეცხლით აგენთო,
სინათლისათვის შეწირულო მიწის ფრაგმენტო,
მე მიყვარს, როცა ბატონობა რჩებათ ჩირალდნებს,
ბნელი ზეების, ქვის და ოქროს ერთი სხეული,
სად ურიცხვ ჩრდილში მარმარილო თრთის დარწეული
და საფლავებზე სად ერთგული ზღვა იბინადრებს!

მშვენიერ ძუქნას — ზღვას ბრწყინვალეს, წარმართულ წესით
მსურს, ვცე თაყვანი მარტოსულმა, ღიმილი მწყემსის
რომ დამთამაშებს და ვაძოვებ ცხვრებს მისტერიულს —
საფლავის ქვების ამ თეთრსა და უწყინარ ფარას...
ანგელოსებო ფუჭი ფიჭრის, გაფრინდით ჩქარა,
ფრთხილ მტრედებივით მსურს სივრცეებს რომ შეერიოთ!

მე, აქ მოსული, სიზარმაცედ ვხედავ მომავალს,
ხრავს გვალვის მწერი, ფუსფუსია და განცხრომაა,

იშლება, იწვის, შრება ირგვლივ, რაც არ დამშრალა,
არ ვიცი-მეთქი, რას ნათლავენ უღმობელ არსად,
არყოფნით მთვრალი ეს ცხოვრება თავდება არსად,
ნათელი არის გონება და ტკბილი — სამსალა.

მიცვალეზღულებს მიწა კარგად ათბობს და მალავს
და აშრობს იმათ საიდუმლოს და თავის ქალას,
აქ კი უძრავი შუადღეა და მზის სტუმრობა,
გაქვევებული წუხს და ფიქრობს თავისთვის უფრო...
დამძიმებულო დიადემით სრულქმნილო შუბლო,
მე შენში მხოლოდ ცვალეზღადი საიდუმლო ვარ.

შენ შეგიძლია, წინ აღუდგე შიშს და დამიცვა!
სინანულისა, ეჭვებისა და ვარამისა
ძალუძს დამსხვრევა აღმოდებულ შენს დიად აღმასს...
მარმარილოთი დამძიმებულ ბნელში დაგენდნენ
და შენი მხარე დაიჭირა ბოლს აგრეთვე
ხეთა ფესვებში ბინადარმა უცნობმა ხალხმა.

ისინი ფსკერზე ჩაითრია არარაობამ,
თიხამ წითელმა შეისრუტა თეთრი თაობა.
მაგრამ ყვავილად აღმოცენდა სიცოცხლის მადლი!
სად არის მათი ის სიტყვები ჩვეულებრივი,
სად არის სული დაღდასმული ხელოვნებისთვის?
ინასკვებოდა სადაც ცრემლი, დალოღავს მატლი.

ქალს აკივლებულს, რომ ნელნელა ნებდება ალერსს,
და ქუთუთოებს დასველებულს, კბილებს და თვალებს,
მკერდს თვალისწარმტაცს, აღმოდებულს, აღვზნებულს, თამამს,
სისხლიან ბაგეთ დანებებულ ბაგეთა თრთოღვას
და კიდევ ჯილდოს უკანასკნელს — თითების ბრძოლას,
მიწა იბრუნებს, როგორც ფერხულს და როგორც თამაშს!

სულნო დიადნო, თუ ოცნებას ხართ შეფიცულნი,
გწამთ, რომ ოცნებას არ ექნება ფერი სიცრუის
და რომ თვალები ცხადს და ოქროს არ გააღმერთებს?
კიდევ იმდერებთ, როცა ორთქლად ზეცაში წახვალთ?
სხლტება ყოველი! ჩვენ აქა ვართ? ვარსებობთ ახლა?
მოუთმენლობა უწმინდესი კვდება, აგრეთვე!

მოვარაყებულს ბაჯალოთი მჭლე უკვდავებას,
ნუგეშისმცემელს და დადაფნულს შეუდარებლად,
სიკვდილი აქცევს დედის მკერდად, რადგან ტკბილია
ვწოვდეთ სასურველ ვერაგობას, ლამაზ სიცრუეს!
თავს, ამ საკენკით რომ მოტყუედეს, ვინც აიძულებს,
ის ცარიელი თავის ქალის ყრუ სიცილია!

ჩვენო მამებო, ფიქრიანო, წევხართ ღმერთებად,
მიწად ქცეულნო, ტვირთი გაწევთ ვეებერთელა,
თქვენი ღუმილი თქვენს ნაბიჯებს გაუფატრია,
ნამდვილი მატლი მანდ არ არის, არ სძინავს ლოდქვეშ,
ცოცხლობს სიცოცხლით და არ უნდა, რომ ლოდქვეშ მოკვდეს,
არ მიგვატოვებს, აქაური ჩვენი მატლია!

სიყვარულია თუ ზიზღია ჩემივე თავის?
ჩემი კბილია თუ მახლობლის, რო მიწყებს ქავილს?
ყველა სახელი გამოდგება, ყველა ღირსია!
ხედავს და ფიქრობს, სურს და ღელავს, სურს და დაეძებს!
ვეძვირფასები და ეხება ის ჩემს სარეცელს,
სიცოცხლე ცოცხალს ეკუთვნის და მხოლოდ მისია!

ზენონო, მკვიდრო ელეოსის! ზენონო გულქვევ!
ფრთოსანი ისრით მაგრძნობინე სიკვდილის სუნთქვა,
რომ მოფრინავს და არ მოფრინავს, აი, იმ ისრით!
მე ბგერა მშობს და გული ისრით გაგლეჯილია!
აჰ! მზე ანათებს... სულს რომ ჩრდილავს, ეს კუს ჩრდილია,
ხოლო აქილეუსს აუძრავებს ნაბიჯი მისი!

ო, არა, არა! ერა გიხმობს უბრწყინვალესი!
სხეულო! აღსდექ და ჭურჭელი ფიქრის დალევე!
ქარს შეხვდი შობილს, ჩემო მკერდო, დასალეწავად!
და ის სიგრილე, აქ რომ ზღვიდან გადმოინთხევა,
სულს მოგიბრუნებს... ის სტიქიის მლაშე სითხეა!
ზღვისკენ გაიქეც! ზღვამ შენს სხეულს სული შთაბერა!

ზღვაო! ბუნებამ ეგ სიშმავე რომ გითავაზა,
შენი სხეული გაწოლილი, როგორც ავაზა,
თითქოს ურიცხვი და ურიცხვი ზღვის ბომონია,
ჰიდრავ, ცისფერი მაგ სხეულით მთვრალო, შენია
გაბრწყინებული კუდი, დღეს რომ დაგიკბენია
და ფორიაქში, რომ სიჩუმის მსგავსი მგონია,

ქარი იღვიძებს!.. კვლავ სიცოცხლის დავევე ცთუნებას!
წიგნს მიკეცავს და მიშლის ქარის აფუგუნება,
ზვირთი კლდეებზე იღეწება ამპარტავანი!
ფურცლებო! შუქი რომ გეცემათ მაგ ბრმა თვალებზე,
ვაფრინდით-მეთქი! კლდეს შემსკდარო ტალღავ, დალევწი,
სადაც ანძები მეგობრობენ, იმ ზღვის თავანი!

შარბი, 1922



სოლომონ დემურსანაშვილი

სულის სასარგებლო ნიგნი

ამ წიგნიდან ზოგჯერ იხეთი კეშმარიტება გესმის, რომელიც შენ თვითონ შეგიგრძენია, ფიქრში მრავალჯერს გადაგიხარშავს, და ზოგჯერაც იხეთი, ჭერ რომ ვერ მიგიგნია, არ გაგიზიარებია, მაგრამ მაშინვე გენიშნება, შენს არსებაში მყისვე პოულობს გამოძახილს და მთელი შენი სული იწოვს და ითვისებს მას. ერთიც ფრიალს ხსიამოვნო გრძნობაა და მეორეც. ასეთი წიგნებით კი განებნებებულები როდი ვართ, — ისინი ძალზე იშვიათად თუ მოგვევლინებიან ბოლმე.

„სულის ზრდა“, ასე ჰქვია წერილების ამ კრებულს. მისი ავტორი აკაკი ბაქრაძეა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.).

ვიდრე წიგნის გარშემო ვიმსჯელებდეთ, მისი ერთი ნიშან-თვისებაც უნდა შევასხნოთ მკითხველს, რაც თვით ავტორის დიდ ღირსებად მიგვაჩნია. მაშინაც კი, როცა ზოგიერთ საკითხში შეიძლება არ დავთანხმდეთ, ავტორი იმდენად გულწრფელია, იმდენად თავშეკავებული და მართალი, რომ მკითხველის სიმპათიას იმსახურებს;

წიგნში თავმოყრილ წერილებს თანმიმდევრობით არ განვიხილავთ, დავიწყებთ ერთი, ჩვენი აზრით, უველაზე უფრო საინტერესო წერილიდან, რომელსაც ჰქვია „ბედი ქართლისა“ და აკაკი წერეთელი“.

ეს წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ კრიტიკოსმა სრულიად ახალი კუთხიდან შეხედა აკაკის პოეზიას. მისი მიზანი ის კი არ არის, პოეტის ოსტატობა და სიდიადე გვიჩვენოს, არამედ ის, თუ როგორ ჰვრტდა აკაკი წერეთელი საქართველოსა და ქართველი ხალხის უოფნა-არუოფნის საკითხს, როგორ აფასებდა მის აწმყოს და როგორ ხედავდა მას მომავალში.

„უკვე სამოცდარვა წელს მიღწეული და სიკვდილის შიშით გულგატეხილი აკაკი წერეთელი სკეპტიკური ლექსით გამოეთხოვა სამშო-

ბლოს“, — ასე იწყებს აკაკი ბაქრაძე წერილს და იქვე მოჰყავს პოეტის სტრიქონები:

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ
გეთხოვები, საქართველო! —
მეც ვკვნიები და შენცა კვნიები,
როგორც ზამთრის პირად მდელი.

შემდგომ ამისა, აკ. ბაქრაძე ზუსტად და ნათლად მიმოიხილავს აკაკისდროინდელი საქართველოს ყოფას, ეროვნულ-პოლიტიკურ ვითარებას და ვრცლად ჩერდება იმ საკითხზე, თუ რა პოზიცია ეკავა პოეტს მაშინდელი საქართველოს ან, უფრო სწორად, ქართველი ერის მიმართ.

„როცა აკაკი წერეთელმა ღრმად ჩაიხედა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, უველაფერი შეისწავლა, გააანალიზა და ასწონ-დასწონა, მან ცხადლივ დაინახა სნეული საქართველო და შექმნა კიდევ მისი მხატვრული სახე“.

დაიხ, ქართველი მწერლის უპირველესი ვალი იყო, დაენახა და გაენალიზებინა, რა სენი სჭირდა ქართველ ერს, საით მიჰაქანებდა მას არა მარტო ბედისწერა, არამედ ის ზნეც, რომელიც მას შეეყარა პოლიტიკური ვითარების გამო და ეს მწარე თუ ტკბილი სიმართლე ხმამაღლა ეთქვა მშობლიური ერისათვის, თავისი ხალხისათვის ეთქვა, რა იყო ერის დამლუგებელი მიზეზი. ამ დიდ მისიას ემსახურებოდნენ მაშინ ილიაც, აკაკიც, ვაჟაც და სხვა დიდი ქართველი მოაზროვნეებიც. ამ მისიას ვერსად გაექცეოდა მწერალი — კეშმარიტი მამულიშვილი.

„ეროვნული სნეულების ეს ნიშნები აღმოაჩნდება უველა ხალხს, ვისაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაუკარგავს, ავადმყოფობას მანამდე ვერავითარი საშუალება ვერ განკურნავს, სანამ ერი ისევ არ მოიპოვებს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას“.

დაპურობილ ერში ფართოდ ეხსნება გზა უნიკობას და კარიერიზმს. ცნობილია, რომ კარიერი-

სტი მიტწილად უნიკოა. ამიტომ მიზნის მისაღწევად უველა უკადრის ბერხს მიმართავს; იმდენად დილია მისი ლტოლვა აღწევებისკენ, რომ სირცხვილი. ხინდისი და რაიმე ზნეობა მისთვის აღარ არსებობს, რადგან მას უველა ადამიანური ნიშანი უკვე დაკარგული აქვს. იგი დამპყრობელს ერთგულებას უცხადებს და მზად არის, საკუთარი ერი ნებისმიერ დროს განწიროს.

ასეთია დაპყრობილი ერის ბედი.

აკაკი წერეთელმა დაიანხა და დავიძახა სხეული საქართველოს პორტრეტი, მაგრამ როგორც მოაზროვნემ დაანახვა თუ არა ერს ამ სხეულეზისაგან თავდახსნის გზა?

აკაკი ბაქრაძე დასძენს: „ერთია ავადმყოფობის დანახვა და მეორეა მისი გამომწვევი მიზეზის მიგნება. თუ არ იქნება მიგნებული მიზეზი, შეუძლებელი გახდება განკურნება. თუ აკაკი წერეთელი განკურნებას ვერ შეძლებდა, ის მაინც უნდა ეტყვა, როგორია ავადმყოფობისაგან თავდაღწევის გზა. უველა მანიკერების საფუძვლად მან მიიჩნია ეროვნული თავისუფლების დეკარგვა, ხოლო გადარჩენა კი შეეძლო, მისი ზრით, დამოუკიდებლობის მოპოვებას“.

კრიტიკოსი ცამდე მართალია და სწორად აფხაებს აკაკი წერეთლის შემოქმედების მთელ დედააზრსა და მიმართულებას.

დამოუკიდებლობის მოპოვებას შეეძლო მხოლოდ საქართველოს გადარჩენაო, დასძენს აკაკი ბაქრაძე. მაგრამ რა გზით უნდა მოეპოვებინათ ქართველებს დამოუკიდებლობა, ამაზე ეერც აკაკი წერეთელი გვემს პასუხს და ვერც კრიტიკოსი. თუმცა იგი იქვე დასძენს, მდგომარეობისგან თავის დაღწევა მათი გახდებოდა შესაძლებელი თუ ქართველ ხალხს ეყოლებოდა ზნეობრივად სეტაკი და ამაღლებული ადამიანებო. ამიტომაც აკაკი წერეთელმა ჩამოაყალიბა ზნეობრივი იდეალი, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოადგებოდა. ეს იყო სამი ქალის სახე, წმინდა ნინოსი, თამარისა და ქეთევან წამებულისა.

ჩვენი ზრით, აკაკიმ ამ სამი წმინდა ქალის სახე რომ შექმნა, ეს ეროვნულ ბრძოლაში გამოსაყენებელი იარაღი კი არ იყო, უბრალოდ მთელმარე ერში რომანტიკული სულის გაღვიძება სცადა პოეტმა ამით და მეთი არაფერი“.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, სიკვდილის წინ დიდ პოეტს მაინც დაუბრუნდა ოპტიმიზმი. სწამდა, რომ მიჩაქვეული ამირანი იმ ქაქვს ვასწყვეტდა და, როგორც სრულიად სამართლიანად ასკვნის აკ. ბაქრაძე, ამ იმედის საფუძველი კი ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია იყო. კიდევ ვიმეორებთ, დაპყრობილ ერში ბევრი მანიკერება ჩნდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უველა მანიკერების მიზეზი ამა თუ იმ ერში მართო დამოუკიდებლობის დაკარგვა იყოს, როგორც ამას კატეგორიულად გვიმ-

ტაკიებს აკ. ბაქრაძე ზემოთ ხსენებულ წერილში.

დაუპყრობელსა და დამოუკიდებელ ერს, და მათ შორის ქართველებსაც, რომ ბევრი მანიკერება შექონია, გამომდინარე მისი შინაგანი ბუნებიდან და ხასიათიდან, ამის მაგალითი ხაკმაოდ ვიცით და ამას თვითონ აკ. ბაქრაძეც აღნიშნავს წერილში, რომელსაც ახლა განვიხილავთ და რომელსაც „მკვახე შეძახილი“ კვია.

ამ წერილში კრიტიკოსს მეტად საინტერესო და დამაფიქრებელი საკითხები აქვს წამოკრილი. მას მიზნად დაუსახავს ნაწილობრივ მარცხ ამოიცნოს თუ მიაგნოს ქართველი ერის ბუნებასა და ხასიათს, ნაწილობრივ-მეტეი იმიტომ ვამბობ, რომ კრიტიკოსი თვითონვე სწერს: „აღმათ ერის ბუნების და ხასიათის სრული ამოცნობა შეუძლებელიც არის, იმდენად მრავალფეროვანი, ღრმა, უცნაური და მიულწვევლია იგი“.

აკ. ბაქრაძეს მოპაყვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გულისკვილით ნათქვამი: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არის პირველთაგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება მპოონ და განსუენება, იწყება განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვიბორობს ძველი მატიაწე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ ასევე გულისკვილით აღნიშნავენო, დასძენს აკ. ბაქრაძე, ჩვენი ხალხის მანიკერ თვისებებს არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვანი.

როგორც ვედავთ, დამოუკიდებელ ერსაც და, მათ შორის, ქართველებსაც გვექონია ბევრი მანიკერი მხარე, ვინაიდან დავით აღმაშენებლის დროს საქართველო ხაკმაოდ აღწევებული და დამოუკიდებელი იყო.

აკ. ბაქრაძე აღნიშნულ წერილში მიმოიხილავს გ. ასათიანის ნარკვევს „ასათავებთან“ (ცისკარი, 1980 წ. № 5, 6, 7) და დასძენს: „როცა გ. ასათიანი ნაცარქექიას ეხებოდა, იგერიკილე მიმინოშვილთან, უვარეუვარე თუთაბერთან და ბათა ქექიასთან ერთად ქართული ხასიათის შემდგენელ ელემენტად ჩათვლა. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“, — ასკვნის აკ. ბაქრაძე, როგორ ფიქრობს თვითონ ეს მეტად საინტერესო აზროვნების კაცი? აი როგორ პასუხს იძლევა იგი.

„განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არ ჩანს?

საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს შექონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ეღგა პირისპირ.

საქართველო და რომის იმპერია
საქართველო და ბიზანტიის საეკისრო
საქართველო და არაბთა. ხალიფატი

საქართველო და ესპანეთის შპინშპტი
საქართველო და მონღოლთა ულუსი
საქართველო და ოსმალთა სულთანატ.
საქართველო და რუსეთის ცარიზმი

ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა.

იქნება ვცდებით, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიჭერებთ, რომ როცა ქართველი ხალხი ნაცარქექიას ზღაპარს თხზავდა, ნაცარქექიაში საქართველოს ფელისხმობადა, ხოლო ბაუბაუ დევში ზემოთ ჩამოთვლილ საქართველოს მტრებს, ვერ დავიჭერებთ, რომ ნაცარქექია ტიპური სახე იყოს საქართველოსი, ისე როგორც არ შეიძლება, ქართველი კაცის ტიპური სახე იყოს ქოსატყუილა. ზღაპრის ასე გაგება არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის. ქოსატყუილა ან ნაცარქექია რომ ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო ერში, მაშინ ის ერი ამ ზღაპარს ვერ შექმნიდა, ამ ზღაპრებით მან ხომ ვიღაცას დასცინა. მსგავსებს ნაცარქექიას და ქოსატყუილებსა. უცნაურად ნურავის მოეჩვენება და დღევანდელ დღეს ქოსატყუილას ზღაპარი, ალბათ, არც შეიქმნებოდა, რადგან დღეს ქოსატყუილები ისე მომრავლდნენ, რომ მათი არსებობა საძრახისიც აღარაა. საერთოდ, ზღაპრის ასე გაგება და მისი დაკავშირება საქართველოსთან შეცდომად მიგვაჩნია.

ესეც არ იყოს, განა „უქარქაშო ხმლები“ პატრონი ქვეყანა, ვისაც ხმალი არ ჩაუგია და ნიანდაგ ჩქიწერ ებრძოდა მტრებს, ნაცარქექიას შეეღრბება? ნაცარქექიას ხალხს დასცინა, ხოლო თუ დავთან გაამარჯვებინა, ეს იმიტომ, რომ დევი უფრო ბოროტი და საშუალებელი იყო, ვიდრე მცონარა ნაცარქექია.

სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია, როცა ა. ბაქრაძე „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს ქართველი კაცის, ქართველი ხასიათის მისაბამ იდენტალად ხატავს და დასძენს, თუ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტიპად დავით აღმაშენებელს მივიჩნევდით.

არ ვიცი, ვინ რა თვალთ შეხედავს ამ მეტად გაბედულ აზრს, მაგრამ მე ვიტყვოდი, „ამ აზრში არის რაღაც მართალი“ და ნიშნული არა იგი მართლაც განსაკუთრებული დაკვირვებისა და ბჭობის საგანი უნდა გახდეს.

დაუდევრები ვართ ქართველები და კიდევ ემ მოკვიდებს ხოლოსო, ჩიოდა თავის დროზე დიდი ილია. განა იგივე დაუდევრობა და წინდაუხედაობა არ არის, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სოფლები დაიკალა ქართველებსაგან?

აი, სწორედ ამ საკითხს ხაზგასმითა და გულსიკრივილით აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე და, მისი საბარლოანი თქმისა არ იყოს, ჩვენი ქვეყანა მართლა ხასტმურის დავამგვანეთ, ხედავ, ვისაც

უნდა და რამდენ ხანსაც უნდა, ლაღად და შვებით იცხოვრებს, და ეს მაშინ, როცა ჩვენი უფრო პატარა და ჩვენივე არანაკლებ უბედურებაგამოვლილმა ერებმა ეს საკითხი შევნიერად მოაგვარეს.

როცა ა. ბაქრაძე ქართულ „შურისმაძიებლობაზე“ მსჯელობს, ამავე წერილში მას სხვა მაგალითებთან ერთად გიორგი ბრწყინვალის მაგალითიც მოჰყავს. როგორ მიიპატივს მან ცივის მთავრ შერთ-კახეთის და სომხეთის ერის-თავები და როგორ ამოწყვიტა. და აქ არ შეიძლება მკითხველმა არ შენიშნოს მისი უქმყოფილო კილო.

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს და მე კი ასე მეჩრა, ვერც გიორგი ბრწყინვალე და ვერც დავით აღმაშენებელი პირჭრისწერთა და ლოცვა-ურთხევით ვერ გაერთიანებდნენ საქართველოს, შეგონებითა და შუდარით ვერ დაიმორჩილებდნენ გაშულუქებულ ერისთავებს, ვისაც ერთიანი საქართველო არაფრით არ აძლევდათ ხელს.

გიორგი ბრწყინვალემ რომ თავები დაჰკეთა, ეს ის ერისთავები იყვნენ, ვინც ვერაფრით ვერ დაითანხმა საქართველოს ერთიანობაზე. და აქ სხვა გზა არ იყო, მსხვერპლი უნდა გაღებულყო უფრო დიდი, ეროვნული და საშვილიშვილო საქმისთვის. ასეთი მაგალითებით სავსეა ყველა ქვეყნის ისტორია, რომელიც გაერთიანებულა, გაძლიერებულა და ამ მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

„როცა საქართველოს პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ისტორიას თვალს ვადავაძვლებთ, შეუძლებელია ერთი გულდასაწყვეტი სურათი არ დაინახოთ, — მწერს ა. ბაქრაძე, — ჩვენ ისტორიაშიც და ლიტერატურაშიც გვეყოლია საერთაშორისო მასშტაბის მოღვაწენი, მაგრამ ქართულ კულტურას კაცობრიობის ისტორიაში ის როლი არ შეუსრულებია, რაც მას ნიჭიერების ხარისხის მიხედვით ერგება“.

და აქ ავტორს ჩამოთვლილი ჰყავს საქართველოსავით პატარა ქვეყნები: პორტუგალია, დანია, ნორვეგია, რომელთა მწერლებს მთელი მსოფლიო კითხულობს, მაშინ, როცა ჩვენს გენიალურ „ვეფხისტყაოსნასაც“ კი ჭერაც ვერ გუყვამღვია გზა ბოლომდე სხვა ხალხების გულსასაკენ.

„რისი ბრალია ეს? — კითხულობს ა. ბაქრაძე — ჩვენი ეროვნული ხასიათისა თუ ისტორიული გარემო-პირობებისა?“

გულუფრეთად და აღტაცებით უნდა ვაღიაროთ, რომ ა. ბაქრაძეს უუხუსტესი და დასაბუთებული მიზეზები მოჰყავს, რომელთაგან ზოგი ჩვენს მანკიერ თვისებებში უნდა ვიძოთ, ზოგიც ჩვენი დამოუკიდებლად შექმნილ პირობებში. მაგრამ რა მიზეზებიც უნდა ჩამოთვალოს, ყოველივეს ერთად უფრის ის ქმშარბოტი დასცინა, რომელიც მას მოჰყავს: „უველა ხა-



ლხის ეროვნული ხასიათისა და ენერჯის სრულად გამოსავლენად აუცილებელია ტერიტორიული მილიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა და თავისუფლობა“.

ვიქრობ, არ შევცდები. თუ ვიტყვი, რომ „შეუძლებელი“ ა. ბაქრაძის ყოვლად უნაკლო და უზადლო წერილია. იშვიათად თუ ვინმე ჩაწვდომია დიდი რუსი მწერლის ლექს ტოლსტოის გამორების სულიერ სამყაროს ისე ღრმად, როგორც ა. ბაქრაძე ჩასწვდა. სამართლიანად აღნიშნავს იგი: როგორც წესი, ინსტინქტიული თუ ეკრანიზებული თხზულება მახინჯდებოდა და ამ წერილში სრულიად საფუძვლიანად, უჭუსტესი და ბრწყინვალე მაგალითებით ადასტურებს, როგორ დაკარგა ის დიდი სული და დამატრეხლობა „ანა კარენინა“ მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენაში.

ძალზე საინტერესო და სამართლიან წერილად მიმაჩნია ა. ბაქრაძის „წარსულით წინასწარმეტყველება“, რომელიც ლევან სანიკიძის „უქაქაშო ხმლებს“ ეხება. კრიტიკოსი სამართლიანად ედავება წიგნის ავტორის კატეგორიულ განცხადებას: „ეხლა კი დამდგარიყუ მცხრამეტე საუკუნე და ქართულ უქაქაშო ხმლებს ყავდი ვასვლოდათ, დროუამიდან ვასულ ანაქრონიზმად ქცეულიყვენ... და სამარადჟამოდ ჩაესვენენ ქაქაშეში ათასწლობით ქაქაშადვიწყებელი ქართული ხმლები...“

საქართველოს საისტორიო სახელიც „უქაქაშო ხმლები“ — მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისთანავე დასრულდა“.

ლევან სანიკიძის, ამ დასკვნას, დასაბუთებულ მაგალითებითა და მოკამათისათვის შესაფერის თავდაპირველობითა და დიდი ტაქტით აქარწყლებს კრიტიკოსი.

„ლევან სანიკიძე, — წერს ა. ბაქრაძე — საქართველოს ისტორიას ემოციურად გვიამბობს (მართალია პათეტიკაშერეული ემოციით, რაც გემოვნებში მკითხველს აღიზიანებს), მაგრამ ზოგჯერ ამა თუ იმ მოღვაწის დაფასებაც ემოციას ეურდნობა“, და ა. ბაქრაძეს აქვე მოჰყავს ლევან სანიკიძის მიერ ჩამოთვლილი „გიორგი შვიდეული“ და დასძენს: „ძალიან მიჭირს გიორგი ბუნიადიძის, გიორგი მუხამისა და გიორგი ბრწყინვალის თანაბრად ვუწოდო წელი გიორგი მეთვრამეტეს „დიდი გიორგი““.

ა. ბაქრაძე პარალელს ავლებს მეფე ლუარსაბ პირველსა და როსტომ მეფეს, ანუ ხოსრო მირზა ბაგრატიონს შორის.

პირველი ნიდაგ ეურჩებოდა და ებრძოდა სპარსეთს, ხოლო მეორე უსიტყვოდ მორჩილებოდა და კარგი ურთიერთობაც ჰქონდა დამპყრობელთან, ანუ იგივე სპარსეთთან. სამაგიეროდ, როსტომის მეფობის დროს: „ქვეყანა დიწყდა ყიზილბაშთა თარეში. თავადების ურთიადი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ეღირსა. შე-

ერთ მიხტომ-მოხტომა თანდათან შეწინდელათვის სამფლობელოში როსტომმა წესიტრეპა დაამყარა, ვახიწული ხალხი უკან დააბრუნა და სოფლებმა მოშენება იწყეს. აქა-იქ ქალაქებიც აღდგა, ვაჭრობა-ხელოსნობა გამოცოცხლდა. ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა“ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, 1948 წ. გვ. 848).

აქვე დასძენს ა. ბაქრაძე, რომ როსტომ მეფეს არც კეთილშობილება აკლდა და აქუა ხომ ჰქონდა და ჰქონდაო, და ამის დამადატურებლად სათანადო მაგალითებიც მოჰყავს.

მაგრამ არ შეიძლება ნებისმიერმა მკითხველმა არ შენიშოს უცმაყოფილება ა. ბაქრაძის იმის გამო, რომ როსტომ მეფე ასეთი მორჩილი იყო დამპყრობლის მიმართ, ასეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ხოლო ეკვალილება იმის გამო, რომ ლუარსაბ პირველი ნიდაგ ებრძოდა და ეურჩებოდა სპარსეთს.

ღმერთმა დამიფაროს იმისაგან, რომ მეფე ლუარსაბ პირველზე ენა მომიბრუნდეს და ვთქვა, ვის ებრძოდა, რომ ებრძოდა, არ იცოდა, რომ თავისი ციქვა ქვეყანათი სპარსეთისკენა ეეშას ვერ გაუმკლავდებოდა-მეთქი. არა, ლუარსაბის ბრძოლა, ეს ქართული სულის ამბოხი იყო მონობის წინააღმდეგ, მაგრამ მე მგონია, არცთუ იშვიათად, ჩვენი გრძელი ისტორიის მანძილზე ზოგ-ზოგი მეფე საკუთარი ამპარტავნობისა და ციქვნა ინტერესის გამო შეაკლავდა ხოლმე ხალხს ისეთ ბრძოლაში, რომელსაც არავითარი აზრი არ ჰქონდა. როცა მტერს ებრძვი, ასიდან ოცდაათი შანსი მაინც უნდა გქონდეს გამარჯვებისა, ხოლო თუ ასიდან ერთი შანსიც არა გაქვს გამარჯვებისა, იქ ბრძოლა მარტო სისულელეც კი არ არის, დანაშაულაც არის იმ ხალხის მიმართ, რომელიც მტერს უნდა შეაუღიბო, აკი რუსთაველიც ბრძანებს: სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისა-საო.

მეგზ როსტომ მეფის პოლიტიკა არც იყოს გასამტყუნარი, მით უფრო, რომ როგორც თვითონ ა. ბაქრაძე ბრძანებს, მას (როსტომ მეფეს) „...ქუა ხომ ჰქონდა და ჰქონდა, არც კეთილშობილება აკლდა და არც ვუყაცომა“. ვინ იცის, ის ოცდაქვამი წელი, რომელიც ქართველებისთვის დიდი შვედის და მოშენების წლები იყო, როგორ გამოადგა შემდეგში მთელ ქვეყანას და ერს. იქნებ ზოგჯერ ამაო და ქვეყნისათვის სისხლის დამწრეტ ბრძოლას ხანდახან ასეთი პოლიტიკა სჯობდა?

ა. ბაქრაძე წერილში „შედარება“ ერთმანეთს უკავშირებს გი დე მოსახანის მოხობობას „ქარში“ და კონსტანტინე გამახანურდიას მოხობობას „ლილი“. ამ წერილის დაწერის მიზეზი ა. ბაქრაძისათვის გ. ჯიბლაძის წერილი გამხდარა, რომელიც 1948 წელს გამოქვეყნებულია



„მნათობში“ და რომელშიც მკაცრად გაუკრიკებია და აღწერა: „გამსახურდიას“ „ლილ“ პირდაპირ გადმოწერილია გი დე მოპასანის ნოველიდან „კარები“.

ა. ბაქრაძეს ორივე მოთხრობის შინაარსი მოჰყვას, ერთმანეთს ადრის, შინაარსობრივად და იდეურად არჩევს და ასკვნის: „ასე და ამრად „კარი“ და „ლილ“ ორი სრულიად სხვადასხვა მოთხრობაა და მხოლოდ სიტუაციური სქემის მსგავსება არ გამოდგება უღმომბელი განაჩენის, — „პირდაპირ გადმოწერილია“ — საფუძვლად.

მართალია, კონსტანტინე გამსახურდიას უფრო ვრცელად დაუტვირთავს შინაარსითა და იდეურობით თავისი მოთხრობა, ვიდრე ფრანკ მწერალს, მაგრამ ამ ორი მოთხრობის სიუჟეტები, ანუ, როგორც ა. ბაქრაძე ბრძანებს, „სიტუაციური სქემა“, ისე ტუპისცალივით მგვანან ერთმანეთს, რომ, ჩემი აზრით, ა. ბაქრაძე ამაოდ ცდილობს რეაბილიტაცია გაუკეთოს კ. გამსახურდიას. ეს ერთი და, მეორეც, თუ დიდ სითამამში არ ჩამომერთმევა, პირდაპირ ვიტყვი: არც მოპასანის ზემოთ აღნიშნული მოთხრობა ბრწყინავს დიდი შარავანდედით და არც კონსტანტინე გამსახურდიას „ლილ“.

გი დე მოპასანს კიდევ ის ამართლებს, რომ მოთხრობა იუმორში აქვს გაკეთებული, თანაც არც ისე საშინლად აქვს აღწერილი ქალის სიმახინჯე, როგორც გამსახურდიას; უბრალოდ, მოპასანის ლოუჯა ჩამოგუნარ, გამხდარ სხეულს ნიღაბს, ხოლო გამსახურდიას ლილს კი „ორივე უფრედებიდან, მონხრითი საშუალო თითის სისხლად ამობურცული ძვლები უჩანდა“.

ჩემი აზრით, მწერალმა ქალზე ასე არ უნდა წეროს და მეორეც, კიდევ ვიმეორებ, ამ ორი მოთხრობას შორის რომ დიდი მსგავსებაა, ამის უაზროვანს ამაოდ ცდილობს ა. ბაქრაძე.

ძალზე ორიგინალური, ღრმაშინაარსიანი წერილია „არსებობის მარადისობის რვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა“, სადაც ა. ბაქრაძე მეტად მნიშვნელოვან პარალელებს ავლებს ქართულ და არაქართულ ნაწარმოებებს შორის.

„ღანაშაული მოხბა.“

პატიოსნებას გულისთქმამ სძლია და საფარბეგმა („გამზრდელი“) ძიძვიშვილის ცოლი გააუპატიურა.

სიყვარულის თვდავიწყებამ წაიღო და ონისმ („ხევისბერი გოჩა“) გუშავის მოვალეობა დავიწყა, მტერი შემოულევა.

უცხო ტომის ქალი შეუყვარდა და ანდრი („ტარას ბულბა“) დუშმანის მხარეს გადავიდა.

ბავშვურ სულწასულობას ვერ მოერია და ფორტუნატომ („მატეო ფალკონე“) ბანდიტი ჭანეტო სახაიერო გასცა.

ამ ოთხი ნაწარმოებიდან სამში მამა საკუთარ შვილს მკლავს. ალბათ, ძალიან დიდი გაბედულება მართებს მწერალს, რომ ასეთ თემას ხე-

ლი მოჰკიდოს და თანაც მკითხველი დააჭეროს, რადგან, მართლაც, არ არსებობს კვეთა უფრო დიდი დაწაშული თუ უწინება, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლა.

რამ გააბედინა ყაზბეგს, გოგოლს და პრუსპერ მერიმეს ასეთი ამბის დაწერა? ერთს ხევის შეურუეველმა კანონმა, მეორეს კაჭკაჭრმა ადამთმა, ხოლო მესამეს ისევე ადამთა, მამაპაპურმა წესმა და ადამთმა. გოჩა ხევისბერია და მისთვის, როგორც მოსამართლისათვის და განმსჭვლისათვის, არ არსებობს თავისი და სხვისი. მას არა აქვს უფლება და არც აზრად მოუვა ის ამბავი, რომ თემის სამართლის სასწორი თავისიანისკენ გადახაროს, თუნდაც იგი დვიძლი შვილი იყოს. მიიტოვებს არის ოგი არჩეული ხევისბერად და ასე რომ არ იყოს, მაშინ თემი არ აირჩევდა ამ საპატოო თანამდებობაზე.

ა. ბაქრაძე ამ ოთხ ნაწარმოებს ერთმანეთს ადრის და იდეოლოგიურად თუ ზენობრივად გაცილებით მაღლა აუწინებს. აკაკის „გამზრდელს“, ვინაიდან მჭკი უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავის თავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი“. მჭკი უსუბმა საფარბეგი კი არ დასაჯა, ასეთი დასჯენა გამოიტანა: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამოზრდინებარ“ და თავი მოიკლა.

როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ა. ბაქრაძე, არც ხევისბერ გოჩას, არც ტარას ბულბას და არც მატეო ფალკონეს ეს უნარი არ გააჩნიათ.

ხევისბერისგან შვილის სიკვდილს უფრო დამაჭერებლად თვლის ა. ბაქრაძე, ვიდრე ტარას ბულბასაგან ანდრის მოკვლას, რადგან ხევისბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა, უცაბედმა ელდამ ჭკუიდან შეარყია და თავისივე საქციელის მსხვერპლი შეიქმნა.

ტარას ბულბას კი ხელიც არ აშკანკალეხია, დამარხვაც არ ისურვა საკუთარი შვილისა და, როცა თავის ხელით მოკლულ შვილს დაპყურებს, ის გულგრილად ლაპარაკობს, თითქოს მის წინ საძულველი მტერი ესვენოს.

როგორც მკითხველი ხედავს, ხევისბერი და ტარას ბულბა შვილების მოკვლის შემდეგ ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და მიწა, ერთი სრულიად გულცივია, მეორე ჭკუიანი შეშლილი.

თუ ხევისბერი უფრო დამაჭერებელი სახეა, თუ შვილის სიკვდილის შემდეგ მისი ჭკუიდან შეშლა ფსიქოლოგიურად მართალია, ეს მართლ ყაზბეგის დამსახურება კი არ არის, ეს ჩვენი ეროვნული ხასიათია და ბუნებრივია, ყაზბეგი მას ვერ გაქცეოდა, ხევისბერი რომ ტარას ბუ-

სოლომონ დამურხანაშვილი
სულის სსსრბებლო წიხნი

ღებავით გულგრილი დაეხატა, მკითხველი არ დაუჭერებდა.

ხევისბერს ის უნდა დამართოდა, რაც დაემართა, ხოლო ტარას ბუღბა ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა.

რაც შეეხება მატეო ფალკონეს, რომელმაც თითქმის უტოლდელი შეილი მოკლა, ათი-ათრამეტო წლის ფორტუნატო, მე პირადად ეს საქციელი ვერც ვერაფრით გამომართებია და არც მანცდამანც დამაჭერებლად მიმანჩია.

„ყოველი კაცის წინაშე დგას ალტერნატივა: იცხოვრო ვირივით წყნარად და შრომით, თუ გველა გასაჭირი გადალახო და მოუვას სავალი გზა გაუადვილო. თუ არჩევანი ვერ მოახერხებ, სასოწრკვეთილება შეგიპყრობს და ცხოვრება ცრემლიან გართობას დაემსგავსება, თუმცა შეიძლება, არლეკინის ზომავზე მეტად გაგრიშულ სახეზე ცრემლი ვერ შეამჩნიო“.

ასეთი დასკვნა გამოაქვს აკ. ბაქრაძეს წერილში „საბით“¹. როცა იგი ერთმანეთს ადრის რ. გვეტაძის ლექსს „ვიტების მესია“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“.

„ნ. ბარათაშვილის „მერანი“ პრომეთეს ენერჯია, რ. გვეტაძის „ვიტების მესიაში“ კი სწავილება, როცა აღმამანს არც პრომეთეს ენერჯია აქვს და არც სიწიფისა, ცხადია, იგი შუაშია გაჩხერილი, ვეღარც წინ მიდის და ვეღარც უკან. ერთადერთი, რაც დარჩენია — სიცილია და ისიც იციან, დასცინის თავის თავსაც და სხვასაც“.

აკ. ბაქრაძის ეს გაბედული აზრი, ზედმიწევნით ნიშნულია და ამ დიდ საკითხს ღრმად სჭირდება ჩაფიქრება.

მე პირადად მიმანჩია, რომ ჩვენი ლიტერატურა და არა მარტო ლიტერატურა, კინო-ხელოვნება თუ თეატრი, კარგა ხანია, სწორედ იმ გზას ადგას, რომელიც პრომეთეს ენერჯიასა და სიწიფის შუა გადის და მწერლობის გაფილისტირებას იწვევს.

ფილისტირული ლიტერატურა კი, აკ. ბაქრაძის სამართლიანი თქმისა არ იყოს, საშიშია. იგი ახნევს მკითხველს, მას არაფერი სტკივა, სამაგიეროდ, გვატყუებს, ვიტანჯებო.

არ ვიცი, აკაკი ბაქრაძეს, როცა ამას სწერდა, მხედველობაში ჰქონდა თუ არა ჩვენს ლიტერატურაში უკვე არსებული ასეთი ნაწარმოებები. მაგრამ მე კი ბევრი რამ მენიშნა და მიცნაურა.

„ფილისტირი ყველაფრით კმაყოფილია. ყოფნა-არყოფნის პრობლემა მას საკუთარ კეთილდღეობად ესმის. როცა ამას მიაღწევს, მერე ხუმრობის გუნებაზე დგება და აღარც სხვების გართობას თაკილობს“.

იმედი მაქვს, ამ შეზღვევებებს მკითხველიც დაიჭერებს და ისიც მენიშნება, რომ დღეს უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი ფილისტირულმა ლიტერატურამ.

ამავე წერილში აკ. ბაქრაძეს მწვავედ დაუენებელი ერთი ისეთი საკითხი მოსთხოვია: ლიც, შე ვიტყვი, ჩვენი ერისთვის პირდაპირ საარსებო პრობლემას წარმოადგენს. „ოთარანთ გიორგი თუ კაც ზვამბაია?“ ასე სვამს საკითხს იგი და ღრმა ანალიზს უკეთებს ოთარანთ გიორგის სახეს, როგორც ნიშნულს ნამდვილი ქართველი გლეხისა. ვის გარეშეც საქართველოს არსებობა გაუჭირდებოდა.

„იგი იყო კაცი (ოთარანთ გიორგი — ა. დ.), რომელსაც გლეხად ყოფნის ფუნქცია ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი. მან ცნობიერად თუ არაცნობიერად, ზედმიწევნით იცოდა, რას ნიშნავს იყო გლეხი“.

ეს უბრალო საკითხად ნურავის მოეჩვენება. გიორგისთანა გლეხები (ვინც იცოდა, რომ ნიწა, ვენახი, ბაღ-ბოსტანი, პირუტყვი გლეხის არსებობის ნაწილი და პირობაა, თუ მას არ მოუვლი, მასზე არ იზრუნენ, მამასადამე, არ უვლი საკუთარ თავს, არ ზრუნავს საკუთარ არსებობაზე და არც ქვეყნის არსებობაზე) იყვნენ ერის ბურჯი და ხერხემალი. და თუ ერს ეს ხერხემალი გადაუტყდებია ის ერთი დაღუპვისა და გადაშენების გზაზე დადგება“.

აკ. ზვამბაია რაღაში გაახსენდა აკ. ბაქრაძეს, ალბათ, იკითხავს მკითხველი. კაც ზვამბაია ოსტატურად დაუპირისპირა აკ. ბაქრაძემ გიორგის.

— ყველა დროში იცოდნენ და მტკიცედ სჭიროდათ, რომ კაცობრობა იმ აღმამანების მხრებზე დგას, ვინც ზედმიწევნით იცის თავისი ფუნქცია და ემსახურება მას, მაგრამ მარტო ამის სათქმელად არ გამიხსენებია ოთარანთ გიორგი. გაივლის დრო და ფუნქციით ისეთივე გლეხი, როგორიც გიორგია, ნაჩაბს აიღებს და თავის საქონლს უღმობლად ამოუღებს. ამას გააკეთებს კაც ზვამბაია („მთვარის მოტაცება“) ყველა ერთხმად აღუნიშნავს, რა შემადარწუნებელი მხატვრული ენერჯით აქვს აღწერილი კ. გამსახურდიას კაც ზვამბაიას მიერ პირუტყვის გაუმეტება, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის უთქვამს, რას ნიშნავს ეს“.

ღიახ, არავის უთქვამს, მართალს ბრძანებს აკ. ბაქრაძე. არავის უთქვამს, რომ სწორედ მაშინ დაკარგა ქართველმა გლეხმა თავისი ფუნქცია, ის ფუნქცია, რომელიც ესოდენ ჰარბად ჰქონდა ოთარანთ გიორგის. უარი თქვა თუ აიძულეს, უარი ეთქვა გლეხობაზე, ეს კი ერის ხერხემალში გადატეხვა იყო. გლეხი კაცი რომ მიწას, ვენახს, ბაღ-ბოსტანს და საყოფილო პირუტყვს შეიძულეს, ეს, მართლაც, ქვეყნის დაქცევაა.

აკ. ზვამბაიამ უარი თქვა თავის გლეხობაზე, ცოცხალი კი დარჩა, მაგრამ არსებობა შეწყვიტა, რადგან თავისი საარსებო წყარო თავისი ხელით მოსპო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ



ეს მარტო კაც ზვამბაიას ტრაგედია არ იყო. ეს იყო ყველა გლეხის ტრაგედია, რაც ქვეუნი დაქცევას უღერიდა. როცა კაც ზვამბაიამ ეს ჩაი-
დინა, სწორედ მაშინ გვმართებდა ღრმად ჩა-
ფიქრება, მაშინ დაირეკა გამაფრთხილებელი
ზარი და დღესაც პრესაში არცთუ იშვიათად ვკი-
თხულობთ, რომ გლეხები ჩვენ ვაზს და მის
ნაცვლად საზამთროს თესვენ. არცთუ იშვია-
თად აღვნიშნავთ გულისტკივილით, რომ დღეს
მწარმოებელი გახდა მომხმარებელი, რომ სოფ-
ლელი კაცი ქლაქში ჩამოდის, რათა იყიდოს
კარაქი, ყველი, ხორცი, რომ სოფლად აღარავის
უნდა იყოლიოს პირუტყვი, რაც, როგორც
ა. ბაქრაძე აღნიშნავს, „ოთარაანთ გიორგის
წინააღმდეგ მიმართული ქმედება და რაც იმას
ნიშნავს, რომ ქართველი გლეხი უარს ამბობს
გლეხურ ფუნქციას“.

ა. ბაქრაძე გულისტკივილით დასძენს, ამ
დიდ ეროვნულ საკითხზე ქართული მწერლობა
ღუმსო, ქართული მწერლობის პირდაპირი მოვა-
ლეობაა, „ამოცნოს რა მოხდა ქართველი გლე-
ხის მშვენიერ სამყაროში ისეთი, რომ მან დაგ-
ნო. ოთარაანთ გიორგის გზა და კაც ზვამბაიას
გაღწევეტილებას მიემბრო“.

ბატონ ა. ბაქრაძეს უნდა მოვახსენოთ, რომ
ამის მიზეზი ამოცნობილია, ეს მიზეზი მაშინვე
იყოსნეს კ. გამსახურდიამაც და მიხ. ჭავჭავი-
შვილმაც („დამპატიე“) მაგრამ დღეს ამ პრობ-
ლემის მოგვარება მარტო მწერლობას არ
შეუძლია, იგი სახელმწიფოებრივი საქმეა და სა-
ხელმწიფომ უნდა მოაგვაროს.

მეხარბებოდა თუ კეთილი შურით მშურდა,
როცა ა. ბაქრაძის წერილს „იყოდენ მახვილი“
ვკითხულობდი. მეხარბებოდა, ჭერ ერთი იმი-
ტომ, რომ კრიტიკოსს გულთამხილავი კაცის

აღლოთი აქვს მიგნებული ყველა ის ნაკლი რუ-
წარმატება, რომელიც გურამ დოჩანაშვილის
რომანს „სამოსელი პირველი“ გააჩნია და მერ-
რეც იმიტომ, რომ მოცუბდა ის ტაქტი და თავ-
დაპერილობა, რასაც კრიტიკოსი იჩენს მაშინაც
კი, როცა ყველაზე მწარე სიმართლეს ეუბნებ-
ავტორს.

მე ვფიქრობ, ასე უნდა იწერებოდეს დღეს
კრიტიკული წერილები, თუ გვინდა, რომ ის ვნე-
ბათაღელვანი არ გამოიწვიოს კრიტიკოსმა და
მწერალს შორის, რომლის მოწმენი არაერთხელ
ეყოფილვართ.

სწორედ ასეთი ტაქტითა და თავდაპერილო-
ბით არის დაწერილი „სულის ზრდა“ სადაც ა. ბაქრაძე
თანამედროვე პოეზიის ფონზე მიმოი-
ხილავს ბევრ საპირბოროტო საკითხს და სადაც
ბევრი, ძალიან ბევრი სატიკიარია გამხეღილი
ჩვენი დღევანდელი პოეზიისა.

აღბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყ-
ვი, რომ ა. ბაქრაძის წერილების წიგნი „სუ-
ლის ზრდა“ იმ მცირერიცხოვან წიგნებს ეკუთვ-
ნის, რომლებიც ჭეშმარიტად ჩვენი ლიტერატუ-
რის სიმდიდრეს და შენაძენს წარმოადგენენ,
რომელიც, კიდევ ვიმეორებთ, მართლაცდა,
სულის სასარგებლო წიგნია, რომელიც ჩაგაფიქ-
რებს, გასწავლის, მოგახიბლავს და მთვდემარე
სულს გამოაფხიზლებს. ერთი რამ არის მწარედ
დასანანი: დიდ დაუდევრობად მიმჩნია ამ წიგ-
ნის ასე უდიერად გამოცემა, თანაც ასეთი
მცირე ტირაჟით, მაშინ, როცა თითქმის არაფ-
რით გამოსაღამოი წიგნები საუკეთესოდ იცე-
მა და ათჯერ მეტი ტირაჟიც ახლავს.

ესეც, აღბათ, ის ქართული დაუდევრობა
თუ მანკიერებაა, რომელიც ჩვენს არსებაში გა-
ჩენილა და რაზედაც ამ წიგნშია ლაპარაკი.

უხევედრები ნოდარ ღუმბაქესთან

რა უცნაურადაც უნდა ეჩვენოს მკითხველს, ამ მოკონებებს ნოდარ ღუმბაქესთან ბოლო შეხვედრიდან დღეიწუებ. საქმე ის არის, რომ ამ შეხვედრისას მის მიერ დიდი გულისტკივილით ნათქვამი რამდენიმე ფრაზა ბევრის მთქმელია უველა იმისთვის, ვისაც მისი ნამდვილი ბიოგრაფია აინტერესებს, კერძოდ კი ამ ბიოგრაფიის ის ნაწილი, რომელმაც ნოდარს სიკაბუჯის ისედაც გაუხარელი პერიოდი სულ მთლად ჩააშწარა, რაც ექვს თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა!...

უკანასკნელად ნოდარ ღუმბაქეს 1984 წლის ივლისში შეხვედი საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში, მის კაბინეტში, მაჩაბლის ქუჩაზე (მაშინ იგი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო). ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა. მას საოცრად ემარჯვებოდა აღმანიანებთან უშუალო, შინაურული ურთიერთობა, ამკრად საამისოდ გამოიყენა ის, რომ სათვალე შინ დარჩენოდა და, იქნებ მომერგოსო, ჩემი მომთხოვა: რაღაც ნაწერის წაკითხვა სჭირდებოდა ტელეფონზე პასუხის გასაცემად. მოწიწებით მივაწოდე, მაგრამ არ გამოაღდა. თვალს კარგა გვარიანად დამაქლდა, სამაგიეროდ, ქვეყანაზე თუკი რამე უბედურებაა, არ დამკლდებაო! — მწარედ დაიჩივლა. შემბატყო, ამ სიტყვებმა როგორ შემძრა მთელი არსებით, და გული გადამიშალა: გაიხსენა, 1987 წელს მამა რომ დაუპატიმრეს და იქიდან აღარც დაბრუნებულა, გაიხსენა, რამდენი გაპირებვა გადახდა დამოღებულს, განსაკუთრებით ომის წლებში; ექვს თვე-ნახევარი პატიმრობაში ვიყავი, არ მეკუთვნოდა, თვითონაც კარგად იცი, და უველაზე მეტად ეს მტანჯავდაო; მერე, შვილები რომ წამოიწარდნენ, მეტი დამეცა — ვაჟი, ჩემი ზაზა, მომიკვდაო; აგერ ახლა სიძე დამეღუპა, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, ნიკიერი მწერალიო; ბოლო წლებში ხომ ინფარქტების სერია ჩემთვის მოიცალა; რას ვიპატი, ვუძალიანდები, მაგრამ ისე მიქაჩება მოქმედ-ვაბრიელი, ეტყობა, მალე გამიყენებს გზასო.

უველაფერ ამას ისე უბრალოდ და თან ისე ნაღვლიანად ამბობდა, რომ ცრემლი მომერიდა და თანჯარასთან მივედი. თვითონაც მომარიადა მწერა.

ნოდარ ღუმბაქის მთელი ამ დანაჩივლები-

დან განსაკუთრებით მაინც ის ექვს თვე-ნახევარი მომხვდა გულში. საქმე ისაა, რომ აქედან ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში სისტემატურად მიხდებოდა მასთან შეხვედრები, ზოგჯერ დღეში ორჯერაც. თუ რა შეხვედრები იყო ეს და რით დამთავრდა ისინი, ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი პირველ შეხვედრას გავიხსენებ, რომელმაც ეს იშვიათი აღმანიანი ერთი ნახვით შემაყვარა და იმთავითვე ჩამაგონა, რომ იგი ალალი ახალგაზრდა იყო (სხვათა შორის, მასზე ჩემმა ასეთმა შეხედულებამ ცოტა მოგვიანებით კარგი როლი შეასრულა იმაში, რომ ნოდარის მიმართ სამართალი არ გამრუდებულიყო, რასაც შესაძლოა მსხვერპლადაც კი შესწიროდა იგი).

1949 წლის მარტი იღდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ საღამოში ნოდარ ღუმბაქემაც მიიღო მონაწილეობა — საკუთარი ლექსით გამოვიდა (მაშინ იგი ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი იყო). ლექსი საკმაოდ მონოტონურად წარმოთქვა, მაგრამ უველაზე მეტი ივაცია მაინც მან დაიმსახურა, რადგან ლექსიც გულწრფელი იყო და მისი მკითხველიც.

თუმცა ჩვენ ერთ უბანში ვცხოვრობდით, ერთმანეთს პირადად არ შეხვედრივართ. იმ საღამოს შემდეგ, როგორც კი ქუჩაში თვალს მოვკრავდი, რატომღაც მიხაროდა და დაუინებოთ ჩავაცქერდებოდი. ვნატრობდი, შემთხვევა მომეცემოდა მასთან პირისპირ შესაუბრა. ამის შემთხვევა, გიყვარდეს, ბევრჯერ მომეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, არასასურველ ვითარებაში — საპატიმროს კედლებში.

აი, როგორ და რატომ მოხდა ეს.

ღენინის ქუჩის დასაწყისში, ახლანდელი მეტრო „რუსთაველის“ გვერდით, ნახევრად სარდაფში გემრიელი კერძებით განთქმული რესტორანი „გემო“ იყო. ამიტომ მუშტარიც ეტანებოდა.

1954 წლის 13 აპრილს მივედი თუ არა სამსახურში (მაშინ თბილისის ორჭონიკიძის რაიონის პროკურატურაში ვმუშაობდი გამოძიებულად), პროკურატურის მდივან-მემანქანემ შურა ხაზარაძემ ცუდი ამბავი დამახვედრა: წუხელ, გვიან ღამით, რესტორან „გემოში“ ერთი კაცი მოუკლავთ, მეორე კი მიიმედ დაუჭირათო;

მკვლელობის ჩადენაში ექვმიტანილი სამი კაცი დააპატიმრეს და მეოთხეს დაემებუნო.

ორჯონიკიძის რაიპროკურატურა ენერგიულად შეუდგა საქმის გამოძიებას, მაგრამ იმის დადგენა, თუ ვინ ჩაიდინა მკვლელობა, დიდხანს ვერ მოხერხდა. ძიების საქმიდან ცნობილი იყო, რომ მკვლელობის მომენტში რესტორანში იმყოფებოდნენ მებუფტივარი არქიფო სვანი და მიმტანი არქიფო კალმახელიძე, მაგრამ ერთიცა და მეორეც დაბეჭივებით აცხადებდნენ, რომ მათ არ დაუნახავთ, ვინ ჩაიდინა მკვლელობა. მკვლელობის ჩადენას უარყოფდა ამ საქმის გამო დაპატიმრებული ოთხივე ექვმიტანილი პირი, ამასთან არც ერთი მათგანი ერთმანეთს ხელს არ ადებდა, სინამდვილეს არ ამხელდა.

ხუთი თვის ძიებამ შედეგი ვერ გამოიღო და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის სასამართლომ ისევ ორჯონიკიძის რაიპროკურატურა დაუბრუნა, სადაც მე გადმომეცა. ამ დროისათვის გამოძიების მასალებით უკვე დადგენილი იყო, რომ მკვლელობაში ექვმიტანილი ოთხი პირისაგან მკვლელობის ჩადენის მომენტში ერთი მათგანი სავსებით ფხიზელი იყო. მას მეორე დღეს კალმახობრთის ჩემპიონატში უნდა მიეღო მონაწილეობა და ალკოჰოლს მოერიდებოდა. ცხადია, ეს არ გამოორიცხავდა იმას, რომ მკვლელობა შეიძლებოდა მას ჩადენინა. რაც შეეხება ქეთის მეორე მონაწილეს — ნოდარ ღუმბაძეს, მკვლელობის მომენტში იგი მაგიდაზე ჩამოძინებული ყოფილა, როგორც ამას უკვეა დაკითხული ერთხმად ამტკიცებდა. და მაინც ჩემამდე ჩატარებულ გამოძიებას ნოდარი დამაშავედ მიაჩნდა, როგორც მკვლელობის მონაწილე. ნოდარს განსაკუთრებით იმაში ედავებოდნენ, რომ, თუ თვითონ არ იყო მკვლელი, ის ზომ აუცილებლად ეცოდინებოდა, ვინ ჩაიდინა მკვლელობა. პირადად მე არც ეს შედავება მიმაჩნდა საფუძვლიანად, თუმცა, ნოდარ ღუმბაძის პიროვნებას რომ ვიცნობდი, ერთ რამეში დარწმუნებული ვიყავი: მკვლელის ვინაობა კიდევ რომ სცოდნოდა, არახგზით არ გათქვამდა.

გამოძიების ორტომიანი საქმე, რომელიც მე გადმომეცა, ნოდარის ბრალეულობის არავითარ საბაბს ვარ იძლეოდა. ამიტომ ჩემთვის იმთავითვე გარკვეული შეიქნა მისი უდანაშაულობა, რაშიც საპატიმროში მასთან ყოველი შეხვედრის შემდეგ სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი. მაგრამ ის გარემოება, რომ მკვლელი ვერა და ვერ იქნა დადგენილი, ბევრად ამძიმებდა ოთხივე ექვმიტანილის, მათ შორის ნოდარ ღუმბაძის საქმეს.

გამოძიება ჩემამდეც მართებულად ვერსიას ადგა იმ მხრივ, რომ არ სჭეროდა მებუფტივობა და მიმტანის მტკიცება — არ ვიცით,

მკვლელობა ვინ ჩაიდინაო. სწორედ ამიტომ დააპატიმრეს სასამართლოს ერთ-ერთი მხედრის დროს მებუფტივარი არქიფო სვანი. მოგვიანებით, თვრამეტი წლის შემდეგ, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ეს დაპატიმრება საფუძვლიანი იყო.

1972 წლის ოქტომბრის დამლევს შაბათ საღამოს, სამი მეგობარი — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, აწ განსვენებული შალვა შარაშენიძე, ინჟინერი დიმიტრი ჩხარტიშვილი და მე — თბილისის ზღვის რესტორანს ვეწვიეთ და მის ერთ მომცრო ოთახში ვაზშამს შევეცეოდით. სუფრაზე სამოდებ ბოთლი ღვინო გვედგა, მტრის შემომატებას არც ვაპირებდით, მაგრამ ოთახში მომტანი შემოვიდა, მაგიდაზე თორმეტი ბოთლი ღვინო დაგვიწყო. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, არქიფომ მოგართვაო. გულმა რაღაც მიგრძნო და ვთხოვე, რომ არქიფო ჩვენთან მოეყვანა. არ შეეცდარება: ის არქიფო იყო — რესტორან „გემოს“ ყოფილი მებუფტივარი არქიფო სვანი, მე რომ პატიმრობიდან გავთავისუფლებინე, რადგან მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მასალების მოპოვება არ მოხერხდა. სასმისი მივაწოდეთ. დაგვლოცა. მერე არქიფოს მივართვი:

— თვრამეტი წელი საქმარისზე მეტი დროც კია საიმიხოდ, რომ პასუხი ვეღარ მოგთხოვონ, თუ რატომ მიეცი არასწორი ჩვენება და რატომ არ დაასახელე მკვლელი. ახლა მაინც მოთხარი სიმართლე, ვინ ჩაიდინა იმ ავად მოსაგონარ ღამეს მკვლელობა რესტორან „გემოსში“? არქიფომ მკვლელი დასახელა. რასაკვირველია, იგი ხვდა იყო და არა ნოდარ ღუმბაძე. მან ისიც დასძინა, რომ ნოდარი იმ მომენტში, როდესაც მკვლელობა იქნა ჩადენილი, სუფრაზე ჩამოძინებული იყო, იგი მკვლელობის შემდეგ ატეხილმა აურსაურმა და ლაწაღოწმა გამოაღვიძრა.

და მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ყოველივე ის, რაც დაკითხვების დროს ნოდარ ღუმბაძემ მითხრა, სრული ჭეშმარიტება გახლდათ.

— სუფრაზე ჩამოძინებული ყვირილმა და ბრახუნმა რომ გამომაღვიძრა და თვალები მოვიფხვნიტე, — თქვა ნოდარმა, — წამოვდექი და რესტორნის კარებისაკენ გავვიქვი. კიბის რამდენიმე საფეხური ავიარე და ქუჩაში გავედი, მათი არ მყოფნიდა და იქ სული მოვითქვი. უკან მობრუნება არც მიფიქრია. იმის თავი, აბა, სად მქონდა, რომ მეკითხა რა გაყვირებდათ-მეთქი. იქ დატრიალებულ უბედურებაზე არაფერი ვიცოდი, და მეც არხინადა, ღიინი-ღიინით გავუყვიე გზას შინისაკენ. ბელენსკის ქუჩა რომ გადავკვეთე, „მოსკოჩი“ გაჩერდა და იქიდან გადმოსულმა მილიციელმა

მკითხა, ამ შუალაშისას საიდან მოდინხარო. მეც თანამადე ვუთხარი, „გემოდან“-მეთქი. მაშინვე „მოსვიჩი“- ჩამსვეს და მილიციის სამორიგე-ოში მიმამარხანეს. იქ მისვლიდან ათიოდე წუ-თის შემდეგ უფრო მოკვარი ტელეფონით მო-ლაპარაკე მორიგის სიტყვებს: — რესტორან „გემოში“ კაცი მოკლეს, მეორე კი მიმოდ არ-ის დაკრილი, მოჩხუბართაგან სამი დაპატიმრე-ბულია და მეოთხეზე დაქვებენო. ამ ამბის გაგე-ბამ თავზარი დამცა და თითქოს გამოვფხიზლ-დი კიდევ...

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება მაინც გავაც-ნო მკითხველს, თუ უშუალოდ რა უძლოდა წინ და რამ განაპირობა რესტორან „გემოში“ დატრიალებული ეს ტრაგედია.

თორმეტ აპრილს, საღამო ხანს, რუსთაველ-ის პარსპექტზე ერთმანეთს შეხვდნენ ნოდარ ღუმბაძე და მისი სამი მეგობარი, მათ შორის — ორი კალათბურთელი. მალხაზის მკერდზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი რომ დაუნახავს, ნოდარს მათთვის, შეუთავაზე-ბია, თითო ჭიქით მიველყოცოთ მალხაზს ეს სასიხარულო ამბავიო. რესტორან „გემოში“ ჩასულან და სუფრას მიხედომიან. მეგობრებს ჭიქი გვიან დამემდე გაგრძელებიათ. ამ დროს საბურთალოდან ღვინის საყილად წამოსული ორი ბრგე ახალგაზრდა მიადგა რესტორან „გემოს“, რომლის ფანჯრებიდან სინათლის შუქი ამოდიოდა, მაგრამ კარები დაკეტილი და-უხვდათ. მათ შენიშნეს, რომ რესტორანში რამდენიმე კაცი სუფრას უხსდა და დროს ატა-რებდა. მოსულებმა კარებზე ბრახუნი ატეხეს და, როცა არავინ გაუღო, შეამტვრიეს კიდევ. დარბაზში შეიჭრნენ და დამხვდურებს უშვერი ლანძღვა-გინება დაუწყეს. ატყდა ჩხუბი და ცემა-ტყემა. უკვე ვიცით, თუ რით დამთავრდა ყოველივე ეს.

გამოიძევა რომ დავამთავრე და საქმის ორ-ტომეულს ერთხელ კიდევ გულდასმით გავე-ცანი, საბოლოოდ დავრწმუნდი: ნოდარ ღუმ-ბაძე არ იყო დამნაშავე და გაუგებრობის ნი-ადაგზე მოხვდა საპატიმროში.

1954 წლის 28 ოქტომბერს რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობას მოვახსენე რესტორან „გემოში“ მომხდარი მკვლელობის გამოძიების შედეგები. ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: რესპუბლიკის პრო-კურორს სსრ კავშირის პროკურატურის წარ-მომადგენლებთან ამხ. ა. გოლსტან ერთად პი-რადად ენახა საპატიმროში ოთხივე პატიმარი და ესაუბრა მათთან. ეს გადაწყვეტილება იმა-ვე დღეს შესრულდა. საპატიმროდან დაბრუნე-ბისთანავე რესპუბლიკის პროკურორმა ხელმე-ორედ შეგვიკრიბა და მომთხოვა წამომეყენებო-

ნა წინადადებანი ჩატარებული გამოძიების სა-ფუძველზე. მე მოვახსენე, რომ საპროკურორულ-ღუმბაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რა-დგან მის ქმედებაში არ მოიპოვებოდა სისხ-ლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. რაც შეეხება დანარჩენ სამ ბრალდებულს, მათი სა-ქმე სასამართლოს უნდა გადაეცეს-მეთქი. ღუ-მბაძის გათავისუფლების შესახებ ჩემს წინადა-დებს მტკიცედ დაუჭირა მხარი საქვეშირო პროკურატურის წარმომადგენელმა. რესპუბლი-კის პროკურორმა მკითხა: ხომ არ მიმჩანდა მიზანშეწონილად, რომ ღუმბაძესთან ერთად გათავისუფლებულიყო მეორე პატიმარიც (მან მისი გვარი დავასებლა). მე ამაზე უარყოფითი პასუხი გავცე.

იმავე დღეს, როგორც კი ჩემს სამსახურში, ორჭონიკიძის რაიპროკურატურაში, დავბრუნ-დი, შევადგინე დადგენილება ნოდარ ღუმბა-ძის გათავისუფლების შესახებ, ხელი მოვაწე-რე და დასამტკიცებლად წვავდე რესპუბლი-კის პროკურორს, ვინაიდან რაიონის პროკუ-რორი ავადმყოფობის გამო სამსახურში არ იმ-ყოფებოდა, მისი მოვალეობის შესრულება კი არავის ჰქონდა დაკისრებული. რესპუბლიკის პროკურორმა მეორე პატიმრის გათავისუფლე-ბის დადგენილებაც მომთხოვა და როცა ვუ-სასუბე, რომ ეს არ მიმჩანდა შესაძლებლად, თავის პირველ მოადგილესთან გამგზავნა, რე-მელმაც ასეთი სიტყვებით გამოისტუმრა: პა-ტიმრის გათავისუფლების დადგენილება რაი-ონის პროკურორმა უნდა დამტკიცოსო!

გაწილებული დავბრუნდი ორჭონიკიძის რა-იპროკურატურაში, მაგრამ ფარ-ხმალი არ და-მყრია. ამჭერად რაიონის პროკურორის თანა-შემწეს გივი გოგუაძეს ვთხოვე დაემტკიცებინა ნოდარ ღუმბაძის გათავისუფლების დადგე-ნილება. იგი კარგა ხანს უარზე იდგა, აქაოდა, ცუდი ხმები დაღის, არ გავილანძღოთო! მაგ-რამ როცა განუშარტე. თუ რა გაქირვებულად ცხოვრობდა ღუმბაძის ოჯახი, იგი დათმობაზე წვავდა და მითხრა: თუ დადგენილების დამამ-ტკიცებელად სათანადო ადგილას დავწერდი არ: „პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს“, არამედ „პროკურორის თანაშემწეს“, მაშინ იგი დადგენილების დამტკიცებას ხელს მოაწერდა. მისი ეს მოთხოვნა შევასრულე და მან დადგე-ნილებას ხელი მოაწერა. ეს ხელმოწერა რომ ნახა, პროკურატურის საქმეთა მმართველმა მი-ნადორა ჩიქოვანმა დადგენილებას ბეჭედი და-ასვა და დაკუმენტმა იურიდიული ძალა შეი-ძინა.

მეორე დღეს, 29 ოქტომბერს, ამ დადგენილ-ებით გამოცხადდი თბილისის პირველ საპატ-



იმროსი და ზედამხედველს ვთხოვე ოთხივე პატომის მოყვანა. ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა, მაგრამ ჩემმა დაჟინებამ შედეგი გამოიღო და ოთხივე წარმომადგინეს. თითოეულ მათგანს გამოკითხე, თუ რა პრეტენზია ჰქონდა და რაში შემქმნელი დახმარების გაწევა. ოთხივე დაჟინებით აცხადებდა: — დამწავე არა ვარ და პატომრობაში ტყუილდებარალოდ ვიმყოფები! მერე სამ მათგანს ასეთი კითხვა დავუსვი: ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, რომ დღემამდე პატომრობიდან გაათავისუფლონ-მეთქი. მათ ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ამას დიდი სიხარულით შეხვდებოდნენ, როგორც სამართლიან გადაწყვეტილებას. მაშინ მე მათ შევთავაზე, რომ თავიანთი ეს თანხმობა თითოეულს ცალ-ცალკე ხელწერილით დაედასტურებინა. მათ ეს სიამოვნებით შეასრულეს. მხოლოდ ამის შემდეგ გავხსენი საქალაქე და მაგიდაზე დავდე დღემადის გათავისუფლების დადგენილება. უნდა გვანახათ, რა მოხდა: მათ ნოღარი ხელში აიტაცეს, კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, სიხარულით ტიროდნენ..

ერთხანს კმაყოფილებით შევეყურებდი ამ სურათს, მერე კი იძულებული გავხდი შემეხსენებინა მათთვის: თუ გინდათ, რომ თქვენი ძმაკაცის გაშვება დღეს მოესწროს, მეტს ნუღარ დაგვაყვანებთ-მეთქი. გულდაწყვეტილი მოშორდნენ ნოღარს და იგი წავიყვანე გამოძიებლის სამუშაო საკანში, დანარჩენი სამი პატომარი კი ზედამხედველს ჩავაბარე. იქ მომკრო მაგიდას რომ მივუსხედით, ნოღარს თუთუმეტი მანეთი (ახლანდელი მანეთ-ნახევარი) მივეცი და ვუთხარი: დღის ოთხ საათამდე აქედან აუცილებლად გაიშვებენ და შინ ტაქსით წადი-მეთქი. სიხარულით გაოგნებული იყო. შევატყუე, რადაცის თქმა უნდოდა (აღბათ, მადლობისა), მაგრამ პირში ენა ვერ მოგებურნებინა, ხვალ, დღლის ათი საათისათვის, ჩემთან მოდი რაიპროკურატურაში, ელბაქიდის აღმართის რვა ნომერში, შენი საქმის გამოძიების საბოლოო შედეგები უნდა გაგაცნო-მეთქი, ვუთხარი და წამოვიდო.

მეორე დღეს დანიშნულ დროზე გამოცხადდა. მეორედ და მ წლის გოგონა ახლდა. ერთმანეთს მივესალმეთ თუ არა მორცხვად გამომიწოდა თუთუმეტი მანეთი — საკუთარი მანქანა რომ გეყოლება, ერთხელ მეც ჩამსვი და ქვითი ვიქნებით-მეთქი. გავეხუმრე და, თავისას რომ მიინც არ იშლიდა. დავუცაცხანე კიდევ. ფული ჭიბეში ჩაიღო და რატომღაც თითქოს ორივეს დიდი ტვირთი მოგვიცოლიდა. მერე უცებ გახალისდა და გული გავადამიშვალა.

— ჩემს საკანში რომ დავბრუნდი და სასწრაფო გავიშოტე, მალე ზედამხედველის ძახილი გავიგონე: „დუმბაქე, ს ვეშჩამი!“, გუნებაში გამეცინა: ჩემს „ვეშჩებს“ ერთი სანახევროდ

კბილებჩამტვრეული სავარცხელი და ერთიც ვატრეცილი ცხვირსახოცი შეადგენდა, ეს იყო უნდა. მეკირცხლად წამოვდექი, საპატომროს კაბინის ჭიბიდან სავარცხელი და ცხვირსახოცი ამოვიღე და საწოლზე დავაწყვე. ამ დროს ზედამხედველიც შემოვიდა და ჩემი „ვეშჩები“ შეათვალიერა. „ეს საიდან?“ — მკითხა მან და საწოლზე მიმითთა. იქ თქვენი მოცემული თუთუმეტი მანეთი დავინახე — იმ „ვეშჩების“ ამოღებისას ამომცვეროდა ჭიბიდან. „გამომძიებელმა მოგცა ხომ?“ — ახლა ეს მკითხა ზედამხედველმა, თანაც რამდენჯერმე, რადაცნაირი დაჟინებით. ვიფიქრე, ასე იმიტომ ჩამაცვიდა, რომ აღბათ, გამოძიებელს არ ჰქონდა უფლება, პატომრისათვის ფული მოეცა-მეთქი, და გვიტყუე: — გამოძიებელს არ მოუცია, ვიპოვე! ზედამხედველმა არ დამიჭრა და დამემუქრა: „სანამ სიმართლეს არ იტყვი, საპატომროს არ გაგიშვებ! თუ იპოვე, ციხის ადმინისტრაციისათვის უნდა ჩაგებარებინა. კი არ გიპოვია, გამოძიებელმა მოგცა!“ მერე სინანულით დასძინა: — „ეს ტანსაცმელი საგანგებოდ შევარჩიე, ტანზე მორგებულად გექნებოდა, და ახლა უკანვე უნდა ჩავაბარო“ — თქვა ეს და წავიდა. ელდანაკრავი ისევ საწოლზე გავიშოტე. შემფოთება რომ შემატყუეს, პატომრებმა მითხრეს: „ტყუილად ღელავ, თუ გამოძიებლის დადგენილებას, ოთხ საათამდე აუცილებლად გაიშვებენ“. თითქოს დავმშვიდდი და ახლა ის „მორგებული ტანსაცმელი“ დამენანა. მერე ვიფიქრე: რა სულელი ვარ, ოღონდ აქაურობას გავეცალო და დღემშობლა წასვლაზეც არ ვიტყუოდი უარს-მეთქი. მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. აი, მოახლოვდა ოთხი საათი და გამომცხადა ზედამხედველი იმ „მორგებული ტანსაცმლით“. რის მორგებული, რა მორგებული- შარვალი იმდენად დიდი მქონდა, რომ წელზე არ მიმაგრდებოდა, ხელით მეჭირა. გამოშვიდობებისას ზედამხედველს ორივე ხელი გავუწოდე და... შარვალი ჩამვარდა...

ლაპარაკით გული რომ ვიჭრეთ, ნოღარს დაწვრილებით გავაცანი საბოლოო გამოძიების შედეგები და ასე, მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს.

ამის შემდეგ, გარდა იმ ბოლო შეხვედრისა, რომლის შესახებ ზოგი რამ უკვე ვთქვი, ნოღარ დუმბაქეს აღარ შეხვებდრივარ. ზოგი რამ მეთქი, ასე იმიტომ ვამბობ, რომ შეხვედრის მთავარ საგანზე ჭირ არაფერი მითქვამს.

ნოღარს ერთი თავისი მეგობრისაგან, რომელსაც შვილი პატომარი მყოლია, შეუტყუია. თბილისის პირველ საპატომროსი ექიმად ხელაძე მუშაობს. დაინტერესებულა და ისიც გაუფიქრა, რომ ეს ექიმი ჩემი უმცროსი ვაჟიშვილი

თორნიკე იყო. საპატიმროში ტელეფონით დაკავშირება და თავისთან ვლზმივართ — შენ და მამაშენმა მწერალთა კავშირში შემომიარეთო.

— გამიხარდა, როცა გავიგე, რომ შენი შვილი ციხეში მუშაობს ექიმად. ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ დავარდებო, ნათქვამია, და დარწმუნებული ვარ, შენი თორნიკეც შენსავით გულისხმიერი იქნება. ციხეში კი მხოლოდ ასეთი უნდა მუშაობდეს!.. ჰა, რაშია საქმე? რაღაც ორივენი შეიკმუნენთ, ვატყობ, არ მოგეწონათ ჩემი სიტყვები.

გავკადნიერდი და ვუთხარი:

— გვერიდებოდა თქვენი შეწუხება, ბატონო ნოდარ, თორემ მე და თორნიკეს კარგა ხანია მოსვლა გვინდოდა იმის სათხოვნელად, რომ...

— გასაგებია! — ბავშვური გულუბნეულობით თქვა ნოდარმა, — რას ვიზამ, ასეთი ბედი მაქვს: მგონია ვაქებ კაცს და თურმე ისეთ რამეს ვეუბნები, გული უსკდება. ვიცი, მძიმე აღგილია, მაგარი ნერვები უნდა იქ მუშაობას!

ჩვენი თორნიკე კი, ახლა რომ ვუკვირდები, მაინცდამაინც არ ჩანს ეგეთი მაგარი ნერვების პატრონი. დავურეკავ მინისტრს და ვთხოვ.

ამის თქმაზე ყურმილი აიღო და ჯანშრთელის მინისტრს დაურეკა. თითქმის ორმოც წუთს გაგრძელდა მათი დიალოგი, რომელიც ნოდარმა ასე დაასრულა:

— მამატიე, არ შეგაწუხებდი, მაგრამ გული ძალიან მთხოვს დავებმარო. მამამისმა სწორედ იმ ციხიდან გამათავისუფლა და მე რა უფლება მაქვს, არ შევეცადო, რომ მისი შვილი სხვაგან გადაიყვანონ სამსახურში. რა ქნას ამ ანგელოზოვით ბიჭმა, თუკი იქ მუშაობა ძალიან უმძიმს, ნებისყოფა არ ჰყოფნის საამისოდ?

ეტუბოა, მინისტრი საქმის მოგვარებას დაამირდა. ნოდარმა მას დიდი მადლობა გადაუხადა, ჩვენ კი ეს გვითხრა: — ვნახოთ, რა გამოვაო. მინისტრმა თავისი სიტყვა შეასრულა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ნოდარის გარდაცვალების შემდეგ.

ფრიდრიხ ბოდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ

„მასების ფსიქოლოგია ძნელად შესაცნობი რამ არის. ვშიშობ, რომ ისტორიკოსები ისტორიის წერისას არ ითვალისწინებენ მათ ფსიქოლოგიას“.

ალბერტ ბინშტაინი, „აზრები“

იმ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ამაგი დასდეს ქართული კულტურის ევროპაში გაცანის საქმეს, არის XIX საუკუნის შუა ხანების გერმანელი მწერალი, მთარგმნელი და მოგზაური ფრიდრიხ ბოდენშტედტი. იგი დაიბადა 1818 წელს პეინში, მანოვერის ახლოს, სწავლობდა გოტიנגენსა და მიუნხენში. 1841 წელს ჩამოვიდა მოსკოვში, როგორც გერმანული ენის მასწავლებელი.

მოსკოვში ყოფნისას იგი პირადად გაეცნო მ. ი. ლერმონტოვს, ა. ი. გერცენს; მიმოწერა ბქონდა ნ. ა. ნეკრასოვთან, ფ. ი. ტიუტჩევთან, ი. ს. ტურგენევთან; რუსული ლიტერატურის გერმანიაში პროპაგანდის მიზნით გერმანულ ენაზე თარგმნა კ. ნ. ბატიუშკოვის, ა. ს. პუშკინის, ა. ვ. კოლცოვის, გ. რ. დერჟავინის, ა. ა. ფეტის თხზულებანი, დაწერა საუბრადღებო ნაშრომი „ლერმონტოვის პოეტური მემკვიდრეობა“ (1852 წ.) და სხვა.

ფ. ბოდენშტედტმა 1844-47 წლებში იმოგზაურა ყირიმსა და კავკასიაში; ორი წელი დაჰყო საქართველოში, იცხოვრა თბილისში, ახწავლიდა თბილისის გიმნაზიაში.

რუსეთის იმპერიაში მოგზაურობის შედეგად დაწერილი წიგნებიდან ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მწერლის ნაშრომი, „კავკასიის ხალხები“, რომელიც ბერლინში პირველად 1848 წელს გამოვიდა. ამ ნაშრომში მან შეიტანა საქართველოში ორი წლის ცხოვრებით და დაკვირვებით მიღებული შობებულებები. შემდგომში ავტორმა მთლიანად გადაამუშავა, შეავსო და 1855 წელს ბერლინშივე იმავე სათაურით მეორედ გამოსცა შრომების პირველ ტომში.

წიგნი საქმია ადგილი აქვს დთმობილი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევს, რომელიც ქართველთა მოდგმას ეხება. მართალია, განხილული საკითხი ძირითადად ავტორის დაკვირ-

ვებებს და ნანახს ეფუძნება, მაგრამ იგი იცნობს და იყენებს სხვა ისტორიულ წყაროებსაც.

ფრიდრიხ ბოდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ, კრიტიკული განხილვის შემდეგ, კარგი მასალაა XIX საუკუნის (ადრეულისაც) საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის შესასწავლად.

ქვემოთ გერმანელი პოეტ-მოგზაურის ფრიდრიხ ბოდენშტედტის წიგნიდან შემოკლებით ვბეჭდავთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევს, რომელიც ქართველთა მოდგმას შეეხება

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები საქართველთა მოდგმა

მას განეკუთვნება:

- ა. ქართველები!
- ბ. იმერლები
- გ. გურულები
- დ. მეგრელები
- ე. სვანები.

ყველა ეს ხალხი ერთი ტომის შთამომავალია და ოდესღაც, მრავალ სხვა ხალხთან ერთად, რომლებზედაც ჩვენი აღწერისას გვექნება საუბარი, ქმნიდნენ ერთ მთლიან სახელმწიფოს ქართლის მეთაურობით. ენებს, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ, აქვთ ერთი ძირი — ქართული ენა, რომელიც განეკუთვნება იბერიულ ენათა ოჯახს. საქართველოს ხანმოკლე აუვავე-

¹ გეორგიენ — საქართველო (ძველი იბერია და ერთი ნაწილი ალბანეთისა) თავისი ქვეყნის ენაზე ჰქვია ქართლი. თათრები (უნდა იყოს თურქები — ვ. ქ.) და სპარსები ეძახიან „გურჯისტანს“, თურქები მოკლედ — „გურჯია“, საიდანაც რუსული სახელი „გურჯია“ წარმოქმნილი.



ბის ხანაში მისი სამფლობელო გადაშლილი იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, თურგიდან არაქსამდე.

განსხვავება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში კართველური მოდგმის ხალხთა შორის ენაში, გარეგნობასა და წეს-ჩვეულებასში ჩამოყალიბდა, გამოწვეულია მათი სხვადასხვა გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე, მეომარ მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობით.

მათი ისტორია თანამიმდევრობაა ომისა და განადგურებისა, რის გამოც ხელოვნებასა და მეცნიერებას არ შეეძლო ხანგრძლივად დედო ბინა მათ შორის; მათი შემოქმედებითი ხელი მხოლოდ მომთაბარულად წვდებოდა კიროსისა და ფაისის ნაპირებს. ამას ახლაც ადასტურებს განადგურებული ტაძრებისა და სასახლეების ნანგრევები, ასევე ლიტერატურის შემორჩენილი ნიმუშები...

ლამაჰ ქართველს, რომელიც ამჟამს თავისი წარმოშობით, რადგან სხვა უკვლავური წართვეს, გენეალოგიის ფესვები გადგმული აქვს ათასწლეულის უკან, უხსოვარი, ძველთაძველი დროის წყვილიაღი...

ქართლის მფლობელთა გრძელი რიგი, რომლის მსგავსი შეიძლება მხოლოდ ჩინურ ისტორიაში მოიძებნოს, იწყება მეფე ფარნავაზით, რომელიც სამეფო ტახტზე ასულა ადამის გაჩენიდან 828 წელს და მოაგრდება გიორგი XII-ით. ეს იყო სუსტი მეფე, რომელმაც თავისი ქვეყანა და გვირგვინი ამ საუკუნის დასაწყისში რუსთა ხელმწიფეს გადასცა.

მკითხველს არ გამოვიყვანო მოთმინებიდან საქართველოს ყოფილ მფლობელთა სახელების დაუსრულებელი ჩამოთვლით...

გვინდა შევჩერდეთ საქართველოს ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს და უკვლავზე სახელოვან მომენტზე — ქრისტიანობის შემოღებასა და თამარ, ანუ თამარა მეფის მეფობის ხანაზე.

საქართველო უკვე 820 წელს, მეფე მირიან II-ის დროს გაქრისტიანდა, ქრონიკა მოგვითხრობს, რომ წმინდა ქალწულმა ნინომ, კონსტანტინოპოლიდან მცხეთაში ჩამოსულმა, საქართველოს ამ ძველ დედაქალაქში ხალხის ახალ რწულზე გადაყვანისათვის ბევრი საოცრება გააკეთა. მათ შორის, მან განკურნა მეფე მირიანის მომაკვდავი მეუღლე და ვაჟი, ხოლო შემდეგ ქრისტიანობა მიაღებინა...

ბრწყინვალე კათოლიკური ტაძარი, რომელიც საქართველოში თითქმის ქრისტიანობის შემოღებისთანავე აშენდა მცხეთაში, დღესაც საკმაოდ კარგად არის შენახული და გუთუნის ამიერკავკასიის უდიდეს და უკვლავზე პატივდებულ ნანგრევებს...

დავით II-ით (აღმაშენებელი — ასე ეწოდება მას, რადგან სახელმწიფოს უკვეა განადგურებული ქალაქი ისევ აღაშენა) იწყება ნამდვილი აუვაება საქართველოსი.

მის მემკვიდრეთა შორის (დიმიტრი, დავითი და გიორგი) განსაკუთრებით გამოირჩევა მუდამ საბრძოლველად შემართული გიორგი მესამე, ამ სახელის მესამე მატარებელი ბაგრატიონთა კარზე. მან დაამარცხა სპარსნი და თურქნი, მნიშვნელოვანი დამპყრობლური ბრძოლებით განაღოდა თავისი ქვეყანა. ასე, რომ იმ დროს, როცა თამარმა, დედამ მეფემ, გიორგის ასულმა, გვირგვინი დაიდგა, საქართველო უკვე იყო ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო, ისეთი, როგორც არასოდეს არ ყოფილა. თამარ მეფის დროს, რომელსაც ინგლისის დედოფალთან მრავალ სხვა-სთან ერთად ისიც ჰქონდა საერთო, რომ თავის თავს სიამოვნებით უწოდებდა ქალწულს, — საქართველომ თავისი დიდების მწვერვალს მიაღწია.

თამარს მიაწერს ხალხი გორის, დღევანდელი ქართლის დედაქალაქის დაარსებას, აგრეთვე უმეტესი სიმაგრეებისა და ეკლესიების აშენებას. მან განავრცო ქრისტიანობა კავკასიის სოფლებში და დედა, თუმცა ცოტა ხნით, ისლამის გავრცელება იმ მიდამოებში, იგი ძლიერი ხელით მართავდა ქვეყნის და იბრძოდა გვირგვინი მათგან, რომლებიც სხვა-სხვა სახის უწყობა მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებას, ქმნიდა ახალ კანონებს, მოღვაწეობდა ენერგიულად და გატაცებით უკვეა დარგში. მისი ეპოქის ნაყოფია უკვლავური, რაც კი ოდესმე შეუქმნია ქართულ ლიტერატურას.

თამარი უდიდესი ქების ღირსია იმის გამოც, რომ მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფი მტრების შთამომავლობაშიც თამარის სახელთ არაწაქვები შარავანდელით არის მოსილი, ვიდრე თვით საქართველოში...

ამ ბრწყინვალე ხანის შემდეგ, რომელიც დასრულდა XII საუკუნის ბოლოს, საქართველოს თავზე კვლავ უწყინი ღამე დადგა. გაოცებას იწყებს უნარი და გამძლეობა, რომლითაც ქართველები მტრების შემოტევას ხვდებოდნენ და იგერიებდნენ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართველი ხალხი, მიუხედავად უკვლავ იმ გაქირვებისა და ძალმომრეობისა, რასაც მიმართავდნენ მტრები მათი გამაჰმადიანებისათვის, თავისი ძველი რწმენის ერთგული დარჩა.

თბილისი იყო უცხო დამპყრობთა სამიწენ და დღესაც არის ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლების ცენტრი და სარწმუნოებრივი ადგილი.

თბილისის შემდეგ, რომელიც უახლესი მოცემებით ზუსტად მან ათას მცხოვრებს ით-

1 უნდა იყოს 337 წელი.



ღირებულების მქონე საგნები, რომლებსაც იპოვი ამ ქვეყნის მდიდართა სახლებში, არის ლამაზი ნივთები, იარაღი და ტანსაცმელი. ამ უკანასკნელს ჩვეულებრივ დიდად უვლიან. დიდა კონტრასტი, რომელიც არსებობს ტანსაცმლის ბრწყინვალეობასა და ვიწრო, ჭუჭყიან ბინებს შორის. გასაკვირია, რომ ამ ბნელი მიწის ხვრელებიდან ამოდიან მოკაშმული, ფარჩასა და აბრეშუმში გახვეული გოგონები და ქალები.

როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა ტანსაცმელი უფრო ლამაზი და მდიდრულია, ვიდრე ეს შეიძინება დაბალ საფეხურზე მდგომ სხვა ხალხებში. ამ მოვლენის ახსნა ადვილია აღნიშნული ქვეყნის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე.

სოციალური ცხოვრების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ უმრავლეს ევროპულ ხალხებში ფუფუნებისადმი მიდრეკილება გამოიხატება ბინების მორთულობაში. საქართველოში, პირიქით, ისევე, როგორც აღმოსავლეთის უმეტეს ქვეყნებში, ვხვდებით საწინააღმდეგო მოვლენებს. აქ ბინებს იყენებენ როგორც ოჯახური თავშეუქონის ადგილს, ასევე ფუფუნების გამოხატვის საშუალებას. სადაც სახლის პატრონს ქალი მხარს არ უბამს, არ აცოცხლებს და არ აკეთილშობილებს იქაურობას, შეუძლებელია ნამდვილ ოჯახურ სიტბოზე ლაპარაკი.

ქართველთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მევენახეობაა. მიწათმოქმედება აქ მეტად დაბალ საფეხურზე დგას და ეს ზარმაცი ხალხი მხოლოდ იმერომ მისდევს მას, რომ უპირველესი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს.

უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას, ვინაიდან უკლებლივ ყველა ქართველი დიდი ღვინის მსმელია. საქართველო სამშობლოა ვაზისა და ღვინის მოშავდება არ მოითხოვს დიდ შრომას. ყველაზე კარგი ღვინოები დალოცვილ ბარაქიან პროვინცია კახეთშია, ნამდვილად სამოთხისებურ ქვეყანაში, აქედან იგი უმეტესად თბილისში ჩამოაქვია.

იმერლები

იმერეთის მცხოვრებელი არიან დიდნი და ტანადნი ქართლის ხალხივით, მაგრამ უფრო ლანჯანი და მკვირცხლნი. ამ ქვეყნის გლეხები ისე გამოიყურებიან, თითქოს წარჩინებული გვარისანი იყვნენ.

ისინი იცავენ სისუფთავესა და წესრიგს, მათი ტანსაცმელი, ცხენები, იარაღი და აღჭურვილობა მუდამ საუკეთესოდ გამოიყურება. ისინი არიან მკვირცხლნი ლაპარაკსა და საქმეში, კოხტანი მოძრაობისას, ცეცხლოვანი, ძლიერნი და მამაცნი, მაგრამ აკლიათ ამ-

ტანობა, როგორც ბრძოლაში, ისე ყველა სხვა საქმეში, რასაც ხელს მოჰკიდებენ...

უხეები არიან და ცოტას ფიქრობენ სიმდიდრის დაგროვებაზე, ცხოვრობენ მხოლოდ დღევანდელით, არ ფიქრობენ მომავალზე, ისინი არიან მუსიკის და სიმღერის მოყვარულნი, უმრავლესობას აქვს კარგი ხმა, მათ რწმენა და ენა აქვთ ქართლისა.

ამ სიტყვებით ახასიათებს ვახუშტი ბატონიშვილი გასული საუკუნის იმერლებს, ასეთები იყვნენ ისინი რამდენიმე საუკუნის წინ. იგი ზოგადად ემთხვევა იმერლების დღევანდელ დახასიათებას, თუმცა ქვეყნის ახალმა მმართველობამ, რუსეთთან ხშირმა ურთიერთობამ და განსაკუთრებით ხალხის მტანჯველმა სიღარიბემ არასასურველი ცვლილებები გამოიწვია.

ამე, რომ დღეს ძალიან მცირე ვინმე თუ წარმოადგენს იმერეთის გლეხებს თავიანთ კონკრეტულ წარჩინებულ გვარის ხალხად, ვერც მათ ცხენებზე, იარაღსა და აღჭურვილობაზე იტყვი, საუკუთესო მდგომარეობაშიაო. დიდი ნაკლებობაა ცხენებისა და შინაური ცხოველებისა საერთოდ. სამაგიეროდ, ღვინო ამ კუთხეში ჭარბად არის. მხოლოდ უკეთესად შეიძლება ვაზის კულტურის მოვლა და ღვინის დაშავდება.

ქვეყნის კლიმატი გაცილებით არაჩანასაღია, ვიდრე მეზობელ პროვინციას. შვეი, ნოყიერი მიწა მშვენიერი ნიადაგია მცენარეთა სამყაროსათვის, მაგრამ ვერაფერი სარგებლობა მოაქვს ადამიანებისათვის. იმერლები მთლიანად ვერ იყენებენ ნოყიერ ნიადაგს და ჰირნახული ძლივს ჰყოფნით უპირველესი მოთხოვნილები დასაკმაყოფილებლად.

ძირითადი კულტურა, რომელიც იმერეთში მოჰყავთ, არის თურქული ხორბალი, აქ სიმინდად წოდებული, აგრეთვე, ღომი (ლათინური პანტიკუმი-ტალიკუმი), ამთგან იმერლები აშავებენ ისეთ საქმელს, რომელიც წლების მანძილზე შემორჩენილია (მჭადი, ღომი) და რომლის გარეშეც მათთვის სადღიო წარმოდგენილია. აქ იზრდება, აგრეთვე, ხორბალი, რომელიც პირველად ცნობილია ფრანგმა კონსულმა გახმაზ შემოიტანა იმერეთში. სამშობლოში საარსებო საშუალებათა მოპოვების ნაკლებობის გამო იმერელთა ნაწილი გადასახლდა თბილისში, სადაც ისინი მტკირთავებად მუშაობენ. მათი პატიოსნება საანგდოტოდ არის გამხდარი.

იმერეთის დედაქალაქი ქუთაისი (3000 მცხოვრებით) გაშლილია რიონის ორივე ნაპირზე, ხასიათდება მშანი, საუცხოო პავით, კარგი წყლითა და ლამაზი მდებარეობით. დღეს აქ არის რეზიდენცია რუსთა გუბერნიის მმართველისა. იმერეთის მოსახლეობა იმერლების, სომხების, ებრაელების და რუსების ნარეკია.

აქა-იქ იპოვიო, აგრეთვე, თურქსა და ბერძენს. ქალაქის ძირითადი საარსებო წყარო ვაჭრობაა.

იმერეთსა სახლები მთლიანად განსხვავდება პართიკლების სახლებიანაგან და უფრო მეტად უახლოვდება ჩვენს გემოვნებას.

თუმცა ქალაქის მდებარეობა ბრწყინვალეა, მაგრამ ქუთაისი, გორის მსგავსად, თავისთავად ისეთ დიდებულ სანაბობას წარმოადგენს, სადაც ყველაფერი მიმქრალი სიძველის ნიშანს ატარებს, გატყვევებს და არ გაბრმავებს, მოგონებებს იწვევს და უნებლიეთ სულსა და თვალებს უკან, წარსული საუკუნეებისაკენ მიგაპყრობინებს.

იმერეთის დღევანდელი ღარიბული მდგომარეობა სამწუხარო კონტრასტს ქმნის იმ დროსთან, რამაც ამ ქვეყნის მფლობელნი ატარებდნენ მალაფარდოვან ტიტულს — მეფეთა მეფე. მთელი ქვეყანა ძლივს ითვლის 200 000 მცხოვრებს...

რუსთა პირველი პრეტენზიები იმერეთის ტახტზე თარიღდება მე-17 საუკუნის შუა წლებით. გონებაჩულებმა მეფე ალექსანდრემ თავისი თავი და ქვეყანა მოსკოვის მფარველობაში შეიყვანა.

მიუხედავად ამისა, იმერეთში, ისევე, როგორც კავკასიის დანარჩენ ქრისტიანულ სახელმწიფოებში, რუსეთი მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში გაბატონდა.

1820 წელს იმერლები აჯანყდნენ რუსთა მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა სამღვდელეობა. საჭირო გახდა შეიარაღებული ჯარის გამოყვანა და უამრავი სისხლის დაღვრა, სანამ რუსეთი მათ დაშოშმინებას მოახერხებდა.

მეგრელები

შთამომავლები არიან ძველი კოლხებისა, რომელთა მულამ აუვაკებულმა ტყიანმა წარაფებმა ოდესღაც თავის ჩრდილოში მისცა თავ-შესაფარი იაზონსა და მის თანამგზავრებს. ქვეყნის ერთ ნაწილს შემდგომ ლაზისტანი ეწოდა. მოხე ბორენის დროს ცნობილია იბერიის სახელით. უკანასკნელ საუკუნეებში ქვეყანა ხან საქართველოს და ხან თურქთა ბატონობაში იყო. იმ დროს, როდესაც საქართველო გმინავდა სპარსთა უღელქვეშ, სამეგრელო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ახლა იგი რუსთა მფლობელობაშია. ცნობს რუსთა უმადლეს მმართველობას, მაგრამ საკუთარი თავადები მართავენ, რომლებიც ატარებენ დადიანის ტიტულს და თავს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად თვლიან.

სიტყვა „დადიანი“, რომელიც დღევანდელი მისი მნიშვნელობით დაახლოებით ჩვენს „იმერცოგს“ შეესაბამება, ერთის თქმით, წარმოს-

დგება სპარსულიდან და სიტყვასიტყვით ნიშნავს: „სამართლიანობის მთავარს“, მეორესთან აზრით კი „დადი-ან“ პირვანდელი მნიშვნელობით მთავარ მერიკიფებს ერქვა. ეს წოდება ენიჭებოდა იბერიის მეფეთა სასახლის პირებს და გადადიოდა სამეგრელოს მმართველობაზე. იმხანად სამეგრელო იბერიის მფლობელობაში შედიოდა.

ახლანდელი მეფე დავით დადიანი არის რუსთა სამსახურის პოლიკონიკი და თავისი ღირსებისა და მუნდორისათვის ბევრს აკეთებს, თავადთა სხვა შემვიკვდრნიც დაემორჩილნენ რუსთა ეპოლტებს.

ქვეყნის მთავარი ქალაქი და თავადთა რეზიდენცია ზუგდიდი, მეტისმეტად უნიშვნელოდ გამოყურება იმისთვის, რომ ქალაქი ეწოდოს. დადიანი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას უნდა უმადლოდეს ევროპულ განათლებას, ბეჭითად ცდილობს, შემოიღოს თავის ქვეყანაში ძლიერი მმართველობა.

იმპერატორის პოლიტიკის მიზანია, მოსახლევე ქვეყნებში მანამდე ახაროს დამოუკიდებლობის ნერგი, სანამ ამ ხალხის მთავრებსა და დიდგვაროვნებს ყველა საშუალების გამოყენებით არ მოაქცევს თავის ბადეში, ხოლო ხალხს კი მოაჩვენებს რუსების მმართველობას. რა თქმა უნდა, ამ დროს დიდ როლს ითამაშებს რანგების შინიჭება და ორდენებით დაჯილდოება; აგრეთვე, ფულით უხვად დასაჩუქრება იმ მისაზრებით, რომ ოდესმე, როცა ეს ქვეყანა საბოლოოდ იქცევა რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად, ყველაფერი უკან დაუბრუნდება.

მეგრეთა კულტურისა და ცხოვრების წესების შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც ითქვა ზემოთ იმერეთთა შესახებ, უნიშვნელო გადახრებით.

ბურსულები

შეადგენენ ყველაზე პატარა, მაგრამ ყველაზე ლამაზ შტოს ქართველებისას; განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან ქალები, რომლებიც გამოირჩევიან კარგი ტანადობით, სწორი თმით, დიდი ცეცხლოვანი თვლებითა და ნაზი, კეთილშობილი სახის ნაკეთებით.

გურულები საქართველოს სხვა კუთხის ხალხს ელმობიანი სილამაზით, ასევე აჭარბებენ ნიდავგის ნაყოფიერებით, აქვთ საუცხოო მიწა. სამეგრელოსა და იმერეთის მსგავსად, მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტებია ღომი, სიმინდი და ღვინო.

აუვაკებული გურია, რომელიც უკვე თითქმის 1810 წლიდან ცნობს იმპერატორის ნაძალადე უმაღლეს ხელისუფლებას, 1829 წელს ძალმომრებით გახდა რუსეთის პრო-

ხინცია. უფრო წინ კი ქვეყანა ხან იბერიელთა, ხან იმერთა, ხან თურქთა ბატონობაში იყო.

გურია უკველთვის სუსტი იყო იმისათვის, რომ დამოუკიდებლობა ჰქონოდა, ამიტომ მუდამ რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს ძალაუფლების ან მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ქვეყნის მმართველნი ატარებენ გურიელის ტიტულს, მაგრამ უკანასკნელი მმართველის, თავადის ქალის, სოფიოს სიკვდილის შემდეგ (გარდაიცვალა 1829 წ.) ტიტულის გარდა აღარაფერი დარჩენიათ.

სვანებში (ანუ სვანელები)

სვანეთი, რომელიც ენის, ზნე-ჩვეულებების და ცხოვრების წესის მიხედვით თვალში საცემად განსხვავდება სხვა ქართველური მოდგმის ხალხისაგან, თუმცა მსგავსება ყველგან ნათლად ჩანს, იმსახურებს ჩვენს ყურადღებას, არა მარტო თავისი ისტორიული მნიშვნელობის, არამედ, უპირველესად, იმის გამო, რომ იგი დაცულია უცხოელთა გავლენისაგან. ეს გამოწვეულია სვანეთის ბუნებრივი მკვეთრად შეზღუდული განლაგებით.

სვანეთი არის სიძველის განსახიერება. კავკასიური ალპები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის გადაჭიმული, იალბუზთან ერთად ქმნის უთანასწორო, ყუბანისაკენ მიმართულ კუთხეს, რომელიც ფაზის მაღალი მთის პარალელურად მდებარეობს და სვანეთს ჩრდილო-დასავლეთით უარაჩიბს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდი უპარდოს ქვეყნებისაგან მიჯნავს. სამხრეთის საზღვარს ქმნის ვაზის მთის დასავლეთით მდებარე მთელი, ერთგვარი ზღუდე სვანეთსა და სამეგრელოს შორის, ხოლო მაღალი მთაგრეხილი კავკას-ჩედხლოკი დასავლეთის მხრიდან სვანეთს საზღვრავს აფხაზეთიდან.

ამგვარი აღნაგობა — ირგვლივ მაღალ მთათა კედლით ჩაკტილი — ქვეყანას ღრმა ხეობას უქმნის 110 ვერსის სიგრძისა და 50 ვერსის სიგანისას, ასე რომ მთელი ფართობი შეადგენს 270 ვერსს. ამ ხეობაში მთელ სიგრძეზე მიედინება მომხიბვლელი ენგური, რომელსაც ერთვის 16 პატარა მდინარე და წყარო. მათ სათავე სვანეთის მთებში აქვთ.

სოფ. ქურდიანიდან, რომელიც უკანასკნელი სოფელია სამეგრელოსი, სოფელ ლახშიდამდე მთელი ასი ვერსის მანძილზე მოხვედები სულ სხვა სამყაროში, სადაც ვერ იპოვი ვერავითარ თავშესაფარს, თუ არ მწყემსის ორ ღატაკ ქოსს; საშიშ საცაღფეხო ბილიკს კვეთს ხან წყალი, ხან ღრმა უფსკრული, ხან კი მაღალი კლდეები. ზოგიერთ ადგილზე თვალუწყვენილ

ხრამზე ხიდებზე გადაჭიმულია მხოლოდ დარბაზი და ან გამხმარი ხის ფესვები.

მხოლოდ მეგვურთა ამტანობისა და მათი მითითებით სიმარჯვის წყალობით შეუძლია მოგზაურს თავბრუდამხვევ ხრამებზე გადასვლა და, როცა მშვიდობით მიადრევს მწვერვალს, აქ მას ხშირად უტყარი თოვლი, ქარიშხალი, ზვავი ელოდება, ფხვადენილს თან ჩაიტანს უფსკრულის პირდაღებულ ხაზაში.

ცხადია, ამ ქვეყნის მიუვალობის და ამის შედეგად მოსახლეობის ჩაკეტილობის გამო მათი ადამ-წესები და ცხოვრების ხასიათი თვითმყოფელია, მხოლოდ უმნიშვნელოდ იგრძნობა უცხო გავლენა.

სვანთა სტუმართმოყვარეობა ისეთივე წმინდაა, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც უცხოელთა მიმოსვლა იშვიათია. ადამიანური სათნოების გვირგვინად დაწნულ ამ უძვირფასეს უვავილს უწერია დაქცობა და დაღუპვა ცხოვრების ორმოტირიალში.

სისხლის აღების წესი აქ სრულებითაც არ ითვლება დასაძარახისად, უფრო მეტიც, იგი გაკეთილშობილებულია ადამ-წესებით და ის, ვინც მას მიჰყვება, ხალხის თვალში პატივცემულია და არა გაიცხული. აბა, რა უნდა იყოს ამაზე ბუნებრივი, სადაც კანონს არ ძალუქს ადამიანის დაცვა, თვითონ ადამიანი უნდა იყოს თავისი მარჯვენის იმედით...

უკველ შემთხვევაში, სისხლის აღება ველურ ხალხში უფრო ბუნებრივად ჩანს, ვიდრე დუელი ცივილიზებულ ერებში.

სვანეთი სამ ნაწილად იყოფა: ზემო ენგურზე — თავისუფალი სვანეთი — ლეგოპავეცად წოდებული; მთავარ თათახანს დადემშქელიანის სამფლობელო — თავისუფალი სვანეთიდან დასავლეთით და კიდევ უფრო დასავლეთით, იალბუზის ძირას მთავარ ციხს დადემშქელიანის სამეფო. 16 ცნობილი მთის მდინარე (უფრო პატარა წყლები არაა მხედველობაში მიღებული) ერთვის ენგურს, თითოეული მათგანი გამოდის ცალკე ხეობიდან და მათ შემართავთან, ფერდობებზე, ვაკე ადგილებში, სადაც ცოტაოდენი ადგილია მიწათმოქმედებისათვის, მდებარეობს სვანთა საცხოვრებელი ბინები.

დამოუკიდებელი სვანეთი შედგება 100 სოფლისაგან, რომლებიც გაფანტულია რვა ხეობაში. მთლიანი რიცხვი სოფლებისა, რომლებიც ორივე მთავარს ეკუთვნის, აღწევს ორასს. უწინ მთელი სვანეთი თავისუფალი იყო. დადემშქელიანთა ბატონობა ძალმომრეობით გავრცელდა.

სვანები ცხოვრობენ პატრიარქალურად დიდ ოჯახებში და ზოგჯერ ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ხშირად უფრო დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახები სა-



კუთარ სოფელს დაარსებენ ხოლმე, რათა ქვეყანაში, სადაც მუდმივად გაბატონებულია შუღლიანობა, შეძლონ უსეთესად შეკავშირება მეზობლების თავდასხმების წინააღმდეგ.

საერთოდ, თავისუფალ სვანეთში არ მეთობს სხვა სამართალი, თუ არა იარაღი და ძალა მკლავისა. მაგრამ ზნორად სვანები ემორჩილებიან უხუცესთა სამედიატორო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილება ითვლება უფრო სპატიოდ, ვიდრე თვით სამართალი. ყოველი ჩვეუფი ირჩევს მ უხუცესს, ისინი მაგროვდებიან ეკლესიის მახლობლად, აწყობენ სხვადასხვა ცერემონიებს საწიემო აქტისათვის და მათ მითითებებს უსიტყვოდ ასრულებენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევაში მოშუღლე მხარეები შუღლის მოგვარებისათვის მიზანთავენ სამეგრელოს მთავარ დადიანს ან დადეშქელიანთა თავადებს.

საოჭახო ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების დროს (ქორწინება, გაყრა და ა. შ.) საჭიროა თავადის თანხმობა და გადასახალი.

გაჭირვებითა და მოუსავლიანობით გამოწვეული შიმშილობის დროს თავადებისა და დიდგვაროვნების საკეთილდღეოდ მთაში მონებად ყიდდნენ გოგონებსა და ბიჭებს. მოზარდი ვაჟის უასი შეადგენდა 800, ხოლო ლამაზი გოგონასი — 200 ტალიერს ჩვენს ფულზე.

სვანების, მიუხედავად მაღალი მდებარეობისა, მკაცრი კლიმატისა და ძუნწი საარსებო საშუალებებისა, კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული.

ეს მოვლენა უპირატესად იმ გარემოებით აიხსნება, რომ აქ არის სუფთა, ჭანსალი მაერი. გარდა ამისა, მაღალი მთები ბუნებრივ საფარს ქმნის, რითაც ქვეყანა შედარებით დაცულია გარეშე მტრების შემოსევებისაგან.

სვანების საკვებია მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტები. ზამთარი აქ უკვე სექტემბრის ბოლოდან იწყება და, ჩვეულებრივ, გრძელდება მაისის შუა რიცხვებამდე. დანარჩენ თვეებში მცხოვრები ორჯერ თბავენ დაბალ, მაგრამ ნოყიერ ნოტიო ბაღებს, იღებენ კირნახულს აგვისტოში და სექტემბრის დასაწყისში თესვენ ზამთრის მარქცვალს.

ყანის დამუშავება არახელსაყრელი მდებარეობის გამო, ჩვეულებრივ, უდიდეს სიძნელებებთან არის დაკავშირებული. იშვიათია მიწის ნაკეტი, რომლის დამუშავება გუთნით შეიძლება უდიდესი ნაწილი სახნავი მიწისა მხოლოდ ფებიო მოსარაფლეთათვის არის მიხაზვლომი და უნდა დამუშავდეს თონითა და ბარით. ამგვარ პირობებში კირნახული მცირე და მოსახლეობის შესანახად არ კმარა. სვანები

მსობრივად აწარმოებენ გვარჩილს. გამოსაყენებლად ვარგისი მიწის ნაკეთები ყინვებში დასაწყისამდე უხვი, ბუმბულისებრი გვარჩილის მასით არის დაფარული.

იალბუზის ძირას სვანები თბრიან გოგირდს და დიდი რაოდენობით ამწვდენენ თოფის წამალს, შემდეგ კი ყიდიან მეზობელ მთის ხალხში. გარდა ამისა, ერთგვარი სარგებლობა მოაქვს ტრანზიტულ ვაჭრობას. სვანები ლტახუში ყიდულობენ ბამბის ქსოვილებს, მიაქვთ ყარაჩაიში, ჩეგენში და ა. შ. და ნიადგმე ყახაბახსა და ჩოხა-ახალაზე ცვლიან. ეს საქონელი ისევ ლტახუში მიაქვთ და მის საფასურად მარილს, რყინას, ტანსაცმელს ყიდულობენ.

სვანები ბუნებამ განსაცვიფრებელი ფიქტური გამძლეობით, ტანადობითა და ნიჭით დააჩილოვა. იგი თავდაჯერებული, მხიარული, ამაყი, ერთგული და სანდოა, თუ მასზე გამხრწნელად არ მოქმედებს კირი და უბედურება.

სვანი ბავშვობაშივე ეჩვევა სიძნელებებს და გაჭირვებას. თავისი ქვეყნის მკაცრი მავთი გამოწვდობის, იგი ისეთი ძლიერი და მხნეა, რომლის მგავსს მხოლოდ ჩერქეზებში თუ შეხვდებით. სვანი იძულებულია მუდმივად იბრძოდეს, რათა იცოცხლოს; იგი ებრძვის მიწას, ებრძვის ადამიანებს. იგი ბრძოლით მოიპოვებს ქალსაც, თუ ვერ შეაგროვა საპატარძლო გადასახადი, რადგან აქ, როგორც კავკასიის ბევრ ქვეყანაში, საქმროს არ შეუძლია საპატარძლო შინ წაიყვანოს მანამდე, სანამ იგი ქალის მშობლებს საქმოდ დიდ თანხას არ გადაუხდის. სვანეთში ერთი ქალისათვის საშუალოდ 80 ძროხას იხდიან.

სვანს მხოლოდ საყუთო სახლში შეუძლია უშიშრად იგრძნოს თავი მტრის შურისძიებისაგან. ამიტომ აქ ყოველი სახლი ციხე-სიმაგრეს მგავს, რომელსაც ჩვეულებრივ დან მსართულამდე სიმაღლის კოშკები აქვს მიდგმული. ამ კოშკებში ასვლა მხოლოდ შიგნიდან შეიძლება, დაახლოებით ისე, როგორც ეს მქონდათ უძველეს შოტლანდიურ სასაზღვრო ბინებს. საერთოდ, შოტლანდიელებსა და სვანებს შორის ბევრი მგავსებაა. ერთ ამგვარ სახლში ზნორად 30 ან 40-მდე მებრძოლი ცხოვრობს (ზნორად მოშუღარებიც კი ერთად არიან), ვინაიდან მათ ერთმანეთთან აკავშირებთ ნათესაობა ან საერთო ინტერესები, განსაკუთრებით კი იტიკომ, რომ საარსებო საშუალებათა სიმცირე არ აძლევთ საშუალებას, სახლი აავონ, ზნორად ზოგიერთი სახლი მთელი დღეები სააღყო მდგომარეობაშია და ერთმანეთს ებრძვიან მანამ, სანამ ტყვეები არ გამოეღვით.

საქართველოს
შრომის პარტია

დიდი ხნის განმავლობაში დავობდნენ რო-
მაელები და სპარსელები სვანეთის დამორჩი-
ლებაზე, მაგრამ ვერასდროს ვერ შესძლო უც-
ხო ძალამ აქ ხანგრძლივად ფეხის მოკიდება.

სვანთა საუცხოო ეკლესიები, რომლებიც
დღემდე მშვენივრადაა დაცული, აღასტურე-
ბენ, რომ წინათ ისინი ქრისტიანები იყვნენ. ამ
ეკლესიების აგებას თქმულება დიდ მეფე
თამარს მიაწერს.

ეკლესიაში ჭერ კიდევ არის ოქროს და
ვერცხლის ჭურჭელი; დაცულია პერგამენტზე
ქართული საეკლესიო ენით დაწერილი მანუ-
სკრიპტები და წიგნები. აქ მრავალი საინტე-
რესო რაინეს აღმოჩენა შეიძლებოდა, უცხო-
ელთათვის ამ წმინდა ტაძარში შესვლა დიდ
სიძნელეებთან რომ არ იყოს დაკავშირებული.
თუ ამგვარად გაგრძელდა ქვეყნის მდგომარე-
ობა, კიდევ დიდხანს იქნება აქაური მარგალი-
ტები დაფარული, მაგრამ ისიც სასიამოვნოა,
რომ ზალხის პატივისცემა წარსულის ძეგლე-
ბის მიმართ დაიცავს განადგურებისაგან ამ
განძეულობას.

მრავალკოლიანობა სვანეთში მიღებული არ

არის. ცოლთან გაურა და მეორე ცოლის შეი-
თვა კი დაშვებულია, იმ პირობით, თუ
იზრუნებს პირველ ცოლზე. კმრის სიკვდილის
შემდეგ შეიძლება ძმამ, ე. ი. მაზლმა ქვრივი
შეირთოს. თუ გარდაცვლილს ძმა არა ჰყავს,
ქალს შეუძლია დაიბრუნოს თავისუფლება. სა-
ერთოდ, ამ ხალხში სიმორცხვე იკიცხება, ამ
სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ, მი-
უხედავად ამისა, მამაკაცს სირცხვილად მიაჩ-
ნია თავის ცოლს საჯაროდ ერგენოს; სხვის
თანდასწრებით მასთან საუბარი და მის გვერდ-
ზე ქდომა დიდად სამარცხვინოა.

დაკრძალვისას დეკანოზი ამბობს სიტყვებს:
„კურთხეულ იყოს მამა, ძე და სული წმინდა“.
მდიდრებს მარხავენ კუბოებში, ღარიბებს უბ-
რალო მკვდრის პერანგით ჩაუშვებენ საფლავ-
ში...

ყველა ქართულ დიალექტს შორის სვანების
ენა ყველაზე მეტად განსხვავდება ქართული
სალიტერატურო ენისაგან. შევნიშნავთ, რომ
ლათინური ასოებით მხოლოდ სუსტად და
არაზნესაურელად გამოიხატება ამ ხალხის თა-
ვისებური შიშინა და ხორცისმოიერი ბგერები.



სტრუქტურალიზმი ეთნოგრაფიაში კლოდ ლევი-სტროსი

მრავალრიცხოვან მიმდინარეობას შორის, რომელიც საზღვარგარეთის თანამედროვე ეთნოგრაფიაში შეინიშნება, ყველაზე თვალსაჩინო სტრუქტურალიზმია; დღეს იგი ყველაზე ახალი და ყველაზე მოდური მიმდინარეობაა. მართალია, ამჟამად სტრუქტურალიზმს წამყვანი, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, მაგრამ ერთიანი, მთლიანი მანაც არ არის; მასში შეინიშნება ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიმდინარეობა — პირობითად მათ „ინგლისურ“ და „ფრანგულ“ სტრუქტურალიზმს უწოდებენ.

სანამ შევხებოდეთ სტრუქტურალიზმს ეთნოგრაფიაში, ორიოდე სიტყვით, საერთოდ, სტრუქტურალიზმის შესახებ. მიღებულია, რომ სტრუქტურალიზმი არის მიმდინარეობა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, რომელიც აღმოცენდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში და რომელმაც შემდეგში მიიღო სხვადასხვა ფილოსოფიური და იდეოლოგიური ინტერპრეტაციები. სტრუქტურალიზმის, როგორც კონკრეტულ-სამეცნიერო მიმდინარეობის წარმოშობა და კავშირებულია კლდევისას რიგი ჰუმანიტარული მეცნიერებების აღწერით-ემპირიული მეთოდიდან აბსტრაქტულ-თეორიულ განვითარებებზე გადასვლაზე.

თუ ადრე, თვით XIX ს-ის I ნახევრის ჩათვლით, ადგილი ჰქონდა უპირატესად მოკლენების აღწერას, ფაქტების გადმოცემას, შეკრებას, დაგროვებას და თავმოყრას, რასაც გული-სხმობს სწორედ აღწერით-ემპირიული მეთოდი, თანდათან მეცნიერებაში დაიწყო ამ ფაქტების განვითარება, აბსტრაქტულ-თეორიული განვითარებების ჩამოყალიბება; დაიწყო ფაქტების ერთმნიშვნელოვან ფორმალურ ნიშნებამდე დაყვანა, ანუ ერთი რიგის ფაქტების, მოკლენების ერთი საერთო ნიშნის ქვეშ გაერთიანება და ამ გზით მათი თეორიული განვითარებისათვის, აბსტრაქტული მოდელის ჩამოყალიბებისათვის გამოყენება.

ამ გადასვლის საფუძველზე შეადგინა სტრუქტურული მეთოდის, მბედლარების, აგრეთვე, ფორმალიზაციის ელემენტებისა და მათემატიკის გამოყენებამ. კონკრეტულ-სამეცნიერო

სტრუქტურალიზმის საფუძვლად აღებული სტრუქტურული მეთოდი თავდაპირველად დამუშავდა სტრუქტურულ ლინგვისტიკაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით იგი გავრცელდა ლიტერატურათმცოდნეობაში, ეთნოგრაფიაში, ისტორიაში და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

სტრუქტურალიზმი გულისხმობს სამეცნიერო და ფილოსოფიური იდეების კომპლექსს, რომელიც მკვეთრად განსხვავდებიან, როგორც სტრუქტურული მეთოდის კონკრეტული მოდიფიკაციით, ისე მისი რეალური როლით გამოკვლევებში. მან განსაკუთრებით ფართო გავრცელება მოიპოვა 30-იანი წლების საფრანგეთში. ეთნოგრაფიაში ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ეთნოლოგი კლოდ ლევი-სტროსი.

„ინგლისური“ სტრუქტურალიზმი, რომელიც ცნობილია „სტრუქტურალური ფუნქციონალიზმის“ სახელწოდებითაც, სათავეს იღებს რადკლიფ-ბრაუნის შეხედულებებში და მის მრავალრიცხოვან მიმდევრებში, ხოლო „ფრანგული“ სტრუქტურალიზმი არსებითად დაკავშირებულია ერთი კაცის სახელთან — იგი მთლიანად ეყრდნობა კლოდ ლევი-სტროსის მოძღვრებას, რომლის თავდაპირველ წყაროდ სტრუქტურული ლინგვისტიკა მიჩნეულია.

სახელწოდების გარდა ამ ორ სტრუქტურალიზმს შორის საერთოა ის, რომ სტრუქტურული კავშირების შესწავლის მნიშვნელობას ორივე აღიარებს და ცნობს მხოლოდ რომელიმე მთლიან სისტემაში (ვთქვათ, ტომი, სახელმწიფო: ან ნათესაობრივი ტერმინოლოგია და სხვ.). სხვა მხრივ კი ისინი პრინციპულად განსხვავდებიან. ინგლისელი სტრუქტურალისტებისთვის ამოსავალია რეალური, კონკრეტული ერთობები (ტომი, ხალხი, სახელმწიფო) და ისინი შეისწავლიან ყოველი ასეთი ერთობის, მთლიანის სტრუქტურას. მეთოდოლოგიურად ეს შეიძლება რამდენადმე გამართლებულია და შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. კ. ლევი-სტროსი კი შეისწავლის არა რეალურად არსებული მთლიანის სტრუქტურას, არამედ ხელოვნურად გამოყოფილ მის ცალკე ნა-

წილებს: ნათესაობრივ ტერმინოლოგიას, ფოლკლორს, მითოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეორე გზა რამდენადმე საეჭვოა, იგი მაინც წამყვან და გაბატონებულ მიმდინარეობას წარმოადგენს თანამედროვე დასავლეთეუროპულ ეთნოგრაფიაში, რაც განპირობებულია იმ დიდი ავტორიტეტით, რომელიც მის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს კ. ლევი-სტროსს აქვს მოპოვებული.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა — რატომაა ეს მეორე გზა რამდენადმე საეჭვო? ე. ი. ის გზა, რომელსაც სტრუქტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლები და, მათ შორის, მათი მამამთავარი ლევი-სტროსი მოსდევს. ქვემოთ ეს უფრო გასულიად იქნება წარმოდგენილი, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რეალური, კონკრეტული ერთობების (ვთქვათ, ტომის, ხალხის, სახელმწიფოს და სხვ.) შესწავლის შედეგად მიღებული განწოგადებული დასკვნები, თეორიული შეხედულებები და კონცეფციები, ცხადია, უფრო დამაჩერებელი და საწმენოა და, თუ გნებავთ, უფრო მყარ და რეალურ ნიადაგზე დგას, ვიდრე მითოლოგიის (ოღონდ არა კონკრეტული ფაქტების მოხმობის), ფოლკლორის ან, ვთქვათ, ნათესაობრივ ტერმინოლოგიას რაც გნებავთ ზოგად, თუნდაც ზეზოგად, აბსტრაქტულ უმაღლეს დონემდე აუყვანილ განწოგადებებზე დაურდნობით მიღებული დასკვნები. ამავე დროს, ცხადია, მითოლოგიის, ფოლკლორის და იგივე მავალითისათვის დასახელებული ნათესაობრივი ტერმინოლოგიის მნიშვნელობას არავინ უარყოფს და ამაზე საუბარი უხერხულესაა, მაგრამ მხოლოდ მათზე დაურდნობა, ამოსვლად განწოგადებებისათვის მხოლოდ მათი მიჩნევა და აღიარება, სხვა უფრო რეალური ცნებების შეჩირვის ხარჯზე, რამდენადმე საეჭვოს ხდის ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმს ინგლისურ სტრუქტურალიზმთან შედარებით.

საბჭოთა ეთნოგრაფისა და ფილოსოფოსის ნ. ბუტინოვის შენიშვნით, ეთნოგრაფიული მეცნიერების მსახურთა შორის მხოლოდ ორმა — ტურ პეიერდალმა და კლოდ ლევი-სტროსმა მოიხვეჭა მსოფლიო სახელი. ტურ პეიერდალს სახელი გაუთქვა მისმა თამამმა ექსპედიციამ სახმტრე ამერიკიდან ოკეანაში ტივთ „კონტატი“, რომლის მიზანი იყო პოლინეზიელების სახმრეთ-ამერიკული წარმოშობის დამტკიცება, რაც მან, როგორც ცნობილია, ვერ შესძლო; თავისთავად ამ იდეას არ შეეძლო მისთვის დიდ სახელის მოხვეჭა. მაგრამ მას სახელი გაუთქვა საკუთრივ მეთოდმა — ტივთ ოკეანის გადალახვამ, რომელსაც მრავალციფოვანი მიმდევრები გამოუჩნდნენ და ხან ტივთ და ხან ნავთ დაცურავენ ოკეანაში ყოველგვარი სამეცნიერო მიზნების გარეშეც.

რით დამსახურა მსოფლიო სახელი კ. ლევი-

სტროსმა? ფაქტების განწოგადების ორიგინალური მეთოდით — საპირთა, ჭერ განწოგადებს ფაქტები, განაცხადა მან, და მხოლოდ შემდეგ შევადაროთ ისინი ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება რამდენადმე უცნაურად უდერს, ფაქტია, რომ ისწორედ ამისა: სტრუქტურალიზმის არსი. ფაქტების განწოგადება კ. ლევი-სტროსისათვის ნიშნავს იმ სტრუქტურული ელემენტების გამოყოფას, რომელთაც ეს ფაქტები გამოავლენენ. ეს ელემენტები ცალკეულ სისტემებში ჩართულია არაცნობიერად, საპირთა მათი გამოვლენა და ამის შემდეგ შესაძლებელია იმ სტრუქტურული ელემენტების ერთმანეთთან შედარება.

განწოგადების მეთოდს, როგორც ტრადიციულად არის მიღებული, მიმართავს საბჭოთა მეცნიერება, საბჭოთა ეთნოგრაფია. ყველა ჩვენთაგანი კვლევების ამოვლინარს, რა თქმაუნდა, ფაქტების განწოგადებიდან. მაგრამ მაშინ რა გვქვავს განსხვავებული ლევი-სტროსის შემოთ წარმოდგენილი მეთოდისაგან? განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ჭერ დავადგინთ გარკვეულ ფაქტს, ან ფაქტებს ამა თუ იმ მოვლენის ვარშეშე და შემდეგ ამ ფაქტების მიხედვით ვაწარმოებთ განწოგადებას, გარკვეული კანონზომიერების დადგენას და ა. შ. ლევი-სტროსი კი, როგორც აღინიშნა, საპირისპირო მეთოდს მიმართავს; იგი ჭერ აწოგადებს ფაქტებს, შემდეგ უღარავს ერთმანეთს ამ განწოგადებათა ფარგლებში. ამით, ამბობს ლევი-სტროსი, ჩვენ გამოყოფთ სტრუქტურულ ელემენტებს, ე. ი. იმ ელემენტებს, რომლებიც საერთო აღმოჩნდა ამ ფაქტებისათვის განწოგადებების შემთხვევაში. ეს საშუალებას მოგვცემს, გამოვყოთ ის არაცნობიერი, რამაც განაპირობა ამ ფაქტების წარმოშობა-ა.

კლოდ ლევი-სტროსი (Claude Lévi-Strauss) დაიბადა 1908 წელს ბელგიაში, მხატვრის ოჯახში. ბავშვობა გაატარა საფრანგეთში, ვერსალში, სადაც პაპამისი იყო რაბინად, ბავშვობაშივე მიიღო საფუძვლიანი მუსიკალური განათლება, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მისი აზროვნების შემდგომ ფორმირებაზე. ამ ზეგავლენის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ მოგვიანებით, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში მოუფმა, პირველი ტომი თავისი დიდი ნაშრომისა ამერიკის ინდიელთა მითოლოგიის შესახებ ააგო მუსიკალური ნაწარმოებების ნიმუშის სახით. ბავშვობაში რ. ვაგნერის მუსიკაზე აღზრდილმა, მოგვიანებით რ. ვაგნერშივე აღმოაჩინა მითების სტრუქტურულ შესწავლაში თავისი წინამორბედი. მომდევნო ხანებში იგი გაიტაცა ი. სტრავინსკის მუსიკამ, რომლისგანაც მიღებული შთაბეჭდილებები, მისივე აღწერით, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ცენტრალური ბრაზილიის წარმტაცი სავანების გაცნობით აღწრული შეგრძნებები. ბავშვობიდანვე

ყოფილი ბატონო გეოლოგი, რამაც ხელი შეუწყო მისი აზროვნების იმეჯარ ფორმირებას, რომ საზოგადოების განვითარების საერთო სურათში შეემჩნია და ცალ-ცალკე გამოეყო სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სოციალური განვითარების ფენები, ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს გეოლოგიურ პლასტებში. 20-30-იან წლებში იგი გაიტაცა მისი ერთი მდღერა ფსიქოანალიზმა და ზომიერად ფროიდის მოძღვრებამ. ამ შემთხვევაში კ. ლევი-სტროსისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ის, რომ ზ. ფროიდის მიერ აღმოჩენილი სტრუქტურები მიეუთვნებოდნენ არაცნობიერს, არამედ პირველ რიგში, და რაც არსებითია, ის, რომ ეს სტრუქტურები ექვემდებარებიან მეცნიერული აზროვნების ანალიზს. მოგვიანებით კ. ლევი-სტროსმა იმ სტრუქტურების რაციონალურ შესწავლას მიმართა, რომლებიც არ არიან ვაცნობიერებულ მათი გამოყენებელი ჭკუფების (მითების, რიტუალების, სოციალურ ურთიერთობათა ფორმების) მიერ მისი რწმენით და მტკიცებით, სწორედ ასეთი სტრუქტურები შეადგენენ ეთნოგრაფიის შესწავლის საგანს.

კ. ლევი-სტროსი თავისი სამეცნიერო კარიერის დასაწყისს აგვიწერს ავტობიოგრაფიული ხასიათის და, ამვე დროს, მისი კონცეფციის თეორიული განვითარების შემცველ წიგნში „მწუხარე ტროპიკები“ (1955), რომელშიც მოთხრობილია ამაზონის აუზის ტომებში (ბორრო, ნამბიკარა, კადიუეუ...) მისი ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტულ მუშაოს შესახებ 1934-1939 წლებში. პარიზის უმაღლესი ნორმალური სკოლის (Ecole normale supérieure) მაშინდელი დირექტორის სელესტიან ბუაღეს წარდგინებით, რომელიც იმხანად კ. ლევი-სტროსს დიდად სწყალობდა, იგი 1934 წელს მიიწვიეს სან-პაულუს (ბრაზილია) უნივერსიტეტში სოციოლოგიის პროფესორად. ამ დროიდან იწყება მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ახალი ეტაპი — სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ყოფის შესწავლა.

კ. ლევი-სტროსის მეცნიერული შემოქმედება სტატებისა და წიგნების სახით გამოქვეყნებულ რამდენიმე ასეულ სამეცნიერო ნაშრომს მოიცავს. ბიბლიოგრაფია ცნობით, კიდევ უფრო მეტია გამოქვეყნებული თვით ამ ნაშრომებისა და კ. ლევი-სტროსის შეხედულებათა შესახებ. ეს შეხედულებები კრიტიკულად გარჩეულია ათობით სტატისა და სპეციალურ მონოგრაფიებში, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება სპეციალურ ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ ჟურნალებსა და გამოცემებში. კ. ლევი-სტროსის უზარმაზარ სამეცნიერო შემოქმედებაში კლასიკურადაა აღიარებული მისი ორი ნაშრომი: 1958 წელს გამოცემული „სტრუქტურული ანთროპოლოგია“ და

1964-1971 წლებში დიდი მოცულობის ოთხ ტომად გამოცემული „მითოლოგიურები“ „მითოლოგიურები“ (Mythologiques“), როგორც აღინიშნა, ოთხტომიანი დიდი მოცულობის ნაშრომია, რომლის თითოეულ ტომში თემატურად თავმოყრილია და სტრუქტურალისტური პოზიციებიდან განალიზებულია ამერიკის (განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკის, კერძოდ, ამაზონის აუზის) ინდიელთა მრავალრიცხოვანი მითები, რომლებიც ასახავენ მათი ყოფის თითქმის ყველა მხარეს.

სტრუქტურალიზმის საკითხებზე კ. ლევი-სტროსის უმთავრესი ნაშრომის — „სტრუქტურული ანთროპოლოგია“ მიმხროლვამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქრონოლოგიურად ამ ნაშრომის შემდეგ გამოცემული „მითოლოგიურების“ განხილვა, რადგან ამ უკანასკნელში ნათლად ჩანს ავტორის მიერ შემუშავებული მეთოდისა და კონცეფციის პრაქტიკული გამოყენება, ამასთანავე, ეს ნაშრომი წარმოადგენს კ. ლევი-სტროსის მიერ შემუშავებული იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც მას ჩამოყალიბებული ჰქონდა „სტრუქტურული ანთროპოლოგია“ სპეციალურ თავში — „მითების“ „სტრუქტურა“ (თავი XI).

„მითოლოგიურების“ პირველ ტომს ეწოდება „უმი და მოხარული“ („La cruet cuit“, 1964). მასში კ. ლევი-სტროსი აანალიზებს ბორროს ტომის (ამაზონის აუზი) მითს არწივის ბუდის დამანგრეველი ჭაბუკის შესახებ. მითში მოთხრობილია ჭაბუკზე, რომელსაც მამა, თავიდან მოშორების მიზნით, ვაგზავნის იმ ხეზე ასაძრომად, რომელზედაც არწივის ბუდეა. მითითური ხე, კენწეროთი ცას ებჯინება; იგი ჭაბუკს შორს გაიტყუებს. არწივი (მითის ზოგადი ვარიანტი — იაგუარი) ჭაბუკს — ამ სამხრეთამერიკელ პრობლემის, ასწავლის ცეცხლის მოპოვებას. სხვადასხვა ფათერაქებისა და თავდადასავლების შემდეგ, ცოდნით აღჭურვილი ჭაბუკი ბრუნდება მშობლიურ სოფელში. კ. ლევი-სტროსი ამ მითის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ ბორროსა და მისი მეზობელი ტომების სხვა მითები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ ძირითადი მითის გარდაქმნის, მისი სხვა ტომებში გავრცელების შედეგი, რომ უკვე ცნობილი მითებიდან, გარკვეული სქემების მიხედვით შექმნილი ან გამოყვანილი იქნეს სხვა მითები. ამ შემთხვევაში, როგორც ვ. ივანოვი აღნიშნავს, კ. ლევი-სტროსის მეთოდი შედგება თანამედროვე ტრანსფორმაციული გრამატიკის მეთოდებს.

როგორც აღინიშნა, „მითოლოგიურების“ ეს ტომი ავტორმა ავტო მუსიკალური ნაწარმოებების სტრუქტურის შესაბამისად; წიგნის კომპოზიცია ერთგვარად „კონტრაპუნქტურია“ და მისი თავების დასათაურებაში მეტაფორულად გამოყენებულია მუსიკალური ტერმინები: „ბუდის დამანგრეველის არია“, „პირველი ვა-

რაცაი“; „ილსკრეტულის ინტერმედია“; „კოლადა“; „კარგი მანერების სონატი“; „იკეპეტუს რონდო“; „მოკულ სიმფონია“; „ხუთი გრძლობის ფუგა“; „ოპუსუმის კანტატა“; „არია და რონდო“; „ტოკატა და ფუგა“; „ილვერტისმენტი პოპულარულ თემაზე“; „ჩიტების კონცერტო“.

როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, მითისა და მუსიკის დაახლოებისას კ. ლევი-სტროსის იმწმუმების კომპოზიტორი რ. ვაგნერს, რომელიც მითების ანალიზს მუსიკის საშუალებით მიმართავდა და ითვლება მითების სტრუქტურული ანალიზის ფუძემდებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლევი-სტროსის მიერ მითების მიმგავსება მუსიკალური ნაწარმოებებისადმი. კ. ლევი-სტროსის მიხედვით, მითი დგას ენასა და მუსიკას შორის. მითი, ისევე როგორც მუსიკა, ამოდის ორმაგი შინაარსიდან და არტიკულაციის ორი ბუნებრივობიდან. ფიზიკურად რეალურებული გავრცელების მუსიკალურ სერიას, რომელთაგან შედგება გამეზო, შეესატყვისება მითოლოგიური სერია „ისტორიული“ მოვლენებისა და ფაქტებისა, ხოლო ამათგან ესა თუ ის მითოლოგია აირჩევს თავისთვის გარკვეულ სიუჟეტებს.

„მითოლოგიურების“ მეორე ტომი „თაფლიდან ფერფლისაკენ“ („Du miel aux cendres“, 1966), წარმოადგენს კ. ლევი-სტროსის სტრუქტურული მეთოდის ლინგვისტური ორიენტაციის მკაფიო ნიმუშს. ძირითადი დაპირისპირება (თამაქო — თაფლი), რომელიც, ამავე დროს, მთელი წიგნის სათაურია, ავტორს ენის მონაცემებიდან გამოჰყავს. ამასთანავე, კ. ლევი-სტროსი, პირველ რიგში, ეყრდნობა შობლივური ენის — ფრანგულის მონაცემებს. მასში (ისევე როგორც სხვა ენებში) წარმოადგენა თამაქოს შემსახებ დავაშირებულობა ცუდ რამესთან, ხოლო თაფლის შესახებ — კარგთან. თანამედროვე ევროპული ენის ამ მონაცემში კ. ლევი-სტროსი ხედავს რომელიდაც საერთო ტენდენციის გამოვლინებას ყველა ენისათვის. შემდეგ იგი გადადის ამერიკული მითების ამ კუთხით განხილვაზე. სამხრეთ ამერიკა, განსხვავებით ჩრდილოეთისაგან, სადაც თაფლი თითქმის განიდგენა ხმარებიდან და, ასევე, განსხვავებით ევროპისაგან, სადაც თამაქო შედარებით ახალი შემოსულობა, განსაკუთრებით ნოყიერი აღმოჩნდა მსგავს დაპირისპირებათა გამოვლენისა და გამოკვლევისათვის — ამ დაპირისპირების ორივე წევრი, თაფლიც და თამაქოც; სამხრეთ ამერიკაში არსებობს უძველესი დროიდან.

თუ „მითოლოგიურების“ პირველი ორი ტომი — „მიძღვნილია სამხრეთ-ამერიკელ ინდიელთა მითებისადმი, მისი ორი მომდევნო ტომი — „სუფრის ეტიკეტის წარმოშობა“ („L'origine des manières de table“, 1968) და „შიშველი ადამიანი“, („L'homme nu“, 1971) ეძღვნება ჩრდილო-ამერიკელ ინდი-

ელთა მითების გამოკვლევას იმ მეთოდის გამოყენებით, რომელსაც მიმართა კ. ლევი-სტროსი ერთი სახის მითების სხვა სახის მითებთან დაქმნის შესწავლისას.

კ. ლევი-სტროსის ეს გამოკვლევა სრულ გადატრიალებას ახდენს ფოლკლორისა და მითოლოგიის გამოკვლევათა შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ ვრცელი ნაშრომის ერთ ადგილას კ. ლევი-სტროსი თვითონვე უპირისპირებს თავის მეთოდს დღემდე უადრესად პოპულარულ ისტორიულ-გეოგრაფიულ სკოლას, რომლის წიაღშიც ამოცენდა სიუჟეტებისა (აარნე-ტამპსონი), და მოტივების (ტამპსონი) საყოველთაოდ მიღებული კატალოგები, რომლებიც ეყრდნობა კლასიფიკაციათა გარკვეულ პრინციპებს. კ. ლევი-სტროსისათვის ისტორიულ-გეოგრაფიული სკოლა პირველ რიგში წარმოადგენს ძველი ისტორიული, დაიკარგული ფოლკლორისტიკის ნიმუში. ურჩხულის შესახებ მითების მაგალითზე იგი შეეცადა ეჩვენებინა, რომ მიუხედავად ისტორიული სკოლა დაიკარგული ევოლუციის კვალს, შემთხვევით ურთიერთობებს და იზოლირებულ წევრებს პოულაბს, შეიძლება აღმოვაჩინოთ არსებითი კონტრასტებზე დამყარებული მითოლოგიური სისტემები.

იმისათვის, რომ რამდენადმე დამამაყუფებლად გავიგოთ კ. ლევი-სტროსის მეთოდი და მის მიერ შემუშავებული სიტემა, საჭიროა შევეხოთ მის კიდევ ერთ ნაშრომს — „მწუხარ ტროპიკები“, რომელშიც, ავტობიოგრაფიულ მომენტებთან ერთად, ავტორმა პოპულარული ფორმით აღმოგვცა თავისი შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

„მწუხარ ტროპიკებში“ სამი არსებითი მომენტი გამოიყოფა: 1) ველურები ცხოველებზე ბედნიერად; 2) ცივილიზაცია აზიანებს მათ უფას; 3) ცივილიზაცია უარესად წყვეტს რთულ ცხოვრებისეულ პრობლემებს, ვიდრე ამას თვითონ ველურები აკეთებენ. ველურები ამას უკეთესად აკეთებენ იმიტომ, რომ მათი გარემოში „მე“ მჭიდროდ არის დავაშირებული შინაგანთან. კულტურული გარსი ჭერ კიდევ თხელია და ბუნებასთან მის კავშირს ჭერ კიდევ შეიძლება თვალის გადავლენოთ; აღნიშნული ჭერ კიდევ არ დაშორებია აღმნიშვნელს და უამრავ ნიშანში ჭერ კიდევ გაირჩევა ბინალურია პოლიციები (Бутинов Н. А. Леви-Строс — этнограф и философ, წიგნი К. Лови-Строс, Структурная антропология, М., 1983, с. 425).

წინათ ადამიანი ხორცსა და სხვა საქმელს ქვაზე აწყობდა და ასე წვადა მზეზე. მზის სხივები ცასა და დედამიწას პარამონიულ მთლიანობას ანიჭებდა და ადამიანი ბუნებასთან სრულ თანხმობაში იმყოფებოდა. შემდეგ ადამიანმა დაიწყო საქმლის დამსუფთავება ცეცხლზე, შეიქმნა შრომის იარაღები, ტანსაცმელი, ხელსახმარები,



ადამიანმა შეიძლება კულტურის სამყაროში და მის არსებობას და კულტურას შორის გაჩნდა წინააღმდეგობები. მითების და, აგრეთვე, ცხოველები მის მრველობით ადამიანს უცდლოდ ალაგინოს და არღვეული მარმონიშნობა. აღმავრცედა ოქროს ხანა (ახე უწოდებს კ. ლევი-სტროსი კაცობრიობის ისტორიის ქვის ხანის პერიოდს) და დანიყო ბრინჯაოს ეპოქა. ამ ეპოქაში ადამიანი ჭერ კიდევ ინარჩუნებს მკაცვო ოპოზიციებს, რაც მას საშუალებას აძლევს, იბატონოს ემპირიულ სინამდვილეზე. მითების საშუალებით ადამიანები ცდილობენ, წაშალონ ან შეარბილონ წინააღმდეგობები ბუნებასთან. მაგრამ ამის შემდეგ იწყება რკინის ხანა და გაჩნდა თანამედროვე ადამიანი, რომელშიც ყველაფერი არცაა.

პირველყოფილი ადამიანი თავისი შინაგანი „მითი“ არაფრით არ განსხვავდება თანამედროვისაგან: ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე ბინარული ოპოზიციები გააჩნიათ. თანამედროვე ადამიანის აზროვნების სტრუქტურა, მიუხედავად მთელი იმ უსიამოვნებისა, რომელიც მას თავს გადახადა გამოკვლევი გზის მანძილზე, უცვლელი დარჩა. იგი წუსტად ისეთივეა, როგორც პირველყოფილი ადამიანისა. თანამედროვე ადამიანი პირველყოფილისაგან განსხვავდება მხოლოდ თავისი გარემოებით. „მითი (self) და, აგრეთვე, იმით, რომ მის გარეგან „მესა“ და შინაგან „მეს“ შორის კავშირი გაწყვეტილია ისტორიის მიერ.

მაგრამ თანამედროვე ადამიანს გააჩნია იმედი, რწმენა და შესაძლებლობა, შეიცნოს თავისი შინაგანი „მე“. ამისათვის იგი უნდა გახდეს ეთნოლოგი, გაემგზავროს პირველყოფილ ადამიანებთან და იცნოვროს მათთან, მათსავით — ამბობს კ. ლევი-სტროსი.

კ. ლევი-სტროსის ზემოწარმოდგენილ მსჯელობებში გამოყენებულია განსაკუთრებული მეთოდი — ბრიკოლაჟი, რომელსაც იგი ფართოდ მიმართავს მითების ანალიზის დროს. ბრიკოლაჟი, როგორც ცნობილია, ბილიარდის თამაშის ხერხია, რომლის დროსაც სხვა ბურთის დარტყმით ბილიარდის მაგიდის კიდეს ასხეტლილი ბურთი აღწევს მიზანს.

ეთნოლოგს თავის კულტურულ გარემოცვაში გარკვეული ჩვეულება მოეპოვება, რომელიც რომელიმე ბინარულ ოპოზიციას აღნიშნავს; რომელს სახელდობრ — თანამედროვე ადამიანთან ამის დადგენა შეუძლებელია, რადგან კავშირი აღნიშნულსა და აღმნიშვნელს შორის დაკარგულია ისტორიის, განვლილი გზის მიერ. მაგრამ ეთნოლოგი პირველყოფილ ადამიანში აღმოაჩენს მსგავს ჩვეულებას (ურტყუასში თავისი ბურთით მის ბურთზე — ბრიკოლაჟის პირველი ეტაპი). პირველყოფილ ადამიანში ეს ჩვეულება დაკავშირებულია ბინარულ ოპოზიციასთან (ბურთი ზვდება მაგიდის კიდეს და ასხეტით ბრუნდება უკანვე — ბრიკოლა-

ჟის დასკვნითი ეტაპი). ეთნოლოგმა უკვე იცის აღნიშნულის მნიშვნელობა (შეიქმნა ბინარული ოპოზიცია). ეს არის სწორედ ის, რასაც კ. ლევი-სტროსი „განზოგადებს“ უწოდებს.

ვთქვათ, ადგილი აქვს კონკრეტულ მოვლენას: მითის გმირი ცოლად ირთავს თავის დას, თუმცა ინცესტი მკაცრად აკრძალულია, ეთნოლოგი ამ მოვლენას მიუხადავებს პირველყოფილ ადამიანს. იქ იგი (მოვლენა) ჭერ კიდევ დაკავშირებულია გონიერ სტრუქტურასთან, ბინარულ ოპოზიციასთან, „შეიძლება — არ შეიძლება“, და მასთან (ბინარულ ოპოზიციასთან) ერთად უბრუნდება ეთნოლოგს. ახლა, ვთქვათ, ეთნოლოგი მიაკვლევს სხვა კონკრეტულ მოვლენას: მეფე მითის გმირს აძლევს რთულ დავალებას, იმ იმედით, რომ იგი ვერ გადაჭრის მას, მაგრამ მან იგი გადაჭრა; ამ შემთხვევაშიც ეთნოლოგი ამ მოვლენას კვლავ მოაკვებს ბინარული ოპოზიციის — „შეიძლება — არ შეიძლება“ — თა რეჟში.

რა თქმა უნდა, ძნელია, ყოველთვის დაეთანხმო კ. ლევი-სტროსის წარმოდგენილ მსჯელობებს. ავიღოთ თუნდაც ბრიკოლაჟის მეთოდი. პირველყოფილი ადამიანი კომპიუტერი როდია და მასში ბინარულ ოპოზიციებს არცა აქვს ადგილი — მას თვითონ ეთნოლოგი მჭმის, გამოყოფს, აჯგუფებს და, ისიც, დრმა და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, ნიშანდობლივია თვით კ. ლევი-სტროსის ერთი გამოხატვაში, რომ შესანიშნავი იქნებოდა მხოლოდ ერთი რომელიმე სტრუქტურის შესწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, საღ წაუხვალ ემპირიულ სინამდვილესო. ამიტომ, ბინარული ოპოზიციების გამოკვლენისათვის, კ. ლევი-სტროსის თვითონ უხდება გამოხვლა პირველყოფილი ადამიანის როლში. ჩემი აზროვნება ნეოლითურია, აცხადებს იგი; მე თქვენს შორისაც ისეთივე ვარ, თუნდაც იგი პარიზელს, როგორც მათ ეთნის (მომთაბარე მონადირეებსა და შემგროვებლებს) ვიყავი. როდესაც კ. ლევი-სტროსი ამგავსებს თავის თავს პირველყოფილ ადამიანებს, ცხადია, ამით იგი პარადოქსულ მტკიცებებს მიმართავს. სწორედ ამ მტკიცებების შესახებ ამბობდნენ, რომ არ შეიძლება მათი მიღება სერიოზულად, რომ ამით კ. ლევი-სტროსი კატაბაჯობანას ეთამაშება მკითხველებსო და სხვ. (Бутинов Н. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 454).

კ. ლევი-სტროსის შეხედულებები, როგორც აღინიშნა, ყველაზე თანმიმდევრულად წარმოდგენილია მაღალ პროფესიულ დონეზე დაწერილი, განზოგადებული თეორიული ხასიათის და გარკვეული პრინციპით შერჩეული მისი სპეციალური სტატიების მოზრდილ კრებულიში, რომელიც გამოიცა ცალკე წიგნად, ერთიანი მონოგრაფიული ნაშრომის სახით, „სტრუქტურული ანთროპოლოგიის“ (1958) სახელწოდებით. მასში წარმოდგენილი თავები ცა-



ლევ სტალინად იბჭებოდნენ (ნაწილი) ინგლისურ ენაზე. მთლიანი წიგნის გამოქვეყნებამდე ორიოდე მათგანი ჩვენშიც გამოცემა რუსულ ენაზე. წიგნის ეს სახელწოდება ჩვენში მიღებული ტერმინოლოგით შეიძლება დაახლოებით ასე გადმოვიცხადოთ — „ეთნოგრაფიის სტრუქტურული თეორია“. ამ წიგნმა მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა, 1948 წლიდან იგი განაგებს სსციალური ანთროპოლოგიის კათედრას კოლექტურ დეფანსში; იგი აირჩიეს საფრანგეთის აკადემიის წევრად, რაც, ცხადია, ავტორის მეცნიერულ დამსახურებათა უდავო აღიარებაა მისსავე სამშობლოში.

კ. ლევი-სტროსის არაერთგზის განუცხადებია, რომ მისი კონცეფციის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი მიეკუთვნება სოციოლოგ ემილ დიურკჰეიმს, ფსიქოლოგ ზიგმუნდ ფროიდს და ლინგვისტ ფერდინანდ დე სოსიურს. ე. დიურკჰეიმმა, როგორც ცნობილია, მკვეთრად განიხილა ინდივიდუალური ცნობიერება კოლექტიური ცნობიერებასთან; ზ. ფროიდმა ინდივიდის შინაგანი „მე“ დაუმორჩილა არაცნობიერს, ხოლო დე სოსიურმა ენობრივი მახასის მიხედვით კონკრეტული წარმოდგენა მოგვცა ქვეცნობიერის შესახებ, გამოყო ყოველ წინადადებაში ორი დონე: გაუცნობიერებელი (ენა) და გაცნობიერებული (მეტყველება). კ. ლევი-სტროსის შეხედულებებზე სტრუქტურული ლინგვისტიკის გავლენის დიდი მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს ისიც, რომ მისი თვალსაზრისით, სტრუქტურული ლინგვისტიკა ისეთსავე განმახლებელ ზეგავლენას მოახდენს სსციალურ მეცნიერებებზე, როგორც ბირთვულმა ფიზიკამ მოახდინა ფიზიკის მეცნიერებებზე.

კ. ლევი-სტროსის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, ჯერ კიდევ ჰაბსბურგის დროს, გარკვეული გავლენა მოუხდენია კ. მარქსის ნაწარმოებებს. როგორც თვითონვე აღნიშნავს, კ. მარქსის ნაწერებით ეს გატაცება მას შემდეგ შემცირდა არასოდეს განელებია და იგი ხშირად, სანამ საკუთარი ნაშრომის შექმნას შეუდგებოდა გადაიკითხავდა ხოლმე „ლუი ბონაპარტის თვრამეტ ბრიუშერს“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. „სტრუქტურული ანთროპოლოგიის“ V თავში — „ენა და ნათესაობა“. კ. ლევი-სტროსის მიმართავს კ. მარქსის ავტორიტეტს და აღნიშნავს, რომ კ. მარქსის გვთავაზობს, განვთავისუფლოდეთ სიმბოლოთა სისტემებისაგან, რომლებიც ენასა და კავშირებზე დაბლა დგანან და ადამიანს აკავშირებენ გარე სამყაროსთან. აქვე იგი იშველიებს კ. მარქსის შეხედულებას იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც განაპირობეს ადამიანთა მიერ ფასეულობათა ეტალონად კეთილშობილი ლითონების არჩევა და სხვ.

კ. ლევი-სტროსის კონცეფციის გაგებისათვის აუცილებელია მუდმივად გვახსოვდეს, რომ

ადამიანი ამ კონცეფციის მიხედვით წარმოადგენს კომპიუტერს. კომპიუტერს არ ცნობიერება; ადამიანის აზროვნების სტრუქტურაც კი, ლევი-სტროსის მიხედვით, ასევე არაცნობიერია. ინფორმაცია, რომელსაც ვაწვდით კომპიუტერს, კოდირებულია ორმაგი ერთეულებით: სიტყვები ინფორმაციის შინაარსია, ორმაგი ერთეულები — კოდი. იმისათვის, რომ კომპიუტერს მივწოდოთ, მაგ., ვაწვდით ოთხი სვეტის შინაარსი, საქორწინო დაახლოებით ნახევარმილიონი ორმაგი ერთეული. ასე გამოიყურება შინაარსი და კოდი ადამიანის თვალთახედვიდან. მაგრამ კომპიუტერის „თვალთახედვიდან“ საქმე საპირისპიროდ გამოიყურება. მისთვის ორმაგი ერთეულები ინფორმაციის შინაარსია, ხოლო სიტყვები — კოდი. ზუსტად ასე მიაჩნია კ. ლევი-სტროსსაც: საქორწინო ნორმები, ნათესაობრივი სისტემები, მითები არის კოდი და მეცნიერის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს ის, რაც კოდირებულია საქორწინო ნორმებში, ნათესაობრივი სისტემებში, მითებში, ე. ი. გამოავლინოს ბინარული ოპოზიციები.

თავის მეოთხედს კ. ლევი-სტროსი თანმიმდევრულად მიმართავს ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მხარეთა შესწავლისათვის. ყოველ მათგანს იგი განიხილავს, როგორც თვითმყოფად, თავისთავში ჩაკეტილ სისტემას და ადვილობს, ყველგან მიაკვილოს თავის ლოგიკურ კანონზომიერებებს. მისი სისტემის მიხედვით, ყველაზე ხშირად განმეორებელი კანონზომიერებები — ეს „ბინარული ოპოზიციებია“. ე. ი. წყველადი დაპირისპირებლობანი; იმისთვის, რომ ცხადი გახდეს „ბინარული ოპოზიციათა“ მრავალფეროვნება და მრავალსახოვნება, წარმოვადგენთ მათ შედარებით გრძელ ნუსხას: ნათელი — ბნელი, ხმაურიანი — ჩუმი, რბილი — მაგარი, შერბილი — სველი, ტკბილი — მწარე, უში — მოხარუნული, ჭორფა — დამკვარი, ცარიელი — სავსე, მრგვალი — მოგრძო, ღია — დახურული, დახუფული — გადახსნილი, ახლო — შორი, ზედა — ქვედა, წინა — უკანა, მარცხენა — მარჯვენა, განივი — ვრცელი, სწორი — მოღუნული, წინა-მავალი — უკანა-მავალი, ძლიერი — სუსტი, ნელი — სწრაფი, მშვიდი — მაძლარი, მწერი — ზვავრიელი, დაინტერესებული — უინტერესო, მორცხვი — თამამი, კაცური — ქალური, უფროსი — უმცროსი, ბებერი — ახალგაზრდა, ინდივიდუალური — კოლექტიური, საზამთრო — საზაფხულო, მიწერი — ციური, ცოცხალი — მკვდარი, ადამიანური — ცხოველური, თავისი — სხვისი, ბუნებრივი — შებუნებრივი, კეთილი — ბოროტი, შემქმნელი — დამანგრეველი, აქტიური — პასიური, ზომიერი — უზომო, გარეგანი — შინაგანი, პერიოდული — არაპერიოდული, ჩართული — გამორთული, ჩაირცხული — გამორცხული,



აქტუალური — ბანალური, აბსოლუტური — შეფარდებითი, და მრავალი სხვა. ხოლო ყველაფერს კი საფუძვლად უდევს გენერალური ოპოზიცია „ბუნება — კულტურა“, რომელიც გამოვლინდება სულ სხვადასხვა სახის და მრავალფეროვან დაპირისპირებულობებში: საქმელში, მუსიკაში, საქორწინო წეს-ჩვეულებებში, მითოლოგიაში და სხვ.

„სტრუქტურული ანთროპოლოგიის“ საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებად კ. ლევი-სტროსი ინტენსიურად სწავლობდა არა მარტო ამ წიგნში წარმოდგენილ ეთნოგრაფიის თეორიის წარმდგენთა მრავალრიცხოვან პრაბლემებს, არამედ ამერიკანისტიკის კონკრეტულ საქითებსაც. ამ დროს მისი ნაშრომების ყველაზე დამახასიათებელი თვისება იყო პრობლემებისადმი მიდგომის იგივე მთლიანი ხასიათი, რომელიც განსაზღვრულია სტრუქტურული მეთოდის გამოყენება და, მეორე მხრივ, ერთდროულად სხვა მეცნიერებებთან ეთნოლოგიის კონტაქტების ძიება.

ბოლო ხანებში გამოცემულ კ. ლევი-სტროსის ორტომეულში „ნიღბების გზა“ (1975) ყურადღება გამახვილებულია სულ სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი მითოლოგიური ცხოველების სკულპტურულ გამოსახულებათა ერთმანეთთან გასაოცარ მსგავსებებზე. ეს ის ცნობილი სკულპტურებია, რომლებშიც ამ ცხოველების გამოყოფილი აქვთ გიგანტური ენები. ხელოვნების ეს მაღალმახტურული ნიმუშები დასტურდება ჩრდილოამერიკელი ინდიელების უფაში და მათივე მსგავს გამოსახულებებში სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ აზიაში. კიდევ უფრო საინტერესო და მრავალისმეტყველი ის დასკვნები, რომლებიც კ. ლევი-სტროსმა მიიღო ამერიკელ ინდიელთა მითოლოგიის უწარმავარი მასალის ანალიზისას. აქ მან დაასაბუთა ამერიკის ყველა ინდიელთა ტომის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ეტნოლოგიის ერთიანობა. (Иванов Вяч. Вс., К. Леви-Строс и структурная теория этнографии, წიგნში К. Леви-Строс структурная антропология, М., 1983, с. 398).

ამავე ნაშრომში კ. ლევი-სტროსი დაწვრილებით განიხილავს ჩრდილო-ამერიკელ ინდიელთა მითს ბუნებრივი სპილენძის წარმოშობა შესახებ და საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომელიც თვით მისთვისაც პარადოქსულად მოჩანს. მითებში მოთხრობილია, რომ სპილენძს, გაიგივებულს მზეთან ან მზრწყინავ შხამთან თევზთან კოცონში აგებდნენ. ეს თითქოს ეწინააღმდეგება საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კოლუმბამდე ჩრდილო ამერიკაში სპილენძის გამოდნობა არ იცოდნენ. მაგრამ გამოირკვა, რომ სწო-

რედ ის ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ტომები, რომელთა მითებსაც კ. ლევი-სტროსი სწავლობდა, იცნობდნენ სპილენძის ცხლად დამუშავების ტექნიკას. სპილენძის ზოდებს გარკვეული დროით ცეცხლში ჩაადებდნენ, ხოლო შემდეგ აცივებდნენ და ასე აწრობდნენ. სწორედ ეს ტექნიკა აისახა კ. ლევი-სტროსის მიერ გაანალიზებულ მითებში.

ამრიგად, როგორც კ. ლევი-სტროსის ძირითადი, განმაჯადებელი ხასიათის თეორიული ნაშრომების წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, მისი მეცნიერული შეხედულებები, მისი კვლევა-ძიება ემყარება მითებს, რიტუალებს, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებს (საქორწინო წესები, ნათესაობრივი სისტემები და სხვ). ამათგან მითებსა და ფოლკლორს მის შემოქმედებაში უჭირავს ძალზე დიდი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ადგილი. იგი ხომ მითების სტრუქტურული ტიპოლოგიის მამამთავრად არის მიჩნეული. მისი პირველივე მნიშვნელოვანი ნაშრომი — „მითების სტრუქტურა“ მიიღვნენია სწორედ მითებისა და ფოლკლორისადმი. მისი შესწავლის ძირითადი ობიექტია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამერიკელ ინდიელთა მითები.

არაწყლებ მნიშვნელოვანია კ. ლევი-სტროსის მეცნიერულ შემოქმედებაში სოციალურ ურთიერთობათა ფორმების შესწავლა. ამათგან იმის ნიმუშად, თუ რამდენად დაწვრილებით აქვს მას ეს ფორმები შესწავლილი და დამუშავებული, შეიძლება დავასახელოთ ის ნათესაობრივი სისტემები (ამათგანაც მხოლოდ უმთავრესები), რომლებიც მის „სტრუქტურულ ანთროპოლოგიაში“ განხილული: ძმის შვილები, დედის ძმის შვილები, დის შვილები, მამის დის შვილები, ძმის ქალიშვილი, ქალიშვილის ქალიშვილი, დედის ძმის ქალიშვილის ქალიშვილი, დედის ძმის ქალიშვილის ქალიშვილი, მამის დის ქალიშვილის ქალიშვილი, დის ქალიშვილი, დედის დის ქალიშვილი, მამის დის ქალიშვილი, ძმის ცოლი, ცოლის ძმის ცოლი, მამის ცოლი, შვილის ცოლი და ა. შ. როგორც ვხედავთ, მისი მეცნიერული შემოქმედების ეს სფერო მოიცავს ნათესაობრივი სისტემაში გამოვლენილ თითქმის ყველა ნიუანსს.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ კ. ლევი-სტროსის ნაშრომებში მრავალი საინტერესო და, რაც მთავარია, ახლებური იდეა მოიპოვება. მაგრამ მთლიანად მათ ახასიათებს ერთი ზოგადმეთოდოლოგიური ნაკლი — მხოლოდ ურთიერთობების გადაქცევა დაინტერესებისა და კვლევის ძირითად ობიექტად, რაც ცხადია, ფორმალისტურ მიდგომას წარმოადგენს.



ისტორია თვალის პირთი გადავლებით პრინერება

მირონ ხერგიანმა ბოლო წლებში გამოაქვეყნა ნარკვევები „ხუთასი კოშკის მხარეში“ და „დედამიწა კი მარადის რჩება“ (იხ. ქ. „მნათობი“, 1981, № 10, 11, წიგნი — „ლდეს ღამე უთენებია“, 1983), რითაც მან სცადა სვანეთის ისტორიულ პროცესზე ჩვენს წიგნებში ჩამოყალიბებული თვალსაზრისის გადასინჯვა. ამ ცდას ჩვენ გამოვებამურეთ წერილით — „საქართველოს მთიანეთის ისტორიის არქიზების ნიმუში“ (იხ. ქ. „ცისკარი“, 1984, № 12).

მ. ხერგიანმა ჩვენს წინააღმდეგ კვლავ გამოაქვეყნა წერილები: „თაყას ამბავი“ („მნათობი“, 1985, № 9) და „სვანეთი ერთი თვალის გადავლებით“ (იხ. წიგნი — „პირმზითნი“, 1985), სადაც ავტორმა მეცნიერული კამათის ეთიკის ხელოვნით კვლავ სცადა შუა საუკუნეების ბალსზემო სვანეთში „თანასწორუფლებიანი და დემოკრატიული საზოგადოების“ არსებობის დადგენა კოშკური კულტურისა და ზოგიერთი გადმონაშთის თაშამი ინტერპრეტაციით: თითქოს, მათა და მწვერვალთა „ტოლფერდი“ (?!) მურყვამების აშენება მარტო თანასწორუფლებიან საზოგადოებას შეეძლო, — „უბატონოსა და თავის თავის მოყუდნეს ძალუქდა ასეთი ამალღებული და დახვეწილი ფორმით ეზღო ხარკი სულიერი და იურიდიულ-ეკონომიკური თავისუფლებისათვის“ (იხ. „პირმზითნი“, გვ. 11).

ზემოხსენებულ ნარკვევებში მ. ხერგიანი ცდილობს, დაკანონოს „თვალსაზრისი“, რომელიც გამორიცხავს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ბალსზემო სვანეთის საზოგადოების წოდებრივ-კლასობრივ დიფერენციაციას და იქაურ გვარებს შორის რაიმე იურიდიულ და ფაქტობრივ განსხვავებულობას.

ამგვარი მიზანმიმართულების ავ-კარგის შეფასება პირუთენელი მკითხველისათვის მიგვიწვდია.

ამის მიუხედავად, იძულებული ვხდებით მკითხველ საზოგადოებას შევასენო ზოგიერთი ანბანური კუშპარტიტება.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების სვანეთის საზოგადოების დიფერენციაციის დაწყებას არ უარყოფენ ე. წ. „მთური“ ფეოდალიზმის „თეორიის“ ავტორებიც, რომელთა აზრით, ეს დიფერენციაცია

ვერ განხორციელდა, სვანეთი მთური მდებარეობის თუ საზოგადოების თემური ორგანიზაციის გამო დასაწყის წერტილზე გაიყინა შუა საუკუნეების მთელ მანძილზე.

სოციალური განვითარების თვალსაზრისით საქართველოს მთა-ბარის (ერთმანეთის ორგანიზებული ნაწილების) პოლარული დაპირისპირება და ფორმაციული დაშორისმორება — ქვეყნის თითოეული სოფლის, თემის თუ კუთხის თავისებურების და მეტ-ნაკლები ჩამორჩენის განვითარების და შედეგადაც თვით პატარა პროვინციის — სვანეთის სამი კუთხე საზოგადოების განვითარების სამ, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ, საფეხურს დაუკავშირებს) უაზრობაა.

ვერც ის მოსაზრება იმსახურებს მხარდაჭერას, რომლის თანახმად საქართველოს მთის (კერძოდ სვანეთის) საზოგადოების განვითარება ქვეყნის ბარის განვითარებას კი არ უნდა დაუკავშიროთ, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთის პრიმიტიული ხალხების ისტორიას. საკითხისადმი ამგვარი, ასე ვთქვათ, „გლობალური“ მიდგომით საქართველოს მთა-ბარის მოსახლეობის განვითარება ხელოვნურად ითიშება. ეს მაშინ, როცა საქართველოს მთა-ბარის მოსახლეობა ძირითადად ერთიანი ისტორიული ბედის მოზიარე, ერთიანი კულტურის შემოქმედი იყო.

ამგვარადაც აღენიშნავთ, რომ ისტორიულად ყოველი საზოგადოება არის გადმონაშთური დიფერენცია და მომავალი საზოგადოების ჩანასახების შემცველი, თუმცა, როგორც ცნობილია, გადმონაშთების შეუფასებლობა და მათი გაზვიადება (თუ იდეალიზაცია) ერთნაირად მიუღებელია. ამასთან გადმონაშთები მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას (მახისსა და ზედნაშენს) კი არ მოიცავენ, როგორც ამას შუა საუკუნეების სვანეთის თავისებურების მაგალითზე ზოგიერთი ავტორი წარმოგვიდგენს, არამედ მეტწილად მფორებარისხოვან როლს ასრულებენ. აი, ამ კუშპარტიტებას არ ცნობს მ. ხერგიანი, რომელიც ჩვენთან კამათი ტენდენციურად წარმართა. ისტორიის საფუძვლებში გაუტყვევლი ავტორი შეეცადა პატრიკემული მიხილ ჩართოლანის ეთნოგრაფიულ ნაწერებზე

და ზეპირ გამოხატვებებზე დაყრდნობით დაე-
საბუთებინა, რომ ბალსზემო სვანეთში გლე-
ხი თავისი მდგომარეობით აზნაურზე ნაკლები
არასდროს ყოფილა, — იქ უძველესი ხანიდან
ჩვენს დრომდე არსებობდა „თანასწორუფლები-
ნი და დემოკრატიული საზოგადოება“, ამასთან
იერში ჩვენზე მოიტანა, ჩვენ, შუა საუკუნეების
სვანეთის ისტორიის მკვლევარს, მოგონილ ბრა-
ლდებებს მოგვაწერს და მრავალსართულიანი
უხამსი ეპითეტებით გვმოსავს.

სამწუხარო გამოცდილებიდან ვიცით, რომ მ.
ხერგიანთან მეცნიერული კამათი შეუძლებელია,
ამის მოუხედავად, პასუხის ვაცემა გადავწყვი-
ტეთ, იმიტომ, რომ მ. ხერგიანი, სარგებლობს
რა თავისი ნაწერების „მნათობში“ ზედზედ
(ზოგჯერ რამდენჯერმე!) გამოქვეყნების ზღა-
ბრული შესაძლებლობით, კვლავაც გვპირდება
თავისი „ისტორიული ნარკვევებით“ ახალი კო-
რიანტელის დაყენებას (იხ. „მნათობი“, 1985,
№ 9, გვ. 129, 139, 141).

ზოგადი შენიშვნები

ჩვენი წერილის საპასუხოდ მ. ხერგიანი ირ-
წმუნება, რომ მან ჩვენ, თითქოსდა, „გაგვა-
ლოზინა“. თურმე ამის მიზეზი ყოფილა ჩვე-
ნი არაბელსაყრელი ორიენტაციის გამჟღავნე-
ბა. კერძოდ ის, რომ შუა საუკუნეებისა და,
საერთოდ, ჰენანეთის ისტორიის საკითხებთან
დაკავშირებით კონსულტაციისთვის მიხეილ
ჩართოლანს მიადგა და არა ჩვენ („მნათობი“,
1985, № 9, გვ. 128).

ჯერ ერთი, ჩვენს „ორიენტაციას“ რატომ
სჭირდებოდა მ. ხერგიანის „მხრიდან“ გამომ-
ზეურება? ავი ჩვენი შეხედულებები გადმოიყ-
მულია (გამჟღავნებელია) სამ მონოგრაფიაში
(მათ შორის ერთი რუსულ ენაზე გამოვაქვეყ-
ნეთ), ასევე რამდენიმე წერილში. არაფერს ვი-
ტყვიით იმაზე, რომ ეს შეხედულებანი არა-
ერთ სამეცნიერო დისკუსიაზე, კომპლექტური
სპეციალისტების რეცენზიებში იქნა განხილუ-
ლი და დადებითად შეფასებული.

მეორეც, მ. ხერგიანი რატომ ფიქრობს რომ
თუ საკონსულტაციოდ ჩვენ მოგვადგებოდა,
ამით ღიდ პატივს დავცდებდა?

ბუნებრივია, მ. ხერგიანმა კონსულტაციისა-
თვის თავის მასწავლებელს მიმართა. მაგრამ
იმან გაგვაოცა, რომ ისტორიულ კვლევაში
გაუთვინცილობიერებელი ოპონენტი მართლ სხვი-
ნი კონსულტაციითა და სუბიექტური განწყობი-
ლების გამჟღავნებით ცდილობს გადამწყვეტი და
საბოლოო სიტყვა თქვას სვანეთის მრავალ-
საუკუნოვანი ისტორიის კარდინალურ საკი-
თებზე.

რატომ გონია მ. ხერგიანს, რომ მისი ნარ-
კვეი „ხუთასი კოშკის მხარში“ (იგივე ნარ-
კვეი სხვა სახელწოდებით — „ღედამიწა კი
მარადის რჩება“), ასევე წერილი, „სვანეთი თვა-
ლის ერთი გადავლებით“ „მხატვრული პუბლი-

ცისტური ნარკვევებია“ და ისინი, მის მიერვე
მოშველიებული პოეტური თქმით, „ხმელს
დღად აქცევენ“ და არა პირიქით?

არ გვირდა, მოკამათე მხარისადმი უპატივე-
მულობაში მ. ხერგიანს დავემსგავსეთ, ამასთან
წინდაწინავე შევიწინააღმდეგეთ, რომ მის ბოლო ნარ-
კვეს ერთი ღირსება გააჩნია, ეს არის ბატო-
ნი მიხეილ ჩართოლანის ნაღვაწის, რამდენადაც
კი შეიძლება, გაზვიადება.

1

მ. ხერგიანი ლამობს, რადაც უნდა დაუჯდეს,

გააბათილოს აზრი ისტორიისათვის წერილობი-
თი წყაროების პირველხარისხოვან მნიშვნელობა-
ზე, იგი თავისთავს და ზოგ სხვა ავტორსაც
უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, როცა ირწ-
მუნება, რომ წერილობით წყაროსთან შედა-
რებით, არაქაულად გადმონაშთი, ენობრივთან ერ-
თად, ყველა პირობაში „ბევრად უფრო საიმე-
დო საბუთია შორეული წყვილის გამოყენო-
ბად“.

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამოგონი
უნდაო. მართლაც! ვფიქრობ, ოპონენტი არ
ესმის, რომ წერილობითი წყაროებთან შედა-
რებით „არაქაულად გადმონაშთი“ (თუნდაც ნივ-
თიერ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფო-
ლკლორული მონაცემები) „შორეული წყვილი-
ლის გამოყენობად“ უფრო მნიშვნელოვან წყა-
როდ ითვლება მხოლოდ კაცობრიობის ისტო-
რიის უძველესი ხანისათვის (როდესაც წერი-
ლობითი წყაროები არ მოგვეპოვება), რომ კა-
ციობრიობის დამწერლობითი ხანის ისტორიისა-
თვის წერილობითი წყაროები „ისტორიული
კვლევა-ძიების ფუნდამენტი“ (აკად. მ. ნ. ტი-
ხომირიძე), რომ „ისტორიულ მეცნიერებაში
ყველაზე მნიშვნელოვანია წერილობითი წყა-
როები“ (ვ. ვ. კოსოლაპოვი).

ეტყობა, ოპონენტმა ვერც ეთნოგრაფი ბ. ნი-
ქარაძის შეგონება აითვისა: „ზეპირი გადმოცე-
მანი დაწერილი ისტორიული ფაქტებით არ არის
შესაწყნარებელი“ (გაზ. „ივერია“, 1888, № 4).

ცნობილია, დადესტინის ეთნოგრაფიული ექს-
პედიციის დროს (1904) ივანე ჯავახიშვილს
როგორ არ მოეწონა წინასწარ შეჩრქულ პუ-
ნქტებში მასალების სპორადული მოპოვება:
„მე ამნაირი ეთნოგრაფიისა არა მწამს რა“ (ცტ.
ს. ჯორბენიძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯა-
ვახიშვილისა, თბ, 1984, გვ. 85).

სასიქადლო მეცნიერი შემთხვევით როდი
შეგაონებდა თავის კოლეგებს, რომ ეთნოგრა-
ფიული მასალა სათანადოდ უნდა შეეგროვე-
ბინათ, შესაფერისი სისწორითა და სისრულით
ჩაეწერათ და კრიტიკული განსჯა-შეჯერების
საფუძველზე გამოყენებინათ. ცხადია, ასეთი
სათუთი, უზალო და გააზრებელი მუშაობის
შედგებია თვით ი. ჯავახიშვილის ეთნოგრა-
ფიული და სხვა ნაშრომები, რომლებიც უდიდეს
ლირებებში ხასიათდებიან.

ესეც არ იყო, „შორეული წყვილის გა-
მოცნობა“, გნებავთ გაშუქება განა ისე იოლია,
როგორც ეს მ. ხერგიანს ეჩვენება? აი, რას
წერდა ამაზე მეკლევარი მიხეილ გეგეში-
ძე: „საქართველოში, ხანგრძლივი, მრავალ-
ფეროვანი ისტორიული წარსულისა და უძ-
ველესი ცივილიზაციის ამ ქვეყანაში — ძნელი
წარმოსადგენია, რომ მართო ეთნოგრაფიითა
და, გნებავთ, წერილობითი წყაროებით, ადამი-
ანი ასე ადვილად მისწვდეს საზოგადოების გა-
ნვითარების უადრეს საფეხურებს და გულდაჭ-
რებით სრულად აღადგინოს ჯგუფური ქორწი-
ნების, დედის გვარისა თუ ძველი ქვის ხანის
სხვა სოციალური სისტემები... ცალკეულ შრო-
მებში გატარებული ეს აზრი, ძნელი დასანახი
არ არის, განპირობებულია პირველყოფილობის
სოციოლოგიური სქემების მიყენებით ჩვენს
სინამდვილისადმი“ (იხ. მ. გეგეშიძე, ეკოლო-
გიის ევლუტურულ-ისტორიული და სოციალუ-
რი პრობლემები საქართველოში, თბ., 1982,
გვ. 72-73).

II

მ. ხერგიანი ირწმუნება, თითქოს ჩვენ კატე-
გორიულად უარყოფთ ისტორიისათვის ეთ-
ნოგრაფიული მასალის საჭიროებას, სვანთა
ყოფაში არქაული გადმონაშთების შემონახუ-
ლობას. თითქოსდა, ჩვენს წიგნებში ძველი
სვანეთი წარმოდგენილია, როგორც კლასიკური
ფეოდალურ-ბატონყმური მხარე, რომელიც გან-
ვითარებით საქართველოს ბარის კუთვებს
ტოლს არ უდევს და მას რაიმე თავისებუ-
ლება არა ახასიათებდა („მნათობი“, 1985, №9,
გვ. 130). ოპონენტი არც ერთ შემთხვევაშია
მართალი და არც მეორეში. ის უსაბუთოდ და
უსაფუძვლოდ მოგვაწერს არაერთ ასეთ ბრა-
ლდებას.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ ჩვენს
გამოკვლევებში ფართოდ და კრიტიკულადაა
გამოყენებული ეთნოგრაფიული, არქეოლოგი-
ური, ფოლკლორული, ენობრივი და სხვა მასა-
ლა, რომელიც სხვა წყაროების მონაცემებთან
შეზიარისპირება-შეჯერების საფუძველზეა გა-
აზრებული.

ეთნოგრაფიულ მასალას განსაკუთრებით დი-
დი ადგილი დავუთმეთ სოციალური ურთიერ-
ობისა და კლასობრივი ბრძოლის გაშუქებისას,
ასევე სვანთა ყოფაში შემონახული გადმონაშ-
თური მოვლენების ინტერპრეტაციისას.

ამ ფაქტზე მ. ხერგიანმა თვლი დახუტა, სამე-
გიეროდ, ისინი თავის დროზე კარად შეამჩნია
ცნობილმა მეცნიერმა ალექსანდრე კოჭლავაშვი-
ლმა, რომელიც ჩვენს წიგნის თაბაზე წერდა:
„ნაშრომი დაწერილია მიდღარე წყაროთმცოდ-
ნეობითი ბაზის საფუძველზე. მასში გამოყე-
ნებულია არსებული ლიტერატურა, მატერიალუ-
რი კულტურის ძეგლები, ფოლკლორული და

ეთნოგრაფიული მასალები, ენობრივი მასა-
ლი წერილობითი წყაროები...“ (იხ. გვ. „წიგნების
სამყარო“, 1974, 27 თებერვალი, № 4 (366)).

ასე რომ, ეთნოგრაფიულ მასალებთან არ
ვართ უმძრახად, როგორც ეს მ. ხერგიანს
სურს მკითხველს მოაჩვენოს.

მეორე საკითხია თუ როგორ ვანასიათებთ
საქართველოს მთის, კერძოდ ფეოდალური ხა-
ნის სვანეთის ვითარებას. მ. ხერგიანი მოგვა-
წერს, თითქოს შუა საუკუნეების სვანეთის გა-
ნვითარებას ბარის დონეზე და უფრო მაღ-
ლაკი ვაყენებდეთ. სინამდვილეში ჩვენს ნაშ-
რომებში წითელ ზოლდაა გატარებული ბა-
რთან შედარებით მთის ეკონომიკის ჩამორჩე-
ლობა და გეოგრაფიული გარემოს უარყოფითი
გავლენა ფეოდალური ურთიერთობის განვითარ-
ებისათვის ესოდენ აუცილებელი ზედმეტ
პრობლემის წარმოებაზე.

საზგასმული გვაქვს სვანეთში ფეოდალიზმის
ზრდადუსრულელებობა და ფეოდალური ვალ-
დებულებების სიმსუბუქე, ბალსზემო თემებში
ბატონყმური ურთიერთობის სიმბოლურობა და
სხვ.

აი, ამასთან დაკავშირებით ვწერთ: „სვანეთ-
ში ფეოდალიზმი ბუნებრივი და ნორმალური
გზით რომ განვითარებულიყო, ასეთ ვითარე-
ბაშიც ბარის მეურნეობის მასშტაბს ვერ
მიალწვდა“ (გ. გასვიანი, დასავლეთ საქარ-
თველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ.
111).

მეორეგან აღვნიშნეთ: „შუა საუკუნეებში
სვანეთში სხვადასხვა ბეგარა-გადასახადი არ-
სებოდა. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს,
რომ ამ მხრივ სვანეთი ბარს გავუტოლოთ,
ისევე, როგორც მიწისმფლობელობის, აგრეთ-
ვე ფეოდალური ბეგარა-ვალდებულების მასშ-
ტაბის და ნაირფეროვნების მხრივ, სვანეთი
ქვეყნის ბარის განვითარებულ რაიონებს სა-
გრძობლად ჩამორჩებოდა“ (გვ. 151). შემე-
დგა: „მთური მდებარეობის გამო სვანეთის მე-
ურნეობა შებოჭილი იყო, რაც ფეოდალური
მეურნეობის განვითარებას ზღუდავდა და
დამოკიდებული წოდების მსუბუქე და მარტივ
ბეგარა-ვალდებულებას განსაზღვრავდა“ (იქვე,
გვ. 152).

სხვა წიგნში კი ვწერთ: „შეუძლებელია ისეთ
პატარა რეგიონში, როგორც სვანეთია, ფეო-
დალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ინ-
სტიტუტი, ასე ვთქვათ, კლასიკური ისრულით
ყოფილიყო წარმოდგენილი, მით უფრო, რომ
ის დამოუკიდებელ ცალკე ქვეყანას კი არა,
არამედ ფეოდალური საქართველოს პროვინ-
ციის წარმომადგენლა“ (დასავლეთ საქართველოს
მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979,
გვ. 213).

ამის შემდეგ მკითხველს ვანდობთ იმის გან-
სჯას, თუ რა ფასი აქვს მ. ხერგიანის ზემოაღ-
ნიშნულ ბრალდებას, აგრეთვე, მის გულდაჭე-



რებულ ჰკვიის სწავლებას: „ჩვენის ღრმა რწმენით, თითო პატივცემულ გ. გასვიანსაც და არა მარტო ჩვენი თვალსაზრისით (სხვათა თვალსაზრისის გამოცხადებაც ჩვენს ოპონენტს ჰქონია დაკისრებული! გ. გ.), ნამდვილად არ მოკარბდებოდა და არ აწყენდა, პირიქით მეტად სასიკეთო სამსახურსაც კი გაუწევდა „ეთნოგრაფიულ საბუთებისადმი“ „შორით მიცქერლობაზე უარის თქმა“ („მნათობი“, 1985, № 9, გვ. 129).

კითხულობ ამ სტრუქტურებს და ფიქრობ, ვინაა ამგვარი სწავლების ავტორი, გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიის კვლევა-ძიებაში უაღრესად გამოცდილი პიროვნება? სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ისტორიის არსის გაურკვეველობასთან.

III

ისტორიული პროცესის ვერ გაგების აშკარა გამოხატულებაა ოპონენტის გაკვირვება: „გზანა გადაუტრეულ დილემასა და მეცნიერული კამათის საგანს წარმოადგენს ბალსზემო სვანეთში ჰანაურთა და დანარჩენი მოსახლეობის, ვითომ ყმა-მძაბობოთა მიწათმფლობელობის ფორმების დადგენა?“ („მნათობი“, № 9, გვ. 130).

აქაც იმაზე გვიკვირებს, რომ ჩვენ ვცადეთ შეგვესწავლა სვანეთის მოსახლეობის სოციალური შედგენილობა და საადგილმამულო ურთიერთობა XI-XIX საუკუნეებში: თურმე „ნებისმიერი ადამიანი იტყოდა, რომელ გვარს რა სახნავ-სათესი მიწები გააჩნდა პირად საკუთრებაში. ამ თვალსაზრისით სვანეთში რაიმე კარდინალურ ძვრებს არ ჰქონია ადგილი — კი არ გადაშენებულან, დღესაც ძველი რიგით და წესით აქ ბინადრობენ ისტორიული გვარები, თემები, სამოეობი. ყველას ნათლად ასოფას აქ მამა-პაპური მიჯნები საგვარეულო ტყეებისა და ყანა-სათიბებისა“. გამონაკლისს თურმე ერთადერთი ჩვენ წარმოვადგენთ? (იქვე, გვ. 130).

ცხაღზე უცხადესია, მ. ხერგიანის ეს მოსაზრებაც მეტისმეტად თამამია. აი, როგორ გაუბრალოებულად, სტატიკულად აქვს მას წარმოდგენილი საუკუნეებში, ღრთოთა ბრუნვაში, სვანეთის მოსახლეობის მიწისმფლობელობა და საადგილმამულო ურთიერთობა. როგორ ერთი ხელის მოსმით უარყო ასეთი მიწმფელთა ერთი პრობლემის კვლევის საჭიროება.

ნუთუ საქართველოს სხვა კუთხეებში არსად შემორჩა „ისტორიული გვარები“ და იქ ვერავინ დაიბახსოვრა ფეოდალური ხანის „მამა-პაპური მიჯნები“.

სანტიკრესოა, ეს აზრი როგორ უთავსდებამ ჩართოლანის შემდეგ მტკიცებას: „მგერი ოჯახი ყანებს ყიდდა... ვისაც ბელელში შენახული მარაგი აღმოჩნდებოდა, შედარებით იოლად იგდებდა ხელში ჭონებას, მიწის...“ (კრებულის „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1970, გვ. 113-114).

მ. ხერგიანი გაცემულია „მართლაც და, წინააღმდეგობა თუ ექსპლოატორული საზოგადოებრივი ფორმაციების გაგლა მინცდამინც აუცილებელი. რომ ესა თუ ის კუთხე განვითარებულად წარმოვიდგინოთ? ნუთუ მართლა ხელმძღვანელობენ სადმე ცივილიზებულიობის დადგენის მსგავსი კრიტერიუმებით დედამიწის ზურგზე?“ („მნათობი“, 1985, №9, გვ. 137). ვშიშობთ, მ. ხერგიანი როგორც ადრე, ახლაც „პოლიტიზირებულ ბრალდებად“ (გვ. 141) ჩაგვივლის იმ ელემენტარულ ჰუმბარტების შესხენებას, რომ საზოგადოების ფორმაციული განვითარების პროგრესული ხასიათის არცნობა საბჭოთა მეცნიერებაში, მეტი რომ არა ვთქვათ, გაუგებრობაა.

ჩვენი ავტორი თავის ორ ნარკვევში გაკვირვებით შენიშნავს: „ზოგს მიანია, თითქოს ფეოდალის ბატონობაზე დაბალი დონეა სახალხო მმართველობა (ნუ დაგავიწყდება მხედველობაშია კლასობრივადელი საზოგადოების ე. წ. სახალხო მმართველობა — გ. გ.). ეს მცდარი მოსაზრება, — გვასწავლის მ. ხერგიანი, — სხვა მცდარი თეორიებისკენ უბიძგებთ ე. წ. მოდას აყოლილ მკვლევარებს“ (იქვე, გვ. 137, და სხვ.).

კაცობრიობის ისტორიის ფორმაციული განვითარების თეორიის გადასინჯვის გზით მ. ხერგიანი არაფერს ერიდება იმის დასამტკიცებლად, რომ კლასობრივ საზოგადოებამდელი სახალხო მმართველობა, ფეოდალურ ურთიერთობასთან შედარებით, ცივილიზაციის უფრო მაღალი საფეხურია. ამ „აღმოჩენამდე“ მ. ხერგიანი შემთხვევით როდი მივიდა: რაკი მ. ხერგიანი (ჩვენი არ იყო) ბალსზემოელი და გლეხური გვარჩამომავლობისა, თავგამოდებით შეცადინებოს იმ აზრის დასამკვიდრებლად, რომ იქ კლასობრივი საზოგადოება არ არსებობდა, რადგან მისი რწმენით, ზნაურისადმი გლეხის ვალდებულებით დამოკიდებულება, რომელ ეპოქასაც ის არ უნდა განეკუთვნებოდეს, გლეხისათვის, მთელი მისი საგვარეულოსათვის, საშვილიშვილოდ დამამკვირებელია. ამ „სამარცხვინო“ ისტორიული სიტუაციიდან, მ. ხერგიანის აზრით, ერთი გამოსავალია: ექვემოთუნაღლად და საყოველთაოდ უნდა იქნას აღიარებული, რომ ბალსზემო სვანეთში, ისტორიულად არ არსებულა საზოგადოების კლასობრივი დაყოფა, კლასობრივი ჩაგვრა, ყველა გვარი იყო ეკონომიკურად და იურიდიულად თანაწორფულებიანი და ბალსზემო სვანეთის ასეთ საზოგადოებას მთელი ისტორიის მანძილზე გააჩნდა სახალხო მმართველობა, რომელიც თურმე კაცობრიობის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე კლასობრივი საზოგადოება საერთოდ და კერძოდ ფეოდალურ-წოდებრივი ურთიერთობა და მისთვის დამახასიათებელი უთანასწორობა. მ. ხერგიანს დაავიწყდა, რომ

„შემართებას ცეკვით არ ამტკიცებენ“, ის ცდილობს შექმნას ილუზია, რომ „ბალსზემო სვანეთის გლეხობა და იქაური აზნაურები თანასწორუფლებიანი იყვნენ და იქაური „სახალხო მმართველობა“ საზოგადოების განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობა.

იმისათვის, რომ ოპონენტმა წერილობით წყაროებში აღბეჭდილი ბალსზემო თემების აზნაურთა (ყვიდიანთა, ჩარკვიანთა, ჭადარიძეთა, გომთელიანთა, იოსელიანთა, დედგარიანთა, ყორგილიანთა და სხვ.) ფაქტობრივი და იურიდიული პრივილეგიები, აგრეთვე დოკუმენტურად გაფორმებული გლეხთა ვალდებულება ურყის და გლეხთა და აზნაურთა თანასწორუფლებიანობა დაამტკიცოს — ერთ-ერთ გლეხურ გვარზე (მთხრობელის პირით) ყვება: „ყველაზე საუკეთესო ადგილ-მამულები და ყველაზე მეტი კოშკები და ასევე ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისი თავისი ციხე-კოშკითურთ, მაჩვიბ-მაეხითურთ, სასაფლაო-აკლდამითურთ, საიდუმლო გვირბითურთ, დიდგეგბითურთ, ეკლესიითურთ მაგათ გვარს ჰქონდა სვანეთში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ბატონები იყვნენ, არც არავის სმენია რომ ვიღაცეები დაეჩაგროთ, ჰქონდათ, მაგრამ სხვათა თანაბრად ცხოვრობდნენ თავისთვის მშვიდობიანად...“ („მნათობა“, 1981, № 11, გვ. 96-97).

მ. ხერგიანის რწმუნებით: „თავისუფალ სვანეთს ეკონომიკური საშუალება გასაქანს აღუვდა მათა და მწვერვალთა ტოლფერდა (?) მურყვამები მოემრავლებინა“. კიდევ მეტი, კოშკის აშენებას ქეა-ხრეშისა და კირის გარდა თურმე, „ბლომად ქერის ფქვილი და კვერციც სჭირდებოდა“ — დახედეთ დღეობა ქერისა და კვერცხის ნარევიც ყოფილა? ამასთან, თურმე „თადარიგან ოჯახს რეზერვად ზევილით სავსე კიდობნიცისა და გვეების ხელუხლებელი საწყობიც ჰქონდა“ (იქვე, გვ. 96,107).

ამვე ნარკვევში ოპონენტს თავისდასაწინააღმდეგოდ წასცდა, რომ იმავე „თავისუფალ სვანეთის“ დიდგეგებში ხუნდებგაყრლი ტყეები ჰყავდათ დაღწეული, ის წერს: „ტყეის (?) მდგომარეობა, როგორც ყველგან, ჩვენთანაც ვერ იყო სახარბიელო, მაგრამ სხვა კუთხეებთან შედარებით აქ მათ უკეთესად ეპყრობოდნენ — კანონი იყო, გამოსყიდული ტყე თავის საშობლოში ჩანმრთელი, საღსალამით და მოლონიერებული უნდა გაემგზავრებინათ, რათა მიუხედავად ამ დიდი შეურაცხყოფისა, გადამოივლებინათვის აუგი არ ეთქმევიენბინათ“ (იქვე, გვ. 101). მართალია, ტყევთა მდგომარეობა სვანეთში ოპონენტმა „შეალამაზ-შეპულრა“, მაგრამ, ხედავთ, რა თანასწორობა და თავისუფლება ყოფილა?

საკითხავია — თუ სვანეთში, მართლაც, ასეთი

ზღაპრული ცხოვრება იყო, როგორც ამას ხერგიანი ხატავს, მაშინ რა უშლიდა ხელს ფეოდალური ურთიერთობის ყოველმხრივ ვითარებას? ნუთუ ყველაფერს თემური ორგანიზაცია და თავისუფლებისმოყვარე ხასიათი განსაზღვრავდა?

ოპონენტს არ ესმის მის მიერვე მოტანილი მასალის შინაარსი, ავიწყდება ისიც, რომ გლეხური თემის „თანასწორობის თეორია“ საყოველთაოდ უარყოფილია საბჭოთა მეცნიერებაში.

V

ნარკვევში, „სვანეთი თვალის ერთი გადავლებით“, მ. ხერგიანი წერს, რომ ბალსზემო სვანეთში „არასოდეს არ ყოფილან ფეოდალები და ბატონები ჩვეულებრივი მნიშვნელობით. იყვნენ მახვებები — სოფლის უფროსები, ჩენილები — რჩეული ადამიანები — ჰქუთია და განიერები, ცოდნითა და გამჭრიახობის წყალობით პრივილეგირებული სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები“ (იხ. მისი პირმზიონი, გვ. 5-6). ავტორის დამაფიქრებელი განცხადებით, ეს ბუნებრივი იყო: „...ცალკეულ გვართა აღზევების ცდებში მათში (!?) შექმნილი სახალხო მმართველობის პირობებში არ ამართლებდა, მოსახლეობა თავის პოზიციებს არ თმობდა, იგი ურყევი იყო საკუთარი ავტონომიის დაცვის საქმეში და იურიდიულ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა“ (იქვე, გვ. 6).

საკითხავია, რატომ ბარში-არსად იყვნენ ასეთი „ავტონომისტები“, რომლებიც „თავიანთ პოზიციებს“ არ დათმობდნენ? ბარში რატომ არ უყვარებოდათ თავისუფლება? ამასთან საკითხავია, აგრეთვე, მ. ხერგიანის მიერ აქ წარმოდგენილი სურათი სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა გვაროვნული საზოგადოება? ნუთუ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდან მაინც არ არის ცნობილი, რომ ყოველი საზოგადოება (პირველყოფილი გვაროვნულის გარდა) კლასებად იყოფა, რომ კლასობრივ-წოდებრივ საზოგადოებაში ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და უთანასწორობას აქვს ადგილი. ნუთუ უცნობია, რომ შუა საუკუნეების სვანეთში (მის ბალსზემო თემებშიც) სახლ-კარსა და მოძრავ ქონებაზე, სახნავ-სათიბ მიწაზე და ტყეზე კერძო საკუთრება არსებობდა (ყოველივე სხვას რომ თავი დავანებოთ), რაც, აგრეთვე თავისთავად საზოგადოების უთანასწორობაზე მეტყველებს.

ზემოხსენებულ პირობებში მ. ხერგიანის განცხადებით, თურმე ნუ იტყვიოთ, „საზოგადოებრივ ტენდენციებს რომელიღაც მომენტში თვითმიზნური შეჯიბრების, გვარებსა და თემებს შორის „თ ხ ა თ ხ ა ზ ე ნ ა კ ლ ბ ი ს“ შინაარსიც კი მიუღია“... (იქვე, გვ. 11, ხაზგასმ. ჩვენია).



ახლა იმაზე, თუ როგორ ესმის მ. ჩართოლანს შუა საუკუნეების სოციალური ურთიერთობის პროცესი, ის წერს: „სვანეთის ტერიტორიაზე მხოლოდ მეთოხმეტე საუკუნის დასასრულსა და მეოთხმეტე საუკუნის დასაწყისიდან იწყება ფეოდალიზაციის პროცესი (კრებული „სვანეთი“, 1979, გვ. 105). ე. ი. ეს პროცესი დაიწყო ფეოდალური საქართველოს დაქუცმაცება-დაქვეითების დროს!“

ავტორს არ აფიქრებს ის, თუ რანაირად დაიწყო ფეოდალიზაცია სვანეთში ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და ქვეყნის ძეგლებდობისა კრიტიკულ ეპოქაში. მას ავიწყდება, რომ ეკლესიათა წარწერებით (რომელთა მონაცემები ექვს არ იწვევენ) ბალსზემო სვანეთის ყველაზე განაპირა თემებში მეთორმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში რაც ეკლესიათა მშენებლებად (მაგ., კალაში — წმ. კვირიკეს, ივრალიში — მთავარანგელოზის, ივარში — წმ. გიორგის და სხვ.) აზნაურები გვევლინებიან (Н. А. Аладашвили, Т. В. Алибегашвили, А. И. Вольская. Живописная школа Сванети, Тб., 1983, стр. 30, 31, 32 и т. д.).

ჩანს. მ. ჩართოლანი და მ. ხერგიანი აზნაურებს ფეოდალებად არ მიიჩნევენ ავიწყლებათ, რომ XIV-XV საუკუნეებამდე ფეოდალური კლასი საქართველოში აზნაურთა სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა. მათ გაუთვალისწინებელი რჩებათ ივანე ჭავჭავიძელის მონაზრება: „აზნაურობა საქართველოს სახელმწიფო წოდებრივი წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაურნი საქართველოს ყოველ თემსა და კუთხეში იყვნენ“ (ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. 1, თბ., 1928, გვ. 34).

აი, კიდევ რას წერს მ. ჩართოლანი ბალსზემო სვანეთზე: „...როგორც ჩანს, ცალკეული პირები აღებენ წოდებასაც, მაგრამ ქონებრივად მათი მდგომარეობა უცვლელი რჩება. იქ, სადაც ფეოდალიზაცია მოხდა, სვანეთმა თავისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაკარგა და იმ ტერიტორიაზე ნასვანარი ადგილები დაარსა. ასე მოხდა ჩრდილო კავკასიაში: ბაქსანის, თერგის და ყუბანის სათავეებში, სამხრეთში (ზემო რაჭა, სუბხუმი, ჭვარია და ახლანდელი აფხაზეთ-სვანეთის ტერიტორია? გ. გ.) XIV საუკუნის დასასრულსა და XV საუკუნის დასაწყისიდან სასტიკი შემოტევა...“ (იქვე, გვ. 105).

მ. ჩართოლანისავე განსჯით, აზნაური არა მარტო ქონებრივად რჩება გაყინული, არამედ „გლები და ვარგი (ე. ი. აზნაური) თანასწორი უფლებით ფლობენ მიწას“. ამასთან, თითქოს ისინი მმართველობაშიც თანასწორი უფლებით გამოდიოდნენ“ („მნათობი“, 1981, №11, გვ. 100).

გვიჭრობ, ამ ამონაწერებში არაერთი გაუ-

ვებობაა, ჯერ ერთი, თუკი ბალსზემო სვანეთში აზნაურის წოდება გაჩნდა, რაღაცეები ინტელექტუალური უცვლელი, როდესაც ეთნოგრაფისავე რწმუნებით: „სვანეთში V-VI საუკუნეებიდან მიიწე (თუ უფრო ადრე არა) არსებობს ძლიერი გამაგრებული ციხეებიც და სუსტად გამაგრებული სახლებიც, რომელშიც ცხოვრობდა შესაბამისად ძლიერი და სუსტი, მდიდარი და ღარიბი“ (იქვე, გვ. 104). გამოდის, რომ სვანეთში ქონებრივი დიფერენციაცია მხოლოდ გლეხებს ეხებოდა და არა აზნაურებს. ამასთან, საკითხავია თუ აზნაური ასეთი უქონელ-უფულეობ იყო, რისთვის სტირდებოდა ასეთი წოდება, რატომ მიისწრაფოდნენ მის მისაღებად!

მეორეც, საინტერესოა XV საუკუნემდე სვანეთს თერგის სათავეში რომელი „ფეოდალიზირებული“ ტერიტორია ეკუთვნოდა?

მესამეც, რანაირად შეიძლება ლეჩხუმში, რაჭასა და ჭვარში ფეოდალიზაციის პროცესის დასაწყისის XIV-XV საუკუნეების მიჯნით დათარიღება, მაშინ, როდესაც ფეოდალურ ურთიერთობას საქართველოში III-V საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი?

მ. ხერგიანი ცდილობს მკითხველს შთააგონოს, რომ „ნ. ბერძენიშვილისა და სხვა მეცნიერთა შეხედულებებით სწორედ ეს თავისებური ფეოდალიზმის ვითარება თუ სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთის სოციალურ აქტივობას გაცილებით მეტ ცხოველყოფილობასა და ოპერატიულობას ანიჭებდა, მეტ ქმედითობასა და ეფექტურობას სძენდა, ვიდრე ეს მისალოდნელი იქნებოდა“ („მნათობი“, 1985, გვ. 136).

აი თურმე აქაც რა მომხდარა! „სახალხო მმართველობის სისტემას როგორ აღმალეობა სვანეთის აქტივობა, რომ არავინ ელოდა, ისეთი ცხოველყოფილობა, ოპერატიულობა და ქმედითობა მუნიჭებია მისთვის!“

საკითხავია: საქართველოს სხვა კუთხეები, სადაც სახალხო მმართველობის სისტემა არ არსებობდა, როგორღა ახერხებდნენ ფეოდალური ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ წინსვლაში მონაწილეობას?

მ. ხერგიანი უარყოფს ყველაფერს, რაც მას ხელს არ აძლევს და დაყენებით ცდილობს თავისი აკვიატებული აზრის გამართლებას. ამაზე ნათქვამი: „მე უარყოფი და მართალია თუ არა, ეგ ჩემი საქმე არ არის“.

მ. ხერგიანს სურს, საქმე ისე გამოიყვანოს, თითქოს იგი, მ. ჩართოლანთან ერთად, სვანეთის ისტორიის პირველყოფილობის მოწინააღმდეგეა. მაგრამ წერს: მ. ჩართოლანის თვალსაზრისის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „...სვანეთის ბალსზემო ნაწილში... სოფლის მმართველობის სისტემა დემოკრატიული დარჩა. სოფლის თემს სავსადაე ფეოდალებისა, ჩე-

ნილები წარმართვენდნენ, ხოლო ერთობლივ ხელს-ყრილობა — „ლუხორ“ („მნათობი“, № 9, გვ. 133).

ნუთუ ესაა თავისებური ფეოდალიზმი, — აქ, ან მის სხვა ნაწერებში სადაა ფეოდალიზმის რაიმე ნიშანი? პირიქით, მ. ჩართლანის თვალსაზრისი შუასაუკუნეების ბალსზემო სვანეთში თანასწორუფლებიანი საზოგადოების და, მასასადავამ, გვაროვნულ-პირველყოფილობის მტკიცეებაა! ამისი მაჩვენებელია ჩვენდამი მომართული მ. ხერგიანის საყვედურიც: „...იგი „თავისუფალი სვანეთის“ ისტორიული ცნების მსგავსად (sic!) მზადაა მახვშებისა და სოფლის ჩენილების მთელი არმია ჩაქოლოს და მათ ნაცვლად ყმები და მონები მოამპოვლოს“ (იქვე, გვ. 140). აი სადამდე მივიდა ჩვენი კრიტიკოსი: ბალსზემო თემებში თურმე „ჩენილები“ მის მთელი არმიაა! არსებობდა, ჩვენ კი „ყმობა და მონობა“ დაგვიმკვიდრებია!

თურმე შუა საუკუნეების სვანეთში გლებთა (მათ შორის ხერგიანების) ბეგარა-გადასახადებზე წერილობითი საბუთების გაფორმება ჩვენ ბრალი ყოფილა. ჩვენ ხომ ისინი მხოლოდ ისტორიული სინამდვილის დასადგენად გამოვიყენეთ. აი, რატომ გვესხმის თავს მ. ხერგიანი, რომელიც ყმასა და მონასაც ვერ ანსხვავებს. საკვირველია, როგორ დააჯერა მან, რომ 1503 წლის საბუთში მოხსენიებული ჩენილები სვანეთში გვაროვნული საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ და მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე უცვლელად შემორჩნენ. ის მაშინაც ცდებოდა, როცა ჰკონია, რომ „ჩენილები“ მხოლოდ სვანეთში იყვნენ. ფაქტია, რომ შუა საუკუნეებში ჩენილები ბაჩის საზოგადოებაშიც და სამეფო კარზეც იყვნენ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, ი. დოლიძის გამოც., გვ. 22).

ყოვლად მიუღებელია „თავისუფალი სვანეთის“ ცნებისა და „თემის მახვის“ ინსტიტუტის მ. ხერგიანისეული „დასაბუთება“. პირველი „საბუთი“ — ბ. ნიქარაძემ თავისთავს „თავისუფალი სვანი“ იმიტომ უწოდა, რომ ასეთი სვანეთი არსებობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ყმა სვანს შეირქმევდაო“. მეორე „საბუთი“ — ეთნოგრაფი გ. ჯალაბაძე აღნიშნავს, რომ სვანეთში სამანის ჩაგდებას „თემის მახვი“ ესწრებოდაო. მესამე „საბუთი“ — პოეტ მურმან ლებანიძის ერთ ლექსში კვითხულობთო: „საუფროსო საკარცხელში მახვივით ვზივარ...“ („მნათობი“, 1985, № 9, გვ. 140). ამის შემდეგ მ. ხერგიანი ვაკვირებით დასაკვნის: „ესე იგი, რაღა გამოდის, მეცნიერები, პოეტები და ვინ არა, უფლებამოსილნი არიან სამართლიანად აღიარონ მახვის ფაქტი და ჩვენ კი, ამ შემთხვევაში, როგორც პუბლიცისტმა, ეს სიტყვა არ უნდა გავაჟაჟანოთ ჩვენს ნაწერებში!“ (იქვე).

ამაზე შეიძლება გვეპასუხნა დიდი ილიას სი-

ტყვეობი — „თავმოყვარობას მთლად გაუტყინებოდა და მართლმოყვარობა დაღვივებდა“ განა სახელმწიფოებშია პოეტმა მურმან ლებანიძემ „მახვივით ვზივარ“ — შუა საუკუნეების სვანეთის პირველყოფილობისა და გვაროვნულობის დასამტკიცებლად მოიწვია, როგორც ამას მ. ხერგიანი სჩადის? შთავიარის არის, რომ ჩვენ ჩვეულებრივი მახვი (როგორც ოჯახის უფროსი) კი არ უარყვავით, არამედ დავსაბუთეთ, რომ შუა საუკუნეების სვანეთში არ არსებობდა მახვი, როგორც გვაროვნული საზოგადოების ბელადის ინსტიტუტი, აგრეთვე, მახვის იერარქია („ლანსუბის მახვი“, „გვარის მახვი“, „სოფლის მახვი“, „თემის მახვი“, და ა. შ.). ის ზოგმა ავტორმა გამოიგონა, გააზვიადა და გააზღაურა.

მ. ხერგიანი კითხულობს: როდის იყო, რომ ეთნოგრაფები ჩვენს ისტორიას ამახვიებდნენ გარეშეთა თვალში, როდის იყვნენ ისინი „პირველყოფილობისა და გვაროვნულობის ფსევდომეცნიერული თეორიის მიმდევრები“ (იქვე, გვ. 133).

მ. ხერგიანი, რომ სათანადო ლიტერატურას იცნობდეს, მაშინ ამას გავეჩვენებულნი არ იკითხვდა. განა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ნაშრომი, ისევე როგორც ჩვენი ოპონენტის საისტორიო ნაწერები, არ შეიცავს იმის დამტკიცების მცდელობას, რომ ბალსზემო სვანეთში XX საუკუნემდე ბატონობდა პირველყოფილი გვაროვნული წყობილება და უფრო ადრინდელი გადმონაშთები: „სახალხო მმართველობა“, „სახენდრო დემოკრატია“, „გვაროვნული თემური მიწისმფლობელობა“, „გვაროვნული საცხოვრებელი კომპლექსები“, „გვაროვნული არქიტექტურა“, „საოჯახო და სასოფლო თემი“, „პატრონიზმიული გაერთიანება“, „ტომობრივ-წარმართული ერთიანობა“ და სხვ. თუ ყველა მათგანი არსებობას დაიჯერებთ, მაშინ ესენი ხომ მთლიანად მოიცავენ საზოგადოების ბაზისსა და ზედნაშენს. მეორე მხრივ, ასეთ ნაშრომებში კრიტიკა არაა დაძრული შუა საუკუნეების წერილობით წყაროებზე, რომლებიც ბალსზემო სვანეთში საზოგადოების ფეოდალურ-წოდებრივ დამოკიდებულებით ურთიერთობას ახსნენ და ასურათებენ.

ჩაიხებლოთ 1931 წელს სვანეთში მოწყობილი კომპლექსური ექსპედიციის ერთ ეთნოგრაფულ ანგარიშში: „მიკლელულ იქმნა შეგროვებითი მეურნეობის ელემენტები. დამოწმებულ იქმნა პრაიმტიული ტექნიკის არსებობა... ტყავის საღებავის დამზადება აღმართი ნერწყვის შემწეობით და სხვ. აღმოჩენილ იქმნა განვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების გადნაშთების სახით არსებობა, კერძოდ, მიკლელულ იქმნა ტომობრივი დაჯგუფების არსებობა მოკლავარის სახით (გვართა გაერთიანება, მიმძლავრება, სომბოლო — დროშა). გვაროვნული წეს-წყობილება დამოწმდა მეხუბობის,

„წორის, ქორა მახვმის და სხვათა არსებობის ფაქტებით“.

აქვე ხაზგასმული სვანეთში გვაროვნულ-წყობილებამდელი საფეხურის (ე. ი. პირველყოფილი ჯოგის) ნაშთების შემორჩენა: „აღმოჩენილ იქმნა საგვაროვნო წყობილებაზე ადრინდელი საფეხურის ნაშთები შემონახული ე. წ. ლასკრობაში, დადგენილ იქმნა ოჯახის დოკუმენტის მიმინჭებული ლახვარების და მეზირების არსებობა (გველი, თავვი, ბაყაყი, ხელიყი), დადგენილ იქმნა ქვის კულტის მრავალი სახით არსებობა. ბაჩი გვიგვი, ჩხუდა და სხვ. აღმოჩენილ იქმნა რიტუალური ტატუირება და სხვ. (იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე; ტ. VII, ტფ., 1933, გვ. 345-346).

აი, რა „აღმოჩენებთან“ გვაქვს საქმე სვანეთის კვლევაში, რა გადმონაშთებია თურმე სვანეთის მაღალმთიანეთარბულობის მაჩვენებელი, მისი კულტურის სიმდიდრის მაჩვენებელი. ნუთუ ყველაფერი ეს მართლაც ასეა?

ზოგიერთ ნაშრომში აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ „სვანებთან ნათესაობის უძველესი ფორმის — ჯგუფობრივი ნათესაობის — არსებობის ფაქტი, შემდეგი დროის ინდივიდუალური სახის ნათესაობასთან ერთად, გვაროვნული წყობილების უძველესი მომენტების დადგენისათვის საყურადღებო მასალას წარმოადგენს“. გადმონაშთების ასევე უსაშველო გავრცელება და მცდარი წარმოდგენა „სვანეთში ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობისა და პირველყოფილური სქესობრივი ურთიერთობის გადმონაშთების არსებობა“. ასევე, თითქოს ქვემო სვანეთის „საქორწინო წესებში დაცული ჩვეულება, ე. წ. ჰაქობარ ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობის გადმონაშთია“. თითქოს ის „პირველყოფილი სქესობრივი ურთიერთობიდან რელიქტის სახით ჩარჩენილ გადმონაშთს წარმოადგენს“. ამასთან ჩვენი დროის სვანური „ლანაზუბ“ („სამპო“), თითქოს პირველყოფილი საზოგადოების ნათესაობის ერთეულის გადმონაშთია“, თითქოს ის ბერძენების „გენოსს“ და რომაელების „გენსს“ უდრის“. რაც აგრეთვე ნათესაური ერთობის საოცარი არქაიზებაა.

ახლა კვლავ თვლი გადავლოთ მ. ჩართოლისის ზოგიერთ „ეთნოგრაფიულ საბუთს“. როგორც აღვნიშნეთ, მეზირის კულტისა დე კერიისადმი მიძღვნილ შრომაში იგი ირწმუნება, რომ სვანეთში უკანასკნელ დრომდე ყოველ ძველ სახლში თავისი მფარველი ძალა ჰყავდათ ცოცხალი არსების — ხბოს, თავგის, უხსენებლის, ბაყაყის, ქათმის, ღვევისა და სხვათა სახით. ავტორი, მთხრობელთა დამოწმებით, ლამობს უემპელო გახადოს, რომ სვანეთში ყოველ ძველ სახლში 1940-იან წლებშიც ცოცხლად იყო შემორჩენილი მეზირის კულტი. იგი წერს, რომ ზემო და ქვემო სვანეთის სოფლებში და სხვაგან 1950-იან წლებამდე ჰყავდათ მჭამელი („ქორა მუზეუმ“): „უშუალოდ ზოგს ხბო ჰყავ-

და, ზოგს — უხსენებელი, ზოგს ბაყაყი. სწამდათ, რომ ქორა მუზეუმის ნახვა არ შეიძლებოდა. ვინც ნახავს, ის მოკვდება. ასახვებში მაგალითებს, რომ ამა და ამ კაცს უნახავს და მოკვდარა კიდევო. ამბობდნენ, იმ სახლში, სადაც ხბოა დაჩვეული, მდიდრობა იცისო, სადაც უხსენებელი, იმ ოჯახში მუდამ ცუდი სიზმრები ესიზმრებათო“ (მ. ჩართოლი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 172).

თუკი ავტორს დაუჭერებთ, ოჯახის მფარველი ღვთაება მეზირის სახით „სვანეთის ყველა თვისა და სოფელში ნამდვილად ჰყავდათ უკანასკნელ დრომდე“ (იქვე, გვ. 183).

მ. ჩართოლიანი წერს, რომ სვანეთში ოჯახის მფარველ ღვთაებებად ცოცხლად ჰყავდათ სხვადასხვა ფერის გველები (ზოგიც „დიდსურებიანი“), თინისხელა „მსხვილთვალებიანი თავგები“, „უჩინარი ხბოები“, „ქვისა და მიწისგულის ნატურის თვლები“, „ბაყაყები“, „ხელიყები“, „ღვევები“ და მისთანები (იქვე, გვ. 174-183).

ჩვენ არსად უარყვით ზოგიერთის გონებაში არქაული (კულტის და სხვ.) რწმენა-წარმოდგენის გადმონაშთის სახით არსებობას, მაგრამ ყველა ჩემი ნაცნობი სვანის (მოხუცის თუ ახალგაზრდის) გაოცებას იწვევს გველისა და მისთანების, არამც თუ ჩვენი დროისა და XIX ს. სვანეთის სახლებში ცოცხალი სახით არსებობა და მფარველ ღმერთებად აღიარება, არამედ სვანეთის საოჯახო ყოფაში მისი აღნიშნული არსებობაც. ამას რომ რაიმე საერთო ჰქონდეს სვანეთის ახალ სინამდვილესთან, ეს არაფრით გამორჩებოდათ, ყოფის ისეთ მცოდნეებს, როგორც ბ. ნიჟარაძე, ი. მარკიანი, ლ. დალუნი, ე. გაბლიანი და სხვები იყვნენ.

ამასთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ოპონენტის მიერ გველის კულტის საბუთად მოტანილ აფთიაქის სიმბოლო გველს — ე. წ. მფარველ ღვთაებასთან? ნუთუ ის დღეს იმიტომია აფთიაქის ემბლემა, რომ ის კულტად იყო, ან არის მიჩნეული?

ერთ წერილში შეუძლებელიცაა აღინუსხოს ყოველივე ის, რაც სვანთა ყოფაში არქაულ გადმონაშთებადაა განურჩევლად გამოცხადებული. ამ მხრივ არც ე. წ. „ჩხუდან“ — კერპია გამოჩაყლისი. ჩვენ ვერ გამოვუდგებით ზოგიერთ ნაშრომში მასზე გაშლილ მსჯელობას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბორის კოვალევსკიმ ეს „ჩხუდან“ სვანეთში ქვის ხანის ყველაზე დაბალი საფეხურის — პირველყოფილი მაგიის გადმონაშთად ჩათვალა

(Б. Ковалевский, Страна снегов и бащен, М., 1936. с. 121—123).

არანაკლებ საოცარია ისიც, რომ ბ. კოვალევსკის ეს აზრი მ. ჩართოლიანმა უყოყმანოდ



გაიზიარა. ნუთუ ასე ადვილია ქვის ხანის დასაწყისი ყოფითი რეალის აღდგენა, ან იმ ეპოქის რწმენა-წარმოდგენის გადმონაშთის სახით შემორჩენა დღემდე, ან ამისი დადგენა-დადასტურება. მ. ჩართოლანთან ერთად, ოპონენტსაც დაავიწყდა, რომ მეზირზე და სხვა არქაულ კულტზე ცრუმორწმუნეთა რწმენა-წარმოდგენა ყოვლისმომცველ უტყუარ ეთნოგრაფიულ საბუთებად არ გამოდგება, მით უფრო სამოქალაქო ისტორიისათვის, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა ცრუ რწმენების თვალთახედვითაა განსახილველი, რომ ასეთი წარმოდგენები საქართველოში და სხვაგანაც ბევრად გვხვდება.

მორწმუნე მთხრობელთა ყოველგვარი ნაამბობი, თუნდაც ეთნოგრაფიული საბუთებად მონათლული, რანაირად შეიძლება იყოს ნამდვილი „ისტორიის ყველზე სარწმუნო, პირველხარისხიანი წყაროები“, — როგორც ამის დამტკიცებას მ. ჩართოლანი და მ. ხერგიანი ლამობენ?!

VII

მ. ხერგიანი თავისი მტკიცების გასამრავალფეროვნებად და ხალხური წესების უნივერსალიზაციისათვის იყენებს „კვამლის პრობლემასაც“. სენატურ საცხოვრებელთან დაკავშირებით კვამლზე მთხრობელის ნაამბობს ასე გადმოგვცემს მ. ხერგიანი: „...კვამლს მრავალი დაღებიანი თვისება ახასიათებს. მური ხეს იცავს მღრღნელებისაგან...

...ამ აზვარო კვამლი სხვა საქმებისათვისაც სარგი იყო — საქონლის სუნს აქრობდა, მკბენარს მტრობდა, რაც მთავარია, თვისს იცავდა გაფუჭებისაგან, ხელსაყრელ რეიმის უმჯინდა, ცოცხლად ინახავდა, მაყიერობას უნარჩუნებდა, ამრობდა თუ სველი იყო, იცავდა დაობებისაგან“ და სხვ. („მნათობი“, 1981, № 11, გვ. 104-105). ხედავთ რა სასწაულმოქმედი რამ ყოფილა კვამლი?!

მ. ხერგიანის დასტურით, „კვამლს მრავალი დაღებითი თვისება ახასიათებდა... და არავის არ უნახავს მისგან შეწუხებული ვინმე“ (იქვე). როგორც ვხედავთ, მ. ხერგიანი სენატის მოძველებულ-დროშოქმულ ცხოვრებასა და მის თანხლებ მავნე ატრიბუტებს იდეალური ფერებით ხატავს, ხოლო იქაური საზოგადოების კლასობრივ დაყოფა-განსხვავებას უარყოფს და პირველყოფილური ფორმით წარმოგვიდგენს.

„კვამლის სარგებლიანობასთან“ დაკავშირებით მ. ხერგიანი გადმოსცემს მთხრობელის ასეთ ნაამბობსაც: „ჩემს ჯელოლაშიც ბევრჯერ შევსწრებივარ, უბოლოვდნენ ხოლმე სავანგებოდ დირებებს, რომ გამაგრებულყოფი. ისიც მასსოფს, ლენჯერში რომ ერთ ოჯახს ასკილისა და კოწახურის ღირებები აღმოაჩნდა. ჯერ არავის სჯეროდა, ამ უბადრუკ ბუნქებს ამოდენა წინარბები როგორ ეყოლებოდათო, რო

შეამოწმეს და მართლა კოწახური და წყილი გამოდგა, გოცემისაგან მხრებს იჩეჩავდა...“ (იქვე, გვ. 104,105). ხედავთ უკანასკნელ საუკუნეებში რამხელა ცვლილებები განუცლია სენატის ფლორას, როგორ დაკნინებულა ასკილი და კოწახური, როგორ ქცეულან ისინი ვეება დირებიდან წვრილ ჩხირებად? საკითხავია, სენატის ფლორა მიინც რა მიზეზითაა ასეთი უცნაური? ან ამგვარი აზროვნებით რა შეცნეირებაზე შეიძლება ლაპარაკი. თითქოს ყველაფერი საგანგებოდაა მრულე სარკეში წარმოდგენილი.

აი, ამისთანა ეთნოგრაფიულ საბუთებს“ გვთავაზობენ მ. ხერგიანი და მისი მასწავლებელი მუა საუკუნეების სენატის ისტორიის საშენ მასალად, ნაცვლად წერილობითი წყაროებისა, რომელთა ერთი ნაწილის გამოსაცემად ესოდენ დიდი შრომა გასწიეს გამოჩენილმა მეცნიერებმა ალექსანდრე ხახანაშვილმა, პავლე ინგოროყვამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა.

ზოგიერთი ე. წ. ეთნოგრაფიული საბუთის“ ავკარგის და სინამდვილის განსასჯელად საკმარისია ჩავხედოთ ნ. ჩიმაქაძის ეთნოგრაფიულ ნარკვევში. უნდა ითქვას, რომ სენათა ზნეობრივ, სულიერ და ფიზიკურ განქიქებაში ეთნოგრაფ ნ. ჩიმაქაძეს ბადალი არ ჰყავს (იხ. ძველი საქართველო, ეთნოგრაფიული წერილები, 11, თბ., 1913, გვ. 3, 7, 18). სამწუხაროდ მის ღვარძლით სავცე და უმსგავსო ნაწერებს სენათზე ჩვენს დროშიც გამოუჩნდნენ მიმდევარმეხოტბენი, რომლებმაც საუთარი სქემებით შეავსეს სენათა და სხვა ქართველ მთიელთა პირველყოფილურობისა და კულტურული ჩამორჩენილობის ფსევდომეცნიერული თეორია“ (იხ. ბ. ზარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სენათში, თბ., 1939, ა. რბუბაძის წესავალი წერილი, ბ. ნიჭარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1, 1962, გვ. 12).

ცხადია, ამ ეთნოგრაფიული საბუთების“ სახე, ნიშნები, დანიშნულება, სიმართლე და ღირებულება რომ სცოდნოდა მ. ხერგიანს, მაშინ მათი მხლებების გამო ჩვენ არ დაგვიწყებდა კიენის.

VIII

თავის თანამაზრეთა თვალსაზრისის გასამაგრებლად მ. ხერგიანი ერთი მხრივ, თავგამოდებით ეწევა ასეთი ე. წ. ეთნოგრაფიული საბუთებისადმი“ ნდობის ქადაგებას, მეორე მხრივ, ვანგებ მოგვაწერს, თითქოსდა ეთნოგრაფიული მეცნიერების წინააღმდეგ ვაკილაშქრეთ. (ნუთუ რომელიმე ეთნოგრაფის კრიტიკა ამას ნიშნავს?), მესამე მხრივ, მოსარჩლედ ეველინება სენატის პირველყოფილობის მქადაგებლებს.

კითხელობ მ. ხერგიანის ტირადებს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაზე, მის დანიშნულებასა და და-

მსახურებაზე და უფრო და უფრო რწმუნდები მის არაკომპეტენტურობაში: თურმე ეთნოგრაფიაში არასდროს ჰქონია ადგილი „პირველყოფილობით“ გატაცებას, მისი და ბარის გათიშვას; „კაცობრიობის ბავშვობისდროინდელი მოვლენების გაცოცხლებას“. თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ჩვენ გამოვიგონია.

სიმართლის დასადგენად რამდენიმე ამონაწერს მოგიტანთ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ ლევან ფრუიძის მიერ ჩვენი ერთი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიიდან — „ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი“ (ცისკარი“ № 5, 1974), სადაც სხვათა შორის, ნათქვამია: „გ. ვასიანის მონოგრაფიაში დამაჯერებლად დასაბუთებულა, რომ ფეოდალურ საქართველოს ისტორიული პროცესის ერთიანობის უარყოფა, მისი ბარისა და მთის ისტორიის გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება, რაც არაერთ გამოკვლევაში შეინიშნება, მეცნიერულად მიუღებელია“ (იქვე, გვ. 155). არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ოპონენტი ჭრის და კერავს!

მეორე ადგილას ისინი აღნიშნავენ: „მე-19 საუკუნიდან ეთნოგრაფია საერთოდ კოლონიალიზმის იარაღად იქცა და ჩამორჩენილ ხალხთა შემსწავლელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა... მკვლევარები... აშკარა ტენდენციურობას იჩენდნენ, დაპყრობილი ხალხების კულტურაში „პირველყოფილობის“, „გვაროვნულობის“ დამადასტურებელ ფაქტებს ეძებდნენ, ყოველგვარ რელიქტურს, რელიგიურს განმარტავდნენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ხალხთა არასრულფასოვნების, უკულტურობის უბადრუკ თეორიებს ქმნიდნენ“ (იქვე, გვ. 149).

სხვა ადგილას აკად. გ. ჩიტაია და ლ. ფრუიძე აღნიშნავენ: „თავის დროზე სვანეთის და კერძოდ ე. წ. „თავისუფალი სვანეთის“ პირველყოფილობის თეორიის შექმნას“ (იქვე გვ. 150) და ასეთ განზოგადებას იძლევიან: „საქართველოს მთაში შემონახული წეს-ჩვეულებების ზოგიერთი შემსწავლელი კაცობრიობის ბავშვობის დროინდელი მოვლენების გაცოცხლებას ლაშობდა. ამის შედეგად მივიღეთ „პირველყოფილი“ სვანეთი, ფშავნესურეთი, თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, მთის რაჭა და ა. შ.“ (გვ. 155).

და ბოლოს ისინი წერენ: „რაკი ზოგიერთი მეცნიერი წლების განმავლობაში მცდარი პოზიციებიდან იკვლევდა საქართველოს მოას, შესაბამისად დაგროვდა ლიტერატურა, მოსაზრებები, რომელთაც შეუძლიათ მკითხველის დეზორიენტირება. ამიტომ დროული და აუცილებელია ამ მოსაზრებათა თანმიმდევრული კრიტიკა, რასაც სვანეთის მაგალითზე წარმატებით გაართვა თავი გ. ვასიანმა“ (იქვე).

ყოველივე ამის შემდეგ რა შეიძლება ეწოდოს მ. ხერგიანის „კონტრარგუმენტებს“ იმას, რომ თითქოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების გათიშვას და პირველყოფილობის ქადაგებას არასდროს ჰქონია ადგილი?!

IX

ერთიც საკითხავია, თუკი მართლა, როგორც მ. ხერგიანი ირწმუნება, სვანთა უკიდურეს ჩამორჩენილობაზე არაფის არაფერი უთქვამს, ვისლა გულსსძობდა სვანეთის ექსპედიციის შემეჩაბებელ მოხსენებაში აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, როცა წერდა: „დღეს საქირთა მეთოლოლოგიურად სწორი დიდი კრიტიკული მუშაობის შესრულება... მეტისმეტად დიდა და თვალსაზრისით ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რიგი ასახეობით მხარის შესახებ.

ერთი მხრივ, სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები... მეორე მხრივ, ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაეპტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ. სვანთა „პირველყოფილობის“ შესახებ (საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 66).

ვინ ჰყავდა მხედველობაში აკად. ნ. ბერძენიშვილს „სვანთა პირველყოფილობის“ ყბადაღებული აზრის გამო, რომ უკვირებდა?

ისტორიოგრაფიულ ფაქტს აღიარებდა პროფ. ა. კოჭლავაშვილი, როცა წერდა: „მკვლევარები თუ მოგზაურები წარსულში თავიანთ ნაწერებში მთავარ ყურადღებას უთმობდნენ უპირატესად არქაულ ყოფით ინსტიტუტებს, მათ განმონაშთებდნენ და ამავე დროს უყურადღებოდ ტოვებდნენ უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს...“ (გაზ. „წიგნის სამყარო“, 1974, 27 თებერვალი).

X

სხვა არა იყოს რა, უხერხულია სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის ისეთი გაზვიადებული შეფასება (არაფერს ვამბობ 1941 წ. ზამთრის (?) ექსპედიციანზე), როგორც მას მიეცა. მ. ხერგიანი წერს: „სვანეთის ეთნოგრაფიული ძეგლების განხრით ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებას, ბატონ მიხეილს, ასეთი შეკითხვა მიეცეთ — როდის დაიწყო სვანეთის კომპლექსური კვლევა და რა შედეგებია სადღეისოდ მოპოვებული თქვენი ექსპედიციის მიერ?“ („მნათობი“, 1981, № 10, გვ. 109).

მ. ხერგიანს მოაქვს მ. ჩართოლანის პასუხი:

გიორგი ბასიანი

ისტორიან თბაღის მართი ბადაპვლით არ იწირება

„მხოლოდ 1942 წელს მესტიის მეუღეუმის თანამშრომლებმა ადგილობრივი ძალებით ვცადეთ ავეწირო სვანეთის ეკლესიებში დავანებული ნივთიერი ძეგლები... უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევა-ძიება იმდროის კვალობაზე საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა“ (იქვე), სხვა ადგილას პირველი მეორის პირთა ამბობს: „მხოლოდ 1972 წელს მიეცა დასახამი სვანეთის ძეგლების ფუნდამენტურ მადალ მეცნიერულ დონეზე შესწავლას“ (იქვე). მ. ჩართოლანს მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძეგლების აღრიცხვა-აღწერაში, თუმცა მთავარია ძეგლთა მეცნიერული ინტერპრეტაცია, რომლის საუკეთესო ნიმუშებია ე. თაყაიშვილისა და სხვა ხელოვნებათმცოდნეთა არაერთი ნაშრომი.

მთავარი კი ის არის, რომ ხსენებული ექსპედიციების ღვაწლის ვასაზვიადებლად დამატირებელი და დავიწყებულა იმ მკვლევართა დამსახურება, რომლებმაც მრავალი განმაურებული გამოკვლევისა და შესანიშნავი პუბლიკაციებით გაამდიდრეს ძველი და შუა საუკუნეების სვანეთის ისტორია.

ისეთი შობებულება იქმნება, თითქოს მ. ჩართოლანი თვითონ მიიწერს სვანეთის მეტერიალური კულტურის ძეგლების მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლას და ამ საქმეში „ყამირის გატეხვას“. ეს მაშინ, როცა მასზე ადრე ამ ძეგლების შესწავლაში დიდ ამაგი მიუძღვით დ. ბაქრაძეს, პ. უგაროვას, განსაკუთრებით ექვთიმე თაყაიშვილს, რომლის ექსპედიციამ 1910 წელს არა მარტო აღწერა სვანეთის მეტერიალური კულტურის ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ 1937 წელს პარიზში, ქართულ ენაზე, საკუთარი გარჯით და ხარჯით გამოცა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სქელტანიანი წიგნი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, რომელიც დღესაც ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენთაგანია სვანეთის ისტორიისათვის.

სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა შესწავლაში აკი უდიდესი დამსახურება მიუძღვით ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლებს — აკად. გიორგი ჩუბინაშვილს, აკად. შალვა ამირანაშვილს, მათ სახელოვან კოლეგებსა და მოწაფეებს — რ. შვმერინგს, თ. ვირსალაძეს, ნ. ალადაშვილს, ა. ვოლსკაისს, გ. ალიბეგაშვილს, ტ. შევიაკოვას, ე. პრევილაკის, ლ. შვერვაშიძეს, ი. ყიფშიძეს, რ. ყენიას და სხვებს. მათ ეს ძეგლები ორგანულად დაუკავშირეს სვანთა ყოფასა და ისტორიულ შემოქმედებას, დაასაბუთეს, რომ საქართველოს ამ კუთხეზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავისი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნა-განვითარებაში, სახელდობრ, მხატვრობის, — ოქრომუქედობის, ქვითა და ხით ხურობის აღმავლობაში.

მ. ხერგიალის ნარკვევებში წარმოდგენილი ტენდენციური „ინტერვიუ“ ერთგვარად ჩაქმნა ლავს, აგრეთვე ჩვენი დიდი კომპოზიტორებისა და მუსიკათმცოდნეების ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, აგრეთვე შალვა მშველიძის და სხვათა დამსახურებას, რომლებიც, ზოგიერთისაგან განსხვავებით, სვანეთის სულიერი კულტურის პირუთენელ შეფასებას აძლევენ.

სვანეთის ისტორიის შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვით დ. ბაქრაძეს, ივ. ჯავახიშვილს, პ. ინგოროვას, ს. ჭანაშიას, ნ. ბერძენიშვილს, ს. ყუბიჩიშვილს, ე. გაბლიანს, მ. გეგეშიძეს, ა. ჩარკვიანს, მ. კეკელიას, აგრეთვე განმარტებულ მუსწავლაში ეთნოგრაფებს გ. ჩიტაიას, გ. ბარდაველიძეს, ნ. ნეკერაძეს, რ. ხაჩრაძეს, ა. რომაძიძეს და სხვებს.

ზემოჩამოთვლილ ავტორთა უმრავლესობა 1940-იან წლებამდეც ხომ აქვეყნებდა შრომებს სვანეთზე. ამიტომაც რანაირად შეიძლება იმის თქმა, რომ 1942 წელს, მ. ჩართოლანის მეთაურობით, მესტიაში „მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებულ“ კონფერენცია „ამირის გატეხვას ნიშნავდა. სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლაში“ („მნათობი“, 1981, № 10, გვ. 109)?

თავისი პუბლიცისტური წერილებით მ. ხერგიაში, როგორც დავიანახეთ, სვანეთის ისტორიაში ახალი სიტყვის თქმა გადაწყვიტა, ამ მიზნით გვერდში ამოიყენა მ. ჩართოლანი.

მ. ხერგიანი ცდილობს, საქმე ისე წარმოადგინოს, რომ თითქოსდა ეთნოგრაფიულ მეცნიერებას თავს დავეხსიო, რის გამოც ის მას გამოეუქმავა. არ გვემისის მისი გამოსარჩლება ვის რამდენად სჭირდება? მით უფრო, რომ ამ დარგს არაერთი გამოჩენილი და ღვაწლმოსილი წარმომადგენელი ჰყავს. მას რატომღაც ჰგონია რომ ეს დარგი მხოლოდ საზოგადოების „ყოფის თვისებურებებს“ შეისწავლის“ (იხ. „მნათობი“, 1985, № 9 გვ. 131) და არა ხალხის ყოფასა და კულტურას მთლიანად (თავისი ძეგლებით), აგრეთვე საზოგადოების განვითარების ზოგიერთ კანონზომიერებას. მას მხედველობიდან გამოირჩა ისიც, რომ თანამედროვე საბჭოთა ეთნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები დაბეჯითებით გამობენ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს მთის მოსახლეობის არქაიზების, „პირველყოფილურობისა“ და უქიდრეის ჩამორჩენილობის დრომოქმულ თეორიებს.

ძნელი მისახვედრია, თუ რატომ ჰგონია ოპონენტს რომ საზოგადოების სოციალური ერთფეროვნება (ე. ი. პირველყოფილი თემური წყობილება) ხალხის მდიდარ და განვითარებულ სულიერ კულტურას ბადებს, ხოლო ფორმაციულად უფრო მაღალი საფეხურის კლასობრივი საზოგადოება (მისთვის) დამახა-

სიათბელო სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობით) — არაფასიელ მატერიალურ და სულიერ ღირებულებას? მას რატომღაც ეჩვენება, რომ ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში და მხატვრობაში ასახული ურჩხულები, დევები, გველუშაბები, გველები, ხარები და სხვა მათთანანი განუკითხავად უნდა მოექცნენ სამოქალაქო ისტორიის შუაგულში.

ლენინგრაძელი ეთნოგრაფი გ. ფ. იტის როდიდანაა შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიაში უფრო ავტორიტეტი, ვიდრე ქართული ისტორიული მეცნიერებისა და ხელოვნებათმცოდნეობის კლასიკოსები?

ნ. ხერგიანს კვლავაც არ სურს გაიგოს, რომ საქონლის სვანური საღომის — „გვალის“ გენეტიკურად დაკავშირება გარეული — პირუტყვის მოშინაურების საწყისებთან (ვისგანაც ის არ უნდა მომდინარეობდეს!) მეტი რომ არა ვთქვათ, ძალზე გაბედული აზრია, რომ უხერხულია დღესდღეობით ქალის მიერ ძროხის მოწველის მატრიარქატთან დაკავშირება. აგრეთვე მტკიცება თითქოს შუმერული დამწერლობა სვანური კოშკების მოხაზულობით გაშიფრეს (ვინ და როდის?!).

მ. ხერგიანის განსვით ჩვენს გამოკვლევებში გამოთქმული „ზოგიერთი მოსაზრება პრინციპულად მცდარი და ნაჩქარევა“ („მნათობი“, № 9, გვ. 141), ხოლო მისი ნარკვევები — დიდი ფიქრის ნაყოფია.

და რაოდენ პასუხისმგებლობით ეკიდება

ობონენტი საისტორიო წყაროებს ან უწინდელ გამონათქვამს, ეს ჩანს მისი ნაწერის თითქმის ყოველ გვერდზე. ერთ მაგალითს დავჯერდებით:

მ. ხერგიანის მიერ თავდაპირველად მოხმობილ მ. ჩართოლანის კატეგორიულ განცხადებაში ვკითხულობთ: „აღრეც აღენიშნე ერთგან, ეთნოგრაფიული საბუთები ისტორიას ქმნიან-მეთქი, და მე ვიტყვადი, რომ ყველაზე ნაღდ, ყველაზე სარწმუნო ისტორიასაც, ვინც ამა თუ იმ კუთხის საზოგადოებრივი წყობილების კვლევას ისახავს მიზნად, მას, პირველ რიგში, ამ კუთხის ეთნოგრაფია უნდა შეისწავლოს და მხოლოდ მერე მოჰკიდოს ხელი დასახულ მიზნის განხორციელებას...“ ახლა ამ ციტატის შესაბამისი ნაწილი მ. ხერგიანმა ასე გადაასხვაფერა: „...მან უთუოდ ამ კუთხის ეთნოგრაფიაც უნდა შეისწავლოს...“ (შეად. „მნათობი“, 1981, № 11, გვ. 98-99 და 1985, № 9, გვ. 129). ნუთუ ეს ერთი და იგივეა? რა თქმა უნდა არა, თორემ უთუოს და ც-ს ჩამატება ახლა რა საჭირო იქნებოდა.

მ. ხერგიანის „ისტორიული ნარკვევები“ და ვრცელი პოლემიკური ნაწერები არ შეიცავენ ანგარიშგასაწევ აზრებს, ახალ ფაქტებს და, რაც მთავარია, მოკლებული არიან სიმართლეს, კიდევ მეტი, ამ ნარკვევებსა და ნაწერებში ავტორის მიერ შემუშავებული აზრის გასამართლებლად განზრახა უმოწყალოდ არეულ-დარეული, როგორც ისტორიული, ისე ისტორიოგრაფიული ფაქტები.

გივი ალხაზიშვილი

სიმაკრა სულის გადაგრძენელი

(ბამონხაპრება)

მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება მანანა ახმეტელის წერილი „მუსიკალური განმანათლებლობა და მისი საყრდენები“ („საბჭოთა ხელოვნება“, 11. 87 წ.). დამაფიქრებელია საკითხები, ავტორი რომ აღძრავს და თან გვავრძნობინებს, რომ მნიშვნელობა ამ საკითხებისა, სატიკვარი — საყოველთაოა, საერთოა. ამ წერილის წყაობვამ კიდევ ერთხელ „აღმომაჩინა“, რომ დამოუკიდებლად, ჩემთვის, მეც არაერთხელ მიფიქრია „მუსიკალური განმანათლებლობის“ პრობლემებზე და ჩემებური დასკვნები გამომიტანია. ჩემი ნააზრევია, რა თქმა უნდა, რიგითი მუსიკის მოყვარულის შთაბეჭდილებებია, სხვა პრეტენზიები არც ვააჩნია. ვისაც მუსიკის მოსმენა შეუძლია ყველა მუსიკოსი არაა, ვისაც პოეზიის კითხვა შეუძლია ყველა პოეტი არაა. ეს ელემენტარული მსჯელობა იმისთვის დამჭირდა, რომ ზოგიერთებისთვის შემეხსენებინა — წერაკითხვის ცოდნა ან მუსიკის მოსმენის უნარი არ გვადლევს უფლებას კატეგორიული ტონით ვიმსჯელოთ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებზე. კატეგორიული ტონი ცუდ კრიტიკოსებს ახასიათებთ, ანდა მკითხველს ან მსმენელს, შესაბამისად, რომელიც მუსიკას ან ლიტერატურას იხე ექცევა, როგორც ფართო მოზმარების საგნებს და თამამად დაასკვნის: „კარგია“, „უცუდია“, ე. ი. გამოადგება, ან არ გამოადგება. მოზმარებელურმა დამოკიდებულებამ ფართო გასაქანი მპოვა ჩვენშიც და ამის მიზეზი, ჩემი აზრით, მაღალმატრული ლიტერატურის თუ სერიოზული მუსიკის ცრუსაყოველთაოობა არის.

ათეული წლების განმავლობაში აქტიურად ვიტყუებდით თავს, რომ კლასიკური მუსიკა, ურთულესი პოეტური მეტყუილება, ყველა სათვის თანაბრად გასაგებია და ხელმისაწვდომი. სწორედ ასეთი დამოკიდებულების „ტრადიციამ“ — შეუქმნა ილუზია მრავალს ყოვლისმცოდნეობისა: რადგანაც ვისმენ (მუსიკას) მე-

მისი, რადგანაც ვკითხულობ (მატრულ ლიტერატურას) ვიცი, მაგრამ ეს პასიური ცოდნაც კი არ იყო იმ აუცილებელი ანბანისა, მუსიკას და პოეზიას რომ ვააჩნია. გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ვალიაოთ რომ პოეზიაც (ამ სიტყვის ფართო გაგებით) და მუსიკაც, მუდამ მოითხოვდა, თანდაყოლილ უნართან ერთად, გარკვეულ განათლებას, ცოდნას, აღზრდას, რათა პასიური მსმენელი ან ვადამკითხველი გარდაქმნილიყო ქეშმარიტ მკითხველად და მსმენელად. გაუგებრობას გაუგებრობათა მთელი ჭაჭვი მოსდევს: არც თუ იშვიათად, ფართო მკითხველს, მსმენელს მოსწონს ის, რაც მისთვის მართლაც გასაგებია, მისაღებია და ახლობელია. მაგრამ ჩვენ არასოდეს გვიცოდა გავგერკვია, რატომ მოსწონს ათასებს ბანალური პროზაული ქმნილებანი, დითირამბული ლექსები, გასართობი მუსიკა, უფრო სწორად კაკაფონია — მეტად უსუსურ ტექსტზე შექმნილი, თანაც მეტად არამოუფსიხულად შესრულებული, სწორედ აქ იმის კითხვა: გვაქვს კი ჩვენ მუსიკალური ან ლიტერატურული განმანათლებლობა საერთოდ? მიმდინარეობს მუსიკისა და ლიტერატურის სწორი პროპაგანდა? ჩვენი პროპაგანდისტული საქმიანობა პროფესიულ ცოდნას ითვალისწინებს, ეყრდნობა თუ ამ მნიშვნელოვანი პროცესის სადავე ნახევრადდილტანტებს ან საერთოდ უცოდინრებს მივანდეთ საშუსიკო თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ სასწავლებლებში?!

პრობლემები, რამაც მუსიკალურ ყოფაში იგი მოიყარა, არა უცხო ჩვენი მწერლობისთვისაც. თვისობრივი სხვაობის მიუხედავად, სერიოზული ლიტერატურაც, თითქმის იმავე დღეშია, როგორც ის დარბაზები, სადაც სიმფონიური მუსიკის კონცერტები იმართება. ის თითო-ორი საცოი დარბაზში რომ ერთგულად წის და გატაცებით აუტრადებს ორკესტრს, იმ თითო-ორი საცოი მკითხველს ჰგავს, რომლის გემოვნებასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ



ჩვენ. მაგრამ კონცერტი, ბოლოსდაბოლოს მაინც დამოკიდებულია გაუიფლები ბილიტების რაოდენობაზე, ზოლო გამოყენებული, მითუმეტეს „საქმიანის“. — სრულიად გასაგები მიზეზების გამო, კომერციულ მხარეს უკანასკნელ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სამუსიკო სკოლებში ისწავლება მუსიკა იმ დონეზე, რომ მოსწავლეთ სერიოზული მუსიკის მსმენელად მაინც ჩამოყალიბდეს? არა თბილისში რამდენიმე სამუსიკო სკოლა და სასწავლებლებია და ნათეს მუსიკის მსმენელი ვერ აღვზარდეთ ათეული წლების განმავლობაში? მიზეზი სხვაგანაა საძებნი. ალბათ, მუსიკაც ისეთივე დასწავლება ისწავლება მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენა და ლიტერატურა. აი, რატომ განვიციდით მაღალი გემოვნების მკითხველისა და მსმენელის დეფიციტს. უმთავრესი მიზეზი აქაა საძებნელი.

ასეთ პირობებში ფართო გასაქანი ეძლევათ დილექტანტებს, ცრუმუსიკოსებს — გასართობი მუსიკის არაკვალიფიციური შემსრულებლებს, წამლავუშუ აცხადებენ: კომპოზიტორი მავანი, ტექსტი მავანის. მერე, როგორც ირკვევა, ერთწოდებულმა კომპოზიტორმა თურმე ისიც კი არ იცის თავის ფსევდონომისა სანოტო ფურცლებზე როგორ გადაიტანოს, როგორ გააორკესტროს. ტექსტის ავტორმა წერა-კითხვა კი იცის ქართულად, პოეზიაზე წარმოდგენაც არა აქვს. მერე ამ თითქოსდა სიმღერას ასრულებს მავანი, რომელსაც ტიპური ხმა აქვს. აი, სტერეოტიპი თანამედროვე ქართული ესტრადისა. ასე ფიქრობენ პროფესიონალები, მაგრამ მიუხედავად მათი მკაცრი განაჩენისა სიმღერა ბერს მოსწონს, სრულდება.

რა ჰქვია ამახ — კრიტიკიზმების აღრევა? იქნებ დადგა დრო მუსიკალური ნახევრად-ფაბრიკატების პოპულარობისა? იქნებ დაუდგომ საკეთესო დრო მოყვარულებს და პროფესიონალებს თანდათან განიდევნა მუსიკალური და ლიტერატურული სამყაროდან?

პირადად მე ასე უიმედოდ არ ვუყურებ თანამედროვე კულტურის განვითარებას, მაგრამ ცდილობ აღმოვაჩინო კანონზომიერება, საფუძვლად რომ უდევს დღევანდელ აბსურდულ მდგომარეობას ლიტერატურასა და მუსიკაში.

„როგორ ვაწარმოო მუსიკალური ბელოვნების ქეშმარიტ ფასეულობებს გასართობ-საესტრადო პროდუქციას დაწავებული თაობები?“ კითხულობს მანანა ახმეტელი და იქვე პასუხობს: „დღეს ესაა განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მნიშვნელოვანი ამოცანა“.

თუ არ ვცდები, გასართობ-საესტრადო მუსიკით გატაცება, ფანტატიური სიყვარული ან მიქანიკური სწრაფვა მუვირალა, დამანაცველი

მუსიკისკენ, არაა მხოლოდ ქართული პრობლემა და იგი უფრო გლობალური ხასიათისაა. მაგრამ ჩვენ, ამგერად, სხვის ბელზე ვერ ვიჭრებით და უმჯობესია საკუთარ საქმეს მივხედოთ, მივყვეთ ფაქტებს. საქართველოში მოღვაწეობენ შესანიშნავი მუსიკოსები, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საქვეყნოდ ცნობილი კამერული ორკესტრი და კვარტეტები, საპერო თეატრი, ცალკეული მუსიკოსების ლეზბები, ბრწყინვალე ვოკალისტები, თითქოს პარადოქსია, მაგრამ ქვეყანაში, სადაც ნაკლებ ინტერესს იჩენენ სერიოზული მუსიკისადმი, გყავს უმადლესი დონის მუსიკალური კლექტივები, სახელგანთქმული მომღერლები, დროთოები, კომპოზიტორები. მათ შემოქმედებას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს ევროპის მრავალ ქვეყანაში და ისინიც, წელიწადში რამდენიმე თვეს გასტროლებზე არიან. მათ კონცერტებს საზღვარგარეთ მუდმივი მსმენელიც გაუჩნდა, გაიგებენ რომ მიუხეხნები კონცერტებით გამოდის ჩვენი სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, სხვა ქალაქებიდან სტეიკალურად ჩაიღიან მათ მოსასმენად. იგივე ქომავები, ზოგჯერ, ამა თუ იმ კლექტივის, მთელი გასტროლების განმავლობაში დაჰყვებიან ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში. ვერავინ დამაჩერებს, რომ ევროპაში საქართველოზე უარესი საესტრადო ანსამბლები ჰყავდეთ, თითქოს ნაკლები გასართობი საშუალებები არის იქ და ვერ უწყვენ კონცერტების სერიოზულ მუსიკას. მიზეზი ის გახლავთ, რომ დასავლეთ ევროპაში, დიდი მუსიკალური ტრადიციების ქვეყნებში, სერიოზულ მუსიკას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს მუდმივი თაყვანისმცემელი, მეტად მცოდნე და დახვეწილი მსმენელი, რომელიც მარად ერთგულია თავის ესთეტიკური მრწამსისა. ჩვენ კი გვგონია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, დიდი პატივია, ერთთავად გასართობი მუსიკის ქომავია, რომ იქ სერიოზული მუსიკა კიდებდა და ვებაძეთ მათ; როგორც ყოველთვის მიბაძვა ცალმხრივი ხასიათისა და უარყოფითი ტენდენციები უფრო იჩენენ თავს მიბაძვისას, ვიდრე დადებითი.

ერთი მეტად დამაფიქრებელი გარემოების სხახეზაც მიწა აღვნიშნო: ჩვენი ქვეყანა მუდამ გამოირჩეოდა და არა მარტო გამოირჩეოდა, არსებობდა, დღესაც არსებობს თვითმყოფადი ლიტერატურისა და კულტურის განვითარების ერთგულების გზით. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელ მსოფლიოში, როცა ეროვნული საზღვრების წაშლის, ერთა დაახლოება, გათქვევის საშიშროება არა თუ დაემუქრა პატარა ქვეყნებს, არამედ ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ დაკარგა კიდევ საკუთარი კულტურა და კოსმოპოლიტურ ტენდენციებს, გემოვნების სტანდარტიზაციის შედეგად. გასართობი მუსიკა (ვგულისხმობ არაპრო



ფესიულ, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილ მუსიკადწოდებულ მხაურს), ერთ-ერთი მძლავრი არხია, — იმ მრავალ არხთა შორის, საიდანაც ეროვნულ სულსა და თვითშეგნებაში უსამშობლოო „მელოდიები“ და რიტმები, კოსმოპოლიტიზმის ქიმიური მდინარე მოჩქეფს და ეროვნული ნიადაგიდან წყვეტს მრავალ უმწიფარ ახალგაზრდას. ასე რომ მშვიდობიანი თანარსებობის გზით, მიჩვევისა და შვებულების გზით. ჩვენ ვერც კი ვვხვდებით, როგორ ვსხვანაირდებით, როგორ ვითვისებთ „ახალს“, რომელიც აქტიურად ავიწროებს ეროვნულ შეგარმნებებს და ისედაც ფენომოდიტულ გულგრილობას. ინდიფერენტობას შესანიშნავ ნიადაგს უქმნის.

მწელი მისახვედრი არაა ჩემი წერილიდან. რომ მე, პირადად, ხალხური მუსიკის და კლასიკის ერთგული ვარ; ამიტომ, ჩემი ნაწარმი, შეიძლება ტენდენციურადაც ეჩვენოს ვინმეს. მეც, ჩემი მხრივ, არ მინდა ობიექტურობის გრძობა დავკარგო. სწორედ ამიტომ ათასწორი ფიქრი მიტრიალებს თავში, საკუთარ შეხედულებებს ვუპირისპირდები, მინდა იმათ გაეუფლო ვინც ასე ფანტატიურად უარყოფს კლასიკურ მუსიკას, უარყოფს ისე, რომ არც კი იცის რას უარყოფს და მიჯაჭვულია პრიმიტივზე, როგორც ერთმა ჩემმა კოლეგამ უწოდა — ენებთან, ავსნებად, მსუბღობიერებელ „მუსიკაზე“, კავაონიურ რიტმზე, ბოლოგაიფური ინსტრუმენტების გამაშიშვლებელ მოძრაობებზე.

კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის მხოლოდ ქართული პრობლემა, იგი უფრო გლობალურია და არა მხოლოდ მუსიკაში შეინიშნება. მასობრივ კულტურას უამრავი საცეცი აქვს, ათასობით ადამიანების უგუნურებისა და უგემოვნობის წყალობით შლის სხვაობას ეროვნულ კულტურათა შორის და ქმნის ერთ კოსმოპოლიტურ, უსახურ „კულტურას“.

მართლაც ამბობს მანანა ახმეტელი: „ამ ამოცანის გადაწყვეტაში არ გამოგვადგება აგტაციის შიშველი, სწორხაზოვანი ფორმები, დიდაქტიური შეგონებანი, მყვირალა, გამოსაფხიზლებელი ლოზუნგები, რომლებსაც დიდი ხანია გამოეცალა ძალი“. ლოზუნგებით მართლაც ვერაფერს გავხვდებით, ერთი კი მუდამ მათეორებს: რას სთვრებ ადამიანს, რომელსაც თითქმის არაფერი მასწავლებთ სულიერ ფასეულობათა შესახებ, რომელსაც ტენდენციური სახელმძღვანელოებით მასწავლებდით, აბაქსაღმცინიურადაც მასწავლებდით, რომელსაც მუდამ ბიპიშულიადით მსწავლბ იხ, რაც სიმართლეს არ შემსახბამბბ. თანდათანობით, დროთა განმავლობაში ჩვენ შევქმლით ჩაგვეკლა მასში ღვთობობიებული ნიჭი, ცნობისწადილი და ახლა ინდიფერენტული, გაბერებული სულის პატრონი — გამაბრუებელ მუსიკას, და არა მხო-

ლოდ მუსიკას, ცდილობს შეაფაროს თავი არათა დაგვეხსნას, მომაბერებელ ერთგუნებას გაუსხლტეს. მან საკუთარი თავი დაკარგა, არც კი იცის რომ დაკარგა და ამიტომ პოვნაზეც აღარ ფიქრობს. მისთვის შეგება ჩვენგან, დაწავსებულ კონსერვატორებისგან შორს ყოფნა. მისი განდგომა, დაბალი გემოვნების გაფუტიშება, კლასიკის უარყოფა, გულგრილობა — ერთგვარი ამბოხია, პრიმიტიული ამბოხია ყოველივე იმის წინაშე, რამაც ასეთად მოაქცია იგი. რაც დავთესეთ იმასვე ვიჭყით.

უკვე აღვნიშნე — საყვარელ ანსამბლებს როგორ დაჰყვებიან ქობაგები ჰელსინკიდან ბრიუსელში, მიუნხენიდან ენაში და ა. შ. ჩვენ კი საიმიზოდ ვერ მოგვეცლია თელავში, ბიჭვინთსა და ქუთაისში ჩავივით უკვე ტრადიციად ქცეულ მუსიკალურ შეხვედრებზე. მიზეზი მრავალნაირია. ამაღლებულზე ფიქრობს და ზრუნავს მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანი. არსობის პურზე ჩაფიქრებულ კაცს არ სცალია ამაღლებულზე ჩასაფიქრებლად. რაც კი დღემდე გაკეთდა და რასაც დღემდე მივადიეთ ცალკეული პიროვნებების გამუდმებული ძალი-სხმევის, ენთუზიაზმისა და უანგარო სიუვარულის შედეგი იყო. სწორედ ასეთი ენთუზიატები ხხედან სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე, ასეთი ენთუზიატიკი მქონველები არ იქნებიან ცალკეულ ავტორთა შეხვედრებს, რომელთა წიგნებსაც მეთოდურად გვერდს უვლის ვაბატონებული კრიტიკული აზრი.

ისევ მუსიკის განმანთლებლობის საკითხებს მივუბრუნდეთ. ჩემზე განუყოფელი შთაბეჭდილება მოახდინა ჭანსულ კაბიძის გაკვეთილებმა. არ დამავიწყებდა ბავშვების გაბრწყინებული სახეები, ცნობისწადილი, წყურვილი მუსიკის საოცარი ანბანის დაუფლებისა. ცოცხალი ილუსტრაციები ამა თუ იმ საკრავის შესაცნობად, ამა თუ იმ მუსიკალური მასაჟის შესასწავლად. ეს მართლაც ბრწყინვალე გაკვეთილები იყო, რომელსაც შესანიშნავი მუსიკოსი უტარებდა ბავშვებს; მუსიკოსი ენთუზიატიკი, ქართული მუსიკის ბელზე დაფიქრებული, იგეზრდიდა სერიალული მუსიკის მსმენელს. მაგარამ მართკ ჭანსულ კაბიძის გაკვეთილები განსაკმარისი იყო? განა მხოლოდ იგი გავწვდებოდა ამ ბრწყინვალე წამოწყებას? საჭირო იყო ავტორიტეტულ მუსიკოსთა ერთსულოვნება, გარკვეული დროის გამოჩნება და იმედი იმისა, რომ განმანთლებლური მოღვაწეობა აუცილებლად გამოიღებს თავის შედეგს; სხვა გზას ვერ ვხედავ. ზოგადსაგანმანთლებლო სკოლების სიმღერის მასწავლებლების იმედზე დარჩენის არავითარი შედეგი არ მოუტანია ჩვენთვის. გამოვუტყდეთ ჩვენს თავს: ხშირ შემთხვევაში მუსიკის და ხატვის გაკვეთილები ხომ ფიქციაა და მეტი არაფერი. ამ დარგებში, და არამართკ ამ დარგებში, კადრების დონეც ხომ ზუსტად



განსაზღვრავს წარსულ წლებში განათლების სისტემაში გაბატონებულ კორუფციასა და პროტექციონიზმს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ სპეციალიზებულ საშუალო სკოლებში ისევ „წარმატებით“ აგრძელებენ „მოღვაწეობას“ შემთხვევითი პედაგოგები, განათლების სისტემის გაუნათლებელი მესვეურნი მასწავლებლები, რომლებიც ასევე არსობის პურსე ჩაიჭირებულან და მოსწავლის სულის წვრთნისთვის არ სცადიან, ჩქარობენ გაკვეთილების დათვარებას და ოჯახებში გაქცევას. და განა შეიძლება მათი გამტყუნება?! ისინიც ხომ აღაშინები არიან, მათაც თავისი სატივარი და საფიქრალი გააჩნიათ. მოდი, ნუ მოვთხოვ ყველა მათგანს შეშველი ენთუზიაზმის ერთგულებას, პირადი ბედენერების უარუფას სკოლის ინტერესების გამო. ასე რომ მიზეზთა მიზეზს ჩვენი მოუცლელობისა ძალზე შორს მივუვართ, სწორედ იქით მივუვართ, რაზეც დღეს ასე თამამად და აშკარად საუბრობს დიდესა და პატარა.

... სად მიდის მუსიკა, რუსა ალბრ უარბამენ?... კითხულობს ბავშვი ფრედერიკო ფელინის შესანიშნავ ფილმში „ორკესტრის რეპეტიცია...“ არ შეიძლება ამ შეკითხვამ არ შეგძარას, არ დაგაფიქროს, კიდევ ერთხელ არ გაგრძნობინარს, რომ ყოველ ბავშვში ცოცხლობს მუსიკა და პოეზია. მთავარია, არ მოვკლათ მუსიკა ბავშვებში. სწორედ ამიტომაც საჭირო არა მხოლოდ გონების, არამედ სულის წვრთნა, ნელ-ნელა გვზორდება მარშებისა და ლოზუნგური ლექსების ხანა და რაც უფრო მეტი დრო გვდის — მეტი ძალისხმევით უღერს ქართული ხალხური სიმღერა. გასაკვირი კია, ღმერთმანი, ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის პატრონი რატომ ბაძავს, თავისთავად საინტერესო, მაგრამ ჩვენი ბუნებისთვის უცხო მოტივებს. ამაზე ატყევი სწორედ: „თურაშაულის პატრონი, ტყეში იძებდა პანტასა“.

მანანა ახმეტელის წერილში ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა მეტად საინტერესო მოსაზრებამ. არ დავმალავ, გამიზარდა კიდევ, რომ ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს დაემთხვა. მოვუსმინოთ მანანა ახმეტელს: „ფოლკლორიდან აკადემიურში გადაზრდის პროცესი იმდენად ბუნებრივად და ლოგიკურად განვითარდა, რომ ევროპულ მუსიკალურ ყოფას არც უგრძვნია სახეცვლის ეს დიდად მნიშვნელოვანი მომენტი, ამიტომ აქ უმტიკვერულოდ გაიცვალა როლები. აკადემიური მუსიკის ახლად-შობილმა უნარებმა იმთავითვე დაიკავა ფოლკლორის ადგილი და შეუფერხებლად განაგრძო მუსიკალური ყოფის პროფესიონალიზაციის პროცესი. საიდანაც იფეთქა ახალმა განმანათლებლურმა ტალღამ.

ჩვენთან არ შექმნილა ეროვნული მუსიკის ისტორიული განვითარების ანალოგიური მო-

დელი, მიუხედავად იმისა, რომ ქართული აკადემიური მუსიკაც ფოლკლორული წყაროებიდან იშვა და იმთავითვე ევროპეიზაციის გზაზე გავიდა. მაგრამ მან ვერ შეიწოვა, ვერ შემოიერთა ხალხური შემოქმედების უდიდესი დანატოვარი, რის შედეგადაც აღმოვჩნდით ორი თვისობრივად განსხვავებული მუსიკის — ფოლკლორისა და აკადემიურის მფლობელი. ისინი ვერ მოექცნენ ერთ სააზროვნო სისტემაში, ვერ გათლიანდნენ მონოკულტურაში... ამის ერთ-ერთი და არსებითი მიზეზია ის, რომ ქართული ხალხური მუსიკა თვით გადის მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილ ქაშპარიტად უნიკალური კულტურის რანგში“.

ქართული აკადემიური მუსიკა მართლაც ამოიწოდა ქართული ხალხური მუსიკის წიაღიდან, მაგრამ მისი ევროპეიზაცია ისეთი დოზით და ისე სწრაფად მოხდა, რომ თანდათანობით დასცილდა ქართულ ფოლკლორს. მიზეზი ამისა ერთადერთია: არა მხოლოდ ქართული ხალხური მუსიკის მხედარი პროფესიონალიზმისა და უნიკალური ბუნების, თვითმყოფადობის გამო ვერ შეძლო აკადემიურმა მუსიკამ შეიწოვა და შეერთებინა იგი; უბრალოდ, ქართული მუსიკალური ფოლკლორი ისეთი სულით არის აღბეჭდილი, ისეთი ფენომენია, რომელიც „რეაქციაში არ შედის“, არ შეერწყმის არაფერს. ქართული მუსიკალური ფოლკლორი ეროვნული სულის უმთავრეს ძალთა გამამოლიანებელი და შემნახველია. ევროპეიზმის გზაზე დამდგარი ქართული აკადემიური მუსიკა სწორედ ამ თვისებასაა მკვლევარი, განსხვავდება მუსიკალური ფოლკლორისაგან და იგი უფრო კომპოზიტორის ინდივიდუალური შესაძლებლობების რელიზაციის საშუალებას იძლევა. დღემდე არაერთი მცდელობა იყო, მეტნაკლებად წარმატებული, ქართული ფოლკლორის აკადემიურად დამუშავებისა. ერთნი ფოლკლორის გადამწერლებად მოგვევლინენ მარტოოდენ, და გარკვეული სტილიზაციით ვერაფერი შემატეს მას, მეორენი „დამმუშავებდნენ“ — მხოლოდ მუსიკალური ექსპერიმენტებით შემოიფარგნენ, მათი ნაღვაწი მხოლოდ ვიწრო რეგენისთვისაა საინტერესო და არა ფართო მსმენელისათვის.

ასე რომ, ჩემი აზრით, ეროვნულობა ქართული აკადემიური მუსიკისა არ განისაზღვრება არა დოზით გამოიყენა მდიდარი ფოლკლორული მასალა კომპოზიტორმა, უფრო მთავარია ქართველი ავტორის ინდივიდუალური ბუნების წარმოჩენა. მუსიკაში კი, ისევე როგორც პოეზიაში, არ შეიძლება არ გამჟღავნდეს ეროვნული თვისებები ავტორისა, რომელიც გენეტიკურად, სულიერად, მხოლოდ ამ ლოკალური საზიარის ნაყოფია უპირველესად და მერე მთელი მსოფლიოსი.

როცა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე

ვსაუბრობთ და მისი დამუშავების, გამოყენების პრობლემებზე სერიოზულ მუსიკაში, არ შემოიძლია არ აღვნიშნო რომ ქართულ პოეზიაშიც მსგავსი მდგომარეობა ვაბატონებულა. ზოგიერთი ქართველი პოეტი თვითნაბად ხალხურ ლექსებს ოდნავი სახეცვლილებით თავის წიგნებში ბეჭედვს და ფართო მკითხველის სამართლიან გულისწყრომას იმსახურებს. ერთი-ორი სიტყვის შეცვლა ხალხურ ლექსში ან სტრიქონების გადაადგილება, ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პოეტმა ახალი ლექსი შექმნა ხალხურ მოტივზე. მსგავსი პრიმიტიული, ვულგარული დამოკიდებულება ფოლკლორთან — პოეზიასა თუ მუსიკაში, ჩვენში ფართოდ გავრცელები ამ ბოლო დროს. სასურვეთგამოვლილი ქართული საუნჯე არავინ არ უნდა მიიხსაუთროს, თუნდაც იმიტომ, რომ მისაყურებლის მცდელობა შემოქმედებაში მუდამ მარცხით მთავრდება და მიმსაყურებელს არაფერს უქადის კარგს. ამჟერად, ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ფოლკლორული მოტივების დამუშავებისა და გამოყენების გზების ძიება, ეს მეტად რთული და სადავო პრობლემაა. ერთი კია — სტრიქონი ხალხური ლექსიდან, მოტივი ხალხური სიმღერიდან — პრიმიტიული ორნამენტის ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს. თორემ ზოგჯერ ისე გამოდის, რომ ამა თუ იმ ლექსში, მუსიკალურ ნაწარმოებში, — მხატვრულიზის კულმინაციას ხალხური მოტივი ქმნის, დანარჩენი, ავტორისეული ნააზრები მხოლოდ ფონია, ჩვეულებრივი, მოსაწყენი ფონი. ეს იმას ნიშნავს რომ ავტორმა ვერ შეძლო განუვითარებინა ფოლკლორული თემები. მისი ნაწარმოებშიც ხალხური მოტივის იმედით დაიწერა. ასეთ სიტუაციაში, ვანათლებული მკითხველი თუ მსმენელი ამჟობინებს მიმართოს პირველწყაროს — განუთმორებელს და დიდებულს.

საესტრადო-გასართობ მუსიკაზე საუბრისას ჩვენ აუცილებლად უნდა ვავითვალისწინოთ დროის მოთხოვნები, ფართო აუდიტორიის მხატვრულ-ესთეტიკური დონე, ის გარდუვალობა, კანონზომიერება, რაც დრომ მოიტანა. ჩვენი სიმაყრე — ასეთი მუსიკის მიმართ, სიმპათია თუ აპათია ვერაფერს შეცვლის. თანაარსებობა აკადემიური მუსიკა და პროფესიული ესტრადისა გარდუვალია. უმთავრესი მაინც ის არის, როგორმე ამაღლდეს „მუსიკალური განმანათლებლობის“ დონე, რაც მეტი აკადემიურობისა და პროფესიონალიზმის საშუალებას მისცემს ჩვენს საესტრადო კოლექტივებს. მთავარი მიზამძველობიდან თავის დაღწევაა. ესტრადას და აკადემიურ მუსიკას მუდამ ეყოლება თავისი მსმენელი. არ უნდა შეგვაშფოთოს იმ გარემოებაში, რომ საესტრადო-გასართობ მუსიკას მეტი მსმენელი ჰყავს. ეს ფაქტი, უპირ-

ველეს ყოვლისა მიგვანიშნებს ფართო მსმენელ გემოვნების დონეზე, ინტერესების სფეროებზე. ჩვენი საერთო საფიქრალი კი ის არის, რომ აბადმომიწო მუსიკას ბავშვდემიბრის ადვოკატადმო მსმენელთა ეს მინიმუმი, კომუნალიცი, როგორც ჩანს, დღეს ჩვენში ბამარტბის გზაზე დამდებარა. დამაფიქრებელი სწორედ ეს ვახლავთ.

არსებობს პროპაგანდის ნაირგვარი ფორმები (ერთ-ერთ მათგანზე — ჯანსუღ კახიძის გავრეიტლებზე, უკვე ვვკონდა საუბარია), უპირველესი მაინც კონცერტებია, მაგრამ კონცერტით რომ დაინტერესო მსმენელი სხვა რამეც უნდა იღონო. საქარო გამოსვლებით, პოპულარული წერილებით პრესაში; რადიოსა და ტელევიზიაში დღეი პროპაგანდისტული მუშაობის გაწევა შეიძლება. მაგრამ გვეულებათ თქვენ კომპოზიტორები, რომლებიც საქარო გამოსვლებისთვის იცლიან, რომლებიც წერენ პოპულარულ წერილებს მუსიკის შესახებ, ეწვიან ფართო განმანათლებლო მოღვაწეობას? იშვიათი გამონაკლისის გარდა ასეთი რამ ჩვენში არ ხდება. ახლა ვავიხსენოთ წერდნენ თუ არა დიდი ევროპელი კომპოზიტორები მუსიკის შესახებ? მხოლოდ ვაგნერის და სტრავინსკის გახსენება იკმარება. მაშინდელ მუსიკალურ სამყაროში არსებული თითქმის აბსოლუტი საკითხი არ დაიწყენია ვაგნერს. მხოლოდ სათაურები ვავიხსენოთ რაზე წერდა ვაგნერი: „გერმანული მუსიკის არსი“, „მხატვარი და პუბლიკა“, „ვირტუოზი და მხატვარი“, „მელონენება და რეკლუცივა“, „ოპერა და დრამა“, „მომავლის მუსიკა“, „ოპერის დანიშნულების შესახებ“, „მსახიობებსა და მომღერლებზე“, „პუბლიკა და პოპულარობა“, „პუბლიკა დროსა და სივრცეში“, „ლექსისა და მუსიკის შექმნის შესახებ“. აი, არასრული სია ვაგნერის რჩეული ნაშრომებისა. ერთი საინტერესო ფაქტიც მისი ავტობიოგრაფიიდან: ხელმოკლე ვაგნერმა კატეგორიული უარი განაცხადა პრიმიტიული სიმღერების შეთხზვაზე, თუმცა ამ საქმიანობით გროშების შოვნა შედარებით იოლი იყო, და გერმანიიდან ფეხით წავიდა ვენაში ცოცხალი ბეთმოვენის სანახავად. გზად მოხეტიალე ორკესტრს გადაეყარა, მისი თქმით საქმად პროფესიულს და ერთხანს მათთან უყრავდა. მან ითაკილა პრიმიტიული სიმღერების შეთხზვა და არ ითაკილა მოხეტიალე ორკესტრში ვილიონოზე დავკრა, ეს გზა უფრო სწორად, პრინციპულად სწორად მიაჩნდა.

მწელია დღეს ვინმეს მოსთხოვო ამგვარი პრინციპულობა, აკადემიური კონცერტების ერთულება. მაგრამ მე ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენს კომპოზიტორებს არ სურდეთ ან არ შეეძლოთ მუსიკაზე, ცალკეულ კონცერტებზე თუ საოპერო სპექტაკლებზე წერილებისა თუ ცხეების წერა. ეს გზა ხომ მუსიკის პოპულარიზა-



ციის, მუსიკალური განმანათლებლობის ერთ-ერთი დიდი გზაა.

ყველას მოგვხსენებთ, არსებობს რუსულად გამოცემული მრავალტომეული: „ხელოვნების ოსტატები ხელოვნების შესახებ“, — ამ ტომებში თავმოყრილია დიდოსტატი მხატვრების საინტერესო და გასაოცარი წერილები, ესეები, მისაზრებანი. ბევრი რამ შეიძლება ამ წიგნებიდან ისწავლოს კაცმა — შემოქმედმა თუ უბრალო მკითხველმა. ჩვენში მსგავსი ტრადიცია თითქმის არ არსებობს. რომ მონდომო კაცმა თუნდაც ერთ წიგნად გამოცემა ჩვენი მხატვრებისა და მუსიკოსების ეპისტოლარული მიმწოდებლობა, ძლიერ გავვიპირდებო; დავით კაკაბაძის ცნობილი თეორიული წიგნი შეგვჩნება ხელთ და კიდევ თითო-ორი სხვა რამ. თუმცა მხატვრებს და კომპოზიტორებს რას ვემართლები, როცა ჩვენი მწერლებიც კი დადევნივენ წერილების წერას. რა ხდება, პრობლემები არა გვაქვს? ყველაფერი თავის ადგილზეა? მაშ რაღად ვწუწუნებთ, რომ კრიტიკიულები დეკარტე? რაღად ვწუწუნებთ რომ საკონცერტო დაზარები ნახევრად ცარიელია, რომ ოპერაში ხალხი ნაკლებად დადის? ამის ერთ-ერთი ხედვის შემწეობი მიზეზი ჩვენი პასიურობა, განმანათლებლობით მუშაობაზე ჩვენი უარის თქმაა. აღბანი უფრო სერიოზული საქმეებით ვართ დაკავებულნი. ცხადია, შემოქმედის ცხოვრებაში უპირველესი მაინც შემოქმედებითი საქმიანობაა, მაგრამ განმანათლებლობით მოღვაწეობაზე უარის თქმა დიდი შეცდომაა.

შორს რომ არ წავიღებთ ისევ დიდი ილიას გაგახსენებთ. მის შემოქმედებაში პუბლიცისტიკას, განმანათლებლურ წერილებს მნიშვნელოვანი, წარმმართველი ადგილი უჭირავს. სამოციანელთა განმანათლებლური მოღვაწეობის შედეგი ყველა ჩვენთაგანისთვის ნათელია. მარტო ის რად ღირს, რომ ქართული უნივერსიტეტი ილიასა და სხვა სამოციანელთა იდეებზე აღზრდილია თავიდან დაიარსა.

თანდათანობით დავშორდით წინაპრებს, გადავხვადვართ, შევიცვალეთ, შევიცვალა ჩვენი ყოფა, შესაბამისად შეგვეცვალა გემორეობა. ცხოვრება, რომელიც იცვლებოდა — დროთა განმავლობაში, გვეცვლიდა ჩვენი, აღმინებდ აიძულებდა შეგუებოდნენ ახალ კრიტიკიულებს, ახალ ზენობრივ კანონებს, ახალ ესთეტიკას. ტენიზაციის უსწრაფესმა განვითარებამ ყოველნიშემოვლობის ილუზია შეგვიქმნა. საუკუნის რიტმში მილიონობით ადამიანი დაიქვემდებარა და დამორჩილა. ვითვლით წამებს, წუთებს, საათებს, მუდამ სადღაც გვაგვიანდება და ვერც კი ვამჩნევთ, რომ ამ სიჩქარეში თანდათან მოწყვეტილი მიწას, ბუნებას, ადამიანური თვისებების მიჩქაქალა და მოხმარებულურმა ფიქსიკამ გულგრილობა გააბატონა. ჩვენ ფიზიკისტიკი-

საც აღარ გვჩნება დრო, ვსწავრობით თითქმის მიმანაწილებად და რომელიც არა მისხალ აღინიშნება, ჩვენ ვუსწრაფებთ ვინაობა რაბს ტაქნიკით — თიარმოგობით მუსიკის რაღად და კონსერტი თანამზაგარბით, ძიმიური რაღად და ლაზარით, მბარამ ჩამოვჩნებთ მთავარი, არსებითი რამით — სულიერებაში. სულიერების თანდათანობითა გაფერმკრთობებამ გააფეტიშა ვულგარული მატერიალიზმი, ვერც კი შევნიშნეთ, ისე დავვეროჩილეთ ნივთებს, მერკანტილურ ინტერესებს; სულიერმა ინტერესებმა მეორე პლანზე გადაინაცლა. გაჩნდა ვაჭრული სწრაფვა პრესტიჟული პროფესიისაკენ, ყველაფრისკენ, რაც პრესტიჟულად ითვლება. საესტრადო-გასართობი მუსიკა, მისი ზოგიერთი მიმდინარეობა, განსაუთრებით მაშინ, როცა პროფესიონალიზმი იგნორირებულია, სწორად ვულგარული მატერიალიზმის ექოა და უარყოფელი ყოველგვარი სულიერებისა. ღარამ თავის შესაფერი მუსიკა შვა — კაჟაფონური და სულიერებისგან დაცილილი. დეგრადაციის გზა აშკარაა ამ პროცესის შეჩერება თითქმის შეუძლებელია თუ დიშმა, საყოველთაო ძვრებმა არ ჩააფიქრა კაცობრიობა. თუმცა ისევ და ისევ მინდა ვადიარო, რომ აკადემიურ მუსიკას, სერიოზულ ლიტერატურას ყოველთვის ჰყავდა და ახლაც ჰყავს შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ კვალიფიციური აუდიტორია. დარწმუნებული ვარ ვი აუდიტორია თანდათანობით გაიზრდება, რადგან სწრაფწარმავალი მოდა, იშვიათად რომ ქმნის მაღალმხატვრულ ლირებულელებს, ვეღარ გამოკვებავს სულიერი სიბერწის გზაზე დამდგარ ადამიანებს.

ევროპაში აკადემიური მუსიკის განვითარებას კათოლიკურმა ეკლესიამაც შეუწყო ხელი — მესებმა, ქორალებმა, საორღანო მუსიკამ გამდიდრა და განავრცო იგი. ჩვენში ამ მისიას დღესაც ასრულებს სასულიერო და საერო ხალხური სიმღერები და „ევროპეიზმის გზაზე დამდგარი“ აკადემიური მუსიკა.

ქართული ხალხური სიმღერა — შემკრები, გამამთლიანებელი ერისა, ერის სულის გადაზრჩენი; სიმღერა, რომელიც ყველას საკუთრებაა, რომელსაც ყველა მონაწილეობს — ახლაც კი, ათასწლეულების შემდეგ. ჩვენი მრავალხმოვანი სიმღერები — საქართველოს მრავალხმოვანების ექოა. უძველესი რწმენითა ფრთაშესხმული ყოველი მუსიკალური ფრაზა — არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო სიმღერებისა. საგალობლებში, რა თქმა უნდა, ჰარბობს ცბ, ბგერწერაც ცადშაშაღლი. საერო სიმღერებში მიწის სიღონივრე იგრძნობა; აქ მიწა ხარწმუნობადად ქცეულა — ნაყოფიერების, ხიხვის, შრომის, სიყვარულის, ბრძოლის სარწმუნოებად ქცეულა და ყოველივე ერთად აღებული — ჩვენთვის უცნობი



ცივილიზაციის, შორეული აღმავლობის მშენებლობის მატარებელი, უკვე აღუტყუარია გამოჩნდა სულიერი ენერჯის მარადიული დინებისა, რომელიც სიცოცხლისთან ერთად იღებს სათავეს ათასწლეულთა წიაღში. აი, მიწეი ქართული მუსიკალური ფოლკლორის აბსოლუტური უნიკალურობისა, განუმეორებელი სილამაზისა. ამიტომაც, ჩვენი მუსიკის ისტორია გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ლიტერატურის ისტორია, ვიდრე არქიტექტურის ისტორია. მუსიკის ენაში, მეტაფიზიკურმა სამყარომ, უფრო მძლავრად შემოინახა ქართული სულის სიმაღლე და სიღრმე. ხალხურ მუსიკას უძველესი და შედარებით ახალი დიდი გზა მქონდა გასავლელი ქართული აკადემიური მუსიკამდე რომ მიედგინა. თუ ჩვენს ენაში მეზობელ ხალხთა ცალკეული სიტყვები აღწევდნენ დროთაგანმავლობაში, სახეს იცვლიდნენ და ქართულდებოდნენ, თუ ჩვენმა პოეზიამაც იგრძნო შეტება აღმოსავლური და დასავლური პოეზიისა, — ქართული ხალხური სიმღერები სხვათა მოტივებს არ იკარებდნენ; აუმღვრევლად, შეურევლად მიდიდებოდნენ, რადგან ქართული ხალხური სიმღერის ბუნება, მისი რთული სტრუქტურა, ბანსაბუთიკაბუთი სულიერებაში, მრავალმხმრეობა — მეზობელთა თუ დამპყრობთა მარტივ მოტივებს ახლოს არ იკარებდა. იგი იყო მაღალი — კავკასიონის მთებივით და თვითვე იყო ცა — და თუ იგი ცა არ იყო — იყო იგი მიწა ცის სიახლოვეს, ალბათ ამიტომ გადარჩა ქართული სული ყველაზე უკეთ ხალხურ სიმღერებში. სიმღერა იყო სულის გადამრჩენელი ზესენელი.

თუ ქართული სიტყვები დროთაგანმავლობაში მკვიდრდებოდნენ სხვათა ენებში, თუ ენის ლექსიკურ ფონდზე მარადეამს შემოქმედებდა გამუდმებულ კონტაქტები სხვა ენებთან, — ქართული ხალხური სიმღერა არსად გასულა; ვერც სპარსელმა, ვერც თურქ-სელჩუკმა, ვერც ბერძენმა, ვერც არაბმა, ვერც სომეხმა და მათომეტეს ვერც მონღოლმა ქართული ხალხური სიმღერა ვერ შეითვისა, ვერ „წაიღო“, იგი მუდამ ხელუხლებელი რჩებოდა, როგორც აუღებელი ციხე-სიმაგრე, გადამრჩენელი, შემნახველი სულითა.

ხალხური სიმღერა, ხალხური პოეზია ვერ გადარჩებოდა — თავმოსაწონებლად, მხოლოდ ძველების სახით რომ არსებულყოფი. სიმღერა და ლექსი იყო ბუნება ხალხისა და ხშირად ფიზიკურ განადგურებამდე მისულ ერს ეკლინებოდა, როგორც მაცოცხლებელი წყარო, უძველეს ძალთა გამამთლიანებელი; ცოცხლობდა, ვითარდებოდა, არ კვდებოდა.

რა ღვთაებრივი ძალა ხალხურ მუსიკაში ხალხურ სიმღერათა ძლიერებამ შეიძლება გვაგრძნობინოს იმ სულიერ მამათა სიმტკიცე და გულსრულთა ეკლესია-მონასტრებს რომ აშენებდნენ სამშობლოში და უცხოეთში — დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში, სირიისა თუ პალე-

სტინაში, საბერძნეთსა თუ რუმინეთში, ბულგარეთში...

არ ვიცი, საუკუნეების წინათ არსებობდნენ თუ არა ანსამბლები, მაგრამ სიმღერა რომ ტრადიციული ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო — აშკარაა. უამისოდ ვერ გადარჩებოდნენ ეს სიმღერები, რომელთაც ახლა გვინახავენ ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლები, ახლა, როცა ქართული ხალხური სიმღერა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი აღარაა, ახლა ისინი განაგრძობენ არსებობას, როგორც უძველესი ძეგლები და თუ ჩვენ მათ გაგონებაზე გუთლი ავიჩქროდებოდა, ეს იმ ღვთაებრივი ძალის ბრალია, ხალხურ სიმღერებს რომ შთაბერეს ათასწლეულების წინ.

„საქართველოში — დიდი საგუნდო ტრადიციების ქვეყანაში — ღამის სულს ღაფავს სწორედ საგუნდო ხელოვნება“.

მანანა ახმეტელის სამართლიანი გულისტკივილი დღეს უველასათვის საგრძნობია, განსაკუთრებით კი იმითათვის, ვინც ჭერ კიდევ შეესწრო „ოლიმპიადების ხანას“.

ამჟამად, ახალგაზრდობის დღემა ნაწილმა უკეთ იცის უცხოური ანსამბლების რეპერტუარი, ცალკეული მომღერლების ბიოგრაფიები თუ პიკანტური თავგადასავლები — ვიდრე მშობლიური მუსიკა.

ნურავინ მიწყენს, მაგრამ სწორედ ეს გახლავთ პროვინციალიზმის უშაღლესი გამოხატულება. ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ საკუთარი თავის უარმყოფელი (მშობლიური ენისა და კულტურის უარყოფელი თავის თავის უარყოფელი, როგორ გარღიქმნება უსამშობლო არსებად, ტრაგიკულ, გზაბნეულ პერსონაჟად).

საიროსპირო-სიამაყის გრძნობა გვეუფლებდა აწნორ ექოთნაშვილის „მარტვეს“ როცა ვუსმენთ, რა ღამაზად მღერიან ბიჭები დიდი წინაპრების სიმღერებს, როგორც ატმცხელმშის მათი სიმღერას იმ უღმრთეს მართლმადიდებელს ასე რომ გვაძალიან დას.

ახალმა ცხოვრებამ ახლებური ყოფა გააბატონა ჩვენში. ყოველგვარი სიახლისაკენ ბრმა სწრაფვამ ბევრი კეთილი ტრადიცია გააუფერულა და დაანგრია. შორს რომ არ წავიდეთ ერთი ფაქტიც გვეყვავა დასაფიქრებლად — შვედლ ოჯახს. შვი დავს ფოტობანანო, შვედლ ოჯახს ბანანო ბიბლიოთეკა — მაგრამ ჩვენ ნატალმაღ გვპაპს აბადმითური მუსიკის და მღალმხატვრული ლიტერატურის დამხმარებელი და მცოდნე.

თვლემენ ხელუხლებელი წიგნები და თვლემენ ფორტპიანოს ხელუხლებელი კლავიშები. სანხეზა ფიქცია „ბანათელმადული“ ოჯახისა.

როდის აღზევდა ეს საშინელი სიცრუე, ნებაყოფლობითი ჩვევა თავის მოტყუებისა? დიდხანს გაგრძელდა სულიერი ცხოვრების იგნორირება. ამის შედეგად, ჭრჭრეობით ვულგარული მატერიალიზმის ნაყოფს ვიშვით.

ვეგენი ბართაია

თანამედროვე სოფელი და მისი აღმშენებელი

„საბჭოთა საქართველომ“ 1984 წ. გამოსცა გიორგი ზორგუაშვილის მოთხრობების საკმაოდ მოზრდილი წიგნი; მრავალფეროვანია ამ მოთხრობების თემატიკა, საინტერესოა შთი მხატვრული ასახვის მანერა, თხრობის ორიგინალობა, ფაბულა და სიუჟეტი.

ნოველაში „ატენური“ მწერალი ცნობილ ტენდენციად წერს. ამ ტენდენციამ ომის შემდგომ მოხდგა ფეხი ჩვენში. ნიაღვარივით წამოვიდა ახალგაზრდობის ერთი ნაკადი, რომელიც წერის მანამ გაიტაცა: წერა არ ეთმობა, თუმცა არ ეწერება. არიან მწერლობაში ერთეული ხელმოცარული მომხვეჭელნი და სარღიანი საქმონებიც. პირველი კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება ხეტყის ბაზის მუშაკი გაიოზი, ხოლო მეორეს — მისი სიურმის მეგობარი, პოეტი ირაკლი. ორივენი ბავშვობიდან წერდნენ ლექსებს, მაგრამ გაიოზმა ეს „ხელობა“ მიატოვა, შეირთო რა გავლენიანი კაცის ქალიშვილი, მომხვეჭელობას მიჰყო ხელი.

ცხოვრებაზე გაიოზისა და ირაკლის შეხედულებები დამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

გაიოზის აზრით, „ქარგი თამაშია ლექსობანა... სტუდენტები ეტანებიან ძალიან. სიყვარულივით ჩაეთესებათ გულში და ჭკუას აკარგვიანებს, ზოგს სამუდამოდ აბრმავებს და ასულელებს. უნიადაგო თვითრწმენა უკურნებელი სენივით გაუქდება ტვინში და ფუჭი მტოცნებე უშავრილივით ამთავრებიანებს სიცოცხლეს“.

ირაკლი არ თმობს თავის პოზიციას: „ხელოვნება — ნიჭი, ცოდნა და დიდი ოფლიამეთქი. სამივე ერთად რომ განაყოფიერდებიან, მერე გვექლება ჭეშმარიტი ქმნილება. ეს განაყოფიერება ხან სიჭაბუკეშივე ხდება, ხანაც მოგვიანებით, ინდივიდსა და გარემოს გაჩნია. ცხოვრება ეგრეა, ზოგს ადრე გაუღიმებს ბედი, ზოგს — გვიან“.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი არცთუ ცნობილი პოეტი, თავის რწმენას მაინც არ ღალატობს და, რომ იტყვიან, ასი თავით მადლადგას მისი სიურმის მეგობარზე, რომელსაც სიყვარულის ღამაში ოცნებები ფულზე და ქონებაზე არ გაუცვლია.

მოთხრობა „ღეღღემონას სიყვდილი“ მწვევე იუმორით დასცინის, ერთის მხრივ, უჭკუო ხელმძღვანელს, ხოლო, მეორეს მხრივ, მწარედ ამოთრახებს მის ქვეშევრდომთ, რომლებიც ძალღივით კუდის ქიცინით ფეხჭვეშ უგორდებიან უფროსებს.

თავისთავს ერჩივნა ახალ მესვეურს, რევაზ არჩილიჩს, ძალი „მახარა“ და ამ სიყვარულს არც მალავა: „ამ დალოცვილს რა უნოსა აქვს! ერთ კილომეტრზე ეცემა ხოლმე ფრინველის სუნი...“ აგარაკზე „ვოლგით“ დაყავს და, თუ ვერ გაიყოლია, არჩილიჩის სული მახარასთან რჩება. მაგრამ სამ დღეში ერთხელ მაინც თუ არ დარეკა და ძაღლის მანა-ხალი-სიანობა არ შეიტყო, გული არ უსვენებს. არჩილიჩის სიურმის მეგობრები, უნდათ თუ არ უნდათ, გულიანად მოიკითხვენ დაგეშილი და აღლოიანი თანამდებობის პირის — არჩილიჩის შვილივით უსაყვარლეს ძაღლს „მახარას“, „მახარას“ განსაკუთრებით რესტორან „საღვინოს“ გამზე, ქაჩალ-ვანო ევლება თავზე. ჩურჩულით ამბობდნენ: „ქაჩალ-ვანო მახარას აქმეებს პურსა, მახარა — ქაჩალ-ვანოსო. მანამდე ეს დიდად პატივცემული ძაღლი ცოცხალია, ქაჩალ-ვანოს ბედს ძაღლი არ დაჭყეფსო“. მაგრამ არჩილიჩი „შეცდა“ და გამგის სკამიდან გადააგლო ქაჩალ-ვანო. ქაჩალ-ვანო კი შური იძია უფროსზე — მახარა თავისი ხელებით დააბრჩო.

ადამიანი ქვეყნად იმისთვის როდია გაჩენილი, რომ წუთისოფელი მხოლოდ დროსტარებაში გაღოს, ჭიბე გაისქელოს, გამდიდრ-



დებს და გაწულებულს. მწერალი ასეთების მიმართ უღმობილია. ასეთი კაცი არც ცოცხალი და არც მკვდარი არავის უყვარს.

მოთხრობაში „საუკუნო სასჯელი“ სოფელი ცალკეა და ლატვიის ქალაქში გაქცეულ საქმოსანს, რომელიც ქალაქიდან სოფელში ჩამოსვნივს: „ეწოში ათორდე კაცი დევდევებდა, ისინიც უახლოესი ნათესავნი. გვიან-გვიან გამოჩნდებოდნენ ახალი მომსამიძრინე. შორიდანვე დაიდრუბლებოდნენ და თითქოს ისინი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, თავდადულნი დაგუდებოდნენ სიკვდილიანი სახლისკენ“...

დაბუყრებდნენ კუბოს და გაფუტულ ცხედარს, რომელსაც „მარცხენა ციდის ყუაზე მოუჩინდა ღურჭი ტიფური „მე-თე“, ხელის გულზე ეხება ისარგავრილი გული, მის შედგაკი, ამ სიმბოლოს დედააწრის საწინააღმდეგობა, ბლაგვი ასოებით ეწერა: „ნუ ენდობი ქალს“, ხოლო მარჯვენა მკლავი დასვირინგებული ჰქონდა ბიჭობაში გაგონილი: „საქმე ფულია, ძმავა ცუდილია“. მხოლოდ ერთმა კაცმა თქვა გამოსათხოვარი, მხოლოდ ერთი კინკლადა დებემა წაიბიხეს და ისიც მიცვალეზულის დირექტორისაგან. თანასოფლელებმა მკვდარსაც კი გამოუცხადეს ბოიკოტი — სკაგები არ გამოიტანეს გუაზე, რომ ცხედარი „შევეცენებინათ“. კუბო საულავში ვაი-ვიშით ჩაასვენეს — უფრო სწორად, ჩაადგეს, — თოკი გაწუწუდათ.

„გაუბიე ყირა? ადრე იყავი გასაქიში, შე საჯოჯოხეთევი.. შენზე კიდევაც ცოტაა ესა... ან ამ მიწისა რა დირსი ხარ, ან ცრემლისა... უღრან ტუეში უნდა დაგვეგდე და ყვავ-ყორანს დაეკორტენი.. მაინც ბედნიერად მიარხე... მამაჩემი კი... არც კი ვიცი, სად მარხია. ანდა ეღირსა კი სამარე? შენმა ენამ მოაშორა აქაურობას... დამნაშავე მაინც ყოფილიყო... ახლა კი... გამართლებულია, მაგრამ რადა დროს რამდენი ალაღმართალი კაცის ცოდვა გაწვეს კისერზე!“

მის საფლავზე ზალახიც კი არ ამოდის, არათუ ყვავილი. და ბოლოს მწერლის დასკვნა: „ბოროტი კაცის ცხედარი ნაფლად ექცევა ხოლმე დედამიწას. ნაფლენაუურიან მიწაზე კი რა გაიხარებს“.

მოთხრობაში „ხარის გაბეება“ კეთილისა და ბოროტის ბრძოლა აღეგორიით არის გამოხატული. ხარისა და კეთილი ბიჭის (გიგლოს) ურთიერთობა მთელი სისრულით გამოხატავს შრომისადმი პატივისცემას, პატიოსნების სიკეთეს. ხარისა და ადამიანს ერთნაირად ადგათ ქედვე წუთისოფლის მიმღე უღელი, მაგრამ სიციცხლემ მაინც უხარიათ და ბოროტების ერთნაირი ძალით ებრძვიან. „ცხადლივ ხომ ერთად იყვნენ ჭონგა და გიგლო, ძიღშიც ბევრჯერ შეუყოლია ჭონგას სახება გიგლოს და იქაც მიშველებია“.

მაგრამ მოშურნის რა გამოდგეს! სადაც კი თილია, იქ ბოროტიც არის და ჭონგასაც წყო შურით ცქერა ბოროტმა, ამჯერად — ძაღლმა ჭღუნამ, რომელიც ისე უჭრდა გიგლოს, როგორც ჭონგა, მაგრამ შურით გამობოროტებულ ჭღუნას ბირივით სძულს ჭონგა და მისი მოალერსე ბიჭი. მათ შემხედვარეს ეწიწდება თავისი უერთგულესი ბოზლიაც კი. და ბოზლიმმა ჭღუნამ მთელი საძაღლით მოყარა და დაუსია ჭონგას. ჭონგამ ერთი გამოვატარა რქით, მაგრამ მთელ საძაღლთან ვერ მოერია, დაჭაბნეს და წააქციეს. მაგრამ ჭონგას მხსენლად ბიჭი მოველინა; მომავლად „ჭონგას ცრემლი მოეუტრა და ოდნავ შეაბრუნა თავი, ბიჭსაც ჩაუღვდა თვალში სიხარულის ცრემლი... იმ ცრემლში იმედო ციმციმებდა“.

ყობარულ-მძარცველთა ბანდაა წარმოდგენილი მოთხრობაში „ბრძანული თამაში“. მკითხველი ზიზღით იმსჯელებს მძარცველების მიმართ, რომლებიც ჭერ ტპილად შეიყოლიებენ კარტის თამაშში გულუბრყვილო ადამიანებს და ბოლოს იარაღის მუჭარით ჭიბის დაუცვარილებზე, რაც ბადალით ყველაფერს ააყლიან.

მწერალმა კარგად იცის, რომ ადამიანის სახე მისივე სულის ანარქლია. მოთხრობაში „ქნაპე“ ნათლად ჩანს „ატეის“ დირექტორის უფვაო სახე. დიმიტრი სოლომონოვიჩი მოხერხებული კაცია. ტკბილ სიტყვას შეფარებულნიც მ შედირი დედხას ბოგინობს თავის თანამდებობაზე. ადვილად იმარჯვებს „ხელის შემშლულების“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიმიტრი სოლომონოვიჩს ნაფრონტალი მძლოლი კნაპე უპირისპირდება. დირექტორმა კნაპეს ერთხელაც არ აღირსა ახალი მანქანა. ახალი მანქანა მანში მისცა, როცა კნაპე თანამდებობის პირს დაუშმასლდა.

კოლექტივში არაჩანსად სული ტრიალედა. თითქმის ყველა მძლოლი რადაც მაქინაციას ეწეოდა. მაგალითს თვითონ დირექტორი იძლეოდა, ხოლო დირექტორს ხელს „წემოდან“ უმართებდა.

გ. ხორგუაშვილმა მრავალფეროვანი სახეები დაგვიხატა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულია მოთხრობა „სიცილი უცნაურისა“. ეს მოთხრობა სტილით თუ მანერით „ქნაპეს“ უახლოვდება. თუმცა აქ უფრო რთულ, განსხვავებულ, მეტად ორიგინალურ სახეობთან გვაქვს საქმე.

წაწარმოების ცენტრში, ისე, როგორც „ქნაპეში“, ორი მთავარი პერსონაჟია. აქაც უფროსებსა და მათ ხელქვეითებს შორის ურთიერთობა დახატული, მაგრამ აქაური უფროსი, ფინგანის გამგე ხეთისო სხარატაშვილი, სულ სხვა კაცია, ახევეა ხეთისოს მოადგილე ატიონ ბაბუციციცე, მეტსახელად ანგელოზოვიჩი.

ხეთისოს სიხარულისა და მწუხარების უამს ერთნაირი გამოხეტყველება აქვს და უჭირთ



გამოცნობა, როდის არის გაზარებული და როდის ნაწყენი. დაბინდულ სახეზე ათასსა ერთხელ თუ გაუცემიყვანს ღმირი. ხალხს კი დიდად არ ებინძვებოდა გორგოზი კაცი. ცხოვრებას ისედაც სამყოფად გამოსდევს სიმწრის გემო და რაღა ეგეთი უცვივრირის მწერით გაუფემურონ გუნება. აკი გაურბიან კიდევ უკმაყოფილება ვერ დაუფარავთ და ბუსუსიანი სიტყვებით მოუფხანათ გული, „უფემურად“ მოუნათლავთ, „გაუცინარი“ შეურქმევით. ერთნი იმასაც კი ამბობენ: „მარტო ეგ არის ცხოვრება? სამ-სამი ტალიკ-ტალიკი ბიჭი ფრონტზე დაკარგა, თვითონაც ომში და წვალებაში გამოულაშდა. ავდილი ხომ არ იყო საქონცენტრაციო ბანაკში ყოფნა, ჩამოვიდა, სამ წელიწადში ორი ცოლი დამარხა, რაღა გაცინებსო?“

ხვთისო მტად გულკეთილი კაცია, რაც, სამწუხაროდ, მის გორგოზ სახეზე არ იკითხება. მისი მოადგილე ანტონ ბაბუციძე რომ აქვდა გახდა და წერილი კინლამ წარიღო, ხვთისო, „ეს ნირშეუცვლელი, მძიმე ხასიათის კაცი, ერთბაშად გამოცვლილიყო. კარგა ხნის დანაღვი წყენებდა, უსამოვნება თუ უკმაყოფილება, გულზე რომ უანგვივით მოპოვდებოდა ანტონისაგან, მთლად გადაეყარა და მხოლოდ კარგი ეხატებოდა, თვალწინ დასდგომოდა გულდაწმენდილი, უბიწო და უმანკო ადამიანი, რომელიც მუხლებზე ესვა კბილდაკრებილ სიკვდილს და თოთო ბავშვივით ათამაშებდა. ეცოდებოდა, ძალიან ეცოდებოდა და ეფუსუსებოდა საიმიხოდ“.

მაგრამ ბოროტმა ანტონმა მაინც არ დაინდო გადამრჩენელი. წერდა ანონიმურ წერილებს ხვთისოს შესახებ ყველა მიმართულებით, მაგრამ ეს წერილები შემთხვევით ხვთისოს ჩაუვარდა ხელში. ხვთისომ მხოლოდ მაშინ გაიცინა გულიანად თავის სიცოცხლეში, მეორე ოთახში გააღწია მისმა უცნაურმა ხარხარმა. თანამედროვე სოფლის ნაშვლი სურათი დახატა მწერალმა მოთხრობაში „ცოცხალი სულები“.

სოფლის თავაყებებს სოფლის შუაგულში ლუარსაბ თათქარიძის კარმიდამო მოუწყვიათ ახალი ყოფა-ცხოვრების ძველთან დაპირისპირების მიზნით. ლუარსაბი გაცემული გასცქერის ახალ სოფელს: „— ეხლა რომ თავი მოაქვთ ჩვენს სოფლებებსა, საუცხოოდა ვცხოვრობთ, რთი არიან ჩვენზე მეტნი? მით უმეტეს, მთელი მთავრობა მაგათზეა გადამდგარი, ჩვენზე კი კაცის შვილს არ შესტიკოდა გული... რაც ქართველი კაცის სახლ-კარის დასამშენებლად გამოუგონია ჩვენს დაღოცვილ წინაპრებსა, არაფერი დამკლბებია, მარანს იტყვი თუ თავლას, სათონებსა თუ საბძელსა, ჩაღურსა თუ კალხსა, ჯინსა თუ ბეღელსა, ეხლა კი ვიღა დაგვიდევს მაკვებას, ღამის შათი

სახელებიც კი გადააფეყონ შვილებსა და შვილიშვილებს... სულ ფული და მანქანა უტარა ადგებ თავში... სიტყვა მოთქვამს და არ გსმენს ტეხია ზოგ-ზოგი დღევანდელი სიტყვის უსტაბაშვითა. ეს უსამართლო წუთისოფელი ისე მომიჭამია, ძებორციელისათვის არ გამომიყარავს სარმა, კაცის ცოდო არ გამომიყოლებია ამ გრძელ ქვეყანაში... იმაზეც ფხუკუნებენ, ლუარსაბ თათქარიძეს ვჭამ უყვარსო... ბევრი ნასწავლი კაცი ვერ გაცვილებია მაგ ცხოველურ წრესა და ჩემნაირი უსწავლელი გაიმტყუნება?“

თითქმის არც ერთი მტკივნეული საკითხი არ დაარჩინა ჩვენს ყოფაში, ლუარსაბს რომ არ მიმოხილოს — მობაზე, მეგობრობაზე, მემკვიდრეობითობაზე და ა. შ.

ერთ დამახასიათებელ მაგალითს კიდევ მოვიტან ლუარსაბის მონოლოგიდან: „მემკვიდრისათვის ვგიჟდებოდა, რაღა არ მიღონია, სახელგანთქმული მკითხავეებისათვის არა დამიზოგია-რა. ყველა რჩევა ყურად მიღია, ყველა ხერხი და ღონე მიხმარია, თელეთის ხატში წასვლა არ დამზარებია, შესაწირი კურატი არ დამნანებია, სანთლებზე მიღოცია, ნემსის ყუნწში ვავმჭვრავარ. ერთი ნაშიერი მეცა მყოლიდა და თათქარიძეების გვარი გამემზავლებინა. ამდენი მივაივავლახია მემკვიდრის გულისთვის.“

ეხლა კი მუცელშივე ხოცვენ ნაშიერებსა, რომელი წელიწადი მობრუნდება, რომ ასამდე აბორტი არ გაკეთდეს ჩვენს სოფელში... ასეთ ავქართველობას სჩადიან, იმათი ხნის გამცემი კაცისშვილი არ არის, მე კი მომდგია ის ჩემი აშშენებელი ილია და საქვეყნოდ მომჭრა თავი“.

ასე ორპაროვნად მიდის ლუარსაბის მონოლოგში სატირა როგორც თვით ლუარსაბის, ასევე დღევანდელი ყოფის მიმართაც.

თვალთმკვებში, აფერისტები, მამულის ყალიბი პატრიოტები, კარიერისტები ათასნაირი ხრიკებით ახერხებენ გამოძაღვას, მოხვეჭას, გამდიდრებას, იოლ ცხოვრებას. ხორგუაშვილის მოთხრობებში ასეთები უხვად არიან, მაგრამ ასახვის ფორმებიც მრავალგვარია და განუმეორებელი. არც ერთი თვალთმაქცი და ყალბისმქმნელი ერთნაირი მანერით არ მოქმედებს და ეს მანერები იმდენად დამაჭრებლად არის მხატვრულად დაწესტებულ-დახატული, რომ უკრადღებს იმსახურებს მწერლის მრავალმხრივი ცოდნა და მხატვრული მიგნებები. ამის ერთ-ერთი მაგალითია მოთხრობა „არამკითხე ჭირისუფალი“.

საქართველოს ბევრი არამკითხე ჭირისუფალი ყავს. ერთ-ერთი მათგანია პოეტის, ჟურნალისტის, იუმორისტის ყალბ სამოსელში გავხეული ბავშვა ბახია. ბავშვს ორ-სამსტროფიანი ლექსი დაუბეჭდავს არალიტერატურულ ორგანოში მაგ თავი პოეტად მოაქვს. სოფელ-



მა დღეს შესანიშნავად იცის, რა უნდა აკეთოს, ვის უნდა მოუსმინოს, სამართალში კარგად ერკვევა და უფროს-უმცროსის ფუნქციებშიც, მაგრამ ზოგჯერ უჭირს, თამამად ვერ უჭირავს თავი, რაღაცის ან ვიღაცის ხათრით, მობრუნდები თუ შიშით. და იწვის შინაგანად, მაგრამ სოფელში გამოერევა თითო-ორიოლა გაბედული კაცი ან ქალი და ხალხს აიყოლიებს.

მოთხრობაში „ცხრაუღელა“ ქაბატოა ასეთი ქალი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის გადაჩრებას რომ აპირებდნენ და უკმაყოფილო ხალხი დუმდა, ქაბატო წამოდგა გაბედულად და ხალხის გულისნადები გადმოღვარა. აბობოქრებული ხალხი ერთხმად აუვა ქაბატოს და თავისი გაიყვანა.

ხალხმა ქაბატოს ცხრაუღელა მაშინ შეარქვა. მწერალი მაშინ აღწევს მიზანს, როცა მართო ფანტაზიის იმედით კი არ არის, არამედ კარგად იცნობს იმ თემას, რომელზეც მოგვითხრობს. გ. ხორგუაშვილი ახლოს იცნობს თავის გმირებს. ამიტომ შეუმჯდარია მისი კლამი. ასევე ღრმად იცნობს სოფელს, მისი ავ-კარგის უტყუარი განმსჯელია. ყველა მისი მეზობელია, ახლობელია ან ნაცნობი. ამიტომ მისი მოთხრობების პერსონაჟები სოფლის ადამიანებს რეალურად განასახიერებენ, ყველა მათგანს ყვეს თავისი პროტოტიპი.

ხორგუაშვილის მოთხრობების მრავალფეროვანი პერსონაჟების ერთ-ერთი განუმეორებელი სახეა მოთხრობის „ძია შიოს უცნაურობანი“ მთავარი პერსონაჟი ძია შიო; ძია შიო არც ბრძენია, მაგრამ არც უტყუო. თუ ბევრი არ ეცითხლად, სიმართლეს მაინც ამბობს. ალალ-მართლობის, შრომისმოყვარეობის და პატიოსნების გამო შეუყვარებია სოფელს.

სოფელში თითო-ორიოლა ავისმქმნიელი და მისი ხელისშემწყობი არ გამოილევა. მაგალითად, მოთხრობაში „ალავერდი“ ტყის ქურდებს ხელს უმართავს თვით ტყისმცველი, ხოლო მეორე მოთხრობაში „ოცდაათი ვერცხლი“ — ვინმე ზარნაძე, რომელიც პირში ეფარისელებოდა ღონით და პატიოსნებით სახელგანთქმულ სანდრო ბერბუტელი. მან ოცდაათ ვერცხლად გაყიდა სინდისი — ჭიდაობისადამარცხებულად გამოაცხადა მეტოქესთან აშკარად გამარჯვებული ბერბუტელი. თუმცა მართლ ზარნაძე რას გახდებოდა. მოსყიდულმა ვეკილმა ბერბუტელსაც ცალკე ააღლიტა ფული და მის მომჩივანთაც და მართალი კაცი ბერბუტელი, დააჭერინა.

მლიქვნელობა, მამებლობა, ფარისევლობა, თვალთმაქცობა, კარიერიზმი სარეველა ბალახით მოსდებია ჭერ კიდევ ჩვენს სასოვადოებს. ამის საბაბს ხშირად თავაკაცები იძლევიან. ისინი თავიანთი ყურებით ისმენენ თავი-

ანთსავე ქება-დიდებას ქვეშემბრდომთაგან სიამოვნებით.

ეს ფაქტი მხატვრულ ასახვას პოულობს მოთხრობაში „უთქმელი სადღეგრძელო“.

მოთხრობაში „ალასარულის უამს“ ომში დაღუპული შვილების მამის, თანდილას, განცდილობა დახატული. კენდად დარჩენილი თანდილა სიკვდილის უამს მოატყუეს — ყალბი დებეზა უჩვენეს — შენი შვილი არჩილა ჩამოდისო. „... მთელი ტანი უშაძგებდა, თითქოს ძალა მიეცაო, ძარღვები აუთახთახდა, თითქოს რაღაცის დასადარჩობად იკრებს ღონესო, ოღენვ წამოიწია კიდევ. მოწყვნილი ფთოლოფით მსუბუქად დაეცა სარეცელზე, ხორცი და სული გაიყარნენ... გაითანგა, უბებში ცრემლის ნაგუბი გაუცვივდა, მიშქენარ სახეზე ძლივს შესამჩნევი ღმინი შეეყინა“.

ბოლო მოთხრობაშიც — „ზედაზე“ ომში წასული ბიჭის მოლოდინში ამობდება მამას სული, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შვილი ჩამოდის.

წიგნში თემატიკურად გამორჩეული ორი მოთხრობაცაა — „ძუძუსხატი“ და „მალალი ღმერთი“. პირველი ფსიქოლოგიური მოთხრობაა, ხოლო მეორე — ყოფითი, „ძუძუსხატში“ მთავარი შვილიანობით გამოწვეული სიხარულია, „მალალი ღმერთი“ კი დედაკაცი გაუბრძნო დედობას იმ მოტივით, რომ სიღამაზე და თავისუფლება არ დაკარგოს. „ძუძუსხატში“ დედა უსაყვარლეს, მომხიბლავ ქაშინებდად გვევლინება. ციური კი („მალალი ღმერთი“) უღამაშესია ფიზიკურად, მაგრამ მახინჯი სულიერად.

სიტყვას არ გავაგრძელებ მოთხრობის — „ჩირდილები“ შესახებ, სადაც დიდის რულუნებით არის გადმოცემული დიდი ილიას სიბრძნე და სიქველე.

და ბოლოს — მოთხრობების ენის შესახებ. თვალში საცემია დინჯი, დამაჭერებელი და დახვეწილი თხრობა, მოხდენილი და მოკლე ფრაზა; „მატარებელი სადგურში გაჩერდა. გამოილღებელი მაშინვე მილიციის სამორიგოსკენ გაქენა. მთელი სადგური ააწრიალა. ამოდ გადააქოთებინა იქაურობა...“ მომხიბლავი კოლორიტი, ლიტერატურულ ენასთან შეხამებული ზომიერი კუთხური დიალექტი; „... ერთ თავად ზედ დამარბარებს თავის „შამილას...“

ყურადსაღებია გ. ხორგუაშვილის მოთხრობებში მხატვრული აზროვნება, მდიდარი ფანტაზია, თემატიკის თვისობრივი მხარე და მრავალფეროვნება, პრობლემური საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება, იდეურობა, პარტიული სიმართლე, რეალიზმი. გ. ხორგუაშვილის ეს წიგნი უდავოდ კარგი შენაძენია, დიდია მისი შემეცნებითი ღირებულება და ჩვენს მკითხველს დიდ სარგებლობას მოუტანს.

პაპარდ ბრძანებებს კარგად იცნობს დიდი ბრიტანეთის თეატრალური სამყარო. მისი პირველი პიესები 40-იანი წლების ბოლოს დაიდგა და ავტორი მაშინვე ჩააყენეს ინგლისური დრამის ე. წ. მეორე ნაქადის ყველაზე თვალსაჩინო დრამატურგთა რიგებში.

მან თავის მხატვრულ პრინციპებს ყველაზე სრულყოფილად ხორცი შეასხა პიესაში „რომელები ბრიტანეთში“ (1980). პიესამ მკაცრი პოლემიკა გამოიწვია პრესაში.

ბენტონის ერთ-ერთი ბოლო პიესა „წყუთული პოეზია“ მოგვითხრობს მეცხრამეტე საუკუნის ორ დიდ ფიგურასზე ბაირონსა და შელიზე.

დრამატურგი პირადული, ინტიმური ურთიერთობებით ცდილობს, აღადგინოს თავისი გმირების ცოცხალი იერსახე. ამითაა გამოწვეული ისიც, რომ პიესაში ასე ცოტა პერსონაჟი: შელი, ბაირონი, მერი შელი, მისი ნახევარი და — კლერ კლერმონტი, შელის პირველი მეუღლის პერიტის აჩრდილი; მათ გარდა პიესაში ვხვდებით დოქტორ პოლიდორს, ბაირონის პირად მდივანსა და ექიმს.

დრამატურგმა, რა თქმა უნდა, პიესაში გამოიყენა სხვადასხვა დოკუმენტური მასალა — წერილები და მეშუარები.

მაგრამ „წყუთული პოეზია“ არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბიოგრაფიულ უანრზე შექმნილ რიგით ეტიუდს. ავტორი დიდი პოეტების ისტორიის გამოყენებით ცდილობს, წინ წამოსწიოს თანამედროვე ყოფის პრობლემები.

პიესის მოქმედება იწყება 1816 წლის მაისში, როცა ბაირონი და შელი შეხვდნენ ერთმანეთს და მთავრდება 1822 წლის ივლისში, როცა შელი ტრაგიკულად დაიღუპა შტორმის დროს, პიესის უფრადღების ცენტრში შელია. პიესა იწყება და მთავრდება მისი მონოლოგით. გამომხატველობითი ხერხების არჩევით, ბენტონი ცდილობს, აჩვენოს სხვაობა შელისა და ბაირონს შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიესაში აქცენტი პირად ურთიერთობებზეა გადატანილი, ნაჩვენებია ორი პოეტის შეგობრობა. ბაირონი შელის პიროვნებითა და პოეზიითაა გატაცებული, ხოლო შელი ენდობა ბაირონს, იმ ერთადერთი აღდამიანის შესაძლებლობებს, რომელსაც ესმოდა შელის და მზად იყო, ბოლომდე მიჰყოლოდა მას ჭეშმარიტების შესაცნობად. პიესაში პირადი ურთიერთობების ურთულესი ჰაჭვია. ასახულია შელის სიუვა-

რული მერი შელისადმი, გატაცება კლერით, მოგონებები პერიტზე, განცდები ბავშვებზე, რომელიც სასამართლომ დედას დაუტოვა და დიდი სინდისის ქენჯნა, როდესაც შელი პერიტის თვითმკვლელობის ამბავს იტყობს. ამას თან ერთვის მერი შელის ექვიანობა, გაუთავებელი მგზავრობა, უფულობა, ხელმოკლეობა...

ბენტონმა თავისი პიესის გმირები აქცია ჩვეულებრივ, ცოცხალ ადამიანებად, ვისიც გჯერა და გწამს. მაგრამ ბენტონი ხასიათების მოდერნიზაციას ახდენს, თავისუფლების მომდერაღი რომანტიკოსი პოეტები უშუალო წინამორბედები გამოდიან იმ თანამედროვე მემბოხე ახალგაზრდობის, ვინც მუშანურ მორალს ებრძვის.

ბენტონის კალამს ეკუთვნის სხვა პიესებიც: „პრავდა“ და 1874 წელს დაწერილი „პიესა ჩერჩილზე“.

რამდ ბალმ ცნობილი ფრანგი უფრანლისტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსია, წერს რომანტისაც იგი „რომანიტი დიმა“-ში რეგულარულად აქვეყნებს პრობლემური ხასიათის მძაფრ პოლიტიკურ მიმოხილვებსა და სტატიებს.

სწორედ რენე ბალმ მოუყარა თავი დიდი ფრანგი მწერლის როჟე ვიანის (1907-1985 წწ) ყველა სტატიასა და ნარკვევს (როჟე ვიანი მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ უფრანლისტად და მიმოხილველად ითვლება) და თავისი მეცნიერულ-პოლიტიკური კომენტარებით გამოსცა მისი ნაშრომების ორტომეული. 1984 წელს. ამ მასალაზე მუშაობამ გამაღიძრა რენე ბალმს შემოქმედება, გამაძაფრა მისი პუბლიცისტიკა, მხატვრული ნაწარმოების ფორმისთვის კი მან დეტექტივის ელემენტებიანი რომან-პამფლეტი აირჩია.

ნაწარმოებში „უგონო ქალაქი“ რასიზმის ბუნებაზეა საუბარი. მოქმედება აშშ-ს ჩრდილოეთით მდებარე ერთ პატარა უსახელო ქალაქში ხდება. „უცხოებადში“ სიძულვილი ბატონობს, სდევნიან შავ რასას, სამართალს, ერთი სიტყვით, ყველას და ყველაფერს, რაც ამ გამოროტებული და გულგრილი მასისგან განსხვავდება.

გამოძიებას ევროპიდან ჩამოსული ვინმე მარიო იწყებს, იგი თავის თანამემამულესა და მეგობარს როკოს ეძებს, რომელიც აქ, ამ ქალაქში ხეტუის სახერხე ქარხანაში მუშაობდა და უცებ გაუჩინარდა. მარიო ვერანაირ კვალს ვერ

პოულობს, თითქმის აღარავის არ ახსოვს ეს კაცი და აი, ზოლოს, იგი იპოვის გოგონას, რომელსაც როცა უყვარდა. ჟალა მარიოს უამბობს როცას მკვლელობის მიზეზს, იგი თურმე იმითომ მოკლეს, რომ უთანაგრძნობდა ჯანგებს. მეგობრობდა მათთან. მარიო ზღდება, რაშიც არის საქმე. ავი, გონებაშეზღუდული ობივატივები ვერ იტანენ ჯანგებს, არზევენ მათ. ამ სიძულვილისა და ღვარძლის ატმოსფეროს ემსხვერპლა ბევრი წესიერი ადამიანი: მარიო გადაწყვეტს, გადაარჩინოს ჟალა, მაგრამ ველარ ას-

წრებს, დანიშნულ ადგილზე მისული ჟალა გვამს პოულობს...

ავტორი თბრობას აწვრცადებს, იგი რომ ის, რაც ამ „ქალაქში“ ხდება, შეიძლება მოხდეს ნებისმიერ „ქალაქში“ და „საწვრცადობაში“, იქ, სადაც ადამიანებს დაკარგული აქვთ გონი.

ბალეს რომანები იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ ორგანულად შეიძლება, შეერწყას რომანის სტრუქტურას მძაფრი, საპირბოროტო პუბლიცისტიკა.



ჩვენი მისამართი: თბილისი, 880007, დედინის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82.
პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85
პროზის — 72-26-80, „ციხისკის“ დამატება — 72-17-01, ხაზორექტორი — 72-47-82.

გადაეცა ასაწყობად 8. 1. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 3. 88 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საბ. თაბახი 15,85. შეკვეთა 33 უე 01280 ტირაჟი 70.350.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Левина, 14.

3260 60 323.

052060 76284



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ